Unfortunately, the Georgians have neither school or church nor a library". The author of the letter addressed the Georgians if they could pay three rubles each, "they would establish a book depository and a reading hall for them" **(**Newspaper "Iveria" 1897).

This was really timely as a few months later, a Georgian book depository and a reading hall were opened in Baku. "At last, our long-term dream has come true and now we have a Georgian book depository and a reading hall which was founded with the commitment and assistance of D. Kervalishvili. This May, we officially opened the reading hall which is located opposite Marine's garden. Innumerable people were present at the opening" (Newspaper "Iveria" 1898).

This first culture institution became a place of meeting and support for Georgians. A journalist from "Kvali", Aridze, wrote: "There were few Georgians in Baku. Indeed, what do Georgians do here? Baku is a city of entrepreneurship and trade, but a Georgian is not a trader… There are a couple of Georgian capitalists, but they are very small compared to Azerbaijani capitalists. On the other hand, there were professional revolutionaries among Georgians: Stalin, Tsulukidze, Ketskhoveli, Sturua, Irodion Evdoshvili, Abel Enukidze and others… How could their life and work in Baku not have an influence? It did have a deep influence!" (Newspaper "Kvali" 1898).

While mentioning a couple of capitalists, the author must have meant the fact that "the oil industry which developed on Apsheron peninsula in the XIX century turned Baku into the largest industrial centre in Transcaucasia. In 1872, the government sold kerosene industries to private people, among whom were Georgians: Zubalashvili, Eristavi, Jakeli and others" (Gugulashvili 1941:277).

In 1900-1902, a Georgian drama circle was established. At first it consisted of just theatre-lovers, but since 1906, it filled with professional actors. Soon, with the help of rich Georgians, all Georgian institutions were moved to a building located at Nikolozi Street: the theatre, the school, the reading hall, etc.

In 1908, Ephemia Meskhi's husband, Ivane Gepner and the director Kote Meskhi, opened a cinema in the same building. The cinema was run by Vasil Amashukeli, a mechanical engineer, who had just returned from Moscow. Encouraged by the Meskhis, Vasil Amashukeli started making short films: "Georgian actors Ephemi Meskhi, Kote Meskhi and others in the park", "Work at Ramishvili's publishing house", "Work at oil bore", "Transferring coal on camels", "Baku views", "Kebab salesmen", "The Caspian Sea shore" and others.

Vasil Amashukeli's films taken in Baku are among the first Georgian ones shown abroad.

With the initiative of Georgian educators, a primary school was opened in Baku. Since September 11, 1909, the school started functioning. It was equipped with all necessary things. It was mainly funded with the money from performances. There was one performance a year to support the school. In 1904, Stepane Zubalashvili donated 10,000 rubles to the school.

Georgian culture was appreciated not only by Georgians, but also by the representatives of Azerbaijani intelligentsia. In 1914, Lisa Kanum Mukhtarova and her husband Murtuz Mukhtarov donated 500 rubles to the Georgian school.

The creative group of the Georgian theatre in Baku raised money to help the victims of repression from Guria, the victims of Armenian-Tatar opposition and poor Ajarians.

Jacob Mansvetashvili established the house of Georgian culture in Baku. On the 23 of December, a Georgian school was opened on the first floor of the building. A women's circle was also established here. There were also circles of sewing, embroidery and other handicraft.

In 1907, in order to manage the theatre successfully, the Georgians in Baku invited Kote Meskhi to be their director. He was in charge of it for two years and turned it into a powerful professional theatre.

After his leave, the theatre chose Nino Gamrekel-Toreli as its director. She was the first woman director, who had got theatrical education in Moscow at Polinskaya's private courses.

Most of all, Baku audience liked the plays depicting the heroic past of Georgian people, and later "democratic plays, where authors mainly depicted the existing economic and, partly, political inequality and superstitions and other fallaciousness". Baku Georgian theatre was a platform, which voiced anxious and hopeful ideas of freedom-loving people.

An Azerbaijani theatre in Tbilisi is developing simultaneously with the Georgian theatre in Baku. On January 14, 1910, the first issue of Georgian weekly political-literary and scientific-historical newspaper "Martsvali" came out in Baku (there were 10 issues altogether). Since January 1913, a weekly political-literary journal "Tskaro" came out.

On more than one occasion, famous actors from Tbilisi were invited to take part in performances in Baku: Mako Safarova-Abashidze, Elizabeth Cherkezishvili, Babo Avalishvili, Vaso Abashidze, Vladimer Alexi-Meskhishvili and others. On January,

1912, Georgia traditional evening party hosted Vano Sarajishvili, the solo opera singer from La Scala, who delighted the ear of the audience with arias in Russian, French, Italian and Azerbaijani languages.

It is very interesting to remember what one of the popular singers of the USSR, Biul-Biul, writes: "I saw Vano Sarajishvili for the first time in 1911. At the time I was 14 years old. I was imitating a nightingale and produced strange sounds. This was why I was invited to Tbilisi… They said after the performance that Vano Sarajishvili was coming to see the singing nightingale. Indeed, when he approached me, he put one hand on my shoulder and he touched my throat with another and said something in Georgian. As they told me later, he had said: if you don't check the throat, you will think that there is a real nightingale in the throat. That evening, Vano Sarajishvili sang "Tavo chemo" and left me with such unforgettable impression that even 22 years later, I can't forget the singer with that great voice" (Kashmadze 1962:205-207).

Another singer who sang in Baku was Elene Tarkhnishvili. Famous directors and actors worked in Georgian theatre in Baku: Shalva Dadiani, Valerian Gunia, Alexandre Tstutsunava, actora Keto and Eo Andronikashvilis, G. Mataradze, Vladimer Amashukeli, the doctor Niko Gamrekeli. The Georgian theatre served every event going on in Georgia, especially, in its cultural life. In different years, the Georgian theatre in Baku celebrated jubilees of Ilia and Akaki and staged their plays.

At that time, people of different nationalities worked in different industrial institutions. These people were friends and in the evening, despite differences in social background and thinking, they met one another in theatres and attended performances.

"As there were Georgian performances in Baku, there must have been audience as well. Who were the audience? Besides Georgians, you could find educated, progressively thinking people of different nationalities. First of all, there were the Azerbaijani", - wrote newspaper "Iveria" (Newspaper "Iveria" 1898).

How did the Georgian theatre in Baku manage to attract such versatile audience?! Each Georgian actor and theatre lover was well aware of one thing, that "the theatre is a publicly revealed mirror which should reflect the good and the bad, the kind and the evil, positive and negative".

The Georgian theatre in Baku managed to attract audience by reflecting socially important events. The theatre revealed luxurious entertainment and conversations about trade, miserable life of the working class, the issues of culture, science and social life. All the voices, all various ideas, melodies, all thoughts and wishes made a great influence on the feelings and minds of the audience.

In the 1920s, which were full of cataclysms, the roles in the world of games changed. The working class who wanted revenge turned into a raging crowd and shed people's blood together with Bolsheviks. During this time, the life of the theatre in Baku nearly stopped.

The cast of the Georgian theatre in Baku "was wandering in the street with a lit torch in the hand… hunger, thirst, cold were nothing to it… the theatre was not only art but it is a school, a platform, which wakes feelings, alerts senses, lights fire in hearts and fills it with hope".

And so, the Georgian theatre in Baku stood up to time. It continued its functioning at Nikolozi Street for more than 30 years, staged about 200 performances and lived a full life.

On December, 1936, on decision of the Azerbaijan authorities, the Georgian theatre was closed down, but it left an indelible trace in the cultural and educational activity of Georgia.

The Georgian theatre of Baku was the temple which was lit by the love of culture and the belief that "art belongs to all people", "art has no borders", "the theatre is the public sign of nationality"…

The life and work of the founders, theatre-goers or actors of the Georgian theatre in Baku is the spiritual will left by one generation to the next one. Each of them possessed a great sense of responsibility and dignity. Even today, the life and work of the cast of the Georgian theatre in Baku and its history shines like an eternal torch.

Bibliography:

1. Aridze 1818 (N43): Aridze. Baku, newspaper "Kvali";
2. Aridze 1898 (N44): Aridze, "Baku" II, newspaper "Kvali";

3. Newspaper “Kaspi” 1893;
4. Newspaper “Iveria“ 1898 (N 106), “Akhali Ambebi“;
5. Guruli 1897 (128): A guruli. “A letter from Baku”, newspaper “Iveria”;
6. Gugushvili 1941: Gugushvili P. “the origin and development of capitalism in Georgia and Transcaucasia”, Tb.;
7. Kashmadze 1962: Kashmadze Sh. “Vano Sarajishvili”, Tb.;
8. Kurulashvili 1974: Kurulashvili L. “The Georgian theatre in Baku”, Tb.

„ჭკვიანი ქსელის“ ტექნოლოგიების დანერგვის სამთავრობო რეფორმები, ჩინეთის ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე

Ketevan Iluridze
Doctoral Student Georgian Technical University, Georgia

სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ელექტროენერგეტიკის სისტემების განვითარების ტენდენციებისა და „ჭკვიანი ქსელის“ ტექნოლოგიის ქვეყნის ენერგოსისტემაში დანერგვის საკითხებში. ჩვენს მიერ, სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბაზაზე, პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტ-დოქტორანტთა უშუალო მონაწილეობით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გაანალიზა ჩინეთის რესპუბლიკაში „ჭკვიანი ქსელის“ განვითარებაზე ორიენტირებული სამთავრობო რეფორმებისა და ტენდენციების განხორციელების მიზნები და ეტაპები. „ჭკვიანი ქსელი“- ელექტრული ქსელია, რომელშიც ელექტროენერგიის გადაცემის მონიტორინგისა და მართვის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ციფრული და სხვა მოწინავე ტექნოლოგიები, ელექტროენერგიაზე საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. „ჭკვიანი ქსელი“ - ჩინეთის მომავალი ელექტროენერგეტიკული სისტემის განუყოფელი ნაწილია. ბოლო 15 წლის განმავლობაში ამ სფეროში მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდა ჩინეთის ელექტროენერგეტიკული სისტემის ეფექტურობა, საიმედოობა და ეკოლოგიური მაჩვენებლები. თუმცა, რჩება სერიოზული პრობლემები ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნა, ენერგოსისტემის უსაფრთხოება და საიმედოობა, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და კლიმატის ცვლილებებზე დამოკიდებულება. ელექტროსისტემის განვითრების ხელშეწყობის მიზნით, ჩინეთის მთავრობამ ამბიციური გეგმის განხორციელება განიზრახა. კერძოდ: გენერაციის ობიექტების, სიმძლავრეებისა და განახლებადი ენერგიის წყაროებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდა, ხოლო საერთო გამომუშავებაში ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხებების საგრძნობი შემცირება და მისი მოხმარების ეფექტურობის მნივნელოვანი გაზრდა. მიუხედავად ამ ცვლილებებისა ჩინეთის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში დღესდღეობით მაინც რჩება, როგორც ტექნიკური, ასევე ნორმატიულ-სამართებლივი სახის პრობლემები, რაც მნიშნელოვნად აყოვნებს ქვეყანაში „ჭკვიანი ქსელის“ ტექნოლოგიების სრულფასოვან განვითარებას. მიგვაჩნია, რომ სტატიაში განხორციელებული კვლევების შედეგების ანალიზი ხელს შეუწყობს საქართველოს ელექტროენერგეტიკის სისტემაში მოწინავე ტექნოლოგიების წარმატებით დანერგვის პერსპექტივების განსაზღვრასა და მოსალოდნელი დანახარჯებისა და თანმდევი პრობლემების სწორ შეფასებას.

საკვანძო სიტყვები: ჭკვიანი ქსელი, ელექროენერგეტიკული სისტემა, სამთავრობო რეფორმები

Government Reforms Regarding Deployment of “Smart Grid” Technologies on The Example of the Chinese Power System

The paper analyzes the experience of the world's leading countries in the development of electricity systems, trends and the introduction of "smart grid" technology in the country's energy system. We have set up a working group on the basis of the Georgian Technical University, Faculty of Power Engineering and Telecommunications, with the direct participation of professors and doctoral students, to analyze the goals and stages of government reforms and trends in the development of a "smart grid" in the Republic of China. Smart grids can be defined as: » An electricity network that uses digital and other advanced technologies to monitor and manage the transport of electricity from all generation sources to meet the varying electricity demands of end users. Smart grids – an essential part of China’s future electric power system In the past 15 years, a series of reforms have greatly improved the efficiency, reliability, and environmental performance of the Chinese power sector. However, significant challenges remain: rapidly rising electricity demand, concerns about power system reliability and energy security, environmental degradation and climate change China’s government aims at set up ambitious development targets for the future electric power system: amongst others, generation and grid capacities are to be

expanded substantially, the share of renewable energy sources (RES) in the generation mix is to increase considerably, the number of power outages and supply interruptions is to decrease significantly, and the efficiency of energy and electricity usage is to increase markedly. Despite these changes in China's power system today, both technical and regulatory issues remain, which significantly delays the full development of "smart grid" technologies in the country. We believe that the analysis of the results of the research conducted in the paper will help to determine the prospects for the successful introduction of advanced technologies in the electricity system of Georgia and to correctly assess the expected costs and related problems.

Keywords: smart grid, power energy system, government reforms

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებების განსაზღვრისას, უპირველესად განიხილება ენერგეტიკულ სისტემებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის საკითხები. ასეთ ტექნოლოგიებს შორის მოიაზრება „ჭკვიანი ქსელის" ტექნოლოგიაც.

ელექტროენერგეტიკის სისტემების განვითარების მსოფლიო ტენდენციებისა და „ჭკვიანი ქსელის" ტექნოლოგიის ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში დანერგვის საკითხების შესწავლის მიზნით, ჩვენს მიერ, სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბაზაზე, სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტ-დოქტორანტთა უშუალო მონაწილეობით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პერსპექტივების შესასწავლად, გაანალიზა ელექტროენერგეტიკული სისტემების განვითარების ტენდენციები მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, მათ შორის სამთავრობო რეფორმების განხორციელების გზები და ეტაპები ჩინეთის რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში. კერძოდ: ჩინეთის რესპუბლიკაში „ჭკვიანი ქსელის" განვითარებაზე ორიენტირებული სამთავრობო რეფორმებისა და ტენდენციების განხორციელების გზები და ეტაპები.

„ჭკვიანი ქსელი"- ელექტრული ქსელია, რომელშიც ელექტროენერგიის გადაცემის მონიტორინგისა და მართვის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ციფრული და სხვა მოწინავე ტექნოლოგიები, საბოლოო მომხმარებლის ელექტროენერგიაზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ისტორულად ჩინეთის ენერგოსისტემას, გენერაციიდან დაწყებული საბოლოო მომხმარებლის ჩათვლით, სახელმწიფო ფლობდა და მართავდა. 80-იან წლებში ჩინეთმა დაიწყო კომპლექსური რეფორმების გატარება, კერძოდ ბაზრის ახალ მოთამაშეებს შეეძლო ინვესტიციების განხორციელება ენერგო ობიექტებში. სწორედ ამ მოთამაშეებზე მოდიოდა გამომუშავებული ელექტროენერგიის ნახევარზე მეტი.

2002 წელს ჩინეთის სახელმწიფო რესპუბლიკამ დაამტკიცა ენერეგეტიკული სისტემის რეფორმის ახალი ფაზა, რომლის მიზანს შეადგენდა ენერგოსისტემაში შემავალი ობიექტების „დანაწილება" (გენერაცია, გადაცემა, განაწილება). რეფორმების შედეგად სახელმწიფო ენერგეტიკული კორპორაცია დაიშალა თერთმეტ სახელმწიფო საწარმოდ, კერძოდ: ქსელის ორი ოპერატორი, ელექტროგენერაციის ხუთი კომპანია, ენერგომომსახურების ოთხი კომპანია (საკონსულტაციო და დამხმარე მომსახურება), ასევე კონკურენტული ბაზრის განვითარების, ენერგოსექტორის შემდგომი ლიბერალიზაციისა და საბაზრო რეფორმებისთვის, სახელმწიფომ დააფუძნა მარეგულირებელი ორგანო - ელექტროენერგეტიკის რეგულირების სახელმწიფო კომისია.

ენერგოსექტორში რეფორმების მიზანი იყო: ამ სექტორში მონოპოლიის შემცირება, კონკურენციის გაძლიერება, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, დანახარჯების შემცირება და ელექტროენერგეტიკული ბაზრის შექმნა.


ჩინეთის მთავრობის მთავარი პრიორიტეტი ენერგეტიკულ სექტორში იყო დაბალი ნახშირბადის გამოყოფის ტექნოლოგიების განვითრება. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ენერგოსისტემის მდგრადობასთან დაკავშირებული ამოცანები მნიშვნელოვან როლს იძენდა. ზოგად კანონში „ელექტროენერგეტიკის შესახებ", პირველად იქნა წამოწეული ენერგოეფექტურობა და გარემოს დაცვა (1995წ.).

ეს კანონი, ერთის მხრივ, მიმართული იყო გენერაციის კომპანიების კომერციულული სტატუსის მიღებაზე და კერძო საკუთრების იურდიული საფუძველის შექმნაზე [3], მეორეს მხრივ კი, ეს კანონი ხაზს უსვავდა ენერგეტიკული კანონის განვითრებაზე ეკოლოგიური მდგრადობის ზემოქმედების მნიშვნელობას და ითვალისწინებდა, რომ ენერგო ობიექტების მშენებლობა, ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა და მოხმარება უნდა განხორციელებულიყო გარემოს დაცვითი კანონის შესაბამისად, კერძოდ: დანერგილიყო ახალი ტექნოლოგიები, შემცირებულიყო ტოქსიკური ნარჩენების გამონაბოლქვები და სხვა.

განახლებადი ენერგიის შესახებ კანონმა ჩამოაყალიბა მყარი იურდიული საფუძელი, რომელსაც შემდგომ მოჰყვა მრავალი ძირითადი მითითება. ჩინეთმა გაატარა აგრესიული ღონისძიებები ეკონომიკაში ენერგეტიკული ინტესივნობის შესამცირებლად. 2006-2010 წლებში ჩინეთი მიზნად ისახავდა შეემცირებია ენერგეტიკული ინტესივობა, რომელიც შეფასებული იყო, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ერთეულზე ენერგიის 20%-ით შემცირება.

2006 წლიდან 2010 წლამდე დაიხურა ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურები (სიმძლავრით 70 გვტ.). პროგრამა არამარტო ელექტროსადგურებისკენ იყო მიმართული, არამედ ხელსუწყობდა ენერგოტევად დარგებში არსებული ქარხნების რეკონსტრუქციას.

საშუალო საერთაშორისო მაჩვენებელთან შედარებით, ჩინეთში ნახშირის, ნავთობის და ბუნებრივი გაზის მარაგი ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ დაბალია, რამაც გამოიწვია ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულება [4]. ამის საპირისპიროდ, ჩინეთი მდიდარია განახლებადი ენერგიის წყაროებით - ქარის ენერგიის პოტენციალი შეფასებულია 250 გვტ-დან 750 გვტ-მდე, ამას ემატება მზის ენერგიის რესურსი [5]. ოთხმოციანი წლებიდან დაწყებული გენერაციის ობიექტების რაოდენობა მზარდია (ნახ.1), 2006 წლიდან 2012 წლამდე საერთო დადგმული სიმძლავრე თითქმის გაორმაგდა- 621 გვტ-დან 1147 გვტ-მდე[6].



ნახ. 1 1980-დან 2012 წლამდე ჩინეთის ენერგეტიკული სიმძლავრეები

ჩინეთში 2006 წელს მიღებულმა კანონმა „განახლებადი ენერგიის შესახებ“, ბიძგი მისცა განახლებადი ენერგიის ათვისებას და შედეგად, ჩინეთი გახდა მსოფლიოში ქარის ენერგიის უდიდესი მწარმოებელი, მხოლოდ 2012 წელს დამონტაჟდა ქარის ახალი სადგურები - სიმძლავრით 13 გვტ., ხოლო მთლიანად დადგმული ქარის გენერაციის ობიექტების სიმძლავრე ამ პერიოდისთვის 61,4 გვტ-ს შეადგენდა. 2013 წელს მიღებული ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის შედეგად ჩინეთი მსოფლიოში მზის ენერგიის გამოყენების მსხვილი მომხმარებელი გახდა - 11 გვტ. სიმძლავრით [6]. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთის ელექტრო სისტემა არ აღმოჩნდა მზად ასეთი მზარდი სიმძლავრის გატარებისთვის, რაც გამოწვეული იყო ქარის და მზის ახალი გენერაციის ობიექტების ამუშავებით. გაზზე მომუშავე ელექტროსადგურების სიმცირის გამო, ქვანახშირზე მომუშვე გენერაციის ობიექტები ძირითადად გამოიყენებოდა პიკური დატვირთებისას. ასევე, რეგიონებს შორის გადამცემი ხაზების სიმცირის გამო ვერ ხერხდებოდა პიკური დატვირთებისას ჰიდრო და განახლებადი ენერგიების გამოყენება.

განახლებადი ენერგიების გამოყენებისას არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, რაც დაკავშირებულია გადამცემი ხაზების ნაკლებობასთან. ქარის ელექტროსადგურები გაცილებით სწრაფად შენდებოდა, ვიდრე მასთან დამაკავშირებელი გადამცემი ელექტრო ხაზები. ამ პრობლემის გაანალიზებისას ჩინეთის მთავრობამ საგრძნობლად შეამცირა ქარის ელექტროსადგურების გაფართოების ტენდენცია. შორეულ რეგიონებში, სადაც თავმოყრილი იყო ქარის ენერგიის პოტენციალი - 10 გვტ. და მეტი სიმძლავრის, იძულებული გახდნენ ელექტროსისტემის გადატვირთულობის გამო შეემცირებიათ გამომუშავება. სწორედ ამიტომ, შემოსავლების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, დაიწყო ქარის ელექტროსადგურების განთავსება ქარის ნაკლები პოტენციალის, მაგრამ გამართული ელექტროსისტემის მქონე რეგიონებში.

პრობლემები ჩინეთის ენერგეტიკულ სექტორში შემდეგია:

- ჩინეთს არ გააჩნია საკმარისი ენერგომატარებლები და ამიტომ შესაძლებელია გახდეს იმპორტირებულ ენერგორესურებზე დამოკიდებული ქვეყანა;
- ჩინეთში ელექტროენერგიის წარმოება ხორციელდება ქვანახშირის გამოყენებით, რაც ჰაერის დაბინძურების მთავარი წყაროა;
- პიკურ საათებში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურების დატვირთით მუშაობა ამცირებს მის ეფექტიანობას;
- განახლებად ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურებისა და გადამცემი ქსელის განვითარება არ არის კოორდინირებული - ვერ ხერხდება ახალი გენერაციის ობიექტების ქსელზე მიერთება.

დასკვნა

სტატიაში გაანალიზებული კვლევებიდან ჩანს, რომ მართალია ელექტროსისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ჩინეთის მთავრობამ ამბიციური გეგმა განახორციელა გენერაციის ობიექტების სიმძლავრეებისა და განახლებადი ენერგიის წყაროებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიისა და საერთო გამომუშავებაში ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხებებისა და მისი მოხმარების ეფექტურობის მიმართულებებით. ჩინეთის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში დღესდღეობით მაინც რჩება, როგორც ტექნიკური, ასევე ნორმატიულ-სამართებლივი სახის პრობლემები, რაც მნიშნელოვნად აყოვნებს ქვეყანაში „ჭკვიანი ქსელი“ ტექნოლოგიების სრულფასოვან განვითარებას.

ჩვენი აზრით, სტატიაში განხორციელებული კვლევების შედეგების ანალიზი, ხელს შეუწყობს საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მოწინავე ტექნოლოგიების წარმატებით დანერგვის პერსპექტივების განსაზღვრასა და მოსალოდნელი დანახარჯებისა და თანმდევი პრობლემების სწორ შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The Regulatory Assistance Project, “Recommendations for Power Sector Policy in China,” The Regulatory Assistance Project, Beijing , 2013.
2. X. Qiu and H. Li, “Energy Regulation and Legislation in China,” Environmental Law Reporter, vol. 7, pp. 10678–10693, 2012.
3. C. C. Ni, “Analysis of Applicable Liberalization Models in China’s Electric Power Market,” International Public Economy Studies, vol. 16, 2006.
4. State Council Information Office of the People’s Republic of China (SCIO), “China’s Energy Policy 2012,” SCIO, Beijing, 2012.
5. E. Martinot and J. Li, “China’s Latest Leap: An Update on Renewable Policy,” Renewable Energy World, vol. 13, no. 4, pp. 51–57, 2010.
6. China Electricity Council (CEC), “Planning and Statistics,” CEC, 2013. [Online]. Available: http://www.cec.org.cn/guihuayutongji/tongjxinxi/. [Accessed March 3, 2014].

ინვენტარიზაციის ჩატარების თანამედროვე მეთოდოლოგია, მიზნები და ომპიუტერული პროგრამები

Mikheil Berdzenishvili
Doctoral Student Georgian Technical University, Georgia

სტატიაში განხილული კვლევების დანიშნულებაა ხელიშეუწყოს, თვითმართველი ერთეულების მართვის სისტემებში თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების დანერგვას, ადგილობრივ დონეზე ფინანსურ დამოუკიდებლობას, გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას და დაგეგმვა-აღსრულების პროცესების ეფექტიან განხორციელებას, მოქალაქეებისთვის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სწრაფ და ეფექტურ მიწოდებას, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულებების გაზრდასა და მოქალაქეთა მონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფას. ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, ა.(ა.)ი.პ. „სათეფასა“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, შეიმუშავა ორგანიზაციის ქონებრივი აქტივების მართვის ავტომატიზირებული სისტემა „ქონების აღრიცხვა“, რაც მუნიციპალიტეტების ინვენტარიზაციის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნისა და სახელმწიფო-სახაზინო მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ჩართვის საშუალებას იძლევა. ნაშრომში განხილული სამუშაოების მთავარი მიზანია: 1. დამყარდეს მჭიდრო კავშირი ცენტრალურ და ადგილობრივ თვითმართველ ერთეულებს შორის; 2. გავრცელდეს ინფორმაცია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგების შესახებ; 3. ხელიშეუწყოს თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების დანერგვას თვითმართველობის მართვის სისტემებში; 4. უზრუნველყოფილ იქნას მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტრენინგების ორგანიზება, პროგრამული ბიუჯეტირების ძირითადი პრინციპების შესასწავლად; 5. ხელიშეუწყოს ინფორმაციის ცირკულირებისთვის ერთიანი ქსელის შექმნას. სტატიაში, გაანალიზებულია ინვენტარიზაციის თანმდევი, თემატურად განსხვავებული, მაგრამ ურთიერდაკავშირებული პროცესები, კერძოდ: მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობებისა და ვალდებულებების აღრიცხვის ძირითადი და სპეციალური სახეები და ინვენტარიზაციის პროცესების დამატებითი ფუნქციები და ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მონაცემების არსებული მდგომარეობის შეფასებითი ინდიკატორების განსაზღვრა. მოსახლეობის ონლაინ რეჟიმში ინფორმირების გაუმჯობესების მიზნით, ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, „სათეფას“ ეგიდითა და სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტ-დოქტორანტების მონაწილეობით, შექმნა ელექტრონული პროგრამა (www.gfa.ge) და აქტივების მართვის ელექტრონული სისტემა (www.Eproperty.ge), რაც სხვა ფუნქციებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერნეტით გამოკითხვის საშუალებასაც იძლევა.
საკვანძო სიტყვები: მონაცემთა ბაზები, ინვენტარიზაცია, კომპიუტერული პროგრამები

Modern Methodology, Objectives and Computer Programs for Inventorisation

The purpose of the research discussed in this article is to promote the implementation of modern management methods in the management systems of self-governing units, financial independence, free decision-making and effective implementation of planning and execution processes; providing citizens with fast and effective information on the activities of the municipality, increasing the accountability of the local government and ensuring the citizens participation process. Our working group, within the framework of the Memorandum of Understanding signed between A. (A.) I.P. “Satefa” and the Treasury Service of the Ministry of Finance of Georgia, the organization has developed an automated asset management system "Property Registration", which allows the creation of a unified database of municipal inventories and inclusion in the electronic treasury database. The main purpose of the works discussed in the paper is: 1. Establish a close connection between central and local self-government units; 2. Disseminate information on the results of the inventory in different municipalities; 3. Facilitate the introduction of modern management methods in self-government management systems; 4. Ensure the organization of trainings for the employees of the municipality to study the basic principles of program budgeting; 5. Facilitate the creation of a unified network for the circulation of information. The article analyzes the accompanying, thematically different but interrelated processes of inventory, namely: the main and special types of

accounting of material-technical values and liabilities; additional functions of inventory processes; and determining the current state assessment indicators of the data obtained as a result of the inventory. In order to improve online awareness of the population, our working group, under the auspices of Satefa and with the participation of GTU professors and doctoral students, created an electronic program (www.gfa.ge) and an electronic asset management system (www.Eproperty.ge), which, among other features, allows the local population to be surveyed online.

Keywords: Databases, Inventory, Computer programs

ინვენტარიზაციის ჩატარების თანამედროვე მეთოდოლოგია, მიზნები და კომპიუტერული პროგრამები მუნიციპალიტეტები ყოველწლიურად მნიშვნელოვან საბიუჯეტო სახსრებს განკარგავს. საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი გამოყენება, არსებული გამოწვევა/საფრთხეების გადაჭრის გზების მოძიება და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტებში დემოკრატიული მმართველობის ხარისხს, მუნიციპალიტეტების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. სტატიაში განხილული სამუშაოების ძირითადი მიზანია ხელიშეუწყოს ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ა.(ა.)ი.პ. „სათეფასა“ (საქართველოს ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია) და საქართველოს ფინანსათა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შორის გაფორმებულ იქნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს ორმხრივი კონსულტაციებსა და აზრთა გაცვლას აღრიცხვის, ანგარიშგების, ფინანსური მენეჯმენტისა და ზოგადად, საჯარო ფინანსების მართვის ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის კავშირების დამყარებას. მემორანდუმის ფარგლებში, „სათეფა“- მ წარადგინა საქართველოს თვითმართველი ერთეულების ქონების აღრიცხვის პროექტი, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწოფო საკუთრებისა და ვალდებულებების აღრიცხვის მონაცემებს, ასევე უძრავ-მოძრავი ქონების შეფასების ინდიკატორებსა და ინვენტარიზაციის შუალედური და საბოლოო შედეგების ანალიზს.

ინვენტარიზაციის პროცესების მიმდინარეობაში, ჩვენს მიერ, ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ აქამდე უმრავლეს მუნიციპალიტეტში, აქტივების აღრიცხვის ჩამოყალიბებული პროცედურა ფაქტიურად არ არსებობდა და აღრიცხვა წარმოებდა კუსტარულად, ყოველგვარი ერთიანი, შეთანხმებული მიდგომების გამოყენების გარეშე. ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, „სათეფას“ ეგიდითა და სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტ-დოქტორანტების უშუალო მონაწილეობით, შეიმუშავა ქონების ინვენტარიზაციის ავტომატიზირებული მართვის მეთოდოლოგია, გაანალიზა მისი მიზნები, დასახა განხორციელების ეტაპები და მონაცემთა ბაზების შექმნისა და გაციფროვნების კომპიუტერული პროგრამები, მათ შორის პროგრამული პაკეტი „ქონების აღრიცხვა“. რაც მუნიციპალიტეტების ინვენტარიზაციის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნისა და ამ მონაცემთა ბაზის ერთიან სახელმწიფო-სახაზინო მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ჩაშენების საშუალებას იძლევა.

ინვენტარიზაცია, ზოგადად, შეიძლება ჩატარდეს ან მხოლოდ საკუთარი ძალების მეშვეობით, ან გარე აუდიტების დახმარებით. ორივე ვარიანტს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასე მაგალითად, თუ ინვენტარიზაციას მხოლოდ საკუთარი ძალებით ჩავატარებთ, მაშინ კომისიის წევრი, კომპანიის თანამშრომელი, სრულფასოვნად ვეღარ შეასრულებს კომპანიაში დაკისრებულ ძირითად მოვალეობებს, მაგრამ თუ ინვენტარიზაციას ჩავატარებთ მხოლოდ დამოუკიდებელი აუდიტების მეშვეობით, შესაძლოა ვეღარ მოხერხდეს კომპანიის აქტივების დეტალებში სრულფასოვანი გარკვევა და სრულყოფილი შედეგის მიღება. აქედან გამომდინარე, ოპტიმალურად მიგვაჩნია, ორივე ვარიანტის შერწყმა და შედეგად, კომპანიის თანამშრომლებისა და გარე აუდიტებისგან შემდგარი გუნდის მიერ ჩატარებული აღწერა გაცილებით სანდო და ხარისხიანი იქნება.

ორგანიზაციის ქონების ინვენტარიზაციაში, ხშირად იგულისხმება აღწერის თემატურად განსხვავებული, მაგრამ ურთიერდაკავშირებული პროცესები, კერძოდ:

ა) მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობების ინვენტარიზაცია სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღწერილი სიტუაციის რეალობასთან შედარებითი ანალიზისთვის, მონიტორინგის ჩატარებისას აღურიცხავი განსხვავებების მინიმიზაციის მიზნით.

ბ) ქონებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია განსხვავებული ფორმატებით:

1. სრული აღწერა- კომპანიის ყველა აქტივისა და ვალდებულების მეთოდოლოგიური მიმოხილვა – ხორციელდება წლიური საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

2. ნაწილობრივი – მხოლოდ გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების აღწერა, რაც შესაძლებელია ასოცირებული იყოს გამოვლენილ დეფიციტთან ან სხვა მსგავს პრობლემებთან მიმართებაში.

3. დაგეგმილი – ხორციელდება წინასწარ განსაზღვრულ ეტაპზე, საწარმოს შიდა საჭიროების შესაბამისად.

4. დაუგეგმავი – ინიშნება განსაკუთრებული სიტუაციიდან გამომდინარე, ჩატარების დროის წინასწარი განსაზღვრის გარეშე.

5. ბუნებრივი – უძრავი ქონების ობიექტების აღრიცხვა უშუალოდ მათი შენახვის ან გამოყენების ადგილზე.

6. დოკუმენტური – ინიშნება ფაქტიური მონაცემების არსებულ დოკუმენტებთან შეფარდების მიზნით.

გ) ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე განკუთვნილი, ქონების მიზანმიმართული აღწერა, კერძოდ:

1. მარეგულირებელ ორგანიზაციებში სააღრიცხვო დასკვნის მომზადების დროს;

2. ქონების იჯარით გაცემის ან გაყიდვის დროს;

3. ქურდობის, განზრახ ან შემთხვევითი დაზიანების აღმოჩენის დროს;

4. კომპანიის რეორგანიზაციის პროცესის პერიოდში;

5. საგანგებო სიტუაციის ან სტიქიური, რამაც შესაძლოა გამოიწვია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა და კატასტროფის დროს;

6. ქონებრივ აქტივებზე ახალი პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შემთხვევაში;

ინვენტარიზაციის პროცესების თანმდევი, დამატებითი ფუნქციებია:

1. ხარისხის კონტროლი, განსაკუთრებით საბითუმო გაყიდვების დროს – სასაქონლო სახის, შეფუთვის და სხვა სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების კონტროლი;

2. დეფიციტის გამომწვევი მიზეზების დადგენა;

3. კომპანიის ყველა სასაქონლო აქტივის (მიღების მომენტიდანვე) შენახვის ან გამოყენების მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა.

მუნიციპალიტეტების ქონების აღწერა მოიცავს უძრავი და მოძრავი აქტივების აღრიცხვას, დასურათებას, უძრავი აქტივების ინტერაქტიულ რუკაზე დატანას, მოძრავი აქტივების შტრიხ-კოდებით დანომრვასა და აუდიტის შეფასება/დასკვნის განხორციელებას. ამ პროცესების ჩასატარებლად აუცილებელია მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ფართო სპექტრის: საფინანსო-საბუღალტრო, კულტურის, განათლების, სოციალური, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურული, იურიდიული, არქიტექტურული და სახედამხედველო სამსახურების თანამშრომლთა და საკრებულოს წევრების სწავლება/სერთიფიცირება. სასწავლო პროგრამები უნდა მოიცავდეს: საკანონმდებლო დოკუმენტაციის, პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და უნარ-ჩვევების გამომუშავების მეთოდებისა და მიდგომების შემსწავლელ მასალებს. ამ სასწავლო პროგრამით უკვე ჩატარებულია 34 ტრეინინგი, სასწავლო კურსი გაიარა 1743 მოხელემ.

საქართველოს მთავრობა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოებს ღია მონაცემებს. ღია მონაცემების რეგულარულად და სათანადო ფორმით გამოქვეყნება შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, ბიზნესსექტორს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გაეცნოს სახელმწიფო მონაცემებს და მათი გამოყენებით შექმნას ინოვაციური აპლიკაციები, ბიზნეს პროექტები და ელექტრონული სერვისები. მიუხედავად ამისა, ხშირად დროითი, სივრცით, ტერიტორიული თუ სხვა მიზეზების გამო, მოქალაქეები ვერ ერთვებიან თვითმმართველობის საქმიანობაში, ნაკლები ინფორმაცია

აქვთ მუნიციპალური სერვისების, სამსახურებისა და ზოგადად, თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ.

მოსახლეობის ონლაინ რეჟიმში ინფორმირების გაუმჯობესების მიზნით, ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, შეიმუშავა ელექტრონული პროგრამა (www.gfa.ge) და აქტივების მართვის ელექტრონული სისტემა (www.Eproperty.ge), რაც სხვა ფუნქციებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერნეტით გამოკითხვის დაგეგმვის, აღსრულების, კონტროლისა და შეფასების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობას, კერძოდ: სოფლების, თემების, გენდერული და სხვა ნიშნებით მოსახლეობის პრიორიტეტების დადგენას, მოსახლეობიდან ახალი პროგრამული მიმართულებების ინიცირების უზრუნველყოფას, მიღებული მასალების საფუძველზე ბიუჯეტის ფორმირებასა და პროგრამების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას,

სტატიაში განხილული სამუშაოების მთავარ ამოცანებია:

1. დამყარდეს მჭიდრო კავშირი სახელმწიფო დაქვემდებარების ცენტრალურ და ადგილობრივ თვითმართველ ერთეულებს შორის;

2. გამოცდილების გაზიარების მიზნით, გავრცელდეს ინფორმაცია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგების შესახებ, გამოცდილების გაზიარების მიზნით;

3. ხელიშეეწყოს თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების დანერგვას თვითმართველობის მართვის სისტემებში, კერძოდ ადგილობრივ დონეზე ფინანსურ დამოუკიდებლობასა და გადაწყვეტილებების მიღების, დაგეგმვისა და აღსრულების პროცესების განხორციელებას ინოვაციური მიდგომების გამოყენებით;

4. უზრუნველყოს ტრეინინგების ორგანიზება, პროგრამული ბიუჯეტირების ძირითადი პრინციპების შესასწავლად, როგორც მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა, ასევე სხვა დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის;

5. შეიქმნას ერთიანი ქსელი ინფორმაციის ცირკულირებისთვის და ხელიშეეწყოს მოქალაქეთა მონაწილეობას ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში.

სტატიაში განხილული გადაწყვეტები, ჩვენი აზრით, ხელსშეუწყობს ადგილობრივ დონეზე ფინანსურ დამოუკიდებლობას, გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას და დაგეგმვა-აღსრულების პროცესების განხორციელებას, მოქალაქეებისთვის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სწრაფ და ეფექტურ მიწოდებას, ანგარიშვალდებულების გაზრდასა და მოქალაქეთა მონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ღია მმართველობა, საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა http://procurement.gov.ge/getattachment/International-Cooperation/Action-Plans/(OGP)/OGP-2018-2019-AP.pdf.aspx საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
2. https://www.gfa.ge/Home/Content/?c=44

ენერგეტიკული ბლოკჩეინპროექტების ინვესტიციური ლანდშაფტი

Nato Bebiashvili
Teimuraz Berdzenishvili
Georgian Technical University, Georgia
Teimuraz Tutberidze
Ketevan Iluridze
Doctoral Stutdent Georgian Technical University, Georgia

სტატიაში გაანალიზებული კვლევების მიზანია ელექტროენერგეტიკასთან დაკავშირებული ბლოკჩეინპროექტების ინვესტიციური ლანდშაფტის კომპლექსური შესწავლა და ბლოკჩეინტექნოლოგიების საქართველოში დანერგვის ხელშეწყობა. ამისთვის, ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტ-დოქტორანტთა მონაწილეობით, გააანალიზა მსოფლიოში არსებული ბლოკჩეინპროექტები, მათი ინვესტორების დაინტერესების სფეროები და სექტორში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობები. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბლოკჩეინპროექტების წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია ენერგეტიკის ბაზრის, სახელმწიფოსა და გადაწყვეტილებების მიმღებ პროვაიდერებს შორის კომუნიკაციის ჩამოყალიბების ეფექტიანობაზე. ბლოკჩეინი არის კრიპტოგრაფიულად დაცული მზარდი ჩანაწერების ნუსხა ტრანზაქციების შესახებ, რომელიც საერთოა ქსელის ყველა მონაწილისთვის. ბლოკჩეინტექნოლოგიებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: ინფორმაციის დეცენტრალიზებული და განაწილებული ხასიათი; ინფორმაციის იდენტური ასლების არსებობა ქსელში ჩართულ ყველა „კვანძზე“; სისტემის სტაბილურობა და საიმედოობა – „წინა რიცხვით“ ისტორიის გადაწერის შეუძლებლობა; ტრანზაქციაში მონაწილე მხარეების უშუალო, შუამავლის გარეშე, ურთიერთობის შესაძლებლობა; ინფორმაციის გამჭვირვალობა; ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის მაღალი დონე; სისტემის მოქნილობისა და ტრანზაქციური დანახარჯების შემცირების შესაძლებლობა. ჩვენი კვლევებით, ყოველმა მესამე ბლოკჩეინპროექტმა მიიღო გარე დაფინანსება. ენერგეტიკულ ბლოკჩეინპროექტებში ინვესტიციების მოცულობამ მსოფლიოში თითქმის 600 მლნ. დოლარი შეადგინა. ელექტროენერგეტიკის სფეროში ბლოკჩეინპროექტების ნახევარი დარეგისტრირებულია ხუთ ქვეყანაში: აშშ (50 პროექტი), გერმანია (22), დიდი ბრიტანეთი (15), ავსტრალია (13) და იაპონია (13). ვფიქრობთ, რომ სტატიაში ჩატარებული კვლევები დარგობრივი სახელმწიფო პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება ციფრული ტექნოლოგიების მხარდაჭერისა და ბლოკჩეინპარტნიორობის ფორმირების სფეროში, ძალიან საინტერესო იქნება საქართველოს ციფრული ენერგეტიკის ჩამოყალიბების საქმეში და ხელსშეუწყობს ბლოკჩეინტექნოლოგიების საქართველოს ელექტროენერგეტიკის სისტემაში გამოყენების პოპულარიზაციას, რაც ჩვენი აზრით, ქვეყნისთვის ძალზედ მნიშნელოვანი და მომგებიანი იქნება.

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინპროექტი, ინვესტიცია, ელექტროენერგეტიკა

Energy Blockchain Projects Investment Landscape

The purpose of the research analyzed in this article is to comprehensively study the investment landscape of electricity-related blockchain projects and promote the adoption of blockchain technologies in Georgia. To do this, our working group, with the participation of GTU professors and doctoral students, analyzed the blockchain projects around the world, investors interest areas and the volume of investments invested in the sector. The analysis showed that the success of blockchain projects depends primarily on the effectiveness of establishing communication between energy market, state and decision-makers. A blockchain is a cryptographically protected list of growing records of transactions that is common to all network participants. Blockchain technologies are characterized by the following features: decentralized and distributed nature of information; Existence of identical copies of information on all "nodes" connected to the network; System stability and reliability - inability to edit history with "previous date"; Ability to communicate directly, without intermediaries, of the parties to the transaction; Information transparency; High level of business process automation; Ability to reduce system flexibility and transaction costs. According to our research, every third blockchain project received

external funding. The volume of investments in energy blockchain projects is almost 600 million dollars in the world. Half of the blockchain projects in electricity are registered in five countries: USA (50 projects), Germany (22), Great Britain (15), Australia (13) and Japan (13). We think that the research conducted in this article's foreign experience state policy of digital technology support and blockchain partnership, will be very interesting in the development of digital energy in Georgia and will help popularize the use of blockchain technologies in the Georgian electricity system. That, in our opinion, will be very important and beneficial for the country.

Keywords: blockchain project, investment, electricity

ჩვენი კვლევების მიზანია ელექტროენერგეტიკასთან დაკავშირებული ბლოკჩეინპროექტების ინვესტიციური ლანდშაფტის კომპლექსური შესწავლა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიების საქართველოში დანერგვის შესაძლებლობებისა და პრობლემების ანალიზი. ამისთვის ჩვენ გავაანალიზეთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში უკვე განხორციელებული, მიმდინარე და სავარაუდო პროექტები, ინვესტორების დაინტერესების სფეროები და ელექტროენერგეტიკაში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობები.

ბლოკჩეინ ტექნოლოგიები სხვადასხვა მოთამაშეების ყურადღებასა და ფულს იზიდავს. მათ შორისაა: სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები, მსხვილი კორპორაციები და რეგიონალური ენერგეტიკული კომპანიები, ტექნიკური საშუალებების მწარმოებლები და მეწარმეები, ვენჩურული ინვესტორები, მეცნიერები და მომხმარებლები. ენერგეტიკული ბაზრის საკვანძო მოთამაშეები: კორეული Tepco, ფრანგული EDF და Engie, ამერიკული Duke Energy, გერმანული Eon, Siemens და Innogy, ნავთობგიგანტი Shell და ასზე მეტი სხვა ენერგეტიკული კომპანია ავლენს ინტერესს ბლოკჩეინ პროექტების მიმართ თემატური კონსორციუმების, საპილოტო პროექტებისა და უშუალო ინვესტიციების სახით.

მსოფლიოში ენერგეტიკის დარგში ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიმართ მზარდი მოთხოვნა და ბლოკჩეინის აქტიური ფუნქციონალური განვითარება, განაპირობებს ენერგეტიკაში ბლოკჩეინპროექტების მიმართ დაინტერესების ზრდის ტენდენციას, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ბლოკჩეინტექნოლოგიის მუშაობისა და მისი შესაძლებლობების არაკორექტული გაგების პრობლემა.

ბლოკჩეინი (Blockchain) – ესაა კრიპტოგრაფიულად დაცული მზარდი ჩანაწერები ტრანზაქციების შესახებ, რომელიც ქსელის ყველა მონაწილისთვის საერთოა და მისი შეცვლა შეუძლებელია. თითოეული ჩანაწერი შეიცავს დროის ნიშნულს და წინა ტრანზაქციების ბმულს. ამ ინფორმაციის საფუძველზე, ნებისმიერ პირს რომელსაც აქვს წვდომის უფლება, დროის ნებისმიერ მომენტში, შეუძლია შეამოწმოს ნებისმიერი მონაწილის კუთვნილი ნებისმიერი ტრანზაქცია. ბლოკჩეინს შეუძლია ნებისმიერი ფორმატის ინფორმაციის შენახვა.

კრიპტოგრაფიის მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იზრდება სისტემის უსაფრთხოება, მთლიანობა და საიმედობა. ბლოკჩეინბაზაზე გადაწყვეტილებებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

- დეცენტრალიზებული და განაწილებული ხასიათი, რაც ინფორმაციის იდენტური ასლების ქსელში ჩართულ ყველა მოწყობილობაზე („კვანძზე“) ჩაწერის საშუალებას იძლევა, ერთიანი ცენტრისგან დამოუკიდებლად. ამასთან, ერთ–ერთ კვანძზე მუშაობისას წარმოქმნილი შეფერხება მონაცემთა ბაზების დაცულობასა და ქსელის საერთო მუშაობაზე ზეგავლენას ვერ ახდენს.
- სისტემის მართვის დეცენტრალიზებული შესაძლებლობა. ტრანზაქციების მართვის, დაფინანსებისა და დადასტურების ფუნქციები შეიძლება განხორციელდეს გადაწყვეტილების ცენტრალიზებულად მიღების გარეშე – კონსესუსის საფუძველზე.
- ბლოკჩეინში ჩაწერილი მონაცემების შეცვლის შეუძლებლობა. ნებისმიერი დამატება შეიტანება მხოლოდ ახალი „ბლოკების“ სახით, ამიტომ სისტემა უფრო სტაბილური და საიმედოა და „წინა რიცხვით“ ისტორიის გადაწერა, პრაქტიკულად შეუძლებელია.
- ტრანზაქციაში მონაწილე მხარეებს შეუძლია უშუალო, შუამავლების გარეშე, ურთიერთობა. ამის შედეგად მცირდება დანახარჯები და ოპერაციების ჩატარების დრო.
- ბლოკჩეინში შენახული ინფორმაციის გამჭვირვალობა, რაც ტრანზაქციების ისტორიის რეალური დროის რეჟიმში გაკონტროლებისა და შედეგად, ნდობის დონის მნიშვნელოვანი ამაღლების საშუალებას იძლევა.

- ჭკვიანი, თვითშესრულებადი, წინასწარ შეთანხმებული პირობების დადგომისას ავტომატურად შესრულებადი, პროგრამული კოდით დაწერილი „სმარტკონტრაქტების“ გამოყენება და მათი ინტეგრაცია, რაც ტექნოლოგიურად განვითარებული გარემოს პირობებში, ზრდის ენერგოსისტემის მოქნილობას, ამცირებს ტრანზაქციურ დანახარჯებს და უზრუნველყოფს ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის მაღალი დონის მიღწევას.

ჩატარებული კვლევების მიხედვით გამოჩნდა, რომ ყოველი მესამე ბლოკჩეინპროექტი იღებს გარე დაფინანსებას, უფრო კონკრეტულად – 234 პროექტიდან 78-მა მიიღო გარე დაფინანსება.

არსებული ინფორმაციის მიხედვით, ენერგეტიკულ ბლოკჩეინპროექტებში, ინვესტიციების მოცულობამ მსოფლიოში თითქმის 600 მლნ. დოლარი შეადგინა, აქედან 307,7 მლნ.- ინვესტორების სხვადასხვა ჯგუფებისგან, ხოლო 290 მლნ.–„მონეტის“ (კრიპტოვალუტის) პირდაპირი შეთავაზებით Initial Coin Offering (ICO), იქნა მოზიდული.

234 პროექტიდან 71 პროექტმა განახორციელა ICO. ინვესტორები ისეთ მიმართულებებს ირჩევენ, როგორებიცაა: სავაჭრო პლატფორმებისა და გადახდის გადაწყვეტილებების შექმნა, ეკოლოგიურ სერთიფიკატებთან მუშაობა, ნარჩენების ენერგიად გადამუშავება და ენერგოპროექტებში დაფინანსების მოზიდვა.

ინვესტიციების მოცულობის შეფასება ICO დროს თავისებურია: პირველ რიგში არ არსებობს ინფორმაცია შეგროვებული სახსრების შესახებ (სპეციალური სავალდებულო აუდიტის პროცედურა) და თვით პროექტი შეიძლება არაზუსტად აჩვენებდეს ინფორმაციას, მეორეს მხრივ, რადგან კრიპტოვალუტების კურსი არასტაბილურია, ამიტომ თუ ყველა პროექტმა ვერ მოასწრო შეგროვებული სახსრების ფულად ვალუტაში გადაყვანა, მაშინ შესაძლებელია ვერ მოხერხდეს ინვესტიციური პოტენციალის სრულად გამოყენება.

ელექტროენერგეტიკის დარგში ბლოკჩეინპროექტების ინვესტორებისა და მეწარმეების ფოკუსი და ინტერესი ერთმანეთისგან განსხვავებულია. საკმაოდ ბევრი პროექტი რჩება ინვესტიციების გარეშე, რადგან ის არ შედის ინვესტორების ინტერესის სფეროში. ინვესტორები თითქმის არ აფინანსებენ ისეთ პროექტებს, როგორიცაა: გადახდის გადაწყვეტილებები, მონაცემთა მენეჯმენტი, ელექტრომობილების დამუხტვის ინფრასტრუქტურა, ნარჩენების ენერგიად გადამუშავება, აგრეგატორები, კრიპტოვალუტების ეკოლოგიური მაინინგი და ენერგომენეჯმენტი.

ბლოკჩეინპროექტების რაოდენობის მიხედვით ლიდერობს აშშ და ევროპული ქვეყნები, კერძოდ გერმანია და დიდი ბრიტანეთი. ელექტროენერგეტიკის სფეროში ბლოკჩეინპროექტების ნახევარი დარეგისტრირებულია ხუთ ქვეყანაში: აშშ (50 პროექტი), გერმანია (22 პროექტი), დიდი ბრიტანეთი (15 პროექტი), ავსტრალია (13 პროექტი) და იაპონია (13 პროექტი). პროექტების 58,5% მიმართულია შემდეგნაირად: სავაჭრო პლატფორმების შექმნაზე (32,5%), ენერგოპროექტებში ინვესტირებაზე (14,5%) და ეკოლოგიურ სერტიფიკატებზე (11,5%).

ბლოკჩეინპროექტების ერთ–ერთი ტრენდია ბლოკჩეინკონსორციუმებისა და პარტნიორობების ფორმირება, მაგალითად, საბანკო სფეროში ერთ–ერთი უმსხვილესია ბლოკჩეინკონსორციუმი R3, რომელიც შეიქმნა 9 მსხვილი ფინანსური კომპანიის მიერ 2015 წელს. ზოგიერთი ენერგეტიკული კომპანია ასევე მონაწილეობს ტექნოლოგიური პარტნიორობის შექმნაში, მაგალითად: Energy Web Foundation და Energy Blockchain Consortium. ბიზნესის და სამეცნიერო სტრუქტურების თანამშრომლობა კონსორციუმების ფარგლებში ქმნის ნაყოფიერ გარემოს ბლოკჩეინის შესაძლებლობების შესწავლისა და სხვადასხვა პროცესში გამოყენებისთვის.

რაც შეეხება სტარტაპ–აქსელერატორებს და ბიზნესინკუბატორებს, მათთვის ყველაზე საინტერესოა სავაჭრო პლატფორმები, გადაწყვეტილებები „ბლოკჩეინი, როგორც პროგრამული უზრუნველყოფა“ და ენერგოპროექტების ინვესტირების ინფრასტრუქტურა. შესაძლებელია აგრეთვე, ინვესტორების დაინტერესება ელექტროენერგიით ვაჭრობაში, რაც დაკავშირებულია მათთვის გასაგებ, სხვა სფეროების მსგავს, ბიზნესმოდელებთან.

სახელმწიფო ინვესტორების ინტერესის ფოკუსში სავაჭრო პლატფორმებია, მათ შორის გადასახადის გადაწყვეტილებები და მასშტაბირებული ბლოკჩეინპლატფორმები („ბლოკჩეინი, როგორც პროგრამული უზრუნველყოფა“). აღსანიშნავია რომ სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებები განსხვავდება ყოველ

კონკრეტულ ქვეყანაში, მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნები ანვითარებს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს და „მწვანე“ ენერგეტიკას, ხოლო ავსტრალია აქცენტს აკეთებს ენერგიის განახლებად წყაროებზე და ელექტრომომარაგების საიმედოობაზე, აშშ–ში ბლოკჩეინპროექტების რაოდენობის ზრდა გამოწვეულია აქტიური სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც მიმართულია ციფრული პროექტების ინვესტირებაზე, მათ შორის, ბლოკჩეინპროექტებზე ენერგეტიკაში. აშშ–ში სახელმწიფო ინვესტიციებისთვის, უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამახასიათებელია ბლოკჩეინტექნოლოგიის გამოყენება უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფისთვის. ვენჩურულ ინვესტორებზე მოდის ელექტროენერგეტიკაში ბლოკჩეინპროექტებით დაინტერესებული პროფესიონალი ინვესტორების საერთო რაოდენობის 44% .

კვლევებით დადგინდა, რომ ელექტროენერგეტიკაში ბლოკჩეინპროექტების პიკი იყო 2017 წელს (პროექტების 40%), 2018 და 2019 წლებში პროექტების რაოდენობის კლება შეინიშნებოდა, რაც გამოწვეული იყო კრიპტოვალუტების პოპულარულობის შემცირებით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს განხორციელებული პროექტები ხასითდება მეტი კომპლექსურობითა და ინდუსტრიული სპეციფიკით.

მიუხედავად ელექტროენერგეტიკის ინდუსტრიაში ბლოკჩეინის უპირატესობისა, ამ ტექნოლოგიის საყოველთაო დანერგვისთვის, მთელი რიგი ბარიერები არსებობს. ერთ–ერთი მათგანია, მარეგულირებელი ბარიერები. ბევრ სახელმწიფოში ჯერაც არ არსებობს ბლოკჩეინტექნოლოგიის გამოყენების შედეგად შეცვლილი პროცესების დამარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა. მეორე მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ბლოკჩეინინდუსტრიის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება კრიპტოვალუტებთან დაკავშირებული პრობლემების გამო. გარდა ამისა, ბლოკჩეინპროექტების შემქმნელებმა უნდა გაითვალისწინონ სტეიკჰოლდერების (stakeholders) ინტერესები ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიის ფარგლებში, რადგან სხვადასხვა ტიპის ინვესტორები, ენერგეტიკული სექტორის შიგნით, სხვადასხვა მიმართულებაზე არის ორიენტირებული.

აუცილებელია ბლოკჩეინპროექტის თითოეული ტიპის შიგნით ბიზნესმოდელების, მათი ტექნოლოგიური არქიტექტურისა და შესაძლო შეზღუდვების შესწავლა. გარდა ამისა უნდა გაანალიზდეს ბლოკჩეინპროექტების ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მსხვილი მოთამაშეების ბიზნესპროცესებში ინტეგრაციის პრაქტიკა.

რეალობაში ბლოკჩეინის გამოყენება შეუძლებელია თუ არ იქნება საკმარისი დონის თანამშრომლობა ენერგიის პროვაიდერებს, სისტემის ოპერატორებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. სახელმწიფოს აკისრია გადამწყვეტი როლი ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და ციფრული ტექნოლოგიების მხარდაჭერაში, ნორმატიული და მარეგულირებელი ბაზების თავისდროულ შეცვლაში, დარგობრივი ექსპერტების მოზიდვაში, ტექნოლოგიებისა და ექსპერიმენტების დანერგვისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში.

ენერგეტიკული კომპანიები და კორპორაციები პირდაპირ გავლენას ახდენს დარგში კომუნიკაციაზე, დარგობრივი პარტნიორობისა და კოოპერაციის ფორმირებაზე. დარგობრივი ტექნოლოგიური პარტნიორობები დაკავებულია ინდუსტრიის სტანდარტების ფორმირებით, დარგის პრობლემური საკითხების მკაფიო პოზიციონირებითა და შესაფერისი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ძიებით.

ბლოკჩეინის ინტეგრატორები და პროვაიდერები, ასევე ინდუსტრიული სტანდარტების აქტიური დეველოპერებიც არიან. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიის პოპულარიზაციისთვის და მუშაობენ ბლოკჩეინისა და კრიპტოვალუტების მიმართ მიკერძოებისა და არასწორი წარმოდგენის წინააღმდეგ.

დასკვნა

ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტ-დოქტორანტთა მონაწილეობით, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებულ „საინჟინრო ამოცანებისა და ბიზნესპროცესების შემსწავლელი“ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე, გააანალიზა ელექტროენერგეტიკაში არსებული ბლოკჩეინპროექტებთან დაკავშირებული ინვესტორების დაინტერესების სფეროები და სექტორში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობები.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბლოკჩეინპროექტების წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია ენერგეტიკის ბაზრის, სახელმწიფოსა და გადაწყვეტილებების მიმღებ პროვაიდერებს შორის ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბებაზე, აგრეთვე მსოფლიო გამოცდილებისა და რეგიონალური თავისებურებების შესწავლასა და პროექტებში ასახვაზე.

ბლოკჩეინტექნოლოგიებზე დაფუძნებულ პროექტებს გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რაც ამ ტექნოლოგიას მიმზიდველად ხდის, ისეთი კონსერვატიული დარგისთვისაც კი, როგორიც ელექტროენერგეტიკაა.

ელექტროენერგეტიკის სექტორში ტექნოლოგიური პარტნიორობის აშკარა ლიდერებისა და დრაივერების არარსებობა, ისევე როგორც საშინაო ინდუსტრიის პრობლემების სპეციფიკა, არ იძლევა საშუალებას, რომ ყველაფერი მოგვარდეს მხოლოდ მსოფლიო გამოცდილების ადაპტირების ფორმატით. სავარაუდოდ, რეგიონში ფლაგმანური გადაწყვეტილებების შემუშავებას დასჭირდება ტექნოლოგიური პარტნიორობის შექმნა მრავალი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომელთაც ექნებათ ძალიან დიდი შანსი, რომ გახდნენ საქართველოში ლიდერები არა მხოლოდ ენერგეტიკულ გადაწყვეტილებებში, რომლებიც დაფუძნებულია ბლოკჩეინზე, არამედ ზოგადად ენერგეტიკის დიგიტალიზაციაში.

მიუხედევად იმისა, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა არაერთ ქვეყანაში, ბლოკჩეინტექნოლოგიების გამოყენების მიმართ ბევრი სკეპტიკური მოსაზრება არსებობს, მაინც ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ძალზედ მნიშნელოვანი და მომგებიანი იქნება ამ ტექნოლოგიების დანერგვა, მით უმეტეს, რომ საქართველოს გააჩნია საკმაო ტექნიკური და სამეცნირო პოტენციალი თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად, რაც ხელსშეუწყობს ისეთი თანამედროვე მეთოდოლოგიების განვითარებას როგორიცაა დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზების დიგიტალიზაცია და ციფრული ეკონომიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. O'Donovan, P.; O'Sullivan, D.T.J. A Systematic Analysis of Real-World Energy Blockchain Initiatives. *Future Internet* N11, 2019
2. Merlinda Andoni, et al. "Blockchain technology in the energy sector: A systematic review of challenges and opportunities", Renewable and Sustainable Energy Reviews N100, 2019.
3. ICORating Agency. URL: https://icorating.com

ალგებრული მონაცემთა ტიპების გამოყენება მოდელის დიზაინისთვის

Giorgi Darchiashvili
Georgian Technical University, PhD Student, Georgia
Taliko Zhvania
Guram Tavartkiladze Teaching University, Georgia

მოდელირებისთვის, დაპროგრამირების ენებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება პრიმიტიული მონაცემთა ტიპები. როგორებიცაა int, float, string, bool, და ა.შ... თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია, თუმცა როცა კოდის მოდელირების სფეროსთან შესაბამისობაზე დიდი საჭიროებაა (მაგ. Domain Driven Design), აუცილებელი ხდება სპეციალურად გამოცხადებული ტიპების გამოყენება, რადგან პრიმიტიული ტიპები, ხშირ შემთხვევაში, ზუსტად არ განასახიერებენ მოდელირების საგანს. ფუნქციონალური ენები, მათ შორის F#, გვთავაზობენ ალგებრულ მონაცემთა ტიპებს. განსხვავებით ობიექტზე ორიენტირებული ტიპიზაციის სიტემისა, სადაც ცენტრალური ორიენტირი კლასია, ფუნქციონალურ პარადიგმაში მონაცემთა ტიპი კლასი არ არის. ის არის ერთგვარი სიმრავლე, რომელიც მოიცავს შესაძლო განსაზღვრულ მნიშვნელობებს (მაგ: int შეიძლება შეიცავდეს რიცხვებს 1, 2, 3...). ალგებრულობა კი გამოიხატება იმაში, ფუნქციების კომპოზიციის მსგავსად, შესაძლებელია ამ ტიპების კომპოზიცია და შესაბამისად, ახალი ტიპების მიღება. ანუ შედარებით მარტივი ტიპებისგან შედარებით რთული ტიპების მიღება. F#-ს გააჩნია შემდეგნაირი ალგებრული ტიპები - Tuple, Record და Discriminated Union. ეს ტიპები შეიცავენ მხოლოდ მონაცემებს, ქცევის, ანუ მეთოდების, გარეშე. ამ უკანასკნელისთვის კი გამოიყენება ფუნქციები, რომლებიც ფუნქციონალურ ენებში განიხილება იგივენირად, როგორც სხვა მონაცემები (ანუ შესაძლებელია მათი ცვლადისთვის მინიჭება, პარამეტრად გადაცემა, დაბრუნება, სიაში ჩაყრა და ა.შ.). ამასთან, მათაც გააჩნიათ თავიანთი ტიპი, ანუ მიეკუთვნებიან სიმრავლეებს. მონაცემების და ფუნქციების ეს გამიჯვნა, ერთი შეხედვით თითქოს უკან გადადგმული ნაბიჯია ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებასთან შედარებით , სადაც ისინი გაერთიანებულია. თუმცა, რეალურად, ეს ასე არ არის. სწორედ ეს გამიჯვნა უნარჩუნებს ცალ-ცალკე მონაცემებსა და ფუნქციებს საჭირო სიმარტივეს კომპოზირებადობისთვის. ნაშრომში მოყვანილია ალგებრული მონაცემთა ტიპიზაციის მიმოხილვა, როგორც ობიექტზე ორიენტირებული ტიპიზაციის ალტერნატივა და მისი გამოყენება მოდელის დიზაინისთვის F# ენაში. აღწერილია ტიპების კომპოზიცია კომბინირებით და გაერთიანებით. ასევე მოცემულია რამდენიმე ხერხი, რითიც შეუძლებელს ვხდით არასწორი მდგომარეობების წარმოდგენას.

საკვანძო სიტყვები: მოდელირება, ალგებრული ტიპები, ფუნქციონალური დიზაინი

Using Algebraic Data Types For Model Design

For modeling, primitive data types are commonly used in programming languages. Each of them is important, however, when there is a great need for relevance to the field of code modeling, it becomes necessary to use specially declared types, because primitive types, in many cases, do not accurately represent the subject of modeling. The work contains a review of the algebraic data types as an alternative to the object-oriented type system and it's use in domain modeling for the F# language. Combined and union types as ways of type composition are reviewed. A few ways to make invalid states unrepresentable are given.

Keywords: Modeling, algebraic types, functional design

შესავალი

მოდელირებისთვის, დაპროგრამირების ენებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება პრიმიტიული მონაცემთა ტიპები, როგორებიცაა int, float, string, bool, და ა.შ... თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია, თუმცა როცა კოდის მოდელირების სფეროსთან შესაბამისობაზე დიდი საჭიროებაა (მაგ. Domain Driven Design), აუცილებელი ხდება სპეციალურად გამოცხადებული ტიპების გამოყენება, რადგან პრიმიტიული ტიპები,

ხშირ შემთხვევაში, ზუსტად არ განასახიერებენ მოდელირების საგანს. მაგ.: ელ-ფოსტისთვის ხშირად გამოიყენება string ტიპი, თუმცა, შესაძლებელია, string ტიპში სულაც არ იყოს ელ-ფოსტის მისამართი სწორი ფორმატით, ან სულაც იყოს null. მსგავსი პრობლემების თავიდან აცილებით გაიზრდება პროდუქტიულობა და შემცირდება ბაგების რაოდენობა.

ფუნქციონალური ენები, მათ შორის F#, გვთავაზობენ ალგებრულ მონაცემთა ტიპებს. განსხვავებით ობიექტზე ორიენტირებული ტიპიზაციის სიტემისა, სადაც ცენტრალური ორიენტირი კლასია, ფუნქციონალურ პარადიგმაში მონაცემთა ტიპი კლასი არ არის. ის არის ერთგვარი სიმრავლე, რომელიც მოიცავს შესაძლო განსაზღვრულ მნიშვნელობებს (მაგ: int შეიძლება შეიცავდეს რიცხვებს 1, 2, 3...). ალგებრულობა კი გამოიხატება იმაში, ფუნქციების კომპოზიციის მსგავსად, შესაძლებელია ამ ტიპების კომპოზიცია და შესაბამისად, ახალი ტიპების მიღება. ანუ შედარებით მარტივი ტიპებისგან შედარებით რთული ტიპების მიღება.

F#-ს გააჩნია შემდეგნაირი ალგებრული ტიპები - Tuple, Record და Discriminated Union. ეს ტიპები შეიცავენ მხოლოდ მონაცემებს, ქცევის, ანუ მეთოდების, გარეშე. ამ უკანასკნელისთვის კი გამოიყენება ფუნქციები, რომლებიც ფუნქციონალურ ენებში განიხილება იგივენირად, როგორც სხვა მონაცემები (ანუ შესაძლებელია მათი ცვლადისთვის მინიჭება, პარამეტრად გადაცემა, დაბრუნება, სიაში ჩაყრა და ა.შ.). ამასთან, მათაც გააჩნიათ თავიანთი ტიპი, ანუ მიეკუთვნებიან სიმრავლეებს. მონაცემების და ფუნქციების ეს გამიჯვნა, ერთი შეხედვით თითქოს უკან გადადგმული ნაბიჯია ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებასთან შედარებით , სადაც ისინი გაერთიანებულია. თუმცა, რეალურად, ეს ასე არ არის. სწორედ ეს გამიჯვნა უნარჩუნებს ცალ-ცალკე მონაცემებსა და ფუნქციებს საჭირო სიმარტივეს კომპოზირებადობისთვის.

ალგებრული ტიპი - კომბინაციები („და“, ნამრავლის ტიპი)

ალგებრული ტიპების კომპოზიციის ერთერთი მეთოდია მათი კომბინირება, იგივე გადამრავლება, რასაც ასევე ეძახიან „და“ ტიპებს. ამ ოპერაციის შედეგად მიიღება ტიპი, რომელიც შეიცავს ელემენტებს მისი ორი ან მეტი თანამამრავლი ტიპებით. მაგალითად გვაქვს ტიპები: „სახელი“, „გვარი“, „მამის სახელი“ და გვინდა მივიღოთ ტიპი „სრული სახელი“, რომელიც ერთდროულად შეიცავს ზემოთ აღნიშნული ტიპების შესაბამის სამ ელემენტს. ამისათვის ვიყენებთ გადამრავლებას, ანუ „სრული სახელი“ = „სახელი“ * „გვარი“ * მამის სახელი. ეს ნიშნავს, რომ „სრული სახელის“ ტიპში შედის: „სახელი“ **და** „გვარი“ **და** „მამის სახელი“. მიღებულ ტიპში ეს ელემენტები ერთმანეთის მიმართ ორთოგონალურნი იქნებიან და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიიღებენ მნიშვნელობებს.

F#-ში კომბინირებულ ტიპს Record -ი ეწოდება. მის ყოველ ელემენტს ტიპთან ერთად გააჩნია სახელიც და კოდში ასე ჩაიწერება:

```
type FullName =
   { firstName: FirstName;
     middleName: MiddleName;
     lastName: LastName }
and FirstName = ...
and LastName = ...
and MiddleName = ...
```

ის, თუ რატომ არის ეს ოპერაცია ნამრავლი, აიხსნება იმით, რომ საშედეგო ტიპის სიმრავლეში არსებული ელემენტების რაოდენობა არის ნამრავლი მისი შემადგენელი ტიპების სიმრავლეებში არსებული ელემენტების რაოდენობებისა. მაგალითად: თუ სულ არსებობს 4 „სახელი“, 5 „გვარი“ და 2 „მამის სახელი“, მაშინ მიღებულ „სრული სახელების“ ტიპის სიმრავლეში ელემენტების რაოდენობა იქნება 4 * 5 * 2, ანუ 40.

ალგებრული ტიპი - გაერთიანებები („ან“, ჯამური ტიპი)

არსებობს კომპოზიციის მეორე ტიპი - სიმრავლეების გაერთიანება, ანუ „ან“ ოპერაციით შეერთება. ამ შემთხვევაში შედეგად მიიღება ახალი ტიპი, რომელიც შეიცავს ელემენტებს ყველა მისი შესაკრები ტიპების სიმრავლეებიდან. რაც ნიშნავს იმას, რომ შედეგად მიღებული ტიპის შესაძლო მნიშვნელობა შესაძლებელია იყოს: **ან** პირველი შესაკრები ტიპიდან, **ან** მეორე შესაკრები ტიპიდან, **ან** მე-n შესაკრები ტიპიდან და ა.შ.. ასეთი ოპერაციის მაგალითია კვირის დღეები. კვირის დღე არის ტიპი, რომელიც შეგვიძლია მივიღოთ 7 სხვადასხვა ტიპის შეკრებით: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი და კვირა. ეს ჩამოთვლილი ტიპები არიან სიმრავლეები მხოლოდ თითო ელემენტებით, ანუ მათ ერთეულოვანი ტიპები ეწოდებათ. შედეგად მიღებული ტიპის - კვირის დღის - ელემენტების რაოდენობა კი მათი რაოდენობების ჯამია, რადგანაც ყველას თითო ელემენტი გააჩნია, ამიტომ ჯამი იქნება 7. რა თქმა უნდა გაერთიანებისას შესაძლებელია ისეთი ტიპების გამოყენებაც, რომლებსაც გააჩნიათ ერთზე მეტი შესაძლო მნიშვნელობა. მაგალითად ტიპი „გადახდის მეთოდი“ შეიძლება მივიღოთ ტიპებისგან „ნაღდი ანგარიშწორება“ (რომელიც ერთეულოვანია), „საბანკო ჩეკი“ (რომელიც წარმოდგენილია ჩეკის ნომრით) და „საბანკო ბარათი“ (რომელსაც გააჩნია საბარათე მონაცემები და რომელიც, თავის მხრივ, კომბინირებული ტიპია).

F#-ში გაერთიანებულ ტიპს Discriminated Union ეწოდება. მის ყოველ ელემენტს გააჩნია სახელიც (ანუ დისკრიმინატორი, Case) და კოდში ასე ჩაიწერება:

```
type PaymentMethod =
| Cash
| Check of CheckNumber
| Card of CardInfo
and CheckNumber = ...
and CardInfo = ...
```

არასწორი მდგომარეობების წარმოდგენის გამორიცხვა

არასწორი მდგომარეობების წარმოდგენის გამოსარიცხად F#-ში არსებობს შემდეგი ხერხები:

- იმის ნაცვლად, რომ ლოგიკურად სხვადასხვა სიდიდეებისთვის პირდაპირ გამოვიყენოთ ერთი და იგივე ტიპი (მაგალითად: double ტიპი, სიმაღლისთვისაც და წონისთვისაც), მათთვის ვქმნით ერთ გარს ტიპს, რაც F#-ის ტიპიზაციის სისტემისთვის ერთხაზიანი კოდია. ტიპი გარსი წარმოადგენს გაერთიანების ტიპს, მხოლოდ ერთი შესაკრებით (Single-case union). ასეთი მიდგომის გამოყენებით ავიცილებთ ერთი სიდიდის შემთხვევით მეორეზე მინიჭებით გამოწვეულ შეცდომებს.

- ავკრძალოთ გამოცხადებულ ტიპების ობიექტების პირდაპირი შექმნა, ანუ გავუკეთოთ პრივატული კონსტრუქტორები, ხოლო მათ შესაქმნელად კი გამოვაცხადოთ ფუნქციები, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შექმნიან ობიექტს, თუ მონაცემები აკმაყოფილებენ ბიზნეს ლოგიკის მოთხოვნებს (ჭკვიანი კონსრუქტორი, Smart constructor). ამ ფუნქციის დასაბრუნებელი ტიპი იქნება გაერთიანება ორი ტიპისა: ან ის ტიპი რის შექმნასაც ვცდილობთ, თუ შექმნა წარმატებით განხორციელდა, ან შეცდომა, თუ მიწოდებული მონაცემები შეუსაბამოა. ამ შემთხვევაში არ იარსებებს ობიექტი ბიზნეს ლოგიკიდან აცდენილი მონაცემებით და პროგრამისტს უწევს მიღებული შედეგის ყველა ვარიანტის ცხადად დამუშავება, რაც მას საშუალებას აძლევს, კომპილაციის ეტაპზევე, გაუთვალისწინებელი შემთხვევებით გამოწვეული შეცდომები თავიდან აიცილოს.

დასკვნა

ამრიგად, F#-ში არსებული ტიპიზაციის სისტემის მოქნილობა საშუალებას იძლევა, ბიზნეს ლოგიკის დიდი ნაწილი გამოვხატოთ ტიპიზაციის სისტემაშივე და ამით შეუძლებელი გავხადოთ შეუსაბამო ობიექტების არსებობა, რითიც ლოგიკურ ხარვეზებს აღმოვაჩენთ არა შესრულების, არამედ კომპილაციის ეტაპზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Domain Modeling Made Functional: Tackle Software Complexity with Domain-Driven Design and F#, ISBN-13: 978-1680502541, ISBN-10: 9781680502541, 2018
2. Domain Driven Design - https://fsharpforfunandprofit.com/ddd/
3. The "Designing with types" series - https://fsharpforfunandprofit.com/series/designing-with-types.html

პროექტების კომპიუტერული მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია "ეჯაილი" და ტექნოლოგია „სქრამი“

Teimuraz Tutberidze
Doctoral Student Georgian Technical University, Georgia

სტატიაში განხილულია სხვადასხვა სახის და დანიშნულების პროექტების მართვის პროცესში კომპიუტერული მართვის თანამედროვე პროგრამული საშუალებების გამოყენების საკითხები. ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტ-დოქტორანტთა უშუალო მონაწილეობით, გაანალიზა პროექტების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია „ეჯაილი“ და მის საფუძველზე აგებული ტექნოლოგია „სქრამი“. ტექნოლოგია „სქრამის“ თანახმად, არ არის აუცილებელი გუნდისთვის, პროექტის მართვის ადრეულ ეტაპზევე, სრული და დეტალური ინფორმაციის მიწოდება, არამედ გადაწყვეტილება მთელმა გუნდმა შესაძლებელია მიიღოს მუშაობის პროცესში და მის ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს ნებისმიერი დავალების შესრულება. პროექტების მართვის ტექნოლოგია „სქრამის“ მთავარი იდეაა სისტემის მოქნილობის გაზრდა, რომ შესაძლებელი იყოს სისტემის განვითარების პროცესების ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება. „სქრამის“ პროცესში იდენტიფიცირებულია მონაწილეთა შემდეგი როლები: „სქრამ“ ოსტატი, პროდუქტის მფლობელი, „სქრამ“ გუნდი, კლიენტი და მენეჯმენტი, რომლებსაც ე.წ. „სპრინტის“ სხვადასხვა ეტაპზე აქვთ სხვადასხვა დავალება და ფუნქცია. „სპრინტი“ წარმოადგენს იტერაციულ ციკლს, რომლის დროსაც იქმნება პროდუქტის ახალი ნაწილი. სისტემური უზრუნველყოფის შექმნის ყოველი ციკლი, მოიცავს ყველა ტრადიციულ ფაზას, როგორებიცაა: მოთხოვნა, ანალიზი, დაგეგმარება, შეფასება და ჩაბარება. ყოველი სპრინტი გრძელდება ერთი კვირიდან ერთ თვემდე, საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად შესაძლოა საჭირო გახდეს რამოდენიმე „სქრამ“ გუნდის მუშაობა და 3-დან 8-მდე სპრინტის შესრულება. „სქრამის“ გამოყენება შესაძლებელია როგორც ახალ, ასევე მიმდინარე პროექტში. „სქრამის“ ახალ პროექტში დანერგვის შემთხვევაში, სპეციალისტები გვთავაზობენ გუნდთან და კლიენტთან მუშაობას რამდენიმე დღის განმავლობაში. ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ „სქრამი“ არ არის მიზანშეწონილი დიდი გუნდებისთვის, ზოგიერთის აზრით კი, „სქრამი“ ხელსაყრელია არაუმეტეს 10 კაციანი გუნდებისთვის და თუ მეტი რესურსია ხელმისაწვდომი, უმჯობესია ჩამოყალიბდეს რამოდენიმე დამოუკიდებელი გუნდი. ცნობილია, რომ 2019 წელს სქრამ ტექნოლოგიას იყენებდა მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე კომპანიების 54%, ხოლო 2020 წელს კი - 58%. ექსპერტთა აზრით, პროექტების მართვის პროცესებში ტექნოლოგია „სქრამის“ გამოყენების ზრდის ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ პროექტების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია „ეჯაილი“ და მის პრინციპებზე აგებული ტექნოლოგია „სქრამი“, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ამ ეტაპზე არსებულ მართვის კომპიუტერულ ტექნოლოგიებში ყველაზე მარტივი და მოქნილი ტექნოლოგიაა და მისი გამოყენება შესაძლებელია არა მარტო პროგრამული უზრუნველყოფის, არამედ ფინანსური, კვლევითი და სხვა ფართო სპექტრის პროექტების სამართავად.

საკვანძო სიტყვები: მეთოდოლოგია „ეჯაილი“, ტექნოლოგია „სქრამი“, „სპრინტ“ შეხვედრები.

Agile Methodology and Scrum Framework in Software Development Management

This paper discusses the use of modern computer management software in the process of managing projects of various types and purposes. Our working group, with the direct participation of GTU professors and PhD students, analyzed the modern project management methodology Agile and the technology based on it Scrum. According to Scrum, it is not necessary for the team to provide complete and detailed information at an early stage of project management, but the decision can be made by the whole team during the work process and each of its members can perform any task at any time. The main idea of Scrum is to increase the flexibility of the system so that it can respond quickly to changes in system development processes. The following roles of the participants have been identified in the Scrum process: Scrum Master, Product Owner, Scrum Team, Client and Management. They have different tasks and functions at different stages of Sprint. Sprint is an iterative cycle during which a new part of the product is created. Each system creation cycle includes all

traditional phases such as: requirements, analysis, planning, evaluation and delivery. Each sprint lasts from one week to one month, and the final product may require the work of several Scrum teams and 3 to 8 Sprints. Scrum can be used in both new and current projects. In case of introduction of Scrum in the new project, the specialists offer to work with the team and the client for several days. Some experts argue that Scrum is not suitable for large teams, while some believe that it is suitable for teams of no more than 10 people. If more resources are available, it is better to form several independent teams. It is known that in 2019, 54% of companies with modern management technologies used Scrum technology, and in 2020 - 58%. According to experts, the trend of increasing use of Scrum in project management processes will continue in the future. Our research has shown that the modern project management methodology Agile and the technology built on its principles Scrum, is the simplest and most flexible technology in computer management and can be used not only in software development but also financial and other fields.


Keywords: Agile, Scrum, Sprint

მსოფლიოს, დღესდღეობით, მართავს პროგრამული უზრუნველყოფა, ხოლო მისი შემუშავება და მენეჯმენტი IT კომპანიების მთავარი გამოწვევაა. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და მართვა კომპლექსური პროცესია და მოითხოვს მუდმივ განახლებას. ამჟამად, ექსპერტთა აზრით, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, პროექტების მართვის ყველაზე მოქნილ მეთოდოლოგიას წარმოადგენს „ეჯაილი“, რომელიც შესაძლებელია მორგებული იყოს თითქმის ყველა სახის პროექტზე. არსებობს „ეჯაილის“ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული პროექტების მართვის სხვადასხვა ტექნოლოგია, რომელთა უმრავლესობის ათვისება და დანერგვა საკმაოდ დიდ ძალისხმევასა და დანახარჯს მოითხოვს. ექსპერტთა აზრით, მათ შორის ყველაზე მარტივი და მოქნილი ტექნოლოგიაა „სქრამი“.

ტექნოლოგია „სქრამის“ თანახმად, არ არის აუცილებელი გუნდისთვის, ადრეულ ეტაპზევე სრული და დეტალური ინფორმაციის მიწოდება, არამედ გადაწყვეტილება მთელმა გუნდმა შესაძლებელია მიიღოს მუშაობის პროცესში, როდესაც ცნობილი გახდება წარმოქმნილი პრობლემები და აუცილებელია მათი, ოპერატიულ რეჟიმში, აღმოფხვრა. „სქრამი“ დაფუძნებულია თვითორგანიზებად, მრავალფუნქციონალურ გუნდზე, რომელსაც არ ჰყავს გამანაწილებელი ლიდერი. ამ საკითხებს მთელი გუნდი ერთად აგვარებს და მის ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერი დავალების შესრულება ნებისმიერ დროს.

პირველი ცნობები ლიტერატურაში ტერმინი „სქრამ“ (Scrum)-ის შესახებ მითითებულია ტეხუჩისა და ნონაკას სტატიაში (1986წ.), რომელშიც ნაჩვენებია იაპონიიდან წარმოშობილი ადაპტური, სწრაფი, თვითორგანიზებული პროდუქტის განვითარების პროცესი [2].

პროექტების მართვის სისტემების განვითარება მოიცავს რამდენიმე გარემოებრივ და ტექნიკურ ცვლადს (მაგ. მოთხოვნებს, ვადებს, რესურსებს და ტექნოლოგიას), რომლებიც შეიძლება შეიცვალოს პროცესის მიმდინარეობის განმავლობაში. ეს იწვევს პროცესის გართულებასა და განვითარების არაპროგნოზირებადობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება. სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრაზეა ორიენტირებული ტექნოლოგია „სქრამი“, რომლის მთავარი იდეაა სისტემის მოქნილობის გაზრდა, რომ შესაძლებელი გახდეს მართვის სისტემების განვითარების პროცესების ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება[2].



ნახ 1. Scrum (სქრამი)-ის სამი ძირითადი ფაზა

„სქრამის“ პროცესი მოიცავს სამ ფაზას: საწყის ფაზას, განვითარების ფაზას და დასკვნით ფაზას (ნახ.1).


1. საწყისი ფაზა მოიცავს ორ ქვეფაზას: სამუშაოს დაგეგმვასა და სისტემის არქიტექტურის შემუშავებას, სადაც:
   - დაგეგმვა - მოიცავს შესაქმნელი სისტემის განმარტებასა და აღწერას - იქმნება პროდუქტის შესრულებისთვის საჭირო დავალებების სია (Product Backlog), რომელიც შეიცავს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ამჟამადაა ცნობილი. მოთხოვნები შეიძლება წარმოიშვას: უშუალოდ მომხმარებლიდან, გაყიდვებისა და მარკეტინგის განყოფილებიდან, მომხმარებლებიდან ან პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელებისგან. მოთხოვნილებები პრიორიტეტულია და შეფასებულია მათი განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. პროდუქტის „ბექლოგ“ ჩამონათვალი მუდმივად განახლებადია ახალი და უფრო დეტალური დავალებებით, ასევე უფრო ზუსტი შეფასებებითა და ახალი პრიორიტეტული შეკვეთებით. დაგეგმვა ასევე მოიცავს პროექტის გუნდის, ინსტრუმენტებისა და სხვა რესურსების ჩამოყალიბებას, რისკების შეფასებასა და მენეჯმენტის დამტკიცებას. ყველა იტერაციის წინ „სქრამ“ გუნდი (გუნდები) განიხილავს განახლებული პროდუქტის „ბექლოგს“, რათა ჩამოაყალიბოს შემდეგი იტერაციის დროს შესასრულებელი სამუშაო.
   - სისტემის არქიტექტურის შემუშავება - ამ ეტაპზე, მიმდინარე პროდუქტის „ბექლოგის“ მიხედვით, ისახება პროდუქტის არქიტექტურა. არსებული სისტემის გაფართოვების შემთხვევაში გუნდი აანალიზებს იმ ცვლილებებს, რომლებიც აუცილებელია „ბექლოგის“ დავალებების შესასრულებლად. ასევე, განიხილება პრობლემები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს სისტემაში ცვლილებების შეტანამ.
2. დეველოპმენტის ფაზა, „სქრამის“ მოქნილი ნაწილი. ეს ფაზა განიხილება როგორც „შავი ყუთი“, სადაც შესაძლებელია განთავსდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევები - სხვადასხვა გარემოებრივი და ტექნიკური ცვლადები, რომლებიც დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს. „სქრამის“ მეთოდების გამოყენებისას გაუთვალისწინებელი შემთხვევები განიხილება და კონტროლდება „სპრინტების“ სხვადასხვა ეტაპზე და ცვლილებებზე მორგების უზრუნველყოფის მიზნით, პროექტის დასაწყისშივე ყველა პრობლემის გათვალისწინების ნაცვლად, სისტემის მართვის მოქნილობის კონტროლი წარმოებს მუდმივ რეჟიმში. განვითარების ფაზაში სისტემა იქმნება „სპრინტების“ განმავლობაში (ნახ.1). სპრინტი წარმოადგენს იტერაციულ ციკლს, რომლის დროსაც იქმნება პროდუქტის ახალი ნაწილი, ყოველი ციკლი, სისტემური უზრუნველყოფის შექმნისთვის, მოიცავს ყველა ტრადიციულ ფაზას, როგორებიცაა: მოთხოვნა, ანალიზი, დაგეგმარება, შეფასება და ჩაბარება. ყოველი სპრინტი გრძელდება ერთი კვირიდან ერთ თვემდე, შესაძლოა საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად საჭირო გახდეს რამოდენიმე სპრინტგუნდის მონაწილეობით 3-დან 8-მდე სპრინტის შესრულება.
3. პოსტფაზა შეიცავს პროექტის დანერგვისთვის საჭირო მოსამზადებელ სამუშაოებს და მოქმედებას იწყებს, როდესაც ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდება და ახლების წარმოშობაც გამოირიცხება. ამ

შემთხვევაში პროექტი მზადაა დანერგვისთვის და საჭირო ხდება დანერგვისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, როგორებიცაა: ინტეგრაცია, სისტემის ტესტირება და დოკუმენტაციის მომზადება (ნახ. 1).

„სქრამში“ არის შემდეგი იდენტიფიცირებადი როლები: „სქრამ“ ოსტატი (Scrum Master), პროდუქტის მფლობელი (Product Owner), „სქრამ“ გუნდი (Scrum Team), კლიენტი (Customer) და მენეჯმენტი (Management), რომლებსაც პროცესის განმავლობაში აქვს სხვადასხვა დავალება და მიზანი [2].

1. *„სქრამ“ ოსტატი* - არის ახალი როლი, რომელიც „სქრამ“-მა დაამკვიდრა. მისი მოვალეობაა, რომ პროექტი შესრულდეს „სქრამის“ პრინციპების, ფასეულობებისა და წესების სრული დაცვით და დეველოპმენტი მიმდინარეობდეს გეგმის თანახმად. მას, პროექტის შემუშავების მთელი დროის განმავლობაში, უშუალო ურთიერთობა აქვს როგორც “სქრამ” გუნდთან, ასევე დამკვეთთან და მენეჯმენტთან. სქრამოსტატი ვალდებულია მოაგვაროს ყველა წინააღმდეგობა, რომელიც ხელს შეუშლის გუნდს დავალების შესრულებაში.
2. *პროდუქტის მფლობელი* - ოფიციალურად პასუხისმგებელია პროექტზე, მის მართვაზე და პროდუქტის „ბექლოგის“ შედგენაზე. მას ირჩევს „სქრამ“ ოსტატი, დამკვეთი და მენეჯმენტი. ის იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას „ბექლოგში“ არსებული დავალებების შესახებ და მონაწილეობს დავალებების შესრულების დროის და რესურსების ანალიზში.
3. *„სქრამ“ გუნდი* - პასუხისმგებელია უშუალოდ დავალებების შესრულებაზე. ის არის თვითორგანიზებადი და შეუძლია მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები „სპრინტის“ მიზნების მისაღწევად. „სქრამ“ გუნდი ასევე იღებს მონაწილეობას რესურსების შეფასებაში, სპრინტის „ბექლოგის“ შედგენასა და პროდუქტის „ბექლოგის“ ანალიზში.
4. *კლიენტი* - მონაწილეობას იღებს პროდუქტის „ბექლოგში“ შესატანი დავალებების ჩამოყალიბებაში.
5. *მენეჯმენტი* - იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და აწესებს სტანდარტებს და კონვენციებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს პროექტის შესრულების დროს. მენეჯმენტი იღებს მონაწილეობას მიზნების და მოთხოვნების ჩამოყალიბებაში. მაგალითად, მენეჯმენტი იღებს მონაწილეობას პროდუქტის მფლობელის არჩევაში, პროგრესის შეფასებასა და „სქრამ“ ოსტატთან ერთად პროდუქტის „ბექლოგის“ დახვეწაში.

„სქრამი“ არ მოითხოვს სპეციფიური პროგრამული დეველოპმენტის მეთოდების გამოყენებას. ის სხვადასხვა ეტაპზე არაპროგნოზირებადი და კომპლექსური სისტემის გამო გამოწვეული ქაოსის თავიდან ასარიდებლად საჭიროებს, მხოლოდ მენეჯმენტის სფეროში გარკვეული გამოცდილებისა და ხელსაწყოების არსებობას [4].



ნახ 2. სქრამის მუშაობის პრონციპი

ქვემოთ მოყვანილია „სქრამ“ ტექნოლოგიის რამოდენიმე ელემენტი:

1. *Product Backlog* - მოიცავს ყველა დავალებას, რომელიც აუცილებელია საბოლოო პროდუქტის მისაღებად. შესაბამისად, ის აღწერს შესასრულებელ სამუშაოს პროექტის დასასრულებლად და მოიცავს პრიორიტეტიზებულ და მუდმივად ცვლად ბიზნესის და ტექნიკური მოთხოვნების სიას. „ბექლოგის" დავალება შესაძლოა იყოს: არსებული პრობლემის გამოსწორება, პროგრამის დეფექტი, დამატებითი ფუნქციონალი და ტექნოლოგიური განახლებები. მის ჩამოყალიბებაში შესაძლებელია მონაწილეობდეს: კლიენტი, გუნდი, მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტი, მენეჯმენტი, მომხმარებლებთან ურთიერთობის დეპარტამენტი და სხვა. აღნიშნული პრაქტიკა მოიცავს პროდუქტის „ბექლოგის" შექმნასა და მის მუდმივ კონტროლს, კერძოდ, დავალებების დამატებას, ამოშლას, განახლებასა და პრიორიტეტიზაციას. მასზე პასუხისმგებელი არის პროდუქტის მფლობელი.
2. *დროის და რესურსების შეფასება* - იტერაციული პროცესია, რომელიც სრულდება ისეთ დავალებაზე, რომელზეც მაქსიმალური ინფორმაცია უკვე ხელმისაწვდომია. პროდუქტის მფლობელი და „სქრამ" გუნდი პასუხისმგებელია დროისა და რესურსების შეფასებაზე.
3. *სპრინტი* - არის ცვალებადი გარემოებებისადმი (მოთხოვნები, დრო, რესურსები, ცოდნა, ტექნოლოგიები და ა.შ.) ადაპტაციის პროცედურა. „სქრამ" გუნდის მთავარი ხელსაწყოა სპრინტის დაგეგმვის შეხვედრები, სპრინტის „ბექლოგი" და ყოველდღიური „სქრამ" შეხვედრები. (ნახ. 2)
4. *სპრინტის დაგეგმვის შეხვედრა* შედგება ორი ეტაპისგან, რომლებსაც ორგანიზებას უწევს „სქრამ" ოსტატი, კლიენტი, მენეჯერი და პროდუქტის მფლობელი. შეხვედრის პირველ ეტაპზე მონაწილეობს „სქრამ" გუნდი. მეორე ეტაპის, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ „სქრამ" ოსტატი და „სქრამ" გუნდი, მიზანია „სპრინტის" პირველ ეტაპზე განსაზღვრული დავალებების შესრულების გზებისა და საშუალებების განხილვა.
5. *სპრინტის „ბექლოგი"* არის ყოველი „სპრინტის" საწყისი წერტილი. კერძოდ, ის არის პროდუქტის „ბექლოგიდან" ამორჩეული დავალებების სია, რომლებიც უნდა შესრულდეს შემდეგი „სპრინტის" ფარგლებში. მისი შევსება ხდება „სქრამ" გუნდის, „სქრამ" ოსტატისა და პროდუქტის მფლობელის მიერ „სპრინტის" დაგეგმვის შეხვედრაზე. პროდუქტის „ბექლოგისგან" განსხვავებით „სპრინტის ბექლოგი" არის სტაბილური და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.
6. *ყოველდღიური „სქრამ" შეხვედრები* - ორგანიზდება „სქრამ" გუნდის პროგრესის შეფასებისა და წინა დღეს წარმოქმნილი პრობლემების განხილვის მიზნით. შეხვედრაზე ძირითადად განიხილება ის, თუ რა გაკეთდა წინა შეხვედრის შემდეგ და რა უნდა გაკეთდეს შემდეგ შეხვედრამდე. შეხვედრაზე დასწრება სავალდებულოა „სქრამ" ოსტატისა და „სქრამ" გუნდისთვის, თუმცა მას შესაძლოა დაესწროს მენეჯერი ან პროდუქტის მფლობელი.
7. *„სპრინტის" შეფასების შეხვედრა* - იგეგმება „სპრინტის" ბოლო დღეს, სადაც „სქრამ" გუნდი და „სქრამ" ოსტატი „სპრინტის" შედეგებს, წარუდგენს: მენეჯმენტს, კლიენტს და პროდუქტის მფლობელს. შეხვედრის მონაწილეები აფასებენ „სპრინტით" გათვალისწინებულ სამუშაოების შესრულებას და იღებენ გადაწყვეტილებებს მომდევნო ღონისძიებების შესახებ. შეხვედრაზე შესაძლოა თავი იჩინოს ახალმა დავალებამ, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს პროდუქტის „ბექლოგის" შეცვლა.

ექსპერტთა აზრით, „სქრამის" გამოყენება შესაძლებელია როგორც ახალ, ასევე მიმდინარე პროექტში. ახალ პროექტში დანერგვის შემთხვევაში, საწყისი პროდუქტის „ბექლოგის" შესადგენად სპეციალისტები გვთავაზობენ „სქრამ" გუნდთან და კლიენტთან მუშაობას რამოდენიმე დღის განმავლობაში [2].

მიმდინარე პროექტში „სქრამის" დანერგვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დეველოპმენტის გარემო და არჩეულია ის ტექნოლოგია, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული პროექტის შესაქმნელად. იმ შემთხვევაში, თუ გუნდს აქვს პრობლემები მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან და ტექნოლოგიების კომპლექსურობასთან დაკავშირებით, მაშინ „სქრამის" გაცნობა ხდება ყოველდღიურ შეხვედრებზე, რომლებსაც „სქრამ" ოსტატი ატარებს.

ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ მათ წარმატებით დანერგეს „სქრამი" სხვადასხვა პროექტებში. მათი აზრით, „სქრამი" არ არის მიზანშეწონილი დიდი გუნდებისთვის [3], ზოგიერთის აზრით კი „სქრამი" ხელსაყრელია არაუტეს 10 კაციანი გუნდებისთვის. თუ მეტი რესურსია ხელმისაწვდომი, უმჯობესია ჩამოყალიბდეს რამდენიმე გუნდი [2].

სტატიის ფარგლებში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ 2019 წელს „სქრამ" მეთოდოლოგიას იყენებდა ცნობილი კომპანიების 54%, ხოლო 2020 წელს კი 58%. ექსპერტთა აზრით, პროგრამული

უზრუნველყოფის მართვის პროცესებში ტექნოლოგია „სქრამის“ გამოყენების ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება.

დასკვნა

სტატიაში განხილულია სხვადასხვა სახისა და დანიშნულების პროექტების მართვის პროცესში კომპიუტერული მართვის თანამედროვე პროგრამული საშუალებების გამოყენების საკითხები, გაანალიზებულია პროექტების კომპიუტერული მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია „ეჯაილი“ და მის პრინციპებზე აგებული ტექნოლოგია „სქრამი“. ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტ-დოქტორანტთა უშუალო მონაწილეობით, ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ პროექტების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია „ეჯაილი“ და მის პრინციპებზე აგებული ტექნოლოგია „სქრამი“, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებულ მართვის კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, ყველაზე მარტივი და მოქნილი ტექნოლოგიაა და მისი გამოყენება შესაძლებელია არა მარტო პროგრამული უზრუნველყოფის, არამედ ფინანსური, კვლევითი და სხვა ფართო სპექტრის პროექტების სამართავად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Schwaber, K. (1995). Scrum Development Process. OOPSLA'95 Workshop on Business Object Design and Implementation, Springer-Verlag;
2. Schwaber, K. and M. Beedle (2002). Agile Software Development With Scrum. Upper Saddle River, NJ, Prentice-Hall.
3. Rising, L. and N. S. Janoff (2000). “The Scrum software development process for small teams.” IEEE Software 17(4): 26-32.
4. Bhavsar, K. and Gopalan, S. (2020) Scrum: An Agile Process Reengineering in Software Engineering

უნივერსიტეტში შიდა მობილობის პროცესის ავტომატიზების ალგორითმი

Mzia Kiknadze
Liana Giorgobiani
Nino Giorgobiani
Georgian Technical University, Georgia

უმაღლეს სასწავლებელში ერთმანეთისგან განსხვავებული მრავალი პროცესი მიმდინარეობს, ეს პროცესები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც თავისი დანიშნულებით ასევე მაჩვენებლებით. ამავე დროს უმაღლეს სასწავლებელში მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესი. სწორედ იგი უზრუნველყოფს უმაღლესი სასწავლებლისთვის კანონით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას. სასწავლო პროცესისკენაა მიმართული ძირითადი რესურსები. Aამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვისთვის მასში მიმდინარე პროცესები სრულდებოდეს ავტომატურ რეჟიმში. სტატიაში განხილულია სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის შიდა მობილობის პროცესის ოპტიმალური დაგეგმვის კონცეფცია. შემოთავაზებულია შიდა მობილობის პროცესის ოპტიმალურად დაგეგმვის ამოცანა

საკვანძო სიტყვები: სასწავლო პროცესის ავტომატიზება, სასწავლო პროცესის ავტომატიზების ალგორითმი

Automation Algorithm for GTU's Internal Mobility Process

Multiple differing processes take place at a higher education institution. They vary in purpose and indices. Simultaneously, the educational process is significant. This is what ensures fulfilling tasks defined by the law to a higher education institution. Main resources are directed towards the educational process. Hence, to manage it effectively, it is important that ongoing processes within are carried out in an automatic form. The article discusses the concept of optimal planning concerning the internal mobility process, one of the important problems of the educational process. It proposes the task of optimal planning concerning the internal mobility process.

Keywords: automation of the educational process, automation algorithm for the educational process.

უმაღლეს სასწავლებელში ერთმანეთისგან განსხვავებული მრავალი პროცესი მიმდინარეობს, ეს პროცესები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც თავისი დანიშნულებით ასევე მაჩვენებლებით. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესის ეფექრურად მართვისთვის მასში მიმდინარე პროცესები სრულდებოდეს ავტომატურ რეჟიმში.

კომპიუტერის ფართოდ დანერგვამ მართვის პრაქტიკაში შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა. სასწავლო პროცესის ოპტიმიზების პრობლემას ეხება ბევრი ნაშრომი. მრავალი, ჩვენი თუ უცხო ქვეყნის, მეცნიერი სწავლობს სასწავლო პროცესს. მაგრამ, არსებულ ფორმალიზებულ მეთოდებს აქვთ გაბნეული ხასიათი, არ არსებობს სასწავლო პროცესის დაგეგმვის საერთო სისტემური მიდგომა, არ არსებობს სისტემური მოდელი.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში დაგეგმის ეფექტურობის საკითხები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. როგორც წესი ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ასპექტით სამრეწველო ან კომერციული ორგანიზაციებისთვის მაგრამ შესაძლებელია გამოყენებული იქნას უმაღლესი სასწავლებლების მართვის პროცესის მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავებისასა.

სტუდენტებისთვის მობილობის პროცესის გასაადვილებლად საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შექმნა შესაბამისი სტუდენტთა ერთიანი რეესტრი რომლის საშუალებითაც წელიწადში ორჯერ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ამოირჩიონ მათთვის სასურველი


უნივერსიტეტში სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა და მიიღონ მონაწილეობა მობილობის პროცესში.

უნივერსიტეტში წელიწადში ორჯერ ყველა საფეხურის სტუდენტს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) შეუძლია მობილობა განახორციელოს უნივერსიტეტის შიგნით საგანმანათლებლო პროგრამებზე (შიდა მობილობა).

მობილობის პროცესის განხორციელება ხდება ძველი სისტემით და საკმაოდ რთულ პროცედურებს მოიცავს.

მობილობის ვადების გამოცხადების შემდეგ სტუდენტს უხდება საკმარისად შრომატევადი საქმიანობის შესრულება: საბუთების შეგროვება და მათი წარდგენა მობილობის მართვის ჯგუფში. სადაც საბუთების დამუშავება ხდება ხელით, ითვლება შესაბამისი კრედიტები და დგინდება სწავლების წელი. ამ პროცესის შესაბამისი ალგორითმი მოყვანილია სურ.1-ზე.

სურ.1-დან ჩანს, რომ ეს პროცესი ხანგრძლივი და მოუხერხებელია სტუდენტისთვის. მას უხდება ბევრჯერ მისვლა მობილობის მართვის ჯგუფში და ეს იწვევს დისკომფორტს.



სურ. 1 შიდა მობილობის პროცესის ალგორითმი

1- დასაწყისი.

2- სტუდენტის მიერ საბუთების შეგროვება - იგულისხმება, რომ სტუდენტი მიდის ფაკულტეტზე და აგროვებს საბუთებს().

3- საბუთების წარდგენა მობილობის მართვის ჯგუფში იგულისხმება, რომ სტუდენტი მიდის საბუთებით მობილობის მართვის ჯგუფში.

4- საბუთების დამუშავება იგულისხმება, რომ მობილობის მართვის ჯგუფში ხდება საბუთების განხილვა და დამუშავება .

5- საბუთების დამუშავება ფაკულტეტზე - საბუთები იგზავნება ფაკულტეტზე. ხდება მათი შესწავლა, ხორციელდება სასწავლო პროგრამასთან შედარება.

6- საბუთების დაბრუნება მობილობის მართვის ჯგუფში ფაკულტეტიდან საბუთები ბრუნდება უკან.

7- სტუდენტის მიერ შედეგების გაცნობა, სტუდენტი მიდის მობილობის მართვის ჯგუდში და არკვევს სასწავლო წელს და აღიარებულ კრედიტებს. თანხმობის შემთხვევაში იწერება ბრძანება, უარის შემთხვევაში სტუდენტი ბრუნდება ფაკულტეტზე.

8- იწერება ბრძანება.

9- ბრძანება და პირადი საქმე იგზავნება ფაკულტეტზე.

გამოცდილებაზე დაყრდნობით შევიმუშავეთ შიგა მობილობის განხორციელების გამარტივების და ავტომატიზების ალგორითმი. დამუშავებული ალგორითმი სტუდენტს და მობილობის მართვის ჯგუფსაც საშუალებას მისცემს გაამარტივოს ეს პროცესი.


შიდა მობილობისთვის, ისე როგორც გარე მობილობისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას:

დამუშავებულ მონაცემთა ბაზაში მობილობის მსურველად რეგისტრაციის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით და რეგისტრირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მობილობის უფლება სტუდენტს ეძლევა შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ.

რეგისტრაციისთვის აუცილებელია სტუდენტის თერთმეტნიშნა პირადი ნომერი და პაროლი.

შიგა მობილობის განხორციელების გამარტივების და ავტომატიზების ალგორითმს ექნება სახე:



სურ. 2 ავტომატიზების ალგორითმი

აღნიშნული ავტომატიზების ალგორითმიდან ჩანს, რომ საკმაოდ მარტივდება შიდა მობილობის პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Richard B. McKenzie, An Introduction to Economics and the Economics of Education

   https://link.springer.com/chapter/10.1007/978-94-009-9242-9_1

2. Economics and Management | University of Oxford

   https://www.ox.ac.uk/search?query=Economic%20management%20of%20the%20educational%20process%20at%20the%20university&wssl=1

3. Истомин А.Л. Экономическое управление учебным процессом в вузе Пенза, 2014

4. Засухина О.А. Реляционная модель данных в унификации учебных планов в Сб. научн. трудов. В 2-х томах. Том 2. – Ангарск, АГТА, 2007.

ინფორმაციული უსაფრთხოების ასპექტები ღრუბლოვან გარემოში

Taliko Zhvania
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Georgia
David Kapanadze
Shota Kapanadze
Georgian Technical University, Georgia

თანამედროვე მონაცემთა შენახვისა და დამუშავების მრავალი ცენტრი შექმნილია და ფუნქციონირებს ღრუბლოვანი ტექნოლოგიების კონცეფციის ბაზაზე. ამ კონცეფციას, ნამდვილად, გააჩნია მრავალ უპირატესობა მონაცემებთან მუშაობისას, თუმცა ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგიერთი ასპექტი ჯერ კიდევ მოითხოვს მრავალმხრივ სრულყოფას. ნაშრომში განხილულია ინფორმაციული უსაფრთხოების ის ძირითადი პრობლემები, საფრთხეები, ტიპური შეტევებისა და მათგან დაცვის მექანიზმები, რომლებიც აქტუალურია ღრუბლოვან ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სისტემებში.

საკვანძო სიტყვები: ღრუბლოვანი გარემო, ინფორმაციული უსაფრთხოება, ვირტუალიზაცია.

Information Security aspects in Cloud Environments

Many modern data storage and processing centers are designed and operated on the concept of cloud technology. This concept, indeed, has many advantages when working with data, but some aspects of information security still require multilateral perfection. The work deals with the basic issues of information security, threats, typical attacks, and protection mechanisms that are relevant to systems based on cloud technology.

Keywords: Cloud Environment, Information Security, Virtualization

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იზრდება ღრუბლოვანი ტექნოლოგიებით აგებული მონაცემთა შენახვისა და დამუშავების ცენტრების რაოდენობა. ასეთი ცენტრი წარმოადგენს სერვერების ერთობლიობას, რომლებიც ეფექტიანობისა და დაცულობის გაზრდის მიზნით განლაგებული არიან ერთ სივრცეში [1]. მონაცემთა დამუშავების ცენტრის დაცულობა გულისხმობს ქსელურ და ფიზიკურ დაცვას, ასევე - მტყუნებისადმი მედეგობას და საიმედო ენერგომომარაგებას. ზოგადად, სერვერებისა და მონაცემთა საცავების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის არსებობს მრავალი გადაწყვეტა, რომლებიც ხასიათდება გადასაწყვეტი ამოცანებისადმი სპეციფიკურად ორიენტირებული მიდგომით [2].

კლასიკური აპარატურული სისტემების ღრუბლოვანი გარემოთი ჩანაცვლების სულ უფრო მზარდმა პროცესმა გამოიწვია უსაფრთხოების ამოცანების სპექტრის გაზრდა. საფრთხეების ცნობილ ტიპებს, როგორიცაა - ქსელური შეტევები, ოპერაციულ სისტემებში არსებული სისუსტეები, საფრთხის შემცველი პროგრამული უზრუნველყოფა, დაემატა ახალი სირთულეები, მაგალითად: ვირტუალიზაციის გარემოს კონტროლი, ვირტუალურ მანქანებს შორის ტრაფიკისა და მათ შორის წვდომის კონტროლი. გაფართოვდა გარე რეგულატორების მოთხოვნები, შიდა ამოცანების და მონაცემთა შენახვისა და დამუშავების ცენტრების ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხები. თანამედროვე მონაცემთა შენახვისა და დამუშავების ცენტრების ტექნიკური და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს სხვადასხვა სფეროში განსხვავებული მოთხოვნები წაეყენება. მაგალითად, ფინანსური ორგანიზაციები (ბანკები, პროცესინგული ცენტრები და სხვა) ფუნქციონირებენ გარკვეული სტანდარტების შესაბამისად, რომელთა შესრულება ჩადებულია ტექნიკური გადაწყვეტის დონეზე. ღრუბლოვან ტექნოლოგიებში ვირტუალიზაციის პლატფორმების გამოყენებამ მიაღწია ისეთ დონეს, რომ პრაქტიკულად ყველა კომპანიისათვის აქტუალური გახდა ინფორმაციული უსაფრთხოების გაძლიერების საკითხები.

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო რთული გახდა ბიზნესისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სისტემებისა და გამოყენებითი პროგრამების დაცვის საკითხები.

ვირტუალიზაციის შესაძლებლობების განვითარებამ და მათზე დაფუძნებულმა ღრუბლოვანმა ტექნოლოგიებმა აქტუალური გახადეს სისტემების უმრავლესობის მასშტაბური მიგრაცია ვირტუალურ მანქანებზე, თუმცა ინფორმაციული უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია გამოყენებითი პროგრამების ახალ გარემოში ექსპლოატაციასთან, აყენებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს. საფრთხის მრავალი ტიპი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და მათთვის დამუშავებულია დაცვის საშუალებები, მაგრამ მათ გამოყენებას ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის გარემოში ადაპტაცია სჭირდება.

ღრუბლოვანი გარემოს კონტროლი და მართვა წარმოადგენს უსაფრთხოების უმთავრეს პრობლემას. იმის გარანტია, რომ ყოველი ღრუბლოვანი რესურსი გათვლილია და მასში არ არსებობს უკონტროლო ვირტუალური მანქანები, არაა გაშვებული ზედმეტი პროცესები და არაა დარღვეული ელემენტების ურთიერთ კონფიგურაცია, არ არსებობს. ეს საფრთხეები წარმოადგენს საფრთხეების მაღალ დონეს, ვინაიდან ის დაკავშირებულია ღრუბლოვანი გარემოს, როგორც ერთიანი ინფორმაციული სისტემის, მართვასთან და მისთვის საერთო დაცვა უნდა აიგოს ინდივიდუალურად. ამიტომ საჭიროა, რისკების მართვის მოდელი გამოყენებული იქნეს ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურისათვის.

სერვერებისა და ქსელური ინფრასტრუქტურის ფიზიკური უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს ფიზიკური წვდომის მკაცრი კონტროლი. ფიზიკური უსაფრთხოებისგან განსხვავებით, ქსელური უსაფრთხოება, პირველ რიგში, წარმოადგენს საიმედოდ აგებულ საფრთხეების მოდელს, რომელიც მოიცავს შემოჭრებისგან დაცვასა და ქსელთაშორის ეკრანს. ქსელთაშორისი ეკრანის გამოყენება გულისხმობს ფილტრის მუშაობას, რომლის მიზანია, დაყოს (გააცალკევოს) მონაცემთა საცავის შიდა ქსელები სხვადასხვა დონის სანდოობის ქვექსელებად. ეს შეიძლება იყოს ინტერნეტიდან წვდომადი ცალკეული სერვერები ან შიდა ქსელების სერვერები.

ღრუბლოვან გარემოში პლატფორმის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ვირტუალიზაციის ტექნოლოგიები. მონაცემთა მთლიანობის შენარჩუნებისათვის და დაცვის უზრუნველსაყოფად განვიხილოთ ღრუბლოვანი გარემოს ცნობილი ძირითადი საფრთხეები, ტიპური შეტევები და მათგან დაცვის მექანიზმები.

ღრუბლოვანი გარემოს ძირითად საფრთხეები

ჩვეულებრივი სერვერების ღრუბლოვან გარემოში გადაადგილების სირთულეები - ღრუბლოვანი გარემოს მიმართ უსაფრთხოების მოთხოვნები პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება ტრადიციული მონაცემთა საცავებისა და დამუშავების ცენტრებისადმი წაყენებული უსაფრთხოების მოთხოვნებისგან. თუმცა, მონაცემთა საცავებისა და დამუშავების ცენტრების ვირტუალიზაცია და ღრუბლოვან გარემოში გადასვლა იწვევს ახალი საფრთხეების წარმოქმნას {3}.

ინტერნეტის საშუალებით გამოთვლითი რესურსების მართვისადმი წვდომა წარმოადგენს ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ერთ-ერთ საკვანძო თვისებას. უმრავლეს ტრადიციულ მონაცემთა საცავებსა და დამუშავების ცენტრებში ინჟინრების წვდომა სერვერებზე კონტროლდება ფიზიკურ დონეზე, ღრუბლოვან გარემოში კი ისინი მუშაობენ ინტერნეტის მეშვეობით. წვდომის კონტროლის განსაზღვრა და სისტემურ დონეზე გამჭვირვალობის უზრუნველყოფა წარმოადგენს დაცვის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს.

ვირტუალური მანქანების დინამიკურობა - ვირტუალური მანქანები დინამიკურია. ახალი მანქანის შექმნა, მუშაობის შეჩერება, ხელახლა გაშვება შეიძლება განხორციელდეს დროის მოკლე პერიოდში. შესაძლებელია მათი კლონირება და ფიზიკურ სერვერებს შორის გადაადგილება. ასეთი ცვალებადობა ართულებს უსაფრთხოების სისტემის მთლიანობის დაპროექტების პროცესს. აღსანიშნავია, რომ ოპერაციული სისტემებისა და გამოყენებითი პროგრამების სისუსტეები ვირტუალურ გარემოში ვრცელდება უკონტროლოდ და ხშირად მჟღავნდება დროის რაიმე მონაკვეთის გასვლის შემდეგ (მაგალითად, სარეზერვო ასლიდან აღდგენის შემდეგ). ღრუბლოვან გარემოში მნიშვნელოვანია, საიმედოდ იქნეს დაფიქსირებული სისტემის დაცულობის მდგომარეობა. იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული მის ადგილმდებარეობაზე.

ვირტუალური გარემოს შიდა სისუსტეები - ღრუბლოვანი გარემოს სერვერები და ლოკალური სერვერები იყენებენ ერთსა და იმავე ოპერაციულ სისტემებსა და გამოყენებით პროგრამებს. ღრუბლოვან სისტემებში გარედან შეჭრის ან დამაზიანებელი პროგრამული უზრუნველყოფის უნებართვოდ დაყენების საფრთხე მაღალია ისევე, როგორც ვირტუალურ სისტემებში. პარალელური ვირტუალური მანქანები ზრდიან „შეტევის ფრონტს“. შეჭრის აღმოჩენისა და აღმოფხვრის სისტემას უნდა შეეძლოს დამაზიანებელი აქტიურობის ამოცნობა ვირტუალური მანქანის დონეზე, ღრუბლოვან გარემოში მისი მდებარეობის მიუხედავად.

უმოქმედო ვირტუალური მანქანების დაცვა - როდესაც ვირტუალური მანქანა გამორთულია, იგი მაინც იმყოფება შეჭრის საფრთხის ქვეშ. საფრთხედ ითვლება თუნდაც ვირტუალური მანქანების იმიჯების საცავზე ქსელიდან წვდომის შესაძლებლობა. გამორთულ მანქანაზე აბსოლუტურად შეუძლებელია დამცავი პროგრამული უზრუნველყოფის გაშვება. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცვა არა მარტო თითოეული ვირტუალური მანქანის შიგნით, არამედ - ჰიპერვიზორის დონეზეც.

პერიმეტრის და ქსელის განცალკევების დაცვა - ღრუბლოვანი გარემოს გამოყენებისას ქსელის პერიმეტრი ბუნდოვანია ან მთლიანად გამქრალია. ამის გამო ყველაზე ნაკლებად დაცული ნაწილის დაცვის დონით განისაზღვრება დაცვის საერთო დონე. ღრუბლოვან გარემოში სხვადასხვა სანდოობის დონის სეგმენტების განცალკევებისთვის საჭიროა, ვირტუალურმა მანქანებმა თვითონ უზრუნველყონ თავიანთი დაცვა, ქსელური პერიმეტრის უშუალოდ ვირტუალურ მანქანაში გადატანით. კორპორაციულ firewall-ს, რომელიც წარმოადგენს ძირითად კომპონენტს ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვასა და ქსელის სეგმენტების განცალკევებაში, არ შეუძლია, გავლენა მოახდინოს ღრუბლოვან გარემოში განლაგებულ სერვერებზე.

ღრუბლოვან გარემოზე ტიპური შეტევები და მათგან დაცვის მექანიზმები

პროგრამულ უზრუნველყოფაზე ტრადიციული შეტევები - ტრადიციული საფრთხეებისაგან დასაცავად, როგორიცაა, მაგალითად: ოპერაციული სისტემების, მოდულური კომპონენტების, ქსელური პროტოკოლების სისუსტეები და სხვა, საკმარისია, გამოყენებული იქნეს ქსელთაშორისი ეკრანი, firewall-ი, IPS და სხვა კომპონენტები. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ დაცვის ამ საშუალებებმა ეფექტიანად იმუშაონ ვირტუალიზაციის პირობებში.

ღრუბლის ელემენტებზე ფუნქციონალური შეტევები - შეტევების ეს ტიპი დაკავშირებულია მრავალფენიან ღრუბლოვან გარემოსთან. ამ შემთხვევაში დაცვა ეფუძნება უსაფრთხოების ზოგად პრინციპებს. მაგალითად, ფუნქციონალური შეტევებისგან თავდასაცავად ღრუბლოვანი გარემოს თითოეული კომპონენტისათვის გამოყენებული უნდა იქნეს დაცვის შემდეგი საშუალებები: პროქსები - ეფექტურია DoS შეტევებისგან დასაცავად, ვებსერვერისათვის - გვერდების მთლიანობის კონტროლი, გამოყენებითი პროგრამების სერვერებისათვის - პროგრამული დონის ეკრანი, მონაცემთა მართვის სისტემებისათვის - SQL-ინექციისგან დაცვა, მონაცემთა საცავებისათვის - ბეკაპირება (სწორად დაგეგმილი სარეზერვო ასლები) და უფლებების დაყოფა. დაცვის თითოეული ეს მექანიზმი შეიძლება ცალ-ცალკე შექმნილია, მაგრამ ისინი არ არის გაერთიანებული ღრუბლოვანი გარემოს კომპლექსური დაცვისათვის, ამიტომ მათი ერთ სისტემად ინტეგრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს ღრუბლოვანი გარემოს შექმნის პროცესში.

შეტევა კლიენტზე - მომხმარებლების უმრავლესობა ღრუბლოვან გარემოს უკავშირდება ბრაუზერით. აქ გასათვალისწინებელია ისეთი შეტევები, როგორიცაა: CrossSiteScripting, პაროლების “მოპარვა“, ვებსესიის გამოჭერა, The Man in the Middle (ე. წ. „ადამიანი შუაში“) და სხვა. ამ ტიპის შეტევებისაგან დაცვის ერთადერთი საშუალებაა სწორი აუთენტიკაცია - დაშიფრული კავშირის (SSL) გამოყენება ურთიერთაუთენტიკაციით. თუმცა, დაცვის ასეთი საშუალება ცოტა მოუხერხებელია და ამასთან ღრუბლოვანი გარემოს შემქმნელებისათვის ძვირადღირებული. ამ კუთხით ინფორმაციულ უსაფრთხოებაში ჯერჯერობით ბევრი ამოცანაა გადასაწყვეტი.

შეტევები ჰიპერვიზორებზე - ჰიპერვიზორი წარმოადგენს ვირტუალური სისტემის ერთ-ერთ მთავრ ელემენტს. მისი მთავარი ფუნქციაა ვირტუალურ მანქანებს შორის რესურსების განახლება. ჰიპერვიზორზე შეტევამ შეიძლება შესაძლებელი გახადოს ერთი მანქანის მიერ მეორე მანქანის მეხსიერებაზე და სხვა რესურსებზე წვდომა, ფიზიკური რესურსების გამოყენება, ვირტუალური მანქანის სერვერიდან

გამოძევება, ასევე წვდომა ქსელურ ტრაფიკზე. დაცვის სტანდარტულ მეთოდებად რეკომენდებულია, გამოყენებული იქნეს: ვირტუალური გარემოსთვის დამუშავებული სპეციალიზებული საშუალებები; კატალოგების მართვის სერვისის Active Directory ინტეგრაცია ჰოსტსერვერებთან; პაროლების სირთულისა და განახლების პოლიტიკა; ჰოსტსერვერის მმართავ საშუალებებთან წვდომის პროცედურების სტანდარტიზაცია; ჰოსტის ჩაშენებული ვირტუალიზაციის ბრანდმაუერი. სასურველია, გამოირთოს ის სერვისები, რომლებიც ხშირად არ გამოიყენება, მაგალითად, ვირტუალიზაციის სერვერთან ვებკავშირი და სხვა.

შეტევები მმართავ სისტემაზე - ღრუბლოვან გარემოში გამოყენებული მრავალი ვირტუალური მანქანა მოითხოვს მართვის სისტემის არსებობას, რომელიც საიმედოდ აკონტროლებს ვირტუალური მანქანების შექმნას, გადატანას და უტილიზაციას. მართვის სისტემაში ჩარევამ შეიძლება გამოიწვიოს ე. წ. უხილავი ვირტუალური მანქანების შექმნა, რომლებმაც შეიძლება დაბლოკონ ზოგიერთი მანქანა და ისინი სხვა მანქანით ჩაანაცვლონ.

დასკვნა

ღრუბლოვან ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სერვისებს უდავოდ აქვს მრავალი უპირატესობა. მაგრამ ღრუბლოვან გარემოში მონაცემთა განთავსებასა და დამუშავებას შემოაქვს დამატებითი აბსტრაქციის ველი მონაცემთა თავდაპირველ მფლობელსა და ამ მონაცემების რეალურად მმართველებსა და დამმუშავებლებს შორის. ამიტომ აუცილებელია ამ ტექნოლოგიის გამოყენების თანმდევი სპეციფიკური საფრთხეების, ტიპური შეტევებისა და მათგან დაცვის მექანიზმების გათვალისწინება, რათა საფრთხის რისკი არ დაემუქროს მნიშვნელოვან მონაცემებს ან ეს რისკი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Antonopoulos N., Gillam L. Cloud Computing: Principles, Systems and Applications. London: Springer-Verlag, 2010. 379 p.

2. Jansen W., Grance T. Guidelines on Security and Privacy in Public Cloud Computing. 2011. 80 p. (NIST Special Publication 800-144). URL: http://csrc.nist.gov/publications/nistpubs/800-144/SP800-144.pdf (წვდომის თარიღი: 08.11.2020).

3. Chris Dotson, Practical Cloud Security: A Guide for Secure Design and Deployment. O'Reilly Media; 1st edition, ISBN-13: 978-1492037514, 2019. 194 p.

საკუთრების აღწერის პროგრამული პაკეტი „ქონების აღრიცხვა“

Teimuraz Berdzenishvili
Nato Bebiashvili
Mikheil Berdzenishvili
Georgian Technical University, Georgia

სტატიაში განხილულია საქართველოს მუნიციპალიტეტების სახელმწიფო საკუთრების აღწერის პროცესში ავტომატიზირებული პროგრამული საშუალებების გამოყენების საკითხები. ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, ა.ა.ი.პ. „სათეფას“-ს ეგიდითა და სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტ-დოქტორანტების უშუალო მონაწილეობით, შეიმუშავა პროგრამული პაკეტი „ქონების აღრიცხვა“, როგორც ინვენტარიზაციის პროცესის ავტომატურ რეჟიმში მართვის საშუალება და მისი გამოყენებით განხორციელდა ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების სახელმწიფო საკუთრების აღწერა. პროგრამული პაკეტი „ქონების აღრიცხვა“ შეიცავს რამოდენიმე სხვადასხვა ფუნქციის მქონე ურთიერთდაკავშირებულ პროგრამულ (ექსელის ბაზაზე) გადაწყეტას, მისი ერთ-ერთი ელემენტია „მაკროსი“, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ინვენტარიზაციის პროცესების ცალკეულ ფუნქციებსა და ფუნქციათა ერთობლიობას და იმავდროულად, პრაქტიკულად გამორიცხავს კოპირებისა და უნებლიე, თუ განზრახ დაშვებული შეცდომების შემთხვევებს. „ქონების აღრიცხვის“ მეორე მნიშვნელოვანი პროგრამული ელემენტია „ძირითადი საშულებების ინვენტარიზაციის დრაივერი“, რომლის მეშვეობით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას ქონების თითოეული, როგორც უნიკალური, ასევე მრავალი ერთგვაროვანი ქონებრივი ერთეულის შტრიხ–კოდი, გაცემა-დაბრუნებისა და შიდა, თუ გარე გადაადგილების მარშრუტები. ნაშრომში გაანილიზებულია ინვენტარიზაციის ჩატარების ვარიანტები, ეტაპები, თემატურად განსხვავებული მიზნები, პროცედურები, სავალდებულო დოკუმენტები და პროგრამული საშუალებები. განხილულია, თუ როგორ უნდა მოხდეს ქონების აღწერის მონაცემების ჩატვირთვა ინვენტარიზაციის მონაცემთა ბაზაში და უნიფიცირებისა და პროგრამული გადამუშავების შემდეგ, ამ მონაცემთა ბაზის ჩაშენება სახელმწიფო-სახაზინო მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. სტატიაში განხილული სამუშაოები მიმდინარეობს ა.ა.ი.პ. „სათეფასა“ და საქართველოს ფინანსათა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომლის ძირითადი მიზანია სახელმწიფო მართვის დეცენტრალიზაციის პროცესში თვითმართველი ორგანოების როლის ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: პროგრამული პაკეტი, ინვენტარიზაცია, მონაცემთა ელექტრონული ბაზა

Property Inventory Software Package "Property Registration"

The article discusses the use of automated software in the process of inventory of state property of Georgian municipalities. Our working group, under the auspices of A.A.I.P. Satefa and with the direct participation of GTU professors and doctoral students, developed the software package "Property Registration" as a means of managing the inventory process automatically and used it to describe the state ownership of local self-governing units. The software package "Property Registration" contains interconnected software solution (based on Excel) with several different functions, one of its elements is "Macros", which connects the separate functions and a set of functions of the inventory processes and at the same time practically eliminates cases of copying and unintentional or deliberate errors. The second important element of the "Property Registration" software is the "Fixed Assets Inventory Driver", through which it is possible to consider the barcodes of each property, as well as many identical property units, issuance-return and internal or external moving routes. The paper analyzes the options, stages of conducting the inventory, thematically different goals, procedures, mandatory documents and software tools. It discusses how to load property inventory data into an inventory database and, after unification and software processing, embed this database into an electronic state-treasury database. The works discussed in the article are underway within the framework of the Memorandum of Understanding signed between A.A.I.P. Satefa and the Treasury Service of the Ministry of Finance of Georgia, the main goal of which is to increase the role of self-governing bodies in the process of decentralization of public administration.

Keywords: software package, inventory, electronic database

ნაშრომში გაანილიზებულია ინვენტარიზაციის ჩატარების ვარიანტები, ეტაპები, თემატურად განსხვავებული მიზნები, პროცედურები, სავალდებულო დოკუმენტები და პროგრამული საშუალებები. განხილულია, თუ როგორ უნდა მოხდეს ქონების აღწერის მონაცემების ჩატვირთვა ინვენტარიზაციის მონაცემთა ბაზაში და უნიფიცირებისა და პროგრამული გადამუშავების შემდეგ, ამ მონაცემთა ბაზის ჩაშენება სახელმწიფო-სახაზინო მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

მუნიციპალიტეტის სახელმწიფო საკუთრების აღწერა ბევრ დროს, ფინანსურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. საკუთრივ ინვენტარიზაცია, პროცედურულად 5 ძირითადი ეტაპისგან შედგება:

1. ინვენტარიზაციის პროცესზე პასუხისმგებელი თანამშრომელთა ჯგუფის ჩამოყალიბება;
2. ინვენტარიზაციისთვის სავალდებულო დოკუმენტაციის მომზადება;
3. ორგანიზაციაში არსებული ქონების პირდაპირი აღწერა;
4. ინვენტარიზაციის პროცესში მიღებული მონაცემების ადრინდელ საბუღალტრო ანგარიშებთან შედარება;
5. ხელმძღვანელობასთან ინვენტარიზაციის შედეგების წარდგენა.

ქონების ინვენტარიზაციის დროს ტარდება შემდეგი ოპერაციები:

1. აუდიტორული დავალების შედგენა – ორგანიზაციის შიდა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სად, როდის და რა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ჩატარდება შემოწმება.
2. ინვენტარიზაციის კომისიის ფუნქციების განსაზღვრა – აღსაღრიცხი აქტივების ფაქტობრივი მდგომარეობის, მდებარეობის ან გამოყენების დოკუმენტურად დადასტურებული ნუსხის საფუძველზე, გაიცემა ბრძანება ქონების რევიზიის დაწყების თაობაზე.
3. ინვენტარიზაციის დროს აღმოჩენილი უზუსტობების დოკუმენტირება – დაფიქსირებული (პოზიტიური - ზედმეტობის ან უარყოფითი - დეფიციტის შემთხვევაში) უზუსტობები ფიქსირდება ოქმში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დასახელების, რაოდენობისა და ფასის მითითებით.
4. ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული საბოლოო აქტების ჯგუფებად დაყოფა ქონების, მათ შორის ძირითადი საშუალებების, მატერიალური ფასეულობების, აქტივებისა და ნაღდი ფულის კუთვნილების მიხედცით.
5. ინვენტარიზაციის აქტების უნიფიცირება – წარმოებს დადგენილი ფორმებისა და მოთხოვნების შესაბამისად და ინახება მომავალი გამოყენებისთვის.

ქონების ინვენტარიზაცია აუცილებლად უნდა განხორციელდეს კომისიის ყველა მონაწილე წევრის თანდასწრებით, რადგან თითოეულ წევრს გააჩნია თავისი უნიკალური ადგილი კომისიის საქმიანობაში და სპეციალური ცოდნა-გამოცდილება, რომლის გამოყენების გარეშე, შეუძლებელია სრულფასოვანი საბოლოო ოქმის შედგენა.

სახელმწიფო მართვის პროცესის დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივა თვითმართველი ორგანოების დამოუკიდებლობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ა.ა.ი.პ. „სათეფასა“ (საქართველოს ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია) და საქართველოს ფინანსათა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შორის გაფორმებულ იქნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში, ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, ს.ს. „სათეფას“-ს ეგიდითა და სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტ-დოქტორანტების უშუალო მონაწილეობით, შეიმუშავა პროგრამული პაკეტი „ქონების აღრიცხვა“ (ექსელის ბაზაზე), რაც ინვენტარიზაციის პროცესის ავტომატურ რეჟიმში მართვის საშუალებას იძლევა და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს მუნიციპალიტეტების სახელმწიფო საკუთრების აღწერის პროცესში, როგორც ავტომატიზირებული პროგრამული საშუალება.

პროგრამული პაკეტი „ქონების აღრიცხვა“ შეიცავს რამოდენიმე სხვადასხვა ფუნქციის მქონე ურთიერთდაკავშირებულ პროგრამულ (ექსელის ბაზაზე) გადაწყეტას, მისი ერთ-ერთი ელემენტია „მაკროსი“, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ინვენტარიზაციის პროცესების ცალკეულ ფუნქციებსა და ფუნქციათა ერთობლიობას და იმავდროულად, პრაქტიკულად გამორიცხავს კოპირებისა და უნებლიე

შეცდომების შემთხვევებს, მაგალითად, ყოველ ახალ საინვენტარო კოდს შესაძლებელია დაუკავშიროთ შესაბამისი ჰიპერლინკი, გამოვრიცხოთ უნიკალური კოდის გამეორების (კოპირების) შემთხვევები და ა.შ.

პროგრამული პაკეტი „ქონების აღრიცხვის" ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია „ძირითადი საშულებების ინვენტარიზაციის დრაივერი", რომელიც საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ მასალების, საწყობების, შენობებისა და ქონების თითოეული, როგორც უნიკალური, ასევე დიდი რაოდენობის ერთგვაროვანი ერთეულების აღწერა და ამავე დროს, გავითვალისწინოთ თითოეული ერთეულის შტრიხ–კოდი, გაცემა-დაბრუნებისა და/ან შიდა გადაადგილებების სვლა-გეზი.

პროგრამულ პაკეტში ინვენტარიზაციის პროცესისთვის გათვალისწინებულია რამოდენიმე უნიფიცირებული ნორმატიული აქტი, რომლებშიც თითოეული პროცედურა იდენტიფიცირებულია სხვადასხვა აბრავიატურითა და ციფრებით, ასე მაგალითად:

1. ინვ- 1- ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების აუდიტი, რომელიც მზადდება სხვადასხვა სამეწარმეო, არასამეწარმეო საკუთრებისა და იჯარით აღებული ქონებისთვის, ცალცალკე.

2. ინვ- 2 - ინფორმაცია კონკრეტული ობიექტისთვის ხელმისაწვდომი მატერიალური ფასეულობების, მარაგებისა და რესურსების შესახებ.

3. ინვ- 4 - უკვე შეძენილი, მაგრამ ტრანსპორტირების პროცესში მყოფი ქონება.

4. ინვ - 5 - მონაცემები მომდევნო წლებში ან თვეებში დასახარჯი ფინანსების შესახებ.

5. ინვ- 6 - ფულადი სახსრების აღრიცხვისთვის.

სტატიაში აღწერილი მეთოდიკის გამოყენებით, ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, ამ ეტაპზე, ინვენტარიზაცია ჩაატარა საქართველოს 15 მუნიციპალიტეტში, ამჟამად მიმდინარეობს მიღებული ინფორმაციის ჩატვირთვა ინვენტარიზაციის ერთიან მონაცემთა ბაზაში, რომელიც შემდგომ შეივსება სხვა მუნიციპალიტეტების ინვენტარიზაციის მონაცემებით და უნიფიცირებისა და პროგრამული გადამუშავების შემდეგ, მოხდება ამ მონაცემთა ბაზის ჩაშენება სახელმწიფო-სახაზინო მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

ინვენტარიზაციის მონაცემთა ბაზის სახაზინო ელექტრონულ ბაზაში ჩასაშენებლად აუცილებელია ჩასაშენებელი მონაცემთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფის თავსებადობა სახაზინო ელექტრონული ბაზის საოპერაციო სისტემებთან და მისი თითოეული ფუნქციონალური მოდული უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

1. პროგრამული უზრუნველყოფა უნდა იყოს უკვე არსებული პროდუქტი და უნდა იძლეოდეს საბაზისო პროგრამაზე მორგების საშუალებას, კერძოდ პროგრამული უზრუნველყოფის თავსებადობას საოპერაციო სისტემებთან და აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს ტექნიკურ საშუალებებთან მიმართებაში;

2. უნდა ითვალისწინებდეს მომხმარებლის ონლაინ რეჟიმში გამართულ მუშაობას, მონაცემების შეუფერხებელ მიმოცვლასა და ფუნქციონალური შესაძლებლობების დემონსტრირებას.

სტატიაში განხილული პროგრამული პაკეტი „ქონების აღრიცხვა", საშუალებას გვაძლევს ინვენტარიზაციის პროცესი ვმართოთ მონაცემთა ელექტრონული ბაზების მეშვეობით, გავამარტივოთ ანგარიშსწორების პროცესი და გავხადოთ არა მარტო სწრაფი, არამედ ადვილად განახლებადი, ნაკლებად პრობლემატური და საკმაოდ ეფექტიანი. სტატიაში განხილული მეთოდიკა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ორგანიზაციების, მათ შორის: კორპორაციების, ჰოლდინგების, საავადმყოფოების, კლინიკების, ბანკებისა და სხვა სახელმწიფო დაქვემდებარების დაწესებულებებისა, თუ კერძო კომპანიების ქონების ინვენტარიზაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

www.gfa.ge

https://www.audit-it.ru/terms/accounting/inventarizatsiya.html

ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები და იდენტიფიცირებული პრობლემების გადაწყვეტის გზები

Tamar Lominadze
Georgian Technical University, Georgia
Tamuna Khvedelidze
PhD Candidate Georgian Technical University, Georgia

IT სერვისების მართვა წარმოადგენს იმ აქტივობების ნაკრებს, რომლებიც მიმართულია კომპანიის ინფორმაციული ტექნოლოგიების დიზაინის აწყობის, დაგეგმვის, მომხმარებლისთვის მიწოდების, დანერგვის, კონტროლის და მუდმივი გაუმჯობესებისათვის. IT სერვისების და ოპერაციების მართვა თანამედროვე მსოფლიოში ძალზედ აქტუალური საკითხია, რადგან კომპანიების უმეტესობას ჯერ კიდევ არ აქვს გამართული, თანამედროვე სისტემები, აქვს მხოლოდ სერვისები, რომლებიც გაბნეულია, არ არსებობს სერვისების სათანადო აღწერა სერვის კატალოგის სახით, საერთო გარემო, ტექნოლოგია, სადაც ყველა სერვისი იყრის თავს და არ არსებობს სათანადო მიდგომა, მეთოდოლოგია, რომელიც დანერგილია სერვისების მართვისათვის, თუმცა არის საჭიროება. მნიშვნელოვანია ის, თუ რა ეტაპზეა კომპანია ამ თვალსაზრისით და გამოთქვამს თუ არა მზაობას, რომ IT სერვისების მართვის კუთხით დაიწყოს თანამედროვე ნაბიჯების გადადგმა და კონკურენტულ ბაზარზე წინა პლანზე დგომა. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ძალიან ბევრ კომპანიას აქვს პრობლემები IT სერვისებისა და ოპერაციების მართვის კუთხით, რაც რათქმაუნდა პირდაპირ აისახება მათ ეკონომიკურ მდგომარეობასა თუ ტექნოლოგიურ წინსვლაზე, გადავწყვიტეთ შეგვესწავლა კონკრეტული ბიზნეს-ორგანიზაციის ბიზნეს პროცესი, არსებული პრობლემები და მოგვესინჯა მათი გადაჭრის გზები თანამედროვე მიდგომებით, მეთოდოლოგიებით და ტექნოლოგიებით. საქართველოში, კონკრეტული ბიზნეს ორგანიზაციის მაგალითზე, მოხდა IT სერვისების მართვის კუთხით არსებული პრობლემების ანალიზი, შესწავლა და გადაწყვეტა. აღნიშნულ ბიზნეს-ორგანიზაციას, კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, კომპანია „X"-სს ვუწოდებთ. სტატიაში აღწერილია კონკრეტული ბიზნეს-ორგანიზაციის პრობლემები IT სერვისებისა და ოპერაციების მართვის კუთხით, ასევე აღწერილია მათი გადაჭრის მიზნით მოსინჯული მეთოდოლოგიების და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფების დანერგვის გზები და ამ ორგანიზაციისათვის შედგენილი ეფექტურობის კრიტერიუმების ჩამონათვალი. სტატიაში აღწერილია ამ ბიზნეს-ორგანიზაციის IT სერვისების მართვის კუთხით არსებული პრობლემების გადაჭრის გზები ITIL მეთოდოლოგიის და Service Desk Plus პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, ასევე პროექტების მართვის კუთხით SCRUM მეთოდოლოგიის და JIRA Software-ის გამოყენებით. ასევე განხილულია მოცემული ორი პროგრამული უზუნველყოფის ინტეგრაცია საჭიროებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კვლევა კვლავ მიმდინარეობს, ეფექტურობის კრიტერიუმებით შეფასებული გაუმჯობესებული მაჩვენებლები კონკრეტული ბიზნეს-ორგანიზაციისთვის და საბოლოო დასკვნები, თუ როგორ გაუმჯობესდა ორგანიზაციის ბიზნეს პროცესი IT სერვისებისა და ოპერაციების მართვის კუთხით, კვლევის შემდგომი ეტაპის ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: IT სერვისები, კვლევა, ინტეგრაცია, თანამედროვე სისტემები

Criteria for Evaluating the Effectiveness of the Organization's Business Processes and Ways to Solve Identified Problems

ITSM (or IT Service Management) refers to all activities involved in designing, creating, delivering, supporting, and managing the lifecycle of IT services. IT service and operations management is very actually issue in the modern world, because most of companies don't have the assembled and modern systems yet. They have only services which are scattered and there does not exist the service catalogue, common environment, appropriate technology, where there are gathered all services. Also, there does not exist the approach, methodology for service management, but at the same time, companies need it. There is very important on which stage is the company in this sense and if it has or not readiness for developing its activities connected to the IT service management in order to be at the forefront of a competitive market. Based on that, recently many companies have various problems connected to the ITSM, which will of course has a direct impact on their

economic situation and technological advancement, we decided, that research the business process and problems of a specific business organization and try ways to solve the problems using of modern approaches, methodologies and technologies. There were performed of analyze, learn, and solve of ITSM problems of a specific Georgian business organization, for privacy reasons, we won't say the name. There is given problems connected to the IT service and operations management of a specific business organization mentioned above, in the article. Also, there is described the solutions and solving ways of this problems, using of appropriate methodologies and technologies. In the article, there is given a list of effectiveness criteria compiled for this business organization. In the article, there is described ways to solve the problems connected to the ITSM of this business organization, using of ITIL methodology and Service Desk Plus Software, also in the direction of project management, using of SCRUM framework and JIRA Software. In the article, there is also discussed the integration of these two software applications, according to needs. It should be noted, that this research is ongoing, that's why improved performances metrics for a particular business organization and final findings on how the organization's business process has improved in terms of IT services and operations management, are part of the next phrase of the research.

Key words: ITSM, ITIL, SCRUM, Manage Engine Service Desk, Jira Software

შესავალი

IT სერვისების მართვა წარმოადგენს იმ აქტივობების ნაკრებს, რომლებიც მიმართულია კომპანიის ინფორმაციული ტექნოლოგიების დიზაინის აწყობის, დაგეგმვის, მომხმარებლისთვის მიწოდების, დანერგვის, კონტროლის და მუდმივი გაუმჯობესებისათვის. მოცემული პროცესები ისე უნდა განხორციელდეს, რომ IT სერვისები თანხვედრაში იყოს მომხმარებლის საჭიროებებთან. უფრო მეტად ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სხვა მიდგომების ნაცვლად, მაგ:ქსელების მართვა და სისტემების მართვა, IT სერვისების მართვა ხასიათდება მომხმარებლის საჭიროებებზე ფოკუსირებით და მათი მუდმივი გაუმჯობესების პროცესით.

IT სერვისების და ოპერაციების მართვა თანამედროვე მსოფლიოში ძალზედ აქტუალური საკითხია, რადგან კომპანიების უმეტესობას ჯერ კიდევ არ აქვს გამართული, თანამედროვე სისტემები, აქვს მხოლოდ სერვისები, რომლებიც გაბნეულია, არ არსებობს სერვისების სათანადო აღწერა სერვის კატალოგის სახით, საერთო გარემო, ტექნოლოგია, სადაც ყველა სერვისი იყრის თავს და არ არსებობს სათანადო მიდგომა, მეთოდოლოგია, რომელიც დანერგილია სერვისების მართვისათვის, თუმცა არის საჭიროება.

მნიშვნელოვანია ის, თუ რა ეტაპზეა კომპანია ამ თვალსაზრისით და გამოთქვამს თუ არა მზაობას, რომ IT სერვისების მართვის კუთხით დაიწყოს თანამედროვე ნაბიჯების გადადგმა და კონკურენტულ ბაზარზე წინა პლანზე დგომა.

კომპანიები იყენებენ IT სერვისებს, რათა გააუმჯობესონ ხარისხი როგორც მომხმარებლის ინტერფეისის კუთხით, ასევე შიდა სისტემების კუთხით, იმისათვის რომ უფრო სწრაფი და მოქნილი გახდეს კომუნიკაცია როგორც თანამშრომლებს შორის, ასევე თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის.

What is ITSM: https://freshservice.com/itsm

IT Service Management: https://en.wikipedia.org/wiki/IT_service_management

What is IT Service Management (ITSM): https://www.atlassian.com/itsm#:~:text=IT%20service%20management%20--%20often,be%20delivered%20as%20a%20se


გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ძალიან ბევრ კომპანიას აქვს პრობლემები IT სერვისებისა და ოპერაციების მართვის კუთხით, რაც რათქმაუნდა პირდაპირ აისახება მათ ეკონომიკურ მდგომარეობასა თუ ტექნოლოგიურ წინსვლაზე, გადავწყვიტეთ შეგვესწავლა კონკრეტული ბიზნეს-ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესი, არსებული პრობლემები და მოგვესინჯა მათი გადაჭრის გზები თანამედროვე მიდგომებით, მეთოდოლოგიებით და ტექნოლოგიებით.

საქართველოში, კონკრეტული ბიზნეს ორგანიზაციის მაგალითზე, მოხდა IT სერვისების მართვის კუთხით არსებული პრობლემების ანალიზი, შესწავლა და გადაწყვეტა.

აღნიშნულ ბიზნეს-ორგანიზაციას, კონფიდენციალობის დაცვის მიზნით არ დავასახელებთ.

ჩვენს მიერ შერჩეული კომპანიის ბიზნეს-პროცესი და არსებული პრობლემები იყო შემდეგი:

- ვერ ხერხდება IT ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების და ცვლილებების დაფიქსირება და მართვა ერთ საერთო გარემოში.
- ვერ ხერხდება ავტომატური და მუდმივი უკუკავშირი მომხმარებელთან
- IT სერვისების მართვისათვის საჭირო სრული რესურსები არ არის თავმოყრილი ერთ სივრცეში
- თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია არ არის ეფექტური
- IT სერვისების მართვისათვის საჭირო სრული დოკუმენტაცია არ არის თავმოყრილი ერთ სივრცეში
- ძალიან რთულია/თითქმის შეუძლებელია რეპორტინგის წარმოება IT სერვისების მართვის კუთხით
- ვერ ხერხდება თანაშრომლების მიმდინარე დავალებების კონტროლი ეფექტურად
- პროექტების მართვა ვერ ხორციელდება ეფექტურად



სურათი 1. ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესი (ITSM)

უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული ორგანიზაციისათვის განვსაზღვრეთ შემდეგი ეფექტურობის კრიტერიუმები:

1. ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების და ცვლილებების დაფიქსირების დრო
2. ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების და ცვლილებების მართვის დრო
- საკითხების ერთად თავმოყრის დრო
- პრიორიტეტების მინიჭების დრო
- თითოეულ საკითხზე მომხმარებლისთვის ფიდბექის დაბრუნების დრო
3. მომხმარებელთან უკუკავშირის დრო
4. თანამშრომლებს შორის კომუნიკაციისთვის საჭირო დრო
5. მომხმარებლების კმაყოფილების დონე
- მომხმარებლების პოზიტიური შეფასებების/უკუკავშირების რაოდენობა, ნეგატირუთან შედარებით
6. დოკუმენტაციის მოძიების დრო
7. მხარდაჭერის საკითხის ისტორიის მოძიების დრო
8. თანამშრომლების მიმდინარე დავალებების კონტროლის დრო
9. თანამშრომლის ერთ კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის დრო
10. რეპორტინგის წარმოების დრო
11. ადამიანური რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია
- მხარდაჭერის/საპროექტო გუნდის წევრების მიმდინარე სამუშაოების მოძიების დრო
- ახალი დავალებების პრიორიტეტების მიხედვით დალაგების დრო
- მხარდაჭერის/საპროექტო გუნდის წევრების თავისუფალი რესურსის შეფასების დრო
- მხარდაჭერის/საპროექტო გუნდის წევრებისთვის დამატებითი დავალებების განაწილების დრო
12. მხარდაჭერის/საპროექტო გუნდის ეფექტურობის ზრდა
- სამუშაოს მოძიების/კონტროლის/დახარისხების დრო
- სამუშაოს შესრულების დრო

- მომხმარებელთან/გუნდის წევრებთან კომუნიკაციის დრო

13. მხარდაჭერის პროცესის/საპროექტო დანახარჯების შემცირება

- საკითხების შესრულების დრო
- საკითხის შესრულების ხარისხი (იმ საკითხების რაოდენობა, რომლებიც გადავიდნენ დახურულიდან (Closed) "ხელახლა გაიხსნა" (Reopened) სტატუსზე)

14. მხარდაჭერის/საპროექტო ვადების კონტროლის დრო
15. მხარდაჭერის/საპროექტო გუნდების კმაყოფილების დონე

- გუნდის წევრების მიერ სამუშაო პროცესის პოზიტიური შეფასებების/უკუკავშირების რაოდენობა, ნეგატიურთან შედარებით

Assessing the Effectiveness of Research Organizations: An Examination of Multiple Approaches: https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0193841X9501900205?journalCode=erxb


მას შემდეგ რაც, შემოვიტანეთ ეფექტურობის კრიტერიუმები, შეგვიძლია დეტალურად ვისაუბროთ აღნიშნული ბიზნეს ორგანიზაციის, ზემოთ აღწერილი, იმ პრობლემების გადაჭრის გზებზე, რომლებიც მოისინჯა ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესიდან გამომდინარე.

მეთოდოლოგია

პირველ რიგში, პრობლემების გადაჭრის მიზნით, მოისინჯა ITIL (Information Technology Infrastructure Library) ფრეიმვორქი და მასზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა - Manage Engine Service Desk, რომელიც დღეს IT სერვისების მართვის კუთხით ყველაზე გამოყენებადი და წარმატებულია.


Manage Engine Service Desk-ში გარემოს მომზადება

თავდაპირველად მოხდა Manage Engine Service Desk Plus პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის სერვერზე განსათავსებელი საცდელი ვერსიის ჩამოტვირთვა შემდეგი ვებ-გვერდიდან - https://www.manageengine.com/ და ინსტალაცია, რომ შეგვეფასებინა მისი შესაძლებლობები. თუ ის ყველა იმ პრობლემას გადაჭრიდა, რაც ორგანიზაციას ჰქონდა IT სერვისების მართვის კუთხით, უკვე მოხდებოდა ლიცენზიის შეძენა და დანერგვა სრულ ორგანიზაციაში.




სურათი 2. Manage Engine Service Desk ჩამოტვირთვა

Manage Engine-ის ვებ-გვერდზე, მოცემულია შემდეგი პაკეტები:



სურათი 3. Manage Engine Service Desk პაკეტის შერჩევა


აღნიშნული პაკეტებიდან შეირჩა „Enterprise" პაკეტი, მისი ფართო შესაძლებლობების გათვალისწინებით და განხორციელდა სისტემის ინსტალაცია.



სურათი 4. Manage Engine Service Desk მთავარი გვერდი

სისტემის კონფიგურაცია/მორგება

სისტემის, ძირითადი მენიუს ადმინისტრირების ჩანართიდან - „Admin", განხორციელდა სხვადასხვა ფუნქციონალური მოდულების კონფიგურაცია იმგვარად, რომ ორგანიზაციისათვის ყოფილიყო მაქსიმალურად ოპტიმალური:



სურათი 5. Manage Engine Service Desk ადმინისტრირება

„ორგანიზაციული დეტალების" მოდულის კონფიგურაცია დანერგვა:

- ორგანიზაციის შესახებ საჭირო ინფორმაციის შევსება.
- IMAP (Internet Message Access Protocol) და SMTP (Simple Mail Transfer Protocol) კონფიგურაცია
- SMS (Short Message Service) სერვისის კონფიგურაცია/აქტივაცია.
- რეგიონების დამატება.

- ფილიალების/მომთხოვნების დამატება.
- სამუშაო საათების და დღეების მითითება.
- უქმე დღეების დამატება.
- ორგანიზაციაში შემავალი დეპარტამენტების დამატება.
- როლების დამატება: ტოპ მენეჯმენტის, რეგიონების, ფილიალების და დეპარტამენტების ჭრილში.

„მომხმარებლების მართვის“ მოდულის კონფიგურაცია-დანერგვა:

- სისტემაში, საჭირო როლებისა და უფლებების განსაზღვრა
- მომხმარებლების/ტექნიკოსების ფორმისთვის დამატებითი ველების განსაზღვრა
- მომხმარებლების კონფიგურაცია
- ტექნიკოსების კონფიგურაცია
- ჯგუფების კონფიგურაცია
- საკითხებზე ტექნიკოსის ავტომატური მიმაგრების რეჟიმის კონგიფურაცია
- AD (Active Directory)-სთან ინტეგრაცია
- LDAP (Lightweight Directory Access Protocol) სერვერიდან მომხმარებლების იმპორტი
- 9. შვებულების ტიპების განსაზღვრა

„მხარდაჭერის სისტემის მორგების“ მოდულის კონფიგურაცია:

- Category - ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების კატეგორიების და ქვე-კატეგორიების კონგიფურაცია
- Status - ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების სტატუსების კონფიგურაცია
- Level - ინციდენტის/სერვისული მოთხოვნის კომპლექსურობისა და სირთულის შესაფასებელი დონეების კონფიგურაცია
- Mode - ინციდენტის/სერვისული მოთხოვნის მიღების წყაროების კონფიგურაცია
- Impact - ინიდენტის/სერვისული მოთხოვნის ბიზნესზე ზეგავლენის შესაფასებელი საზომების კონფიგურაცია
- Urgency - ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების გადაჭრის სიჩქარის შესაფასებელი საზომების კონფიგურაცია
- Priority - ინციდენტებზე/სერვისულ მოთხოვნებზე მისანიჭებელი პრიორიტეტების სახეობების კონფიგურაცია
- Priority Matrix - პრიორიტეტების ავტომატურად განსაზღვრის სქემის კონფიგურაცია
- Request Type - საკითხის ტიპების კონფიგურაცია
- Worklog Type - ინციდენტებზე/სერვისულ მოთხოვნებზე დახარჯული დროის ტიპების კონფიგურაცია
- Task Templates - განმეორებადი საკითხების დაფიქსირების დროს გამოსაყენებელი/შესავსები შაბლონური ფორმების კონფიგურაცია
- Task Closing Rules - საკითხის დახურვის წესების კონფიგურაცია

- Notification Rules - სისტემაში არსებულ ყველა მოდულზე შეტყობინებების გაგზავნის/გამოტანის წესების და ფორმების კონფიგურაცია

„ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების“ მართვის მოდულის კონგიფურაცია-დანერგვა:

- Incident Template - ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების მზა განსხვავებული შაბლონური ფორმების კონფიგურაცია
- Field and Form Rules - სხვადასხვა შაბლონური ფორმებისათვის და/ან აღნიშნულ ფორმებში არსებული ველებისათვის საჭირო წესების გააქტიურება
- Incident-Additional Fields - ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების მზა შაბლონური ფორმებისთვის დამატებითი ველების განსაზღვრა
- Request Closure Mode - ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების დახურვის მიზეზობრივი ფაქტორების განსაზღვრა
- Request Closing Rules - ინციდენტების/სერვისული მოთხოვნების დახურვის დროს გასათვალისწინებელი აუცილებელი პირობების და წესების განსაზღვრა
- Resolution Template - ინციდენტების გადაჭრის დროს, მსგავსი გადაჭრის გზების შემთხვევაში გამოსაყენებელი, გადაჭრის მეთოდების შაბლონების განსაზღვრა
- Reply Template - მომხმარებლებისთვის/მომთხოვნებისთვის გასაგზავნი, განმეორებადი საპასუხო შაბლონური ფორმების განსაზღვრა
- Custom Triggers - პროგრამირების ელემენტების გამოყენებით, სისტემაში შემოსულ ინციდენტზე/სერვისულ მოთხოვნაზე კონკრეტული პირობების შემოწმების შემთხვევაში, სხვადასხვა მოქმედებების განხორციელება
- Chat Settings - სისტემაში, ჩეთის პარამეტრების კონფიგურაცი
- Request Life Cycle - ინციდენტების/მოთხოვნების სასიცოცხლო ციკლის შექმნა
- SLA (Service Level Agreements) - სერვისის დონის შეთანხმებების შექმნა

„პრობლემების და ცვლილებების მართვის“ მოდულის კონფიგურაცია-დანერგვა:

- Problem Closure Rules - პრობლემების ტიპის საკითხებისათვის სისტემაში დახურვის წესების განსაზღვრა
- Change Types - ცვლილების ტიპების კონფიგურაცია
- Risk - ცვლილების განხორციელებისას გასათვალისწინებელი შესაძლო რისკების შესაფასებელი დონეების განსაზღვრა
- Reason for Change - ცვლილების მიზეზების განსაზღვრა
- Change Advisory Board (CAB) - მრჩეველი საბჭოს შექმნა
- Change Roles - ცვლილების შესრულების პროცესში საჭირო როლების განსაზღვრა
- Change Stage - ცვლილების სასიცოცხლო ციკლის ეტაპების კონფიგურაცია
- Stage and Status - ცვლილების სასიცოცხლო ციკლში შემავალ თითოეულ ეტაპზე, ცვლილებაზე მისანიჭებელი შესაძლო სტატუსების კონგიფურაცია
- Change Workflow - ცვლილების სასიცოცხლო ციკლის კონგიფურაცია
- Change Template - ცვლილების შექმნისთვის საჭირო მზა განსხვავებული შაბლონური ფორმების კონფიგურაცია
- Change Closure Code - ცვლილების დახურვის შედეგების და მიზეზების კონფიგურაცია
- Change Closure Rules - სისტემაში ცვლილებების დახურვის წესების განსაზღვრა
- Change SLA - სერვისის დონის შეთანხმებების დამატება

„სერვისების კატალოგის მართვის“ მოდულის კონფიგურაცია-დანერგვა:

- Service Categories - IT სერვისების/მომსახურებების კატეგორიების განსაზღვრა
- Service Catalog - სერვისების კატალოგის შექმნა
- Field and Form Rules - ველების და შაბლონური ფორმების წესების განსაზღვრა
- Service Catalog – Additional Fields - სერვისების კატალოგში დამატებითი ველების განსაზღვრა
- Service Level Agreements - სერვისების კატალოგში არსებულ სერვისებზე/შაბლონებზე, შესაბამისი სერვისის დონის შეთანხმებების განსაზღვრა
- Service Catalog – Business Rules - სერვის კატალოგში შექმნილ სერვისებზე/შაბლონებზე, სხვადასხვა ბიზნეს წესების კონფიგურაცია

„პროექტების მართვის“ მოდულის კონფიგურაცია-დანერგვა:

- Project Types - პროექტის ტიპების განსაზღვრა
- Project Roles - პროექტში ჩართული როლების და მათი უფლებების განსაზღვრა
- Project Status -პროექტის სტატუსების განსაზღვრა
- Project Additional Fields - პროექტის შექმნის ფორმაში გამოსაყენებელი დამატებითი ველების განსაზღვრა
- Project Templates - პროექტის შექმნის შაბლონური ფორმების განსაზღვრა

შერჩეული კომპანიის პრობლემების გადაჭრის მიზნით, ზემოთ აღნიშნული ფრეიმვორქის და პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის მოსინჯვის დროს, გამოიკვეთა, რომ ისინი სრულად ვერ წყვეტდნენ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს.


კონკრეტულად კი, რჩებოდა პრობლემები, რომლებიც ვერ გადაიჭრა Service Desk Plus სისტემის პროექტების მართვის მოდულით:

- ყოველკვირეული სამუშაოს დაგეგმვის ოპტიმიზაცია და კონტროლი
- მიმდინარე შესასრულებელ საკითხებზე მოქნილი ხედვა
- საკითხების დასტატუსება მოქნილად
- პროექტში, თემატური იერარქიული დონეების ნაკლებობა
- მოქნილი რეპორტინგი
- პროექტის ჭრილში უფლებების მართვის მწირი ფუნქციონალი

Manage Engine Service Desk Plus – Admin Guide: https://download.manageengine.com/products/service-desk/help/ManageEngine_ServiceDeskPlus_8.1_Help_AdminGuide.pdf

დარჩენილი პრობლემების გადაჭრის მიზნით, მოისინჯა პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა - JIRA Software, რომელიც დღეს არის ძალიან წარმატებული და პოპულარული სისტემა პროექტების მართვის კუთხით, განხორციელდა:

- სისტემის ინსტალაცია და კონფიგურაცია
- SMTP სერვერთან ინტეგრაცია
- AD (Active Directory)-სთან ინტეგრაცია




სურათი 6. Jira-ს პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა


What is Jira used for: https://www.atlassian.com/software/jira/guides/use-cases/what-is-jira-used-for#Jira-for-requirements-&-test-case-management

ასევე, განხორციელდა Manage Engine Service Desk Plus და JIRA Software-ის ინტეგრაცია, შემდეგი მიზნობრივი ჭრილების გათვალისწინებით:

- დავალებების დელეგირება ერთი სისტემიდან მეორეში
- შეტყობინებების, საუბრის ჩანაწერების, ჩანიშვნების, მეილების, თანდართული ფაილების და ფოტოების გაგზავნა სისტემებს შორის
- რეპორტებისა და სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა დონის მხარდაჭერის ჯგუფებსა და საპროექტო გუნდებს შორის



სურათი 7. Service Desk Plus -დან Jira Software-ში საკითხის დელეგირება



სურათი 8. Jira Software-ში შესაბამისი პროექტის მითითება

Jira Integration: https://www.manageengine.com/products/support-center/help/adminguide/api/jira-integration.html

დასკვნა

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ITIL მეთოდოლოგიის გამოყენებამ და Service Desk Plus პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის დანერგვამ, კომპანიის IT სერვისების მართვის კუთხით მიმდინარე პროცესებს თავი მოუყარა ერთ საერთო გარემოში, ასევე JIRA-ს პროგრამული უზრუნველყოფის სისტემამ საშუალება მისცა საპროექტო გუნდებს, რომ დაეგეგმათ ყოველკვირეული სპრინტები და ამ ჭრილში მათ გამოიყენეს Agile (SCRUM) ფრეიმვორქი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული კვლევა კვლავ მიმდინარეობს, თუ როგორ გაუმჯობესდა ორგანიზაციის ბიზნეს პროცესი იმ ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომლებიც ამ კონკრეტული ბიზნეს-ორგანიზაციისთვის შემოვიტანეთ, კვლევის შემდეგი ეტაპის ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა

What is ITSM: https://freshservice.com/itsm

IT Service Management: https://en.wikipedia.org/wiki/IT_service_management

What is IT Service Management (ITSM): https://www.atlassian.com/itsm#:~:text=IT%20service%20management%20--%20often,be%20delivered%20as%20a%20se

Assessing the Effectiveness of Research Organizations: An Examination of Multiple Approaches: https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0193841X9501900205?journalCode=erxb

Manage Engine Service Desk Plus – Admin Guide: https://download.manageengine.com/products/service-desk/help/ManageEngine_ServiceDeskPlus_8.1_Help_AdminGuide.pdf

What is Jira used for: https://www.atlassian.com/software/jira/guides/use-cases/what-is-jira-used-for#Jira-for-requirements-&-test-case-management

Jira Integration: https://www.manageengine.com/products/support-center/help/adminguide/api/jira-integration.html

დაუდ ხანი საქართველოს შვილი თუ ერაყის გამგებელი

Madona Kebadze
Iakob Gogebashvili Telavi State University, Georgia

ერთ-ერთ ისეთებს შორის, ვინც ტყვეებით მოვაჭრე აბრაგებმა საქართველოდან გაიტაცეს, ოსმალეთში გაყიდეს, იქ დაწინაურდა, ერაყის გამგებელი გახდა და ბოლოს მთელი იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარედაც დასვეს, იყო ქართლელი მამლუქი, გლეხის ბიჭი დავითი (მანველიშვილი—1767-1851წწ.), რომელიც მაჰმადის რჯულზე მოქცევის შემდეგ ოსმალო ვაჭრებმა დაუდად მონათლეს.

საკვანძო სიტყვები: დავითი, ტყვეები, საქართველო, იმპერია

Daoud Khan is the Son of Georgia or the Governor of Iraq

Daud Pasha The same Daud Khan (1767-1851) was kidnapped as a child by lead traders and sold to the Ottomans. Hit Pasha of Baghdad with Suleiman Buyuk, who sent him to a Mamluk school. After graduating from high school he held various positions. Whether or not he became the ruler of Iraq, he surrendered to the Ottoman sultan and pursued an independent domestic foreign policy. Buried next to Caliph Osman

Keywords: David, Captives, Georgia, Empire

მსოფლიო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი საქართველო და მისი მრავალსაუკუნოვანი და მრავალტანჯული ისტორია. სად არ მოხვედრილა ქართველი კაცის გონება, დიპლომატია, სიქველე, მისი ვაჟკაცობა და მარჯვე მკლავის ოსტატობა (გადავავლოთ თვალი საქართველოს თუ მსოფლიო ისტორიას). ქართველები არ ზოგავდნენ თავიაანთ შესაძლებლობებს, ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ თავიაანთი შესაძლებლობანი და ამით მტრისთვის თუ მოკეთისთვის გაეცნოთ საქართველო და ქართველი ერი.

იშვიათად მოინახება დედამიწაზე სხვა ერი, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე იმაზე მეტი ჭირ-ვარამი გადაეტანოს, რამდენიც მადლიანი ქართული მიწა-წყლის შვილებმა განიცადეს.

საქართველოსა და მისი ხალხის დასამორჩილებლად ძველი დროიდან მოყოლებული XIX ს-ე ერთმანეთს ცვლიდნენ და ეცილებოდნენ რომაელები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თურქ-სელჩუკები, ხვარაზმელები, მონღოლები, თურქმანები და ყიზილბაშები. მომხდურთა მრავალრიცხოვანი ურდოების გამუდმებული შემოსევა ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში XVI-XVIII სს. როცა მონღოლ-თურქმანთა ლაქრობების შედეგად ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ-დასუსტებული საქრთველო თურქეთისა და ყიზილბაშური ირანის საცილობელ ქვეყანად, მათი დაპყრობის უშუალო ობიექტად იქცა. ეს ორი სახელმწიფო სამი საუკუნის მანძილზე იპყრობდა ამ ქვეყანას და მის დასამორჩილებლად ფართოდ იყენებდა დათრგუნვის ყველა ფორმას. მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდებოდა. ოსმალობისა და ყიზილბაშობის დასაწყისში საქართველოს კიდევ ერთი საშინელი სენი დასჩემდა. ეს იყო "ტყვის სყიდვა". უცხოეთში ტყვედ წაყვანილ, გაყიდულ თუ თავისით გარდახვეწილ აურაცხელ ქართველთაგან მხოლოდ ზოგიერთს თუ ხვდებოდა წილად სამშობლოში დაბრუნების ბედნიერება, თორემ დანარჩენნი სამუდამოდ იქ რჩებოდნენ და სხვას მსახურობდნენ. ჩვეულებრივ სულთნების, შაჰების, ბეგლარ-ბეგების, ფაშებისა და ბეგების შეიარაღებულ რაზმებს თუ ჰარამხანებს ამშვენებდნენ. აქ იწყებოდა მათი მეორე ცხოვრება, ნამდვილად მძიმე, მონური, რომელიც ტიპიური მონათმფლობელური წყობილების დროს არსებული წესებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ თუ მაშინ მონა მონადვე უნდა მომკვდარიყო, ახლა უკვე, დღევანდელი მონა, ხვალ შეიძლება სხვისი ბატონი და ქვეყნის პატრონიც გამხდარიყო, რადგან მისი უფლებრივი თუ თანამდებობივი მდგომარეობა ბევრად იყო დამოკიდებული მისსავე პირად ღირსებებზე: ჭკუა-გონებაზე, ვაჟკაცობაზე, პატრონისადმი ერთგულ სამსახურზე, თვადადებაზე. ამიტომ ოსმალეთში და ირანში

მოხვედრილი ქართველების მეტი წილი ამ ღირსებების წყალობით სწრაფად აღწევდა თავის მონურ მდგომარეობას. მალე წინაურდებოდა და ბევრი მათგანი მსხვილი ბეგი, ბეგლარ-ბეგი, ფაშა ან სულთანი ხდებოდა.

ერაყი სხვა არაბულ ქვეყნებთან ერთად XVI ს-ის I ნახევარში თურქ-ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოექცა (1534-1538წწ.). რაც შეეხება მამლუქების ბატონობას ერაყში, პირველი მამლუქები (მამლუქი არაბული სიტყვაა და ითარგმნება მამელუქი ანუ მამლუქი (მამელუკ, მამლუკე). იგი იყო მონა ჯარისკაცი, რომელიც მოქცეული იყო ისლამზე, ემსახურებოდნენ მუსლიმან ხალიფებს და აიბიდების სულთნებს შუა საუკუნეებში. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ისინი გახდნენ ძლიერი სამხედრო ფენა, უფრო მეტიც მათ მოახერხეს ძალუფლების აღება, რომლებიც მსახურობდნენ აბასიდი ხალიფების დროს IX ს-ში. აბასიდებმა მათგან მხოლოდ ახალწვეულები მოიწვიეს კავკასიიდან (ყირგიზები და ქართველები), შავი ზღვის ჩრდილოეთიდან (უმთავრესად თურქები, უფრო მეტად ყივჩაღი თურქები), მათგან უმეტესი არამუსლიმი იყო. მამლუქებს ხშირად იტაცებდნენ მონებით მოვაჭრენი. მამლუქთა სისტემამ მოგვცა შეიარაღებული ლაშქარი, რომელიც არ იყო დაკავშირებული რომელიმე მმართველობის სტრუქტურასთან. ისინი უფრო ერთგულნი იყვნენ ადგილობრივი ტომის შეიხების, მათი ოჯახების ან წარჩინებული პირებისადმი, გარდა სულთნებისა და ხალიფებისა. მამლუქთა რაზმის ხელმძღვანელები, კომანდირები--- ხშირად გამოდიოდნენ არსებული წყობის წინააღმდეგ. მათთან ანგარიშის გასწორება არცთუ ადვილი იყო. მამლუქთაგან შემდგარი ჯარი წარმოადგენდა დაბალი სტრუქტურის მქონე ობიექტს, რომელიც ვერ გაიბრძოლებდა ადგილობრივი მმართველობის წინააღმდეგ და შესაბამისად ადვილი იყო მათი დასჯა სამხედრო დავალების შესრულების საფასურად. მალუქები ხშირად იყვნენ როგორც დაქირავებული ჯარისკაცები, რომლებსაც უხდიდნენ თანხას.

მამლუქთა კორპუსი ერაყში პირველად ჩამოყალიბდა 1702 წელს, ბაღდადის ფაშა ჰასანის დროს. 1747 წლიდან 1831 წლამდე ერაყს მართავდნენ ქართული წარმოშობის ოფიცრები, რომლებმაც მოახერხეს ავტონომია, გამოყოფა მაღალი პორტადან, შეასუსტეს იანიჩრების ძალაუფლება, აღადგინეს წესრიგი და საფუძველი ჩაუყარეს ახალი პროგრამის შემუშავებას, ეკონომიკისა და შეიარაღების მოდერნიზაციას.

ერთ-ერთ ისეთებს შორის, ვინც ტყვეებით მოვაჭრე აბრაგებმა საქართველოდან გაიტაცეს, ოსმალეთში გაყიდეს, იქ დაწინაურდა, ერაყის გამგებელი გახდა და ბოლოს მთელი იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარედაც დასვეს, იყო ქართლელი მამლუქი, გლეხის ბიჭი დავითი (მანველიშვილი—1767-1851წწ.), რომელიც მაჰმადის რჯულზე მოქცევის შემდეგ ოსმალო ვაჭრებმა დაუდად მონათლეს.

დაუდი სულ პატარა გამოეთხოვა სამშობლოს: ხუთი თუ ექვსი წლის ბავშვი ტყვიით მოვაჭრე მარბიელებმა მოიტაცეს და ოსმალეთში წაიყვანეს. იქ დავითმა რამდენიმე პატრონი გამოიცვალა. ბოლოს სხვა თავის სხვა თანამემამულეებთან ერთად ბაღდადში მიიყვანეს. ალ-ჰალვანის ცნობით, ბაღდადის ტყვეთა ბაზარზე გასაყიდად მიყვანილი 11 წლის დავითი მუსტაფა არ-რაბ ბეგს შეუძენია და ერაყის გამგებელ სულეიმან ფაშა ბუიუქისათვის მიურთმევია. სულეიმან ფაშამ კი რჯულ გამოცვლილი, დაუდად მონათლული დავითი თავის მფარველობაში აიყვანა და მამლუქთა სასწავლებელში ჩააბარა. აქედან იწყება მისი ახალი პერიოდი.

მამლუქთა სასწავლებელის კურსდამთავრებულ დაუდს სულეიმან ფაშა ბუიუქმა ჯერ თავისუფლება მიანიჭა და ბეჭდის მცველად დანიშნა, ხოლო შემდეგ (დაახ. 1801წ.), 27 წლისას საფაშოს ხაზინა ჩააბარა და ცოლად თავისი ქალიშვილი შერთო.

ფაშასთან ნათესაური კავშირი და მაღალი თანამდებობა დაუდს უფლებას ანიჭედბდა ყოფილიყო ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი და 1802 წელს, როცა მძიმე ავადმყოფობით შეპყრობილ სულეიმან ბუიუქს საფაშოს მართვის უნარი საბოლოოდ წაერთვა, დაუდმა კიდევაც სცადა ხელისუფლების სათავეში მოქცევა, მაგრამ მან მიზანს ვერ მიაღწია. სიკდილის მოახლოება რომ იგრძნო, სულეიმანმა "დივანი" მოიწვია და საფაშოს გამგებლად თავისი უფროსი სიძე ქაჰაია ჰაფიზ ალი დანიშნა.

ჰაფიზ ალისთან დაუდუ ვერ იყო კარგ მდგომარეობაში. ალი ფაშა თავის ქვისლ დაუდში სერიოზულ მეტოქეს ხედავდა. ამიტომ ახალი გამგებლის მხრივ მოსალოდნელი ხიფათის ასაცილებლად დაუდმა 1803 წელს თავი გაანება საერო სამსახურს და საუსლიერო სფეროში დაიწყო მოღვაწეობა.

1807 წელს ჰაფიზ ალი ფაშას დაღუპვის შემდეგ დაუდი საერო სამსახურს დაუბრუნდა და საფაშო ხელისუფლების თანამდებობაზე მუშაობდა.

1817 წლის 22 თებერვალს დროებით წასული დავიდი ბაღდადში დაბრუნდა. მან მეტად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო.

დაუდ ფაშას მიზნად ჰქონდა დასახული ერაყის გაერთიანება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. ამიტომ, დაიკავა თუ არა გამგებლის პოსტი, მაშინვე შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას და მნიშვნელოვანი ღონისიებების გატარებას. პირველ რიგში მან თავი მოუყარა სწავლულებს, დიდებულებს, ჯარის წარმომადგენლებს, ქალაქის შეძლებულებს და შეადგინა დიდი დივანი, ანუ დიდი საბჭო, მთავრობა. თითოეულ მათგანს დაურიგა გარკვეული ფორმის ტანსაცმელი იმისდა მიხედვით, თუ ვის რა თანამდებობა ეკავა. შემდეგ შეკრიბა მოსახლეობა და გააცნო მათ მიღებული ღონისძიებები. ფულით, საჩუქრებითა და დაპირებებით, ერაყის ახალმა გამგებელმა თავის მხარეზე დარაზმა ჯარი და მოსახლეობა, განსაკუთრებით სასულიერო წოდება. ასეთი ღონისძიებებეით დაუდ ფაშამ საკმაოდ განიმტკიცა მდგომარეობა საფაშოს დედაქალაში და დაიწყო მისდამი მტრულად განწყობილი ელემენტების დასჯა.

დაუდ ფაშა ბევრ რამეში მუჰამედ ალი ეგვიპტელს (ეგვიპტის ფაშა 1805-1849წწ.) ბაძავდა. მის მსგავსად ატარებდა რიგ სამხედრო, ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და სხვა ხასიათის რეფორმებს.

უკანასკნელ მამლუქთა ლიდერმა დაუდმა შეიმუშავა ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა არხების გასუფთავებას, მრეწველობის დანერგვას, 200000 არმიის გაწვრთნას, ბეჭდვითი საქმის განვითარებას.

1834 წელს დაუდი ბოსნიის გამგებლად დანიშნეს. ბოსნიასი დაუდმა 2 წელი დაჰყო. 1838-1839 წლებში იგი სტამბოლოშია, ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარის თანამდებობაზე. იქიდან ის 1839 წელს გადაჰყავთ ანკარის ვილაიეთის (ვილაიეთი---ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული) გამგებლად. 1841 წელს თავს ანებებს საერო სამსახურს და 1845 წელს სულთან აბდ ალ-მაჯიდს (18 –1861 წწ.) სთხოვს ნებართვას მუსლიმთა წმინდა ქალაქებში წასასვლელად, რათა იქ დაასრულოს თავისი სიცოცხლე. სულთანმა დაუდს თხოვნა შეუსრულა. 1846 წელს შეიხ ულ-ჰარამის (ასე იწოდებოდა მუჰამედ წინასწარმეტყველის აკლდამის ზედამხედველი) თანამდებობაზე დანიშნა და ქ. მედინაში გააგზავნა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, დაუდი, რომელიც უკვე 70 წელს გადაცილებული იყო, მედინაში ენერგიულად მოღვაწეობდა. წინასწარმეტყველის აკლდამის თანამდებობასთან ერთად იგი დიდად ზრუნავდა ქალაქის კეთილმოწყობაზეც. მედინის ერთ-ერთ გარეუბანში, აინზერგას წყაროს ახლოს, მან გააშენა მშვენიერი ბაღი, რომელიც შემდეგ "დადაუდიე"ეწოდა. ეს იყო მისი უკანასკნელი საქმიანობა. 1851 წელს დაუდი გარდაიცვალა და დასაფლავებულია იქვე, მართლმორწმუნე ხალიფა ოსმანის საფლავის პირდაპირ.

გარდაცვალების წინ დაუდმა თავის მედინელ თანამოსაქმეებს ანდერძი დაუოვა, სიკვდილის შემდეგ მისთვის ძვირფასი ძეგლი არ აეგოთ. მიუხედავად, იმისა, რომ ის თავის დროს ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო და მართლმორწმუნე ხალიფების გვერდით განისვენებს, საფლავს ძვირფასი ნაგებობის ნაცვლად უბრალო რკინის ღობე აქვს შემოვლებული. სამაგიეროდ დაუდმა ძვირფასი ძეგლი დაიდგა თავისი ენერგიული და მრავალფეროვანი მოღვაწეობით. ის იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მოქნილი ჭკუა-გონებისა და უაღრესად კეთილშობილური აღნაგობის ადამიანი, ფრიად განსწავლულ-განათლებული, მბეჭდავი, გამომცემელი და დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი პიროვნება. მან ბაღდადის საფაშოში გატარებული სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სავაჭრო, კულტურული და სამხედრო ხასიათის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებებით ერაყი აღმავლობის გზაზე დააყენა. მხოლოდ ასეთ პიროვნებაზე შეიძლება ეთქვა თანამედროვეს, რომ "ის იყო დიდი ადამიანი, სწავლულთა მეთაური, მებრძოლი პიროვნება. შესანიშნავად იცოდა სამი ენა, პოეზია და პროზა. მშვიდობის დროს იყო მხიარული და მჭერმეტყველი, ხოლო ბრძოლაში უმამაცესი. სიკეთესა და თავმდაბლობაბში ბადალი არ ჰყავდა."

მაშასადამე, დაუდს საქართველოში დაბადებულს, უცხოეთში გაზრდილს და დავაჟკაცებულს, არ ჰღირსებია თავის სამშობლოში დაბრუნება. მითუმეტეს მისი ნეშტი უცხო ცის ქვეშ განისვენებს. მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოსადმი სიყვარულის ნაპერწკალი მის გულში არასოდეს არ გამქრალა.

კაცს რომ სამშობლო უყვარდეს, გასაკვირია არაფერია, მაგრამ დაუდს საქართველოს მდგომარეობა და მისის ბედ-იღბალი სხვა მხრივაც აინტერესებდა. მისთვის, როგორც წინამორბედი მამლუქი ფაშებისათვის საქართველო სამშობლოს გარდა, იყო კიდევ ის ქვეყანა, საიდანაც თავისი ენერგიული სამხედრო

რაზმებისათვის (საფაშო ხელისუფლების კართან არსებული ქართული გვარდიისათვის) სისტემატიურად ღებულობდა საიმედო შევსებას ტყვეთა სახით.

დაუდის ყურადღებას საქართველო, გარდა აღნიშნულისა, კიდევ იმიტომაც იპყრობდა, რომ მას საქართველოში ჰყავდა მშიბლები, ძმები, დები და ნათესავები. მახლობელ თუ შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში სავაჭფოდ წასული ქართველი სოვდაგრები, როცა კი ერაყის კარზე გაივლიდნენ, უსათუოდ ბაღდადში შეჩერდებოდნენ ხოლმე და დაუდს ეწვეოდნენ. (აქედან დასკვნა, რომ დაუდი, წარმოშობით ქართველი, ერაყის გამგებელი, ერთ-ერთი ძლიერი ხელისუფალი, მეტად ავტორიტეტული და ყველასთვის ცნობადი სახეა---მ.ქ.). ასეთებს შორის ყველაზე ხშირი სტუმრები იყვნენ ძმები ზუბალაშვილები, კერძოდ კი ანდრია ზუბალაშვილი, რომლის მეშვეობით მან შეოტყო თბილისში საცხოვრებლად გადმოსული თავისი მშობლების ზუსტი მისამართი და წერილობითი ურთიერთობა დაამყარა მათთან. ანდრია ზუბალაშცვილი იყო აგრეთვე დაუდის ძმების, შიოსა და დიმიტრის მეგზური 1818 წელს, როცა ძმის ფაშად გახდომის ამბავი შეიტყვეს და მასთან დაკავშირებით სანახავად ბაღდადს გამგზავრება გადაწყვიტეს.

ყოველივე ზემოთთქმულის შემედეგ, ისმება კითხვა---და მაინც ვინ იყო დაუდ ხანი, იგივე დაუდ ფაშა---საქართველოს შვილი თუ ერაყის გამგებელი? დაუდ ხანი--ეს იყო საქართველოს შვილი, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ, ანდა ცხოვრებიდან გამომდინარე თუ ბედის უკუღმა ტრიალის გამო მან თავისი სიცოცხლე უცხო ქვეყანაში გაატარა. მერედა სულიერი ცხოვრების რა სფეროში არ გამოავლინა დაუდმა ქართველი კაცის ნიჭის ბრწყინვალება, ძირძველი ჯიშის კეთილდღეობა, რაინდობა, პოლიტიკა იქნებიდა თუ ხელოვნება. მიუხედავად თავისი დაბალი სოციალური წარმოშობისა, საკმაოდ დიდი სახელი მოიხვეჭა ახლო აღმოსავლეთში. ალბათ ეს არც არის გასაკვირი. ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან შეგვიძლია მრავლად დავასახელოთ ის ქართველები, რომლებიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების სათავეში იყვნენ და საკმაოდ ძლიერი ხელისუფალნიც აღმოჩნდნენ და ავტორიტეტულნიც იყვნენ. (ჩვენ აქ არ შევეცდებით დავასახელოთ ასეთი პიროვნებანი, ეს მკითხველისთვის მიგვინდვია---მ. ქ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანელიძე დ. , სილაგაძე ბ. , ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ. 1967.
2. სილაგაძე ბ. , ერაყი მამლიქთა გამგებლობის ხანაში, თბ. 1978.
3. დონაძე ვ. , აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი ისტორია, თბ. 1971.
4. country studies/ iraq/18. htm.
5. en. wikipedia. org./wiki/ Mamluks.
6. au. encart.com/enciklobedia_761567303_9/Iraq.html-30k.

საუფლო ლოცვის აღქმა XVIII-XIX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში (დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი)

Nestan Sulava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ლოცვა ლიტურგიული და მისტიური მოვლენაა, რომლის საშუალებით მყარდება ღმერთთან კავშირი, იგი მოსალოდნელ შედეგსაც წინასწარვე მიანიშნებს. ლოცვისას აუცილებელია ეთიკურისა და მისტიურის, ანუ ჭვრეტითის შეხამება, ჰარმონიულობა. მისტიურობა, ანუ ჭვრეტითობა ზებუნებრივი მდგომარეობაა, სულიერების კატეგორიაა, მეტაფიზიკურ სფეროს მოიცავს. ღმერთი მხოლოდ სულიერ წმინდა ლოცვას შეიწყნარებს, რომელიც ადამიანის სულს ანათებს, სიკეთით მსჭვალავს. ლოცვა ადამიანს ქველმოქმედებით ასულიერებს. ლოცვას შედეგად ღრმა სულიერი სიმშვიდე და ფიზიკური გაძლიერება მოაქვს, რადგან იგი სულს განწმენდს პატიჟთაგან, ვნებათაგან. წმინდა გულით ლოცვისას ადამიანი მარადიულ სიკეთეს ეუფლება და ღმერთის შემწეობაც მისკენაა, რათა ბოროტისაგან იქნას დაცული; ღმერთი ადამიანის წმინდა ლოცვას შეისმენს. ლოცვას ადამიანის მომავალი საქმიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ლოცვა მრავალგვარია, მათ შორის განსაკუთრებულია სახარებისეული საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“, რომელიც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში სხვადასხვა დროს მრავალგზისაა განმარტებული წმიდა მამების მიერ, კერძოდ, წმ. იოანე ოქროპირის, ნეტარი ავგუსტინეს, წმ. თეოფილაქტე ბულგარელის ეგზეგეტიკურ შრომებში. განმმარტებელთა მიზანი ის იყო, რომ საუფლო ლოცვის საღვთო სიბრძნე და სწავლება უკეთ საწვდომი და გასაცნობიერებელი გაეხადათ მრევლისათვის. ყურადღებას იქცევს ქართულ ჰიმნოგრაფიაში საგალობლად გარდასახული ეს ლოცვა. კერძოდ, იოანე მინჩხმა ტექსტის მცირეოდენი შეცვლით, - ზოგი სიტყვის შეცვლით და ზოგის დამატებით, ფაქტობრივად, საგალობლის სახით ახალი ვერსია შექმნა „მამაო ჩვენოს“ თემატიკასა და მოტივებზე. „მამაო ჩვენოს“ თემა და სახისმეტყველება ქრისტიანული რელიგიის უპირველესი ლოცვისაგან განსხვავებული მიზანდასახულობით გამოიყენეს დავით გურამიშვილმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, რომლებმაც თავიანთი ჩანაფიქრი მკითხველსა თუ მსმენელს „მამაო ჩვენოს“ მოტივებზე ამცნეს. ესენია: დავით გურამიშვილის „ლოცვა, ოდეს დავითს ტყვეობასა შინა მოშივდა და ღმერთს პური სთხოვა“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“, ილია ჭავჭავაძის „ლოცვა“. მათგან განსხვავებულია აკაკი წერეთლის „ზოგიერთების „მამაო ჩვენო“, თუმცა მიზანდასახულობა აქაც იგივეა, რაც საუფლო ლოცვასა და დასახელებულ პოეტურ ნაწარმოებებში. სახარებისეული საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“ მსჭვალავს და საფუძვლად ედება პოეტურად წარმოთქმულ და მხატვრულად გააზრებულ ყველა იმ ლოცვას, რომელსაც მოხსენებაში განვიხილავ. მოხსენების მიზანია ამ ლექს-ლოცვათა საუფლო ლოცვასთან მიმართების, ერთმანეთთან მიმართებისა და ცალკეული ავტორის ინდივიდუალური აღქმის განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: ლოცვა, მისტიურობა, ჭვრეტითობა, ადამიანი

Understanding of God’s Prays in XVIII-XIX Century’s Georgian Literature

Praying is the process of liturgy and mystics which helps people to communicate with the God. It means the results just before it. It is necessary to be harmony of the ethics and mystics during praying. Mystical thinking is the heaven position, it is the category of spiritual life and consist metaphysical sphere. God will be tolerate only spiritual pray which will light the soul of the human and will enlighten him or her with the kindness. Praying make person full of the charity and will give the spiritual and physical power to the prayer. It will clear the spirit from pain. After praying from the heart human will get eternal kindness and the God will follow him just to save him or her from devil. Praying plays great role in the successful work of the human. There are different type of pray bur the most important one is pray from the New Testament so called pray for the God which was explained by the theological authorities in a different ways in the different period of time several times. It was explained by the Saint Joan Xrisostomos, St. Augustine of Hippo, Saint Teopilakte Bulgarian works. The aim of those explanation was to make clear and understandable for prayers. It is importance to pay the attention to this pray in Georgian hymnography, it is like a hymn in Georgian hymnography. Joan Minchkhi made different text by adding and updating some words in the text with different motifs and theme. In Georgian the theme and the motif from the pray were used in a different ways by Davit Guramishvili, Nikoloz Baratashvili, Ilia Tchavtchavadze, Aakaki Tsereteli and they tried

to talk with their readers by using the words from the pray for the God. Those are: “Pray during being imprisoned and he felt hungry and asked for the bread to the God” by Davit Guramishvili. “My Pray” by Nikoloz Baratashvili, “Pray” by Ilia Tchavtchavadze and “Peculiar’s Father of Us” by Akaki Tsereteli.In his two stories “Pray during being imprisoned and he felt hungry and asked for the bread to the God” and “Praying to the Trinity: to show the way for Davit” Davit Guramishvili show us the process of begging to the God, hope to the God, his feelings, emotions arise during being imprisoned and tendency to stream to the future by using the text from the pray for the God. Both poetries are written with the emotion of the author as he said during he felt hungry in prison, both texts have note “iambiko” but none of them have the form of this style, both of them are the samples of hymns. “My Pray” written by Nikoloz Baratshvili had the same interpretation as the pray for the God so called “God of Us”. In this poetry there are given the emotion of the authors feeling himself sinful. It is looks like begging to the heaven, like private emotion, sadness, hope to the God, belief and love. Authors ask to the God to listen to his requests and to save him from the devil, he reminds to the God first sin of Adam who was forgiven for his sin and was given the heaven life. Author asks to the God to forgive him for the reason that the God knows everything about the human. We do not need to talk too much, even being calm is considered as praying to the God and it makes us to feel the aesthetic phenomena of silence. The poetry of Nikoloz Baratashvili is the sample of spiritual purification, how can he reach the Asention. Ilia Tchavtchavadze’s poetry follows to the pray of the God “God of Us” and it was mentioned several times in scientific works, but there are some differences. Genuflected author remarks on some components of the meaning of the pray: humans care must be spiritual future, spiritual subsistence which is more difficult to find then finding subsistence for the flash. God must forgive to everyone and everyone must be able to forgive to others, even to the enemies. This pray given by Ilia Tchavtchavadze is the sample of spiritual pray empty for material requests: “no wealth, no glory I need” because it will insult the meaning of the pray. Author asks not only to love of relations but love of the enemies. “Peculiar’s Father of Us” by Akaki Tsereteli differs from the style of the poetries of Davit Guramishvili, Nikoloz Baratshvili and Ilia Tchavtchavadze, it must be said that it is the contrast of them by form and motif. Gives us the information from the author in a different way. Pray for the God “God of Us” from the New Testament is the base for all poetry which are given in our speech. The aim of our work is to identify individual needs of the authors given by their poetries and also attitude of those poetries to the pray of the God “God of Us”.

Keywords: prayer, mysticism, contemplation, man

ლოცვა ლიტურგიული და მისტიური მოვლენაა, რომლის საშუალებით მყარდება ღმერთთან კავშირი, იგი მოსალოდნელ შედეგსაც წინასწარვე მიანიშნებს. ლოცვისას აუცილებელია ეთიკურისა და მისტიურის, ანუ ჭვრეტითის შეხამება,▪ ჰარმონიულობა. მისტიურობა, ანუ ჭვრეტითობა ზებუნებრივი მდგომარეობაა, სულიერების კატეგორიაა, მეტაფიზიკურ სფეროს მოიცავს. ღმერთი მხოლოდ სულიერ წმინდა ლოცვას შეიწყნარებს, რომელიც ადამიანის სულს ანათებს, სიკეთით მსჭვალავს. ლოცვა ადამიანს ქველმოქმედებით ასულიერებს. ლოცვას შედეგად ღრმა სულიერი სიმშვიდე და ფიზიკური გაძლიერება მოაქვს, რადგან იგი სულს განწმენდს პატიჟთაგან, ვნებათაგან. წმინდა გულით ლოცვისას ადამიანი მარადიულ სიკეთეს ეუფლება და ღმერთის შემწეობაც მისკენაა, რათა ბოროტისაგან იქნას დაცული; ღმერთი ადამიანის წმინდა ლოცვას შეისმენს. ლოცვას ადამიანის მომავალი საქმიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ლოცვა მრავალგვარია, მათ შორის განსაკუთრებულია სახარებისეული საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“, რომელიც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში სხვადასხვა დროს მრავალგზისაა განმარტებული წმიდა მამების მიერ, კერძოდ, წმ. იოანე ოქროპირის, ნეტარი ავგუსტინეს, წმ. თეოფილაქტე ბულგარელის ეგზეგეტიკურ შრომებში. განმმარტებელთა მიზანი ის იყო, რომ საუფლო ლოცვის საღვთო სიბრძნე და სწავლება უკეთ საწვდომი და გასაცნობიერებელი გაეხადათ მრევლისათვის. ყურადღებას იქცევს ქართულ ჰიმნოგრაფიაში საგალობლად გარდასახული ეს ლოცვა. კერძოდ, იოანე მინჩხმა ტექსტის მცირეოდენი შეცვლით, - ზოგი სიტყვის შეცვლით და ზოგის დამატებით, ფაქტობრივად, საგალობლის სახით ახალი ვერსია შექმნა „მამაო ჩვენოს“ თემატიკასა და მოტივებზე. „მამაო ჩვენოს“ თემა და სახისმეტყველება ქრისტიანული რელიგიის უპირველესი ლოცვისაგან განსხვავებული მიზანდასახულობით გამოიყენეს დავით გურამიშვილმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, რომლებმაც თავიანთი ჩანაფიქრი მკითხველსა თუ მსმენელს „მამაო ჩვენოს“ მოტივებზე ამცნეს. ესენია: დავით გურამიშვილის „ლოცვა, ოდეს დავითს ტყვეობასა შინა მოშივდა და ღმერთს პური სთხოვა“, ნიკოლოზ ბარათაშვილის `ჩემი ლოცვა~, ილია ჭავჭავაძის „ლოცვა“. მათგან განსხვავებულია აკაკი წერეთლის `ზოგიერთების „მამაო ჩვენო“, თუმცა მიზანდასახულობა აქაც იგივეა, რაც საუფლო ლოცვასა და

დასახელებულ პოეტურ ნაწარმოებებში. სახარებისეული საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“ მსჭვალავს და საფუძვლად ედება პოეტურად წარმოთქმულ და მხატვრულად გააზრებულ ყველა იმ ლოცვას, რომელსაც მოხსენებაში განვიხილავ. მოხსენების მიზანია ამ ლექს-ლოცვათა საუფლო ლოცვასთან მიმართების, ერთმანეთთან მიმართებისა და ცალკეული ავტორის ინდივიდუალური აღქმის განსაზღვრა.

დავით გურამიშვილი. დავით გურამიშვილმა თავის ორ თხზულებაში - „ლოცვა, ოდეს დავითს ტყვეობასა შინა მოშივდა და ღმერთს პური სთხოვა“ და „სამების ვედრება: გზის წარმართვის თხოვნა დავითისაგან“, უპირველესი ქრისტიანული ლოცვის „მამაო ჩვენოს“ ტექსტის ჩართვით ღვთისადმი შეწევნის თხოვნა, ღვთის სასოება, საკუთარი განწყობილებები, ტყვეობისას აღძრული განცდები და სულიერი მომავლისაკენ სწრაფვა გამოხატა. ეს ლექსები ლეკთა ტყვეობიდან თავდახსნილი პოეტის მიერ საუფლო ლოცვის „მამაო ჩვენოს“ ხელახალი აღქმის შედეგად აღძრული სულიერი განცდითაა დაწერილი, როგორც თავად ამბობს, როდესაც მოშივდა და ღმერთს პური სთხოვა. სათაურის მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ლექსი ლეკთაგან ლტოლვილი, სამშვიდობოს მაძიებელი დავით გურამიშვილის მიერ მხოლოდ საზრდელი პურის თხოვნას შეიცავდეს, მაგრამ სიღრმისეული დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეს ასე არაა. პოეტი ღმერთთან სულიერ კონტაქტს ამყარებს და გვარწმუნებს, რომ მისი მიზანი გაცილებით დიდია, დიადია, ადამიანის სრულყოფილების მიღწევას რომ გულისხმობს. დავით გურამიშვილის „მამაო ჩვენოს“ თემაზე დაწერილი ლექსების მხატვრული ფუნქცია აღსარებით-ლიტურგიულია და ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრების განზოგადებული, კრებსითი აზრის გამოხატულებაა; ორივე ლექსი შთაგონებულია ნათლის მარადიული არსებობის იმედით. ლექსები ბიბლიურ პერსონალიათა სიმრავლითაც გამოირჩევა: აბელი, კაენი, აბრამი, ისაკი, მოსე, დავითი. ავართა მთებში ტყვედ მყოფი პოეტი, როგორც თვითონ უწოდა თავის თავს, დავით წინასწარმეტყველის სულიერი მემკვიდრე, ქრისტიანული ლიტურგიული ცნობიერებით მიილტვის უზენაესისაკენ, ღმერთისაკენ, რათა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთელი კაცობრიობის სულიერ მომავალზე იზრუნოს. დავით გურამიშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში ღრმად გამოიხატა ქართველი ერისა და მთელი კაცობრიობის რწმენა სულის უკვდავებისა, მისი სული კი ვერ გატეხა ვერც სამკვიდროდან გადახვეწამ და მოწყვეტამ, ვერც პიროვნულმა ტრაგიკულმა განცდებმა და ცხოვრებამ, რომლებიც ერთმანეთს იყო გადაჯაჭვული, რადგან პოეტი რწმენით, იმედითა და სიყვარულით იყო აღსავსე. დავით გურამიშვილის ორივე ლექსს აქვს მინაწერი „იამბიკო“, თუმცა, იამბიკოს ფორმით არაა დაწერილი; ასევე ორივე ლექსი ახლოა საგალობელთან სახისმეტყველებითი გამომსახველობითი საშუალებებით, სამეტყველო ენით, ფორმაც ასეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებს.

დავით გურამიშვილის „მამაო ჩვენოს“ თემაზე შექმნილმა ლექსებმა, უწინარეს ყოვლისა, პოეტის მსოფლმხედველობა წარმოაჩინა და მისი პოეტური შესაძლებლობები გამოავლინა. ამ მიმართულებით მას მემკვიდრეებიც გამოუჩნდნენ, რომელთაგან განსაკუთრებულია ამავე თემაზე შექმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ და ილია ჭავჭავაძის ლექსი „ლოცვა“, რომლებშიც ავტორთა მრწამსი ქრისტიანულ საფუძვლებს ემყარება. ესენია: მტრისთვის შენდობის თხოვნა, ძე შეცთომილის მიმართ ღვთის თანადგომა და მყუდროების სადგურს დავანება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ჩემი ლოცვა“ (1840 წელი) საუფლო ლოცვის „მამაო ჩვენოს“ მრწამსის, თემის, მოტივების საინტერესო ინტერპრეტაციაა. საუფლო ლოცვის მსგავსად ეს ლექსიც მამა ღმერთისადმი მიმართვით იწყება და მის სახისმეტყველებასაც იგი წარმართავს. ლექსში ავტორის, როგორც ძე შეცდომილის, ძლიერი, მღელვარე განცდებია ასახული; ლექსი მოიცავს პოეტის ვედრებას ღვთისადმი, მასში გამოსჭვივის პირადი განწყობილება, სევდა, ღვთის იმედი, რწმენა და სიყვარული. პოეტი მამა ღმერთს შესთხოვს, რათა მისი ვედრება შეისმინოს და ბოროტისაგან დაიფაროს, რადგან მამას ყოველთვის აქვს განსაცდელში მყოფი შემცოდე შვილის მიმართ გულისტკივილი და თანაუგრძნობს მას. ღვთის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ნიკოლოზ ბარათაშვილი ახსენებს ადამის პირველცოდვას, ადამისა, რომელიც თავდაპირველად უმანკო იყო, მაგრამ ღვთის მცნება დაივიწყა და თავის გულისწადილს, აკრძალული ნაყოფის გემოსხილვას მსხვერპლად შესწირა მშვენიერება სამოთხისა. და რადგან ადამმაც კი, პირველცოდვის ჩამდენმა, ძე ღმერთის მეოხებით იხილა სასუფევლის ნეტარება, ამიტომ პოეტსაც აქვს ღვთის იმედი და არაა სასოწარკვეთილი. პოეტი ღმერთს შესთხოვს, რათა მისი ფიქრი და ზრახვაც შეიწყნაროს, ღმერთმა ხომ ყოველი ადამიანის სურვილი და განცდა იცის. ამიტომაც არაა საჭირო მრავალსიტყვაობა, მისი დუმილიც უფლისადმი ლოცვაა, რაც თავის მხრივ დუმილის ესთეტიკის ღირებულებას შეაგრძნობინებს მკითხველს. დუმილის ესთეტიკურ აღქმასთან დაკავშირებით დავიმოწმებ

თამარ შარაბიძის შეფასებას: „სურვილებს, სიტყვებს ეკარგებათ მნიშვნელობა და ადამიანი შეიგრძნობს ღმერთს, მის მშვენიერებას დუმილში“ (შარაბიძე, 2006: 112). ასევე თამარ შარაბიძემ ყურადღება გაამახვილა ლექსის ქრისტიანულ დროსივრცულ აღქმაზე და აღნიშნა, რომ ლექსის სივრცე და დრო კოსმოგონიურია, ღმერთი დროისა და სივრცის მიღმაა, ხოლო ღმერთის მოიმედე ავტორიც სრულყოფილებისაკენ მიისწრაფვის (შარაბიძე, 2006: 112). საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლოცვის დანიშნულებაა, დაეხმაროს ადამიანს ზნეობრივი სისრულის მიღწევასა და ღმერთთან ზიარებაში. ნიკოლოზ ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ ლექსის ლირიკული გმირის სულიერ აღმასვლაზე, მისი სულიერი განვითარების საფეხურებზე მიგვანიშნებს, თუ როგორ აღწევს იგი სულიერ განწმენდას, ამაღლებას, განღმრთობას, ღმერთთან ზიარებას.

ილია ჭავჭავაძე. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ ილია ჭავჭავაძის „ლოცვა“ (17 ივლისი, 1858 წელი, ტიარლევო) თითქმის მიჰყვება საუფლო ლოცვას, მაგრამ სხვაობაც შეინიშნება. მუხლმოდრეკილი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ლოცვის მნიშვნელობის რამდენიმე კომპონენტზე: 1. ადამიანის საზრუნავი უნდა იყოს სულიერი მომავალი, სულიერი საზრდო, რაც ხორციელ საზრდელზე გაცილებით ძნელად მოიპოვება; 2. ღმერთმა ყოველი ადამიანი უნდა შეიწყალოს. ამის საფუძველზე ილია საუფლო ლოცვის ერთ-ერთ მთავარ სწავლებას დაეყრდნო და აღნიშნა, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს სხვათათვის, კერძოდ მტერთათვის ცოდვების შენდობა; ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ავტორის ლოცვა „წმინდა ლოცვაა“ და მასში არაა რაიმე მატერიალურის თხოვნა, ილიას ლოცვა „არცა სიმდიდრის, არც დიდების“ თხოვნას არ შეიცავს, რადგან ეს „წმინდა ლოცვას„ შეურაცხყოფს; ილიას მრწამსი სრულად ეთანხმება ევანგელურ სწავლებას, რომლის მიხედვით აუცილებელია არა მხოლოდ მოყვასის, არამედ მტრის სიყვარული („და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“. მათე, 6, 12), რათა სრულყოფილებას მიაღწიოს („იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“. მათე, 5, 48).

ილიას ლექსი მაცხოვრის, მისი მცნებების ჭეშმარიტებას გვაცნობს და მიუთითებს, რომ „პური ჩვენი არსობისა“ არაა მხოლოდ ხორციელი საზრდელი, პირიქით, ლექსი ყურადღებას ამახვილებს სულიერ საზრდოზე, რაც პირადი სარგებლობის მიზანს არ ემსახურება. ყველაზე მთავარი, რასაც ლექსი გვამცნობს, ისაა, რომ სხვას - თუნდაც ბოროტს, სიავის ჩამდენს, შეუნდოს, რადგან არ იცის, თუ რას სჩადის. ქრისტიანული მრწამსის ამგვარი გააზრებით ლექსი ევანგელურ მოძღვრებას მისდევს და შურისგებას, ძველი აღთქმის ეპოქაში არსებულ პრინციპს - „თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ“ - უარყოფს და მას არ მიჰყვება. ძველი აღთქმისეული ეს სწავლება მაცხოვრის მოძღვრებამ, ახალი აღთქმისეულმა სწავლებამ შეცვალა: „ხოლო მე გეტყვი თქუენ: არა წინააღმდგომად ბოროტისა; არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოიცა“ (მათე, 5, 38-39). ძველი აღთქმისეულია: `შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი~ (მათე, 5, 43), ხოლო ახალი აღთქმა გვასწავლის მაცხოვრის მოძღვრებას: „გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ. რაითა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაისა“ (მათე, 5, 44-45). ამას გვასწავლის ილია ჭავჭავაძე და მისი ლოცვაც ამიტომაა „წმინდა ლოცვა“. ილია ჭავჭავაძის ეს ლექსი არის მიმტევებლობისა და მტრისთვის შენდობის, დიდსულოვნებისა და სიკეთის ფარულად ქმნის საუკეთესო გამოხატულება და ქრისტიანული მრწამსის შედეგი. ილია ჭავჭავაძის ქველმოქმედება სახარების კვალობაზეა ღვთისგან „ნამცნების“ სიყვარულით შთაგონებული, რათა სული ზეციდან გაუნათლდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსში ილიამ თავისი აღსასრული თავადვე იწინასწარმეტყველა და თავის მკვლელებს წინასწარვე შეუნდო. ეს იყო ილია ჭავჭავაძის მიერ ევანგელური მოძღვრების აღქმის შედეგი მართალთა შესახებ, „მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!“ (მათე, 13, 43). და ილია ჭავჭავაძეს, როგორც წმინდანს, წმინდა ილია მართალი ეწოდა. ამიტომ არაა საკვირველი, რომ ოლღა ჭავჭავაძემ ილიას მკვლელთა სიკვდილით დასჯის აცილება მოითხოვა. ილია ჭავჭავაძის მკვლელები სიკვდილით არ დაესაჯათ, ეს ილიას ხსოვნას შეურაცხყოფდა.

დავით გურამიშვილის ლექსად წარმოთქმული ორივე ლოცვა, რა თქმა უნდა, საუფლოს ლოცვის შემდეგ, თუ დავაკვირდებით, ერთგვარ ნათესაობას ამჟღავნებს ილია ჭავჭავაძის ლექსთან. გურამიშვილის ორივე

ლექსი ავტორის სულიერ მდგომარეობას, შინაგან სამყაროს, ადამიანის მიერ უფლის მიმართ ვედრებას გამოხატავს ისე, რომ მთელი საუფლო ლოცვა ფაქტობრივად აკროსტიქად გასდევს ორივეს. თავის მხრივ, ლექსებს ღვთის წყალობის სასოება, ღვთისაგან მადლის გარდმოვლენის მოლოდინი წარმართავს. პირველი ლექსი მამა ღმერთის, როგორც ყოვლისმპყრობელის, მოწყალისა და შემოქმედის, მიმართ ვედრებით იწყება და ღვთის მიერ სამყაროს შექმნის, მისი გვირგვინის - ადამიანის შექმნისა და სამყაროში მისი ადგილის ღვთისაგან განჩინებით წარიმართება. დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ლექსებს ქრისტიანული ღვთისმეტყველებითი აღქმა აერთიანებს, ღმერთი სახელდებისას მათში საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრებული საღვთო სახელებით წარმოისახება, როგორც სახიერი, ცხოვრების წყარო, გულთამხილავი. თითოეული მათგანი სიმბოლურად გაიაზრება, რადგან ღვთის ბუნების წვდომა ადამიანის დასაზღვრულ გონებას არ ძალუძს, იგი მისთვის მიუწვდომელია. ლექსებში საერთოა ისიც, რომ ღვთის ნებასა და თანადგომას ცოდვილი ადამიანი, ძე შეცთომილი ყოველთვის გრძნობს და ნავთსაყუდელს მის წიაღში პოულობს.

აკაკი წერეთელი. აკაკი წერეთლის `ზოგიერთების „მამაო ჩვენო“ კი დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ლექსებისაგან განსხვავებული სტილით, შეიძლება ითქვას, კონტრასტული მხატვრული საშუალებებით გადმოგვცემს სათქმელს. პოეტი მიჰყვება საუფლო ლოცვის მუხლებს და თითოეულის შესახებ საპირისპირო აზრით დატვირთულ კომენტარს აკეთებს. კერძოდ, მივყვეთ ლექსს: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“ და მას მოსდევს ზოგიერთის ფიქრი, „წუხელის შურით მთელი ღამე არ დამეძინა“; „წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი“, ვაი რათ არის ჩემი მოძმე ჩემზე უფრო ბევრის შემძენი: / „იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“, სასტიკმა სენმა ამოუწყვიტოს შვილები, ძმები, მამა და დედა! / „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს“, ნეტამც შემეძლოს, ავაოხრებდი მთლად ამ ჩვენ კუთხეს! / „და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩვენნი“, ძმაზედ დანოსი შევიტანე დღეს, კარგად ვქენი! / „ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“, ოჰ, რომ შემეძლოს გაუჩენდი მათ სხვადასხვა სენთა! / „და ნუ შემიყვანებ ჩვენ გასაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“, ოღონდ ის წახდეს, ვსთხოვ ღვთისმშობელსა, და მეც დავმარცხდე ეშმაკისაგან (1869 წელი). ფაქტობრივად, აკაკი წერეთელმა ლექსში სატირული მეთოდით საუფლო ლოცვის ფონზე აჩვენა ადამიანის სულიერი დეგრადაცია და ლირიკული ანტიგმირი წარმოადგინა, დაგვმოძღვრა, როგორი არ უნდა იყოს ადამიანი. ადამიანთა სულიერი მისწრაფებები და მოთხოვნები სიკეთისაკენ უნდა წარიმართებოდეს, ღმერთის იდუმალ ხმას უნდა უგდებდეს ყურს და სხვათა მიმართ კეთილგანწყობილი იყოს. აკაკი წერეთლის განხილული ლექსი საზოგადოებას ცოდვათა მიტევების აუცილებლობას ენიგმატური მხატვრული საშუალების გამოყენებით ასწავლის და მთელი ლექსი ოქსიმორონად გვევლინება.

დასკვნა: საუფლო ლოცვის აღქმამ და დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ლექს-ლოცვების, აკაკი წერეთლის სატირული ლექსის საუფლო ლოცვასთან მიმართებაზე დაკვირვება და ეს მცირეოდენი შედარებაც კი აჩვენებს, რომ თითოეული მათგანი ადამიანის სულიერი განვითარების უმთავრეს საფუძვლად სისრულეს, ზნეობრივ სრულყოფილებას, ჰარმონიულობას მიიჩნევს; შურს, დასმენას, ბოროტებას, ანგარებას, მრისხანებას, ამპარტავნებას, უნუგეშოთა მიმართ თანაგრძნობის სინაკლულეს უარყოფს. ყოველივე ეს იშვიათი ლაკონიურობით, კონდენსირებულად აისახება საუფლო ლოცვაში, რომელიც ღმერთისადმი თითოეული ლექსი-მიმართვის საფუძველია, ხოლო თავის მხრივ საუფლო ლოცვა ადამიანის სულს ვერტიკალურ-ჰორიზონტალურად წარმართავს (სინქრონიულ-დიაქრონიული ასპექტით). ლექსად თქმული ყოველი ვედრება-მიმართვა მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის სულის განღმრთობასა და სულიერ მომავალზე ზრუნვა არაა, ესაა საზოგადოების სულიერობაზე ფიქრი და განსჯა. საზოგადოება მოკლებულია სულიერ და ზნეობრივ ცხოვრებას, საზოგადოდ, ქრისტიანულ მრწამსს, ხოლო სიკეთენაკლულ საზოგადოებას ღვთის იმედი, რწმენა და სიყვარული აღარ აქვს. ერთი პირის, კონკრეტული პირის ცოდვა და მადლი მთელ ერზე ვრცელდება, რაც პავლე მოციქულის სიტყვით შეიძლება განიმარტოს: „ვითარცა-იგი ერთისა შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასასჯელად, ეგრეცა ერთისა მის სიმართლისათვის ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებელად ცხორებისა“ (ჰრომ. 5, 18). დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია

ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექს-ლოცვათა მიზანი საუფლო ლოცვის მოძღვრებათა გზაზე სვლის სწავლებაა, რის გარეშეც ადამიანის სულიერი სრულყოფილება და ზნეობრივი სისრულე ვერ მიიღწევა.

ლიტერატურა:

ბარათაშვილი, 1968: ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, საიუბილეო გამოც., თბილისი, 1968.

გურამიშვილი, 1955: დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1955.

შარაბიძე, 2005: შარაბიძე თ., ღვთაებრივის წვდომის გზები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მიხედვით. კრებ.: ნიკოლოზ ბარათაშვილი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რედაქტორები: გურამ ბენაშვილი, ნესტან სულავა, თბილისი, 2005. გვ. 96-113.

წერეთელი, 1985: ა. წერეთელი, რჩეული თხზულებანი, ერთტომეული, თბილისი, 1985.

ჭავჭავაძე, 1984: ი. ჭავჭავაძე, რჩეული თხზულებანი, ერთტომეული, თბილისი, 1984.

თურქული სერიალების ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია

Nino Gelovani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ვისაც სურს, შეისწავლოს და გაიგოს თურქული მენტალობა, სერიალი გახდა ნამდვილი საგანმანათლებლო საშუალება, რომელიც გადაღებულია ისე, რომ წარმოაჩინოს თურქების რეალური თანამედროვე ცხოვრება. თითქმის ყველა ოჯახი აერთიანებს აღმოსავლეთისა და თანამედროვე დასავლეთის ურთიერთობათა ტრადიციულ ცხოვრებას. სერიალში მთელი ინტრიგები, ძირითადად, ვითარდება აღმოსავლურ და დასავლურ ცხოვრებას შორის კონფლიქტში.თურქული სერიალების ნარატივში შეგვიძლია ამოვიკითხოთ არა მხოლოდ ამბავი და მისი პირობითობა, არამედ ადგილები, მათი ხასიათი და ვიზუალური სახე. სერიალის სატელევიზიო ფორმატი ოპტიმალურ პირობებს ქმნის ინფორმაციის ყოველდღე ერთსა და იმავე დროს ამგვარი გავრცელებისათვის. თურქეთი ყოველთვის გამოირჩეოდა იმით, რომ უშვებდა სხვადასხვა ჟანრის სერიალებს: პოლიტიკურს, ისტორიულსა და სოციალურს. ყველა დრამას ჰქონდა დიდი გამოხმაურება სატელევიზიო ეკრანებზე გამოსვლისთანავე მთელ მსოფლიოში. სერიალში ასახული ყოველდღიური ცხოვრება თურქეთის რესპუბლიკისა წარმოადგენს ტრადიციებისა და თანამედროვე ელემენტების თავისებურად საინტერესო ნაზავს, რითაც უმეტესად მოექცა ყურადღების ცენტრში მსოფლიო მასშტაბით; მრავალი შეკითხვითა და ძირითადი თემების თხრობის ნარატივით. ზოგადად სერიალი, ამჟამინდელი მოცემულობით თურქული სერიალი, არის გადაშლილი წიგნი, რომელიც მაყურებელმა ფხიზელი გონებით უნდა შეაფასოს. არ უნდა შევქმნათ უტოპია, არამედ სინამდვილეს თვალებში ჩავხედოთ, შევძლოთ, რეალურად წავიკითხოთ ის ნარატივი, რაც „ესთეტიკური“ ნიშნით ახასიათებს მხატვრულ თავისუფლებას.

საკვანძო სიტყვები: სატელევიზიო სერიალი, პროპაგანდა, ნარატივი,მასობრივი ცნობიერება. დორემა.

Historical-Cultural Interpretation of Turkish TV Series

For those who want to explore and understand the Turkish mentality, the TV series has become a real educational tool, shot in a way that depicts the real modern life of the Turks. Almost every family unites the traditional way of life between East and modern West. The whole intrigue in the series mainly unfolds in the conflict between Eastern and Western life. In the narrative of Turkish serials we can read not only the story and its conditionality, but also the places, their character and visual appearance. The format of the TV series creates optimal conditions for dissemination of information at the same time every day. Turkey has always been distinguished by the fact that it broadcasts series of different genres: political, historical and social. All the dramas received a big response as soon as they appeared on TV screens all over the world. The daily life of the Republic of Turkey portrayed in the series is an interesting mix of traditions and modern elements, thus making it the center of attention around the world; With many questions and a narrative of key themes. TV series in general, according to the current data, the Turkish TV series is a broken book that the viewer should evaluate with a sober mind. We should not create utopia, but look into the eyes of reality, be able to actually read the narrative that characterizes artistic freedom with an "aesthetic" mark.

Keywords: TV series, propaganda, narrative, mass consciousness. Dorema.

სატელევიზიო სერიალი მრავალსერიანი ფილმია რამდენიმე სიუჟეტური ხაზით, ზოგადად, მრავალსერიანი პროგრამა, რომლის ამგვარი სატელევიზიო ფორმატის ბუნება თავის თავში გულისხმობს უზარმაზარ სუგესტურ (წარმოსახვასა და ემოციებზე მოქმედ) შესაძლებლობებს. გარკვეულწილად, სერიალი და პროპაგანდა რაღაცით მონათესავე ცნებებია – ორივეს ახასიათებს ინფორმაციის სისტემური, მიზანმიმართული გავრცელება.

მაგალითად, თურქული სერიალების ნარატივში შეგვიძლია ამოვიკითხოთ არა მხოლოდ ამბავი და მისი პირობითობა, არამედ ადგილები, მათი ხასიათი და ვიზუალური სახე. სერიალის სატელევიზიო ფორმატი ოპტიმალურ პირობებს ქმნის ინფორმაციის ამგვარი გავრცელებისათვის, რადგან ყოველდღე ერთსა და იმავე დროს გადის. ასეთ ხანგრძლივ ფილმში ფასეულობებისა და ქცევის მოდელების პროპაგანდა მიმდინარეობს და მაყურებლისთვის ის მარტივად აღსაქმელია. რას წარმოადგენს თანამედროვე სერიალი, რა ფასეულობებისა და ქცევის მოდელების პროპაგანდას ეწევა, ან, საერთოდ, არის თუ არა ის პროპაგანდა? – უნდა აღინიშნოს, ტერმინის „პროპაგანდა“ გულისხმობს „გარკვეულ აუდიტორიაზე იდეების, შეხედულებებისა და ფასეულობების მიზანმიმართულ და სისტემატურ გავრცელებას“.[141] რეალურად, ტელესერიალები არავითარ ფასეულობებს არ უწევენ პროპაგანდას - ეს არ არის მთავარი. არხისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ სერიალი ყურებადი იყოს და თუნდაც სერიალის პროდიუსერები სიკეთისა და მარადიული ფასეულობების შესახებ რაღაც წარმოდგენას ქმნიდნენ, - სავარაუდოა, რომ აქედან არაფერი დარჩება შემკეთთან შეთანხმების შემდეგ, აქ რეიტინგია მნიშვნელოვანი და არა პროპაგანდა. ყველა დროის ხელოვნებას აქვს ძირითადი ელემენტი, კინოსა და ტელევიზიაში ეს არის გამოსახულება. გადაღებების პროცესში რეჟისორის განზრახვები მატერიალიზდება, ფირზე აღბეჭდილ კადრებად იქცევა და საბოლოო პროდუქტის წარმატება დიდად არის დამოკიდებული გადაღების ადგილების შერჩევაზე – ეს ყოველივე რეჟისორს ეხმარება პირობითობის შენარჩუნებასა და ამბის გადმოცემაში. თუმცა, გარდა ამისა, მაყურებლის აღქმაში, მოქმედებასთან ერთად, ყოველთვის რჩება ის სივრცე, სადაც მოქმედებები მოხდა. ამის გამო, გარდა მხატვრული ღირებულებისა, ვიზუალურ პროდუქტს აქვს კიდევ ერთი უნიკალური ფუნქცია – იგი ეპოქის მთხრობელია.თანამედროვე სერიალი ტელევიზიისათვის შეიქმნა და არსებობისათვის ტელემაყურებელს უნდა უმადლოდეს. მისი ადგილი პროგრამულ ქსელში მრავალი ფაქტორითაა განპირობებული – ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან დაწყებული, დემოგრაფიული მახასიათებლებით დასრულებული. სატელევიზიო სერიალი მაყურებელთან დიალოგზეა ორიენტირებული, რადგან სწორედ აუდიტორიაზეა დამოკიდებული, ექნება თუ არა მას გაგრძელება, ანუ აინტერესებს თუ არა მაყურებელს სერიალში მოთხრობილი ამბავი და პერსონაჟების ბედი. ამჟამად „საპნის ოპერის“ წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა აქტუალური ინფორმაცია და ეპოქისათვის მახასიათებელი ნიშნები. თანამედროვე ტელევიზია სულ უფრო მეტად შლის ზღვარს გამონაგონსა და დოკუმენტურს შორის – დადგმული სცენები, კარგად აგებული დრამატურგია, მაღალი რიტმი, ემოციურობა სულ უფრო აშორებს დოკუმენტურ ფილმებს რეალობას. უნდა აღინიშნოს, რომ ტელესერიალი საკმაოდ ოპერატიულად და ზუსტად ასახავს ცხოვრების ყველა ნიშან-თვისებას, ხოლო სატელევიზიო ეკრანის უზარმაზარი მიზიდულობა მაყურებელს სერიალში განვითარებული მოვლენების შუაგულში, ანდა, სულ მცირე, ჭუჭრუტანიდან მოთვალთვალედ აგრძნობინებს თავს. ერთი მხრივ, სერიალი დოკუმენტური ფილმების ჩანაცვლებას იწყებს სატელევიზიო ეკრანებზე, მეორე მხრივ,ზეპირსიტყვიერი მითის შექმნას ანაცვლებს და მომხმარებლისათვის, რომელმაც ბეჭდურ კულტურაზე უარი თქვა და აღქმის სიმარტივის გამო ტელევიზიას მიმართა, ქცევის ძირითად მოდელებს აყალიბებს. ტელევიზიის საგაზეთო მასალაზე უპირატესობას რ.ა. ბორეცკი თავის წიგნში – „ტელევიზიის ბერმუდის სამკუთხედი“ – ასე ხსნის: „მკითხველი იძულებულია, თავის წარმოსახვაში შექმნას სიტყვებით აღწერილი სურათები და სიტუაციები, აქ კი, ეკრანზე, ყველაფერი მზად არის“.[42] ტელევიზია პასიური სიამოვნებაა და სერიალი აქ ბევრ რამეს უსწრებს წინ. თურქულ ტელესერიალში სწორედ პასუხისმგებლობის განცდა და სინდისი მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სიკეთისა და ბოროტების კატეგორიებს. ქვეცნობიერად სერიალების ავტორებისა და პროდიუსერების უმეტესობა (მათ შორის, კრიმინალური სერიალების) კვლავაც განაგრძობს მაღალი ზნეობრივი ფასეულობების მატარებელი სერიალების წარმოებას, რაც, უძველესი დროიდან მოყოლებული, პატივისცემას იწვევს ხალხში. თუ ჩვენი დროის გმირის სახეზე ვისაუბრებთ, ამ შემთხვევაში „ჩვენიანი“ პატიოსანი, წესიერი, კეთილი, მეგობრული ადამიანია, „სხვა“, „უცხო“ – ეგოისტური, ქმედუუნარო, სიყვარულისაგან დაცლილი. დადებით პერსონაჟს გულუხვობა და პატიების უნარი განასხვავებს. სერიალი, უდავოდ, მაღალი მორალური ფასეულობებით პროპაგანდაა, რადგან მაყურებელი სწორედ დადებით გმირს თანაუგრძნობს.თურქული სერიალიდან ჩანს, საშუალებას აძლევს მას, ჰქონდეს შეძლებული ცხოვრების ყველა ატრიბუტი: კარგი ბინა, ლამაზი ახალი მანქანა, ძვირადღირებული მობილური და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს თურქი პროდიუსერები

41 Научно-методический журнал "Телевизионная журналистика". М., 2003

42 ბორეცკი რ.ა. „ტელევიზიის ბერმუდის სამკუთხედი.“ ახალი დრო, მ. 2000

ცდილობენ, გაითვალისწინონ მაყურებელთა მენტალური განსხვავება, რასაც მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან და მათ ადაპტირებას ახდენენ სხვადასხვა ქვეყნის მაყურებლებისათვის. პროდიუსერის მიერ შიდა სპეციფიკის გააზრების მნიშვნელობა კარგად ჩანს არა მარტო თურქეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. თურქული სერიალები და ფილმები საშუალებას იძლევა, სახლიდან გაუსვლელად დატკბეთ საყვარელი მსახიობების თამაშით, უფრო მეტი გაიგოთ თურქული ენისა და კულტურის შესახებ. ეროვნული სატელევიზიო სერიალი ერთ-ერთი ისეთი ფორმატია, რომელიც პრაქტიკულად არ კონტროლდება სახელმწიფო პროპაგანდის აპარატის მხრიდან. სერიალების უმრავლესობას ძირითადი ფასეულობები და კულტურულ ტრადიციაში მიღებული ქცევის მოდელები აერთიანებს. ესენია: მოყვასის სიყვარული და პასუხისმგებლობა, ერთგულება და პატიოსნება, მოხერხებულობა და სიზარმაცე და ა.შ. როგორც ჩანს, აღნიშნული თვისებები, რომლებიც ტელენოველების მთავარი გმირების მხატვრულ სახეებშია ჩადებული, ავტორების მიერ მათ ქვეცნობიერად ეძლევათ, რაც შემოქმედებით ელიტაში გაცხადებულია როგორც დადებითისა და უარყოფითის ძირითადი თვისებები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სატელევიზიო სერიალის შემქმნელთა უმეტესობას არავითარი სურვილი არ აქვს პროპაგანდაში მონაწილეობის მიღებისა, იქნება ეს კულტურული თუ პოლიტიკური პროპაგანდა. თურქეთი ყოველთვის გამოირჩეოდა იმით, რომ უშვებდა სხვადასხვა ჟანრის სერიალებს: პოლიტიკურს, ისტორიულსა და სოციალურს. ყველა დრამას ჰქონდა დიდი გამოხმაურება სატელევიზიო ეკრანებზე გამოსვლისთანავე მთელ მსოფლიოში. ეკრანზე ასახული ყოველდღიური ცხოვრება თურქეთის რესპუბლიკისა წარმოადგენს ტრადიციებისა და თანამედროვე ელემენტების თავისებურად საინტერესო ნაზავს, რითაც უმეტესად მოექცა ყურადღების ცენტრში მსოფლიო მასშტაბით; ისტორიული თუ პოლიტიკური სერიალების ჩვენებასაც მოჰყვა მოულოდნელი წარმატება, მასთან მრავალი შეკითხვითა და ძირითადი თემების თხრობის ნარატივის უთანხმოებაც, რომელიც, რასაკვირველია, წარმოიშობოდა სერიალის ირგვლივ. თურქულმა დრამამ ქვეყანაში რთულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით დაიჭირა ახალი მიმართულება: გაზარდა წილი სერიალებისა ისტორიულ და ნაციონალურ თემატიკაზე--„ Vatanım Sensin.," „filinta", „Diriliş: Ertuğrul"და სხვა. ამ სერიალების მთავარი გმირების სიუჟეტური ქარგა ცხოვრებით და მოქმედებებით ვითარდება ოსმალეთის იმპერიის ხანაში, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სერიალებს მაღალი რეიტინგი ჰქონდათ მთელს მსოფლიოში, შემოქმედებითმა გუნდმა მაინც დაიმსახურა კრიტიკა და ბრალდებები. მაგალითად, სცენარისტებს ბრალს სდებდნენ, რომ არ შეიძლებოდა, სერიალის სიუჟეტის ისტორიული თემა ასეთ დაბალ კონტექსტში ყოფილიყო დრამატურგიულად განვითარებული; მეორე მხრივ, იმავე სერიალებს მთლიანად მხარს უჭერდა მოქმედი მთავრობა და ოპოზიცია. ორივე მხარეს იდეაში ჰქონდა, შეექმნათ ისეთი სიუჟეტები, რომლებსაც უნდა წარმოეჩინათ ქვეყნის ინტერესის დოკუმენტური წყარო და ისე მიეტანათ გზავნილი საზოგადოებისთვის, რომ სერიალის მოქმედებები და კონფლიქტები მსგავსი ყოფილიყო იმდროინდელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტრადიციათა უნიკალური ნაზავის – ტრანსკონტინენტური ქვეყანა თურქეთისა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, სერიალებმა წარმატების არნახულ ზენიტს მიაღწია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს ნაციონალური ისტორიული სერიალები ყოველთვის იყო მიმართული მაყურებლის მოზიდვისკენ, მათი გმირები კარგად ორიენტირებდნენ ირგვლივ არსებულ კონფლიქტურ რეალობაში და მუდმივად ცდილობენ ერის ერთობას. პროპაგანდის თვალსაზრისით, გამოგონილი ტექსტის ხარისხი არც ისე მნიშვნელოვანია – სერიალი მაყურებლის წარსულში დაბრუნებით ასრულებს მნიშვნელოვან ამოცანას – ხდება მასობრივი ცნობიერების ფორმირება ერის თვითშეგნების დონეზე, სადაც საკუთარი ქვეყნის წარსულის აღქმა ნამდვილად არ არის ბოლოხარისხოვანი. ამ თვალსაზრისით „საპნის ოპერის" ყურება მასობრივ ფსიქოტრენინგში გადადის, რაც მრავალი ისტორიული ფობიისაგან თავის დაღწევაში გვეხმარება. სასიყვარულო ხაზი ნოსტალგიას იწვევს, პოლიტიკური ლიტერატურულ გროტესკად გამოიყურება, რაც ნიშნავს, რომ სერიალი არცთუ ისე საშინელია. ზოგ შემთხვევაში ახალი ფილმების ავტორები სინამდვილეს გამოგონილით ცვლიან. შედეგად, მათთვის, ვისაც წარმოდგენა ომზე ამ სერიალებით ექმნება, რეალობა რამდენადმე განსხვავებულია, თუმცა სწორედ ამ ფილმების წყალობით თურქი ახალგაზრდები ეცნობიან თავიანთი ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას. თურქეთის რესპუბლიკის დაარსების პერიოდში ხელოვნება მიმართული იყო რესპუბლიკური მმართველობის იდეის ჩამოყალიბებისკენ. ისტორიულად მოიხსენიებოდა, რომ ოსმალეთის იმპერიაში მუსლიმ ქალს, რელიგიური მიზეზების გამო, ფილმში გადაღების უფლებას არ აძლევდნენ.ითვლება, რომ პირველი მუსლიმანი მსახიობი ქალი ბედია მუვაჰიტი გახდა რესპუბლიკის სიმბოლო. იმდროინდელი რესპუბლიკის საჩვენებელი მოვლენა იყო ის, რომ „ქემალფილმის" სტუდიის პავილიონში გადაღებები

გასცდა ინტერიერის ჩარჩოებს და პირველად ჩატარდა გადაღება სხვა ლოკაციაზე, ღია ცის ქვეშ წვიმაში.[43] ვისაც სურს, შეისწავლოს და გაიგოს თურქული მენტალობა, სერიალი გახდა ნამდვილი საგანმანათლებლო საშუალება, რომელიც გადაღებულია ისე, რომ წარმოაჩინოს თურქების რეალური თანამედროვე ცხოვრება. თითქმის ყველა ოჯახი აერთიანებს აღმოსავლეთისა და თანამედროვე დასავლეთის ურთიერთობათა ტრადიციულ ცხოვრებას. სერიალში მთელი ინტრიგები, ძირითადად, ვითარდება აღმოსავლურ და დასავლურ ცხოვრებას შორის კონფლიქტში. ყველა თურქული სატელევიზიო შოუ დამოკიდებულია რეიტინგებზე. თუ ფინანსური ანაზღაურება მცირეა, მაშინ პროექტი მალე დაიხურება. ამგვარი მიზეზით მაყურებელი ხშირად ვერ დაინახავს ლოგიკურ შედეგს. თურქეთში თვლიან, რომ, რაც უფრო მეტი ეპიზოდია, მით უფრო პოპულარული იქნება სერიალი. სატელევიზიო სერიალებზე საუბრობენ იმდენს, რამდენსაც გაქირავებაში გამოსულ ფილმებზე, და ხშირად მათზე გაცილებით მეტსაც კი. ფაქტობრივად, აღარ არსებობს მაყურებელი, რომელიც ზღვა მასალაში მისთვის შესაფერის პროდუქტს ვერ აღმოაჩენს, რადგან სატელევიზიო სერიალების მიერ სანახაობრივი კინოს ჩანაცვლების პროცესი სულ უფრო აგრესიული ხდება: თითქმის აღარ დარჩა კინოჟანრი სერიალის გარეშე. ძალიან საინტერესო ტენდენციაა ბრძოლა შიდა მაყურებლისათვის, სადაც ასახულია ყველაზე ღარიბი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების სცენები, მდიდრულ ინტერიერში გადაღებული, რომლის კონტექსტი ძალიან შორს არის სიმართლისგან.80-იანი წლების დასასრულს, 90-იანი წლების შუა პერიოდამდე, კინო- და სატელევიზიო წარმოების ვარდნა კდაკავშირებული იყო საზოგადოების გარკვეულ ფსიქოლოგიურ განწყობასთან. ამ დროის ჰიპერრეალისტური ფილმებისათვის უცხოა სატელევიზიო სერიალის ფილოსოფია, რომელიც რეალობის გარკვეულ მითოლოგიზაციას ახდენს. თანამედროვე ტელესერიალი ამ პერიოდის პროდუქციისაგან საგრძნობლად განსხვავდება არა მხოლოდ გადაღების ტექნოლოგიით, არამედ სიუჟეტის აგების თავისებურებებითაც. თუ ადრე მნიშვნელოვანი იყო ლამაზად და დამაჯერებლად გადმოცემული ამბავი, თანამედროვე სერიალების უმეტესობა იწყება და სრულდება სიტუაციებით, რომლებშიც პერსონაჟები ხვდებიან – კომიკური, დეტექტიური ან სასიყვარულო. თავად მაყურებელი სულ უფრო ხშირად ნახულობს გმირებს კონფლიქტურ ან არჩევანის წინაშე აღმოჩენილ სიტუაციებში. კონფლიქტური სიტუაციებით ნაქსოვი დრამატურგია სატელევიზიო მხატვრული სერიალის განმასხვავებელი ნიშანია. კონფლიქტი ინტრიგას წარმოქმნის, ხოლო ლამაზად გადაღებული სცენები – ანტურაჟს. ეპიზოდები, რომლებიც, პროდიუსერის აზრით, აუდიტორიას არ მოეწონება, სერიალიდან იჭრება. ტელესერიალი ექშენს (მოქმედებას) მოითხოვს, რაც მაყურებელს აიძულებს, ყოველდღიურად დაუბრუნდეს მას.თურქულ სერიალებს სხვანაირად თუ შევხედავთ, ძალიან კარგად დავინახავთ, რომ ბოლოდროინდელ თურქულ სერიალში არის პროპაგანდის მესიჯები. დღეისათვის თურქული სერიალები ყველაზე დიდი პოპულარობით საბერძნეთსა და არაბულ ქვეყნებში სარგებლობს. განსაკუთრებით ცნობილი და საყვარელი კი რამდენიმე სერიალია. თურქული საპნის ოპერების ინდუსტრიით Netflix-იც დაინტერესდა და ათეპიზოდიანი დრამა ოსმალეთის იმპერიის ისტორიისა და ლეგენდების მიხედვით გადაიღო. როგორც ამბობენ, ინსპირაციის წყარო მსოფლიოში ცნობილი თურქული სერიალი „დიდებული საუკუნე“ გახლდათ. თურქულ სერიალებში სიყვარულის ისტორიის გადმოცემის არსებითი მახასიათებელია ეპიკური თხრობა, რაც თურქულ და ახლოაღმოსავლურ ნარატიულ ტრადიციაში უნდა ვეძიოთ. ამჯერად ვგულისხმობთ არა ხალხურ სიუჟეტებს, რომელთა გადამუშავებებსაც ყოველ სერიალში აღმოვაჩენთ, არამედ ეპოსის ტრადიციული შესრულების პრინციპებს. წარმოსახვითი ამბის თხრობა ადამიანური ყოფიერების განუყოფელი ნაწილია. თურქული სერიალები ტრადიციული კულტურის პოპულარიზაციასაც უწყობენ ხელს და, ამავე დროს, მიმართავენ ხალხური შემოქმედების სტილს: თხრობის რიტმი, პერსონაჟთა რაოდენობა კონკრეტულ სცენაში, კონტრასტი და სხვა ჩართული თხრობა დაძაბული სცენის გასაძლიერებლად ან სხვა ეფექტის შესამზადებლად გამოიყენება. დღეს თურქული სერიალების უმეტესი ნაწილის სიუჟეტები („Çilek Kokusu“ (Strawberry Smell), „Anne“ (Mother), „Beyaz Yalan“ (White Lie), „Söz“ (Promise) იაპონური და კორეული დორამების.[44] მიხედვითაა გადაღებული. ეს სერიალები საქართველოში პოპულარული გახდა საინტერესო სიუჟეტით, რომანტიკული, მაგრამ არა ეროტიკული, მინიმუმამდე დაყვანილი ძალადობის სცენებით, ახალი, უცნობი კულტურითა და ემოციების ფეიერვერკით. თუმცა მაინც

43 თურქეთში კინო უყვართ. პირველმა კინომატოგრაფიამ მიიღო ქემალ ფილმის სახელწოდება. იმ პერიოდში, როდესაც თურქეთის მთელი მოსახლეობა შეადგენდა 12 მილიონ კაცს, შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი სტუდიის გახსნა. სტუდია გახსნეს„ თურქმა ძმებმა ლუმიერებმა“ ქემალ და შაქირ სედენებმა. ქემალი გახდა კინოდარბაზის დირექტორი, ხოლო შაქირი იმ დროს მუშაობდა ლიცეუმში მასწავლებლად. 1922-1923 წლებში ამ სტუდიაში გადაღებული იქნა 47 კინოქრონიკა. სამწუხაროდ, გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა ფირების უმრავლესობა. იმ დროის ფილმების არც ერთი კინოფირი არ არის შემორჩენილი.

44 (სიტყვა „დორამა“ – სატელევიზიო დრამა – თავდაპირველად იაპონური ტელესერიალების აღსანიშნავად გამოიყენებოდა, დღეს კი აზიური სერიალების საერთო სახელია).

საკმაოდ ბევრი დეტალია თურქულ ვერსიაში შეცვლილი. იბადება კითხვა: მაინც რატომ გახდა დორამები ყურებადი და პოპულარული? მიზეზი რთული მისახვედრი არაა: თურქულ სერიალებთან შედარებით ნაკლებად გაწელილია და მეორეული ინტრიგებიც ნაკლებია; ემოციებით განსაკუთრებით დატვირთულია; საინტერესო სიუჟეტის მიღმა ვეცნობით უცნობ სამყაროს, კულტურას, ტრადიციებს, მენტალიტეტს. ფილმი არის დინამიკური, არაუმეტეს 16-20 სერიისგან შედგება; პერსონაჟების გულწრფელობა, მხიარული, ზოგჯერ სევდიანი, მაგრამ ადამიანური თავგადასავლები მაყურებლების გულამდე აღწევს და იგი სერიალის დამთავრების შემდეგაც კიდევ დიდხანსაა შთაბეჭდილების ქვეშ. თუმცა ქართველი ტელემაყურებელი ინტერესით უყურებს ქართულ და თურქულ სერიალებს, რადგან ქართული და თურქული სერიალების შინაარსი უფრო „რეალური“ და ნაცნობია, ვიდრე სხვა ქვეყნებისა. ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში რამდენიმე თურქული სერიალია პოპულარული. მათ ახალ ეპიზოდებს ქართველი მაყურებელი სატელევიზიო სივრცესა თუ ონლაინსტრიმებზე განსაკუთრებული მღელვარებით ელოდება. რომელი თემებით ინტერესდებიან თურქი კინორეჟისორები დღეს? აღმოსავლეთში ოჯახის თემა კვლავ აქტუალურია. ახალგაზრდებმა შეიცვალეს შეხედულებები მორალურ საკითხებზე. თურქებმა დაიწყეს მოგზაურობა მთელ მსოფლიოში, დაუკავშირდნენ სხვა ქვეყნების ხალხებს და დაქორწინდნენ უცხოელებზე. თურქული ტრადიციები ყოველთვის თავაზიანობასთან ასოცირდება, რაც ეტიკეტის წესად იქცა. ახალგაზრდებმა ბოლო წლების განმავლობაში გაიარეს დასავლური ტრადიციების გზა, რომელიც დაკავშირებულია პრაგმატიზმის განვითარებასთან.International Emmy Awards-ზე გამარჯვებული სერიალი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გადიოდა და საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა. პირველად Emmy Awards-ის ისტორიაში ნომინირებული იყო თურქული პროექტი, რომელმაც პირველსავე ცდაზე გაიმარჯვა, „Kara Sevda“ ნომინაციაში – „წლის საუკეთესო ტელენოველა“ და, როგორც Hollywood Reporter-ი იუწყებოდა, კანადურ და ბრაზილიურ პროექტებთან შედარებით დაწინაურდა და გამარჯვებულიც გახდა. 2015 წელს გამოშვებულმა ტელესერიალმა „შენი ზოდიაქოს ფერი“, როგორც ჩანს, ქართველი მაყურებელიც მერამდენედ მიაჯაჭვა ტელეეკრანს. ეს არის სერიალი კარგად გამართული დრამატურგით, მომხიბვლელი მსახიობების სამსახიობო ანსამბლია, შეკრულია. სცენარის ავტორს კარგი უნარი აქვს, სხვადასხვა აქცენტი წამოწიოს – ქალების თემა, სოციალური პრობლემებიც მახვილგონივრულად არის ასახული. მაყურებლის დიდი ინტერესი ჯერ კიდევ სერიალის გადაღებების დასრულებამდე გამოიწვია, მეტიც, ვიდრე „შენი ზოდიაქოს ფერი“ ტელეეკრანებზე გამოჩნდებოდა, მაყურებელი YouTube-ის საშუალებით ადევნებდა თვალყურს. თურქულ არხ „Star TV“-ის პროექტი „Kara Sevda“, რომელშიც მთავარ როლებს ბურაკ ოზჩივიტი, ნესლიხან ათაგიული და ქაან ურგანჯიოღლუ თამაშობენ, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.[45] სერიალის დრამატურგებმა: ოზლემ ილმაზმა, ბურჯუ გორგუნმა სერიალი გახადეს ფენომენი, გაშვების სიხშირე საშუალებას იძლეოდა, ადამიანებს ეცხოვრათ ამ გმირების ცხოვრებით. მხატვრული და რეალური ცხოვრება ერთმანეთზე ისეა გადაბმული, რომ ეს პროცესი არ წყდება ერთ სერიაში, მისი გადაწყვეტა შემონახულია შემდეგი სერიისთვის და ა.შ. ასე იქმნება ჯაჭვი უსასრულობისა სხვადასხვა მაყურებლის ცხოვრებაში. ეს კი საშუალებას იძლევა, რომ საკუთარი, ემოციურად მეტ-ნაკლებად გაღარიბებული ცხოვრება შეავსონ სერიალის სიუჟეტის მიხედვით: ქემალს პირველი სიყვარული მოულოდნელად ეწვია. ის პირველად საყვარელ გოგონას ტრანსპორტში შეხვდა, შემდეგ – გამოფენაზე და ბოლოს მან იგი დახრჩობას გადაარჩინა. გოგონა, რომელსაც ნიჰანი ჰქვია, მდიდარი ბიზნესმენის ქალიშვილია, ქემალი – ღარიბი დალაქისა. ისინი რადიკალურად განსხვავებულ სამყაროებს ეკუთვნიან. აქვს კი რაიმე მომავალი მათ სიყვარულს, როცა ირგვლივ საშინელი ინტრიგები იხლართება? თუმცა ორივე ცდილობს, საკუთარი სიყვარულის გადასარჩენად იბრძოლოს. ყველა რეჟისორის ოცნება არის ბევრი მაყურებლის ყოლა. ამისათვის საჭიროა არა მარტო კარგი ფილმების გადაღება, არამედ მაყურებლის კარგად გაცნობა. თუ მაყურებელს ფილმი მოსწონს, ის საკუთარი თავის ასოცირებას ახდენს ან კამერასთან, ან ფილმის პერსონაჟთან. მაყურებელი ფილმს უყურებს იმ კუთხიდან, სადაც დგას კამერა. თუ გინდათ, რომ მაყურებელი გააღიზიანოთ, ამის უამრავი ხერხი არსებობს, ყველაზე რთული კი, ალბათ, მაინც მაყურებლის მოხიბლვაა. საუკეთესო გამოსავალი, რომ მაყურებელი ეკრანს მიაშტერდეს, არის საინტერესო ინტრიგის შექმნა და სანახაობა. ინტრიგის შექმნისთვის არსებობს დრამატურგიული ხერხები და სცენარისტის ფანტაზია, თუმცა არსებობს უამრავი ფილმი, რომლებიც განსაკუთრებული დრამატურგიის გარეშეც იზიდავენ მასობრივად მაყურებელს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უფრო სანახაობრივ ფილმებთან. სერიალის რეჟისორი ჰილალ სარალი გვთავაზობს სერიალს მარტივი ფორმულით: ვაცადოთ მაყურებელს, მიხვდეს, რა ხდება და ნელ-ნელა შევაპაროთ ახალი ამბავი,

45 თურქული სატელევიზიო არხი „Star TV“ დაარსდა 1989 წლის 1 მარტს სტამბოლში. ლოზუნგია: „Starsan Star'dasın“ – „თუ ვარსკვლავი ხარ, მაშინ უყურებ ვარსკვლავს“

უწყვეტი დრამატურგიული ხაზით, პარალელური კონფლიქტური სიტუაციით. ციფრულმა ტექნოლოგიებმა გაამარტივა ფილმწარმოება – რეჟისორი, პირველ რიგში, არის პროფესია და არა სტატუსი, ისეთივე პროფესია, შეიძლება ითქვას, ხელობაც კი, როგორებიცაა: ოპერატორი, მემონტაჟე, გამნათებელი, სანტექნიკოსი, ბუღალტერი ან მკერავი.სწორედაც რომ კარგად შერჩეულმა გუნდმა, რეჟისორის გააზრებამ და პროდიუსერ ქერემ ჩაათაის მენეჯმენტმა განაპირობა ფილმის „შენი ზოდიაქოს ფერი " წარმატება და აღიარება, რითაც ეს სერიალი მოქმედების გაშლით ინტერიერსა და ექსტერიერში ჰგავს კინემატოგრაფს და შეგვიძლია ჩავთვალოთ, სერილმა თურქეთის კინოტელეინდუსტრიაში ახალი სიტყვა თქვა – სხვის კარზე დააკაკუნა.მთელ მსოფლიოში მაყურებლის განსაკუთრებით ძლიერი მიზიდულობა განპირობებულია რამდენიმე ასპექტით: 1.საპნის ოპერები ასახავს იმ პრობლემებს, რომლებიც ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორებიცაა: რასიზმი, უმუშევრობა, მრუშობა, გაუპატიურება, ალკოჰოლიზმი და ნარკოტიკები; 2.გართობა და მეოცნებეობა – შეგიძლიათ განიცადოთ ცოტა რომანი, გლამური, ვნება, სიყვარული და სიძულვილი; 3.პერსონაჟები, როგორც რეალური სამყაროს შემადგენელი ნაწილები – დროთა განმავლობაში პერსონაჟები იქცევიან რეალურ ადამიანებად და ჩვენ ვდარდობთ, თუ როგორ იქნებიან ისინი. 4. საგანმანათლებლო თვალსაზრისი – ჩვენ შეგვიძლია დავუკავშიროთ საკუთარი ცხოვრება სიტუაციას და ხანდახან დავახარისხოთ საკუთარი პრობლემები იმ ქმედებათა მიხედვით, რომელთაც ახორციელებენ პერსონაჟები;ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი – ყურების დაწყებიდან რამდენიმე ხანში სერიალი იქცევა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად. სამსახურიდან მოვედით სახლში, ვსადილობთ, ვაკეთებთ ჩვეულ საქმეებს, ჩავრთავთ ტელევიზორს და მოდის ჩვენი სერიალის საეთერო დრო; 5. ემოციური გამოცდილება – საპნის ოპერის ყურებისას ჩვენ შეგიძლია გამოვცადოთ სხვადასხვა ემოცია: ბრაზი, იმედგაცრუება, რწმენა, მხიარულება; 6.კრიტიკული დისტანციის შენარჩუნება – ადამიანი უყურებს სერიალს და იცის, რომ რეალური ცხოვრება არ არის ასეთი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მოგვწონს ამ ამბავში თავიდანვე ჩართვა. ზოგადად ტელევიზორის და კონკრეტულად საპნის ოპერის ყურება ბედნიერების განცდაზე დადებით ზეგავლენას ახდენს.[46]

საზოგადოდ, მაყურებელს ტექსტის წაკითხვა ბევრნაირად შეუძლია. იგი ნებისმიერი ეპიზოდის ყურებისას ქვეცნობიერად ორ დაბოლოებას მოელის – მშვიდობიანს და კონფლიქტურს, რომელიც შეიძლება დაზავებით დამთავრდეს, რაც გონების სიმახვილეს უკავშირდება. თუმცა თეორია ჭკუის დარიგებისა, დამოძღვრისა არ არის თვალსაჩინო. მან კარგად იცის, ყველაზე მდაბალი საქციელიც კი სავალალო შედეგის მომტანია, თუ ტელემაყურებელმა კარგად არ გაიაზრა ყველანაირი ამბავი, მოქმედება, მორალი. მაგალითად, 1986 წელს საფრანგეთის ქალაქ ლიონში სამმა კაცმა ქალის მიმართ, ბავშვის თანდასწრებით, საშინელი ძალადობა ჩაიდინა. სასამართლო პროცესზე მათ განაცხადეს, რომ დანაშაულის იდეა სტენლი კუბრიკის ფილმ „მექანიკური ფორთოხლიდან" ისესხეს. მათ ვერ გაიაზრეს ის ფაქტი, რომ კუბრიკი თავისი ფილმის მამხილებელი პათოსით ისწრაფოდა, ძალადობის მიმართ მაყურებელში აღშფოთება გამოეწვია, მაგრამ ტექსტის ამგვარი წაკითხვა ,,მისაბაძი" აღმოჩნდა, რადგან, რომ არა ეს ფილმი, ისინი ამგვარ დანაშაულის ვერ შეთხზავდნენ.[47] რამდენიმე დღის წინ ქართულ მედიასივრცეში წავიკითხე ერთ-ერთი მკითხველის ინტერვიუ, სადაც ის საუბრობდა დედამთილზე. ამბავს ასეთი განვითარება აქვს: დედამთილი, რომელიც საათობით უყურებს თურქულ სერიალებს, შვილსა და რძალთან მოქმედებს სერიის მესიჯებით, ითხოვს ისეთსავე ეტიკეტს, როგორსაც სერიალებში ხედავს. ოჯახის წევრებს მოუწოდებს – ბევრი რამ გაქვთ სასწავლი, თურქულ სერიალებს უყურეთ და ისწავლითო. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, ერთფეროვანი ჭეშმარიტების სფეროდან აზროვნების სფეროში გადანაცვლება. საქმე ეხება ფასეულობათა გადაფასებას და აზროვნების ახალი სისტემის, არაადეკვატური იდეების, მიმბაძველობის იგნორირებას. ალბათ, კარგად უნდა გავერკვეთ, შეუძლია ადამიანს გათავისუფლდეს, თუ ის შინაგანად ჯერ კიდევ არ არის დამოუკიდებელი.

ზოგადად სერიალი, ამჟამინდელი მოცემულობით თურქული სერიალი, არის გადაშლილი წიგნი, რომელიც მაყურებელმა ფხიზელი გონებით უნდა შეაფასოს. არ უნდა შევქმნათ უტოპია, არამედ სინამდვილეს თვალებში ჩავხედოთ, შევძლოთ, რეალურად წავიკითხოთ ის ნარატივი, რაც „ესთეტიკური" ნიშნით ახასიათებს მხატვრულ თავისუფლებას.

46 Roberts D: Television and human behavior. Columbia University Press, New York, 1978.

47 იოსელიანი ო. ტექსტი,მსახიობი,კინოხელოვნების პრობლემები,თსუ,თბ.1992

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბორეცკი რ.ა. „ტელევიზიის ბერმუდის სამკუთხედი.“ ახალი დრო, მ. 2000

2. გელოვანი ნ. ,,სატელევიზიო სერიალი- გართობის წყარო თუ?“- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მკვლევართა XIII საერთაშორისო კონფერენცია. თბ 2020.

3.გელოვანი ნ.სატელევიზიო სერიალის სპეციფიკა,თსუ .2019

4.იოსელიანი ო.ტექსტი,მსახიობი.კინოხელოვნების პრობლემები-თსუ,თბ.1992

5.Douglas. P. writing the TV Drama Series: How to Succeed as a Professional Writer in TV. Michael Wiese Productions. 2013

6.Roberts D: Television and human behavior. Columbia University Press, New York, 1978.

7.Научно-методический журнал "Телевизионная журналистика". М., 2003,

ვეფხისტყაოსნის შინაარსის სწორი გაგებისათვის

Teimuraz Chanturishvili
Independent Researcher, Georgia

წინამდებარე აბსტრაქტში წამოჭრილი საკითხები ჩვენ აქამდეც გაგვიჟღერებია - შარშან, ამავე უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციაზე, შ.რუსთაველის სახ. ლიტ. ინსტიტუტის ა/წ შრომათა კრებულში, ა/წ ონლაინ საერთაშორისო კონფერენციაზე ლონდონში - ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ლოგიკურია ქ-ნ თ. ერისთავის მოსაზრება, რომ 'ვეფხისტყაოსანის' ავტორი არის თამარ მეფის ბიძაშვილი დემნა უფლისწული. ეს იმდენად დამაჯერებელია (არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით), რომ გსურს თქვა - თუ ასე არა, მაშ როგორ? გავიხსენოთ - ტარიელისა და ნესტანის „და-ძმობა" (ამაზე პოემაში პირდაპირი მითითებებით) და ისტორიულად - დემნასა და თამარის ბიძაშვილობა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიხედვით მათი შეუღლების დაუშვებლობა, საქართველოში ლეგენდად შემორჩენილი დემნას სიყვარული ; ტარიელის ჯანყი ფარსადანის წინააღმდეგ ტახტის მემკვიდრეობისათვის (სიყვარულის გაუმჟღავნებლად), ისტორიულად - დემნას ჯანყი გიორგი მესამის წინააღმდეგ იგივე მოტივით; ანტონ კათალიკოსის მიერ შოთა რუსთაველის დასახელება თამარ მეფის ერთ-ერთ მემატიანედ, ხოლო პოემის პროლოგში ავტორის სიტყვები: „ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული;" პროლოგში ნაწარმოების ყველა ნიუანსის გაჟღერება პლატონის ფილოსოფიაზე ალეგორიული მითითებებით - შეხედულება ლიტერატურაზე, საზოგადოების სტრუქტურაზე, 'საზეო' სიყვარულზე, რომელიც მსმენელთათვის გაუგებარია (პლატონური?). დასახელებული (და სხვა, დაწვრილებით სტატიაში განხილული) ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ავტორმა, (დემნამ), უსახელო რუსთაველს ამოფარებულმა ('რუსთველი') დაწერა პოემა, ეპილოგში კი თქვა: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა." ეს ბოლო წინადადება გვაფიქრებინებს, რომ ეპილოგი პოემის განუყოფელი ნაწილია - ერთი და იგივე პიროვნების მიერ დაწერილი და არა ვინმე გადამწერის მიერ მიწერილი. ნიუანსები, რომელთა განმარტებას შევეცადეთ, მითუმეტეს გაუგებარი რჩება უცხოელი მკითხველისათვის, ანუ, მას ვერ ექმნება სრულასოვანი შეხედულება პოემის რაობაზე. განა იმ მესხი მელექსის სიტყვებს ასეთი თარგმანი უფრო არ შეესაბამება?

საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსანი, დემნა უფლისწული, გიორგი მესამე, ლიტერატურა

To Understand Correctly the Content of *Vepkhistkaosani*

The matters raised in this abstract have been voiced by us at the same University last year's conference, in this year's collection of scientific papers of the Sh. Rustaveli Literary Institute, and at the scientific conference in London this year. There we supported the opinion of Ms. T. Eristavi that the author of *Vepkhistkaosani* seems to be Demna, the cousin of Queen Tamar, who loved her. Given the facts, I would like to say - if this is not the case, how is it different? Let us recall the direct reference in the poem to the close relationship of Tariel and Nestan-Daredjan, and in Georgia - the cousinship of Demna and Tamar, and inadmissibility of their love; the legend of Demna and Tamara's love; Tariel's rebellion against King Parsadan with a claim to the throne, and historically - Demna's revolt against King with the same motive; Shota Rustaveli's mentioning by Catholicos Anton as the chronicler of Queen Tamar, in the poem – the author's words: "I praised her one time in the past, and chose then not rejected themes..."; in the prologue - a list of matters with a background of Plato's statements: about literature, about the social structure of society, about the sublime - heavenly love. The above-mentioned (and other facts given in the article) suggest that Demna wrote the poem under the cover of a distorted surname Rustveli, and wrote in the epilogue: "I'm some Meskhetian, rhyming this to imitate Rustveli's name". Based on these facts, it seems that the epilogue was written by the author and not attributed by some copyist. The discussed nuances, if not underlined thoroughly, often remain incomprehensible for a foreign reader, and he does not get full impression of the content and the idea of the poem.

Keywords: Panther, Demna Prince, George III, Literature

წინამდებარე სტატიაში განხილული საკითხები ჩვენ ადრეც გაგვიჟღერებია: ამავე უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (ჭანტურიშვილი, 2019); შ. რუსთაველის სახ. ლიტ. ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებულში (ჭანტურიშვილი, 2020); ლონდონის ინტერდისციპლინარულ ონლაინ სამეცნიერო კონფერენციაზე ა/წ ოქტომბერში (რომლის მასალა ამჟამად გამოცემის პროცესშია).

ყველგან აქ ჩვენ გამოვუთქვით მხარდაჭერა ქ-ნ თ. ერისთავის შეხედულებას, რომ 'ვეფხისტყაოსნის' ავტორი, სავარაუდოდ, არის თამარ მეფის ბიძაშვილი დემნა უფლისწული, რომლის სიყვარული თამარის მიმართ საქართველოში სიტყვიერ ლეგენდად იყო შემორჩენილი.

ეს ვარაუდი, გამოთქმული ნაშრომში 'ვეფხისტყაოსანი - სიუჟეტის მეორე განზომილება' (ერისთავი, 2010), ემყარება სერიოზულ ფაქტობრივ მონაცემებს და მათი

გაუთვალისწინებლობა დაღს ასვამს მკითხველის წარმოდგენას ნაწარმოებზე, აძნელებს მისი შინაარსისა და იდეის აღქმას. ეს მითუმეტეს საწყენია იმ მკითხველის მიმართ, რომელიც პოემას თარგმანში კითხულობს. გავბედავ და ვიტყვი, რომ მე არ მინახავს თარგმანი ჩემთვის გასაგებ ენებზე (რუსული, ინგლისური, გერმანული), რომელსაც, მიუხედავად მისი ლიტერატურული ღირსებებისა, ყველა ნიუანსის დაცვით მიაქვს მკითხველამდე ავტორის ყველა ორაზროვანი, მინიშნებითი, აუცილებლად მართებულად აღსაქმელი გამოთქმა. ასეთი თარგმანი შეიძლება არსებობს (თუნდაც ჩამოთვლილის გარდა, სხვა ენებზე), მაგრამ ვიმეორებ, მე არ მინახავს. აქვე საჭიროდ მიმაჩნია დავძინო, რომ ზემოდ მითითებული ნაშრომი თ. ერისთავისა, თანდართული ლიტერატურით, პასუხობს ყველა საკვანძო კითხვას.

მაშ, დავასახელებ თ. ერისთავის დებულებებსა და მის მიერ შენიშნულ პარალელებს პოემის შინაარსსა და საქართველოს ისტორიულ ეპიზოდებს შორის, რომლებმაც ბიძგი მისცა ჩემს კვლევას ამ მიმართულებით: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ავტორის - დემნას სამი იპოსტასი არიან, ხოლო ნესტან-დარეჯანი და თინათინი - თამარის (მეფის) ორი იპოსტასი; ტარიელი შავ ცხენზეა, ავთანდილი კი თეთრზე - ქ-მა თამარმა ეს თეთრი და შავი ინდური ვედური თქმულებების მიხედვით არჯუნასა და კრიშნას ფერებს დაუკავშირა; ტარიელისა და ნესტანის სიყვარულს პოემაში წინ გადაუდგა ნესტანის მამიდა დავარ, რომლის ქართული საფუძველია 'და ვარ', ხოლო ირანული - 'მართლმსაჯულების აღმსრულებელი'; ტარიელისა და ნესტანის ნათესაურ სიახლოვეზე მეტყველებს სხვა ბევრი ფაქტიც - ფარსადანის მიმართვა ტარიელისადმი ნესტანის ქორწილის მოლოდინში გადაიხადონ ქორწილი, 'ვით დასა შენსა სრულია'; ნესტანის მიერ თქმა ტარიელისადმი, რომ მან მოკლას სასიძო, როგორც ინდოეთის ტახტის მოცილე, მაგრამ არ ახსენოს მათი სიყვარული, როგორც მოტივი ამ მკვლელობისა!; ანტონ კათალიკოსის მიერ შოთა რუსთაველის დასახელება თამარ მეფის ერთერთ მემატიანედ და პოემის შესავალში ავტორის სიტყვები - 'ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული'; ავტორის მიერ თამარის მიმართ სიყვარულის გამოთქმა და განცხადება, რომ ნაწარმოებში მის სახელს ხშირად მოიხსენებს: 'მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია'; ავტორი (დემნა) ამოეფარა შოთა რუსთაველის სახელს - 'რუსთველი', უსახელოდ, ხოლო ნაწარმოების ბოლოს თქვა: 'ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისად ამისა'. ასეთი გაგებით, ეპილოგი იგივე პიროვნების მიერ არის დაწერილი, რომელმაც მთელი პოემა დაწერა და არა ვინმე გადამწერის მიერ დამატებული; დემნას დასჯის შესახებ არაერთგვაროვანი და არც მაინცა და მაინც სარწმუნო მომაცემები, განსაკუთრებით დასჯასა (თუ ის მართლა დაისაჯა) და მის გარდაცვალებამდე გასული დროის შესახებ.

ზემოდჩამოთვლილი ფაქტები ახსნა - განმარტებას მოითხოვს; სწორედ ამ საკითხს ეძღვნება ჩემი ნაშრომები, რომლებიც ქ-ნ თამარის წიგნთან ერთად, ამ სტატიის ლიტერატურულ ჩამონათვალშია და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მათ მიმართოს.

ასეთი ვრცელი წინასიტყვაობის შემდეგ შევუდგები ჩამოთვლილი დებულებების ახსნა-განმარტებას, საკვანძო სიტყვებისა და გამოთქმების ჩემეული ინგლისური თარგმნით მოწოდებას და შემოგთავაზებთ ჩემ საკუთარ - თ. ერისთავის შეხედულების მხარდამჭერ - თვალსაზრისს:

ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის უფლისწულ დემნას იპოსტასებად წარმოდგენა სავსებით ლოგიკურია - ავტორი მთელი ნაწარმოების მანძილზე ხაზს უსვამს გმირთა მსგავსებას, ერთფეროვნებას. თუ ტარიელი ინდოელია (ვითომ) და მის სიყვარულს წინ დავარი გადაუდგა, ავთანდილს (არაბს, მაჰმადიანს) ამ თვალსაზრისით არაფერი ემუქრება. მართალია, იგი არ არის როსტევანის „გვარისა", მაგრამ მისი გაზრდილი და აღზრდილია - და თუნდაც იგივე გვარისა ყოფილიყო, მუსლიმობა ვერ შეაკავებდა მისსა და თინათინის შეერთებას.

ფრიდონი განსახიერებაა დემნას გამეფებისა უთამაროდ, ბიძასთან ჭიდილში. ეს ავტორს არ სურს და ფრიდონი თავის შავ ცხენს ტარიელს ჩუქნის.

ნესტანისა და თინათინის თამარის იპოსტასურობა აშკარაა - თინათინი ნესტანის ათინათია, მამას იგი სამეფო ტახტზე აჰყავს. სწორედ მათ სახელებით მიგვინიშნებს პოემის ავტორი „შეფარვით“ თამარის სახელს (როგორც პროლოგში გვპირდება): “I will be hinting at her name, from now on often you’ll hear that.”

ტარიელის შავ ცხენთან დაკავშირება და ავთანდილისა თეთრთან მიმაჩნია აშკარა მინიშნებად პლატონის სულის ალეგორიაზე - მეეტლე, რომელიც მართავს ეტლს, რომელშიც შებმულია ორი ცხენი; შავი (მოკვდავი) - ჯიუტი, თვითნება, ძნელად სამართავი და თეთრი (უკვდავი) - ჭკვიანი, დამჯერი, მოწესრიგებული. აქ ხომ აშკარა მინიშნებაა ტარიელისა და ავთანდილის ხასიათებზე.

პოემის ორაზროვნობა პროლოგშივეა ხაზგასმული, თუ მ. უორდროპმა ამისათვის სიტყვა სქოლიოში ჩამოტანით განმარტა, ჩვენ მკითხველს ასეთ თარგმანს ვთავაზობთ:

“This Persian story of past times, now into Georgian verse translated,

As a precious unique diamond, worth to be admiringly gazed at,

Equivocally redone by me, was a praiseworthy matter made –

Let her do state my words’ approval, who drives me crazy, makes me mad!”

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ტარიელისა და ნესტანის ნათესაობა (დემნასა და თამარის ნათესაობის ანალოგია) პოემაში დაუფარავად არის მითითებული. აი, რას ეუბნება ფარსადანი ტარიელს ნესტანის ქორწილის მზადების პროცესში:

“This day’s the happiest day for me – King said to me – let's have a ball!

May as your sister’s worth, be it grand royal wedding – that’s my call.”

პოემის პროლოგში, მსგავსად ოპერის უვერტიურისა, გაჟღერებულია ყველა თემა ნაწარმოების შინაარსისა - პლატონის შეხედულება ლიტერატურულ ნაწარმოებზე - “But he, only he’s true master, whose creation moves and shakes us.”, ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე -

“What to whom by fate’s been offered, let them carry out with eagerness –

There’s the land for peasants to work on, let the warrior be brave, fearless.

If one loves, he should be faithful, should preserve his love, its firmness,

May no strength change his strong feeling; let him keep his love in earnest.”,

ამაღლებულ, „საზეო“ (პლატონურ) სიყვარულზე -

“Have I to sing and praise the love, the midjnurship of precious kind?

It’s hard, it’s difficult to express, and it’s inscrutable for one’s mind;

It is the high, divine affair; it fills our heart with joy and pride,

Its object – free from routine trifles – tastes indescribable pure delight.

Such kind of midjnurship, such love can’t be by many ones perceived;

The tongue - explaining it – dries up, the listener’s ears get tired with it,

Here I relate the low affairs; people’s carnal nature’s filled with it;

However, with claims of eminence when there in the first place is a spirit.”

როგორც აღვნიშნეთ, ანტონ კათალიკოსი შოთა რუსთაველს მოიხსენებს თამარ მეფის ერთ ჟამთაღმწერლად და თ. ერისთავის მიხედვით მის სახელს (უსახელოდ, გვარის შეცვლით) ამოეფარა ავტორი -

“Our Queen, our Tamar should be praised, for whom I shade my bloody tears;

I praised her one time in the past, and chose then not rejected themes…"

ავტორის (დემნას?) სიყვარული თამარისადმი ნაწარმოების დასაწყისშივე დაუფარავად არის გაჟღერებული -

"I, Rustveli – totally crazy – do this job as tells my spirits;

She who's a head of our armed forces, she's who turns me maddened, she is.

I am tired, no drug can cure me, and support the midjnure's feelings,

Either I will be revived or in a grave I will be sleeping.",

მაგრამ, ვითარების - მისი სიყვარულის განუხორციელებლობის გააზრებით, იგი მზად არის საკუთარი გრძნობები, პირადი ცხოვრება მისი გულის სწორის ბედნიერებას (და ფართო გაგებით ქვეყნის კეთილდღეობას) შესწიროს -

"The real brave midjnur's he who can lay down for her his life and luck."

ამის დემონსტრაციაა ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრა, დამეგობრება, აზრების ურთიერთგაზიარება . აქ ავთანდილის წასვლა ტარიელის საძებრად უნდა წარმოვიდგინოთ როგორც თამარისა დავალება დემნაზე გაერკვეს თავის გრძნობებში, დაინახოს რეალობა. ავთანდილი პოულობს ტარიელს გამოქვაბულში (პლატონის გამოქვაბულის ალეგორია!) და „გაანათლებს" მას. ტარიელის წინაშე გადაიშალა მწარე რეალობა, იგი უარს ამბობს მეფობაზე (ლომის მოკვლა), სიყვარულზე (ძუ ვეფხის მოკვლა) და განდეგილობაში (ვეფხის ტყავის მოხვევა განდეგილობის ნიშანია!) წერს თავის პოემას, რომლის მოღწევა ქართველ მკითხველთან ენით გამოუთქმელი საკვირველებაა! თუ იგი ავტორის თანამედროვეთათვის იყო გათვალისწინებული, რატომ მათგან არავითარი გამოძახილი არ ჩანს და არაფერი ისმის თამარის მეფობის დროს? აქვე დავძენ, რომ თუ ინდოეთში ვეფხის ტყავით შემოსვა განდეგილობის ალეგორიაა, სპარსეთSი ეს ვაჟკაცობის, დევგმირობის სიმბოლო იყო.

ყოველივე ნათქვამის გათვალისწინებით ვფიქრობ, ბოლო უნდა მოელოს სპეკულაციებსაც ტარიელისა და ასმათის გამოქვაბულში ცხოვრებაზეც - ასმათი განასახიერებს ტარიელის მოუშუშებელ, განუკურნებელ ტკივილს შეყვარებულის დაკარგვის, მასთან განშორების გამო.

რაც შეეება ფატმანს, იგი ისტორიის მუზას განასახიერებს, ავთანდილი მისგან აგროვებს საჭირო ინფორმაციას. მაგრამ ისტორია ზოგჯერ ჭორებსაც გვაწვდის, ისინი კი მოსაცილებელია და უგულველსაყოფი. სწორედ ასე მოექცა ავთანდილი ზედმეტ ელემენტს, ჭაშნაგირს.

ჩვენს მოხსენებაში ჩვენ გაგიზიარეთ ჩვენი მოსაზრებები 'ვეფხისტყაოსნის' შინაარსის უკეთესად გასაგებად, შემოგთავაზეთ ნაწარმოების ბევრი საკვანძო ადგილის ჩვენებური ინგლისური თარგმანი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემის ფინალი; მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნაწარმოების ეპილოგი ვინმე გადამწერის მიერაა მიმატებული. ასეთი ხედვის საფუძველია სიტყვები - ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა - ანუ, ეს სიტყვები რუსთველის მიმსგავსებით პოემას მიაწერა ვინმე მესხმა მელექსემ. მკითხველი, და განსაკუთრებით უცხოელი, რომელიც პოემას თარგმანში ეცნობა, სწორედ ასეთი შეხედულებით იმსჭვალება. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მკითხველს უნდა მიეცეს საშუალება სხვანაირადაც გაიაზროს პოემაში აღწერილი ამბები და თვით პოემის შექმნასთან დაკავშირებული ისტორიაც, მითუმეტეს, რომ ასეთი შეხედულებისათვის არსებობს სავსებით ლოგიკური საფუძველი.

ზემოდმოტანილი სტრიქონები ასე შეიძლება გადაითარგმნოს ინგლისურად:

'I'm some Meskhetian, rhyming this to imitate Rustveli's name'.

ჩვენ ვთვლით, რომ სავსებით ლოგიკურია ნაწარმოების ამგვარი გააზრება - ავტორი (დემნა?), 'რუსთველის' სახელით ამოეფარა იმ შოთა რუსთაველს, რომელსაც ანტონ კათალიკოსი თავის 'ქართული ენის გრამატიკაში' მოიხსენებს თამარ მეფის ერთერთ ჟამთაღმწერად - 'მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი…' , უსახელოდ დაწერა პოემა და ბოლოში გვითხრა, რომ დაწერა იგი რუსთველის მიბაძვით.

თუ ეს მართლა ასე იყო, მან დაწერა ეს 'გრძელი შაირი' ყველა იმ უბედურების შემდეგ, რაც მას თავს გადახდა - მეფის წინააღმდეგ აჯანყება, თამარის გამეფება, გათხოვება, მისი დასჯა თუ ქვეყნიდან

გადახვეწა. ეს პოემა, ამდაგვარად გაგებული, არის მისი არშემდგარი ოცნება - მეფობა თამართან ერთად და კეთილდღეობის დამყარება თავის ქვეყანაში - შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს - Goats and wolfs grazed side by side there as companions in their kingdoms.

რასაკვირველია, ჩვენის მხრივ ზედმეტი თავდაჯერებულობა იქნებოდა ჩვენი შეხედულების უდავო ჭეშმარიტებად მიჩნევა - მაგრამ საკითხის ამგვარად დაყენება მართებულად გვესახება: არსებულ ისტორიულ და პოემაში გაჟღერებულ ფაქტებზე დაყრდნობით თუ პოემის ავტორზე ასეთი წარმოდგენა არასწორია, მაშ რომელია სიმართლე?

ლიტერატურის ჩამონათვალი

ერისთავი, თ. (2010). *„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე გაწზომილება.* თბილისი 2010.

ჭანტურიშვილი, თ. (2019). 'ვეფხისტყაოსნის' ალეგორია. In M. Arslan & G. Amaglobeli (Eds), *4'th International Conference on HISTORY, ART, LITERATURE and CULTURE in Black Sea Region and South Caucasus* (pp. 109 – 115). Tbilisi, Georgia.

ჭანტურიშვილი, თ. (2020). ვეფხისტყაოსნის ალეგორია. კრებულში *რუსთველოლოგია IX* ი. ამირხანაშვილისა და ლ. კარიჭაშვილის რედაქტორობით (გვ. 139 - 149). თბილისი, სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კულინარია და მხატვრული ტექსტი

Tamar Gogoladze
Gori State Teaching University, Georgia

კულინარიის, საჭმლის გემოვნებით მიწოდების თემა უძველესი დროიდან დომინირებს სხვადასხვა ქვეყნის ტექსტებში. მაგრამ წინამდებარე სტატიისათვის შევარჩიეთ მხოლოდ მხატვრული ტექსტების ანალიზი, რომლებშიც სამზარეულოს საგნები თუ კერძის მომზადების რეცეპტურა უშუალოდ დაკავშირებულია მთავარ პერსონაჟთა ყოფა-ცხოვრებასა თუ მათ სულიერ განცდებთან (სიყვარული, სექსი). აღსანიშნავია ქართულ-თურქულ თუ მექსიკა-ბრაზილიის ავტორთა მიერ კულინარიასთან. მიგნებულად მოძიებული სატრფიალო თემები, რომლებიც უმეტესად XIX-XX საუკუნეების მხატვრულ ტექსტებთანაა დაკავშირებული. ერთ თუ ერთ ტექსტში ოცწლიანი თანაცხოვრების პერიოდში ცოლ-ქმრის ურთიერთობა - გართობა-საუბარი კერძის უპირატესობის აღმოჩენას უკავშირდება (ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“) და მათი სულიერი სამყაროს სატირული გამომსახველობითი ხერხებით გადმოცემით მიიღწევა, თურქი მწერლის ორჰან ფამუქის ნაწარმოებში კერძის მომზადების პროცესში გამოყენებულ ნივთების სატრფოს სიყვარულით მათ მოგროვება-შენახვაში აისახება („უმანკოების მუზეუმი“). სამაგიეროდ, მექსიკურ-ბრაზილიურ მხატვრულ ტექსტებში (ლაურა ესკივალის „როგორც შოკოლადი მდუღარე წყალში“, ჟორჟი ამადუს „დონა ფლორა და მისი ორი ქმარი“) აღნიშნული ქვეყნების კერძის მომზადების რეცეპტურა უშუალოდ წარმართავს მთავარი თუ მეორეხარისხოვანი პერსონაჟების სასიყვარულო ურთიოერთობებს, რაც ერთგვარ სიმპატიას ბადებს მათ მიმართ მკითხველის განწყობილებაში. მხატვრულ ტექსტებში აქ ხშირად წარმმართველ ან უარყოფით როლს თამაშობს კულინარია და ეს ადამიანთა ყოფის მხატვრულად გადმოცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტუროლოგიური ასპექტია, რომელიც შემდგომ კვლევასაც მოითხოვს, რისი ერთი მცდელობაც გვქონდა წინამდებარე სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: კულინარია, მხატვრული ტექსტი, კულტუროლოგიური ასპექტები

Culinary and Fiction

The theme of culinary and food-tasting has been dominated in the texts of different countries since ancient times. As for the presented article, we have chosen to analyze only fiction texts in which the kitchen items or the recipes of the meals are directly related to the main characters' lives or their spiritual feelings (love, sex). It is noteworthy that the Georgian-Turkish or Mexican-Brazilian culinary love themes are found by the authors which are mostly related to the fiction of the 19th-20th-centuty. In one of the texts a wife and a husband's 20-year family life is related to discovering the preference of a meal (Ilia Chavchavadze's "Is a Man a Human ?!") and the satirical way of conveying their spiritual world, collecting items used during preparation of a dish by Turkish writer Orhan Pamuk "The Museum of Innocence"). However, in Mexican-Brazilian fiction (Laura Esquivel's "Like Chocolate in Boiling Water", Georges Amadu's "Donna Flora and Her Two Husbands"), the recipes of the cuisine of these countries conduct the romantic relations of the main or secondary characters, which causes positive attitude of a reader to the characters. Culinary often plays a dominant or negative role in fiction texts, and this is one of the important cultural aspects of the artistic representation of people's life that requires further research as we attempted in the presented article.

Keywords: Culinary, literary text, cultural aspects

კულინარიის, საჭმლის დაგემოვნების თემა, უძველესი დროიდან დომინირებს სხვადასხვა ქვეყნის არამხატვრულ თუ მხატვრულ ტექსტებში. ჯერ კიდევ „კომედიის მამის“, არისტოფანეს, პიესებში ცნობილი ფრანგი მწერლის ფრანსუა რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრუელში“ აღწერილია უამრავი საკვები, რომლებსაც „ნთქავენ“ მთავარი პერსონაჟები დიდი დაგემოვნებით. XIX საუკუნეში კულინარიული წიგნების პარალელურად იქმნება ნაწარმოებები, რომლებშიც კვების რიტუალიცაა დასახელებული.

ისტორიულ პერსონაჟთა თავგადასავლების უბადლო ავტორი, ალექსანდრე დიუმა, ქმნის წიგნს, „დიდი კულინარიული ლექსიკონი“, რომელშიც შედის 800-მდე ნოველა საჭმლის რეცეპტებით, მიმოწერით, ანეგდოტებით სხვადასხვა საკვებთან დაკავშირებით. XX საუკუნის დასაწყისში, მოდერნიზმის ეპოქაში, მეტ-ნაკლებად შემცირდა აღნიშნულ თემაზე წერა, რაც მინიმუმამდე იქნა დაყვანილი საბჭოთა ეპოქაში. სადღეისოდ ბევრი მწერლის ნაწარმოებში ძალზე პოპულარული გახდა გასტრონომიული ხელოვნება, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მწერლებთან გაჩნდა დეტექტივები, სატრფიალო რომანები და სხვ. ქართულ სინამდვილეშიც მწერალი ქალი დიანა ანფიმიადი გამოსცემს წიგნს „წინასწარმეტყველება მურაბით“, რომელშიც ყველაფერი მთავარი კონცეპტის გარშემო ტრიალებს, - ეს არის გემო, მახსოვრობა და ლიტერატურა, ავტობიოგრაფიული მომენტები, ისტორიული პროზა, მსოფლიო ლიტერატურის შედევრების კულინარიული შეფერილობა, სოციალური თუ პოლიტიკური თემატიკა, ლიტერატურული კრიტიკა, ლინგვისტური ძიებები შეზავებულია კულინარიულ რეცეპტებთან, რომელთაგანაც ბევრი საუკუნეების წიაღში ჩაკარგულია“, - იუწყება ინტერნეტის რეკლამა აღნიშნულ წიგნზე. https:www.facebook.com/booksinbatum-i/photos/a.37469106937820-7/640449856135659/?type=3).

წინამდებარე სტატიისათვის კი შეირჩა მხატვრული ტექსტები, რომლებშიც სამზარეულოს საგნები, კვების ობიექტები თუ კერძის მომზადების რეცეპტურა უშუალოდ დაკავშირებულია მთავარ პერსონაჟთა ყოფა-ცხოვრებასა თუ სულიერ განცდებთან (სიყვარული, სექსი).

რა პრინციპით შეირჩა სტატიისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მწერალთა ნაწარმოებები? ბუნებრივია, უამრავი ლიტერატურა არსებობს ამ მწერალთა შემოქმედების, თუ მათთან მოთხრობილი გასტრონომიული საკითხების გამოკვეთით, მაგრამ ერთგვარი სპეციფიკა და ან საერთო არსებობს, რაც საკითხს სრულყოფილად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ამოწურავს. ამდენად, პირველი და აუცილებელი ლიტერატურათმცოდნეობითი კუთხით, აღსანიშნავია, რომ ადამიანის ყოველდღიური ყოფის ერთი ძირითადი ელემენტი, კვება, დაგემოვნება, კომუნი-კაციასთან ერთობლიობაში, იძლევა საშუალებას გავერკვეთ მწერლის, ბელეტრისტის მხატვრულ ოსტატობაში.

ქართულ სინამდვილეში თითქმის ერთ-ერთმა პირველმა, XIX საუკუნის 60-იან წლებში, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელმა, ილია ჭავჭავაძემ თავის მოთხრობაში „კაცია - ადამიანი?!“ სცადა ეჩვენებინა ცოლ-ქმარის, თათქარიძეების, გართობა, საფუძვლიანად დანაყრების შემდგომად, რაც, ბუნებრივია, ისე საჭმლის, სხვადასხვა კერძების ირგვლივ ტრიალებს. მანამდე, სავარაუდოდ, რუსეთში განათლების მისაღებად გამგზავრებული ილია, იცნობდა ევროპულ, თუ რუსულ ლიტერატურას, რომელშიც ჩნდება მაღალი წრის მცონარა პერსონაჟი, მთელ ცხოვრებას, „ძილსა და ჭამაში რომ ლევს. მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ კვება, კარგად მომზადებული ტრადიციული ქართული საჭმელები, ჩიხირთმა, ბოზბაში, ნერწყვის მომგვრელია და ისევ ახალი დანაყრებისაკენ მიიპყრობს პერსონაჟთა ყურადღებას: „შენ ხომ ჩიხირთმა მშიერს მოგგვრის პირში ნერწყვსა, მე კი ბოზბაში - მაძღარსაცა. აი, თუნდაც ახლა: მე ხომ ამაღამ შენზე მეტი მიჭამია, მაგრამ რომ მაგონდება პირამდინ პურ-ჩაყრილი, ჩაბუჟბუჟებული ბოზბაშით სავსე მათლაბა, თუ ზემოდანაც ერთი კარგი კანჭი აძევს!“ (ი. ჭავჭავაძე, II, 1974:73) - თავს აწონებს ლუარსაბი კნეინა დარეჯანს გურმანობით ლუარსაბისათვის თავად კვების ელემენტები ქცეულა შედარებისა და ეპითეტებისათვის მეუღლისადმი სიყვარულის გამოსახატავად (ტარხუნა, წიწმატი).

აღნიშნული თემით მწერალი ცდილობს გაამძაფროს სატირა ჭამა-სმას გადაყოლილი ცოლ-ქმარის დახასიათებისას. გარდა ამისა, აღნიშნული თემა XXI საუკუნეშიც ხდება ახალი ლიტერატურული კონკურსის ობიექტად: 2003 წელს ჟურნალმა „ომეგამ“ გამოაცხადა კონკურსი „გასტრონომია ლიტერატურაში“ დევიზით „ლუარსაბ თათქარიძე“, რომლის შედეგები 2 ოქტომბერს შეჯამდა და გამოვლინდა 3 საუკეთესო ნომინატის ავტორიც. XXI საუკუნეში ეს ნოველები სხვადასხვა ყოფით მომენტს უკავშირდება და იუმორითაა გაზავებული.

აღმოსავლურ ლიტერატურაში სიყვარული სატრფოსთან დაკავშირებულ ყველა მომენტს თუ საგანს უკავშირდება. მაგალითისათვის მაჯნუნის კონფლიქტი ლეილის მშობლებთან სუფრაზე მისი ძაღლთან მიფერებამ გამოიწვია (ნიზამი განჯელის „ლეილმაჯნუნიანი“). ასევე თანამედროვე თურქი მწერალი ორჰან ფამუქი თავის გახმაურებულ რომანში „უმანკოების მუზეუმი“ საყვარელი ქალის ფუსუნისადმი გრძნობის გაძლიერების, მასზე ოცნების მიზნით, სატრფოსთან სტუმრობისას „იპარავს“ კოვზს, რომელსაც ფუსუნის პირი ეხებოდა, ნაყინის ქაღალდს, რომელიც მან მიირთვა. გარდა ამისა რომანში აღწერილია ხშირი შეხვედრები კაფეებსა თუ რესტორნებში, წვეულებაზე მირთმეული „ბარაბული“ - ხონთქარა, (ზურგიელი),

რაქი, მურაბა და სხვა. აქ საჭმელი, როგორც საჭმელი არაა ძირითადი. იგი ემსახურება საყვარელი არსების გახსენების, მასზე ოცნების ფუნქციას, ხოლო ნივთების ძირითადი ნაწილიც ორჰან ფამუქის მეორე ნაწარმოებშიც ფიგურირებს „ერთი ძველი კომშის სახენი“ მქონდა. „მინდა მურაბა გავაკეთო, მაგრამ ვერსად ვპოულობ“- (ფამუქი, 2001:701) უყვება რომანის პერსონაჟი ქემალი ავტორს და ასკვნის: „ამ ნივთებს რომ ნახავენ, ჩემი სიყვარულის სიდიდისა და სიფაქიზეს გაიგებენ... დაწერეთ, რომ მუზეუმის ვიტრინები მკრთალი შუქით იყო განათებული. სტუმრები ექსპონატების დათვალიერებისას ჩემი და ფუსუნის სიყვარულისადმი პატივისცემით განიმსჭვალებიან და თავიანთ მოგონებებს ჩვენს სიყვარულს შეადარებენ“. (ო. ფამუქი, 2011:693).

ავტორის აზრით, ქემალის მიერ სატრფო ფუსუნის ხსოვნისათვის შექმნილი სამუზეუმო კოლექციის, მისი ექსპონატების შეცნობით, სულსაც შეიგრძნობენ. ამ კუთხით, სამზარეულოს ნივთები, მათი კავშირი მთავარ პერსონაჟთან, გრძნობის მახსოვრობას და მის გახანგრძლივებას უწყობს ხელს.

ბრაზილიელი მწერლის ჟორჟი ამადუს ნაწარმოებებში არაერთგზის წარმოდგენილია გასტრონომიული სიამოვნება ბრაზილიური ტრადიციული საჭმელი, რამაც ერთგვარად შეუწყო ხელი მათ პოპულარიზაციას სხვადასხვა ქვეყნის მკითხველის დაინტერესების თვალსაზრისითა და მათი შეტანით ყოველდღიურ მენიუში. რომანში „გაბრიელა“ თურქი ნასიბი მზარეულს არჩევს, როგორც კარგი კულინარის, ასევე ლამაზი და მიმზიდველი ქალის კუთხით, რაც სექსით ბოლოვდება და იგი რჩება ნასიბისათვის ორი სიამოვნების წყაროდ.

მაგრამ მეორე რომანში „დონა-ფლორა და მისი ორი ქმარი“, რომელსაც სხვა სათაურად „ზნეობისა და სიყვარულის ამბავი“ ჰქვია, მთავარი პერსონაჟი მულტი ქალი დონა ფლორა, კარგი მზარეულია, რომელსაც თავისი სკოლაც აქვს და ყოველ რეცეპტს თან ატანს. თავისი გარდაცვლილი ქმრისადმი სიყვარულის ნოსტალგიას თითოეული რეცეპტი უძღის წინ, ან ჩართულია თავში და მკითხველს აზიარებს მთავარი გმირის განცდებს.

საკულინარო სკოლა „გემოვნება და ხელოვნება“, თავისთავად მიგვანიშნებს გასტრო-ნომიული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის ოსტატობაზეც, რასაც მზარეული-მასწავლებელი თავის შეგონებასაც უმატებს:

„ამ სულელებს ხახვი მყრალი ჰგონიათ,

თუმცა სურნელებისა რა გაეგებათ?

ლაღას უმი ხახვი უყვარდა,

ამიტომ იყო მსუსხავი მისი კოცნა“

(ჟ. ამადუ, 1980:45).

დონა ფლორას მეორე ქმარიც, დოქტორი თეოდოროც, კარგი სამზარეულოს, პირისგემოს მოყვარულია და ეს ქორწინება უმშვენიერეს ქალთან სიყვარულს ამძაფრებს.

თუ ჟ. ამადუ გარდაცვლილის ან ახალი მეუღლის გასტრონომიულ ხსოვნას უკავშირდება, მექსიკელი ავტორის ლაურა ესკივალის ნაწარმოები „Como agua para choshosolate“, („როგორც შოკოლადი მდუღარე წყალში“) პირდაპირ ღვივდება სიყვარულის ალი ჯერ ახალგაზრდა პერსონაჟ ქალთან, ტიტასთან, რომელიც თავის გრძნობებს პედროსთან საბოლოოდ ქორწინების წინ საოცარი მექსიკური საჭლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, რომელშიც სატრფო ქალი პედროსაგან ნაჩუქარი ვარდის თაიგულის ფურცლებით აკეთებს მექსიკურ ფრინველის ხორცის საჭმელს. აქ თითოეული ფურცელი ვარდისა სიყვარულითაა აღსავსე და, როგორც ქურუმი ქალი სამზარეულო ხელო-ვნებისა, ისეთი გრძნობით მსჭვალავს საკვებს, რომ ისინი ერთვარ აფროდიზიადის როლსაც თამაშობს მთავარ პერსონაჟთა ცხოვრებაში.

თვით საკვები, მისი მიღება, სასიყვარული განცდა ერთმანეთში ისეა გადახლართული, მკითხველი ითქვიფება პერსონაჟთა გრძნობებში და ერთგვარად აქცევს როგორც მათი ქმედებების თანამონაწილედ, ისე მექსიკური სამზარეულოთი დაგემოვნების ინტერესის დაკმაყოფილების სურვილებით.

დიანა ანფიბიადი, ქართველი მწერალი ქალი, რომელიც ასევე დაინტერესებულია კულინარიით მხატვრულ ტექსტებში, მოზარდი თაობისთისაც ზრუნავს. ანა ჯანელიძესთან ერთად გამოცემულ საბავშვო წიგნში „კუკრუჭანები, კოკლოზინები და სხვა გემრიელი რამეები პატარა მკითხველებისათვის“ (2018) წარმოდგენილია „ცნობილი საბავშვო წიგნებით შთაგონებული კერძების რეცეპტები“, როგორიცაა

„შოკოლდის სიურპრიზი“ (როალდ დალის წიგნის მიხედვით), „კარლსონის პროპელერიანი გუფთები“ (ასტრიდ ლიდგრენის წიგნის მიხედვით), ელისის საყვა-რელი ნამცხვარი ფორთხოლის მარმელადით (ლუის კეროლის წიგნის მიხედვით და სხვ.) ავტორების მიზანსწრაფვა ასეთია: „საყვარელი წიგნის კითხვისას დაფიქრებულხარ, მართლა ასე გემრიელია თუ არა იქ აღწერილი კერძები და ტკბილეული, რომელსაც წიგნის პერსონაჟები შეექცევიან? მწერლები მათ ხან გაკვრით აღწერენ და ხან ისე დაწვრილებით, რომ ბევრჯერ ნერწყვიც გადაგიყლაპავს. მაგალითად, გვიფიქრია,რო თოვლის დედოფალს ყინულის სასახლე აუცილებლად ბევრი სხვადასხვანაირი ნაყინით ექნებოდა სავსე. დიანა ანფიმიადიმ რამდენიმე ასეთ „ლიტერატურულ კერძს“ მოუყარა თავი რეცეპტების ამ პატარა წიგნში და მათი მომზადების საკუთარი ვარიანტები შემოგვთავაზა“ - ნათქვამია გამომცემლობის ანოტაციაში, რომელიც წიფნის გარეკანის ბოლო გვერდს ახლავს. წიგნი დასურათებულია, რაც ხელს უწყობს პატარების ინტერესის გაძლიერებას, თვით რეცეპტები კი იუმორით შეზავებულ, ბავშვისთვის გასაგებ დამაინტრიგებელ, ფანტაზიის გამამძაფრებელ მოთხოვნებს ავითარებს: ჩამოთვლილია, რა მოიმარაგოს,როგორ მოი-ქცეს საჭმლის მომზადების წინ. თავში კი მინიშნებულია ავტორისაგან: ასტრიდ ლინდგრენის სახურავის ბინადარ კარლსონს ზურგზე მიმაგრებული პროპელერით ფრენა რომ შეუძლია. როგორ გგონია, ასეთი მოწყობილობა დაბრაწულ გუფთებსაც რომ გავუკეთოთ, პირში ბზრიალით თავისით შეფრინდებიან?“ (დ. ანფიმიადი, ა. ჯანელიძე, 2018). ავტორებისათვის აქ კიდევ ერთი მიზანიც იკვეთება, შეეჩვიონ ფართოდ გაერკვნენ სამზარეულოს საქმეებში, ამავდროულად, აქ უცხოური თუ ქართული კულინარიის ელემენტები ერთმანეთში იხლართება და წიგნს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

დასკვნისათვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომში, ვფიქრობთ, პირველად გამოიკვეთა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მწერლების მიერ თემის-კულინარიის გაშლა სხვადასხვა მიზანსწრაფვით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს როგორც ამა თუ იმ ქვეყნის სამზარეულოს მიმართ, ისე კულინარიის, როგორც ადამიანის ყოფა-ცხოვრების შემადგენელი ნაწილის, მისი სხვადასხვა ფუნქციონალური მნიშვნელობით მხატვრული ოსტატობის წარმოდგენის კუთხითაც, რაც შემდგომაც უფრო ვრცელი და ღრმა ნაშრომის შექმნის აუცილებლობასაც ბადებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ი. ჭავჭავაძე, 1974: ჭავჭავაძე ილია, რჩეული, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974;

ო. ფამუქი, 2011: ფამუქი ორჰან, უმანკოების მუზეუმი, თბილისი, „დიოგენე“, 2011;

ჟ. ამადუ, 1980: ამადუ ჟორჟი, დონა ფლორი და მისი ორი ქმარი, თბილისი, „მერანი“, 1980;

დ. ანფიმიადი, ა ჯანელიძე, 2018: ანფიმიადი დიანა, ჯანელიძე ანა, „კუკრუჭანები, კოკლოზინები და სხვა. გემრიელი რამეები პატარა მკითხველისათვის“, გამომცემლობა „ზოლიანი კატა“, 2018

ინტერნეტრესურსები:http://marao.ge/hobi/kulinaria/15548-kulinaria-da-literatura-ras miirhme-vch-tsignis-gmorebihtml; http://www.facebook.com/booksinbatumi/photos/a 374691069378207-/6404-49856135659/?type=3; erudit-menu.zu/plugins/art.php?0.view/123

დავით ონიაშვილი - ბაირონის შემოქმედების მკვლევარი, მთარგმნელი

Tinatin Sikharulidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

დ.ონიაშვილი XX საუკუნის დასაწყისში ერთი იმ ქართველთაგანია, რომელიც საზღვარგარეთის ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა, ბაირონისა და გოეთეს, პოეტური მემკვიდრეობის გაცნობას ქართველი მკითხველისათვის. დღემდე დ.ონიაშვილზე მკვლევართა ნააზრევი მხოლოდ მისი პოლიტიკური მოღვაწეობით იფარგლებოდა.წინამდებარე სტატიაში კი ყურადღება მახვილდება მის მთარგმნელობით, მეცნიერულ საქმიანობაზე. ამისი შესანიშნავი გამოხატულებაა 1913 წელს ქ. გორის სტამბაში დაბეჭდილი წიგნი „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“, რომელშიც ლიტერატურათმცოდნეობით შეფასებების პარალელურად, დ. ონიაშვილი ცდილობს წარმოადგინოს ბაირონის რამდენიმე ნაწარმოებიდან საილუსტრაციოდ მოყვანილი ნაწყვეტების საკუთარი თარგმანები. დავით ონიაშვილმა სცადა მკვლევარის თვალთახედვით მეცნიერულად დაესაბუთებინა ქართველი მკითხველისათვის ინგლისელი პოეტის შემოქმედების წყაროები და მიზეზები, რამაც განაპირობა მისი, როგორც რჩეული რომანტიკოსის შეხედულება, სიმძაფრე ძალმომრეობის, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. და, ამდენად, მისი გაცნობა-შესწავლის აუცილებლობაც ქართველთათვის,რამდენადაც ბაირონმა თავისი პოეზიით შეძლო დაენთო ცეცხლი, რომელმაც გაუნათა მომავლის გზა კაცობრიობას. დ. ონიაშვილი მიმოიხილავდა ბაირონის პოეზიის რამდენიმე ნიმუშს, პოემებს „მანფრედი“ და „კაენი“, „ჩაილდ ჰაროლდი“, „დონ-ჟუანი“. დ. ონიაშვილი ამახვილებს ყურადღებას მსგავსებაზე ბაირონსა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას შორის, რომ გენიოსები სწორედ ცნობენ ეპოქის სუნთქვას და საკუთარი შემოქმედებით ცდილობენ გადმოსცენ ის ტკივილები, რაც აწუხებს კაცობრიობასა და ამით გამოწვეულ მსოფლიო მწუხარებას. დ. ონიაშვილი წინამდებარე შრომით გვევლინება მაღალი ერუდიციის მქონე, უცხოური ენების ბრწყინვალე მცოდნედ, რომელსაც შეუძლია სრული სუბიექტურობით დაუსაბუთოს მკითხველს ბაირონისა და ბაირონიზმის მნიშვნელობა. გარდა ამისა იგი ცდილობს მხატვრულობა შესძინოს თარგმნილ ნაწყვეტებს და ამით გამოკვეთოს განსხვავება ბაირონის წინამორბედ მთარგმნელებთან. დ. ონიაშვილი თარგმნის გოეთეს „ფაუსტს“(1925 წ.), ოსკარ უაილდის „ბედნიერ პრინცს“ (1928 წ.), მოგვიანებით კ. მარქსის „კაპიტალის“ I ტომს (1930 წელს). სამწუხაროდ, მისი თარგმანები თუ წერილები მსხვერპლად შეეწირა 1937 წლის რეპრესიებს.

საკვანძო სიტყვები: ბაირონი, ონიაშვილი, ქართული თარგმანები

David Oniashvili - Byron's Creative Researcher, Translator

D. Oniashvili (1883-1937)can be considered one of the Georgian , who introduced the poetic heritage of Georgian literature, prominent representatives of foreign literature, namely Byron and Goethe. Until now, the opinion of scholars on D. Oniashvili was limited due to his political activity. In the current article, the focus is on his translation and scientific work. An excellent expression of this is the fact that in 1913 St. The book "Byronism and World Sorrow" which was published in Gori printing house, in which, in parallel with the assessments of literary criticism, D. Oniashvili tried to present his own translations of excerpts from several of Byron's works. Davit Oniashvili as a scholar made a valiant attempt to present his translations of Byron’s work to the Georgian society which were proved scientifically. D. Oniashvili reviewed several masterpieces of Byron's poetry, including the poems Manfred and Cain, Child Harold, and Don Juan. D. Oniashvili drew attention to the similarities between the poetry of Byron and Nikoloz Baratashvili, both geniuses were regarded as the breath of the epoch who endeavored to tell the society about the world grief and human affliction through their own works. D. Oniashvili with his work entitled “Byronism and World Sorrow" can be considered to have been a brilliant scholar with high erudition and the best professional expert in foreign languages, who could substantiate the meaning of Byron and Byronism to the reader with complete subjectivity. In addition, D.Oniashvili added artistry to the translated passages and in that way he managed to distinguish them from Byron's previous translators.

D. Oniashvili translated Goethe's "Faust" (1925), Oscar Wilde's "Happy Prince" (1928), later K. Volume I of Marx's "Capital" (1930). It is an unpalatable fact that his translations or letters fell victim to the repression of 1937.

Keywords: Davit Oniashvili, Byron, Georgian translations

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს 1918 წლის 26 მაისს ხელს აწერს ერთი გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, საზღვარგარეთის ლიტერატურის მკვლევარი, მთარგმნელი, პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი დავით ეფრემის ძე ონიაშვილი (1883-1937).

ეს პიროვნება მთელი თავისი ბობოქარი ცხოვრების მანძილზე ღირსეულად უნდა ყოფილიყო დაფასებული, მაგრამ 1937 წლიდან 1959 წლის 3 მარტს რეაბილიტირებული იქნა. სწორედ 2 წლის შემდეგ იხილა დღის სინათლე მის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილმა გენიალური გერმანელი პოეტის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, „ფაუსტმა“ (1962 წ.) მანამდე „ფაუსტი“ პეტრე მირიანაშვილს უთარგმნია 1908 წელს ორ ნაწილად, მაგრამ არა უშუალოდ გერმანული ენიდან. ეს საქმე იკისრა გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული ენების კარგმა მცოდნემ დავით ონიაშვილმა. უფრო ადრე დავით ონიაშვილმა ბაირონს და მის შემოქმედებას უძღვნა შესანიშნავი გამოკვლევა „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“, რომელშიც მოყვანილი ნაწყვეტები ბაირონის პოეზიიდან და პოემებიდან („ჩაილდ-ჰაროლდი“, „დონ-ჟუანი“ და სხვ,) თვით დავით ონიაშვილს უთარგმნია მინიშნებით, რომ მანამდე არსებული თარგმანები შუალედურ ენაზე შესრულებულიდან უნდა იყოს და დაბალმხატვრულობით გამოირჩევაო.

წიგნი ბაირონზე 1913 წელს დაისტამბა ქ. გორში, და მასზე პირველად მიგვანიშნა მეცნიერმა, თარგმანმცოდნემ ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა.

ოსკარ უაილდის , კ. მარქსის თარგმანების გარდა დავით ონიაშვილს ჰქონია ლექსებიც, სხვა თარგმანებიც, მაგრამ 1937 წელს რეპრესიების დროს დაპატიმრებულს ჩამოართვეს.

დავით ონიაშვილის შესახებ რაიმეს წერა ან მისი მოხსენიება აკრძალული იყო 1959 წლამდე, ამიტომ „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“, რომელიც 1913 წელს დაიბეჭდა, „არ არის შეტანილი 1941 წელს გამოცემულ „ქართულ წიგნში“. მის გვარს ვერ ვხვდებით აგრეთვე „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, რომელიც დავით ონიაშვილის სრული რეაბილიტაციის (1958 წ.) შემდეგ გამოვიდა“ (სურმანიძე, 2004:3).

ფაქტიურად ონიაშვილზე საუბრისას მეცნიერები, მკვლევარები (რ. სურმანიძე, ლ. ჯიქია, რ. კვერენჩხილაძე, ი.ხვადაგიანი და სხვ.), ყურადღება ძირითადად დ. ონიაშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე მახვილდება, წინამდებარე სტატიაში კი შევეხებით მის ლიტერატურულ საქმიანობას.

დავით ონიაშვილის ბიოგრაფია მკვლევართა მიერ შეივსო მისი ახლობლების, ნაცნობ-მეგობრების, 1937 წლამდე პრესაში არსებული მასალებით.

„დავით ეფრემის ძე ონიაშვილი დაიბადა 1883 წლის 22 დეკემბერს (ძველი სტილით) ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში, გლეხის ოჯახში“. (ი. ხვადაგიანი, 2016326), რევაზ კვერენჩხილაძის ინფორმაციით გორის მაზრის სოფ. მადანეთში, გაზეთ „კომუნისტის“ (1925 წლის 7 ივლისის) ცნობით, იგი გორის მაზრის სოფელ ბადანეთიდან იყო. თუმცა აშკარა, რომ უფრო ზუსტია ს. ხიდისთავი, ამას ადასტურებს კავშირიც ქ. გორთან, სადაც შემდგომ მოღვაწეობდა კიდეც. ახალგაზრდას უსწავლია გორის სასულიერო სასწავლებელეში, შემდგომ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაუმთავრებია 1904 წელს პირველი ხარისხით. დ. ონიაშვილს უმაღლესი განათლება მიუღია იურიევის უნივერსიტეტში, იურიდიული ხარისხით, 2 წელი კი ისმენდა ლექციებს გერმანიაში, ლაიპციგის უნივერსიტეტში. იცოდა ენები, კითხულობდა ბევრს, უყვარდა მუსიკა, მაგრამ ყველაზე აქტიურად მაინც რევოლუციურ, შემდგომ პოლიტიკურ საქმიანობაში იჩენდა: 1904 წლიდან ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების პარტიაში) იყო ცეკას პრეზიდიუმის, შემდგომ ამიერკავკასიის სეიმისა და დამფუძნებელი კრების წევრი, პარტიული (ანუ დამოუკიდებლობის კომიტეტის), (დამკომის სარედაქციო კომისიის) წევრი, თბილისის სამაზრო ერობის ხმოსანი, თავმჯდომარე, 1920 წლიდან მიწათმოქმედების მინისტრი. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის მას აპატიმრებენ და უსჯიან 10 წლის უმკაცრეს იზოლაციას, მაგრამ ავადმყოფობის გამო პირობითი სასჯელით ეცვლება. სხვადასხვა დროს გაპარვაც სცადა ბათუმის გზით, მაგრამ მალე დააკავეს. 1937 წლის 14 აპრილს კი დავით ონიაშვილს აპატიმრებენ და 12 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (ჯაშუშობა) უსჯიან დახვრეტას, რაც სისრულეში მოიყვანეს 12

აგვისტოს. მანამდე კი ციხიდან რამდენიმე ბარათის გადმოგზავნაც შეძლო. ერთში, თავისი მცირეწლოვანი ქალიშვილის ეთერისათვის მოუწერია: „არ გასცვალო სამშობლო უცხო ქვეყნის გულისთვის, ქეთევანი გახსოვდეს, წამებული სულისთვის“ (კვერენჩხილაძე, 2014:473).

დავით ონიაშვილს მეუღლე, სოფიო ხარაშვილი, მალე გარდაცვლილა, ხოლო შვილების - ეთერის (შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-პედიატრი) და ოთარ ონიაშვილის (აკადემიკოსის, რომლის სახელსაც თბილისში ერთ-ერთი ქუჩა ატარებს) - აღზრდა მამიდა ლიზას უკისრია. თავად დავითი დროს არასოდეს კარგავდა უქმად, თედო სახოკიასთან შეხიზნული თუ ციხეში, წერდა, თარგმნიდა...

როგორც აღინიშნა, დ. ონიაშვილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და თანაც პირველი გამოკვლევა ბაირონის შემოქმედებას ეხება. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პასუხიც „გაუგებრობა თუ უვიცობა?“ (დ.ონიაშვილი ჟ. „მნათობი“, 1928 N5,6).

იმავე მიზნით, ოღონდ ბაირონის გარდაცვალებიდან 100 წლის თავთან დაკავშირებით უკვე 900-იან წლებში გამოცემულ ნაშრომში „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“ ონიაშვილი აღნიშნავს, რომ დღესაც გრძელდება ის პროცესი, რამაც აიძულა ბაირონი, მარტოსული გენიოსი, საჭირო გამხდარიყო საზოგადოებისათვის: „თანამედროვე ადამიანის სულიერი განწყობილება ბაირონის ხანას გვაგონებს. იდეალების დაკარგვა და იმედების გაცრუება, რომელიც კაცობრიობამ წარსულ საუკუნეში გამოსცადა, თანამედროვე ადამიანსაც ხვდა წილად, თუმცა ამ სენით მთელი საზოგადოება არ არის შეპყრობილი, მაგრამ მით უფრო მწარეა იმის ხვედრი, ვის გულშიც იგი გამეფებულა. ამიტომ არის რომ ბევრი ჩვენთაგანი ბაირონის პოეზიაში დღესაც ჰპოვებს მშობლიურ ჰანგებს, ხოლო მის გმირებში თავის იდეალების განხორციელებას“. (ონიაშვილი, 1913:2,3) და თუმცა, მისივე აზრით, „ჩვენი საზოგადოება ნაკლებად იცნობს მის შემომქედებას; ავტორი პათეტიურად შენიშნავს: „იგი შემომქმედობის დაუშრეტელი წყაროა, სადაც ცხოვრების ყოველი ჭუჭყი ირეცხება. მაშ დავეწაფოლ ამ წყაროს? ყური დაუგდოთ მსოფლიო მწუხარების დიდებულ მგოსანს, რომ მისმა ძლიერმა სიტყვამ გვასწავლოს ჩვენი საქმენი საგმირონი. (ონიაშვილი, 1913:48). დ. ონიაშვილის ნააზრევიდან ყურადღებას გავამახვილებთ ერთ თვალსაჩინო ფაქტზე: ჩვენთვის უცნობია, რა წყაროთი უნდა ესარგებლა დ. ონიაშვილს ბაირონის შემოქმედებაზე საუბრისას, თუმცა ალაგ-ალაგ მოჰყავს ამონარიდები ბაირონის სხვადასხვა მკვლევართა სოუტის, ზელინსკის, მურის ვესელოვსკისა და სხვათა ნაშრომებიდან, მაგრამ დ. ონიაშვილი იხილავს როგორც ბაირონის რამდენიმე ლექსს, ისე მისი ყურადღება ჩერდება „ჰიაურზე“, „ჩაილდ ჰაროლდზე“, „მანფრედზე“, „კაენსა“ და „დონ-ჟუანზე“ ხოლო პირველად მოყვანილი ციტირების სქოლიოში აღნიშნავს: „უნდა აღვნიშნო სამწუხაროდ, რომ ბაირონის თხზულება თითო-ოროლა ადგილის გარდა ჯერ არ არის გადმოთარგმნილი ქართულ ენაზედ. (მაშინ, როდესაც იგი უნდა იცნობდეს თუნდაც ი. ბაქრაძის მიერ შესრულებულ თარგმანებს-თ.ს.). ამიტომ თითონ ვეცადე შეძლების და გვარად გადმომეთარგმნა ლექსითვე ეს და სხვა ქვემოდ მოყვანილი ადგილები, რომ დედანის შინაარსის სიღრმესთან ერთად გარეგნული სილამაზეც შენახულიყო“. (ონიაშვილი, 1919:11,12) აქ აშკარაა დ. ონიაშვილი მაღალმხატვრულად და გამართლებულად თვლის თავის თარგმანებს, რომელიც უცნობია, შესრულებულია უშუალოდ ორიგინალიდან, თუ რომელიმე შუალედურ ენაზე შესრულებული თარგმანიდან, ამიტომ ჩვენ ყურადღებას აქ შევაჩერებთ მხოლოდ მის რამდენიმე თარგმანზე: ლექსებისა „ბუნების ლოცვა“, „კაროლინა“, ნაწყვეტებს „ჰიაურიდან“, „ჩაილდ ჰაროლდიდან“ (სიმღერა III) „სატრფო ინესა“, „მანფრედიდან“, კაენიდან“, „დონ-ჟუანიდან“, უნდა აღინიშნოს, რომ დ. ონიაშვილი ცდილობს ღრმად ჩაწვდეს ბაირონის პოეზიის იდეურ მხარეს და შესაძლებლობის ფარგლებში მხატვრულად გამართოს ლექსი.

დ. ონიაშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა ქართველ მოაზროვნეთა შორის, სცადა ერთმანეთის გვერდზე დაეყენებინა რომანტიკოსი ბაირონი და ნიცშე, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ბაირონიზმის მნიშვნელობისათვის: „ბაირონიზმმა გადაჭრით წამოაყენა პიროვნების საკითხი, რომელიც დიდ ხაზს ევროპის ფილოსოფიურ აზრსა იპყრობდა. ბაირონის გმირების ტიტანიზმი - ამ საკითხის გადაწყვეტის ცდაა ლიტერატურაში. რა არის ტიტანიზმი? იგი არის უმაღლესი წერტილი, სადამდისაც ადამიანის იდეალურ ტიპს შეუძლიათ მიაღწიოს, მანფრედში და კაენში ბაირონმა სწორედ ასეთი ტიტანიური ადამიანი დაგვიხატა. ამ ტიპმა ბაირონის შემდეგ დიდი ცვლილება გამოიარა და 70-იან წლებში ნიცშეს ზე-კაცის შორის რაღაც მსგავსებაა, მაგრამ მათ შორის, ღრმა განსხვავებაც არის, ნიცშეს ზე-კაცი არ არის ადამიანის ზნეობრივი იდეალი, იგი ბიოლოგიური ტიპია, რომლითაც ადამიანების ახალი მოდგმა იწყება. ნიცშეს ზე-კაცი უარყოფს ყველა ზნეობრივ ნორმებს და არა გრძნობს ხალხის მიმართ არავითარ

სიბრალულს, „ვაი ყველა მოსიყვარულეთ, ამბობს ზარატუსტრა, რომელთაც სიბრალულზედ უფრო წმინდა არაფერი გააჩნიათ ქვეყანაზედ“. ზე-კაცი ამსხვრევს ძველ კერპებს და არც ქმნის ახალს: იგი სიკეთის და ბოროტების გაღმა მხარესა ცხოვრობს ადამიანი მისთვის მიზანი კი არ არის, არამედ - ხიდი, რომელიც მან უნდა გაიროს. ზე-კაცის იდეალი არის შორეულის და არა მოყვასის სიყვარული. ბაირონის გმირები სატანიურ სიამაყესთან ერთად ადამიანის სიყვარულსაც განიცდიან. ისინი კაცობრიობის საკეთილდღეოდ მწარედ იტანჯებიან და, რაც უფრო სძულთ იგი, მით უფრო ძლიერია მათი ტანჯვა და სიყვარული. ნიცშეს ზე-კაცს სძულს ყოველი ბრბო და სურს მაზედ იბატონოს, ბაირონის გმირიც გაურბის ადამიანს, მაგრამ მას არ შეუძლიათ დიდ ხანს მარტოდ ყოფნა: სიბრალული და თანაგრძნობა მალე ულბობს მას გულს. იგი კვლავ ადამიანისაკენ სიხარულით მიეშურება. „უმჯობესია ადამიანს ცრემლის ერთი წვეთი მოსწმინდო, ვიდრე სახელის მოხვეჭის გულისთვის სისხლის ზღვა დაანთხიო“ - ასეთია ბაირონის გმირების ჰუმანიური იდეალი.

ასე სხვადასხვანაირი იყო წარსული საუკუნის ორი დიდებული ინდივიდუალისტის შეხედულება ადამიანის პიროვნებაზე“ - ასკვნის ავტორი (დ. ონიაშვილი, 1913: 42-43), მაგრამ აქვე გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ ვერც ბაირონმა და ვერც ნიცშემ ვერ გადაჭრეს ეს საკითხი, თუმცა ბაირონის პროტესტმა საზოგადოების წინააღმდეგ თავისი ზნეობრივი ხასიათით ბოლოს დემოკრატიული სახე მიიღო, ნიცშეს პროტესტი კი „როგორც ესტეტიკური, არისტოკრატიზმით დამთავრდა“, რაც შეეხება ბაირონის გმირებს, „ისინი დღესაც ცოცხლივ გვიდგანან თვალწინ და გვხიბლავენ თავიანთი ადამიანური სახით, როგორც დიდებულ პსიხოლოგს, ბაირონს კარგად ესმოდა თანამედროვე ცხოვრების სულისკვეთება, ბაირონმა ჩამოჰკრა კაცობრიობის სულს ნაზი სიმები და თავის საუცხოო პოეზიაში, როგორც სარკეში, მისი ტანჯვა, სიყვარული და იმედი გამოხატა“ (ონიაშვილი 1913:45) აქედან გამომდინარე, „ბაირონის პოეზია ისეთ საკითხებს შეეხო, რომელთაც არა მარტო ისტორიული, არამედ სამარადისო მნიშვნელობა აქვთ, ქვეყნის არსებობის აზრი, ადამიანის სიცოცხლის და სიკვდილის ამოცანა სიყვარულის საიდუმლოება, ბოროტების მიზეზი და სხვ.... ერთი სიტყვით ყველა ეგრეთ წოდებული მსოფლიო საკითხები, წამოყენებულ იქმენ ბაირონის პოეზიაში“ (ონიაშვილი, 1913:45). დ. ონიაშვილის მიერ ბაირონის პოეზიის შეფასებაში კარგად მოჩანს ავტორის ინტელექტი, ფილოსოფიური გააზრებისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის, ჩაღრმავების უნარი.

გოეთეს „ფაუსტის“ დ. ონიაშვილის ქართული თარგმანის ირგვლივ გამართული დისკუსია საინტერესოა მთარგმნელობითი მეთოდოლოგიის ორი პრინციპის წარმოდგენის თვალსაზრისით: სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგანი. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა-კამათი ფაქტიურად მთელი ძველი ქართული მწერლობის მანძილზე მიმდინარეობდა. XX საუკუნეშიც მწერალი, გოეთეს თაყვანისმცემელი, გერმანული ენის კარგ მცოდნე კონსტანტინე გამსახურდია იცავს სიტყვასიტყვითი თარგმანის პრინციპს, ამავდროულად, მისი აზრით, ლექსად დაწერილი უცხოური ნაწარმოები მხოლოდ პოეტმა უნდა თარგმნოს, თანაც კარგმა პოეტმა და, თუ ვერ ახერხებს, პროზად გადმოსცესო, რათა არ დაირღვეს ავტორისეული ჩანაფიქრი. „გოეტეს „ფაუსტის“ მთარგმნელი, უწინარეს ყოველისა, კარგი პოეტი უნდა იყოს, ლექსის ტექნიკაში უაღრესად ვირტუოზი, ამავე დროს დიდი მცოდნე როგორც გერმანული, ისე ქართული ენისა. „ფაუსტი“ საოცარი გოტიური ძეგლია, რომელშიც გერმანული ენა გასაოცარ სტილისტურ, სინტაქსურ და დინამიურ სალტომორტალეებს აკეთებს, ყოველი სიტყვა, აფთიაქის სასწორზეა ნაწონი, ყოველი იდეის უმცირესი ნიუანსის გადაქანება საშიშია და საფრთხილო“ (გამსახურდია, 1928:273). ამიტომაც კ. გამსახურდია იყენებს „ფაუსტის“ სხვა ენაზე თარგმანებსაც (ვ. ბორანგრებერის).

დ. ონიაშვილი „საპასუხო წერილში „გაუგებრობა თუ უვიცობა? გადაჭრით იცავს თავისუფალი თარგმანის პრინციპს და, მიჰყვება რა კვალდაკვალ თითოეულ შენიშვნას, აცხადებს, რომ თარგმნა შეიძლება პოეტურად, თუ შენარჩუნებულია ტექსტის იდეური შინაარსი. იგი ადარებს დასაბუთებისათვის ფრანგულ და რუსულ ენებზე თარგმანისა (სოკოლოვსკის, ხოლოდოვსკის, ფეტის), იმოწმებს ლექსიკონებს და გაბედულად ასკვნის: „საკმარისი არ არის, რომ თარგმანი სიტყვა-სიტყვით უახლოვდებოდეს თავის დედანს, არამედ იგი უნდა ეგუებოდეს იმ ენის ბუნებას, რომელზედაც ითარგმნება ესა თუ ის ნაწარმოები“ (ონიაშვილი, 1928:260). ამ მხრივ არ ეთანხმება, პოეტის, ვალერიან გაფრინდაშვილის თეზას, რომ აუცილებელია ადეკვატური თარგმნის ქართულად გადმოტანისას. ფაქტიურად, დ. ონიაშვილი კიდევ ერთი პირველთაგანია, რომელიც ეხება მთარგმნელობითი მეთოდოლოგიის საკითხებს და პრაქტიკულადაც ახორციელებს მას ბაირონისა და გოეთეს ქართულ ენაზე თარგმნისას.

ამდენად, დავით ონიაშვილის ნააზრევი XX საუკუნის 20-იან წლებამდე საკმაოდ საყურადღებოა როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე თარგმანმცოდნეობის კუთხით და აუცილებლად იმსახურებს

დაფასება-აღიარებას სამეცნიერო წრეებში, რისი მცდელობაც იყო მოცემული ჩვენს წინამდებარე სტატიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

სურმანიძე რ. 2004 ერს შეწირული კალმოსანი. *მწერლის გაზეთი. 27 მაისი-9ივნისი. (N.9)*

კვერენჩხილაძე რ. 2014 წამების გზა. თბილისი. *უნივერსალი. წ!*

ონიაშვილი დ. 1913 ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება. *გორი.*

გამსახურდია კ.(კ.გ.) 1928 გოეთეს „ფაუსტი“. გერმანულით თარგმ. დ.ონიაშვილის მიერ. *მნათობი. მარტი(N3).ტფილისი.*

ონიაშვილი დ. 1928 გაუგებრობა თუ უვიცობა?(კ.გ.-ს რეცენზიის გამო). *მნათობი. მაისი-ივნისი (N5,6)*

новояз в советском делопроизводстве 20-30-х годов xx в.

Elena Otzemko
Donetsk National University, Ukraine

Установление коммунистического режима на территории Украины в начале 20-х годов XX в. обусловило кардинальные изменения во всех сферах жизни. Была создана новая система власти, основу которой составляла партийно-государственная номенклатура, уже к концу 20-х годов представлявшая собой отдельную прослойку советского общества. Переломные трансформационные процессы нашли отражение в значительном по объему и сложном по составу корпусе источников. Важное место среди них принадлежит лингвистическим источникам, поскольку 20-30-е годы – период формирования так называемого новояза (советского языка). По мнению Н.Е. Киселевой, основной группой, создающей и поддерживающей язык, в это время была именно номенклатура – партийные и хозяйственные управленцы, подавляющее большинство которых были «рабочими от станка» и «крестьянами от сохи», представлявшими «низшие слои советского общества». Это были наименее образованные члены общества: в 1927 г. две трети руководящего состава КП(б)У имели начальное или «домашнее» образование, на уровне округов и городов таких было 80%. Одним из проявлений деятельности новых управленцев была бюрократия, с которой так и не удалось справиться советской власти, путанное делопроизводство (особенно в 20-е годы), а также безграмотность в оформлении документов. Все это, а также формирование нового советского языка отражают комплексы делопроизводственной документации партийных и советских органов, которые хранят государственные архивы Украины. Типичными в данному случае является документы, отложившиеся в Государственном архиве Донецкой области (ГАДО). Комплекс партийного и советского делопроизводства Донецкой губернии (с 1932 г. области) имеет достаточный информационный потенциал, позволяющий проследить формирование новояза. Основные его проявления – новые слова, сокращения слов, аббревиатуры, новые имена, названия газет, предприятий, новые значения старых слов, «своеобразный» стиль составления документов – характерны для советского общества 20-30-х годов.

Ключевые слова: новояз, номенклатура, Донецкая губерния, область

Newspeak in the Soviet Paperwork Management of the 20-30s of the XX Century

Critical transformation processes in the territory of Ukraine after the establishment of the Communist regime were reflected in a structure of sources of significant volume and complex composition. An important place belongs to linguistic sources: the 20-30s is the period of formation of the so-called Newspeak (Soviet language), the foundations of which were laid by the party and economic nomenclature, recruited from the least educated strata of society. Formation of the new Soviet language is reflected in the complexes of paperwork management documentation of the party and Soviet bodies kept in the state archives of Ukraine. In this regard, typical are the documents deposited in the State Archive of the Donetsk region (GADO). The complex of party and Soviet paperwork management in the Donetsk province (since 1932, the region) has sufficient information potential to trace the formation of Newspeak. Its main manifestations include new words, abbreviations, new names, names of newspapers, plants, new meanings of old words, a "peculiar" style of drawing up documents characteristic of the Soviet society in the 20-30s.

Keywords: Newspeak, nomenclature, Donetsk province, region.

Введение

Установление коммунистического режима на территории Украины в начале 20-х годов XX в. обусловило кардинальные изменения во всех сферах жизни. Была создана новая система власти, основу которой составляла партийно-государственная номенклатура, уже к концу 20-х годов представлявшая собой отдельную прослойку общества.

Переломные трансформационные процессы нашли отражение в значительном по объему и сложном по составу корпусе источников. Важное место среди них принадлежит лингвистическим источникам, поскольку 20-30-е годы XX в. – период формирования так называемого новояза (советского языка). Для понимания процессов советизации Украины разнообразные проявления новояза имеют не меньшее значение, чем собственно содержание письменных источников.

Современная историография проблемы включает исследования Н. Купиной, П. Червинского, Л. Масенко, постановку отдельных проблем в статьях Н. Киселевой, Н. Лебиной, И. Ренчки, вступительную статью В. Мокиенко, Н. Никитина к «Толковому словарю языка Содепии», сюжет В. Кабанова в учебнике по источниковедению, обращение к лингвистическим источникам в работах, посвященных истории Украины 20-30-х годов XX в., в частности, в коллективной монографии «Нариси повсякденного життя радянської України в добу непу (1921-1928 рр.)» (Очерки повседневной жизни в Украине периода нэпа).

Формирование нового советского языка отражают комплексы делопроизводственной документации партийных и советских органов, которые хранят государственные архивы Украины. Типичными в данному случае являются документы, отложившиеся в Государственном архиве Донецкой области (ГАДО). Комплекс партийного и советского делопроизводства Донецкой губернии (с 1932 г. области) имеет достаточный информационный потенциал, позволяющий проследить формирование новояза, что мы и постараемся сделать в нашем докладе.

Основная часть

Новояз – политизированный советский язык. Словарь Т. Ефремовой дает такое его определение: «Наименование нового языкового стиля и системы специфических неологизмов административно-бюрократического характера в государстве тоталитарного типа, широко вошедшее в употребление после издания романа Дж. Оруэлла «1984» (Ефремова Т.В.,2010). Другое определение (одно из многих) – тоталитарный язык, основная функция которого – идеологические предписания или вербальный механизм воздействия на массы, благодаря которому идеология внедряется в общественное сознание и функционирует. Речь идет о сознательном воздействии на язык, его функционирование и развитие (Купина Н.А.,1995, с.4,7; Лебина Н.Б, 2011, с.20).

Исследователи в целом сходятся в определении основных черт новояза: примитивизм, проявившийся в минимизации активного словарного запаса, унификация, стереотипность; классовая окрашенность, идеологемы (вербально закрепленные идеологические предписания), как следствие этого, прямолинейная оценочная поляризация; политизация наименований неполитических общественных явлений, нейтральной лексики; огромное количество аббревиатур и сложносокращенных слов, уродливые словообразовательные модели; лозунгология (Купина Н.А.,1995, с.10–22,43; Мокиенко В.М., Никитина Т.Г., 1998, с.5–6; Масенко Л. Т.,2017,с.19-42). Как отмечает Н. Киселева, новояз был языком лозунга, протокола и приговора (Киселева Н.Е.,2008, с.82).

Советский тоталитарный язык формировался на основе русского языка, которому в «стране советов» была отведена роль канала общегосударственной коммуникации. Основной группой, создающей и поддерживающей язык, в 20-30-е годы XX в. была номенклатура – партийная и хозяйственная элита, а также управленцы среднего звена, подавляющее большинство которых были «рабочими от станка» и «крестьянами от сохи» – «специфический контингент, почувствовавший вкус власти» (Киселева Н.Е.,2008, с.81–82; Масенко Л. Т., 2017, с.13; Нариси повсякденного життя…, 2009, с.348). Это были наименее образованные члены общества: в 1927 г. две трети руководящего состава КП(б)У имели начальное или «домашнее» образование, на уровне округов и городов таких было 80%. (Нариси повсякденного життя…, 2009, с.354,355). Социальную базу советского языка составляли представители беднейших слоев городского населения и крестьянства, низшие классы дореволюционного общества, в основном молодые люди с плохим образованием или без него, для которых характерным был «низкий уровень социокультурной компетентности, эгалитаризм» (Киселева Н.Е.,2008, с.84).

Новый язык создавался официальной пропагандой, внедрялся и раскручивался через полностью подконтрольные партийно-государственному аппарату средства массовой информации, становясь речевым образцом в разных сферах, претендуя на универсальность (Мокиенко В.М., Никитина Т.Г., 1998, с.15; Масенко Л. Т., 2017, с.12,22)

Делопроизводственная лексика и стиль документов партийных и советских органов Донецкой губернии (с 1932 г. области) полностью вписывается в приведенные выше характеристики новояза.

Особенности функционирования новояза, как средства речевого воздействия тоталитарной системы на личность, подавления индивидуальности, достаточно подробно освещены в филологической и исторической литературе, как и изучение «советизмов», лексических единиц, отражавших советские реалии (Мокиенко В.М., Никитина Т.Г., 1998, с.5–6). Поэтому, ссылаясь на суждение Р. Барта, о том, что язык описывает и называет не только себя, но и другие явления, реалии и способы их бытования (Цит.: Купина Н.А., 1995, с.6), обратим, внимание на то, что партийное и советское делопроизводство Донецкой губернии 20-х годов XX в., отражает, прежде всего, ужасающую безграмотность сотрудников, имевших начальное или «домашнее» (т.е., никакого) образование. Поэтому на курсах в совпартшколе будущие советские чиновники писали (1925 г.): *«Мне было очень трудно вести умственную работу»; «Я научился слаживать мысли»* (ГАДО, ф.П-9, оп.1, д.227, л.36).

Документы партийных комитетов и исполкомов пестрят исковерканными словами, предложениями и целыми текстами, которые иногда трудно понять. Донецкий губернский комитет партии в голодном 1922 г. обвинял местных партработников в *«непообрастании»,* среди разновидностей которого были *«коммунисты-посевники»* и *«коммунисты-коровники»* (обзавелись в селе участками земли и коровами, что было недопустимо для членов партии) (Нариси повсякденного життя…,2009, с.386). В протоколах, отчетах, циркулярах Сталинского окружного комитета за 1924–1925 гг. находим *«эмансипирование», «выпуклые болезни»* (в партийной организации), *«хозразрастание среди селькомов», «выдвигающихся товарищей»,* а также *«втянутые элементы»* (ГАДО, ф.П-1, оп.1, д.1954; д.2038, л.70) и «*отрекомендовал себя опытным антирелигиозником*» (ГАДО, ф.П-9, оп.1, д.120, л.103). Старобельский окружной комитет партии в 1924 г. на заседании рассматривал вопрос «*о ликвидационной комиссии по ликвидации неликвидных фондов*» (ГАДО, Ф.П-1, оп.1, д.2305, л.58).

Секретариат Сталинского окружного комитета в 1925 г. докладывал: «*…в отношении уродливостей, проявляемых работниками, главным образом на селе, следует отметить выпад председателя сельсовета с. Максимилиановка Марьинского района, который на почве спора физически воздействовал (ударил) на пришедшего к нему крестьянина. Конечно, организация его сняла с работы, но случай не без отрицательного мнения на лицо, на борьбу с которыми вообще наблюдающимися, следует стать на жесткий путь*» (ГАДО, ф.П-9, оп.1, д.120, л.96)

Документы партийных комитетов конца 20-х – 30-х годов свидетельствуют о том, что за десятилетие ситуация не изменилась: в протоколе Сталинского окружного парткома за 1929 г. читаем *«культурные похода*» (ГАДО, ф.П-9, оп.1, д.650,л.85), Донецкого обкома КП(б)У за 1934 г. *«единоналичники»,* в протоколе за 1935 г. ставится задача перед партийными работниками *«культурно и морально прогрессироваться»* (ГАДО, ф.П-326, оп.1, д.169, л.22; д.545, л.15).

На важность лингвистических источников для изучения истории большевистского режима в Украине в 20-е годы XX в. обращают внимание авторы коллективной монографии «Нариси повсякденного життя радянської України в добу непу (1921-1928 рр.)», активно привлекая в качестве подтверждения своих доводов «деловую лексику» партийно-советских органов. В качестве одного из примеров приводится выступление на 2-й Донецкой губернской партконференции в 1920 г. Артема (Сергеева), который ключевым принципом власти-победительницы назвал *«милитаризацию членов партии»*. Еще одна красноречивая цитата взята из документов Донецкого губернского парткома 1923 г.: *«губкомисия по ремонту членов партии»*, созданная для обследования здоровья партийцев (Нариси повсякденного життя…,2009, с.356,363,364). Обе цитаты достаточно точно отражают суть функционирования партийного аппарата.

Еще одна особенность новояза, ярко проявившаяся в партийно-советском делопроизводстве, тяга к сокращению слов и, как следствие, большое количество сложносокращенных слов и аббревиатур, которые были очень популярны в 20-30-е годы (Мокиенко В. М., Никитина Т. Г., 1998, с.6; Масенко Л. Т., 2017, с.34,36). Подпись под заявлением каявшегося партийного функционера, обвиненного в коррупции (февраль 1923 г.), очень точно отражает суть явления: *«Предвик, Секретарь Волкомячейки и член Волкомнезаможа»* (председатель волостного исполнительного комитета, секретарь волостной коммунистической ячейки, член волостного комитета «незаможних» крестьян) (Мокиенко В.М., Никитина Т.Г., 1998, с.379). Данный документ отражает также особенности функционирования партийно-советской системы: в 20-е XX в. годы обычным делом было объединение в одном лице нескольких партийных и советских должностей.

Страсть к сокращениям своеобразно проявилась в названиях предприятий и учреждений Донецкой области в 1930-х годов: *Донконтрольтоп, «Донсвинводтрест», Плодвинтрест (*ГАДО, ф.П-326, оп.1, д.128, л.25; д.311,л.12).

Еще одним проявлением новояза стала советская ономастика: возникновение имен собственных на базе слов идеологической семантики. Немало таких имен приводит «Толковый словарь языка Совдепии». Подтверждение находим в партийном делопроизводстве Донецкой губернии. В 1924 г. Старобельский окружной комитет партии докладывал о том, что вместо крестин проводились *звездины* (еще одни советский неологизм). Новорожденные получили имена *Идея* и *Ким*. Было решено сразу принять *Идею* в члены *Союза робпроса*, *Кима* в члены *Всеработземлеса*. Модные в те времена сокращения связаны с профсоюзными объединениями: *Союз робпрос* (Союз работников просвещения), *Всеработземлес* (Всероссийский союз рабочих земли и леса) (ГАДО, ф.П-1,оп.1,д.1963, л.1; Мокиенко, с. 17, 224, 244)

В. Мокиенко и Т. Никитина в предисловии к «Толковому словарю языка Совдепии» также отмечают, как одно из его проявлений, «вторичные функции антропонимов» (фамилий революционеров, советских партийных и государственных деятелей). Одной из таких функций была «вторичная онимизация – превращение в топонимы (географические названия), эргонимы (собственные имена деловых объединений людей, в т.ч. учреждений, предприятий, колхозов) или их компоненты» (Мокиенко В.М., Никитина Т.Г., 1998, с.17,18,20,21). В документах партийных органов Донецкой области, кроме традиционных названий колхозов и совхозов, которые обязательно содержали слова-советизмы «Красный Октябрь», «Путь к коммунизму» и т.д., находим совхоз Плодвинтреста под названием *«Сталинский рассадник»* (ГАДО, ф.П-326, оп.1, 128, л.25).

Советизмы и антропонимы представлены и в названиях периодических изданий. В 30-е годы XX в. в Донецкой области кроме газеты с колоритным названием *«За флюсы»* (ГАДО, ф.П-326, оп.1, д.169), издавался журнал *«Культработник угля»* (ГАДО, ф.П-326, оп.1, д.545), газета *«Стахановский лов»* (ГАДО, ф.П-326, оп.1, д.893).

Отметим и метаморфозы большевистской украинизации, проявившиеся в 30-е годы XX в., когда украинизация превратилась в «проявления буржуазного национализма». В русскоязычном тексте встречаем сокращения *«колумови» (колективні умови (укр.)* – коллективные условия*), «будкомос» (будинок комуністичної освіти (укр.)* – дом коммунистического просвещения) (ГАДО, ф.П-326, оп.1, д.311, л.20), *«Ковчавштамп»* (*Ковальсько-чавунна штамповка (укр.)* – кузнечно-чугунная штамповка) (ГАДО, ф.П-326, оп.1, д.545, л.13).

Заключение

В завершении хотелось бы отметить, что в представленном докладе мы не ставили целью показать все проявления новояза. В то же время, проанализированные материалы позволяют сделать выводы о том, что новояз, характерный для делопроизводственной документации партийных и советских органов Донбасса в 20-30-е годы XX в., красноречиво отражает социальный состав и образовательный уровень партийно-советской номенклатуры, особенности усвоения нового языка в делопроизводстве партийных и советских органов, а также внедрение в разные сферы жизни общества речевых образцов, создаваемых официальной пропагандой.

Библиография

Государственный архив Донецкой области (далее ГАДО), ф. П-1, Донецький губернський комітет комуністичної партії (більшовиків) України, 1918–1925 рр. [Донецкий губернский комитет коммунистической партии (большевиков) Украины]

ГАДО, ф.П-9, Сталінський окружний комітет комуністичної партії (більшовиків) України, 1923–1930 рр. [Сталинский окружной комитет коммунистической партии (большевиков) Украины]

ГАДО, ф.П-326, Донецький обласний комітет комуністичної партії (більшовиків) України, 1932–1991 рр. [Донецкий областной комитет коммунистической партии (большевиков) Украины]

Ефремова, Т. Ф. (2010) Современный словарь русского языка три в одном: орфографический, словообразовательный, морфемный: около 20 000 слов, около 1200 словообразовательных единиц. Москва: АСТ.

Источниковедение: Теория. История. Метод. Источники российской истории: уч. пос. (1998). Москва: Российск. гос. гуманит. ун-т.

Киселева, Н.Е. (2008) Социокультурные аспекты новояза в СССР в 20-30-е годы XX века. *Вестник МГУКИ*. 1, 81–84.

Купина, Н. А. (1995) Тоталитарный язык: Словарь и речевые реакции. Екатеринбург-Пермь: Изд-во Урал, ун-та. ЗУУНЦ.

Лебина, Н. Б. (2011) Лингвистические источники периода десталинизации в СССР (опыт сравнительного анализа «Толкового словаря языка Совдепии», словаря-справочника «Новые слова и значения» и «Краткой энциклопедии домашнего хозяйства»). *Новейшая история России / Modern history of Russia*. 1, 19-26.

Масенко, Л. Т. (2017) Мова радянського тоталітаризму [Язык советского тоталитаризма]. Київ: «КЛІО».

Мокиенко, В.М., Никитина, Т.Г. (1998) Толковый словарь языка Содепии. Сакт-Петербург: Фолио-Пресс.

Нариси повсякденного життя радянської України в добу непу (1921-1928 рр.): Колективна монографія [Очерки повседневной жизни советской Украины в период нэпа] (2009) Відп. ред. С.В. Кульчицький. В 2-х ч. Київ: ІІУ НАН України.Ч.1.

Ренчка, І. Є. (2016) До питання про взаємодію мови та ідеології в тоталітарному суспільстві [К вопросу о взаимодействии языка и идеологии в тоталитарном обществе]. *Наукові праці [Чорноморського державного університету імені Петра Могили комплексу "Києво-Могилянська академія"]*. Серія : Філологія. Мовознавство. 272 (260), 86-90.

Червинский, П. (2015) Негативно оценочные лексемы языка советской действительности. Обозначение лиц. Получено с https://mybook.ru/author/pyotr-chervinskij/negativno-ocenochnye-leksemy-yazyka-sovetskoj-dejs/read/

ისლამის მრავალპლანური დისკურსი ორჰან ფამუქის რომანში „თოვლი“

Elene Javelidze
Ilia State University, Georgia

რელატივიზმი, რომელიც პოსტმოდერნიზმის ფუნდამენტური ნიშან-თვისებაა, ნათლად იკვეთება ორჰან ფამუქის რომანში „თოვლი“. სამყაროს ეპიტემოლოგური შეცნობის შეუძლებლობა განსაზღვრავს რომანის სტრუქტურას, იმსხვრევა ავტორის ჭეშმარიტების ფლობის ტრადიციული პრეროგატივა. ავტორის „ჭეშმარიტება“ მრავწახნაგოვან თხრობაში იშლება. პოსტმოდერნიზმის ფილოსოფიის უმთავრესი პარადიგმა ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ სამყაროს უსასრულობა იძლევა უსასრულო ინტერპრეტაციებს, მაშინ როცა „გონება არ წარმოადგენს ადამიანის სიძლიერისა და უნიკალურობის წყაროს“. ორჰან ფამუქის „თოვლში“ წარმოდგენილია ისლამის მრავალპლანური დისკურსი თანამედროვე თურქულ საზოგადოებაში. ამ კრიტიკული საკითხის ფუნდამენტი ქალის თავსაბურავი და თვითმკვლელობა ხდება. „თოვლში“ ორჰან ფამუქი თურქეთში გავრცელებულ კულტურულ სიმბოლოებთან დაკავშირებულ სირთულეებს იკვლევს. პოლიტიკური ისლამის უმნიშვნელოვანესი კულტურული ნიშნის - თავსაბურავის გარშემო არსებული დაძაბულობა, რომანის გამჭოლი მოტივი ხდება. ფამუქი თავის ისტორიას სასაზღვრო ქალაქ ყარსში ათავსებს. თურქეთის გეოგრაფიული და კულტურული მახასიათებლების ამგვარი განლაგება დაკავშირებულია თურქული იდენტობის გააზრებასთან. რომანის პროტაგონისტი კა ყარსში შეიხების, თავსაფრიანი გოგოებისა და პოლიტიკური ისლამის პოზიციებზე დამდგარი ყოფილი კომუნისტების უცხო სამყაროში ხვდება.K „თოვლში“ განიხილება თეოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ისეთი როგორიცაა ღმერთის არსებობა, ორთოდოქსული და პოლიტიკური ისლამი, მისტიკური დოქტრინები, ათეიზმი. მწერალი ხშირად თეოლოგიური საკითხების სერიოზულ და ფორმულირებას ანგრევს, წარმოაჩენს ჭეშმარიტებათა სიმრავლეს, უარყოფს ისტორიის სწორხაზოვნების, დეტერმინიზმისა და დასრულებულობის იდეას. მწერლის ფილოსოფია პრინციპულად ანტიტოტალიტარულია. პოსტმოდერნისტული კულტურის განვითარება დაკავშირებულია იმასთან, რომ მას ეჭვი შეაქვს ყველა პოზიტიურ ჭეშმარიტებაში. ორჰან ფამუქის რომანში გამოსჭვივის პოზიტივისტური იდეების დესტრუქცია, ის ამსხვრევს საზღვრებს სხვადასხვა ტიპის პოზიტიური ცოდნის სფეროებს შორის. იყენებს განსხვავებულ თხრობის ტექნიკასა და სტრატეგიებს, ისეთს როგორიცაა რომანის რიზომატული სტრუქტურა, ინტერტექსტუალობა, თხრობის ყოვლისმცოდნე მთხრობელის, პირველ პირსა და ფიგურალურში მონაცვლეობა, ირონია. ფამუქის პოსტმოდერნისტული სამყარო მოკლებულია იერარქიას, სემანტიკურ და ღირებულებათა კრიტერიუმებს. მწერალს შემოაქვს პოლიტიკურ-რელიგიური აქცენტი, რომლის ფუნდამენტი მულტიკულტურალიზმია. როგორც იულია კრისტევა მიიჩნევს, პოსტმოდერნულ აზროვნებას აყალიბებს „ეპისტემოლოგიური კრიზისი“, ტრადიციისგან დისტანცირება, განმანათლებლური და პოსტგანმანათლებლური გონიერების რწმენისა და მწერლობაში გენიოსი ხელოვანის „მე“-ს დესტრუქცია. ფამუქის ლოგიკით გონებაც და ინდივიდუალური „ხედვის“ მონოლოგურობა ერთნაირად ავტორიტარულია. ეს კარგად ჩანს „თოვლში“. ორჰან ფამუქს როგორც პოსტმოდერნისტს იტაცებს დოპელგენგერების, მრავლობითობის პრინციპი, თამაში, პაროდიები, ფრაგმენტულობა, საკუთარი თავის „მხილება“.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი, რელატივიზმი, პოლიტიკური ისლამი, მულტიკულტურალიზმი

The Multifaceted Discourse of Islam in the Novel "Snow" by Orhan Pamuk

Relativism, which is a fundamental feature of Postmodernism, can be clearly observed in the novel by Orhan Pamuk "Snow". The impossibility of gaining epistemological insight into the world charge the structure of the novel. The prerogative of the author to possess the truth is collapsed in the novel. The "truth" of the author is dissolved in this multilayered narration. The basic paradigm of postmodernism philosophy lies in the fact, that the endlessness of the universe imparts its infinite interpretations, while "the mind is not the source of the power and uniqueness of man". Orhan Pamuk In Snow explores the multifaceted discourse on Islam in present-day Turkish society. At the core of this contested issue stands women's headscarf and suicide In Snow the author explores the complexities pertaining to the cultural symbolism circulating in

Turkey. The tension surrounding the headscarf as a new cultural feature of political Islam constitutes a major motive in the novel. Pamuk situates his story in Kars, a border city. Such a layout of geographical and cultural characteristics of Turkey is related to the attempt to understand Turkish identity. The protagonist Ka becomes entrapped in this alien world of Sheiks, head-scarved girls, and former communists turned political Islamists. In Snow basic theological question, such as the existence of God, orthodox and political Islam, the mystical doctrins, atheism is presented. The author undermines the serious and sincere articulation of religious issues by employing diverse narrative modes and strategies, such as rhizomatic structure of the novel, intertextuality, irony, and the alternation of omniscient narrator, first-person and figural narration. Orhan Pamuk in Snow shows a multiplicity of truths, revises his view of history, rejecting its linearity, determinism, ideas of completeness. Writer`s philosophy is fundamentally anti-totalitarian, which is a natural reaction to the long-lasting domination of the totalitarian value system. Postmodern culture has developed through doubts in all positive truths. Orhan Pamuk`s novel is characterized by the destruction of positivist ideas about the nature of human knowledge. Pamuk' s world lacks any hierarchy, semantic and value criteria. The writer brings a political emphasis to it the foundation of which is multiculturalism. According to Julia Kristeva, postmodern thought takes shape as a result of an "epistemological crisis", a break with the previous tradition personified by the enlightenment and post-enlightenment belief in reason and the dictate of the "I" of the genius artist. Exemption from both reason and the point of view of the individual, is clearly seen in the novel Snow. Pamuk as a postmodernist is much closer to the principle of doppelganger and plurality, play, parody, self-exposure.

Keywords: postmodernism, relativism, political Islam, multiculturalism

შესავალი

XX საუკუნის ბოლოს თურქული მწერლობა განიცდის „ტექტონიკურ ძვრებს", რაც აქსიოლოგიური და იდეოლოგიური სტრატეგიების, ცნობიერების ტიპების, მეტაფიზიკური დამოკიდებულებების ცვლაში ვლინდება. ტრადიციული მწერლობის გადაფასება ხდება. რეალიზმის "ბურჯების" ლიტერატურული რეპუტაცია თანდათან ინგრევა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია, როდესაც კრიტიკოსები იყენებენ ძველ მეთოდოლოგიებსა და დამკვიდრებულ ინსტრუმენტებს პოსტმოდერნისტული ნაწარმოების შეფასებისას. თურქულ პრესაში გაჩნდა „კრიტიკული" მოსაზრებები ფამუქის „თეთრ ციხე-სიმაგრეზე" და მწერალი „პლაგიატში" იქნა მხელებული (Ecevit 1994: 24). როგორც ჩანს, კრიტიკოსსაც მომზადება სჭირდება იმისათვის, რომ გაიგოს, რას ნიშნავს პოსტმოდერნიზმის პარადიგმაში ინტერტექსტუალობა. ფამუქს მსგავს ბრალდებებზე პასუხი არასდროს გაუცია. პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებში ჰიპერტექსტუალობის წყალობით შესაძლებელია მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილების ციტირება. მწერლობა პოსტმოდერნისტული ესთეტიკის მუზეუმი ხდება, სადაც მხიარულად ან ირონიულად ხდება სხვისი მხატვრული კოდებით მანიპულირება. ფამუქისთვის ქაოსის ათვისება თამაშით ხდება. ჰილმი იავუზი თვლის, რომ თურქული მწერლობა მუდამ ჩამორჩებოდა დასავლურ ლიტერატურას და უკან მადევრის როლში იყო, ხოლო ორჰან ფამუქმა ის ცნობადი გახადა და პერიფერიიდან გამოიყვანა (Yavuz 2008: 77-78).

ფაქტია, რომ XX საუკუნის ბოლოდან სამწერლობო პროცესის შეფასება თურქული მწერლობის ჩვეული მეინსტრიმის ფარგლებში შეუძლებელია. დისკურსებისა და შემოქმედებითი სტრატეგიების სემანტიკური თანაფარდობის ფონზე, როდესაც სტაბილური იერარქიები ჯერ არ არის აგებული, მხატვრული პროცესის „ძირეული კატეგორია" დისკუსიის ცენტრში ხვდება. იცვლება მწერლობის ტრადიციული ესთეტიკა, ცნობიერების რელატივიზაცია ანგრევს ღრმა ეთიკურ დამოკიდებულებებს. საჭიროა მხატვრული და ესთეტიკური ფენომენის გააზრების იმანენტური მიდგომების გამოყენება. თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნა ცდილობს გააცნობიეროს ინოვაციური პროცესები ლიტერატურაში მათი იდენტიფიკაციის გზით პოსტკლასიკურ მხატვრულ პარადიგმებში; გამოავლინოს მათი სპეციფიკა და ტიპოლოგიური კორელაცია გარდამავალ ეპოქასთან, კერძოდ, მოდერნიზმთან მიმართებაში. შესაბამისად, ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, ეპისტემოლოგიურ-ანალიტიკური და ჰერმენევტიკული კვლევის მეთოდები.

პოსტმოდერნიზმის საფუძვლები

პოსტმოდერნიზმის ფილოსოფიური საფუძვლები მოიცავს ესთეტიკას, ეთიკასა და პოლიტიკას, ასევე ეპისტემოლოგიასა და „ენის ფილოსოფიას", რომელიც გამოხატულია ჟან-ფრანსუა ლიოტარის ნაშრომში

„პოსტმოდერნის მდგომარეობა“. ლიოტარი აღნიშნავს, რომ თანამედროვეობის ფილოსოფიური დისკურსი ისტორიულად უსარგებლოა, რადგან სოციალურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა სფეროებმა ის უკან ჩამოიტოვეს. ლიოტარის შეხედულებით, დღევანდელ საზოგადოებას მეტად აღარ სჯერა „განმანათლებლობის პროექტის“: ჭეშმარიტების, პროგრესის, საყოველთაო სამართლიანობის, მშვიდობისა და სხვ. ძველი მეტანარატივების რწმენა დაკარგულია (იგულისხმება კანტის, ჰეგელის, მარქსისტული და სხვა „დიდი“ ნარატივები). ლიოტარის აზრით, ჩვენ ტოლერანტული პლურალისტული პოზიცია უნდა დავიკავოთ, მოვძებნოთ „ბუნებრივი პრაგმატული ნარატივები“. ეს „მცირე“ ნარატივები არ უნდა განიხილებოდეს სამართლიანობის ან ჭეშმარიტების კრიტერიუმებად. დღეს ცხოვრება უნდა გავიაზროთ მრავალი, დაუმთავრებელი და მომრავლებული ნარატივებისა და ენობრივი თამაშების კონტექსტში. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ *„ნარატივების ბრძოლებს“* და განმანათლებლობის ტიპური შეცდომა არ ჩავიდინოთ, ანუ არ უნდა გვჯეროდეს, რომ რომელიმე ამ თხრობას აქვს უმაღლესი ჭეშმარიტების ღირებულება (Лиотар, 1998).

ლიოტარმა პოსტმოდერნისტული ხელოვნება გაიაზრა როგორც მუდმივი თამაში, რომელიც ძირითად წესებს ანგრევს და ახალს აყალიბებს. ეს მისთვის იყო ხელოვნება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ თეორიული საფუძვლებისა და პარადიგმების აგებას (Morawski, 1996: 50). ზიგმუნდ ბაუმანი „პოსტმოდერნის ეთიკაში“ წერს: ეთიკის მიმართ პოსტმოდერნისტული მიდგომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ის თეორიულ დონეზე უარს ამბობს აბსოლუტების, უნივერსალიებისა და საფუძვლების (ან ობიექტურობის) ძიებაზე“ (Bauman, 1993: 3-4).

ჟან ბოდრიარი ცდილობს ახსნას სამყარო, როგორც მოდელების კრებული. იგი განსაზღვრავს ადრეულ მოდერნს როგორც პერიოდს რენესანსსა და ინდუსტრიულ რევოლუციას შორის, მოდერნსს, როგორც ინდუსტრიული რევოლუციის დასაწყისს და პოსტმოდერნს როგორც მას მედიის (კინოსა და ფოტოგრაფიის) პერიოდს. ბოდრიარი გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სურათების სამყაროში, მაგრამ ეს სურათები მხოლოდ სიმულაკრაა, ანუ სიმულაციაა. იგი თვლის, რომ ბევრ ადამიანს არ ესმის რომ „ჩვენ ახლა შევედით ეპოქაში ... სადაც სიმართლე მთლიანად არის კონსენსუსის ღირებულებების პროდუქტი და თავად „მეცნიერება“ არის მხოლოდ სახელი, რომელსაც ჩვენ გარკვეული ტიპის ახსნა-განმარტებებს ვუწოდებთ“ (Norris, 1990: 169)**.**

პოსტმოდერნის ეპოქაში ჩვენ უკვე აღარ ვიცით, შეგვიძლია, თუ არა, ვენდოთ იმას, რასაც ვფიქრობთ და ვიცით, ეს ტრადიციული ეპისტემოლოგიის კრიზისზე მიუთითებს. ლიოტარისა და ბოდრიარის ეგიდით პოსტმოდერნიზმში ხდება ჭეშმარიტებისა და რეალობის როგორც ვირულენტული აზროვნების კატეგორიების უარყოფა. ორივე მოაზროვნე პოსტმოდერნიზმს აღწერს როგორც მეოცე საუკუნის დასასრულის მდგომარეობას, რომელიც აზროვნებისა და გამოცდილების ორი ფუნდამენტული კატეგორიის მიმართ გამოხატული სკეპტიციზმით ხასიათდება: ეს არის ჭეშმარიტება და რეალობა. ირკვევა, რომ პოსტმოდერნიზმის თეოლოგიური საფუძველი ათეიზმია. კევინ ვანჰუზერის აზრით, „პოსტმოდერნისტები ეთანხმებიან ნიცშეს იმაში, რომ კლასიკური თეიზმის უმაღლესი ქმნილება, „ღმერთი“ არადამაჯერებელია, ისევე როგორც ავტონომიური „მე“ და ისტორიის მნიშვნელობა (Vanhoozer, 2005: 12). ეს დაკვირვება თამამად შეგვიძლია გავავრცელოთ პოსტმოდერნიზმის დამოკიდებულებაზე რელიგიის მიმართ. ბოდრიარი ამტკიცებს, რომ პოსტმოდერნისტული დისკურსი ანადგურებს მეტაფიზიკას. პოსტმოდერნიზმი რელიგიის საფუძვლებს უტევს და არ აინტერესებს თეოლოგიური, კოსმოპოლიტური ან გამოხსნა-გადარჩენის განცხადებები. ფუნდამენტური არგუმენტი, რომელიც პოსტმოდერნიზმისა და თეოლოგიის დაპირისპირებას გამოხატავს, მდგომარეობს შემდეგში: პოსტმოდერნიზმი არ ცნობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ხოლო თეოლოგია იხილავს აბსოლუტურსა და ესენციალურს. პოსტმოდერნული მდგომარეობა არც ფილოსოფიური და არც სოციო-პოლიტიკური, არამედ სულიერი მდგომარეობაა. ბესტისა და კელნერის თანახმად, „პოსტმოდერნისტები უარყოფენ გამაერთიანებელ უნიფიცირულ, ტოტალურ და უნივერსალურ სქემებს განსხვავებულის, მრავალფეროვანის, ფრაგმენტაციისა და სირთულის ხაზგასასმელად" (Best, Kellner). ამიტომ პოსტმოდერნიზმის საყრდენი პოსტულატი არის წყვეტა და არა უწყვეტობა. პოსტმოდერნისტებს ეჭვი შეაქვთ ჭეშმარიტების, სიმართლის პრეტენზიების, „სწორად გამოსწორებაში".

თეოლოგია პოსტმოდერნიზმში

XX საუკუნის აზროვნებაში რელიგიის ორთოდოქსული გააზრება მოდერნიზაციას მოითხოვს. გავიხსენოთ, თუნდაც, ჩინგიზ აიტმატოვის რომანის „საქონდაქრეს“ მთავარი განაცხადი: „მე ვეძებ ღმერთს, თანამედროვეს!“ ეს არის ხანა, რომელიც ხასიათდება ადამიანების განსხვავებულობისა და ინდივიუალობის დაცვის აუცილებლობით. ტრადიციული საღვთისმეტყველო ტელეოლოგია აბრაამისტულ რელიგიებში, იქნება ეს ქრისტიანობა, იუდაიზმი თუ ისლამი განისაზღვრება დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებულ ინვარიანტულ კატეგორიებსა და ღირებულებებში. ნათელია, რომ პოსტმოდერნის ეპოქისთვის დამახასიათებელია რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების ფუნდამენტური ნორმების მოშლა, პოსტმოდერნი ეჭვქვეშ აყენებს გონების ყოვლისმომცველი შესაძლებლობის უნარს და აღიარებს, რომ ყოველგვარი ცოდნა ნაწილობრივია.

პოსტმოდერნისტურ მწერლობაში რელიგია განიხილება ინტერდისციპლინული დიალოგის პლატფორმაზე, მისთვის დამახასიათებელია ფართო თეორიული სპეკულაციების გამოყენება, რათა წარმოაჩინოს, როგორ არის რელიგია კულტურაში გამჯდარი. თეოლოგიური უნივერსალიზმი ეწინააღმდეგება პოსტმოდერნული ხანის სულისკვეთებას, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რამდენად მნიშვნელოვანია თეოლოგია კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების შესასწავლად და როგორ არის ხშირად შეუძლებელი იმის გარკვევა, თუ სად იწყება თეოლოგია და სად მთავრდება პოლიტიკა. პოსტმოდერნული თეოლოგია იწყება ათეიზმის რბილი ფორმით.

შეიძლება ითქვას, რომ პოსტმოდერნიზმის პოზიციამ: რელიგიურ ჭეშმარიტებაში, ანუ „დიდ ნარატივებში“ ეჭვის შეტანამ წარმოშვა რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღზევება, რომელიც ნათლად ვლინდება მუსლიმურ აღმოსავლეთში. ამის პირველი გამოვლინება სალმან რუშთის „სატანური ლექსების“ აკრძალვა და რუშთისთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანა იყო. თუმცა, 1955 წელს კათოლიკურმა ეკლესიამაც აკრძალა ნიკოს კაზანძაკისის რომანი „ქრისტეს უკანაკნელი ცდუნება“. ორივე რომანი დიდი ნარატივის დეკონსტრუქციას ეწევა.

პოსტმოდერნის ყველა იდეოლოგი იყო ათეისტი, მათ შორის ფუკო, დერიდა (ისინი ნეომარქსისტი ლუი ალტუსერის საყვარელი მოწაფეები იყვნენ), ლიოტარი, ბათაი, ბარტი, ბოდრიარი, დელიოზი, გვატარი, ლაკანი და სხვ. რწმენა, რომ არ არსებობს ღმერთი, ზებუნებრივი შემოქმედი, ღვთაებრივი მორალური კანონმდებელი და, საბოლოოდ, მოსამართლე ადამიანის ქმედებებისა არ არის მხოლოდ მარქსიზმის თეოლოგიური ხერხემალი, ის კლასიკური პოსტმოდერნიზმის სეკულარული ჰუმანიზმის თეოლოგიური ხედვაა. პოსტმოდერნული თეოლოგიის კონტექსტში ფართოდ არის გავრცელებული იდეა, რომ რელიგიური მრწამსი არის პირადი არჩევანი; შეხედულება, რომ ადამიანი ტოლერანტული უნდა იყოს ყველა რელიგიური მრწამსის მიმართ, რადგან არც ერთი რელიგიაა ჭეშმარიტი. ეს ცნება ეთანხმება პოსტმოდერნული განწყობის განმსაზღვრელ პრინციპებს: აბსოლუტური ჭეშმარიტების; ცოდნის საყრდენი საფუძვლის; და, საბოლოოდ, ყველა მეტანარატივის მიმართ სკეპტიციზმს (ნებისმიერი ყოვლისმომცველი ისტორია, რომელიც განსაზღვრავს რეალობას). პოსტმოდერნულ გარემოში ჭეშმარიტების ცნება, ობიექტური სტანდარტები უარყოფილია, რელიგიური განცხადებები ემყარება იმას, თუ რამდენად რელევანტურია ის ჩვენთვის, ვთქვათ: გვირჩევნია ვაღიაროთ ღმერთის არსებობის იდეა, თუ არა; მოგვწონს იესოს მაცხოვრის ან მუჰამედ წინასწარმეტყველის იდეა, თუ არა; სასწაულებს ვხედავთ, თუ არა. ეს დამოკიდებულება ყველა რელიგიურ პრეფერენციას მოიცავს. დევიდ ნოებელის აზრით, პოსტმოდერნიზმის იდეოლოგები (ფუკო, დერიდა, ბარტი, ლიოტარი, ბოდრიარი, რორტი და ა.შ.) არიან თეოლოგიურად ათეისტები, ფილოსოფიურად სკეპტიკოსები, ეთიკურად რელატივისტები, ბიოლოგიურად ევოლუციონისტები, ფსიქოლოგიურად უსულგულოები, იურიდიულად პრაგმატისტები და პოლიტიკურად მემარცხენეები (Noebel, 2006: 10). კევინ ვანჰოზერი კი თვლის, რომ „პოსტმოდერნი უფრო მდგომარეობაა, ვიდრე მკაფიო პოზიცია, განწყობა ვიდრე მეტაფიზიკა; მიუხედავად ამისა, იგი იძლევა ცნობებს ადამიანის შესახებ სამყაროში. ეს არის სამყაროსა და ცხოვრების ხედვა, არა იმ გაგებით, რომ იგი იძლევა სათხრობ სისტემას, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ ქმნის ეთოსს. პოსტმოდერნი შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე ფილოსოფია და არც მასზე ნაკლები; ეს არის სამყაროსა და ცხოვრების ხედვა, რომელიც ურთიერთდამოკიდებულებაშია თანამედროვეობასთან“ (Vanhoozer, 2005: 77).

პოლიტიკური ისლამის ფორმები „თოვლში“

„თოვლი“ ორჰან ფამუქის ერთადერთი პოლიტიკური რომანია. მასში 90-იანი წლების თურქული საზოგადოების მრავალწახნაგოვანი დისკურსია წარმოდგენილი. თურქულ პოლიტიკაში ისლამის აღორძინებამ და მისი როგორც ცხოვრების სტილის გამოვლინებამ საფრთხე შეუქმნა სეკულარულ ინსტიტუტებს, ამან კი გარკვეულად „თურქული იდენტობის“ კრიზისი გამოიწვია. „ისლამი არა მხოლოდ რელიგიური დოქტრინაა, ეს ამასთანავე ჩაკეტილი მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესია (...) მუსლიმი ჯერ ისლამის მოქალაქეა მორალურად, სულიერად, ინტელექტუალურად და, პრინციპში, სრულად ეკუთვნის რწმენის სამყაროს, რომლის წინასწარმეტყველი მუჰამედია, ხოლო დედაქალაქი მექა“ (Noebel, 2006: 8).

პოლიტიკური ისლამის საომარი ბაირაღი ქალის თავსაბურავი აღმოჩნდა. თავსაფარი პოლიტიკური ისლამის ერთგვარ კულტურულ კონცეპტად იქცა. ამდენად, სეკულარული მოდერნიზაციის თეორეტიკოსების მიერ გამოყენებული ბინარული დიქოტომიები: „მოძველებული და თანამედროვე“, „ჩამორჩენილობა და პროგრესი“ ახალი ისლამისტური პოლიტიკური მოვლენების ასახსნელად საკმარისი აღარ არის. ათათურქის მიერ შემუშავებული რესპუბლიკის სეკულარული მოდელის მიხედვით სასწავლო და სახელმწიფო დაწესებულებებში ქალს თავსაფრით მისვლა ეკრძალებოდა. ფამუქი გვიჩვენებს, თუ რა გააფთრებით ცდილობენ ქალები მასკულინურ ისლამურ საზოგადოებაში თავიანთი სტატუსის ამაღლებას, სამწუხაროდ, მაქსიმუმი, რაც მათ ამ პირობებში შეუძლიათ, არის თავსაფრის ტარებისთვის ბრძოლაში ჩაბმა. აქაც მწერალი მარტივი შეფასებების გამოტანისგან ძალიან შორს არის, თავსაფრის ტარება უნდათ არა მხოლოდ დაბალი ფენების წარმომადგენლებს, არამედ ინტელექტუალური საზოგაოების წევრებსაც. ქალის ტრაგიკული მდგომარეობის კრიტიკული ინვექტივა რომანში წარმოდგენილია ერთ-ერთი თავის ფორმულირებაში: „ქალების თვითმკვლელობის მიზეზი სიამაყეა“. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ისლამიზმი ფემინიზიმის პარალელურია, მას შეაქვს პირადული საზოგადოებრივ სფეროში. ისლამისტური საზოგადოებრიობა „განსხვავების“ დეკლარირებას ეწევა, იბრძვის იმისთვის, რომ საზოგადოების აქტიური მოქმედი პირი გახდეს (Göle, 1997: 61).

„თოვლში“ მწერალი წარმოაჩენს იმ ეთნიკურ, პოლიტიკურ კონფლიქტებს, რომელიც თურქულ საზოგადოებას ხლეჩს. რომანში კულტურული სიმბოლოების მრავალი პერსპექტივაა წარმოდგენილია, რაც უბრალოდ ართულებს თურქეთში ისლამის აღორძინების მარტივ მოდელს. ფამუქი არ მართავს მკითხველს, არ უყალიბებს მას წარმოდგენებს „სწორსა“ და „არასწორზე“, ავტორი თურქული მოდერნიზაციის იდეოლოგიას დიდად არ სწყალობს. ფამუქს მოქმედება თურქეთის პერიფერიაზე, სასაზღვრო ქალაქ ყარსში გადააქვს. რომანში ყარსი წამოჩინდება ადგილად, სადაც თურქული იდენტობის საკითხთან დაკავშირებით იდეოლოგიური, პოლიტიკური, მეტაფიზიკური პოზიციების შეჯახება ხდება. ეს არის ადგილი, რომელშიც სახელმწიფო ლაიციზმის ზეწოლის მიუხედავად ისლამის ეზოთერული და ეგზოთერული ფორმების აღორძინება ხდება.

ორჰან ფამუქი წარმოაჩენს დაუნდობელ იაკობინელ სეკულარისტებს, ისლამისტებს, ფუნდამენტალისტებს, მემარცხენეებს, თურქ ნაციონალისტებს, ქურთ ნაციონალისტებს, მარქსისტ ქურთებს, ისლამისტ ქურთებს და გვიჩვენებს ურთიერთქმედების ცვლილებების დინამიკას კონფლიქტურ ჯგუფებს შორის. პოლიტოლოგი თანილ ბორას აზრით, თურქული ნაციონალიზმი გამძაფრდა 90-იანი წლებიდან, ამის მიზეზად იგი 1980 წლის სამხედრო გადატრიალებას მიიჩნევს, რომელმაც სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობა, იდენტობის დაქუცმაცება გამოიწვია (Bora, 1995:71).

რომანში ორი პერსონიფიცირებული ნარატივია წარმოდგენილი სუნაი ზაიმისა და ლაჯივერთის, რომელიც თურქული ნაციონალიზმის ორ ვარიანტადაც შეიძლება მივიჩნიოთ: 1) სუნაი ზაიმი მედასავლეთე „იაკობინელი“ მსახიობია, რომელიც ცდილობს შექმნას ახალი „თურქული განმანათლებლობის“ ხანა (სეკულარისტული ნარატივი) და 2) „ტერორისტად“ წოდებული ქურთი ისლამისტი ლაჯივერთია, რომელსაც არც ერთი ტერაქტი ჩაუდენია, იგი ოტომანთა ეპოქის აღორძინებაზე ოცნებობს (ისლამისტური ნარატივი). მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა ნაციონალიზმი დისკურსის თვალსაზრისით განსხვავედება, ფამუქი გვიჩვენებს, რომ დამოკიდებულება „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მიმართ არის ცენტრი სუნაისა და ლაჯივერთის იდენტობებისა, რადგან სოციალურ და პოლიტიკურ დაძაბულობას თურქული საზოგადოების ფრაქციონალიზმზე „დასავლეთი“ აყალიბებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ისლამი როგორც რელიგია კოლექტიური ფენომენია და მას საერთო არაფერი აქვს დასავლელი ქრისტიანების ინდივიდუალიზმთან. ორჰან ფამუქის რომანში მოჩანს მიუკერძოებელი

დამოკიდებულება ყოველი ადამიანის მიმართ, ტოლერანტობა და კრიტიკული რეფლექსია მცნებებზე „ხელისუფლება“ და „თავისუფლება“.

რომანის მთავარი გმირი კა, 12 წელი გერმანიაში გადასახლებაში ცხოვრობდა, დედის გარდაცვალების გამო ბრუნდება სამშობლოში, გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ დავალებით ჩადის ყარსში, რათა შეისწავლოს თავსაბურიან გოგონათა თვითმკვლელობის პრობლემა. ყარსში ჩასული კა მალე ეფლობა თავსაფრიან გოგონათა, შეიხების, ქურთი ნაციონალისტების, კომუნისტების, სოციალისტებისა და სეკულარისტების კონფლიქტში. რომანში კა არის ყარსში გათამაშებული კონფლიქტების დამკვირვებელი, იძულების გზით მონაწილეობს მასში და, ამავე დროს, ტრანსცენდენტური პერსპექტივის მაძიებელი ხდება.

თეოლოგიური დისკურსი

შეიჰთან შეხვედრის დროს კა რწმენის საკითხზე საუბრობს, აცხადებს: „თოვლმა ალაჰი მომაგონა (...) რაოდენ იდუმალია და მშვენიერია ეს ქვეყანა, ცხოვრება რა დიდი ბედნიერებაა... ეს მომაგონა თოვლმა“ (ფამუქი, 2012:119) მაგრამ შეიხის კითხვაზე: რატომ გეშინია ჩვენი? კა პასუხობს: „პატარა ბავშვივით სულ ის მინდოდა, რომ ჩვენი ქვეყანა აყვავებულიყო, ადამიანები უფრო თავისუფლები და თანამედროვეები ყოფილიყვნენ, - დაიწყო კამ, - მაგრამ ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ჩვენი რელიგია ამას ეწინააღმდეგებოდა (...) სტამბოლში ნიშანთაშიში, მაღალ საზოგადოებაში გავიზარდე. მინდოდა ევროპელს დავმსგავსებოდი. ჩემი ცხოვრება რელიგიისგან შორს იყო, რადგან მესმოდა, რომ ევროპელობას და ალაჰს, რომელიც ქალებს ჩადრით მოსავს, ერთდროულად ვერ ვიწამებდი“ (...) მთელი ცხოვრება თავს დამნაშავედ ვგრძნობდი იმის გამო, რომ უმეცრების, ჩადრიანი დეიდების, კრიალოსნიანი ბიძიების, ღარიბ-ღატაკების ალაჰისა არ მწამდა. ჩემი ურწმუნოებით ვამაყობდი. მაგრამ ახლა ძალიან მინდა, ალაჰი ვირწმუნო, რომელმაც ეს ულამაზესი თოვლი მოიყვანა. მითხარით, არსებობს ალაჰი, რომელიც სამყაროს ფარულ სიმეტრიას უზრუნველყოფს და ადამიანს უფრო ცივილიზებულ, დახვეწილ არსებად აქცევს?“ (ფამუქი, 2012: 120-121).

რწმენის ტელეოლოგიური საკითხებში მერყეობა, თეიზმისა და ათეიზმის გასაყარზე ყოფნა პოსტმოდერნის რელატივიზმისთვის ორგანულია. ასე მაგალითად, 2002 წელს ამერიკის რელიგიის აკადემიის კონგრესზე დერიდამ აღნიშნა: „მე მართლა ათეისტად ვითვლები“. კითხვაზე რატომ არ იტყვით, პირდაპირ: „მე ათეისტი ვარ“, მან უპასუხა: „შეიძლება მე ათეისტი არა ვარ“ (Erikson, 2001:131). უმბერტო ეკო კი განმარტავს, „რანაირად შეიძლება ღმერთი არ გწამდეს, მიგაჩნდეს, რომ მისი არსებობის დასაბუთება შეუძლებელია და, ამავე დროს, მტკიცედ გწამდეს ღმერთის არარსებობა და მიგაჩნდეს, რომ ამის დამტკიცება შეგიძლია“ (ეკო, მარტინი, 2004:78).

„თოვლი“ რეალურად არის რომანი ეპისტემოლოგიურ ძიებასა და იმ შედეგებზე, რომელიც მისგან გამომდინარეობს. მისტიკა, რომელიც რომანის სივრცეში თოვლის გარშემო ყალიბდება განხილვის ღირსია. რომანში კას შეიხი წერილს უგზავნის და ეუბნება: „გუშინ სიზმარში გნახეთ, თოვდა და ყოველი ფიფქი დედამიწაზე სხივივით ეშვებოდა“ (ფამუქი, 2012: 112). სხივს სუფიურ მისტიციზმში ღვთაებრივი კონოტაცია აქვს, ამას გარდა, ქურთი თეოლოგის, საიდ ნურსის ნაშრომებზე აღმოცენებული ნურჯუების რელიგიურ საზოგადოებაზეც მეტყველებს, რომელიც ამ რეგიონში ფართოდ არის გავრცელებული. თოვლის ფენომენი რწმენის საკითხს უკავშირდება, კა ამბობს: „თოვლი მე ალაჰს მახსენებს. /კეთილი, მაგრამ თუ გჯერათ, რომ თოვლი ალაჰმა შექმნა? - არ მოეშვა მესუთი./ სიჩუმე ჩამოვარდა“ (ფამუქი, 2012: 104). თოვლის როგორც ნოუმენის წარმოჩენა, მისი ფენომენოლოგიური მოდუსის შექმნა პირდაპირ მიუთითებს პოსტმოდერნულ რელატივიზმზე. ავტორს ფაქტიურად არ შეუძლია ისლამის მეტანარატივის მიღება და თოვლის ფენომენს ტრანსცენდენტურ ღირებულებას ანიჭებს. კას არასდროს უთქვამს, რომ მას ალაჰის სწამს, თუმცა ის მუდმივად ცდილობს ჩაწვდეს რწმენის ფენომენს. შეიძლება ითქვას, რომ მისი პერცეფცია ღვთაებრივისა ემყარება სპინოზასეულ პანთეიზმს. ბუნება (თოვლის ფენომენოლოგია) მისთვის causa sui ხდება. როგორც სპინოზასთვის, ასევე კასათვის ღმერთი პიროვნულ ნიშნებს არ ატარებს. სპინოზასთვის სუბსტანცია უსასრულოა სივრცეში და მარადიულია დროში. ყოველი „სასრული“ ნივთი (კონკრეტული ადამიანი ყვავილი, ქვა) არის ამ უსასრულო სუბსტანციის შეზღუდული ნაწილი, მისი მოდიფიკაცია, მისი მოდუსი, მისი გამოვლინება.

„შეუცნობელი“ წყაროდან მოდის ყველა ლექსი, რომელიც კამ ყარსში დაწერა (არც მანამდე და არც მერე მას არ შეუქმნია ლექსი „კარნახით“) აქ კი უკვე „გულუბრყვილო და სენტიმენტალური მწერლის“ კატეგორიასთან მივდივართ (ფამუქი, 2013: 24-26). ფიფქის იდეალური გეომეტრიული და სიმეტრიული ფორმა ყარსში დაწერილი ლექსების განლაგების სქემას იძლევა. ფიფქი ნარატივის სქემასაც იძლევა. კა იწყებს თავისი ლექსების განლაგებას თოვლის ჰექსაგონის სტრუქტურაზე, მასზე სამი ძირითადი კონცეფტია: „ლოგიკა“, „ოცნება“ და „მეხსიერება“. იგი ლექსებს ფრენსის ბეკონის „ცოდნის ხის“ კლასიფიკაციის მიხედვით განალაგებს, რაც პოსტმოდერნისტულ ინსინუაციად უნდა მივიჩნიოთ. ყოველ პოლუსზე არის იმ ცხრამეტი ლექსის სათაური, რომელიც კამ ყარსში შექმნა. ამ სათაურებში ყველა ის კონფლიქტია, რომელიც კას ყარსში შეემთხვა, ეს არის პროტაგონისტის შინაგანი დაძაბულობა და ყარსში არსებული დაპირისპირება: „ფარული სიმეტრია“, „ადგილი, სადაც ალაჰი არ არსებობს“, „ადგილი, სადაც სამყარო მთავრდება“. ფიფქის ცენტრში მოთავსებულია მთავარი ლექსი: „მე, კა“, ამდენად, გეომეტრიულად ხდება შეთავსება სხვაგვარად შეუთავსებელი კატეგორიებისა კას პიროვნებაში.

ფრანკფურტში ცხოვრების დროს კა მდუმარებაში ჩაეფლო, ის ლექსებს ველარ წერდა. ყარსში სასწაული ხდება, მის გონებაში მუდმივად ხდება პოეტური პწკარების კონდენსირება. იგი გრძნობს, რომ ყარსში დაწერილი ლექსები ტრანსცენდენტური წყაროდან მომდინარებს. რომანში კას ჰანდე ეკითხება: „ლექსს როგორ წერთ? - ლექსს როგორ ვწერ, არ ვიცი. კარგი ლექსი თითქოს გარედან, შორიდან მოდის“, - ამბობს კა. შემდგომ ჰანდეს ჩაძიებულ კითხვაზე პასუხობს: „როცა მუზის მოახლოებას ვგრძნობ, უდიდესი მადლიერება მეუფლება იმის მიმართ, ვინც მუზა მომივლინა. ამ დროს ძალიან ბედნიერი ვარ ხოლმე (...) - მიუხედავად იმისა, რომ არ მწამს, მაინც მგონია, რომ მუზას „ის“ მიგზავნის (...) - მუზას ალაჰი მიგზავნის, - უპასუხა კამ აღმაფრენით“ (ფამუქი, 2012: 148-151).

რენე ჟირარი სერვანტესის, ფლობერის, სტენდალის, დოსტოევსკისა და პრუსტის ნაწარმოებების შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ ადამიანი სურველებში მიმეტურად იმეორებს სხვა პიროვნების სურვილებს. კერძოდ, რაც უფრო უკანა პლანზე გადადის ტრანსცენდენტური მიზანი, მით უფრო სანუკვარი ხდება სხვისი სურვილები (Жирар, 2018:X). მიმეტიზმის თეორიის თანახმად, ჩვენი სურვილები ეფუძნება სხვათა სურვილებსა და შეფასებებს (მას თუ მოსწონს, მეც მომწონს). ადამიანებს სჭირდებათ მედიატორი შუამავლები იმისათვის, რომ გაიგონ, რა უნდათ, არჩევანი რაზე შეაჩერონ. მიმეტურ მოთხოვნილებებს კონფლიქტების ესკალაციამდე მივყევართ, გამოსავალს რენე ჟირარი „განტევების ვაცის“ მექანიზმში ხედავს. „დამნაშავის“ მოშორებასთან ერთად მშვიდობა და წესრიგი მყარდება. რომანი პრაქტიკულად „მიმეტური“ კონფლიქტების არენა ხდება, სადაც კონფლიქტის მხარეები დაუნდობლად ებრძვიან მოწინააღმდეგეებს. კა არის პროტაგონისტი, რომელიც „პათოლოგიური მიმეტიზმით“ ხასიათდება, რადგან ვისაც გაიცნობს, ყველა მოსწონს და უყვარს, მოკლედ, ნებისმიერ საზოგადოებაში მიმიკრიას განიცდის, მისი პიროვნული „მე“ მუდმივად იცვლება, ამის მიზეზი მისი ადამიანების მიმართ გახსნილობა, კეთილგანწყობა და სიყვარულია. საბოლოოდ, ის ამ მრავალგანზომილებიანი კონფლიქტის ეპიცენტრში ექცევა და „განტევების ვაცი“ ხდება. როგორც იური ბორევი აღნიშნავს, პოსტმოდერნიზმში „ადამიანი ვერ უძლებს ზეწოლას და იგი პოსტადამიანი ხდება“ (Борев,2002: 214).

დასკვნა

ჟალე ფარლას აზრით, პარადოქსი, რომ ფამუქი „რთული“ ბესტსელერია, სტამბოლის ინტელექტუალური საზოგადოების მიერ შექმნილი მითია, მათ იციან ფამუქის რომანების სირთულე, მაგრამ ვერ ამჩნევენ რომანების დამატყვევებელ უბრალოებას“. ფარლა ასევე მიუთითებს, რომ არიან ისეთი მკითხველები, რომლებიც მხოლოდ უბრალოებას ხედავენ და სირთულეს ვერ ამჩნევენ (Parla 2013: 180). მწერლის „რომანების სიუჟეტების უკან იმალება მისი მთავარი მხატვრული განსაკუთრებულობა, რაც კარგად მოფიქრებული და ერთმანეთში გადახლართული მოვლენების ერთ მხატვრულ მთლიანობაში მოქცევის საოცარ უნარიდან მომდინარეობს“ (Andaç 2014 : 192).

პოსტმოდერნიზმი ინარჩუნებს გარკვეულ კავშირებს ადრინდელ ესთეტიკურ ტრადიციებთან და მკვეთრად უპირისპირდება ელიტარიზმს, მაღალ მოდერნიზმს და ავანგარდს. პოსტმოდერნისტები უარყოფენ რეალიზმს, მიმეზისსა და თხრობის წრფივ ფორმებს. მოდერნისტები იცავდნენ ხელოვნების ავტონომიას და აკრიტიკებდნენ პოპკულტურას, პოსტმოდერნისტებმა კი ესთეტიკურ პლურალიზმსა და პოპულიზმში გააერთიანეს "მაღალი" და "დაბალი" კულტურის ფორმები (Jameson, 1991). მძაფრი

ინოვაციებისა და ორიგინალურობის ნაცვლად პოსტმოდერნისტები იყენებენ ტრადიციული ციტირებისა და სტილიზაციის მეთოდებს. მოდერნისტებისგან განსხვავებით ისინი უფრო ირონიულები არიან და მეტს „ცელქობენ“, გაურბიან ისეთ ცნებებს, როგორიცაა „გენიოსი“, „შემოქმედება“ და „ავტორიც“ კი, ამაზე ჟაკ დერიდამ და როლან ბარტმა იზრუნეს. პოსტმოდერნული ხელოვნება უფრო მეტადაა ორიენტირებული ზედაპირზე, უარს ამბობს სიღრმეზე და დიდებულ ფილოსოფიურ თუ ზნეობრივ ხედვებზე. პოსტმოდერნიზმის ყველა ეს კომპონენტი ნათლად იკვეთება ორჰან ფამუქის რომანში. ტოტალური რელატივიზმი, სამყაროს ეპიტემოლოგური შეცნობის შეუძლებლობა განსაზღვრავს რომანის პარიდიგმას.

კონცეფტუალური ინტერპრეტაციებისა და მნიშვნელობათა გააზრება ახალი მეთოდოლოგიური მიდგომის შექმნას მოითხოვდა მწერლისგან. დეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენებით ფამუქი ანგრევს ტრადიციული რომანის აგებულების ჩარჩოს, შეხედულებას, რომ ტექსტს გააჩნია ერთადერთი ფიქსირებული თემატური ხაზი და მნიშვნელობა. ეს არა მარტო რომანში გამოხატულ ბინარულ ოპოზიციებს ხსნის, არამედ აუქმებს ცენტრს. დროისა და სივრცის საზღვრების მოშლით „თოვლში“ ტრადიციების ღირებულების ნივილირება ხდება. მთავარი ციტირება ხდება, რომელიც თამაშობს „უკვე არსებულთან“ (ჯაველიძე, 2017: 117-129); სამყაროს გააზრება პლურალისტულია; ისტორიის „დროის ისარი“ კომპასის ისარი ხდება; დრო მოდუსებს კარგავს და წარმოდგება როგორც „წარსულ-ახლანდელი“; ტრადიციულ ფორმას აზრი ეკარგება, გახსნილი რიზომატული ფორმა იკავებს მის ადგილს; იერარქიის როგორც სტრუქტურული ორგანიზაციის პრინციპის ადგილს ანარქია იკავებს; ცენტრირება იცვლება გაფანტვით; ყალიბდება რიზომატული სპეციფიკური ქაოტური განვითარება და „ზედაპირების გადაკვეთა“; განსაზღვრულობის ადგილს განუსაზღვრელობა იკავებს, მიზანი პოსტმოდერნისტული თამაში ხდება.

დამოწმებანი:

Andaç, Feridun (2014). Anonimleşen Edebiyat; Edebiyatımızın Yol Haritası, İstanbul: Varlık Yayınları.

Bauman, Zygmunt (1993) Postmodern Ethics. Oxford, UK: Blackwell, Print.

Best, Steven, Kellner, Douglas, The Postmodern Turn
https://pages.gseis.ucla.edu/faculty/kellner/essays/postmodernturnch4.pdf

Bora, Tanil (1995). Milliyetçiliğin Kara Baharı, İstanbul, Birikim Yayınları.

Борев, Юрий (2002). Эстетика, Москва: «Высшая школа»

ეკო, უმბერტო, მარტინი, კარლო მარია (2004) რა სწამს მას, ვისაც არ სწამს? თბილისი, „დიოგენე“.

Erickson, Millard J. (2001) Truth or Consequences: The Promise & Perils of Postmodernism, Downers Grove, IL: InterVarsity Press.

Göle, Nilüfer (1997)“Gendered Nature of the Pablıc Sphere“, Public Culture, 10.1, p. 61-81

Jameson, Fredric (1991) Postmodernism, or, the Cultural Logic of Late Capitalism. Durham: Duke University press.

King, Anthony (1990) Baudrillard’s Nihilism and the End of Theory, London: Harvester, Wheatsheaf,

Лиотар, Жан-Франсуа (1998) *Состояние постмодерна,* Москва: Институт экспериментальной социологии, 1998

Morawski, Stefan (1996). The Troubles with Postmodernism, London: Routledge,

Noebel, David A. (2006) Understanding the Times: The Collision of Today’s Competing Worldviews, Manitou Springs, Colorado: Published by Summit Press, a division of Summit Ministries

Norris, Christopher (1990) *What's Wrong with Postmodernism*? England: Harvester Wheatsheaf.

Parla, Jale (2013). Don Kişot'tan Bugüne Roman, İstanbul: İletişim Yayınları.

ЖИРАР, Рене (2018). Я вижу Сатану, падающего как молния, Москва: ББИ.

ფამუქი, ორჰან (2012). თოვლი, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ფამუქი, ორჰან (2014) გულუბრყვილო და სენტიმენტალური რომანისტი, თბილისი: „დიოგენე“

Vanhoozer, Kevin J. (2005), Postmodern Theology Cambridge, UK: Cambridge University Press.

Yavuz, Hilmi (2008). Edebiyat ve Sanat Üzerine Yazılar, İstanbul: Yapı Kredi Yayınları, 2. Baskı,

ჯაველიძე ელენე (2017) ინტერტექსტუალობის საკითხი ორჰან ფამუქის რომანში „თოვლი“, „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“ #10, *თბილისი:* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

1795 წელს საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი დღემდე უცნობი ელჩობის დეტალები

Mamuka Natsvaladze
Sokhumi State University, Georgia

ვენის არქივში დაცული ერეკლე მეორის წერილის იტალიური თარგმანი, რომელიც 1979 წელს პროფესორმა ილია ტაბაღუამ გამოაქვეყნა, სენსაციურ საიდუმლოს ინახავს. ამ წერილში ჩვენ მივაგენით უნიკალურ პლასტს, რომლითაც დასტურდება, რომ 1795 წლის კრწანისის ტრაგედიის შემდეგ ერეკლე მეორე დაუკავშირდა ევროპას. კვლევისა და ანალიზის შედეგად, ადრე ერთ წერილად მიჩნეულ დოკუმენტში, კერძოდ, ერეკლე მეორის წერილის იტალიურ თარგმანში, სხვადასხვა პლასტი შევნიშნეთ, რომელიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად დაცილებულია ქრონოლოგიური თვალსაზრისით. ამ ცალკეული პლასტების შესწავლამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ კრწანისის ტრაგედიის შემდგომ, 1795 წელს, ერეკლეს ელჩობა ვენაში ჩავიდა და იმპერატორს წერილი გადასცა. მეცნიერების მიერ ერეკლეს ერთ წერილად მიჩნეულ იტალიურ თარგმანში, რომელიც 1782 წლით თარიღდება, პირველი ეჭვი გააჩინა ფრაგმენტმა, სადაც მითითებულია, რომ „ამ დღეებში აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენცია მთლიანად დაანგრიეს.“ საგანგებოდ განვმარტავთ, რომ ის, რაც შეიძლება მივიჩნიოთ აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენციად, ამ რანგის ქალაქის დანგრევის ფაქტი XVIII ს-ის 80-იან წლებში არ დასტურდება. შესაბამისად რჩება ერთადერთი ვარიანტი - უნდა ვაღიაროთ, რომ ერეკლე საუბრობს აღა მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის თბილისის დანგრევაზე, 13 წლის შემდგომ მომხდარ ტრაგედიაზე. ფაქტია ისიც - 1782 წელს ერეკლე ვერ დაწერდა 1795 წლის მოვლენების შესახებ. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერეკლეს წერილის იტალიური თარგმანი, რომელიც ავსტრიის იმპერატორის კანცელარიამ ერეკლეს გზავნილების საფუძველზე მოამზადა, არის არა ერთი წერილი, არამედ სულ მცირე ორი წერილის კომპილაცია. უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომ აღნიშნული იტალიური თარგმანის ადრესატია ზოგადად ავსტრიის იმპერატორი, არაა პერსონიფიცირებული რომელი იმპერატორისთვისაა განკუთვნილი წერილი, ამასთან თარგმანს არც კონკრეტული თარიღი აქვს. სტატიაში განხილულია ერეკლეს მიერ 1795 წლის გვიან შემოდგომაზე ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი ელჩობის მიზნები, ასევე ამ წერილის სხვა საეჭვო პლასტები, რომელიც ცალსახად ადასტურებს, რომ წერილის გარკვეული ფრაგმენტები 1795 წელსაა დაწერილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1795 წლის გვიან შემოდგომაზე ავსტრიასა და ქართლ კახეთის სამეფოს შორის დიპლომატიური კავშირი შედგა. ეს ფაქტი აქარწყლებს ისტორიოგრაფიაში დღემდე დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ 1795 წელს აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ ერეკლე მეორემ უპირობოდ აიღო რუსეთისაკენ გეზი.

საკვანძო სიტყვები: ერეკლე მეორე, წერილი, იტალიური

Unknown Details of the 1795 Ambassadorial Mission of Georgia to Europe

The Italian translation of Erekle the Second’s letter maintained in the archive of Vienna which was published in 1979 by Professor Ilia Tabaghua, reveals a sensational secret. In this letter we found a unique delf unveiling the fact that after the Krtsanisi tragedy suffered in 1795 Erekle the Second addressed Europe. In the course of studies and analyses we came across several delfs in one document that had been considered to be one letter, namely, in the Italian translation of a letter by Erekle the Second; chronologically these delfs turned out to be significantly distant from one other. Further studies conducted on these delfs brought us to the conclusion that in 1795, after the Krtsanisi tragedy, Erekle the Second’s ambassadors arrived to Vienna and handed the letter to the Emperor of Austria. In the Italian translation of a document by Erekle the Second that had been considered by scientists to be one single letter and which is dated with 1782, the fragment saying that “in these days the king’s residence in the East was totally destroyed” caused the first suspicion. We want to especially underline the circumstance that there is no evidence of destruction of any city or a town what could be considered to be the eastern residence of the king, found in the 80-s of the XVIII century. Therefore, there is only one way left – we should accept it that Erekle the Second is speaking about the fact of Agha Mohammad Khan destroying Tbilisi in 1795 – the tragedy that took place 13 years later. It is another fact that in 1782 Erekle the Second had no means to write

about the events that would have taken place in 1795. And thus, we have come to the conclusion that the Italian translation of the letter by Erekle the Second prepared by the chancellery of the Emperor of Austria based upon the letter sent by Erekle, is not a single letter but a compilation of at least two letters written by him. We should give due significance to the fact that the mentioned Italian translation does not contain any specific personalized addressee but is addressed to the Emperor of Austria, not revealing to which of the Emperors it addresses namely. The translation does not contain any concrete date either. The article provides review of the purposes and goals that the ambassadorial mission of late fall of 1795 sent by the king Erekle to the Emperor of Austria as well as other delfs of the above mentioned letter that cause suspicion and that unambiguously confirm it that certain fragments of the letter are written in 1795 which on its part implies confirmation of the fact that in the late fall of the year 1795 there had place a diplomatic communication between the Austrian Empire and the Kingdom of Kartli and Kakheti. This latter fact abolishes the view that had been established in historiography up today that Erekle the Second unconventionally turned to Russia after Agha Mohammad Khan brought Tbilisi to earth in 1795.

Key words: Erekle the Second, Agha Mohammad Khan; the Empire of Austria, the Russian Empire; the Kingdom of Kartli and Kakheti; Vienna, Ilia Tabaghua

ავსტრიის სახელმწიფო არქივში (Österreichisches Staatsarchiv, Haus-Hof-und Staatsarchiv, 1010 Wien, I, Minoritenplatz I) დაცული ერეკლე II-ის წერილის იტალიური თარგმანი სენსაციურ საიდუმლოს ინახავს [ტაბაღუა 1979:105-107]. ჩვენ გავშიფრეთ და შევისწავლეთ ქართლ-კახეთის მეფის მიერ ავსტრიის იმპერატორისათვის გაგზავნილი წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ 1795 წლის კრწანისის ტრაგედიის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე დაუკავშირდა ევროპას.

ეს გახლავთ ისტორიოგრაფიაში დღემდე უცნობი ფაქტი, რომელიც ცალსახად წარმოაჩენს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ფუნდამენტალურად გადახედვის აუცილებლობას.

წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით სამეცნიერო სიახლეა ის, რომ სათანადო კვლევისა და ანალიზის შედეგად ადრე ერთ წერილად მიჩნეულ დოკუმენტში, კერძოდ, ავსტრიის იმპერატორისადმი განკუთვნილი ერეკლე II-ის წერილის იტალიურ თარგმანში, სხვადასხვა პლასტი შევნიშნეთ, რომელიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად დაცილებულია ქრონოლოგიური თვალსაზრისით. სწორედ ამ ცალკეული პლასტების შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კრწანისის ტრაგედიის შემდგომ ერეკლეს ელჩობა ვენაში ჩავიდა და იმპერატორს წერილი გადასცა [ნაცვალაძე 2020ა:79; ნაცვალაძე 2020ბ:7-8].

მანამდე იყო ორი ელჩობა - 1781 წელს პატრ დომენიკეს მიაქვს ერეკლეს გზავნილები ვენაში, ის დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევს, კონსტანტინოპოლში გაურკვეველ გარემოში კვდება, საქმის გადაუდებელი და სასწრაფო ხასიათიდან გამომდინარე ერეკლე ერთი წლის შემდეგ მეორე ელჩობას აგზავნის, 1782 წელს პატრ მაურო ვერონელს დაევალა ერეკლეს დანაბარები გადასცეს ზეპირად ავსტრიის იმპერატორს [თამარაშვილი 1902:402]. ეს ელჩობაც ჩაიშალა - პატრი მაურო პოლონეთში, ბერდიჩევში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, თუმცა, პირველი ელჩობისაგან განსხვავებით, ერეკლეს კორესპონდენციები დანიშნულების ადგილამდე აღწევს. [შველიძე 2014:33-38]

ქართლ-კახეთის მეფის აღნიშნული კორესპონდენციები და მასთან დაკავშირებული ვენის საიმპერატორო კარის კანცელარიის ჩანაწერები დაცულია ავსტრიის სახელმწიფო არქივის მასალებში, სხვადასხვა ტომში, რომელიც დახასრსხებულია ქვეყნების მიხედვით (რუსეთი, სარდინია, ვენეცია, საფრანგეთი, სპარსეთი), ასევე ვატიკანისა და ვენეციის არქივებში. მიკვლეულია საქართველოს თემასთან დაკავშირებული ორმოცამდე წერილი, რომლის უმრავლესობა იტალიური თარგმანითაა შემორჩენილი. მათი ქართული დედნები დაკარგულია. აღნიშნული დოკუმენტები მოიძია და გამოაქვეყნა ილია ტაბაღუამ. ერეკლეს მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები მეცნიერმა ქართულ და იტალიურ ენაზე დაბეჭდა. [ტაბაღუა 1979:77-185]

ევროპის არქივებში დაცული ერეკლეს წერილების შესწავლა და ანალიზი გვაძლევს საშუალებას დადასტურებულად მივიჩნიოთ 1795 წლის თბილისის აოხრების შემდეგ გაგზავნილი ელჩობა ავსტრიის იმპერატორთან [ნაცვალაძე 2020ა:79; ნაცვალაძე 2020ბ:7-8]. არსებულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ამ ეტაპზე უცნობი ელჩობის მხოლოდ ფრაგმენტული, თუმცა, კონცეფტუალური შტრიხები შეიძლება გამოვკვეთოთ, სრული ინფორმაციის მოძიება კი მომავლის საქმეა.

ავსტრიასთან ერეკლე II-ის ურთიერთობის საკითხს შეეხო მიხეილ თამარაშვილი [თამარაშვილი 1902], ილია ტაბაღუა [ტაბაღუა 1979], სარგის კაკაბაძე [კაკაბაძე 1997], იასე ცინცაძე [ცინცაძე 1960:111-120], აღნიშნული თემას იხილავენ დიმიტრი შველიძე [შველიძე 2014:33-38], გიორგი კალანდია [კალანდია 2017], მიხეილ სამსონაძე [სამსონაძე 1988:230], ვახტანგ ფერაძე [ფერაძე 2006:89-90]. რომის სხვადასხვა არქივში იმუშავეს ნინო დობორჯგინიძემ [დობორჯგინიძე 2013; დობორჯგინიძე 2019] და მაია დამენიამ [დამენია 2017].

საგულისხმოა, რომ მკვლევართაგან დღემდე არავინ შეხებია ჩვენს მიერ დასმულ პრობლემას. შესაბამისად, 1795 წლის ერეკლეს მიერ ავსტრიაში გაგზავნილი ელჩობა არის აქამდე ისტორიოგრაფიაში უცნობი ფაქტი და უმნიშვნელოვანესი სიახლე.

ერეკლეს მიერ გაგზავნილ კორესპონდენციებს სხვადასხვა ადრესატი ჰყავს - ავსტრიის იმპერატორი, პრუსიის, საფრანგეთისა და ვენეციის მეფეები. ეს წერილები ჩაიტანეს ვენაში მას შემდეგ, რაც ავსტრიაში მივლენილი პატრი მაურო ვერონელი პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში გარდაიცვალა.

ავსტრიის საიმპერატორო კარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ წერილების თარგმნას. კარგად ჩანს, რომ ვენას სიღრმისეულად აქვს გააზრებული საქართველოს, როგორც სტრატეგიული პარტნიორის როლი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლისას, რაც „ბერძნული პროექტის“ სახით ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორების ერთობლივი შეთანხმებით 80-იანი წლებიდან სისტემურ მოდელად ჩამოყალიბდა **[**Ragsdale 1988:95-105**].** აშკარაა ისიც, რომ ვენის საიმპერატორო კარი სწორედ ბერძნული პროექტის სრულფასოვანი ამოქმედებისათვის ესწრაფვის საქართველოსთან ურთიერთობას, სწორედ ამიტომ ის დიდი გულმოდგინებითა და სერიოზულობით ეკიდება ერეკლეს გაგზავნილი წერილების თარგმნის პროცესს, რომელმაც ერთ წელზე მეტ ხანს გასტანა.

არცთუ უმნიშვნელო დეტალია, რომ წერილების თარგმნასა და იმპერატორისათვის მათ წარდგენაზე ზრუნავს იმ პერიოდის მსოფლიო რანგის დიპლომატი ვენცელ კაუნიცი, რომლის სახელსაც უკავშირდება შვიდწლიანი ომის დროინდელი დიპლომატიური რევოლუცია - საუკუნეების განმავლობაში მტრად მოკიდებული ავსტრიისა და საფრანგეთის დაახლოება სწორედ კაუნიცის დიპლომატიური შემოქმედების შედეგია [Ивонин 2007:32-44; Монастырёва 2009:157-161].

საგულისხმო დეტალია ის, რომ ვენის, ვატიკანისა და ვენეციის არქივებში დაცულ საქართველოს თემასთან დაკავშირებულ წერილებში (დაახლოებით 40-მდე კორესპონდენცია), [ტაბაღუა 1979:105-107], ფაქტობრივად მეორდება ერთიდაიგივე თემატიკა. კერძოდ:

1. ერეკლეს წერილებში დასმული პრობლემების მიღმა არის ერეკლეს საიდუმლო და ამასთანავე სასწრაფო დანაბარები, რომელიც მაურო ვერონელმა ავსტრიის იმპერატორს, იოზეფ მეორეს აუდენციისას უნდა მოახსენოს. ანუ, ის რაც მაურო ვერონელმა პირადად უნდა უთხრას ავსტრიის იმპერატორს, წერილებში არაფერია ნათქვამი.

2. ავსტრიასთან მეგობრული ურთიერთობა ქართველ მეფეთა, ერეკლეს წინაპართა ტრადიციული სურვილია;

3. ერეკლე ავსტრიას სთხოვს დაეხმაროს ფულადი სახსრით, რომელიც 2 პოლკის დაქირავებასა და ამ ორი პოლკის ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნას მოხმარდება;

4. ქართველ მეფეებს ტრადიციულად კეთილგანწყობილი ურთიერთობები გააჩნიათ რუსეთთან, რომელიც მათ ყოველთვის ეხმარება, შესაბამისად, ავსტრია საქართველოს ურთიერთობა ერეკლეს თხოვნის შესრულებით ვერ შეიტანს დისონანსს რუსეთ საქართველოსა და რუსეთ ავსტრიის ურთიერთობაში.

საგულისხმოა, რომ ერეკლე II-ის მიერ ევროპაში გაგზავნილი წერილების თემატიკის მხოლოდ პირველ ორ პუნქტს იმეორებს ჩვენთვის საინტერესო წერილი, რომელიც ილია ტაბაღუას 22-ე ნომრით აქვს გამოქვეყნებული (ამ დოკუმენტს ქვემოთ 22-ე წერილის სახელით მოვიხსენიებთ). აქ არაფერია ნათქვამი არც რუსეთთან ურთიერთობაზე და არც ორი პოლკის დაფინანსებაზე.

გარდა ამისა, აქ არის სხვა ფაქტები და მოტივები, რასაც ვერ ვხვდებით დანარჩენ წერილებში, სწორედ ამიტომაც ტოვებს 22-ე წერილი ბევრ კითხვის ნიშანს.

ფაქტია, ეს წერილი თავისი მრავალწახნაგოვანი შინაარსითა და ემოციური განწყობებით აშკარად განსხვავდება ერეკლეს სხვა კორესპონდენციებისაგან, რომელიც უფრო აკადემიურ სტილშია შექმნილი დიპლომატიური ეტიკეტის სრული დაცვით, ხოლო 22-ე წერილში უფრო ემოცია ჭარბობს.

უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომ წინა წერილებისგან განსხვავებით, ამ წერილს პერსონიფიცირებული ადრესატი არ ჰყავს, აქ ზოგადადაა მითითებული - ავსტრიის იმპერატორი. არ არის დაკონკრეტებული ავსტრიის რომელ იმპერატორს ეკუთვნის ეს გზავნილი. საყურადღებოა ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო წერილს არც თარიღი აქვს. ვენის არქივში დაცულია ერეკლეს წერილის იტალიური თარგმანი, რაც შეეხება ქართულ დედანს, ჯერჯერობით არაა ნაპოვნი.

აღნიშნულ წერილში ვხვდებით სხვადასხვა შინაარსობრივ პლასტს, რომელიც ცალსახად აცდენილია იმ თარიღს, რითაც ეს წერილი შეიძლება დათარიღდეს. ეს გარემოება აშკარად მიგვანიშნებს, რომ ეს 22-ე წერილი არის არა ერთი წერილი, არამედ სხვადასხვა დროს ერეკლეს გაგზავნილი წერილებისაგან შედგენილი კომპილაცია, რომელიც საიმპერატორო კანცელარიის მიერ ავსტრიის იმპერატორისათვის იყო სპეციალურად მომზადებული იმისათვის, რომ სიღრმისეულად გარკვეულიყო საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემებში.

ერთი შეხედვით, წერილის დაწერის თარიღის განსაზღვრა თითქოს მარტივია თავად წერილში მითითებული ცნობილი ფაქტის შესაბამისად.

აი, რას სწერს ერეკლე: „თბილისში მცხოვრები პატრი დომენიკო მრავალი მსახურისა და თარჯიმნის თანხლებით გასულ წელს გამოვგზავნე თქვენი ბრწყინვალების საიმპერატორო უდიდებულესობის წინაშე“.[ტაბაღუა 1979:106-107]

დადასტურებული ფაქტია, რომ პატრი დომინიკო ერეკლემ ვენის საიმპერატორო კარზე გააგზავნა 1781 წელს, შესაბამისად ეს წერილი 1782 წელს უნდა იყოს დაწერილი და პატრ მაურო ვერონელს უნდა მიჰქონდეს ვენაში, თუმცა, მთელი რიგი შინაარსობლივი პლასტები მიგვანიშნებს, რომ ეს ერთი წერილი კი არა, სხვადასხვა დროს შედგენილი რამდენიმე წერილის კომპილაციაა, რამდენადაც აქ მოხმობილი ფაქტები 1782 წელსე გვიანდელ მოვლენებს ასახავს..

წერილი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მისი შექმნის აუცილებლობა რაღაც მნიშვნელოვანმა მოვლენამ განაპირობა, და ეს მოვლენა ხდება მას შემდეგ, რაც ერეკლეს პირველი წერილი უკვე დაწერილი აქვს.

სწორედ აქ ჩნდება პირველი ეჭვი - რა საჭირო იყო ერეკლე II-ს ერთი ელჩობისას ერთსა და იმავე ადრესატთან ერთდროულად გაეზავნა ორი წერილი, რომელიც ერთსადაიმავე ამბავს ავსტრიის იმპერატორს გააცნობდა სხვადასხვა ვარიანტით? თუკი რაიმე დაზუსტება იყო საჭირო, რატომ არ მოხდა ეს ერთი კორესპონდენციის ფორმატში? მითუმეტეს ამის გაკეთება საკმაოდ იოლი გახლდათ გამომდინარე იქიდან, რომ 1782 წელს თბილისიდან ევროპაში იგზავნება არა იტალიურად თარგმნილი, არამედ ქართული პუბლიკაციები.

ეჭვს იწვევს წერილის შემდეგი კონკრეტული პლასტები:

ა) საკმაოდ მარტივია დავათარიღოთ ავსტრიის იმპერატორისადმი გაგზავნილი კორესპონდენცია, თუმცა, გაურკვეველია, როგორ აღმოჩნდა წერილში ფაქტი, რომელიც მისი დაწერიდან 13 წლით გვიანდელ მოვლენას ეხება.

არსებული ტექსტის შემდეგი კონკრეტული ფრაგმენტი (ციტატა): „ამ დღეებში აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენცია მთლიანად დაანგრიეს“, ცალსახად მიანიშნებს, რომ საუბარია 1795 წლის ტრაგედიაზე, რაზეც ერეკლე ამ წერილის შედგენის დროს, კერძოდ 1782 წელს, ვერაფერს დაწერდა.

ბ) კითხვას ტოვებს წერილის საყვედურის ტონით დაწყება და ავსტრიის იმპერატორის დამუნათება. არ მიგვაჩნია სადავოდ ის ფაქტი, რომ არც საყვედურითა და არც დამუნათებით არანაირი ურთიერთობა, არც ადამიანური და მით უფრო დიპლომატიური, არ იწყება.

გ) ერეკლეს მიერ ავსტრიის იმპერატორის მოხსენიება „სულთნად“. დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ - გამორიცხულია ერეკლეს ავსტრიის იმპერატორისათვის სულთანი ეწოდებინა.

გარდა ამ უცნაური პლასტებისა, წერილში არის ორი უმნიშვნელოვანესი ფრაგმენტი, რომლის შესახებაც ერეკლეს მიერ ევროპაში გაგზავნილ დანარჩენ წერილებში არაფერია ნათქვამი. კერძოდ:

1. ავსტრიის იმპერიასთან „ფიცით განმტკიცებული“ სამოკავშირეო შეთანხმების მომზადება. ეს აბსოლუტურად ახალი სეგმენტია XVIII ს-ის 80-90-იანი წლების საქართველოს ისტორიაში. გასარკვევია, როდის უნდა შეეთავაზებინა ერეკლეს ავსტრიის იმპერატორისათვის „ფიცით განმტკიცებული“ ურთიერთობა - 1782 თუ 1795 წელს?

2. წერილში დაცულია უმნიშვნელოვანესი ცნობები ერეკლეს მიერ 1781 წელს გაგზავნილი პირველი ელჩობის შესახებ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს - ერეკლეს მხოლოდ ამ წერილშია მითითებული, რომ 1781 წელს ევროპაში გაგზავნილი დომინიკე მარტო კი არ წასულა, არამედ თან ახლდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამალა (ციტატა): „თბილისში მცხოვრები პატრი დომინიკო მრავალი მსახურისა და თარჯიმნის თანხლებით გასულ წელს გამოვგზავნე თქვენი ბრწყინვალების საიმპერიო უდიდებულესობის წინაშე...“ [ტაბაღუა 1979:106-107]

ქვემოთ განვიხილავთ წერილში არსებულ თითოეულ შეუსაბამო პლასტს ცალკ-ცალკე.

ის, რომ ილია ტაბაღუას მიერ 22-ე ნომრად გამოქვეყნებული ერეკლეს კორესპონდენცია ავსტრიის იმპერატორისადმი არ გახლავთ ერთიანი წერილი, საკმაოდ ნათლად მიანიშნებს შემდეგი ფრაგმენტი (ციტატა): „ამ დღეებში აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენცია მთლიანად დაანგრიეს და ჩვენზე წამოვიდა ყველა დიდი და ძლიერი, ველური მტერი. საჭირო საომარი იარაღი ნაკლებად გვაქვს. ხელჩართული ბრძოლა კი ნაკლებად გვშველის.“ [ტაბაღუა 1979:107]

საგანგებოდ განვმარტავთ, რომ „აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენციის მთლიანად დანგრევის“ ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ მრავალმხრივი დატვირთვიდან გამომდინარე, აუცილებლად აისახებოდა ერეკლე მეფის ყველა წერილში. ამგვარი გამეორება დამახასიათებელია ერეკლეს კორესპონდენციებისთვის - ერთი და იგივე პრობლემა შინაარსობლივად სხვადასხვა წერილებში მეორდება სხვადასხვა ფორმით.

არადა, გაკვირვებას იწვევს ის, რომ მხოლოდ ეს 22-ე წერილი არის ერეკლეს წერილებიდან ერთადერთი, სადაც ამ ფაქტზეა საუბარი. უმნიშვნელოვანესი საქმეა გავარკვიოთ კონკრეტულად რომელი ქალაქის მთლიანად დანგრევაზე საუბრობს ერეკლე.

საკითხავია, ხომ არ გულისხმობს ერეკლე კონსტანტინოპოლს, რომელიც 1453 წლის 29 მაისს დაეცა? აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენციის მასშტაბური ნგრევა შინაარსობლივად ყველაზე ახლოს ამ მოვლენასთანაა, თუმცა, ის რომ ერეკლე ცალსახად უთითებს ამ ტრაგედიაზე, როგორც „ამ დღეებში მომხდარ“ ფაქტზე, კონსტანტინოპოლის ვერსია კატეგორიულად უნდა გამოვრიცხოთ.

ქართველთათვის კონსტანტინოპოლის მასშტაბებთან მიახლოვებული ტრაგედია, რომელზეც საუბარია ამ წერილში, ცალსახად უნდა დავათარიღოთ XVIII ს-ის 80-იან წლებით.

ის, რაც შეიძლება მივიჩნიოთ აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენციად, ამ რანგის ქალაქის დანგრევის ფაქტი XVIII ს-ის 80-იან წლებში არ დასტურდება. ამ პერიოდში წყაროები იხსენიებენ მხოლოდ ერევნის მასშტაბურ დანგრევის ფაქტს, რომელიც ერეკლეს ინიციატივით განხორციელდა.

აი რას სწერს ამ მოვლენის შესახებ ერეკლე II-ის მემატიანე ომან ხერხეულიძე (ციტატა): „ხოლო წელსა 1780 ქორონიკონს 467, ერევნის ხანი ასან ალი-ხან უკუდგა და არღარა მოსცა ხარკი... და ბრძანა მყისვე მეფემან ირაკლი მოწვევად ლაშქრისა ქართლ-კახეთისა და ლეკნიცა მოიწვია ჯარად რაოდენიმე ათასი და წარვიდა ამასვე წელსა აგვისტოს, მივიდა და დასდგა შირაბათის სოფელში, რომელი შორავს ერევანს ვიდრე ორს აღაჯადმდე და იწყო ჯარმან რბევად ერევნისა და აღარსად დარჩა შენობა, თვინიერ ერევნისა და ეჩმიაწინისა.“ [ხერხეულიძე 1989:69-70]

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - რამდენად შეიძლება სრულად დანგრეული ერევანი იყოს მოაზრებული როგორც „აღმოსავლეთის სამეფო“ რეზიდენცია? ეს ვარიანტი კატეგორიულად უნდა გამოვრიცხოთ, რამდენადაც ჯერ ერთი, ერევანი „აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენცია“ არ ყოფილა, მეორეც, ამ ქალაქის ასეთი მასშტაბური დასჯა განხორციელდა თავად ერეკლეს ინიციატივით, შესაბამისად, ამ ქალაქის დანგრევას ქართლ-კახეთის მეფე ვერავის უსაყვედურებდა, გამორიცხულია ამ ფაქტზე ავსტრიის იმპერატორისათვის გაგზავნილ წერილში რაიმე ეთქვა, მითუმეტეს განსაკუთრებული აქცენტი გაეკეთებინა.

შესაძლოა დავუშვათ ის ვერსიაც, რომ ერეკლე ცდილობს მძაფრი ტრაგიკული სურათი შექმნას ევროპისათვის, რათა უფრო მეტი არგუმენტაცია და მოტივაცია გაუჩინოს მოკავშირეობის იდეის რეალიზაციისათვის. საგულისხმოა, რომ ასეთ ტაქტიკას ზოგჯერ მიმართავდნენ ხოლმე ქართველო მეფეები, განსაკუთრებით თეიმურაზ პირველი, თუმცა, ეს ვარიანტი და ასეთი მანიპულირება ასევე უნდა გამოვრიცხოთ ერეკლეს მხრიდან, რამდენადაც მისი აზროვნების სტილი და უცხო ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებები დაფუძვნებულია უაღრესად მოზომილ ურთიერთობებსა და რეალურ არგუმენტებს.

გარდა ამისა, იმდენად დიდია საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და შესაბამისად მისდამი ინტერესი, რომ ევროპის სახელმწიფოების მხრიდან ამის არ დანახვა და ერეკლესა და ქართული სამეფო სამთავროების კეთილგანწყობის არ გამოყენება, ცალსახად რეალურ წარმატებულ პროექტზე უარის თქმას ნიშნავს.

არის კიდევ ერთი ფაქტორი - ერეკლეს დროინდელ საქართველოში კათოლიკე მისიონერების ძალიან დიდი ნაკადია, ეს ის საინფორმაციო აგენტურაა, რომელიც რეალურ ცნობებს გადასცემს ევროპას. ასეთი გამართული საინფორმაციო ინფრასტრუქტურისას ბუნებრივია ერეკლე არ წავიდოდა მსგავს ავანტიურაზე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას ეს არაფერში სჭირდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, კატეგორიულად გამოვრიცხოთ ის, რომ ერეკლე „აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენციის“ მთლიანად დანგრევაში ერევნის ამბებს გულისხმობდეს ან არარსებულ მოვლენის გაბუქებას ცდილობდეს.

ამ დასკვნით აბსოლუტურად თავდაყირა დგება ყველაფერი - ბუნებრივია, 1782 წელს დაწერილ წერილში ერეკლე ვერ დაწერდა 13 წლის შემდგომ მოვლენებზე, ამიტომაც ცალსახად უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ამ იტალიურ ტექსტში ეს ფრაგმენტი ერეკლეს 1782 წლის წერილიდან ვერ იქნება, ის გვიანდელი წერილის ფრაგმენტია და უნდა იგულისხმებოდეს 1795 წლის აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების ფაქტი.

ისიც ცხადია, რომ ერეკლესათვის „აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენციის დანგრევა“, 1795 წლის მოვლენები, საკმაოდ მტკივნეული გახლდათ, სწორედ ამ ფსიქოლოგიურ დათრგუნულ განწყობებში უნდა ვეძიოთ ის სათავეები, რაც ერეკლეს მიერ გაგზავნილ ამ წერილში, სხვა წერილებისაგან განსხვავებით, გადაჭარბებული ემოციური ფონით აღინუსხა.

იმისათვის, რომ ამ წერილის ლოგიკა ვიპოვოთ, რჩება ერთადერთი გამოსავალი - უნდა ვაღიაროთ, რომ წერილის ეს ფრაგმენტი არ არის დაწერილი 1782 წელს, ის მოგვიანებით 13 წლის შემდგომ დაიწერა, მაშინ როცა ნამდვილად მთლიანად დაინგრა აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენცია, თბილისი. მთლიანობაში ეს განსხვავებული პლასტი ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს არა ერთ წერილთან, არამედ სხვადასხვა დროს დაწერილ რამდენიმე, სულ მცირე სამი წერილის კომპილაციასთან, რომელსაც ავსტრიის საიმპერატორო კარის კანცელარია ქმნის იმპერატორისათვის.

ამ კომპილაციური წერილის არსებობა, რომელიც იტევს 1795 წლის ფრაგმენტს, ცალსახა დასტურია, რომ ერეკლეს ელჩობა მესამედაც უნდა გაეგზავნა ავსტრიის საიმპერატორო კარზე.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - რა მიზანს ისახავდა კომპილაციური დოკუმენტის შექმნა? უნდა განვმარტოთ, რომ ავსტრიას 1795 წელს მართავს სულ სხვა იმპერატორი - ფრანც II, იოზეფ მ II-ის ძმიშვილი, რომელიც ბუნებრივია, ნაკლებად იცნობს საკითხის წინა ისტორიას, იმისათვის რომ ავსტრიის ახალი იმპერატორი კარგად გაერკვეს მოვლენებში, სწორედ ამ მიზნით არსებული ბიუროკრატიული პრაქტიკის თანახმად, საიმპერატორო კანცელარია უმზადებს ერთგვარ კომპილაციურ მასალას, რომელიც შეიცავს როგორც საქართველო ავსტრიის წინა ურთიერთობების, ისე 1795 წლის მოვლენების აღწერას.

შესაბამიისად, ის 22-ე წერილი, რომელიც ილია ტაბაღუამ მოიპოვა და გამოაქვეყნა, არის ფაქტობრივად სხვადასხვა წერილების კომპილაცია. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ წერილს არ აწერია ავსტრიის იმპერატორის კონკრეტული ვინაობა და არც თარიღი.

წერილის, როგორც სხვადასხვა კორესპონდენციისაგან შედგენილი კომპილაციური დოკუმენტის არსებობას, ვფიქრობთ ადასტურებს კიდევ ერთი საინტერესო პლასტი - წერილის ერთ ადგილას ავსტრიის იმპერატორს ერეკლე სულთანად მოიხსენიებს. ეს ცალსახად გადაწერისას დაშვებული უზუსტობაა,

რამდენადაც ელჩობის მნიშვნელობიდან და ამ მოვლენისადმი ერეკლეს ზომაზე მეტად განსაკუთრებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, მსგავსი უზუსტობის დაშვებას კატეგორიულად გამოვრიცხავთ.

ერეკლე ავსტრიის იმპერატორს მიმართავს: „ჩემო მოწყალეო და შორსმჭვრეტელო სულთანო“. იტალიურ დედანშიც ანალოგიური ტექსტია - „Mio Clementissimo, osservandissimo Soldano“ [ტაბაღუა 1979:139] კატეგორიულად გამოვრიცხავთ ერთმა ქრიატიანმა ხელისუფალმა მეორე ქრისტიან ხელისუფალს სულთანი უწოდოს. ეს ცდომილება ვფიქრობ კომპილატორის მიერ დაშვებული უზუსტობაა, რომელიც იმ დანიშნულებას ვერაფერს აკლებს, რისთვისაც ეს წერილთა ნაკრები შეიქმნა, თუმცა, ცალსახად შემოგვინახა სხვა, იმ უცნობი წერილის პლასტები, რომელის ადრესატიც ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობი მაჰმადიანი მმართველი უნდა იყოს.

კომპილაციის კიდევ ერთი კვალი იკვეთება წერილის დასაწყისიდან, სადაც საკმაოდ უცნაურ შინაარსობლივ და ემოციურ პლასტს ვხვდებით (ციტატა): „ჩვენს შორის შეთანხმების საკითხში თქვენი მსახურისათვის ნიშანდობლივია გულწრფელობის გამოჩენა, რადგან უდიდებულესობის საიმპერიო სამსახურისთვის ვერავითარი მომსახურეობა თქვენი მსახურის მხრიდან თავის შედეგს ვერ მიაღწევს, ასევე საწინააღმდეგო საბაბით შორეული თავდაცვით ერთგულებასაც ვერ გამოამჟღავნებს... ისე ნურასოდეს იქნება, რომ დროის გასვლასთან ერთად ჩვენი სამეგობრო განწყობა და სწრაფვა მძიმე უსიამოვნებად იქცეს, რაც ხელს შეუშლის ჩვენს წარგზავნილს, რომელიც შიკრიკის მოვალეობას ასრულებს“ [ტაბაღუა 1979:105-106]

უცნაურია ის, რომ წერილის დასაწყისში აშკარაა ერეკლეს საყვედურის ტონი იმპერატორისადმი. ერეკლე ცალსახად ხაზს უსვამს ერთგულების ფაქტორს. აშკარაა, რომ რაღაც ხდება ავსტრიის სამეფო კარის, ანდა მისიონერთა მხრიდან, ან სხვა ფაქტი, რაც ამ თემის წინ წამოწევის აუცილებლობას განაპირობებს.

სწორედ ამ პლასტის ფსიქოლოგიური ქვეტექსტი გახლავთ იმის დასტური, რომ ეს ვერ იქნება ერეკლეს მიერ გაგზავნილი პირველი წერილი ავსტრიის იმპერატორისადმი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორ სახელმწიფოს, თუნდაც ორ ხელისუფალს შორის ურთიერთობა, წარმოუდგენელია საყვედურითა და დამუნათებით დაიწყოს. ამ ლოგიკას უბრალო ადამიანური ურთიერთობებიც კი გამორიცხავს, მით უფრო დიპლომატიურ სარბიელზე ურთიერთობას საყვედურით და დამუნათებით არავის იწყებს.

ერეკლე II გამორჩეულად კორექტული პოლიტიკოსია, სწორედ ამიტომაც მისი მოზომილი და მაქსიმალურად ემოციისგან დაცლილი დიპლომატიური ურთიერთობების ფონზე, რაც ერის ინტერესებითაა ნაკარნახები, საკმაოდ შესამჩნევია და თან უცნაური, არათუ ემოციური მუხტი, არამედ ცალსახა საყვედური, რომელსაც ავსტრიის იმპერატორისადმი წერილში ვხვდებით.

ამ უცნაურ ქვეტექსტს, ბუნებრივია, თავისი წინაპირობები უნდა ჰქონდეს. საინტერესოა, რა მოხდა, ან რა გახდა ერეკლესათვის ცნობილი, რამაც მისი აშკარა გულისწყრომა გამოიწვია და ვერ დამალა წერილში თავისი ემოციები?

თუკი მივიღებთ იმ მოცემულობას უტყუარად, რომ წერილი 1782 წელსაა დაწერილი და თანაც ის კომპილაცია კი არა, ერთი წერილია, კითხვა უპასუხოდ დარჩება, რამდენადაც ამ დროს ცხადია, რომ მაურო ვერონელი ჯერ არ დაძრულა ვენისკენ და ბუნებრივია, რაიმე სიახლე, მითუმეტეს ავსტრიისა და ქართლ კახეთის მეფის ურთიერთობას, უფრო კონკრეტულად, გარკვეული პრინციპების ერთგულებას რომ ეხებოდეს, არაფერი იქნება ცნობილი. ეს ურთიერთობა არაა შემდგარი ფაქტი და ბუნებრივია, მისი გაზომვა-აწონვა რაიმე კომპონენტით იმ ეტაპისთვის შეუძლებელია.

არადა, ფაქტია, რომ ნებისმიერი ადამიანისათვის წარმოუდგენელია ურთიერთობის დაწყება ამგვარი, საყვედურის ტონით. ეს კიდევ ერთი დასტურია, რომ აღნიშნული ფრაგმენტი 1782 წლის წერილის მონაკვეთი არაა და ის 1795 წლის მოვლენების ამსახველი წერილის ნაწილია, რომელიც მოგვიანებით, მესამე ელჩობის დროინდელი წერილიდან უნდა შეეტანა კომპილატორს იმპერატორისათვის მომზადებულ დოკუმენტში.

ერეკლეს წერილების, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების, რუსეთთან ურთიერთობის კომპლექსურად შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ 1782 და 1795 წელს შორის კიდევ ერთი ელჩობა გააგზავნა ერეკლემ ავსტრიის საიმპერატორო კარზე, სადაც კონკრეტულად „ბერძნულ პროექტთან“ ერთად უნდა განხილულიყო ერეკლეს „სპარსული პროექტი“. ამასთან, არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ეს

ემოციური წერილი შედეგია იმ უარყოფითი განწყობებისა, რაც ერეკლეს, სანქტ-პეტერბურგის ანქტიქართული მრავალჯერადი პერფორმანსებიდან გამომდინარე პირადად გააჩნია რუსეთის მიმართ. მხედველობაში გვაქვს კონკრეტული ფაქტები: ტოტლებენის მეშვეობით ერეკლე მეორის ლიკვიდაციის, შემდეგ კი კაპიტან ლვოვის მიერ ერეკლეს ქართლ-კახეთის ტახტიდან გადაყენების მცდელობა [დე გრაი დე ფუა 1985:35-59], რუსეთის საიმპერატორო კარის შეურაცმყოფელი დამოკიდებულება თითქოსდა მოკავშირის, ქართლ-კახეთის ოფიციალური ელჩობის მიმართ [ბულეიშვილი 1987:60-63], რასაც მოჰყვება მსგავსი პოლიტიკური ავანტურათა კასკადი - ჯერ უფლისწული ლევანის, [ტუხაშვილი 1983; ჯამბაკურ-ორბელიანი 1914:14-18; ბერძენიშვილი 1973:255-262] შემდეგ ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი ელჩების მკვლელობები, [ტაბაღუა 1979:79-126; კალანდია 2017:11-14; ფერაძე 2006:84-89] ქართლ-კახეთის სამეფო კარზე სხვადასხვა ავანტიურისტთა აღზევება, [Shvelidze 2012:108-112; გელაშვილი 2002:130-138; გურული 2015:33-35] მომავალი მეფის, გიორგის მოწამვლა, [ნაცვალაძე 01.05.2017:15] გეორგიევსკის ტრაქტატის ჯერ დადება, [გურული 2013ა:23-33; პაიჭაძე 1983:62-65; მაჭარაძე 2013:109-120; პაპაშვილი 2003:307-310] შემდეგ კი მისი დარღვევა [გურული 2013 ბ:18-20; ლობჟანიძე 1989:235-237]... ამ ინტრიგათა კასკადის გვირგვინია 1795 წლის თბილისის აოხრება აღა მაჰმად ხანის მიერ. [მეტრეველი 2018:90-92; პოტტო 1891:1-2; მუსხელიშვილი 2012:379-382; ცინცაძე 1969:170-175], შესაბამისად, ერეკლეს არ სურს ავსტრიასთან ურთიერთობა ანალოგიურად განვითარდეს.

ეს გულგატეხილი ადამიანის განწყობებია, რომელსაც იმედები გაუცრუვდა და ერთგულების დეფიციტის წინაშე რეალურად დადგა. ეს წერილი საკმაოდ კარგი მაგალითია იმისა, რა მორალური და ფსიქოლოგიური დაძაბულობის ფასად უხდება ერეკლეს რუსული, ტრადიციადქცეული ანტიქართული პოლიტიკის ატანა, რომლის კულუარებსაც საკმაოდ კარგად, დეტალურად იცნობს და აანალიზებს.

არ არის გასაკვირი, ეს ფსიქოლოგიური პესიმისტური განწყობები მას შემდეგ გამძაფრდა, რაც გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები რუსეთმა არ შეასრულა. მაგრამ აქ კიდევ ერთი კითხვა ჩნდება - რა შუაშია ავსტრიის იმპერატორი, თუკი რუსეთი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს? ეს რამდენად იძლევა იმის საფუძველს, რომ ერეკლემ რუსეთის მაგივრად ვენის საიმპერატორო კარს უსაყვედუროს?

ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, რუსეთის მხრიდან ქართული ინტერესების სისტემური იგნორირების ფონზე ყოფილიყო რაიმე ურთიერთობა ვენასა და თბილისს შორის. ისიც აშკარაა, რომ სამი სახელმწიფოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ვენას შეეძლო გარკვეული გავლენა მოეხდინა სანქტ-პეტერბურგზე საქართველოს სასარგებლოდ. ამ საყვედურით ერეკლე ავსტრიის სამეფო კარს შესაძლოა უფრო აქტიური ქმედებისაკენ მოუწოდებს, მითუმეტეს აშკარაა, რომ სამივე სახელმწიფოს მიზნები და მისწრაფებები ოსმალეთის იმპერიასთან მიმართებაში ცალსახად თანხვედრაშია, ყოველ შემთხვევაში ოფიციალური ვერსიიდან გამომდინარე [Arneth 1869:211-220; Гриффитс 2013:357-365].

ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტის ზემოაღნიშნული ფრაგმენტის განხილვა და მოტანილი არგუმენტები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ავსტრიის იმპერატორისადმი გაგზავნილი წერილი კომპილაციაა, ის 1795 წლის მოვლენების ფსიქოლოგიურ განწყობებს ასახავს და შესაბამისად 1782 წელს ვერ დაიწერებოდა.

22-ე წერილში არის კიდევ ერთი პლასტი, რომელიც ადასტურებს წერილის კომპილაციურ ფორმატს. ერეკლეს საკმაოდ ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ ავსტრიის იმპერიასთან ურთიერთობა უნდა იყოს არა ერთჯერადი, არამედ „ფიცით განმტკიცებული“. აშკარაა, რომ ერეკლე უპირატესობას ანიჭებს „ფიცით განმტკიცებულ“ სამოკავშირეო შეთანხმების მომზადებას, რაც შემდგომი ურთიერთობის საფუძველი იქნება. ისიც აშკარაა, რომ სამოკავშირეო შეთანხმების კონკრეტული წინადადებები ზეპირად უნდა გააცნოს ავსტრიის იმპერატორს ერეკლეს მიერ გაგზავნილმა ელჩმა პატრმა მაურო ვერონელმა. აი, რას წერს ქართლ-კახეთის მეფე: „ამ კარში ორი მოტივი გვაქვს წარმოყენებული: პირველი ქრიატიანობის თხოვნა; მეორე, თუკი შესაფერისად მიიჩნევთ, საჭიროა ფიცის დადება, რათა გამბედაობა გვეყოს თქვენს უმაღლესი კარის რეზიდენციაში მარად თავაზიანი წარდგომისა.“ [ტაბაღუა 1979:105-106]

თუმცა, არის კიდევ ერთი ნიუანსი - რამდენადაც 22-ე წერილი არის სხვადასხვა დროს დაწერილი ერეკლეს წერილების კომპილაცია, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ „ფიცით განმტკიცებული“ სამოკავშირეო ურთიერთობის გაფორმება ერეკლეს უფრო მოგვიანებითაც შეეთავაზებინა ავსტრიისათვის. ამ გადაწყვეტილების რეალური საფუძველი არსებობდა როგორც 1781-82 წლებში, ისე მოგვიანებით 1795 წელს. ვფიქრობთ, სწორედ ამ მიზნით მომზადდა ერეკლეს მესამე ელჩობა ვენის საიმპერატორო კარზე.

ფაქტია, რომ თავის მხრივ ავსტრიისათვისაც, რომელიც ცდილობს მის ხელთ არსებული „საღვთო რომის იმპერიის“ კოზირი აამოქმედოს, საქართველოსთან სამოკავშირეო ურთიერთობის თემა აქტუალური რჩება. ეს ორმხრივი ინტერესი აშკარაა, მიუხედავად ერეკლეს მიერ რუსეთთან დადებული გეორგიევსკის ტრაქტატისა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ვენის საიმპერატორო კარს ხელთ აქვს გერმანულ ენაზე თარგმნილი გეორგიევსკის ტრაქტატი [ტაბაღუა 1979:158-171]. შესაბამისად, შემდგომი პერიოდისას, ცხადია, რომ ავსტრიისა და საქართველოს პოლიტიკური ინტერესების ვექტორი, მათი იდენტური მიმართულებიდან გამომდინარე, კვლავ უნდა გადაკვეთილიყო, განსაკუთრებით 1795 წლის ტრაგედიის შემდგომ.

არცთუ უმნიშვნელო დეტალია - ერეკლე წერილში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ავსტრიასთან ურთიერთობას მისი წინაპარნი, ქართველი მეფეებიც ესწრაფოდნენ, შესაბამისად ვენის საიმპერატორო კართან ურთიერთობის მისი სურვილი წინაპართა სურვილის აღსრულებაა.

„წარსულში ჩვენი მამაპაპანი გულით მოსურვენი და მოწადინებულნი იყვნენ, მათ ყოვლად განათლებული და მოწყალე ჩემი პატრონის ბრწყინვალე კარამდე შეეძლოთ მიეღწიათ სანუკვარი თხოვნით და სურვილიც აღესრულებინათ, მაგრამ ყოვლად ძლიერი მაჰმადიანური სექტის გამო ამ მიზანთან დაკავშირებული ვერც დრო და ვერც შემთხვევა ვერ გამონახეს. ახლა კი დახმარებითა და ხელშეწყობით ჩვენ შევიგნეთ საკუთარი ძალა და ნება, რათა გამოვხატოთ სურვილი და თხოვნა მამა-პაპათა...“ [ტაბაღუა 1979:106]

ამრიგად, დოკუმენტურ პირველწყაროებზე დაყრდნობით, ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, ერეკლე მეორის მიერ ავსტრიის იმპერატორისათვის გაგზავნილი წერილი იტალიური თარგმანი ცალსახად ადასტურებს, რომ

1. ერეკლე მეორე ავსტრიის იმპერატორთან აგზავნის ელჩობას 1795 წლის აღა მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ;

2. წინა ელჩობის დაფარული მიზნებისაგან განსხვავებით, ამ ელჩობის მიზანი აბსოლუტურად ღია და ცალსახაა - ფიცის დადება და ხანგრძლივი, საქმიანი ურთიერთობა ავსტრიისა და საღვთო რომის იმპერიასთან;

3. 1795 წლის ელჩობის ფაქტი კატეგორიულად უარყოფს მოსაზრებას, რომლითაც თითქოს ერეკლე მეორეს აკვიატებული ჰქონდა იდეა, რომ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთზე გადიოდა.

4. მას შემდეგ რაც რუსეთმა დაარღვია ტრაქტატის პირობები და არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, ერეკლე ცდილობს მისი სამეფო დამოუკიდებლად გახდეს ევროპული პოლიტიკის ორგანული ნაწილი.

5. ერეკლე ცდილობს XVIII ს-ის 70-80-იან წლებში აქტუალური „ბერძნული პროექტის“ ფარგლებში განამტკიცოს ურთიერთობა ავსტიასთან, რომლის პოლიტიკურ ინტერესებთან საქართველოს ყველაზე მეტი თანხვედრა აქვს.

6. წერილში იკვეთება ქრისტიანული გლობალიზაციის მოდელის, როგორც მაჰმადიანური გარემოცვისგან უსაფრთხოების პრევენციის აქტუალობა, რაც ერეკლეს ვერსიით შესაძლებელია ბერძნული და სპარსული პროექტების ერთობლივი განხორციელებით. სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ავსტრიის იმპერიასთან ფიცის, ხელშეკრულების დადება.

7. ავსტრიის საიმპერატორო კარი განსაკუთრებულად დაინტერესებულია ამ ურთიერთობით, შესაბამისად ერეკლეს წინადადებები განიხილება საიმპერატორო კარის კანცელარიის მიერ მომზადებული კომპილაციური მასალით

8. ავსტრიის იმპერატორი, რომელიც ამავდროულად საღვთო რომის იმპერატორიცაა, ცდილობს ფაქტობრივად უფუნცქიო რელიგიური პოლიტიკური სეგმენტის „საღვთო რომის იმპერიის“ რეზერვების გამოყენებას, შესაბამისად მისთვისაც აქტუალურია ერეკლეს წინადადება.

9. აშკარად იკვეთება კიდევ ერთი სიახლე ისტორიოგრაფიაში - ერეკლეს, გარდა 1795 წლის დღემდე უცნობი ელჩობისა, აღა მაჰმად ხანის შემოსევამდე, უახლოეს პერიოდში, 1782 წლის შემდგომ კიდევ ერთი, სულ სხვა ელჩობა უნდა გაეგზავნა ავსტრიაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ბერძენიშვილი 1973 - ბერძენიშვილი, ნ. ლევან ბატონიშვილის გარდაცვალება. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. 6. თბილისი, 1973. გვ. 452-474

ბულეიშვილი 1987 - ბულეიშვილი, მ. ქართლ-კახეთის 1772-1774 წწ. ელჩობა რუსეთში ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის მეთაურობით. რელიგიის ისტორისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში. საქ. სსრ მეცნ. აკადემია; აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმი. თბ., 1987. გვ.50-74

გელაშვილი 2002 - მოგზაურობა საქართველოში იაკობ რაინეგსი; გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი 2002; 333 გვ

გურული 2015 - გურული ვ. გენერალ გოტლობ ტოტლებენის ავანტიურა საქართველოში. ჩემი სამყარო, საქართველოს სტრატეგიათა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი, 2015. ოქტომბერი. გვ. 32-39.

გურული 2013ა - გურული ვ. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.) თბილისი : უნივერსალი, 2013. 56 გვ

გურული 2013ბ - გურული ვ. გეორგიევსკის ტრაქტატი: იმპერიის "მფარველობის" ქვეშ: რუსეთის იმპერია ხელშეკრულების პირობების შესრულებას თავიდანვე არ აპირებდა ისტორიანი: ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. თბილისი, 2013. ივლისი, N7(31), გვ.17-22,

დამენია 2017 - დამენია მ. რომის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის პირველი ტომის აღწერილობა. კადმოსი 9, 2017 195-211

დე გრაი დე ფუა 1985 - დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, მეცნიერება თბილისი 1985, 109 გვ

დობორჯგინიძე 2013 - დობორჯგინიძე, ნინო. 2013. საისტორიო მეხსიერების რეკონსტრუქციისათვის (XVIII საუკუნის საქართველოს უცნობი გეგმები და მოკავშირეები). ზურაბ კიკნაძე. საიუბილეო კრებული, ილაის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2013, გვ. 234-257

დობორჯგინიძე 2019 - დობორჯგინიძე ნ. ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია. ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში, თბილისი, ილიას სახელმწ. უნივერსიტეტი, 2019. გვ 166-218

თამარაშვილი 1902 - თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი, ავტორის მიერ გამოცემული, 1902 844 გვ.

კაკაბაძე 1997 - კაკაბაძე ს. ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921. თბილისი, ნეკერი, 1997. 276 გვ

კალანდია 2017 - მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში = Prince Heraclius in the British and Irish press, ცნობები შეაგროვა, შესავალი და კომენტარები დაურთო გიორგი კალანდიამ ; თბილისი, 2017, 332 გვ

ლობჟანიძე 1989 - ლობჟანიძე, გ. ეტიუდი რუსეთ-საქართველოს სამართლებრივი ურთიერთობის ისტორიიდან: გეორგიევსკის ტრაქტატის სამართლებრივი სტატუსი და საქართველოს არასუვერენულ სახელმწიფოდ ქცევა, ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა რუსეთის მიერ. განთიადი. ქუთაისი, 1989. N6, გვ.232-237

მაჭარაძე 2013 - მაჭარაძე, ვ. გეორგიევსკის ტრაქტატი სამი საუნჯე : სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი. თბილისი, 2013. მარტი, N1(7), გვ.100-137

მეტრეველი 2018 - მეტრეველი, რ. აღა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი მეფე ერეკლეს მეორესადმი, მაცნე = Известия = Proceedings / საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბილისი, 2018. N 2. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. გვ. 88-97.

მუსხელიშვილი 2012 - მუსხელიშვილი, დ. აღა მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე. საქართველოს ისტორია: უძველესი დროიდან 2009 წლამდე. დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი; რედ. დ. მუსხელიშვილი. თბ., 2012. გვ.375-385

ნაცვალაძე 2020ა - ნაცვალაძე მ. 1795 წელს საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი დღემდე უცნობი ელჩობის დეტალები. 15th International Silk Road Virtual Conference. Book of Abstracts, October 09-10, 2020, Tbilisi, Georgia. 103 p

ნაცვალაძე 2020ბ - ნაცვალაძე მ. ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკის უცნობი სენსაციური ეპიზოდები. „რეზონანსი“ 31.08.2020, გვ 7-8

ნაცვალაძე 01.05.2017 - ნაცვალაძე მ. მოწამლეს თუ არა რუსეთის საიმპერატორო კარის ბრძანებით გიორგი მეთორმეტე, "რეზონანსი" 1 მაისი 2017 წ. გვ 15

პაიჭაძე 1983 - გეორგიევსკის ტრაქტატი: 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაც. მოამზადა, შესავ. და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ; თბ. : მეცნიერება, 1983, 150 გვ

პაპაშვილი 2003 - პაპაშვილი მ. გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველო არის ესე, შემდგენელ-რედაქტორი აკაკი ბრეგაძე. თბილისი, 2003. გვ. 305-313

პოტტო 1891 - პოტტო ვ.ა. საქართველო და მისი ისტორიული წარსული : (რუსების შემოსვლა ტფილისში 1783 წ.-აღა მაჰმად [ანი). თარგმანი პ. კარბელაშვილისა [პ. ცხვილოელის]. ივერია 1891.-26 ივნ., N133, გვ.1-2

სამსონაძე 1988 - სამსონაძე მ. საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში. თბილისი, საბჭ. საქართველო, 1988 , 318 გვ

ტაბაღუა 1979 - ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი 1979 183 გვ

ტუხაშვილი 1983 - ტუხაშვილი ლ. ლევან ბაგრატიონი : [ერეკლე მეორის ვაჟის ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა] დროშა. 1983. N9, გვ.8

ფერაძე 2006 - ფერაძე ვ. ერეკლე II-ის ავსტრიასთან ურთიერთობის ისტორიიდან, საისტორიო ვერტიკალები. თბილისი, 2006. 1512-0504 N1(10), გვ.82-91

შველიძე 2014 - საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ, თბილისი, მერიდიანი, 2014. 154 გვ·

ცინცაძე 1960 - ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი: მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ. საბჭ. საქართველო, 1960 304 გვ

ცინცაძე 1969 - ცინცაძე, ი. აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი). თბ.: საბჭ. საქართველო, 1969. 277გვ.

ხერხეულიძე ო. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი, მეცნიერება, 1989. 128 გვ

ჯამბაკურ-ორბელიანი 1914 - ჯამბაკურ-ორბელიანი, ა. დაღისტნიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, ალ. ვახტ-ძე ჯამბ. ორბელიანისა. გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ ტფილისი, 1914, 23 გვ

Arneth 1869 - Joseph II und Katharina von Russland. Ihr Briefwechsel, hrsg. von Alfred, Ritter von Arneth, Wien,1869 s 446

Ragsdale 1988 - Ragsdale H. Evaluating the traditions of Russian agression: Catherine II and the Greek Project, Slavonic and East Europeen Review. L., 1988. Vol. 66. N 1; pp. 91-117

Shvelidze 2012 - Shvelidze D. General Totleben in Georgia. Pro Georgia. Journal of Kartvelological studies.Center for east europiean studies- oriental institute-university of Warsaw. Warsaw T. 22, 2012. s. 107-117.

Гриффитс 2013 - Гриффитс Дэвид М. Был ли у Екатерины II «греческий проект»? Екатерина II и ее мир: статьи разных лет. пер. с англ. Е. Леменевой и А. Митрофанова. М.: Новое литературное обозрение, 2013. С. 349—368.

Ивонин 2007 - Ивонин Ю.Е. Венцель Антон Кауниц. Вопросы истории. 2007. № 4. С. 27-50.

Монастырёва 2009 - Монастырёва Л.Ю. Реформы Кауница в сфере дипломатической службы в Австрии во второй половине XVIII века. Известия Смоленского государственного университета. 2009. № 4 (8). С. 153-162.

ონლაინ განათლების ზემოქმედება უცხო ენის (რუსულის) სწავლების ხარისხზე

Gulnara Diasamidze
International Black Sea University, Georgia
Khatuna Tabatadze
Georgian Technical University, Georgia

ამ სტატიაში შევეცდებით ვისაუბროთ ონლაინ სწავლებაზე უნივერსიტეტში, აგრეთვე შევეხებით მის პლიუსებსა და მინუსებს ანუ ვაჩვენებთ მის დადებით და უარყოფითი მხარეებს. უფრო დაწვრილებით განვიხილავთ სხვაობას ონლაინ და დისტანციურ განათლებას შორის. თუ რეალურად რას მიიღებენ სტუდენტები ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით. ასევე დროის მზარდი ღირებულებიდან და ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ონლაინ განათლება სულ უფრო პოპულარული და ხელმისაწვდომი ხდება. გასაკვირია, რომ პანდემიაში ასეთი სწავლება სულ უფრო და უფრო მეტ მხარდამჭერს იზიდავს, განსაკუთრებით იმათ ვინც ცდილობს დაზოგოს დრო და ფული.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ სწავლება, დისტანციური განათლება, ელექტრონული რესურსები, დასწრებული სწავლება, დაუსწრებელი სწავლება

Impact of Online Learning on the Quality of Foreign (Russian) Language Teaching

In this article, we will try to talk about online training at the university, clearly show its pros and cons. Consider in more detail the difference between online and distance education. We discuss what students can actually get in terms of knowledge and skills. As well as the increasing value of time and the development of technical capabilities, online education is becoming more and more popular and accessible. Surprisingly, in a pandemic, such training attracts more and more supporters, trying to save time and money.

Keywords: online learning, distance education, electronic resources, full-time education, part-time education.

დროის შეფასებისა და ტექნიკური საშუალებების განვითარებასთან ერთად ონლაინ განათლება გაცილებით მოთხოვნადია და მიღწევადი. კითხვა კი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია თუ არა სახლიდან გაუსვლელად ხარისხიანი განათლების მიღება [1].

სტატიაში შევეცდებით ვისაუბროთ ონლაინ-განათების პლიუსებსა და მინუსებზე. გასაკვირია, მაგრამ ინტერნეტ სწავლება უკვე იზიდავს გაცილებით ბევრ მომხრეს. პირველ რიგში, აღნიშნავენ, რომ ასე შესაძლებელია დროისა და თანხების დაზოგვა. მაგალითისთვის, სტუდენტი რომელიც სწავლობს უცხოეთში, პანდემიის დროსაც შეძლებს სამშობლოდან დაესწროს ონლაინ-ლექციებს. აქედან გამომდინარე, საკმაოდ ბევრ ხარჯს იცილებს თავიდან, თუნდაც გზისა და ბინის ქირის, კვების და ა.შ.

ადამიანისთვის, რომელიც დედაქალაქიდან მოშორებითაა, მისთვის საკმაოდ რთულია გამგზავრება ტრენინგსა თუ სემინარზე. ონლაინ განათლებისას კი შესაძლებელია მონაწილეობა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, იმ პირობით, თუ ნორმალური ინტერნეტი გაგაჩნიათ. ამგვარი ფორმატი მოსახერხებელია როგორც ორგანიზატორებისთვის, ასევე მსმენელებისათვის. საკომუნიკაციო არხის არჩევაც შესაძლებელია. დღეისათვის ხომ სასწავლო და საკომუნიკაციო პლატფორმების საკმაოდ დიდი არჩევანია. გარდა ამისა, მსმენელს შესაძლებლობა ეძლევა პედაგოგთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იქონიოს აქტიური კომუნიკაცია.

საინტერესო ფაქტია, რომ ყველაზე დიდი პოპულარობით საგანმანათლებლო პლატფორმებში სარგებლობენ ენობრივი კურსები: მათი წილი მთლიან ბაზარზე შეადგენს 69 %. მათ დიდი ჩამორჩენით მოჰყვება ლიდერული თვისებებისა და პიროვნული ზრდის ჩამოყალიბების სკოლები (10 %). ბრუნვის 8 % მოდის პროფესიულ განათლებაზე, 6 % - ფსიქოლოგიის კურსებზე და სხვა დისციპლინებზე [2].

სწავლების ტემპებსაც თუ შევეხებით ჩაწერილი ვიდეო ლექციების მოსმენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუნდაც გამეორების და მასალის განმტკიცების მიზნით. ნაცნობი თემის გამოტოვებაც ან გადადებაც შესაძლებელია. ეს ხერხი განსაკუთრებით ეფექტურია უცხო ენის სწავლებისას.

ონლაინ სწავლებისას საკმაოდ დიდი დრო ეთმობა თბილი გარემოს შექმნას და თბილ დამოკიდებულებას მსმენელებთან (მოცემულ შემთხვევაში სტუდენტებთან). საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2020 წლის მარტის თვიდან გადავერთეთ ონლაინ-ლექციებს და დღემდე აქტიურად ვართ ამ პროცესში ჩართულები. შევეცდებით იმ პლიუსებისა და მინუსების გამოყოფას, რომელიც გამოვლინდა ჩვენი მუშაობის დროს.

პლიუსები:

დამატებითი ხარჯების თავიდან აცილება, როგორც სტუდენტების ასევე ჩვენი მხრიდან (ტრანსპორტის ხარჯები, ბინის ქირის);

ტესტირების სისტემა, რომელსაც ვიყენებთ ამ ლექციების დროს გვაძლევენ საშუალებას გაცილებით სწრაფად შევამოწმოთ სტუდენტთა ცოდნა, ვიდრე ამას გვაძლევდა კლასიკური საკონტროლოების (ტესტების) შემოწმების სისტემა;

კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო საშუალებების ფართო გამოყენება. მარტივად და მარჯვედ შესაძლებელია საჭირო სასწავლო მასალისა თუ წიგნის მიწოდება ონლაინ-აუდიტორიის წინაშე;

სწავლება მიმდინარეობს წყნარ გარემოში (დისციპლინარული შენიშვნების გარეშე). თუმცა ჩვენს შემთხვევაში ამგვარი მომენტები არა ონლაინ ლექციების დროსაც არ ვლინდებოდა;

დისციპლინას ეჩვევიან (ამაში ნაგულისხმებია ის ფაქტი, რომ ისინი აცდიან ერთმანეთს საუბარს რაც სასწავლო პროცესზე დადებითად ისახება).

სტუდენტები გაცილებით დამოუკიდებლები ხდებიან სასწავლო მასალების დამუშავებისას;

ასევე ონლაინ-სწავლებისას დიდი ყურადღება ეთმობა მაქსიმალურად მიზნობრივ და თბილ აუდიტორიას. სადაც გვეძლევა საშუალება კითხვის დასმის ან პასუხის გაცემის პლატფორმის ჩათის მეშვეობით, ან კომენტარის დატოვების.

მინუსები:

მსმენელებთან დაკავშირების ცუდი ხარისხი, გაშეშებული გამოსახულება, ცუდი სმენადობა, ოთახის არასწორი განათება, მსმენელთა უეცარი გავარდნა ონლაინ-ოთახებიდან. ხშირია ამგვარი კითხვების დასმა: „გესმით ჩემი? როგორ მხედავთ? მე თქვენ ვერ გხედავთ ან არ მესმის თქვენი! წყდება თქვენი ხმა და ა.შ.);

ასევე რთულია სტუდენტის იდენტიფიცირება თუ მას კამერა არ აქვს ჩართული (ნაღდად სტუდენტი ასრულებს ყველა მითითებულ დავალებას, ტესტებსა თუ გამოცდებს?);

კომპიუტერის არა საკმარისმა ცოდნამ შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას მსმენელსა თუ ლექტორს ამგვარი ლექციების დროს;

როგორც წესი სტუდენტი განიცდის პრაქტიკული ცოდნის უკმარისობას;

მსმენელებზე მუდმივი კონტროლი შემსუბუქება, რამაც ზოგიერთზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს;

ლექტორი გაცილებით ბევრს საუბრობს და შესაბამისად უფრო მალე იღლება; შეიძლება ეს მოსაბეზრებელიც გახდეს მსმენელისთვის.

მასალის ხშირი გამეორება - ძლიერი სტუდენტებისთვის შესაძლოა ეს მოსაბეზრებლად და უინტერესოდ იქცეს.

აქვე გვინდა ორიოდე სიტყვით განვიხილოთ სხვაობა დისტანციურ და ონლაინ განათლებას შორის. რატომაა რომ ზოგ კურსებს უწოდებენ დისტანციურ, ხოლო ზოგს კი ონლაინს? რაშ მდგომარეობს მათი პრინციპული სხვაობა და არსებობს იგი თუ არა? [3].

დისტანციური სწავლება გახლავთ განათლების მიღების ფორმა, რომლის დროსაც მასწავლებელი და მსმენელი ურთიერთობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. დისტანციური სწავლებისას სტუდენტი დამოუკიდებლად მეცადინეობს შემუშავებული პროგრამის მეშვეობით, ლექციების ჩანაწერებს ეცნობა, ხსნის ამოცანებს, კონსულტაციებს გადის ლექტორთან ონლაინ-ჩათის მეშვეობით და პერიოდულად აბარებს მას საშინაო დავალებებს. დისტანციური განათლება გახდა პოპულარული ინტერნეტის აქტიური გამოყენების შემდეგ, რომელმაც შორეულ დასახლებულ პუნქტების მოსახლეებს და საქმიან ადამიანებს დიდი შესაძლებლობები მისცა. ადრე ამგვარი განათლება აღიქმებოდა მხოლოდ როგორც ცოდნის დამატებითი მიღების ხერხი ან გამოცდებისადმი მომზადების საშუალება. დღეისათვის კი შესაძლებელია სრულყოფილი დისტანციური კურსებისა და პროგრამების გავლა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. პლანეტის ნებისმიერ წერტილში ყოფნისას. არსებობს თუ არა განსხვავება დისტანციურ და ონლაინ სწავლებას შორის?

ონლაინ-სწავლება - ცოდნის და უნარ-ჩვევების მიღებაა კომპიუტერისა ან სხვა გაჯეტის მეშვეობით, რომელსაც ინტერნეტთან გააჩნია წვდომა. სწავლების ამ ფორმატს აგრეთვე e-learning - ს უწოდებენ ან „ელექტრონულ სწავლებას“. და იგი გახლავთ დისტანციური სწავლების ლოგიკური გაგრძელება. ხოლო სიტყვა „ონლაინ“ მხოლოდ მიგვითითებს ცოდნის მიღების საშუალებაზე და ლექტორის კავშირზე სტუდენტთან. ასეთი განათლების დროს მოსწავლე უყურებს ლექციების ვიდეო ჩანაწერებს ან პირდაპირი ტრანსლაციის დროს, ასრულებს ინტერაქტიულ ტესტებს, ხდება ფაილების მიმოცვლაც პედაგოგს და მსმენელს შორის, ჩათის აქტიური გამოყენება. ამგვარი განათლება აძლევს საშუალებას რომ მსმენელის ჩართულობა მთლიანად მოხდეს სასწავლო პროცესში და გარემოში და ასევე მოხდეს კვალიფიკაციის ამაღლება სამუშაო პროცესიდან გაუსვლელად [3].

ასევე შევეხოთ საშინაო დავალებებს ამგვარი სწავლების დროს. მაგალითად ჩვენ ვუსვამთ შეკითხვას: „როგორ უნდა მოხდეს ლექტორის მიერ საშინაო დავალების გამოკითხვა?“ მოცემული საკითხი ჩვენ ამგვარად გადავწყვიტეთ რუსული ენის ლექციებზე. გადაწყვეტილების და მათთან შეთანხმების თანახმად სტუდენტები ყოველკვირეულად ელექტრონულ ფოსტაზე გვიგზავნიან საკუთარ საშინაო დავალებებს. ჩვენ კი შესწორებულ ვარიანტს უკან ვუბრუნებთ. ამგვარად ახორციელებთ უკუკავშირს. ვცდილობს რომ არა მონოტონური დავალებები შევასრულებინოთ, მოცემული გარკვეულ თანმიმდევრობაში. შემდგომ უკვე ლექციის დროს, პირველივე საათზე კიდევ ერთხელ ვსაუბრობთ მათ მიერ დაშვებულ შეცდომებზე (ანონიმურობის შენარჩუნებით). ამგვარი ხერხი სტუდენტებს გაცილებით მეტ ყურადღებას ათმობინებს საკუთარი შეცდომების ამოსაცნობად.

რაკი ჩვენს მიერ ჩატარებული ყველა ონლაინ-ლექციის ჩაწერა მიმდინარეობს ჩვენ ვალდებულები ვართ შევინარჩუნოთ უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა (ჩვენს შემთხვევაში - რუსული ენის). აგრეთვე ყოველთვის ვაუმჯობესებთ მეთოდიკას. ვცდილობთ საკუთარ შეცდომებზე სწავლას, რადგანაც ონლაინ-შესწავლაზე არც თუ ისე დიდი ხანია რაც გადავედით. სტუდენტებისთვის ვქმნით გამჭირვალე სასწავლო პროცესს, რომელიც საბოლოოდ პროდუქტიული და ეფექტური უნდა გამოვიდეს.

ასევე ვცდილობთ ბევრი ვისაუბროთ რუსულ ენაზე, რათა მოიხსნას ენობრივი ბარიერი, რაც ჩვენს მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

ისმის მთავარი კითხვა: ონლაინ მეცადინეობის დროს ხომ არ უარესდება უცხოური ენის შესწავლის ხარისხი იმის გამო, რომ სტუდენტი ვერ გრძნობს პედაგოგის ფიზიკურ დასწრებას?

რას აირჩევდით: ძალიან კარგ მასწავლებელს, რომელთანაც კომპიუტერის საშუალებით იმეცადინებდით, თუ არც თუ ისე კვალიფიციურს, რომელთანაც პირისპირ ზიხართ? ვინ როგორ სწავლებას აირჩევდა ამაზე პასუხის გაცემა ცოტათი გაგვირთულდება. ჩვენი აზრით, პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ თუ მთელი ონლაინ-ლექციის განმავლობაში სტუდენტი ყურადღებით უსმენს პედაგოგს, ასრულებს მითითებულ ინსტრუქციებს და ეს ყველაფერი ხდება ხარისხიანი ინტერნეტის ფონზე, კარგი ონლაინ-სწავლება გარანტირებულია, ამაში ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს. მაგრამ მთავარ მოთხოვნად რჩება შემდეგი: სტუდენტს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მოტივაცია. გარკვეულ წილად მთავარი მოტივატორი ლექტორია,

მაგრამ გვხდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მსმენელს უბრალოდ არ სურს სწავლება. ხშირ შემთხვევაში სტუდენტის პატარა წარმატებაც იქცევა მოტივაციად რომელიც დიდხანს უნარჩუნდება მას. ზუსტადაც რომ მოტივაციის შენარჩუნება გახლავთ ჩვენი მთავარი ამოცანა. რაც შემდგომ შეძლებს დახმარებას ონლაინ-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ლიტერატურა:

1. https://www.ucheba.ru/project/online/programs
2. https://trends.rbc.ru/trends/education/5de126b59a79475b973cd3d3
3. https://finacademy.net/materials/article/chem-otlichaetsya-onlajn-obuchenie-ot-distantsionnogo-obucheniya

ქალთა სახეები ჰალიდე ედიფ ადივარის რომანებში

Marine Shonia
Samtskhe-Javakheti State University, Georgia

ჰალიდე ედიფ ადივარმა(1883-1964), რესპუბლიკის პერიოდის თურქული ლიტერატურის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, საინტერესო შემოქმედებითი მემკვიდრეობა დატოვა.მრავალმხრივი ინტერესების მქონე პიროვნება - მწერალი,პედაგოგი,მთარგმნელი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე - ყოველთვის და ყველგან თავისი სამშობლოს ინტერესების აქტიური დამცველი იყო. ბიოგრაფიის გათვალისწინებით,თავისი სულისკვეთებით ჰალიდე ედიფ ადივარი ფემინისტია. მისთვის ტრადიციულ საზოგადოებაში ქალის როლისა და ღირსეული ადგილის დამკ ვიდრების განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. უდედოდ გაზრდილმა მწერალმა ქალმა მამისა და პაპის წყალობით საფუძვლიანი განათლება მიიღო სტამბოლის პრესტიჟულ ქალთა ამერიკულ სკოლაში. ინგლისურ - თურქულმა განათლე ბამ,ოჯახთან ერთად დასავლეთ ევროპაში თოთხმეტწლიანმა ემიგრაციამ,აშშ და ინდოეთში მოგზაურობამ მას განსხვავებული კულტურებისა და საზოგადოებების შედარების ჩინებუ ლი შესაძლებლობა მისცა.შეუძლებელია,მას არ სცოდნოდა დასავლეთ ევრო პისა და აშშ ფემინისტური მოძრაობის შესახებ.ამ დეტალებმა კი საბოლოოდ განსაზღვრა ნაწარმოებთა თემატიკა. ჰალიდე ედიფ ადივარის რომანების უმეტესობა ქალთა პრობლემებს ეძღვნება.მისთვის მთავარი გმირი ყოველთვის ქალია,თავისი ადამიანური სისუსტეებით,იღბლიანობითა თუ უიღბლობით, დამსხვრეული თუ ახდენილი ოცნებებით. დასმული პრობლემის შესწავლის მიზნით დავამუშავეთ ჰალიდე ედიფ ადივარის ხუთი რომანი:“ ახალი თურანი „ (გამოიცა 1912 წ.),“ცეცხლის პერანგი“ (1922 წ.), „უბანი სინექლი ბაყალი“ (1935 წ.), „მკვლელობა იოლ ფალასში“ (1936 წ.),“პატარა თათარი“(1939 წ.). „ახალი თურანის“ მთავარი პერსონაჟი ქალი ქაია „ახალი თურანის“ პარტიის ლიდერის სატრფო და თავდადებული თანამოაზრეა.მაღალი ზნეობით შემკული,პრინციპული და უშიშარი პიროვნება.მას ღრმადა აქვს გაცნობიერებული თავისი მოვალეობები ოჯახის, საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე. ქაიას ჰგავს ასევე ტრაგიგული ბედის მქონე აიშე,“ცეცხლის პერანგის“ პერსონაჟი,რომელმაც იზმირის ოკუპაციისას ქმარ-შვილი დაკარგა .იგი ოკუპანტ ბერძნებს ებრძვის და იღუპება.ჰალიდე ედიფ ადივარი რომანში „მკვლელობა იოლფალასში“ გაზულუქებული ნუვორიში ქალის,საჯიდესა და მისი ვაჟიშვილის ძიძის,ობო ლი ღარიბი გოგონას ,ნადირეს ამბავს მოგვითხრობს - როგორ მოკლა გაუბედურებულმა ძიძამ ფუქსავატი დიასახლისის მძღოლი -საყვარელი,ქურდი და ალფონსი, რომელიც უფრო ადრე ნადირესა და დედამისზე ძალადობდა.პერსონაჟთა გალერეაში შედარებით ფერმკრთა ლად გამოიყურება „პატარა თათარის“ გმირი, ლალე.ის ახალი ეპოქის -რესპუბლიკური თურქეთის-შვილია,საზღვარგარეთ განსწავლული და თავის თურქ და ამერიკელ მეგობრებთან ერთად განათლებული და განვითარებული საზოგადოების აშენებაზე ოცნებობს. ჰალიდე ედიფ ადივარი ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე რესპუბლიკის ჩამოყალიბების რთულ ეპოქაში მოღვაწეობდა და მისთვის განათლებული,დამოუკიდებელი, კარიერით დაკავებული დაოჯახებული ქალის,მოქალაქის არსებობა ქვეყნის წინსვლისათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები:ქალთა სახეები, ქალის როლი და ადგილი საზოგადოებაში,განათლება.

Women's Images in the Novels of Halide Edip Adivar

Halide Edip Adivar (1883-1964), one of the prominent representatives of Turkish Literature of the Republic Period, left an interesting creative heritage. A person with multifaceted interests - writer, teacher, translator, researcher, public figure - has always and everywhere been an active defender of the interests of her homeland. Having regard to her biography, Halide Edip Adivar is a feminist by her aspiration. Determining the role of women and taking by them rightful place in a traditional society is a very important issue for her. The motherless writer, thanks to her father and grandfather, received a thorough education at the prestigious American Women's School in Istanbul. An English-Turkish education, a fourteen-year emigration to Western Europe with her family, and trips to the United States and India gave her an excellent opportunity to compare different cultures and societies. It is impossible to think that she did not know about the feminist movement

of Western Europe and the United States. So, these details finally determined the subject matter of her literary works. Most of Halide Edip Adivar's novels are dedicated to women's problems. For her, the main character is always a woman, with her human weaknesses, luck or misfortune, ruined or fulfilled dreams. With the purpose of studying of the posed problem, we have examined five novels by Halide Edip Adivar: “New Turan” (published in 1912), “The Fire Shirt” (1922), “The Sinekli Bakkal District” (1935), “Murder in Yolpalas” (1936). Ts.), "Little Tartar" (1939). The main character of the “New Turan” is Kaya, a passionate and dedicated companion of the leader of the "New Turan" party. She is adorned with high moral, is a principled and fearless person. She is deeply aware of her responsibilities towards her family, community and homeland. The "Fire Shirt"'s character Aishe, who has tragic fate, resembles Kaya. She lost her husband and child during the occupation of Izmir. She fights against the occupying Greeks and dies. In “Murder in Yol Palas” Halide Edip Adivar tells us the story of Sajide, pampered new rich woman and Nadire, her son’s nurse, how unfortunate nanny killed the driver of her dullard mistress - the lover, the thief and Alphonse, who prior to that used to abuse Nadire and her mother. Lale, the hero of "Little Tatar", looks relatively pale in the character gallery. She is the daughter of a new era - the Republic of Turkey she is educated abroad and with her Turkish and American friends dreams to build an educated and developed society. Halide Edip Adivar worked in the literary and public arena during the difficult period of the formation of the Republic and for her the existence of a married woman, - educated, independent, a citizen engaged in a career, was the most important event for the advancement of the country.

Keywords: Women's images, role and place of woman in society, education.

შესავალი

ჰალიდე ედიფ ადივარი(1883 -1964)თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.მან, როგორც მწერალმა,მთარგმნელმა,პედაგოგმა,მკვლევარმა,საზოგადო მოღვაწემ დატოვა მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა,რომელშიც თანადრო ული ოსმალეთის იმპერიისა და შემდგომ თურქეთის რესპუბლიკის პერიოდის თურქული საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხები ასახა.მრავალმხრივი ინტერესების მქონე აქტიური პიროვნება - მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათოთ ჰალიდე ედიფ ადივარი -ყო-ველთვის და ყველგან (შინ თუ დასავლეთ ევროპის

ქვეყნებსა და აშშ-ში,ინდოეთში)თავისი სამშობლოს ინტერესების დამცველი და პროპაგანდისტი იყო.მწერალ ქალს ქვეყნისათვის მეტად რთულ სოციალურ და პოლიტიკურ ხანაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა.ამან, ცხადია, მის შეხედულებებსა და ესთეტიკურ გემოვნებაზე სათანადო გავლენა მოახდინა ,რაც თავის მხრივ, მხატვრულ ნააზრევში დაილექა.

ჰალიდე ედიფ ადივარის რომანების მთავარი გმირები ქალები არიან.ისინი თურქული საზოგადოების სხვადასხვა ფენას წარმოადგენენ.მათ, ბობოქარი დროის შესაბამისად,როცა ძველი და ახალი აზროვნებისა და ქცევის წესები ერთმანეთს ებრძვის, ცხოვრების მეტად რთული და მკაცრი გზის გავლა უწევთ.მწერლის ბიოგრაფიიდან გამომდინარე,ვფიქრობთ, რომ თავისი სულისკვეთებით იგი ფემინისტია და ეს სწორედ მისმა პირადმა ცხოვრებამ განაპირობა.მწერალი ტრადიციულ აღმოსავლურ მუსლიმურ ოჯახში დაიბადა და გაიზარ და.მან პატარაობისას დაკარგა დედა,ზრდიდნენ დედის მშობლები და შემდეგ - მამა,რომე ლსაც შინ კიდევ ორი ცოლი და რამდენიმე შვილი ჰყავდა (შარიათი ამის ნებას რთავდა). ჰალიდე ედიფ ადივარმა პაპისა და მამის მცდელობით საფუძვლიანი საშინაო განათლება მიიღო,შემდეგ კი სტამბოლის მაშინდელი ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლა - ქალთა ამერი კული კოლეჯი- დაამთავრა.ადრე გაათხოვეს,მაგრამ ორი შვილის ახალგაზრდა დედას ოჯახი მალე დაენგრა,რადგან მრავალცოლიანობის მოწინააღმდეგემ ქმრის მეორე ქორწინება ვერ მიიღო.რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახი შექმნა ექიმ აბდულჰაქ ადნან ადივართან ერთად, რომელსაც გერმანული განათლება და ბერლინის უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა მიღებული,მოგვიანებით კი ქემალ ათათურქის მთავრობაში ჯანდაცვის მინისტრი გახდა(Uyguner,1992:22).

ქალთა უფლებებით მწერლის დაინტერესებას მოწმობს ჯერ კიდევ 1909 წ. დაწერილი ერთ-ერთი სტატია მრავლისმეტყველი სათაურით: „ხელი,რომელიც აკვანს არწევს, სამყაროს მართავს „ (Enginün,1991:84). თურქულ-ინგლისურმა,ანუ აღმოსავლურ-დასავლურმა განათლებამ, მოგვიანებით ოჯახთან ერთად თოთხმეტ წლიანმა ემიგრაციამ საფრანგეთსა და ინგლისში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობამ, ინტელექტუალურ, აკადემი ურ წრეებთან ურთიერთობამ,ბერტრან რასელისა და მაჰათმა

განდის მსგავს ადამიანებთან შეხვედრებმა მწერალ ქალს განსხვავებული კულტურებისა და საზოგადოე ბების საფუძვლი ანი შედარების ჩინებული შესაძლებლობა მისცა.ასე,რომ მისთვის კარგად იყო ცნობილი და სავლეთევროპული და ამერიკული ფემინისტური მოძრაობების იდეები და საქმიანობა.ეს მოცემულობა ჰალიდე ედიფს კიდევ ერთხელ განუმტკიცებდა აზრს,რომ ქალი მხოლოდ დედა და დიასახლისი,ცოლი და მოახლე არ უნდა იყოს. მას სოციალური თუ პოლიტიკური თანასწორობის მოთხოვნის უფლება აქვს: აუცილებლად უნდა ჰქონდეს განათლების, მუშაობის,კარიერისა და თავისი სოციალური ბაზისის შექმნის უფლება,რათა ოჯახისა თუ საზოგადოების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანოს. ამდენად, ტრადიციულ აღმოსავ ლურ-თურქულ მუსლიმურ საზოგადოებაში ქალის უფლებების, ადგილისა და როლის განსაზღვრა ჰალიდე ედიფ ადივარისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხია.

მიზანი

აღნიშნულიდან გამომდინარე,წინამდებარე მოხსენებაში სწორედ ამ კუთხით შევეცადეთ საკითხის გაშუქებას,ანუ 120 წლის წინათ ინტელექტუალური თურქული საზოგადოების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა,ჰალიდე ედიფ ადივარმა თავის მხატვრულ ნააზრევში როგორ დასვა და გადაწყვიტა არა მხოლოდ თავისათვის,არამედ საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხი- დღევანდელი ტერმინოლოგიით,გენდერული პრობლემა- ოსმალეთის იმპერიის ნგრევისა და რესპუბლიკის შექმნისა და განვითარების ეპოქალური მოვლენების ხანაში. ამ მიზნით შევისწავლეთ მწერალი ქალის ხუთი რომანი: „ ახალი თურანი „ (გამოიცა 1912 წ.) ,“ცეცხლის პერანგი“ (1922 წ.),“უბანი სინექლი ბაყალი“ (1935 წ.), “მკვლელობა იოლფალასში“ (1936 წ.) ,“პატარა თათარი“ (1939 წ.).

მსჯელობა

ჰალიდე ედიფ ადივარს ხსენებულ ნაწარმოებთა ქალი პერსონაჟები პრიმიტიულ საყოფა ცხოვრებო კონფლიქტებში არ ჰყავს მოქცეული.ზემოაღნიშნული რომანებიდან სამში („ახალი თურანი“,“ცეცხლის პერანგი“,“უბანი სინექლი ბაყალი“) პიროვნებათა თუ პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება რაღაც დიდ სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენათა ფონზე ვითარდება.მწერალი „ახალგაზრდა თურქთა“ მოძრაობასა და შემდეგ 1908 წ.რევოლუციას თანაუგრძნობდა და აბდულჰამიდ მეორისა და ითიჰადისტების ჭიდი ლი თავისი სიუჟეტური ქარგისათვის ოსტატურად გამოიყენა. რომანის „ახალი თურანი“ მთავარი გმირი,რომლის გარშემო მოქმედება ვითარდება, არის ამავე სახელწოდების პარტიის ლიდერის,ოღუზის სატრფო და თანამოაზრე ქაია. ავტორმა იგი ასახა როგორც ახალი რევო ლუციური იდეის თავდადებული მომხრეცა და მსხვერპლიც. ეს მამაცი და პრინციპული ქალი,რომელიც ოღუზს ბრძოლისათ ვის შთააგონებს,საკუთარ ბედნიერებას - იყოს საყვარე ლი ადამიანის გვერდით და მისთვისა და სამშობლოსათვის დაიხარჯოს - ოღუზისა და „ახალი თურანის „ გადასარჩენად მსხვერპლად წირავს. ქაია იძულებული ხდება მიიღოს მტრის საშინელი შემოთავაზება:იყიდოს საქმროს სიცოცხლე, ანუ საძულველ მოწინააღმდეგეს, მამის ახალგაზრდობის მეგობარს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და “ახალ ოსმალთა“ პარტიის მეთაურს ჰამდი ფაშას ცოლად გაჰყვეს. ქაია მინისტრის მდიდრულ სასახ ლეში განდეგილივით ცხოვრობს და იმ იმედით ცოცხლობს, რომ თურანელები ოსმალებს არჩევნებში დაამარცხებენ.“ახალ ოსმალთა „ მიერ დაგეგმილ ოღუზის მკვლელობას პოლიტი კურ მკვლელობად აფასებს,ისევე როგორც სხვა მათი მომხრეები.ჰამდი ფაშამ ვერანაირი საჩუქრებითა და გატარებული რეფორმებით ახალგაზრდა ცოლის გული ვერ მოიგო.ქაიამ საქმრო დაკარგა, მაგრამ იმ საქმეს,რომელსაც ახალი თურანის ქვეყნის აშენება ჰქვია და ოღუზი მუხანათურად შეეწირა,უცილებლად მეგობრებთან და ხალხთან ერთად გააგრძე ლებს.ამიტომ ჰამდი ფაშასაგან და მისთვის ციხედქცეული სასახლიდან დაუნანებლად წავიდა. ინტრიგებში გაწაფულ „ახალ ოსმალთა“ შეუვალ თავმჯდომარეს, მეტოქეს რომ სა-ცოლე მოპარა,ქაია პატარა ბიჭივით შეუყვარდა. მიტოვებულმა და უარყოფილმა საყვარელი ქალის დაკარგვა ვერ აიტანა,დამბლა დაეცა და დაიღუპა. აღნიშნული ნაწარმოები ,სულთან აბდულჰამიდ მეორისა და „ახალგაზრდა თურქთა“ ბრძო ლას რომ მეტაფორულად ასახავს,ჩვენი აზრით, პათეტიკას მოკლებული არ არის და ახალგაზრდა ჰალიდე ედიფ ადივარისა და მისი თაობის განწყობილებებს გამოხატავს. ქაია,ვფიქრობთ, თავისი იდეოლოგიიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, უფრო თურქი ქალის იდეალია, განზოგადებული სახე,რომელსაც ახალი,თავისუფალი, ეროვნული საზოგადოების

განვითარება ში განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება როგორც მომავალი თაობის აღმზრ დელს,ახალი იდეების ერთგულ, თავდაუზოგავ პროპაგანდისტსა და განმახორციელებელს.

იზმირელ აიშეს,მთავარ გმირს რომანისა „ცეცხლის პერანგი“,რომელიც ჰალიდე ედიფ ადივარმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თემას მიუძღვნა, სტამბოლელი მამიდა, მამიდაშვილიცა და მათი მეგობრებიც ზემოდან უყურებენ,თავიანთ ტოლად და სწორად არ მიიჩნევენ,აქაოდა პროვინციიდან ჩამოსულია,ფრანგული არ იცისო.პრესტიჟულ შიშლის უბანში მცხოვრები გამჭრიახი მამიდამისი ევროპული წესების პატივისმცემელი ქალია და და მის სალონში სტამბოლის „ევროპული სტილის ბატონები“ და „თვალებშეღები ლი, ნერვიული, მოკაზმული ქალბატონები“ ხშირად სტუმრობენ (Edip Adıvar,2016:17).მათი მთავარი საქმიანობა, ძირითადად, ყველა საკითხზე უსაგნო საუბარი და ვიღაცის განქიქებაა.

ანტანტის სახელმწიფოების მიერ ოსმალეთის ტერიტორიების ოკუპაციისა და ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების შემდეგ განსხვავებული პოლიტიკური გემოვ ნების გამო მათი დისკუსიები ლამის კლასობრივ ბრძოლაში გადაიზარდა . სათნო, გამრჯე და მამაცი აიშე საშინელ ტკივილს ატარებს-მას იზმირის ოკუპაციის დროს ბერძნებმა ქმარ-შვილი დაუხოცეს.მისთვის ძნელი მოსასმენია ინგლისელების მომხრე სალიმე ხანუმისა და მისი თავდაჯერებული სტუმრის ,მისტერ კოკის პრეტენზიები იმის თაობაზე,თუ როგორ უნდა მოუხადონ თურქებმა ბოდიში ინგლისელებს ჩანაკალეში დაღუპული სამოცი ათასი ინგლისელის გამო.მამიდამისის სალონში სტუმრებს დახვეწილი ფრანგულით ინგლისელები სა და ბერძნების ჩანაქალესა და იზმირში ჩადენილ სისასტიკესა და დაუნდობლობაზე სიმარ თლეს ეუბნება,რითაც ყველას აოცებს და გარკვეულწილად,მისადმი პატივისცემის გრძნობი სა და სამშობლოს დაცვის სურვილს აღვიძებს.აიშე სტამბოლში ვერ რჩება, გედიქფაშაში თავის სახლში დაბრუნებას ცდილობს,ინგლისელებმა რომ იარაღის შენახვის ბრალდებით დაურბიეს.შემდეგ დიდი წვალებით ჩადის ანატოლიაში,სადაც ეროვნული საჯარისო ნაწილე ბი არიან დაბანაკებულები და ჰოსპიტალში მოწყალების დად იწყებს მუშაობას.დაჭრილებს თავს ევლება,საპასუხოდ მათ დიდი პატივისცემას იმსახურებს.ბერძნებთან ყარადაღზე ერთ- ერთი შეტევისას,როცა ჯარისკაცს ჭრილობას უხვევდა,დაიღუპა.ამავე ბრძოლისას მოკლეს მასზე უიმედოდ გამიჯნურებული იჰსანიც,რომელიც სიყვარულის „ცეცხლის პერანგში“ იწვოდა.ნაწარმოების სათაურად გამოტანილი ეს მეტაფორა მწერალს ,ვფიქრობთ,მხოლოდ აიშესადმი გამოვლენილი განცდისათვის არ გამოუყენებია. ეს სამშობ ლოსადმი სიყვარულ საც უნდა ნიშნავდეს და იმ მძიმე საფრთხესაც, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა.აიშემ იცოდა,რა ნაბიჯსაც დგამდა :ომში სიკვდილი მოსალოდნელი რეალობაა.მან თავისი გაუხარელი ოჯა- ხის სახელით სამშობლოს წინაშე როგორც მოქალაქემ ვალი მოიხადა-თავისუფლებას სიცოცხლე შესწირა.

რაბია,გმირი ჰალიდე ედიფ ადივარის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანისა, „უბანი სინექლი ბაყალი“ ქაიასა და აიშეს მსგავსად ტრაგიკული ბედისა არ არის,თუმცა თავისი საფიქრალი მასაც აქვს.ის ღარიბი უბნის, „სინექლი ბაყალი“ რომ ჰქვია, ღარიბი იმამის შვილიშვილია,რომელსაც ღვთით ბოძებული მუსიკალური სმენა და ხმა აქვს.რაბიას თავისი მშვენიერი ხმის გამო ბევრი მსმენელი ჰყავს მეჩეთშიცა და ჟანდარმერიის მინისტრის,სელიმ ფაშას ოჯახშიც,სადაც ხშირად იწვევენ.რაბია არ არის მხოლოდ მომღერალი, ის ჰაფიზია, ყურანი ზეპირად იცის ,ასევე სწავლობს სუფი ვეჰბი დედესთან, მევლევიელთა ორდენის წარმომადგენელთან.სელიმ ფაშას ოჯახში რაბიამ გაიცნო იტალიელი პიანისტი და ევროპული მუსიკის მასწავლებელი პერეგრინი.ისინი მუსიკის სიყვარულმა ისე დაახლოა, რომ ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინდნენ.პერეგრინიმ ისლამიც კი მიიღო,რამაც ყველა გააოცა(თურქი ლიტერატურის კრიტიკოსების ჩათვლით. მაგ.:ბერნა მორანის აზრით,ამ გადაწყვეტილებით ჰალიდე ედიფმა დასავლეთზე აღმოსავლეთის უპირატესობა გამოხატა.Moran,1994:132) .რაბიას ორი მასწავლებელი ჰყავს:ერთი მუსლიმი სუფი,რომელიც აღმოსავლურ სიბრძნესა და მუსიკას აზიარებს, მეორე კი - კათოლიკე ქრისტიანი,რომელიც ევროპულ მუსიკას ასწავლის. მწერალი ქალი,როგორც ჩანს,ორი განსხვავებული კულტურუ- ლი სამყაროს გაერთიანებას გრძნობადისა და რაციონალურის დაკავშირებით ცდილობს და ამას ხელოვნების (მუსიკის)და ფილოსოფიის(სუფიზმის) საშუალებით გამოხატავს.მუსიკის მისტიკური ძალით უფლის სადიდებლად და სიყვარულის მარადიულობის რწმენით რაბია და პერეგრინი ერთად რჩებიან.

რომანში „მკვლელობა იოლფალასში“ 20-იანი წლების თურქული საზოგადოების ყოფის შუქ-ჩრდილებია ასახული.მისი მთავარი გმირები ორი სოციალურად განსხვავებული სამყაროს წარმო მადგენელი ქალები არიან:ნუვორიში საჯიდე სალაბაში და მისი პატარა ვაჟის ძიძა,ობოლი, ღარიბი გოგონა ნადირე. ამ

ნაწარმოებში მწერალი მოძალადისა და მსხვერპლის,პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების ფსიქოლოგიას აღწერს.ძიძამ თავისი ქალბატონი დაჭრა და მისი მძღოლი მოკლა. სასამართლოზე გაირკვა დანაშაულის მიზეზი: გააზნაურებულმა მდაბიომ,თავნება და ამპრტავანმა საჯიდემ ძიძა სახლიდან გააგდო,რადგან მან ურჩობა გაუბედა: შუაღამეს ბავშვი არ გააღვიძა და „პატარა ლორდის“ სამოსში გამოპრანჭული სტუმრებს არ წარუდგინა.ბავშთან განშორება ნადირესათვის ტრაგედიაა, რადგან შვილივით უყვარს. წლების წინ ქალბატონის მძღოლი მოტყუებით მისი ქვრივი დედის საყვარელი გახდა, სოფელში სახელი გაუტეხა,გოგონას აშინებდა,ოჯახი გაქუ რდა და გადაიკარგა. დედამ ვერ გაუძლო გაჭირვებას,თანასოფლელთაგან გარიყულობას და მოკვდა. დაობლებული გოგონა კი ვიღაც ღვთისნიერმა ხალხმა შეიფარა.მოძალადისა და მსხვერპლის გზები ისევ გადაიკვეთა.ალფონსი და სუტენიორი მძღოლი ნადირეს უხამსი წინადადებით მიმართავს, აშანტაჟებს და თან ქალბატონთან სასიყვარულო ურთიერთობის გაბმას ცდილობს.საბრალო გოგონას ფსიქიკური აშლილობა დაეწყო ,რადგან ჩადენილი ცოდვა გააცნობიერა. ის საავადმყოფოში გაამწესეს.ერთი შეხედვით, მსხვერპლი დაღუპული მძღოლია.მაგრამ რეალურად ის ისეთივე მოძალადეა,როგორც საჯიდე , ნუვორიშთა საზოგა დოება და სოფელი,რომელმაც მაღალი ზნეობის სახელით დედა-შვილი მოკვეთა,მთავარი დამნაშავის დასასჯელად კი არაფერი იღონა.

რომანი „პატარა თათარი“ რესპუბლიკის პერიოდის ერთი თურქული ზღვისპირა სოფლის ამბავს გვიამბობს,სადაც ძირითადი კონფლიქტი ძველ და ახალ თაობას შორის ვითარდება. მამით ობოლი ლალე ის მორჩილი,უენო,ჩარშაფიანი თურქი გოგო არ არის,ფოირაზელების ტრადიციებით და აზრით,თავის ჩრდილს რომ უნდა ემალებოდეს. ლალე და მისი მეგობრები ახალი ეპოქის შვილები არიან და შესაბამისად ცხოვრობენ.ლალე არაფერს შეუშინდა, იშრო მა, იბრძოლა, ინგლისური ენა შეისწავლა,მასწავლებლობა დაიწყო,გაღარიბებულ ქალაქე- ლებს,ფოირაზში რომ გადმოვიდნენ, ინგლისურ ენას ასწავლის,გაკვეთილებზე თავისი ფუ ლითნაყიდი ველოსიპედით მიდის, დროს უფრთხილდება. ნიშანდობლივია უფროსი თაო ბის წარმომადგენლების ქუჩაში სიარული,ფეხითა თუ ფორნით.გზას, სადაც უნდათ, იქ გადადიან და ლალესა და მის ამხანაგებს გადაადგილებასას საფრთხეს უქმნიან.ეს მეტაფო რული გამოხატულებაა მათი პროტესტისა ახალი დროებისა და საკუთარი უღონობის მი მართ.ლალე ბრმა ისმაილს ეუბნება,რომ მას გზაზე სწორი მოძრაობა უნდა ასწავლოს.ეს კი ისმაილსა და მის თანასოფლელებს ძალიან აღიზიანებთ,რადგან “პატარა თათრის გოგო“ ტრადიციებს არღვევს და უფროსებს ეურჩება.ფოირაზში ჩამოსული შვიდი ახალგაზრდა ბანაკს აყალიბებს,თავიანთ კომერციულ საქმეებს აგვარებენ, ცხოვრებას იმედიანად უცქერენ და ახალშეძენილ ამერიკელ მეგობართან,ელენ ბარკლისთან ერთად ამ ღარიბი სოფლისათ ვის სასიკეთო საქმის გაკეთებას ფიქრობენ.ერთ-ერთ ყმაწვილს,რეჯეფს ლალე ძალიან მოეწონება.ეს თანდათან უფრო ღრმა გრძნობაში გადადის და რეჯებიც გოგონას ხელს სთხოვს და მათი ნიშნობაც შედგება.გვეჩვენება,რომ ეს ნაწარმოები სიუჟეტის განვითარების თვალსაზრით ნაკლებად მძაფრი და დინამიკურია და აღმშენებლობითი ეპოქისათ ვის დამახასიათებელი პროპაგანდისტული ელფერი დაჰკრავს.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტიურდება გენდერული საკითხებით დაინტერე სება.ეს გასაგებიცაა,რადგან ისინი ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია და თანასწო რობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს ეფუძნება.ფემინიზმის იდეებს,გენდე რული თანასწორობის პრინციპებს განვითარებისა და მხატვრულ ლიტერატურაში ასახვის თავისი ისტორია აქვს,რომელიც სხვადასხვა ეპოქასა და კულტურებში ამ სფეროში არსებუ ლი კონფლიქტების გადაჭრის გზების ძიებას გულისხმობს.ამ კუთხით ჩვენ მიერ შესწავლი ლი მასალა ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.როგორც ვხედავთ,ჰალიდე ედიფ ადივარი სხვადასხვა პერიოდის თურქული საზოგადოების წარმომადგენელ ქალთა სახეებს გვაცნობს. ისინი განსხვავებულ სოციალურ ფენებს მიეკუთვნებიან და კულტურული განვითარების დონეც სხვადასხვა აქვთ,მაგრამ,ცხადია, მათ აერთიანებთ მორალური და სამართლებრივი მოვალეობები საზოგადოების წინაშე.ჰალიდე ედიფ ადივარი ქმნის მიზანსწრაფული,მტკიცე და გაბედული პერსონაჟების სახეებს(მაგ.: ქაია-„ახალი თურანი“ , აიშე-„ცეცხლის პერანგი“, ლალე -„პატარა თათარი“).მათი მოსაზრებები და ქცევა მოტივირებულია,ისინი პირადულზე მეტად საზოგადოებაზე,მის კეთილდღეობაზე ფიქრობენ. აქ ავტორის პოზიცია ნათელია. როცა მწერალი რომანში ქვენა გრძნობებით შეპყრობილი საჯიდე ხანუმისა და მისი მსხვერპ ლის, ნადირეს თავგადასავალს მოგვითხრობს,გვთავაზობს

არა მხოლოდ სოციალური უსამა რთლობის,არამედ ადამიანთა ნაკლულოვნების, ზნეობრივი სიცარიელისა და უმწეობის მაგა ლითებს და ამგვარად მოგვიწოდებს, მათი მსგავსნი არ გავხდეთ,ასეთი ღირებულებები საზო გადოებაში არ დავამკვიდროთ.

შესწავლილი მასალა მოწმობს,რომ ჰალიდე ედიფ ადივარი ქალის უფლებრივი მდგომარე ობის უკეთესობისაკენ წარმართვისათვის აუცილებლად მიიჩნევს განათლების მიღებას, საგანმანათლებლო კერების შექმნას, ქალთა დასაქმებას.ამას ნათლად ადასტურებს რომანები „ახალი თურანი", ''პატარა თათარი", „უბანი სინექლი ბაყალი".ქალის უპირველესი მოვალე ობა დედობა კია,მაგრამ მას ასევე ოჯახსა და საზოგადოებაში გადაწყვეტილების მიღებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

ჰალიდე ედიფ ადივარის შემოქმედება ანარეკლია გასული საუკუნის პირველი ნახევრის თურქული საზოგადოების ინტელექტუალური მემკვიდრეობისა.ამიტომ მისი შესწავლა თანამედროვე თურქული კულტურის მრავალფეროვანი წახნაგების შემეცნებისათვის აუცილებელი და ღირებულია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Halide Edip Adıvar,s.a. - Halide Edip Adıvar,Yeni Turan,Beşinci Baskı,Atlas Kitapevi,İstanbul,s.a.

2. Halide Edip Adıvar,2014 - Halide Edip Adıvar,Ateşten Gömlek,Üçüncü Baskı,Can Yayınları, İstan bul, 2014

3.Halide Edip Adıvar,1996 - Halide Edip Adıvar,Sinekli Bakkal,Kırk Sekizinci Baskı,Atlas Kitapevi, İstanbul,1996.

4. Halide Edip Adıvar,1983 - Halide Edip Adıvar, Yolpalas Cinayeti,Altıncı baskı,Atlas Kitapevi, İstanbul,1983.

5. Halide Edip Adıvar,1993 - Halide Edip Adıvar,Tatarcık,Ön Dördüncü Baskı,Atlas Kitapevi, İstanbul,1993.

6. Enginün ,1991 - Enginün, İnci, Yeni Türk Edebiyatı Araştırmaları,Dergah Yayınları,İstanbul,1991.

7. Moran, 1994 - Moran, Berna, Türk Romanına Eleştirel Bir Bakış,1.c.İletişim Yayınları,1994.

8. Uyguner, 1992 – Uyguner, Muzaffer, Halide Edip Adıvar,Altın Kitaplar Yayınevi,İstanbul,1992

PR-ი როგორც პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილების ბერკეტი

Maia Jakhaia
Otar Baghaturia
Georgian Technical University, Georgia

ბელარუსში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო პოსტსოციალისტურ ტრანსფორმაციის გარდაუვალობა და მასში ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მუდმივი, გამართული ორმხრივი კომუნიკაციის, საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობა. პოსტსოციალისტურ ტრანსფორმაციაში შეფერხებული ქვეყნების (ბელარუსი, უკრაინა, საქართველო) პოლიტიკაში საზოგადოებრივი ურთიერთობების გაუაზრებლობამ და გამოუყენებლობამ შექმნა ის კრიზისები, რომელთა წინაშეც დღეს აღმოჩდნენ. აღნიშნული ქვეყნების ხელისუფლებანი საბჭოური აგიტპროპის საზოგადოებრივი ურთიერთობებით ჩანაცვლებას აყოვნებენ (ბელარუსის შემთხვევაში შეინარჩუნეს კიდე). დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის, საზოგადოებასთან კომუნიკაციის, უგულვებელყოფა, ქმნის მმართველობის ამ სტილის ბუტაფორიას, ილუზიას იმისა, რომ ქვეყნის მმართველობა, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება მოქმედებს ხალხის, ამომრჩევლის საკეთილდღეოდ. მოჩვენებითი ან გაუკუღმართებული PR კი განაპირობებს ხელისუფლების კრახს. ჯანსაღი დიალოგის შემთხვევაში შედეგი ასეთია: საზოგადოებაში არსებული პრობლემების მაქსიმალური მოგვარების შესაძლებლობა, ხალხის უკმაყოფილების დაბალი კოეფიციენტი, პოლიტიკოსთა და საჯარო მოხელეთა მაქსიმალური პროდუქტიულობა, დემოკრატიის მაღალი ხარისხი და რაც ყველაზე მთავარია პასუხისმგებლიანი სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც გათავისებული აქვს თავისი როლი ქვეყნის, სახელმწიფოს მართვაში და განვითარებაში. საქართველოში 2012-2019 წლებში სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ საჯარო სამსახურებსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაცია 2012 წლამდე არსებულ მდგომარეობასთან მიმართებაში მკვეთრად ნეგატიურ ხასიათს ატარებს. 2012-2014 წლების შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი საზოგადოებასთან ურთიერთობისა, ადრე არსებული პრაქტიკის ინერციის შედეგს წარმოადგენს, უკვე შემდეგ პერიოდში მოხდა თითქმის სრული უგულვებელყოფა PR-ისა საჯარო სამსახურების მხრიდან. ამ სფეროს იგნორირებამ კი მისი გამოსწორების ნაცვლად, ქვეყანა მიიყვანა ეკონომიკურ - სოციალურ - პოლიტიკურ კრიზისამდე, რასაც დაემატა COVID-19-ის პანდემია. მსოფლიოში არსებული კრიზისული მდგომარეობის პირველი ეტაპის ეფექტიანმა გადალახვამ საქართველოს მთავრობის მხრიდან, თითქოს დადებითი ზეგავლენა იქონია საზოგადოების დამოკიდებულებაზე, თუმცა უკვე შემდგომი მოქმედებების ქაოტურობამ და დაუსაბუთებელობამ რომელსაც მანამდე არსებული უამრავი პრობლემა უფრო მძფრად დაერთო თან, კიდევ უფრო დაამძიმა საერთო სურათი და სახეზე გვაქვს საზოგადოების აზრის, პრობლემების გაუთვალისწინებლობა ხელისუფლების მხრიდან, რომელის მსგავსი პროცესებიც საქართველოში ბოლო ათწლეულების მანძილზე რამოდენიმეჯერ განმეორდა და შედეგად მივიღეთ სამოქალაქო ომი, რევოლუცია და 2012-ში თითქმის რევოლუცია. PR-ის არ არსებობას ქვეყნის მართვაში მიყავს ყველაფერი კრიტიკულ წერტილამდე, რადგან ის სხვა არაფერია თუ არა საზოგადოების აზრის გაზიარებისა და გამოყენების მექანიზმი, ამიტომაც PR საუკეთესო ბერკეტია პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასარიდებლად.

საკვანძო სიტყვები: ტრანსფორმაცია, საბჭოური აგიტპროპი, პრობლემა, კრიზისი

PR as a Lever to Avoid a Political Crisis

Current events in Belarus have highlighted the inevitability of post-socialist transformation and the importance of constant, balanced bilateral communications and public relations between government and society. The misunderstanding and misuse of public relations in the politics of countries (Belarus, Ukraine, Georgia) that have stalled in post-socialist transformation have led to the crises they face today. The authorities of these countries do not want to replace the Soviet agitprop with PR (in the case of Belarus, they kept it). Neglect of one of the basic principles of democracy - communication with the public - creates a fake of this style of government, the illusion that the government of the country, elected by the

people, acts for the good of the people, the electorate. Even illusory or perverse PR leads to the collapse of power. In the case of a healthy dialogue, the result is: maximum ability to solve problems in society, a low level of public discontent, maximum productivity of politicians and civil servants, a high degree of democracy and, most importantly, a responsible civil society that plays its role in governing the country and the state. According to the results of surveys conducted by various non-governmental and international organizations in Georgia in 2012-2019, it can be said that communication between public services and the population is sharply negative in relation to the situation before 2012. Relatively high percentage of public relations in 2012-2014 It is the result of the inertia of the previous practice and the almost complete ignorance of PR by public services in the subsequent period. Ignoring this area instead of fixing it has led the country to an economic, socio-political crisis, exacerbated by the COVID-19 pandemic. The effective handling of the first phase of the global crisis by the Georgian government appears to have had a positive impact on public opinion, but the chaos and unjustified follow-up, compounded by many previous problems, exacerbated the overall picture. On their part, similar processes have been repeated in Georgia several times over the past decades, and as a result we got a civil war, a revolution, and in 2012 almost a revolution. The lack of PR in governing the country brings everything to a critical point, because it is nothing more than a mechanism for disseminating and using public opinion, therefore PR is the best lever to prevent a political crisis.

Keywords: Transformation, Soviet agitprop, problem, crisis

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ქვეყნები (საქართველო, ბელორუსია, უკრაინა), საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ქაოსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან რეჟიმის დანგრევას მოჰყვა, ამ ქვეყნების დამოუკიდებლ სახელმწიფოებად განვითარების აუცილებლობა, გამოუცდელობისა და "მმართველებზე" დამოკიდებულების შედეგად ქვეყნების დემოკრატიული განვითარება რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესად იქცა. საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე, შესაძლოა ითქვას, რომ საზოგადოების მოთხოვნილება ეცხოვრათ დემოკრატიულ სახელმწიფოში საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, მაგრამ გასული ათწლეულების მანძილზე, ვერ მოხერხდა არჩევნების შედეგად, ამ მოთხოვნების შესაბამისი მმართველი გუნდების არჩევა, რადგან ყველა შემთხვევაში ხელისუფლებაში მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებმაც მხოლოდ დაპირებებით მოიგეს ამომრჩეველთა გულები, თუმცა შემდეგ ეს დაპირებები დაივიწყეს და ქვეყნების დემოკრატიული განვითარების ნაცვლად, მათი პროგრესის შეფერხება დაიწყო, რადგან ორმხრივი კომუნიკაციის ნაცვლად საზოგადოებასთან პოლიტიკოსები მონოლოგის რეჟიმში ურთიერთობდნენ.

ბელორუსი ცალკე განხილვის თემაა, რადგან აქ მმართველობა 1994 წლიდან ალექსანდრე ლუკაშენკოს ხელშია. ერთპიროვნული მმართველი საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას დემოკრატიას ამოფარებული საბჭოური მეთოდებით მართავს. პანდემიის აფეთქებამ, რომელიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის არჩევნებსაც დაემთხვა, ბელორუსიაშიც გამოიწვია პროტესტის ისეთი ტალღა, რომლის დამალვა, მიჩქმალვა უკვე შეუძლებელი გახდა. ამ კონტექტსში საქართველო ბევრად მომგებიან მდგომარეობაშია, თუ კი შეიძლება ასე განვმარტოთ ის პროცესები, რომლებიც ბოლო 30 წელია საქართველოში მიმდინარეობს. მართალია ამ პერიოდის მანძილზე იყო 9 აპრილი, სამოქალაქო ომი, მოკლეს ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, მოხდა რევოლუცია, ქვეყანამ უამრავი პროტესტის ტალღა გადაიტანა და დემოკრატიულად შეცვალა ხელისუფლება, მაგრამ მუდმივად იყო დარღვეული დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, პოლიტიკოსთა და საჯარო მოხელეთა მხრიდან საზოგადოებასთან კომუნიკაციისა.

PR-საზოგადოებასთან ურთიერთობა, ხშირ შემთხვევაში დაკნინებული ფორმით გამოიყენება, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკოსები და საჯარო სექტორი ამ ერთ-ერთი მთავარი დემოკრატიის პრინციპის, მხოლოდ რამოდენიმე ასპექტს იყენებენ, რაც თავისთავად ასოცირდება საბჭოურ პროპაგანდასა და აგიტაციასთან, ეს კი ხალხში ნეგატიური დამოკიდებულების გამომწვევი ხდება. საზოგადოებრივი ურთიერთობების მეცნიერებად ჩამოყალიბება მე-20 საუკუნის ის მიღწევაა, რომელმაც ბევრ სფეროში მხოლოდ დადებითი შედეგები გამოიღო, რადგან საზოგადოების აზრის გათვალისწინება და მართვა არის ნებისმიერი ქვეყნის, ბიზნესისა თუ კულტურის განვითარების საფუძველი. დემოკრატია - ხალხის მმართველობა, ანუ საზოგადოების მიერ ლეგიტიმაცია მიცემული კონკრეტული ჯგუფის მმართველობა, საფუძველშივე გულისხმობს PR-ის პოლიტიკაში აქტიურ გამოყენებას, რადგან მის გარეშე საზოგადოებრივი აზრის გაგება ვერ ხერხდება. ესაა საშუალება საზოგადოებასთან გამართული, სწორი

კომუნიკაციის დამყარებისა, რომელიც იძლევა პრობლემებისა და კრიზისების თავიდან არიდების შესაძლებლობას.

მიუხედავად ტერმინის PR-ის ზოგადად საზოგადოებრივი ურთიერთობების, როგორც ქვეყნის მმართველობის ბერკეტის მნიშვნელობის დაკნინებისა, საქართველოს მაგალითზე, ის მაინც აქტიურად, თუმცა სახეცვლილად გამოიყენება, თანაც იმდენად ხშირად, რომ, უბრალოდ ტერმინი PR-იც კი საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს. საქართველოს აქვს სამწუხაროდ მანკიერი პრაქტიკა PR-ის შეუსაბამო, არასწორი გამოყენებისა, რაც გამოწვეულია მისი მნიშვნელობის უტრირებით, ან პირიქით, დაკნინებით.

დღეს როდესაც არსებობს უამრავი განმარტება, ბევრი ნაშრომი და მაგალითი საზოგადოებრივი ურთიერთობების ეფექტიანობისა ნებისმიერ სფეროში, საქართველოში, სამწუხაროდ ის ასოცირდება პროპაგანდასა და რეკლამასთან, ან სულაც საზოგადოების მოტყუებასთან, რაც აპრიორშივე შეცდომაა.
თუკი მოვახდენთ კომუნიკაციის პროცესის მოკლე ანალიზს, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შორის, მარტივად შეიძლება მისი მნიშვნელობის ხაზგასმა. საზოგადოებასთან ურთიერთობის დადებითი მხარე - საჯარო სექტორმა და პოლიტიკოსებმა იციან ხალხის პრობლემების შესახებ პირველწყაროდან (ანუ თავად საზოგადოებისგან), უარყოფითი მხარე - შესაძლოა კომპეტენციის ნაკლებობის გამო ვერ მოხერხდეს დიალოგის გამართვა, (სწორედ ამიტომ არის საჭირო სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწა ამ ორი PR-ისა და PA-ის სპეციალობის გადაკვეთაზე, რაზეც არაერთ ნაშრომშია საუბარი). ასევე ამ ტიპის დიალოგის შედეგად შესაძლოა თავიდან იქნას აცილებული გაუთვალისწინებელი საბიუჯეტო ხარჯები და რაც ყველაზე მთავარია, შედეგად ჩნდება კმაყოფილი მოსახლეობა და ქმედითი მმართველობა. ასევე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, საზოგადოებასთან კომუნიკაცია თითოეულ მოქალაქეს აკისრებს გადაწყვეტილების მიღების და მასზე პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობას, რაც პერსპექტივაში წარმოშობს აქტიურ, ქმედუნარიან სამოქალაქო საზოგადოებას. კომუნიკაციის პროცესის შესაძლებლობებში მოიაზრება პრობლემების პრევენცია, ხოლო საფრთხეს წარმოადგენს პროცესის მართვა, რომელიც შესაძლოა აცდეს მიზანს, ან თავად კომუნიკაციის პროცესი წარიმართოს არასწორად.

სახელმწიფოს მართვა მრავალწახნაგოვანი და რთული პროცესია. არჩევნები რომელთა შედეგადაც ცივილიზებულ სამყაროში ხდება ხელისუფლებათა ცვლილება ავალდებულებს სახელმწიფოს მართვაზე პასუხისმგებლობის ამღებ პირებს, რომ შეასრულონ სამი ძირითადი ფუნქცია:

- ✓ სამთავრობო ამოცანების შესრულება;
- ✓ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკურ-უწყებრივი სისტემის ძირითადი კომპონენტების ფუნქციონირებისა და რეპროდუქციირების უზრუნველყოფა;
- ✓ სათანადო წონასწორობის დაცვა, ვინაიდან მთავრობის გეგმის შესასრულებლად საჭიროა ცვლილებების შეტანა სახელისუფლებო სტრუქტურების ზოგიერთ კომპონენტში ან მათ შორის ურთიერთობაში.

წარმოშობის წყაროსა და შინაარსის შესაბამისად სახელმწიფო მართვის ძირითადი მიზნების სახეები ასეთ სტრუქტურას იძლევა:

- საზოგადოებრივ პოლიტიკური - მოიცავს საზოგადოების ერთიან, დაბალანსებულ და ხარისხობრივ განვითარებას
- სოციალური - გულისხმობს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე, მისი ელემენტების ურთიერთქმედებაზე, ადამიანის სოციალურ ყოფასა და დონეზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნების ასახვას.
- სულიერი - ერთ ასპექტით - იმ სულიერი ფასეულობების გაერთიანებაა, რომლითაც ხელმძღვანელობს საზოგადოება, მეორე ასპექტით - საზოგადო-ების სულიერი პოტენციალის ჩართვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სხვა მიზნების რეალიზაციის საქმეში.
- ეკონომიკური - იმ ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის მახასიათებლები და დამამკვიდრებელია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადებრივ-პოლიტიკური და სხვა მიზნების მატერიალური საფუძვლების შექმნას

- საწარმოო - შედგება იმ მართვადი ობიექტების შექმნისა და მხარდაჭერისაგან, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ მიზნებსა და ხელს უწყობენ მის განხორ-ციელებას
- ორგანიზაციული - მიმართულია სახელმწიფო მართვის ობიექტსა და სუბიექტში არსებული ორგანიზაციული პრობლემების გადაწყვეტისაკენ. შესაბამისი ფუნქციონალური და ორგანიზაციული სტრუქტურების აგება.
- მოქმედებით-პრაქსიოლოგიური (პრაქსიოლოგიური მიდგომა - ეს ეკონომიკური თეორიის დებულებაა-გასული საუკუნის პროდუქტი. 1912 წლიდან დასაბამი მიეცა ეკონომიკური თეორიის ახალ მიმართულებას პრაქსიოლიგიას /ბერძნული სიტყვა „პრაქსის“ აღნიშნავს „საქმიანობას“ ფართე გაგებით/, რომელიც ამტკიცებდა, რომ: ეკონომიკა არ არის ობიექტური პროცესი, ისეთივე, როგორც ფიზიკური ან ქიმიური პროცესი მიმდინარე ადამიანის ჩარევის გარეშე. ეკონომიკა ეს სუბიექტური პროცესის ობიექტური გამოვლინებაა, რომელსაც ადამიანები ახორციელებენ. პრაქსიოლოგია - ეს არის მეცნიერება ადამიანის საქმიანობის საერთო პრინციპების შესახებ.) - განსაზღვრავს კონკრეტული სტრუქტურების, სამსახურებრივი და სამუშაო ადგილების მიხედვით საქმიანობის განაწილებასა და რეგულირებას. [1; 2; 3]

თითუეული მიზანი ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას და მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მოიაზრებს რა საკუთარ თავში კომუნიკაციას და მოსახლეობის ჩართულობას ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესებში.

საჯარო სფეროს PR- ის ძირითადი მიზნებია:

1. პოლიტიკური კომუნიკაცია:
   - ✓ საზოგადოების ინფორმიება ახალ ან შემოთავაზებული ბიუჯეტიზე, პოლიტიკაზე, კანონებზე
   - ✓ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის უზრუნველყოფა
2. საინფორმციაო სამსახურების შექმნა:
   - ✓ მათი ამოცანაა მოახდინონ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის ინფორმირება სამთავრობო ინფორმაციის ტიპების შესახებ, რომელიც საზოგადოდ ხემისაწვდომია;
   - ✓ ყოველდღიურად შასრულონ მთავრობის „მომხმარებელთა მომსახურეობის“ ფუნქცია;
3. ინსტიტუციების პოზიტიუტი იმიჯის ჩამოყალიბება და დაცვა:
   - ✓ ინფორმირების გზით მოკლე და გრძელვადიანი საზოგადოებრივი მხარდაჭერა უზრუნველყოს მთავრობის განყოფილებებისადმი;
   - ✓ გაავრცელოს ინფორმაცია ამ სააგენტოს მისიის, საქმიანობის, მასში მომუშავე კადრების შესახებ.
4. საზოგადოებასთან უკუკავშირის უზრუნველყოფა:
   - ✓ პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიმღები პირების ინფორმირება საზოგადოებრივი აზრისა და მათი საჭიროებების შესახებ;
   - ✓ სოციოლოგიური კვლევები, ნიადაგის ზონდირება.

აღნიშნული სფერო კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, რომელიც უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ებრძვის ოკუპანტს, ცდილობს საკუთარი ქვეყნის იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური მდგომარეობის მოგვარებას, ვერა და ვერ ამოდის საბჭოური მენტალური თუ მატერიალური დეგრადაციიდან, ებრძვის სიღარიბეს, უმუშევრობას, ქვეყნის მოსახლეობის საკმაოდ დიდ პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც დუხჭირ სოციალურ მდგომარეობაშია და ამ უამრავი პრობლემის ფონზე ცდილობს დასავლურ ინტეგრაციას, რაც პირველ რიგში სწორედ საზოგადოების ყოფის, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას გულისხმობს. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაძლებლობები ქართულ საჯარო მმართველობაში წარმოადგენს მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს. [4;5;6]

ზემოაღნიშნული ზოგადი მისიის კონტექსტში, ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ვალდებულება და ფუნქციაა: საზოგადოებისაგან, მისივე აზრის გაგება, ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, საზოგადოების მოლოდინის პროგნოზირება და შეკვეთის მიღება, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირება ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე, საზოგადობრივი აზრის ფორმირება და ამა თუ იმ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად მისი აზრის მობილიზება და ბოლოს საზოგადოებრივი დისკუსიის წარმართვა ქვეყნისა და საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ. სწორედ აღნიშნული ფუნქციების რეალიზება უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივი ურთიერთბების მეშვეობით.

რთული განსასაზღვრია პოსტსოციალური ტრანსფორმაცია საქართველოში შეფერხებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს იგნორირების გამო, თუ პოსტსოციალური ტრანსფორმაციის იგნორირების გამო არის შეფერხებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სფერო.

აუცილებელია საზოგადოებრივი ურთიერთობების საჯარო სექტორში არსებულ პრობლემებზე საუბარი დაიწყოს ზოგადად PR-ის განმსაზღვრელი ცნებების გახსენებით, რათა დასაწყისშივე ხაზი გაესვას მიმართულებას, რომლითაც იხსნება თემის და პრობლემის აქტუალურობა: წინასწარგანსაზღვრული, დაგეგმილი, საზოგადოებრივი ინტერესი, ორმხრივი კომუნიკაცია, მმართველობითი ფუნქცია. ამ მმართველობის ბერკეტის გამოყენება უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდებას, რომელიც შინაარსობრივად არც გააზვიადებს მოვლენას და არც პირიქით დააკნინებს მას. ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების ფართო მასებამდე მიტანა ძალიან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და უნდა უზრუნველყოფდეს როგორც საზოგადოების ინტერესისი დაკმაყოფილებას ასევე მის უსაფრთხოებას, სწორედ ამიტომ არის PR ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მართვის ბერკეტი. [7]

საზოგადოებასთან ურთიერთობა, იგივე PR, დღეს, საქართველოში არასწორად აღქმალ ტერმინად ჩამოყალიბდა, რადგან პოსტსოციალისტურ ტრანსფორმაციაში შემოჭრილი საზოგადოებრივი ურთიერთობების გაგება 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად ასცდა მის რეალურ მნიშვნელობას, ბევრს პოლიტიკურ და მედია სივრცეში შეექმნა წარმოდგენა, რომ PR არის ყველაფერი და სხვა ყველაფერი უმნიშვნელოა, ამიტომაც საქართველოში 21-ე საუკუნის პირველი ათწლეული, წავიდა ნიშნით PR ყველაფერია, რაც რა თქმა უნდა, დამღუპველი შეცდომა იყო ნაციონლური მოძრაობის ხელისუფლებისათვის, რომელსაც მხოლოდ PR-ზე ჰქონდა აღებული ორიენტაცია, რეალურად კი მათ მიერ ამ ტერმინის გამოყენება სხვა ტერმინს ანაცვლებდა და იყო არა PR (Public Relations)-საზოგადოებასთან ურთიერთობა, არამედ პროპაგანდა, ფაქტობრივად ნაც. მოძრაობა არ ურთიერთობდა საზოგადოებასთან, ის უბრალოდ გადაწყვეტილებების სისწორის პროპაგანდას ეწეოდა. ამის საპასუხოდ ქართული ოცნების ხელისუფლება მაქსიმალურ დისტანცირებას ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობებისგან, შიშობს რა, არ გადაიჭრას ისევ PR კამპანიებში, არასწორად გაგებულ PR-ში ანუ პროპაგანდისტულ PR-კამპანიებში და წარმოსახვით, ვირტუალურ საქართველოს მშენებლობაში. რა თქმა უნდა კარგია, რომ ამას ვცილდებით, მაგარამ გვავიწყდება, რომ PR-(საზოგადოებრივი ურთიერთობები) არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის.

ობიექტურ რეალობაში, პრობლემა მდგომარეობს ერთდროულად მრავალი სფეროს განვითარების შეფერხებაში: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო და ა.შ.; მათ შორის საზოგადდოებასთან ურთიერთობების.

PR პროცესის ილუსტრირებისთვის საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს ჯონ მარსტონის[1] აკრონიმი RACE (Reserch, Action, Comunication, Evalution).

- Reserch - ანალიზი _ როგორ/ რა სიტუაციში რა პრობლემასთან გვაქვს საქმე?
- Action - დაგეგმვა _ რა უნდა გაკეთდეს ამ სიტუაციაში?
- Comunication - კომუნიკაცია _ როგორ ვისაუბროთ საზოგადოებასთან?
- Evalution - შეფასება _ როგორ დავამყარეთ კომუნიკაცია და რა ეფექტი მივიღეთ? [8]

ეს აკრონიმი იძლევა საშუალებას, საფუძვლიანად მოხდეს PR-ის ფუნქციის გამოყენება, ნებისმიერ სფეროში.
სემ ბლექი კი თავის ნაშრომში გამოყოფს იმ რამოდენიმე აუცილებელ სფეროს, რომელშიც PR-ი აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად:

1. ენერგორესურსების დაზოგვა;

1 ჯონ მარტონი (1836-1918) იყო წარმატებული ვიქტორიანელი ველოსიპედების, მოტოციკლებისა და მანქანების მწარმოებელი და კომპანია Sunbeam დამფუძნებელი Wolverhampton. მისი კომპანია იყო ასევე ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მწარმოებლები და პასუხიმსგებელი იაპონური პროგრამული უზრუნველყოფისა. ის იყო Wolverhampton მერი ორი წლის განმავლობაში და გარდაიცვალა 1918 წელს ასაკში 82.

2. ბუნებრივი რესურსების დაცვა და დაზოგვა;
3. გარემოს დაცვა;
4. ადამიანის უფლებების დაცვა;
5. მოქალაქეების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა;
6. ინვესტიციების დაცვა;
7. საქონლისა და მომსახურეობის ხარისხისა და უსაფრთხოების დაცვა. [9]

PR-არის ურთიერთობებისა და უკუკავშირის დამყარება-შენარჩუნების გრძელვადიანი, დაგეგმილი მოქმედება, რომელიც ამყარებს კეთილგანწყობას საზოგადოებასა და ორგანიზაციას, ხელისუფლებას შორის.

PR ერთდროულად არის იდეოლოგიაც და მართვის მექანიზმიც, მაგრამ პირველ რიგში ის დემოკრატიის პრინციპია, რომელიც რეალურად ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, სახელმწიფო იქნება ეს თუ კერძო, ვინაიდან საზოგადოებრივი აზრი განსაზღვრავს მათ ფუნქციონირებას და არსებობას. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ PR არ არის ყველაფერი, მაგრამ მის გარეშეც შეუძლებელია ნაყოფიერი ეფექტიანი მუშაობა.

პოლიტიკური კრიზისის თავიდან არიდებისა და არსებულის მოგვარებისათვის PR წარმოადგენს საუკეთესო გამოსავალს, ამის დასანახად და აღსაქმელად კი საჭიროა რამოდენიმე მსოფლიო და არამხოლოდ მაგალითის მოყვანა.

PR-ის პოლიტიკური კრიზისს მართვისა და თავიდან აცილების მაგალითად გამოდგება პრეზიდენტ ვუდრო უილსონის[2] მიერ პირველი მსოფლიო ომის დროს შექმნილი საჯარო ინფორმაციის კომიტეტი, რომელსაც ჯორჯ კრილი[3]. ამ ცენტრის ამოცანა იყო საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, როგორც ქვეყნის ომში მონაწილეობაზე, ასევე ვ. ვილსონის სამშვიდობო პოლიტიკის წარმოებაზე, რადგან საზოგადოების აზრი ორად ომის დაწყებინდანვე გაიყო. კომიტეტმა მუშაობა დაიწყო გამოცდილებისა და ბერკეტების გარეშე, ამიტომაც საჭირო იყო მუდმივი იმოპროვიზაცია. იმ დროისათვის არ იყო განვითარებული ტელე- რადიო ჟურნალისტიკა, ამიტომ კომიტეტმა მოხალისეებისაგან შექმნა მობილური ჯგუფები, რომლებმაც თითქმის 3000 საგრაფო მოიცვეს. დეპეშების მიღებისთანავე ეს მოხალისეები ავრცელებდნენ სიახლეებს 4 წთ-ში, ყველა ისეთ ადგილას სადაც საზოგადოების დიდი ნაწილი იკრიბებოდა სკოლებში, ეკლესიებში, კლუბებში და ა.შ. სწორედ ინფორმაციის გავრცელებისათვის საჭირო დროის გამო ამ მოხალისეებს „For Minutmen" დერქვათ. ომის დასრულებისთვის მოხალისეების რაოდენობა 400-ათასამდე იყო.

ამასთანავე კრილმა და მისმა თანაშემწე კარლ ბიიორმა მოიწვიეს პროფესიონალები და შექმნეს კიდევ ერთი ქსელი, როგორც მტრებზე ასევე ამერიკის მოქალაქეებზე ზეგავლენის მოსახდენად. კომიტეტი დაყოფილი იყო რამდენიმე სამუშაო მიმართულების მიხედვით: ახალი ამბების, უცხოური მედიისა და სხვა ბეჭდური მასალების, ფილმების, სამხედრო გამოფენების, მრეწველების/ სამომხმარებლო დარგის, სარეკლამო და კარიკატურული სექციები. ყველაფერი ეს ეფექტიანად გამოიყენებოდა ერის ერთსულოვნებისათვის და მტრის საწინააღმდეგოდ.
პირველი მსოფლიო ომის დროს Public Relations-ის სკოლის გავლა ბევრს მოუწია, მათ შორის კარლ ბიორს, რომელმაც 1930 წელის დასაწყისში შექმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფირმა, რომელიც მომავალში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერი გახდა ამერიკაში და ედუარდ ბერნეისი, რომელმაც PR-ის თეორიის და მეთოდიკის შემუშავება დაიწყო.[10]

PR-ის პოლიტიკაში გამოყენების პირველი პრეცენდენტი უკავშირდება დიდი ბრიტანეთის საპენსიო რეფორმას. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამშობლო ამერიკაა, ხოლო მისი საჯარო სფეროში და

2 ტომას ვუდრო უილსონი (1856- 1924წწ). აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი (1913-1921). იგი აშშ-ის წამყვანი ინტელექტუალი იყო. მუშაობდა პრინსტონის უნივერსიტეტის პრეზიდენტად 1902-1910 წლებში. იყო ნიუ-ჯერსის შტატის 34-ე გუბერნატორი 1911-1913 წლებში. დემოკრატმა უილსონმა 1912 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელების ხმების თეოდორ რუზველტისა და უილიამ ჰოვარდ ტაფტს შორის ხმების გაყოფის ხარჯზე გაიმარჯვა.

3 ჯორჯ კრილი-(1876-1953წწ) - ჟურნალისტი და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პრეზიდენტ ვუდრო უილსონის მიერ შექმნილი საჯარო ინფორმაციის კომიტეტის ხელმძღვანელი.

სახელმწიფო დონეზე აყვანა უკვე ინგლისის დამსახურებაა. დევიდ ლოიდ ჯორჯი[4] ამბობდა: „საზოგადოების მხარდაჭერითა და გაგებით გაცილებით ადვილია მიაღწიო დასახული მიზნის წარმატებით განხორციელებას, ვიდრე საზოგადოების გულგრილობითა და ოპოზიციაში ყოფნით, ამიტომ საზოგადოებასთან ურთიერთობა ეს არის მიმღებლობის, ნდობის, რეპუტაციის ჰარმონიისა და ურთიერთგაგების დამკვიდრება, რომელიც სიმართლესა და მაქსიმალურ ინფორმირებულობას ეფუძნება.“[11]

საზოგადოებრივი ურთიერთობები როგორც მმართველობის ბერკეტი და საშუალება, წარმოადგენს მართვის კიბერნეტიკული მოდელის ერთ-ერთ მთავარ რგოლს, ვინაიდან სწორედ უკუკავშირი საზოგადოებასთან განაპირობებს მმართველობის ეფექტიანობასა და ხარისხს. [12]

PR-ის კრიზისი ქვეყანის მმართველობაში = პოლიტიკურ კრიზისს, სამწუხაროდ სწორედ ახლა წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების შემდეგ ნათელი გახდა, რომ მმართველი გუნდის მხრიდან კომუნიკაცია ამომრჩეველთან იმდენად არაეფექტური იყო თავად წინასააერჩევნო პროცესშიც კი, რომ ხელისუფლებას ოპოზიცია და მათი მხარდამჭერები, ფაქტებითა და არგუმენტებით არჩევნების ტოტალურ გაყალბებას ედავებიან და უკვე დღეს მოითხოვენ არჩევნების ხელახალ ჩატარებას.

PR-ის პროპაგანდისტული ნაწილის გამოყენების ნათელი მაგალითი იყო საარჩევნო ციებრ-ცხელებისას დავით გარეჯის საკითხის და ე.წ. „კარტოგრაფების“ საქმის გახმაურება, ასევე უკვე 8 წლის წინ დასრულებული 9 წლიანი რეჟიმის „შეხსენება“, საზოგადოების იმ პერსონებით დაშინების მცდელობა, რომლებსაც არაერთი დანაშაული უკავშირდებათ წარსული მმართველობისას.

საინტერესო იყო თავად პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სარეკლამო კამპანიები, რომლებშიც გათვალისწინებული იყო უამრავი მნიშვნელოვანი, მაგრამ მცირე დეტალი. მაგალითად, როდესაც გიროგი ვაშაძის ჩაწერილი ხმა სატელეფონო ზარით მოუწოდებდა მოქალაქეებს არჩევნებზე მისვლას და მხარდაჭერას, როდესაც ევროპული საქართველოს ვიდეო რგოლი პირდაპირ, ორ მთავარ ოპონენტს აჩენდა ტირანებად, როდესაც პარტია „ლელოს“ სახელიც კი პირდაპირ უკავშირდებოდა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სპორტის სახეობას და ლოზუნგის მოსმენისას თითოეულ მოქალაქეს უტოვებდნენ აღქმას იმისა, რომ ის მთავარი მოქმედი პირია ქვეყნის განვითარებაში და სხვა. თითოეული ჩამოთვლილი და კიდევ უამრავი სხვა შემთხვევა, თუ ფაქტი, ისევე როგორც სახელისუფლებო გუნდის წინასაარჩევნო კამპანია ცალმხრივი კომუნიკაციის ნათელი მაგალითია, პოპულისტური ვიდეორგოლები და საუბრები მოსახლეობის დიდ მასებთან, მაშინ როდესაც PR ერთმნიშვნელოვნად უკუკავშირზე დაფუძნებული დისციპლინაა. სწორედ აქედან გამომდინარე მტკიცდება რომ PR-ის კრიზისი სახელმწიფოში პოლიტიკური კრიზისის პირდაპირპროპორციულია, რადგან საბოლოოდ საქართველოში გვაქვს რეალობა, სადაც საპარლამენტო არჩევნები რომელიც ქვეყანას განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანდა და შექმნიდა სახელმწიფოში პირველ პრეცენდენტს მრავალპარტიული პარლამენტის არსებობისა საფრთხის ქვეშაა, რაც თავისთავად ნიშნავს ქვეყნის შიგნით არეულობას და ქვეყნის გარეთ პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების ნდობის კოეფიციენტის დაქვეითებას.

ბოლო წლების მანძილზე განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა საკმაოდ რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაში სწორედ საზოგადოებასთან კომუნიკაციის არარსებობის გამოა და ეს მმართველობის ყველა დონეზე ჩანს სამწუხაროდ.

ქვეყანაში, რომელშიც რეფერენდუმი ბოლოს 12 წლის წინ, 2008 წელს ჩატარდა და მოსახლეობამ ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გამოთქვა საკუთარი მოსაზრება (რეფერენდუმის კითხვა: „უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?“ მონაწილეთა რაოდენობა: 1,760,271 დადებითად 77% გასცა შეკითხვას პასუხი) საზოგადოების აზრითა და დამოკიდებულებით სხვა, უამრავ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლება არ

3 დევიდ ლოიდ ჯორჯი (დიდი ბრიტანეთის უკანასკნელი პრემიერ მინისტრი ლიბერალური პარტიიდან 1916-1922 წწ)

დაინტერესებულა, არ მოუსმენია საქართველოს მოსახლეობის აზრი, ისევე როგორც მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ბოლო რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე გაცვეთილ თემად იქცა „PR“ პოლიტიკასა და საჯარო სივრცეში, ამასთანავე ზოგადად საზოგადოებაში, რაშიც ბრალი მიუძღვის დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას (არ აქვს მნიშვნელობა პარტიას, ამ შემთხვევაში იგულისხმება, როგორც ნაც. მოძრაობა ასევე ქართული ოცნება) თუ კი ნაციონალური მოძრაობა დასაწყისში ინტენსიურად მიმართავდა საზოგადოებასთან ურთიერთობას, ამას წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით პროფესიონალურად აკეთებდა, თუმცა შემდგომში გამოიკვეთა გადახრა PR-ისგან, ხელისუფლებამ PR-ის მთავარი არსი საზოგადოებასთან კომუნიკაციისა უგულვებელყო და დაიწყო ყველასთვის კარგად ნაცნობი ფასადური გამოსვლები და ქმედებები, რომლებიც არ ისახავდა მიზნად ხალხთან ურთიერთობას, მოვალეობის მოხდის მიზნით კეთდებოდა ხმამაღალი განცხადებები და ხალხის მოკლევადიანი აღფრთოვანების გამოწვევა, გარკვეული პერიოდის მანძილზე ეს პროპაგანდისტული, პოპულისტური ქმედებები ჭრიდა, თუმცა ბოლოს საზოგადოებას მობეზრდა ე. წ. PR, ანუ პროპაგანდა, გაჩნდა განცდა იმისა, რომ ახალმოდური, დასავლური ტერმინი PR ანაცვლებდა ძელმოდურ საბჭოურ პროპაგანდას.

იყო პოლიტიკოსი ნიშნავს იმას, რომ იყო კარგი კომუნიკატორი და არა უბრალოდ კარგი სფიქერი ან ორატორი, მითუმეტეს როდესაც ქმედება და საუბარი თანხვედრაში არაა. ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაცია სრულყოფილია მაშინ, როდესაც ის ორმხრივია და შეიცავს უკუკავშირის რგოლს, რაც ნაციონალურ მოძრაობას სამწუხაროდ აღმოჩნდა რომ სრულებით არ აინტერესებდა. მათი მთავარი მიზანი იყო საზოგადოებისათვის თავბრუს დახვევა და რეალური მოვლენებისგან ყურადღების მაქსიმალური გადატანა არც ისე მნიშვნელოვან და უფრო ხშირ შემთხვევაში სრულიად უმნიშვნელო საკითხებზე. [1]

ასეთმა ქმედებებმა გამოიწვია საბოლოოდ ხალხის აღელვება და პროტესტი, რომელმაც სავალალო შედეგი გამოიღო ნაციონალური მოძრაობისათვის. მარტივად რომ აიხსნას PR-ის კონკრეტულმა ნაწილებმა, რომლებიც საკომუნიკაციო პროცესის შემადგენლობაში შედის, მაგრამ არ გულისხმობს და არ მოიაზრებს საკუთარ თავში PR-ს მთლიანად, საზოგადოება მიიყვანა პროტესტამდე, ნაციონალური მოძრაობა კი მმართველობის დასასრულამდე და რაც ყველაზე ცუდია, მოხდა PR მნიშვნელობის დაკნინება და უკვე დღეს მისი უგულვებელყოფა, რაც ასევე ნაგატიური და არაპროდუქტიულია სახელმწიფოსთვის, მისი დემოკრატიული განვითარებისთვის.

თვალსაჩინოებისათვის შესაძლოა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტის ჩამოთვლა, თუ რა ტიპის პოლიტიკური კრიზისი შეიძლება გამოიწვიოს კომუნიკაციის არაარსებობამ საზოგადოებასთან, როგორც საქართველოში ასევე მსოფლისო სხვა ქვეყნებშიც :

- 2003 წელი ვარდების რევოლუცია, რომელიც სიდუხჭირისა გარდა, საზოგადოების მოტყუებისა და მასთან დიალოგის არქონამ გამოიწვია;
- 2004 წლის უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუცია;
- 2012 წლის ოქტომბერი, როდესაც ოდესღაც პროგრესულმა ხელისუფლებამ PR-ის გამოყენება დაიწყო საკუთარი სარგებლისთვის და არა ქვეყნისთვის;
- 2012 წელს ისლანდიის გაუხმაურებელი რევოლუცია;
- 2018 წლის მაისის გამოსვლები. ღამის კლუბ „ბასიანის“ დარბევის შედეგად გამოწვეული მსობრივი გამოსვლები;
- „თეთრი ხმაურის“ მოძრაობის პერიოდული, მასშტაბური გამოსვლები 2016 წლიდან 2018 წლამდე;
- 2019 წლის 20 ივნისი („გავრილოვის ღამე“) მსობრივი საზოგადოებრივი პროტესტი;
- ბელორუსია, როგორც ინფორმაციული ვაკუუმისა. პროპაგანდისტული კომუნიკაციისა და ერთპიროვნული მმართველობის სტილი, რამაც გამოიწვია საზოგადოების აფეთქება;
- და ბოლოს სასაცილო, მაგრამ თვალსაჩინო 2020 წლის რეაბილიტირებული ჭავჭავაძის გამზირი, რომელმაც სამგზავრო კოლაფსი გამოიწვია, რასაც მოჰყვა უკმაყოფილო მოსახლეობა, უძრავი ქონების ფასების ვარდნა და ქალაქის ერთ-ერთი დიდი უბნის საცობით პარალიზება.

ინფორმაციული ავტორიტარიზმისა და მასობრივი პროპაგანდის პირობებში კრიზისული სიტუაციების მატება და მათი მოუგვარებლობა კიდევ უფრო მძიმე ხასიათს იძენს. ამასთანავე მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებების მიზანმიმართულად მიკერძოებული მუშაობა და ხშირ შემთხვევაში პოლარიზება საზოგადოებას სრულ გაურკვევლობაში ამყოფებს. მკვეთრად ოპოზიციური და კრიტიკული ტელევიზიების ხელისუფლების მხრიდან დემონიზება და დაკნინება, სოციალურ ქსელებში ტროლებისა და ბოტების უპრეცენდენტო რაოდენობა, რომელთა მთავარი ფუნქცია ხელისუფლების მხარდაჭერა და განსხვავებული აზრის დაკნინება და გაქრობაა, იწყებს საზოგადოების გაღიზიანებას და სობოლოოდ უკვე მერამდენედ საქართველოს ისტორიაში ქვეყნის ბედი დიდი ალბათობით ქუჩის აქციებითა და პროტესტებით გადაწყდება, რაც პირველ რიგში აზიანებს საზოგადოებას და ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას, როგორ დემოკრატიულადაც არ უნდა აჩვენებდნენ მიმდინარე პროცესებს ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც დემონსტრაციებს ქვეყანაში არსებულ „სიტყვის თავისუფლებად“ ასაღებენ.

საზოგადოებრივი აზრი, როგორც მამოძრავებელი, მასტიმულირებელი ძალა და საზოგადოებრივი აზრი როგორც შედეგი სახელმწიფო სტრუქტურის მუშაობისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი უნდა იყოს. თავად ტერმინოლოგიის არასწორი მიწოდება-აღქმის შედეგად, როცა მთავრობამ PR არა მისი ძირეული პრინციპის შესაბამისად გამოიყენა, არამედ პროპაგანდის ნაწილად დღეს კომუნიკაცია საზოგადოებასა და საჯარო სფეროს შორის უგულვებელყოფილია რომელიც რეალურად მმართველობის აუცილებელი ნაწილი. სახელმწიფოს განვითარებისათვის აუცილებელია PR, კომუნიკაცია პოლიტიკოსათა და საჯარო მოხელეთა მხრიდან საზოგადოებასთან, PR-ის არასწორი, არამიზნობრივი გამოყენება კი ყველა შემთხვევაში დამღუპველია.

საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდი დასრულებული და ცდილობს დამოუკიდებულობის აღდგენის შემდეგ განვითარდეს, როგორც დემოკრატიული, სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო, სწორედ ამიტომ საჯარო უწყებები და მთავრობა უნდა უზრუნველყოფდეს PR-ის სწორი გამოყენებით საზოგადოების ისეთ ჩართულობას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში, რომლებიც მისცემს საქართველოს მთავარი მიზნის მიღწევის საშუალებას. აუცილებელია სახელმწიფო სამსახურებში საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება და გათვალისწინება რათა საბოლოოდ ქვეყანამ შეძლოს ოკუპანტის ზეწოლისა და აგრესიის მიუხედავად ინტეგრირდეს ევროატლანტიკურ სივრცეში.

საზოგადოების არაინფორმირებულობამ, საზოგადოებრივი ურთიერთობების არ არსებობამ, შეიძლება გააღრმავოს საზოგადოების პოლარიზაცია და გაზარდოს აგრესიის მუხტი და შესაბამისად კვლავ შეაფერხოს ტრანსფორმაციის, მოდერნიზაციის და დემოკრატიზაციის პროცესი და შეუქმნას დამატებითი საფრთხეები და მოწყლვადობის კერები, როგორც ქართული საზოგადოების კონსოლიდაციას, ასევე საშინაო და საგარეო ვითარების და განვითარების ვექტორის სტაბილურობას და ზოგადად სახელმწიფოებრიობასაც კი.

სემ ბლეკი[5] კი ასე ხსნიდა PR -ის მნიშვნელობას: “Public Relations- ეს ჰარმონიის მიღწევის ხელოვნება და მეცნიერებაა ურთიერთგაგების საშუალებით, რომელიც სიმართლესა და მაქსიმალურ ინფორმირებულობას ემყარება“

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავტორთა კოლექტივი: ა. ცინცაძე, გ. ბაღათურია, ქ. ქოქრაშვილი, მ. მამარდაშვილი, გ. ხომერიკი, ო. ბაღათურია, ვ. მკრტჩიანი - ,,სახელმწიფო პოლიტიკა (Public Police) შესავალი სპეციალობაში“ დამხმარე სახელმძღვანელო, 2002 წ.
2. შ. დოღონაძე, ო. ქოჩორაძე „საქმიანი ურთიერთობები“ თბილისი 2013
3. ს. ლომინაძე „PR- კამპანიები PR - პრაქტიკაში“ თბილისი 2009,

4 სემ ბლექი- (1915-1999 წწ.) საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტის შემქმნელი (IPR) 1948 და International Public Relations Association (IPRA) 1955წ. დაწერილი აქვს 18 სახელმძღვანელო საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ

4. ზ. დევდარიანი, მ. დარჩია, მ. ტლაშაძე „აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან“ საქართველოს გაეროს ასოციაცია, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2001;
5. სადოქტორო ნაშრომი მ. ჯახაია 2019 წ. თბილისი „საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემა საქართველოს საჯარო მმართველობაში - გამოწვევები, შესაძლებლობები“
6. მ. ქავთარაშვილი „იმიჯმეიკინგი, როგორც პიარტექნოლოგია“
7. სამაგისტრო ნაშრომი მ. ჯახაია 2016 წ. თბილისი. „საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობა საჯარო მმართველობის კიბერნეტიკულ მოდელში“
8. P. H. Ault, W. K. Agee, G. T. Cameron “Essentials of Public Relations“ „By Adisson – Wesley Educational Publishee I.nc“ 2001
9. С. Блек „Паблик рилеишенз, что это токое?“ „Модино пресс“ 2012.
10. Г. Королько „Основы паблик рилеишенз“ Питер 2000
11. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ უკანასკნელად გადამოწმებულია 31.10.2020
12. გ. ბაღათურია, ო. ბაღათურია „სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში“ თბილისი 2015წ.

ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფანი“ პანდემიის პირობებში

Zurab Garakanidze
International Black Sea University, Georgia

2000-დან 2015 წლამდე პერიოდში გაზის მსოფლიო მოხმარება თითქმის 45% -ით გაიზარდა - 2405-დან 3469 მლრდ.კუბ.მ– მდე. ბოლო ხუთ წელში მსოფლიო ენერგიო-ბალანსში გაზის წილი ასევე გაიზარდა 22-23% - მდე. ნავთობის ანალოგიური სტატისტიკით, მისი მოხმარება იმავე პერიოდში გაიზარდა მხოლოდ 10-11%-ით, რაც მიუთითებს ბუნებრივი გაზის სერიოზულ კონკურენტუნარიანობაზე, ხოლო სხვა ენერგორესურსებისთვის - მისი სახით სერიოზული ალტერნატივის გამოჩენაზე. პანდემიის დაწყებამდე, გაზის მილიარდებიანმა ბრუნვამ მოგვცა საშუალება გვესაუბრა გაზის ბაზრის ე.წ. გლობალურ სტატუსთან მიახლოების შესახებ. მაკრო-რეგიონებს შორის გაჭიმული გაზსადენებით, ისევე როგორც ტანკერების საზღვაო გადაზიდვების მარშრუტებით, ბოლო წლებში გაზი სულ უფრო ემსგავსებოდა ნავთობს. ბოლო თვეებში კორონავირუსი „კოვიდ19-ის სწრაფმა გავრცელებამ აჩვენა, რომ საქართველოში "ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) პროექტების სრულყოფილად განხორციელებას, რუსეთის პირდაპირი სამხედრო ან "რბილი" ჩარევის გარდა, შეფერხება კორონავირუსის პანდემიიდანაც შეიძლება დაემუქროს. საქმე ისაა, რომ მალე ჩვენი შავი ზღვის პორტებში გაზის გათხევადების ტერმინალების აშენება იქნება საჭირო, რომ კასპიის გაზი ტანკერების საშუალებით გავიდეს მსოფლიო ბაზარზე გათხევადებული (LNG) სახით. თურქმენული გაზის „ტრანსკასპიური გაზსადენით“ (TCP) საქართველოს გავლით დაგეგმილი ტრანზიტის შემთხვევაში, ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) გაზსადენების სიმძლავრეები აღარ იქნება ფიზიკურად საკმარისი კასპიის გაზის გასატანად და საჭირო იქნება ქართულ პორტებში დეგაზაციის (LNG) ტერმინალების აგება ჭარბი თხევადი გაზის წვრილ პარტიებად - ე.წ. „სპოტ-კონტრაქტებით“ საბირჟო ვაჭრობისთვის. ახალი კორონავირუსის პანდემია სავარაუდოდ შეაფერხებს საქართველოს და ევროკავშირის აღნიშნული მიზნების მიღწევას. ამაზე მეტყველებს აზერბაიჯანული გაზის არა პანევროპული, არამედ რეგიონული მასშტაბით - საქართველოსა და თურქეთის გავლით ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადატუმბის გეგმა, რომელიც გაფორმდა 2020 წლის 25 თებერვალს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: საკვანძო სიტყვები: კორონავირუსი, სამხრეთის გაზის დერეფანი, SWAP კონტრაქტი, თხევადი გაზი LNG, „სპოტ-კონტრაქტებით“ მიწოდება, ყარს-იგდირ-ნახჭევანის რკინიგზა, ბაქო-ნახჭევანის გაზსადენი.

The EU South Gas Corridor in the Pandemic Conditions

Between 2000 and 2015, world gas consumption increased by almost 45% - from 2405 to 3469 bcm. The share of gas in the world's fuel and energy balance in last years also increased to 22-23%. According to similar oil statistics, its consumption increased by only 10-11% during the same period, indicating a serious competitiveness of the natural gas with oil, and a serious alternative to the other energy resources. Prior to the pandemic, trillions of turnover of the gas market allowed us to talk about approaching the status of a gas market as the so-called global in terms of gas pipelines stretching between macro-regions, as well as maritime shipping routes. The months-long process of spreading Coronavirus "Covid 19" has shown that the full implementation of the "EU Southern Gas Corridor" (SGC) projects in Georgia, in addition to Russia's direct military or "soft" intervention, will be hindered by the Coronavirus pandemic. Soon, it will be necessary to build gas-liquidation terminals in our Black Sea ports to transport Caspian gas by liquid tankers in the form of liquefied petroleum gas (LNG), which will no longer be physically utilized into the EU's SGC pipes. However, the pandemic of the new Coronavirus may contradict the above-mentioned goals of Georgia and the European Union. Supporters of the pipelines have strong anti-epidemiologists' argument which is very simple - long-term gas contracts based on a pipeline trade, when LNG gas "Spot" trade comparative advantage is that the gas supplier and the gas consumer for decades do not meet each other, they have no social contacts. However, the "Spot" trade requires frequent contacts with maritime transport gas "supply chain" and periodic changes in that supply chains. The future transfer of Azerbaijani gas via Georgia and Turkey to

the Nakhchivan Autonomous Republic according to signed on February 25, 2020 memorandum of understanding between Azerbaijan and Turkey, evidences this.

Keywords: Coronavirus, South Gas Corridor, SWAP Contract, LNG Liquid Gas, Spot agreement, Kars-Igdir-Nakhchivan Railway, Baku-Nakhchivan Gas Pipeline.

შესავალი

2008 წლის აგვისტოს ომით რუსეთმა დასავლეთს ღიად აგრძნობინა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მისწრაფების მიუხედავად, მისი ინფრასტრუქტურა, როგორც „ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის“ შემადგენელი, სრულიად მოწყვლადია. მაშინ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი ევროკავშირის კრიტიკული ენერგო-ინფრასტრუქტურა გადარჩა. საბოლოო ჯამში, თუ 2008 წელს პირდაპირი სამხედრო აგრესიით რუსეთმა ვერ შეძლო “დერეფნის” რომელიმე პროექტის ჩაშლა. თუმცა 2013 წელს მან ვირტუალური „სამხრეთის ნაკადის“ (მოგვიანებით უკვე რეალური „თურქული ნაკადის“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის) ინიცირებით მოახერხა ჯერ გლობალური, პანევროპული “ნაბუქოს”, მოგვიანებით კი მისგან დარჩენილი ნაწილის - „ნაბუქო უესტის“, ხოლო 2014 წელს, საქართველოზე გამავალი “ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის” კიდევ ერთი პროექტის - „თეთრი ნაკადის“ ჩაშლა. სამწუხაროდ, „კოვიდ 19“-ის პანდემიის გამო გლობალიზაციის ლოკალიზაცია/რეგიონალიზაციად ტრანსფორმაციაც „დერეფნის“ პროექტების საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული.

ჯერ კიდევ რფ-საქართველოს ომის შემდეგ განვითარებული ზემოაღნიშნული ნეგატიური პროცესების საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ომის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური საფრთხეების ნეიტრალიზაციის “სივრცითი მოწყობის” პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მიმართულება საქართველოში ლოჯისტიკურ-სატრანსპორტო „ჰაბების“ ჩამოყალიბება იყო. პროგრამა 2016 წლის ზაფხულში მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა, თუმცა მასში დასმული ამოცანები რეგიონალური „ჰაბების“, აგრეთვე გაზსაცავების, ნავთობის ტრანსპორტირებისა და შენახვის ახალი ინფრასტრუქტურის შექმნის შესახებ, არ გადაწყვეტილა. შესაბამისად, ეკონომიკური მეცნიერების დღის წესრიგში დადგა „სივრცითი მოწყობის“ თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლის - გეოეკონომიკის შესწავლის ამოცანა. წინამდებარე სტატია გეოეკონომიკის სწორედ აღნიშნული მიმართულებით განხილვის ინიცირებას ისახავს მიზნად.

სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების გეოეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა

დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიაში გეოეკონომიკის პრობლემის შესწავლის დაწყება მე-20 საუკუნის 90-იან წლებს უკავშირდება. კონკრეტულად, სივრცით მოწყობას შეისწავლის ახალი დისციპლინა - “გეოეკონომიკა”.

გეოკონომიკა მოცემული ქვეყნის სტრატეგიული ანალიზისა და კონკურენტუნარიანობის ინსტრუმენტებს იკვლევს. ის სწავლობს სახელმწიფოთაშორის ეკონომიკურ კავშირებს, რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციას, ეკონომიკის გლობალიზაცია-ლოკალიზაციის პროცესს და ეკონომიკურ კოოპერაციას. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოები საერთო ეკონომიკური გამოწვევების, რისკებისა და საფრთხეების დასაძლევად ერთიანდებიან, მიმდინარეობს ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საინფორმაციო კომუნიკაციების არნახული განვითარება, ქვეყნების ეკონომიკების და საფინანსო სექტორების გლობალიზაცია. ცალკეული ქვეყნების მაკროეკონომიკური პოლიტიკა უკვე აღარ არის მიმართული მხოლოდ შიდა ეკონომიკური ზრდისა და სოციალური საკითხების გადაწყვეტისაკენ დ იგი ეკონომიკური დიპლომატიის ბერკეტადაა გადაქცეული. ჩვენ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ გეოეკონომიკას შევეხეთ რამდენიმე სტატიაში და 2014 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში: „საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები, პერსპექტივები“ [ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე. 2014, გვ. 21].1

ჩვენს ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში ხაზგასმულია, რომ გეოეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ფუძემდებლად ამერიკელი ედვარდ ლუტვაკი გვევლინება [Edward N. Luttwak].2 მან ეს დისციპლინა

დაახასიათა, როგორც სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური ბერკეტებით საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება.

თანამედროვე გეოეკონომიკის აქტუალობა მდგომარეობს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების ბაზრების არა მარტო თავისი ტერიტორიულ-ადმინიტრაციულ საზღვრებში გავრცელებაში, არამედ მათ ექსპანსიაში, ასევე რეგიონალურ მასშტაბებში ამ ბაზრების განვითარებაში. ამა თუ იმ ქვეყნის გეოეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიული მიზანია მაკომპლექტებლების, ნედლეულისა და მასალების მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და კონკურენტული გლობალური/რეგიონალური უპირატესობის მოპოვება. სწორედ ამ კუთხითაა პანდემიის, როგორც გეოეკონომიკური რეგიონალიზაციის გამომწვევი მიზეზის შესწავლა აქტუალური დღეს.

გეოეკონომისტები იკვლევენ რეგიონის ე.წ. სივრცით სამეურნეო პროცესებს და სივრცის გავლენას წარმოების ფაქტორებისა და საქონლის/მომსახურების ნაკადებზე. თუ ეკონომიკური გეოგრაფია იკვლევს საწარმოო ძალების განლაგებას, გეოეკონომიკაში სივრცის ფაქტორი გულისხმობს გეოგრაფიული მდებარეობის გავლენას სხვადასხვა რესურსების გადანაწილებაზე, რეგიონალური საწარმოო კვანძებისა და „ჰაბების" მოწყობაზე. ის შეისწავლის ასევე მილსადენების, საავტომობილო და სარკინიგზო გზებისა და ტელეკომუნიკაციების დივერსიფიცირებული განვითარების პერსპექტივებს, მათი სტრუქტურისა და საექსპლუატაციო ხარჯების ოპტიმიზაციას.

გეოეკონომიკა განისაზღვრება როგორც გეოგრაფიის, ეკონომიკის, ისტორიისა და პოლიტიკის სინთეზი. გეოეკონომიკა ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას შეიმუშავებს, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურ განვითარებასა და რეგიონის ეკონომიკაში ღირსეული ადგილის დაკავებაში, რეგიონალურ გეოგრაფიულ სივრცეში წარმატებული პოზიციონირების საშუალებას აძლევს.

საქართველოში გეოეკონომიკური პრობლემების კვლევის "პიონერები" არიან პროფესორები ლადო პაპავა და მიხეილ თოქმაზიშვილი [Papava V., Tokmazishvili M. 2010].3 ასევე აღსანიშნავია, პროფესორ თეიმურაზ გოჩიტაშვილის ნაშრომები [თ. გოჩიტაშვილი. 2004],4 სადაც, მიუხედავად იმისა, რომ გეოეკონომიკა არაა ნახსენები, ფართოდაა განხილული საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობა ქვეყნის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და გაზის მოპოვებისა და მიწოდების ახალი ტექნოლოგიები. ავტორი დეტალურად განიხილავს, როგორც მაგისტრალური გაზსადენების დაპროექტების, მშენებლობისა და ფუნქციონირების ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და გეოპოლიტიკურ საკითხებს [თ. გოჩიტაშვილი, 2004],5 ასევე საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის რეგიონიდან საერთაშორისო ბაზრებზე ენერგეტიკული რესურსების მიწოდების პრობლემებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ზემოღნიშნული ავტორების მიერ საქართველოს ევროპის ერთიან ენერგეტიკულ სივრცეში ინტეგრაციისათვის საჭირო კონკრეტული წინადადებების შემუშავება, რაც საქართველოს "ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში" გაწევრიანებისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობის იყო.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ითქვას, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია სახელმწიფოთა გლობალური კონვერგენციული სტრატეგიების ფორმირების შედეგია. თავად ეკონომიკური გლობალიზაცია უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების მთელ კომპლექსზე და მათ შორის სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების განვითარებაზე. თუმცა, ეს გავლენები განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების გეოგრაფიულ-სივრცითი მდებარეობის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ მონოგრაფიაში [ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე. 2014, გვ. 21]6 განხილულია სატრანსპორტო დერეფნის განვითარების სპეციფიური პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოეკონომიკური სივრცის შემადგენელ ნაწილში.

თუმცა, კორონავირუსის „კოვიდ19"-ის გავრცელების პროცესმა გვიჩვენა, რომ საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში „ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის" პროექტების სრულფასოვან რეალიზაციას, პირდაპირი სამხედრო ან „რბილი" ჩარევის გვერდით, „კოვიდ19"-ის პანდემიაც შეუშლის ხელს.

„სამხრეთის გაზის დერეფანი“ გაზის გლობალური ბაზრის გეოეკონომიკაში

დღემდე, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, გაზის ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი იყო ბაზრების თანდათანობითი დემონოპოლიზაცია, რის შედეგადაც ენერგობაზრის სტრუქტურაში და გაზით საერთაშორისო ვაჭრობაში ხდებოდა რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები. გაზის რეალიზაციის დროს სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა ფინანსური ინსტრუმენტები, რაც თავის მხრივ ფასების ლიბერალიზაციას იწვევდა. მსგავსი ტენდენციები გლობალურად ნავთობის საერთაშორისო ბაზარმა გაიარა გასული საუკუნის 80 - 90-იან წლებში.

ახალ კორონავირუს „კოვიდ19“-ის პანდემიამდე გაზის გლობალური ბაზრის განვითარებაში გამოიყოფოდა ფაქტორთა ორი ჯგუფი: ტექნოლოგიური და საბაზრო. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სატრანსპორტო ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება ე.წ. გათხევადებული ბუნებრივი გაზის (LNG) ფორმით, რამაც შეცვალა მსოფლიოში გაზის სასაქონლო ნაკადების მიმართულება და ხასიათი. მეორე ჯგუფი მოიცავს ბუნებრივ გაზზე მზარდ მოთხოვნას, ამ ენერგორესურსის როგორც საფასო, ისე ეკოლოგიურ კონკურენტუნარიანობას. ასევე, გაზით საბირჟო ვაჭრობის განვითარებას, რაც ამ საწვავზე ფასების რყევის რისკების მართვის საშუალებას იძლევა.

ბოლო პერიოდში გლობალური გაზის ინდუსტრიაში მიმდინარე ტენდენციები ხასიათდება მნიშვნელოვანი თვისებრივი და რაოდენობრივი ტრანსფორმაციით, განსაკუთრებით „ცისფერი საწვავის“ რეგიონალური ბაზრების სტრუქტურაში. მსოფლიო გაზით ვაჭრობის წილის ზრდა ქვეყნების ენერგეტიკულ ბალანსში, აგრეთვე ინსტიტუციური ტრანსფორმაცია ადგილობრივ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება მწარმოებლების და მომხმარებლების რაოდენობის ზრდით და ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციით, ხელს უწყობს გაზის ინდუსტრიის ღრმა ინტერნაციონალიზაციას. გაზის მოპოვების ხარჯების შემცირებას და ხელმისაწვდომობის გეოგრაფიას მნიშვნელოვნად აფართოებს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, ასევე გაზის კომპანიების აქციების საფონდო ბირჟებზე მასიურად გატანა, თხევადი გაზის მცირე ე.წ. „სპოტ“ პარტიებით საბირჟო ვაჭრობა. ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საშუალებას, რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან 2020 წლამდე პერიოდი გამოცხადდეს გაზის ინდუსტრიის გლობალიზაციის დასაწყისად. ეს პროცესი, ისევე როგორც ნავთობის გლობალური ბაზრის შექმნის პროცესი, უნდა დასრულებულიყო იზოლირებული რეგიონალური გაზის ბაზრების, ე. წ. „ჰაბების“, კონვერგენციით გლობალურ მოთხოვნა-მიწოდებაზე დამყარებულ და უნივერსალურ-კონკურენტულ პრინციპებით მოქმედ მსოფლიო ბაზრად. გლობალიზაციის აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს ბოლო პერიოდის მსოფლიო სტატისტიკაც.

კერძოდ, 2000-დან 2015 წლამდე პერიოდში მსოფლიო გაზის მოხმარება გაიზარდა თითქმის 45%-ით - 2405-დან 3469 მლრდ. კუბ.მ-მდე [BP statistical review, 2002-2016].7 მსოფლიოს სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში გაზის ხვედრითი წილი ბოლო წლებში ასევე გაიზარდა 22-23%-მდე [IEA 2016].8 ნავთობის ანალოგიური სტატისტიკიდან ირკვევა, რომ იმავე პერიოდში მისი მოხმარება გაიზარდა მხოლოდ 10-11%-ით, რაც ბუნებრივი გაზის ნავთობისადმი სერიოზულ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს და მისი, აგრეთვე სხვა ენერგორესურსების, სერიოზული ალტერნატივა ხდება [BP statistical review: 2002-2016].9

პანდემიამდე გაზის ბაზრის ტრილიონიანი ბრუნვები საშუალებას იძლეოდა გვესაუბრა ბოლო ხუთ წელში გაზის ბაზრის „გლობალურის“ სტატუსთან მიახლოებაზე, როგორც ე.წ. მაკრორეგიონებს შორის გადაჭიმული გაზსადენების, ისე საზღვაო გადაზიდვების მარშრუტების თვალსაზრისით. დღემდე ასეთი მაკრორეგიონი ჩამოყალიბდა რვა: აქედან სამი - ჩრდ. ამერიკის, ევროპის და აზიის, უკვე ფორმირებულია, ხოლო დარჩენილი ხუთი - დსთ-ს, ლათ. ამერიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის, ოკეანეთის და აფრიკის, - ფორმირების პროცესშია (იხ. ამ მაკრორეგიონების მონაცემები):

ცხრილი 1

გაზის სავაჭრო ბრუნვა ე.წ. მაკრორეგიონების მიხედვით

წლები/რეგიონები	2001	2005	2010	2015
ჩრდ. ამერიკა	120,6	126,3	125,2	124,8
სამხ. ამერიკა	11,3	31,2	36,5	40,5
ევროპა	117,3	164,4	195	219,4
რფ და დსთ	131,1	160,9	251,5	272
ახ.აღმოსავლეთი	31,2	49,2	128,2	154,4
აფრიკა	66,3	90,2	112,9	84,8
აღმ. აზია	-	-	3,8	0,3
აზია-წყნ.ოკეანე	76,6	99,5	122,1	146,4

წყარო: BP statistical review of world energy: June 2016.

გაზის მსოფლიო ბაზარზე ბოლო ხუთ წელში რეალიზებული გაზის უდიდესი ნაწილი - 67% (704 მლრდ.კუბ.მ) მომხმარებლებს გაზსადენების საშუალებით მიეწოდება.10 ამ მილების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და საკანონმდებლო შეზღუდვები (მაგ.: ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნა - „მესამე მხარის დაშვების“, ტრანსევროპულ ქსელში - TEN აუცილებელი ჩართვის, ან ე.წ. საერთო ინტერესების პროექტების - PCI შესახებ) წარმოადგენენ მაგისტრალური გაზსადენების გაზის მნიშვნელოვან შეზღუდვებს იმისათვის, რომ გასცდნენ რეგიონალურ, ამ შემთხვევაში ევროკავშირის, საზღვრებს. ამ თვალსაზრისით, ბოლო დრომდე გაზის ბაზრის გლობალიზაციის უმთავრესი ტენდენცია იყო თხევადი გაზის (LNG) ტექნოლოგიების საყოველთაო განვითარებით, ყველა მაკრორეგიონალური ბაზრის დაახლოება. მეტიც, თხევადი გაზის საზღვაო მარშრუტებმა ისეთი ქვეყნებისა და რეგიონების გაერთიანების შესაძლებლობა წარმოაჩინეს, რომლებიც ტრანსკონტინენტალურ გაზსადენებში არასდროს არ ყოფილან ჩართული (იხ. ცხრილი 1). ბოლო ხუთ წელში თხევადი გაზი გლობალურ გაზის ბაზარზე 33%-იანი წილითაა წაროდგენილი და ყოველწლიურად საშუალოდ 8-10%-ით იზრდებოდა. შედეგად, 2000-იანი წლების დასაწყისიდან 2019 წლამდე ეს წილი 1,5 -ჯერ გაიზარდა.

საქართველო მონაწილეობს კასპიისპირეთიდან მხოლოდ გაზსადენების (ანუ მილებით გადატუმბული) აირის და არა თხევადი გაზის (LNG) ტრანზიტში. ამ დროს, ევროპა დაინტერესებულია აზერბაიჯანიდან მისაღები გაზის მოცულობის გაორმაგებაში 20 მლრდ კუბ. მ-მდე, რომელიც „ტრანსადრიატიკური გაზსადენით“ (TAP) ბაქოდან იტალიამდე გადაჭიმული „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) ჯაჭვის ბოლო რგოლს წარმოადგენს. ევროკავშირის SGC-ის პირველი ორი სექცია - საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენის გაფართოება“ (SCPx) და „ტრანს-ანატოლიური გაზსადენი“ (TANAP) - 2018 წლის შუა რიცხვებიდან მწყობრშია, რომლებიც კასპიის ზღვის „შაჰ დენიზის“ საბადოდან თურქეთისაკენ, BP-ის ოპერირებით მოქმედი კონსორციუმის საშუალებით მოპოვებულ გაზს ატარებს. „ტრანსადრიატიკური გაზსადენი“ (TAP) საბერძნეთის, ალბანეთის და ადრიატიკის ზღვის გადაკვეთით გადის იტალიაში, ქალაქ ბარისთან. ეს მილსადენი თურქეთის დასავლეთ საზღვარზე TANAP-ზეა მიბმული, რომელიც თავის მხრივ თურქეთის აღმოსავლეთში, ერზერუმთან SCPx-თანაა დაკავშირებული. ამ სამივე გაზსადენის გამაერთიანებელია პანევროპული SGC პროგრამა, რომელიც თავის მხრივ ემყარება „შაჰ დენიზის“ მეორე ეტაპის და თურქმენეთიდან მისაღებ გაზს. 2018 წელს, გაფართოების შემდეგ „შაჰ დენიზი 2“-მა დამატებით ყოველწლიურად 16 მლრდ. კუბ.მ გაზი შემატა ევროკავშირისა და თურქეთის გაზმომარაგებას. აქედან თურქეთი იღებს წლიურად 6 მლრდ.კუბ.მ ამ გაზს, ხოლო ევროპა - დანარჩენ 10 მლრდ. კუბ.მ-ს. თურქმენეთიდან ჯერ ვერ მოხერხდა კასპიის ფსკერზე „ტრანსკასპიური გაზსადენის“ (TCP) გატარება, რაც ასევე SGC-ის უკვე მოქმედი სამი გაზსადენის ერთ-ერთი შემავსებელი უნდა გახდეს.

თუ აზერბაიჯანული გაზის დამატებითი საბადოები - აბშერონი, ბაბეკი, უმიდი ჩადგებიან მწყობრში, SGC-ს ევროპულმა გაზსადენების ჯამურმა სიმძლავრემ მალე შესაძლოა წელიწადში 20 მლრდ. კუბ.მ-ს

მიაღწიოს,. მიუხედავად იმისა, რომ SGC დერეფნის გაზსადენების მაქსიმალური წლიური წარმადობა 30-31 მლრდ კუბ.მ-ითაა შეფასებული, ზემოაღნიშნული დამატებითი საბადოებისა და თურქმენეთის „ტრანსკასპიური გაზსადენით“ (TCP) მომავალში „სამხრეთის გაზის დერეფანში“ (SGC) მისაღები გაზის ჩვენს ტერიტორიაზე ტრანზიტის შემთხვევაში, ჩვენს შავიზღვისპირა პორტებში აუცილებელი გახდება გაზის გათხევადების ტერმინალების მშენებლობა. ამ ტერმინალებიდან საზღვაო ტანკერებით გათხევადებული სახით (LNG) მსოფლიოს ბაზრებზე გადაიზიდება კასპიის აირის ის ნაწილი, რომელიც ევროკავშირის SGC „დერეფნის“ გაზსადენებში ფიზიკურად აღარ ჩაეტევა. ეს „მისია“ უნდა შეესრულებინა 2010 წელს ევროკავშირის მხარდაჭერილ გაზსადენის პროექტს AGRI-ს (აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთი-უნგრეთი-ინტერკონექტორი). ამ პროექტით ერთობლივი საწარმო SC AGRI LNG ProjectCompany SRL-იც დაფუძნდა, თუმცა, ყირიმის ანექსიამ მისი რეალიზაცია გაურკვეველი ვადით გადადო. დღის წესრიგში დადგა კასპიის ჭარბი გაზის ტანკერებით, შავი ზღვის ტერმინალებიდან მსოფლიო ბაზრებზე „სპოტ“ პარტიებად გაგზავნა. ახალი კორონავირუსის „კოვიდ 19“-ის პანდემია საქართველოს და ევროკავშირის სწორედ ზემოაღნიშნულ მიზნებს შეიძლება დაუპირისპირდეს.

გაზსადენების მშენებლობის მომხრეთა უმთავრესი ანტიპიდემიოლოგიური არგუმენტი ძალიან მარტივია - გაზის გრძელვადიან სამეურნეო ხელშეკრულებებზე დამყარებულ მილსადენებით ვაჭრობის LNG გაზის „სპოტურ“ (წვრილპარტიებად) ვაჭრობასთან შედარებითი უპირატესობა ისაა, რომ მიმწოდებელი და მომხმარებელი ათეული წლების მანძილზე არ ხვდებიან ერთმანეთს, ანუ ბაზარზე სოციალური კონტაქტი გამორიცხულია, მაშინ როდესაც „სპოტური“ ვაჭრობა ხშირ კონტაქტებს მოითხოვს საზღვაო ტრანსპორტით გაზის „მიწოდების ჯაჭვის“ პერიოდული ცვლილებებით.

„კოვიდ19“ პანდემიის გეოეკონომიკური გამოწვევები

ბუნებრივი გაზის გლობალიზებული ან რეგიონალური „მიწოდების ჯაჭვის“ საკითხი არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელსაც „კოვიდ19“ პანდემია გამოავლენს. ამ საუკუნის დასაწყისიდან დღემდე თითქმის გლობალიზებული გაზის ბაზრის, პანდემიის ზეგავლენით კვლავ რეგიონალიზაციისა და ლოკალიზაციისთვის აუცილებელია „მიწოდების ჯაჭვის“ გასწვრივ პროდუქციის (ჩვენს შემთხვევაში - ბუნებრივი გაზის მარაგების) მიტანა და მისი გათხევადებული, წვრილპარტიებად გასაყიდი ნაკადების შეკრება. ამისათვის კი აუცილებელია ლოჯისტიკური „ჰაბების“, ნავთობ და გაზსაცავების კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნა. ეფექტიანობის ზრდისათვის მრავალეროვნული კომპანიები ცდილობენ LNG გაზის „მიწოდების ჯაჭვის“ ლოგისტიკური პროცესის ოპტიმიზაციას, შენახვის ხარჯების შემცირების მიზნით. ამასთან, მზარდი გაურკვევლობის და რისკების პირობებში, ტრანსპორტირების და წარმოების ეფექტიანობაზე მზარდი აქცენტის გაკეთება, ენერგოკომპანიებს დაუცველებს ტოვებს შოკებისგან. მიმდინარე რეცესიის პირობებში მოწინავე ენერგოკომპანიები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მარაგების დასაწყობებას სტრატეგიულ ლოკაციებში, საიდანაც მზა საქონელი და რესურსები ადვილად მისაწოდებელი იქნება მყიდველებისათვის. ამგვარი მიდგომა მართალია ძირითადად მზა პროდუქციაზე ვრცელდება, მაგრამ ასევე გამოიყენება მათ შესაქმნელად საჭირო ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კომპონენტებისთვისაც, როგორებიცაა ენერგორესურსები. სწორედ მზა საქონლის და მისი კომპონენტების სტრატეგიული მარაგების შენარჩუნება დაეხმარა ზოგიერთ კომპანიას გაუმკლავდეს კორონავირუსის გავლენას.

ახალმა კორონავირუსმა „კოვიდ19“-მა, „მიწოდების ჯაჭვის“ ზემოაღნიშნული „დამოკლების“ ტენდენციით, ფუნდამენტურად შეცვალა საგარეო ვაჭრობა. ე.წ. „წარმოება ზუსტად დროში“ (Just-in-time manufacturing) იაპონური მენეჯმენტის მეთოდი, რომელიც გლობალურ „მიწოდების ჯაჭვს“ იყენებდა, ახლა გზას უთმობს „მიწოდების რეგიონალური ჯაჭვების“, ენერგორესურსების მარაგების სტრატეგიულად გამოყენებას და რისკების ანალიზს. ამასთან, პანდემიის სწრაფად დასრულების შემთხვევაშიც კი თანამედროვე, გლობალიზებულ მსოფლიოში, ტრანსნაციონალური ენერგოკომპანიები სულ უფრო ხშირად დაექვემდებარებიან მოთხოვნისა და მიწოდების ერთდროულ შემცირებას. კერძოდ, გლობალური ეკონომიკური რეცესია შეამცირებს ენერგორესურსების მოხმარებას და მათ ღირებულებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ მიწოდებაც ახალი მოთხოვნის მიხედვით ადაპტირდება და ფასები დასტაბილურდება. ამ პროცესიდან კი, რა თქმა, მომხმარებელი დარჩება მოგებული. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული პროცესი საერთო ეკონომიკურ რეცესიას იწვევს. ამავე დროს, მოსალოდნელია ენერგო-

ბაზრებზე ინტერესთა კონფლიქტის გამწვავება, - პირველ რიგში დაიძაბება ურთიერთობა ტრადიციული და განახლებადი ენერგორესურსების მიმწოდებელთა შორის. ფინანსური პრობლემების გამო, სავარაუდოდ, შეიზღუდება კაპიტალდაბანდებები „ალტერნატიულ“ ენერგეტიკაშიც.

ამასთან აღსანიშნავია, რომ გაზის ინდუსტრია კორონავირუსიდან უფრო ნაკლებად დაზარალდა, ვიდრე ნავთობის. ამის მიზეზი ისაა, რომ გაზის მოთხოვნა მშპ-ს მიხედვით უფრო ნაკლებად ელასტურია, ვიდრე ნავთობის. ეს განსხვავება ამ კრიზისის ფონზე განსაკუთრებით თვალშისაცემია, როდესაც კარანტინის გამო დაზარალდა სატრანსპორტო დარგი, რომელშიც გაზის ხვედრითი წილი ნაკლებია, ხოლო შინამეურნეობებში გაზის წილი პირიქით, გაიზარდა მოსახლეობის თვითიზოლაციის გამო. ამასთან, გაზის მოხმარება ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვან სხვაობებს იძლევა - ჩინეთში მაგალითად, მოხმარებული გაზის 40%-ზე მეტი მრეწველობაზე, 20% - ელექტროგენერაციაზე, ხოლო - 36%-მდე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და ტრანსპორტის სფეროებზე მოდის. ევროპაში ელექტროგენერაციაზე მეოთხედამდე გაზი მოიხმარება, ხოლო უდიდესი ნაწილი - თბო- და ელექტრო-გენერაციაზე. ჩინური სტატისტიკის თანახმად, 2020 წლის ორ თვეში სამრეწველო წარმოების მოცულობა შემცირდა 14%-ით, მათ შორის ქიმიური მრეწველობისა - 21%-ით [COVID19 mostly behind China chemical industry]11 . სწორედ ამ დარგის მთავარი ნედლეულია ბუნებრივი გაზი. ამიტომ ევროპასთან შედარებით პანდემიამ, გაზის ინდუსტრია, უფრო მეტად ჩინეთში დააზარალა. საინტერესოა, რომ ფორს-მაჟორის საბაბით თხევადი გაზის „სპოტ“ კონტრაქტების დიდი ნაწილის შესრულება შეაჩერეს ჩინურმა, კორეულმა და ინდურმა ენერგოკომპანიებმა [Shuttered buyers send force-majeure notices to energy cos].12 საქმე ისაა, რომ თხევადი გაზის „სპოტ“ კონტრაქტების შეჩერება ან მიწოდების გადავადება ბევრად ადვილია, ვიდრე მილსადენებით ათწლეულებზე გაწერილი მიწოდების ჩაშლა, რომელიც დისკრიმინაციული „აიღე ან გადაიხადეს“ პრინციპითაა გაფორმებული.

პანდემიით გამოწვეულმა რეგიონალიზაციამ გვერდი არ აუარა საქართველოზე გამავალ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ და სხვა სატრანსპორტო პროექტებსაც. კერძოდ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა გამოხატეს ერთობლივი ინტერესი ნახჭევანისკენ, სომხეთის ტერიტორიით გამოყოფილი აზერბაიჯანული ავტონომიისკენ, რკინიგზისა და გაზსადენის აშენებისთვის.

2020 წლის 25 თებერვალს ბაქოში მოლაპარაკებები გამართეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და მისმა თურქმა კოლეგამ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. განხილვის მთავარი თემა იყო - შეუძლია თუ არა დაეხმაროს თურქეთს აზერბაიჯანის ავტონომიის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებაში. ცნობილია, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი ამჟამად გაყინულ კონფლიქტში იმყოფებიან მთიან ყარაბაღის სადავო ტერიტორიის გამო და არ აქვთ დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირები. ამიტომ ნახჭევანი იძულებულია გაზი მიიღოს მეზობელი ირანიდან 2004 წელს გაფორმებული ირან-აზერბაიჯანის ე.წ. SWAP კონტრაქტით, რაც ნიშნავს, რომ აზერბაიჯანი ნახჭევანში მიღებული ირანული გაზის სანაცვლოდ იმავე რაოდენობის გაზს აწვდის ჩრდილოეთ ირანის პროვინციებს. ამ 25 წლიანი ხელშეკრულების თანახმად, აზერბაიჯანი ირანს გაზს აწვდის საზღვრისპირა ქ. ასტარას გავლით, ხოლო ირანი ნახჭევანს ქ. ჯულფაში უგზავნის ამ გაზის 85%-ის ეკვივალენტს, დანარჩენს კი ტრანზიტის საფასურად იტოვებს. 2019 წელს ირანში აზერბაიჯანული გაზის გადაზიდვებმა წლიურად 395 მლნ. კუბ. მ. შეადგინა. ნახჭევანი დიდწილად არის დამოკიდებული ირანიდან ასევე მრავალი სხვა საქონლის იმპორტ-ექსპორტზეც, რაც ამ ქვეყანასთან ნახჭევანის ავტონომიის 179 კილომეტრიან საზღვრის მთელ სიგრძეზე ხორციელდება.

წლების განმავლობაში აზერბაიჯანის ხელისუფლება შეშფოთებული იყო ნახჭევანის ირანზე ურთიერთდამოკიდებულების გამო. 2010 წელს აზერბაიჯანსა და ირანს შორის ურთიერთობები დაიძაბა მრავალ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის იყო ბაქოს მხარდაჭერა თეირანის წინააღმდეგ დაწესებული აშშ-ს სანქციებისადმი და თეირანის მიერ აზერბაიჯანული ოპოზიციური პარტიის დაფინანსება. ამ დაძაბულობის კულმინაცია იყო ირანის მუქარა, რომ შეწყვეტდა ყველანაირ ეკონომიკურ კავშირებს ნახჭევანთან. თავის მხრივ, აზერბაიჯანიც ასევე არაერთხელ შეეცადა გაზის SWAP გარიგების პირობების გადახედვას. დიპლომატიური ურთიერთობა შედარებით გაუმჯობესდა 2013 წელს, ჰასან რუჰანის ირანის პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ. მაგრამ 2018 წლიდან აშშ-ს ხელახლა დაწესებული ანტი-ირანული სანქციების გამო, ირან-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობა კვლავ დაიძაბა.

ამან აზერბაიჯანის მხრივ ნახჭევანსა და თურქეთს შორის ინფრასტრუქტურული კავშირების გაფართოების მოთხოვნა გამოიწვია. ნახჭევანს თურქეთთან 8 კილომეტრიანი საზღვარი აქვს. მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანისა და თურქეთის სახელმწიფოს მეთაურებმა განაცხადეს მემორანდუმის გაფორმების შესახებ ნახჭევანსა და თურქეთის სასაზღვრო ქალაქ ყარსს შორის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე. პროექტი წარმოადგენს ბაქოდან საქართველოს გავლით ყარსში მიმავალი სარკინიგზო მაგისტრალის გაგრძელებას. "ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სომხეთის აგრესიული პოლიტიკის გამო ნახჭევანი ცხოვრობს ბლოკადაში მოქცეული, ანუ ალყაშია მრავალი წლის განმავლობაში, "- განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა. "ნახჭევანისთვის დიდი პრობლემაა მისი პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე გატანა. ყარს-იგდირ-ნახჭევანის რკინიგზის მშენებლობა აღმოფხვრის ამ პრობლემას და ამით გააუმჯობესებს ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კეთილდღეობას" - თქვა მან. თავის მხრივ, რ.ტ. ერდოღანმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგშია ასევე, ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ინიცირებული, 160 კილომეტრიანი ტრანსსასაზღვრო გაზსადენის აგება. "ნახჭევანს მეტი ექნება ბუნებრივი აირი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის კიდევ უფრო გაძლიერდება, როგორც ირანის, ასევე თურქეთის მხარდაჭერით,"- განაცხადა პრეს-კონფერენციაზე თურქეთის სახელმწიფოს მეთაურმა [Azerbaijan Turkey return to plan for gas pipeline to Azeri exclave].13 გაზსადენის პროექტი პირველად შეაჩერეს 2010 წელს, როდესაც აზერბაიჯანსა და ირანს შორის ურთიერთობები გაუარესდა. ამ წელს აზერბაიჯანის ნავთობის ეროვნულმა კომპანიამ „სოკარმა" ხელი მოაწერა მემორანდუმს გაზსადენის პროექტის შესახებ თურქეთის სახელმწიფო გაზის კომპანია „ბოტაშთან" (Botas). არცერთმა მხარემ არ გამოაქვეყნა ამ გაზსადენის მშენებლობის გრაფიკი და არც განაცხადეს, მიღწეულია თუ არა საკრედიტო ხელშეკრულებები მის დასაფინანსებლად.

როგორც ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან ირკვევა, აზერბაიჯანი და თურქეთი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სფეროებში აგრძელებენ გ. ალიევის მიერ ინიცირებულ „ერთი ხალხი, ორი ქვეყანა" პოლიტიკას, რაც გლობალური პანევროპული პროექტებიდან, ლოკალურ-რეგიონალურ ტრანსსასაზღვრო პროექტებისკენ შემობრუნებას მოასწავებს.

დასკვნა

ამრიგად, ახალი კორონავირუსის „კოვიდ19"-ის პანდემიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა გეოეკონომიკური პრობლემების კვლევაში. კერძოდ, გეოეკონომიკური გლობალიზაციის ნაცვლად სულ უფრო აქტუალური ხდება მისი საპირისპირო პროცესის - პანდემიით გამოწვეული რეგიონალიზაციის, ეკონომიკური პროცესების ლოკალიზაციის შესწავლა. საქართველოზე გამავალი ევროკავშირის ენერგო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არა თხევადი გაზის (LNG) ტერმინალებსა და ტანკერებს ემყარება, არამედ პირდაპირი, გრძელვადიანი სამეურნეო კონტრაქტების, ანუ გაზსადენებით ვაჭრობის სისტემას იყენებს. ამ სისტემის მხარდამჭერებს პანდემიის პირობებში აქვთ ძლიერი არგუმენტი, რაც ასევე საკმაოდ მარტივია - გაზის მილებით მიმწოდებლები და მომხმარებლები ათწლეულების განმავლობაში არ ხვდებიან ერთმანეთს, ანუ არ აქვთ ე.წ. სოციალური კონტაქტები. მაშინ როდესაც, LNG გაზის "სპოტ" ვაჭრობის შედარებითი უპირატესობაა, რომ ის საბირჟო ფასწარმოქმნის მექანიზმებს ეყრდნობა და საზღვაო ტანკერებით ხორციელდება. თუმცა, პანდემიის პირობებში ასეთი ვაჭრობის ნეგატიური მხარეა გაზის "მიწოდების ჯაჭვში" პერიოდულ ცვლილებების შეტანა, რაც ხშირ სოციალურ კონტაქტებს მოითხოვს. ეს კი პანდემიის გავრცელების საფრთხეს ზრდის. ამაზე მეტყველებს აზერბაიჯანული გაზის საქართველოსა და თურქეთის გავლით ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ანუ რეგიონული მასშტაბით მიწოდების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა 2020 წლის 25 თებერვალს აზერბაიჯანისა და თურქეთის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს. ეს მაშინ, როდესაც პანევროპული „სამხრეთის გაზის დერეფნის" ბოლო რგოლის - „ტრანსადრიატიკული გაზსადენის" (TAP) მწყობრში ჩადგომა 2020 წლის ბოლომდე გადაიდო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. გარაყანიძე, ს. პავლიაშვილი. "საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები, პერსპექტივები", თბილისი, 2014 „მწიგნობარი". გვ.21;

2. From Geopolitics to Geo-Economics: Logic of Conflict, Grammar of Commerce. Edward N. Luttwak. The National Interest. No. 20 (Summer 1990), pp. 17-23. Published by: Center for the National Interest. https://www.jstor.org/stable/42894676 Page Count: 7

3. Papava V., Tokmazishvili M. Russian Energy Politics and the EU: How to Change the Paradigm. Caucasian Review of International Affairs, Vol. 4, No. 2, Spring 2010. https://www.researchgate.net/publication/46418125_Russian_Energy_Politics_and_the_EU_How_to_ Change_the_Paradigm

4.თ. გოჩიტაშვილი. „ბუნებრივი გაზის მიწოდების ახალი მარშრუტები და თანამედროვე ტექნოლოგიები". ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო. თბილისი 2004.

5. იქვე. გვ. 41;

6. ზ. გარაყანიძე, ს. პავლიაშვილი. "საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები, პერსპექტივები", თბილისი, 2014 „მწიგნობარი". გვ.21;

7. BP statistical review of world energy: 2002-2016

8. Key world energy statistics, IEA 2016

9. BP statistical review of world energy: 2002-2016

10. Futures Industry Association Annual Survey // www.fia.org. 2014. https://fimag.fia.org/articles/2014-fia-annualglobal-futures-and-options-volume-gains-north-america-and-europe-offset.

11. COVID19 mostly behind China chemical industry. https://cen.acs.org/business/economy/COVID-19-mostly-behind-China-chemical-industry/98/web/2020/03

12.Shuttered buyers send force-majeure notices to energy cos https://economictimes.indiatimes.com/industry/energy/power/shuttered-buyers-send-force-majeure-notices-toenergy-cos/articleshow/74920676.cms?from=mdr

13. Azerbaijan Turkey return to plan for gas pipeline to Azeri exclave. http://online.flipbuilder.com/myab/eafb/mobile/index.html pp.4-5; p.8

„ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურება კავკასიის რეგიონში და საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები

Nino Lomidze
PhD Student, Caucasus University, Georgia

ტერორიზმი დღევანდელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ძალადობის ეს ფორმა ყველა ეპოქაში არსებობდა, თუმცა XXI საუკუნეში განსაკუთრებულად მასშტაბური ხასიათი შეიძინა. „ალ-ქაიდას,“ შემდგომ კი „ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენამ სრულიად შეცვალა მსოფლიო წესრიგი. ISIS საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს უსაფრთხოებასაც. სირიაში მიმდინარე პროცესები შესაძლოა პირდაპირ აისახოს საქართველოზე და მთლიან რეგიონზე. ამიტომ, მეზობელი რეგიონების განხილვა, ვფიქრობ, საინტერესოა საქართველოსთან მიმართებაში, რადგან მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებმა შესაძლოა პირდაპირი გავლენა იქონიოს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე. კვლევის მიზანია დავადგინო რა საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას საქართველო ტერორიზმის მხრივ და როგორ შეიძლება იმოქმედოს რეგიონში მიმდინარე პროცესებმა საქართველოს უსაფრთხოებაზე.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, კავკასიის რეგიონი, საქართველო.

Islamic State activity in the Caucasus Region and Threats and Challenges Facing Georgia

Terrorism is a major problem for the world today. This form of violence has always existed but In the 21st century It has become global problem. Al Qaeda and then the Islamic State have completely changed the world order. Islamic State poses a threat to the security of the entire world Including the security of Georgia. The processes in Syria may have a direct impact on Georgia and the region as a whole. Therefore, I think it is interesting to discuss the neighboring regions in relation to Georgia, because the ongoing processes in neighboring countries may have a direct impact on the security of our country. The purpose of my research is to identify the threats and challenges that Georgia faces in terms of terrorism and How can these processes affect Georgia and its security?

Keywords: Terrorism; Religious extremism; Radicalism; Caucasus Region; Georgia.

შესავალი

ტერორიზმი დღევანდელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ძალადობის ეს ფორმა ყველა ეპოქაში არსებობდა, თუმცა XXI საუკუნეში განსაკუთრებულად მასშტაბური ხასიათი შეიძინა. „ალ-ქაიდას,“ შემდგომ კი „ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენამ სრულიად შეცვალა მსოფლიო წესრიგი. ISIS საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს უსაფრთხოებასაც. სირიაში მიმდინარე პროცესები შესაძლოა პირდაპირ აისახოს საქართველოზე და მთლიან რეგიონზე. ამიტომ, მეზობელი რეგიონების განხილვა, ვფიქრობ, საინტერესოა საქართველოსთან მიმართებაში, რადგან მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებმა შესაძლოა პირდაპირი გავლენა იქონიოს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე.

- *კვლევის მიზანი:* საქართველოსთვის რელიგიური ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირება რეგიონალურ ჭრილში. კვლევის მიზანია „ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) რადიკალიზაციისა და რეკრუტირების ძირითადი მექანიზმების იდენტიფიცირება და გადაბირების მეთოდების გამოვლენა აზერბაიჯანში და მისი მსგავსებები და განსხვავებები საქართველოსთან მიმართებაში. გარდა ამისა, გასაანალიზებელია რეგიონიდან მომდინარე სხვა საფრხეები და მათი იდენტიფიცირების გზები.

მიუხედავად იმისა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ კარგავს ტერიტორიებს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სუსტდება. შესაძლოა აღნიშნული ფაქტი უფრო მეტად იყოს საფრთხის შემცველი, რადგან ჯიჰადისტები შესაძლოა გაიფანტნონ მთელს მსოფლიოში და უფრო მეტი საფრთხე შექმნან, ვიდრე ერთ კონკრეტულ ადგილზე განთავსებულებმა (ბატიაშვილი, 10.12.2018). „ისლამური სახელმწიფოდან“ მებრძოლები თურქეთში გადასვლის შემდეგ ეძებენ გამოსაზამთრებელ ტერიტორიებს და როგორც ჩატაევის შემთხვევაში ვნახეთ, ასეთ ადგილად ამორჩეული იყო საქართველო. ამიტომ არ არის გამორიცხული მომავალშიც საქართველო შეირჩეს ამ მიზნით. (ბატიაშვილი, 08.01.2019). შესაძლოა საქართველოს მსგავსად აღნიშნული მიზნით გამოყენებულ იქნას აზერბაიჯანიც. იმ შემთხვევაში კი თუ აშშ ჯარებს გაიყვანს სირიიდან, ეს გამოიწვევს ადგილზე უპირველეს ყოვლისა რუსეთის და შემდეგ ირანის გაძლიერებას. რუსეთის გაძლიერება სირიაში კი საქართველოსაც უქმნის საფრთხეს, რადგან ნებისმიერ დროს ექნება მიზეზი საქართველოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და „მშვიდობის დამყარების“ მიზნით შემოიჭრას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

საკვლევი კითხვა:

აღნიშნული თემა ორ საკვლევ კითხვას მოიცავს:

1. რა სახის რეგიონალური საფრთხეების და გამოწვევების წინაშე დგას საქართველო „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან?
2. როგორია რელიგიური რადიკალიზმის ხარისხი აზერბაიჯანში და რა ფაქტორები განაპირობებენ „ისლამური სახელმწიფოს“ რეკრუტირების მექანიზმების ეფექტურობას?

ამ ეტაპისთვის საქართველოში სტაბილური სიტუაციაა და აშკარა საფრთხეებიც არ ჩანს, მაგრამ მომავალში რა შედეგების მომტანი იქნება რადიკალური ისლამის მომხრეების ზრდა ქვეყნისთვის, ჯერ კიდევ დასადგენია. კვლევაში ძირითადი ადგილი დაეთმობა რადიკალიზაციის მიზეზების განხილვას აზერბაიჯანში, თუმცა მოკლედ მიმოვიხილავ სხვა რეგიონალურ საფრთხეებსაც.

აქტუალურობა/ფაზლი:

წინამდებარე ნაშრომით შევეცდები პასუხი გავცე ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კითხვას და დავადგინო თუ რამდენად დგას ისლამის რადიკალიზაციის საფრთხე რეგიონში, უფრო დეტალურად კი აზერბაიჯანში და რა გავლენა შეიძლება იქონიოს იქ მიმდინარე პროცესებმა საქართველოზე. ნაშრომი მიზნად ისახავს იმ მეთოდებისა და მექანიზმების გამოვლენას, რისი საშუალებითაც მოქალაქეების ნაწილი მთელი მსოფლიოდან, მათ შორის საქართველოდან და აზერბაიჯანიდან „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ჩადგა.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი მუსლიმური სახელმწიფოა და თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ისლამის მიმდევარია, ამ ქვეყანაშიც მძიმედ დგას რადიკალიზაციის პრობლემა. არაოფიციალური წყაროებით აზერბაიჯანიდან დაახლოებით 900 ადამიანი „ისლამურ სახელმწიფოში“ იბრძვის, ეს კი არც ისე მცირე რიცხვია.

რაც შეეხება კვლევის აქტუალურობას, ლიტერატურის გაცნობის პროცესში აღმოჩნდა, რომ საქართველოში აღნიშნული მიმართულებით სერიოზული სახის აკადემიური კვლევა არ ჩატარებულა. არსებობს რამდენიმე პოლიტიკური სახის დოკუმენტი, თუმცა აკადემიური ნაშრომების მხრივ სერიოზული სიმწირეა. რეგიონალურ საფრთხეებზე კი კიდევ უფრო მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. ამიტომ ჩემი ნაშრომით შევეცდები მცირე წვლილი შევიტანო და გარკვეულწილად შევავსო ის ნაკლოვანება, რომელიც არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიმართულებით. კვლევა გამოადგება ყველა იმ პირს, ვინც დაინტერესებულია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მდგომარეობით და რადიკალიზაციისა და ტერორიზმის შესაძლო საფრთხეების ანალიზით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად რეგიონში.

1. კვლევის მეთოდოლოგია და ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი დოკუმენტი აღწერითი ხასიათისაა. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროების დამუშავების შედეგად მიღებული ინფორმაცია: აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშები, სხვადასხვა ექსპერტებისა და პოლიტოლოგების სტატიები და ინტერვიუები, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები...

მიღებულ შედეგებს ქვემოთ გაგაცნობთ. ნაშრომის ბოლოს კი მოცემულ იქნება გარკვეული სახის რეკომენდაციები.

სანამ უშუალოდ რადიკალიზაციისა და რეკრუტირების მექანიზმებზე გავამახვილებდე ყურადღებას, საჭიროა კვლევის საწყის ეტაპზე მოვახდინო ტერორიზმის, რადიკალიზაციის და რეკრუტირების ზუსტი დეფინიცია და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი.

პირველ რიგში თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ტერორიზმის დეფინიციის პრობლემაზე. რა არის ტერორიზმი? დღეს ამ ტერმინის ზუსტ განმარტებაზე შეთანხმება არ არის მიღწეული. ყველა სხვადასხვანაირად განმარტავს, თუმცა ძირითადი არსი მაინც ერთია: ძალადობის გზით აიძულო სხვა გაატაროს შენი ინტერესები. ყველაზე ცნობილი და აღიარებული განმარტება ეკუთვნის ბრიუს ჰოფმანს: ტერორიზმი არის „პოლიტიკური ცვლილებების მიზნით ძალადობით ან ძალადობის მუქარის საშუალებით შიშის მიზანმიმართული შექმნა და გამოყენება“ (არტი და ჯერვისი 2011, 201-202).

არსებობს ასევე, ე.წ. გაეროს მოკლე დეფინიცია, რომელიც ალექს შმიდტს ეკუთვნის და რომლის მიხედვითაც ტერორიზმი ეს არის: “სამხედრო დანაშაულებათა მშვიდობიანი დროის ეკვივალენტი” (ანთაძე 2009, 4).

რაც შეეხება რადიკალიზაციას შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო თუ რას გულისხმობს ეს ტერმინი.

რადიკალიზმი ეს არის პროცესების ფოკუსირება, რომელის მეშვეობითაც ფიზიკური ძალადობა პოლიტიკურ ძალადობაში გადაიზრდება მორალური შეზღუდვების გარეშე (Schmid 2011, 217).

რაც შეეხება საკუთრივ ისლამურ რადიკალიზაციას, მას ომარ აშირი შემდეგნაირად ხსნის: ისლამური რადიკალიზაცია არის იდეოლოგიური ან/და ქცევითი ტრანსფორმაციები, რაც იწვევს დემოკრატიული პრინციპების უარყოფას და მიმართულია ძალადობის გამოყენებისკენ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (Understanding Radicalisation Review of Literarure 2016, 39).

რადიკალიზაციას კი თავის მხრივ რეკრუტირების მექანიზმები უდევს საფუძვლად. რეკრუტირება ეს არის პოტენციური წევრის გამოვლენა და მოზიდვა, შემდგომში მათი გამოყენების მიზნით. პოტენციური წევრის მოსაზიდად კი შესაძლოა ნებისმიერი გზა იქნას გამოყენებული: დაშინება, პროპაგანდა, იდეოლოგია და ა.შ. სწორედ ამგვარი მეთოდებით მოქმედებს ისლამური სახელმწიფო და მთელს მსოფლიოში ახერხებს მოსახლეობის დიდი ნაწილის მობილიზებას.

იდენტობის პრობლემის და მისი გამომწვევი ფაქტორების ასახსნელად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ფრენსის ფუკუიამას 2018 წელს გამოცემულ წიგნი „იდენტობა, იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის.“ ფუკუიამას აზრით იდენტობის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია და ისლამური რადიკალიზმის გაღვივების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ იდენტობის პრობლემაა.

რაც შეეხება ქართულენოვანი წყაროების გაცნობისას აღმოჩნდა, რომ ამ კუთხით სერიოზული დეფიციტია. სრულფასოვანი აკადემიური ნაშრომი ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს, თუმცა შექმნილია რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი: საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური დოკუმენტი-„დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები“ (ს. კაპანაძე, გ. გოგუაძე). გარკვეულწილად ამ დოკომენტის გაგრძელებას წარმოადგენს გ. გოგუაძის 2017წ. გამოქვეყნებული პოლიტიკური დოკუმენტი „ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდა და საქართველოს მოქალაქეთა გადაბირების მეთოდები“. რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის შესწავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს „საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის“ (GCSD) მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული პოლიტიკური დოკუმენტი „რადიკალიზაციისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მექანიზმების გაუმჯობესება საქართველოში.“

კვლევის პროცესში ძალზედ გამომადგა ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის პროფესორის ელენა პოკალოვას სტატია „საქართველო, ტერორიზმი და უცხოელი მებრძოლები," რომელიც 2018წ. გამოქვეყნდა (Pokalova 2018).

საქართველოში რეკრუტირებისა და რადიკალიზმის განმსაზღვრელი ფაქტორების მიმოიხილავს გვთავაზობს ბენეტ კლიფორდი პოლიტიკურ დოკუმენტში: „ქართველი მებრძოლები სირიასა და ერაყში და ძალისმიერი ექსტრემიზმისა და რეკრუტირების ფაქტორები."

რაც შეეხება აზერბაიჯანს, აღნიშნულ ქვეყანაში რადიკალიზაციისა და რელიგიური ექსტრემიზმის მიმოხილვისას, გამოვიყენე ადგილობრივი ავტორებიც. საკმაოდ საინტერესო მიმოხილვას გვთავაზობს ანარ ვალიევი თავის სტატიებში „უცხოური ტერორისტული ჯგუფები და რადიკალიზმი აზერბაიჯანში" (Valiyev 2008) და „აზერბაიჯანი: ისლამი პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკაში" (Valiyev 2005).

აზერბაიჯანში რადიკალიზაციის ფაქტების მნიშვნელოვან ანალიზს გვთავაზობს „თომას მორის ინსტიტუტის" კვლევა: „სალაფიზმის რისკები აზერბაიჯანში: სუნიტური ისლამის ზრდის შედეგად განვითარებული მოვლენების შეფასება."

აზერბაიჯანში რადიკალიზაციის ფაქტებს მიმოიხილავს ჯული ვილჰელმსენიც სტატიაში-„რამდენად ძლიერია ისლამი აზერბაიჯანში", რომელიც 2009 წელს გამოქვეყნდა (Wilhelmsen 2009).

ძალადობრივი ექსტრემიზმის ფართო მიმოხილვას, როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში გვთავაზობს 2018 წელს „ფრიდრიხ ებერტის ფონდისა" (FES) და „საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის" (GCSD) მიერ გამოქვეყნებული კვლევა „ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები აზერბაიჯანსა და საქართველოში."

2. რეგიონალური საფრთხეები

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე რეგიონში მიმდინარე პროცესები პირდაპირ გავლენას ახდენდა მის შიდა პოლიტიკურ თუ უსაფრთხოების საკითხებზე. დასავლური და აღმოსავლური დერეფნის ფუნქცია, გარდა დადებითი შედეგებისა, ხშირად საფრთხის შემცველიც იყო, რადგან მისი გამოყენება ყოველთვის სასიკეთო მიზნით არ ხდებოდა. ეს საფრთხე დღესაც არსებობს და შესაძლოა საქართველო გამოყენებულ იქნეს სატრანზიტო დერეფნად.

კავკასიის რეგიონი საკმაოდ ჭრელი და მრავალფეროვანია, ამიტომ თითოეული ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოზე. მათ შორის ისეთი ქვეყნების, როგორიცაა აზერბაიჯანი, ირანი და თურქეთი.

რელიგიური რადიკალიზაცია კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების მთავარ დილემას წარმოადგენს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა დაუცველს ხდის მას, როგორც პოტენციურ სატრანზიტო ზონას (Pokalova 2018, 147). რა განაპირობებს საქართველოში რადიკალიზაციის ფაქტების ზრდას. ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობეს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გარდა აქვს განათლების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, იდენტობის პრობლემა. ცალკე პრობლემას წარმოადგენს ქსენოფობია. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი კი უკმაყოფილებას იწვევს და შესაძლოა რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმისკენ უბიძგოს.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების გარდა საქართველოს უსაფრთხოებაზე, როგორც უკვე არა ერთხელ აღვნიშნე, შესაძლოა უარყოფითად აისახოს რეგიონში მიმდინარე პროცესები, ამიტომ შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო საქართველოს წინაშე არსებული რეგიონალური საფრთხეები და გამოწვევები. პირველ რიგში კი ყურადღებას აზერბაიჯანზე გავამახვილებ.

3. ძალადობრივი ექსტრემიზმი აზერბაიჯანში და მისი შესაძლო გავლენა საქართველოზე

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აზერბაიჯანი რამდენიმე მთავარი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. აზერბაიჯანის გეოგრაფიულმა მდებარეობამ თურქეთსა და ირანს შორის, საზღვარმა დაღესტანთან,

სუსტმა სამართალდამცავი ორგანოებმა, ხარვეზებმა კანონმდებლობაში ქვეყანა რელიგიური რადიკალიზმის სამიზნედ აქცია (Valiyev 2008, 95).

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა აზერბაიჯანისთვის კვლავ ყარაბაღის კონფლიქტია. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, ისევე როგორც საქართველოსთვის, აზერბაიჯანისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. არაკონტროლირებადი ტერიტორიების პრობლემა ხელს უწყობს დესტაბილიზაციას და სხვადასხვა ჯგუფების მიერ გავლენის მოპოვებას და შესაძლოა ექსტრემისტულ ჯგუფებში გაწევრიანების მოტივიც გახდეს.

რადიკალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემწყობი ფაქტორი აზერბაიჯანში, ისევე როგორც საქართველოში, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და უმუშევრობაა.

ყარაბაღის კონფლიქტი დღემდე სერიოზულს პრობლემას წარმოადგენს. გაყინული კონფლიქტი აზერბაიჯანის, როგორც უსაფრთხოებას უქმნის პრობლემას, აგრეთვე დიდი ფინანსურ რესურსსაც მოითხოვს. ამ კონფლიქტით კი დიდ მოგებას ნახულობს რუსეთი. გარდა იმისა, რომ რუსეთი იარაღით ვაჭრობს, ხელს უშლის აზერბაიჯანის დასავლურ ორგანიზაციებთან ინტეგრაციისკენ სწრაფვას და აზერბაიჯანს სრულად მასზე დამოუკიდებელს ხდის. 2016 და 2020 წლებში მიმდიმარე პროცესებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეს კონფლიქტი აზერბაიჯანისთვის სერიოზული გამოწვევაა. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კი საფუძველს უქმნის მოსახლეობას უფრო მეტად მოწყვლადი გახდეს გარე დეტერმიტებისაგან.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე აზერბაიჯანს დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნდა, თუმცა მისი მრეწველობა სრულად დამოკიდებული იყო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან არსებულ იმპორტზე. საბჭოთა კავშირის დაშლამ და ყარაბაღის კონფლიქტმა უარყოფითად იმოქმედა აზერბაიჯანის ეკონომიკაზე (ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები აზერბაიჯანსა და საქართველოში 2018, 6). ეკონომიკურმა პრობლემებმა გამოიწვია უმუშევრობა და მოსახლეობის გაღატაკება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ემატება აზერბაიჯანის გეოგრაფიული მდებარეობაც და აზერბაიჯანი დადგა თურქეთიდან, ირანიდან, არაბული სამყაროდან და ჩრ. კავკასიიდან გავრცელებული რელიგიური იდეოლოგიის გავრცელებიდან მიღებული გამოწვევების წინაშე (ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები აზერბაიჯანსა და საქართველოში 2018, 7).

რადიკალური ისლამი-ვაჰაბიზმი აზერბაიჯანშიც საკმაოდ გავრცელებულია და იქაც სალაფიტური იდეოლოგიის გავრცელება ძირითადად დაღესტნიდან და ჩეჩნეთიდან ხორციელდება. აზერბაიჯანში ვაჰაბიზმი კახისა და ზაქათალის რაიონებშია გავრცელებული, სწორედ იმ რეგიონებში, რომლებიც საქართველოს საზღვრებთან მდებარეობს. ამიტომ საქართველოსთვის ჩვენს საზღვრებთან რადიკალური ისლამისტების რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია. აზერბაიჯანელი შიიტებიც საფრთხედ მიიჩნევენ საქართველოში და ზოგადად კავკასიაში გავრცელებულ ვაჰაბიზმს. აზერბაიჯანიდანაც მომრავლდა ISIS-ში წასულთა რიცხვი და როგორც არაოფიციალური წყაროები ასახელებენ ეს რაოდენობა 900-ზე მეტია. რომ არა აზერბაიჯანის მიერ გატარებული მკაცრი პოლიტიკა რადიკალური ისლამის მიმდევრების მიმართ, ალბათ ეს რაოდენობა უფრო მეტი იქნებოდა.

სალაფიზმს აზერბაიჯანში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1986წ. აზერბაიჯანში სალაფიზმი დროებით ჩასულმა სწავლულებმა შეიტანეს. სწორედ ამ პერიოდში აშენდა ბაქოში პირველი სალაფიტური მეჩეთი. თუმცა ძირითადი გავრცელება მაინც ჩრ. კავკასიიდან გადმოსულ ლტოლვილებს უკავშირდება (Clifford 2017). როგორც აღვნიშნე, სალაფიზმი-ვაჰაბიზმი აზერბაიჯანშიც პირველად 90-იან წლებში გამოჩნდა ჩრ. კავკასიიდან გადმოსული მისიონერების გამოჩენის პარალელურად, რასაც ხელი შეუწყო რუსეთ-ჩეჩნეთის ომმა და ყარაბაღის კონფლიქტმა. რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს აზერბაიჯანს ლტოლვილების განსაკუთრებით დიდი ნაკადი მიაწყდა. თუმცა თავიდან სალაფიტური იდეები დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა, რადგან აზერბაჯანში პანთურქიზმი და ნაციონალიზმი უფრო პოპულარული იყო (Valiyev 2008, 107).

აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტური ისლამის მიმდევარია, ამიტომ ნაკლებად იზიარებდა სალაფიტურ იდეებს. მოსახლეობის 75% შიიტია, დანარჩენი სუნიტი. თუმცა მოგვიანებით სალაფიტების რაოდენობის ზრდა ქვეყანაში თანდათან გააქტიურდა, აშენდა მეჩეთები. აზერბაიჯანში თანდათანობით

საკმაოდ გაიზარდა სალაფიტების რიცხვიც და მათმა რაოდენობას 15 000 მიაღწია (Valiyev 2008, 107). 2003 წელს 65 სალაფიტური მეჩეთი დაარსდა (Wilhelmsen 2009, 733).

2000 წელს ჩრ. კავკასიიდან გადმოსულმა აქტივისტებმა, რომლებიც „ტყის ძმების" სახელით იყვნენ ცნობილი, დააარსეს რამდენიმე ბაზა ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით, მათ შორის 2008 წელს აბუ ბაქრის მეჩეთის დაბომბვის ჩათვლით. 90-იან წლებში ალიევის ხელისუფლება შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა სალაფიტების წინააღმდეგ, თუმცა 11 სექტემბრის და განსაკუთრებით კი 2008 წლის აბუ ბაქრის მეჩეთის დაბომბვის შემდეგ მკვეთრად დაუპირისპირდა სალაფიტებს (Clifford 2017). 2001 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ვაჰაბიზმი დევნას ექვემდებარება, რადგან საფრთხეს უქმნის აზერბაიჯანის ეროვნულ უსაფრთხოებას. ბაქოში 8000-დან 10000-მდე ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობს და მუშაობს. არა და ჩეჩენი ლტოლვილების დიდი ნაწილი სწორედ ვაჰაბისტია. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო აზერბაიჯანში ვაჰაბიტების მასობრივი დაპატიმრება (Wilhelmsen 2009, 734). ხურავდნენ სალაფიტურ მეჩეთებს, მედრესეებს, აპატიმრებდნენ მათ მიმდევრებს და სასულიერო პირებს ხშირად პარსავდნენ წვერს... ამ პოლიტიკამ ერთის მხრივ შეასუსტა სალაფიტური თემი, მეორეს მხრივ კი, პირიქით, პროტესტი გამოიწვია და სრულად ვერ ამოძირკვა რადიკალიზაციის ფაქტები. ამ პოლიტიკამ სალაფიზმების კიდევ უფრო მეტად მარგინალიზაცია გამოიწვია (Clifford 2017).

აზერბაიჯანი მკაცრად რელიგიური ქვეყანა არ არის, სხვა არაბული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, თუმცა „ისლამური სახელმწიფოს" გააქტიურებამ აზერბაიჯანი განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სალაფიტების უმრავლესობა რადიკალურად არიან განწყობილები, მაგრამ მთავრობა განსაკუთრებით მკაცრად აკონტროლებს რადიკალური სალაფიზმის მიმდევრების ჯგუფებში გაწევრიანებას. აზერბაიჯანიდან ახალგაზრდების ნაწილმა ქვეყანა დატოვა და „ისლამურ სახელმწიფოს" შეუერთდა. აზერბაიჯანიდან რადიკალიზაციის ფაქტები ძირითადად იმ რეგიონში ფიქსირდება, რომელიც ჩეჩნეთსა და დაღესტანს ესაზღვრება. რეკრუტირების წყარო შესაძლოა არა მხოლოდ ინტერნეტი, არამედ აზერბაიჯანის ქალაქებში არსებული ფარული ჩაი ხანები იყოს. თუმცა ამ რაოდენობაში შესაძლოა იგულისხმებოდეს არა მხოლოდ უშუალო მებრძოლები, არამედ მათი ოჯახის წევრები და ა.შ.

რადიკალიზაციის ზრდას აზერბაიჯანში ხელს უწყობს მომრავლებული ფონდები და რელიგიური ორგანიზაციებიც. ცალკე პრობლემას წარმოადგენს ირანის ინტერესები. აზერბაიჯანში 90-იან წლებიდან ირანის მიერ დაფინანსებული მრავალი ორგანიზაცია დაარსდა, რომლებიც რელიგიური ლიტერატურის გავრცელების გარდა აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს ირანულ რელიგიურ სკოლებში განათლების მიღების საშუალებასაც აძლევდა (ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები აზერბაიჯანსა და საქართველოში 2018, 10).

აზერბაიჯანის ისლამური პარტია ირანის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია (ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები აზერბაიჯანსა და საქართველოში 2018, 11).

90-იანი წლების ბოლოს ახალგაზრდების ნაწილი ჰეზბოლას რიგებს შეუერთდა (Valiyev 2008, 97). აზერბაიჯანში პროირანულმა ძალებმა ბოლოს გავლენა 2006 წელს მოიპოვა და ჩამოაყალიბა „მაჰდიის ჩრდილოეთ არმია" (Valiyev 2008, 98).

აზერბაიჯანი ტერორისტული ორგანიზაციების ინტერესის საგანიც გახდა. ალ-ქაიდას გააქტიურების შემდეგ აღნიშნულმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ ბაქოში დააფუძნა ოფისი და მხარი დაუჭირა სომხეთის წინააღმდეგ ომს ყარაბაღის კონფლიქტის გამო. ალ-ქაიდას ინტერესები აზერბაიჯანის მდებარეობის გამო ჰქონდა, რადგან ალ-ქაიდასთვის აზერბაიჯანი სატრანზიტო ქვეყანა იყო (Valiyev 2008, 100). 11 სექტემბრის შემდეგ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აზერბაიჯანშიც გააქტიურდა და მალევე 23 საერთაშორისო ტერორიზმში ბრალდებული პირი იქნა დაკავებული (Valiyev 2008, 100).

აზერბაიჯანში რადიკალიზაციის ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი, როგორც უკვე აღვნიშნე, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით კი შესაძლოა ისარგებლონ სხვადასხვა ჯგუფებმა და ეს ფაქტი საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ. სწორედ ამგვარ მოვლენებს ქონდა ადგილი 2002 წელს. 2002 წლის გაზაფხულზე აზერბაიჯაში სოფ. ნარდარანში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, მოსახლეობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა გამოიყვანა გარეთ, თუმცა დემონსტრანტები რელიგიურ მოწოდებებს სკანდირებდნენ. 3 ივნისს მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა, რაც დაპირისპირებაში გადაიზარდა. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის

მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც დაიღუპა 1 და დაშავდა 30 ადამიანი. აღნიშნული ფაქტი მეტად ყურადსაღებია, რადგან ნარდარანში ირანის გავლენა საკმაოდ მაღალი იყო და აღნიშნული სოფელი გამოირჩეოდა თავისი რელიგიურობით (Valiyev 2008, 106).

მომდევნო მწვავე პროტესტი აზერბაიჯანის მოსახლეობის მხრიდან 2006 წელს განხორციელდა. 2006 წელს დანიაში მუჰამედის კარიკატურების დაბეჭდვა აზერბაიჯანის სოფელ ნარდარანის მოსახლეობამ გააპროტესტა და დანიის პროდუქტზე ბოიკოტი მოითხოვა (Wilhelmsen 2009, 730). ნარდარანი გამსაკუთრებულ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მზარდმა სოციალ-ეკონომიკურმა უთანასწორობამ, ეფექტურმა რელიგიურმა ჯგუფებმა და რეპრესიულმა სახელმწიფოებრივმა რეაქციამ შესაძლოა ბიძგი მისცეს რელიგიურ ექსტრემიზმს და გააძლიეროს იგი (Wilhelmsen 2009, 731).

აზერბაიჯანის ეკონომიკა 2015 წლის შემდეგ განსაკუთრებით დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ეკონომიკურმა კრიზისმა და მანათის დევალვაციამ კიდევ უფრო მეტად დაამძიმა მდგომარეობა. მართალია სახელმწიფომ გაატარა გარკვეული რეფორმები, მაგრამ მდგომარეობა საბოლოოდ მაინც ვერ გამოსწორდა (ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები აზერბაიჯანსა და საქართველოში 2018, 9). მოსახლეობის 45%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და მზარდმა უფსკრულმა მდიდრებსა და ღარიბებს შორის (Wilhelmsen 2009, 737) შეიძლება ისლამი ბრძოლის იარაღად გამოიყენოს, ხოლო აზერბაიჯანის რეპრესიულმა პოლიტიკამ შესაძლოა უბიძგოს ძალადობისკენ (Wilhelmsen 2009, 738).

უშუალოდ ტერორიზმის საფრთხის წინაშე აზერბაიჯანი 2007 წელს დადგა. იხაგარ მოლაჩიევმა, წახური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა, დაღესტნის დედაქალაქ მახაჩკალაში შეისწავლა ისლამი, დაბრუნდა აზერბაიჯანში და 2008 წელს აბუ-ბაქრის მეჩეთში ჯიხადი სცადა. თუმცა წინააღმდეგობის გამო ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. მოლაჩიევი დაღესტანში გაიქცა, სადაც რუსეთის სპეცსამსახურებმა დახვრიტეს. 2008 მოვლენების გამო აბუ-ბაქრის მეჩეთი 4 წლით დაიხურა. ტერაქტის კიდევ ერთი მცდელობა იყო 2012 წელს „ევროვიზიის“ დაჯილდოების ცერემონიალზე. აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა ტერორიზმის ბრალდებით ქალაქ განჯაში მოკლეს ვუგარ პადაროვი, თუმცა ნამდვილად იგეგმებოდა თუ არა ტერაქტი დაზუსტებული არ არის (Salafist Risks in Azerbaijan/Assessing Sunni Islamist Recent Developments 2014, 4).

აზერბაიჯანში რელიგიური გრძნობები საკმაოდ მწვავე პრობლემაა. აზერბაიჯანის მთავრობა ტერორიზმის წინააღმდეგ ხისტ პოლიტიკას ატარებს, რაც შესაძლოა პირიქით უარყოფითად მოქმედებდეს ქვეყნის უსაფრთხოებაზე. 2011 წელს აზერბაიჯანის მთავრობამ აკრძალა საჯარო სკოლებში ჰიჯაბის ტარება, რასაც დიდი წინააღმდეგობა და მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა, შემდეგ კი ფართო კამპანიაში გადაიზარდა. დაიწყო ხელმოწერების შეგროვება. ყოველივე ეს მიუთითებს ისლამის გავლენის ზრდას. აზერბაიჯანის მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აქვთ, უფრო მეტად მოწყვლადები არიან ძალადობრივი რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის წინაშე და ხისტმა პოლიტიკამ შესაძლოა უკურეაქცია გამოიწვიოს მათ რადიკალიზაციას შეუწყოს ხელი.

სალაფიზმი დიდხანს არ განიხილებოდა საფრთხის შემცველად. აზერბაიჯანის სახელმწიფოს მკაცრმა ზეწოლამ სუნიტურ თემებზე მოსახლეობის რადიკალიზაცია გამოიწვია, მიატოვა აზერბაიჯანი და გლობალურ ჯიჰადში ჩაერთო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პოლიციამ არ უნდა აკონტროლოს სხვადასხვა ჯგუფები, თუმცა საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რადგან პირიქით ბიძგის მიმცემი არ გახდეს და ხელი არ შეუწყოს რადიკალიზაციის ფაქტებს (Salafist Risks in Azerbaijan/Assessing Sunni Islamist Recent Developments 2014, 8).

აზერბაიჯანში ცალკე პრობლემას წარმოადგენს კორუფცია და კლანური მმართველობა. იმ განათლებულ ახალგაზრდებში, რომლებმაც ვერ შეძლეს სამსახურის შოვნა და საკუთარი თავის რეალიზება ნეპოტიზმის გამო, სახელმწიფოს მიმართ გარკვეულწილად გაუცხოება და გაბრაზება გამოიწვია, მათი მოწყვლადობის ხარისხი კი კიდევ უფრო მეტად გაზარდა.

არსებობს მოსაზრება, რომ ჯიჰადისტურ ქსელს მხოლოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების და დაბალი განათლების მქონე ადამიანები უერთდებიან. თუმცა მკვლევარებმა შეისწავლეს ინტერნეტ საიტები და დაადგინეს, რომ სალაფიტები ხშირად კარგად განათლებული, კარგი სოციალური სტატუსით და შემოსავლის მქონე პირები არიან. ისინი დღევანდელ კორუმპირებულ აზერბაიჯანის

ხელისუფლებასთან იდეოლოგიურ ვაკუუმს განიცდიან და ეძებენ სულიერ ალტერნატივებს (Wilhelmsen 2009, 735).

ჯიჰადურმა სალაფიზმა „ტყის ძმები", რომელიც შექმნა მოლაჩაევმა (Salafist Risks in Azerbaijan/Assessing Sunni Islamist Recent Developments 2014, 6), სოციალურმა ქსელებმა, ფეისბუქმა და vkontakte (vk.com) აზერბაიჯანის ახალგაზრდობის რადიკალიზაციის პროცესზე გადამწყვეტი როლი ითამაშა. აზერბაიჯანიდან, ისევე როგორც საქართველოდან, არაბულ სამყაროში ძირითადად თურქეთის გავლით ხვდებიან (Salafist Risks in Azerbaijan/Assessing Sunni Islamist Recent Developments 2014, 7).

სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა:

უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ სწორად შეაფასა მოსალოდნელი საფრთხეები და განახორციელა გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები. 1999 წლის 18 ივნისს აზერბაიჯანში მიღებულ იქნა კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ. 2014 წელს განხორციელებული ცვლილებით კი დასჯადი გახდა ტერიროზმის ნებისმიერი სახით მოწოდება. ამავე წლის სექტემბერში აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ბაქოში 26 ჯიჰადისტი დააკავა, რომლებიც სიარიაში აპირებდნენ გადასვლას (Omsarashvili 2018, 31). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელ სტუდენტებზე საზღვარგარეთის ისლამურ უნივერსიტეტებში სწავლის შეზღუდვა მოქმედებს (Omsarashvili 2018, 31). თუმცა რამდენად სწორია ეს პოლიტიკა, საკამათოა. ემილ სულეიმანოვის აზრით მსგავსმა ანტივაჰაბიტურმა პოლიტიკამ შესაძლოა, პირიქით, ხელი შეუწყოს რადიკალიზაციას (Omsarashvili 2018, 32).

მძიმე სოციალურ ეკონომიკური პირობების აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ გაატარა გარკვეული ღონისძიებები სხვადასხვა სოციალური პროგრამების ხარჯზე. მთავრობამ რელიგიური თემები სახლმწიფო კონტროლს დაუქვემდებარა. აზერბაიჯანის ხელისუფლება განსაკუთრებით ზრუნავს ირანის გავლენის შეზღუდვაზე. სწორედ ამ მიზნით შეზღუდა რელიგიური ლიტერატურის ექსპორტი ირანიდან.

პრობლემის აღმოსაფხვრელად ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ეკონომიკური პრობლემის გაუმჯობესებაზე, დასაქმების დონის გაზრდაზე და მის ხელმისაწვდომობაზე, გაატაროს განათლების რეფორმა. აზერბაიჯანისთვის განსაკუთრებით საფრთხის შემცველია სალაფიზმის მიმდევრების ზრდა. სალაფიზმი კი, როგორც ჩანს, აზერბაიჯანში დაფინანსებულია ახლო აღმოსავლეთის მიერ (Wilhelmsen 2009, 739). ამიტომ საჭიროა რელიგიური ორგანიზაციებზე კონტროლი, რათა არ მოხდეს მისი გამოყენება სხვა მიზნით.

რამდენად დგას რადიკალიზაციის საფრთზე აზერბაიჯანში? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი შევეცდები დასკვნის სახით შემოგთავაზოთ. ტერორისტული დაჯგუფებები რაციონალური აქტორები არიან. მათთვის მთავარი რაც შეიძლება დიდი რაოდენობით მსხვერპლი და დიდი რეზონანსის გამოწვევაა. ამიტომ ბაქოზე თავდასხმა ტერორისტებისთვის მიმზიდველი არ არის. ერთადერთი სამიზნე, რაც შეიძლება მათი ინტერესის საგანს წარმოადგენდეს, აშშ-ის, ბრიტანეთის და ისრაელის საელჩოები და ბაჰო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენია. თუმცა არც ეს მილსადენი არ არის ისეთი მნიშვნელობის, რომ ტერორისტული ორგანიზაციებისთვის მაღალ ინტერესს იწვევდეს. ბაჰო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი მსოფლიო ნავთობის მოხმარების მხოლოდ 1.2%-ს ამარაგებს. გარდა ამისა, დაზიანებული მილსადენის რეკონსტრუქცია შესაძლებელია ერთ ან რამდენიმე კვირაში. მაგისტრალის დაზიანებამ კი შესაძლოა გამოიწვიოს პანიკა და ნავთობის ფასები გაზარდოს მსოფლიო ბაზარზე, რაც დიდი ალბათობით სულაც არ უნდა აწყობდეს არაბულ სამყაროს. თუმცა, მეორეს მხრივ, მილსადენზე თავდასხმა აზერბაიჯანისთვის შესაძლოა კატასტროფის ტოლფასი გახდეს და ქვეყანამ დაკარგოს თავისი მიმზიდველობა მაღალი ფინანსური რისკების გამო (Valiyev 2008, 102). მაგისტრალზე თავდასხმის შემთხვევაში კი დიდი ზიანი არა მხოლოდ აზერბაიჯანს, არამედ საქართველოს ეკონომიკას და უსაფრთხოებასაც მიადგება. რადიკალიზაციის ზრდა აზერბაიჯანში საქართველოსთვის საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს სარკინიგზო მაგისტრალისა და უპირველეს ყოვლისა გაზსადენისა და მილსადენის გამო (Omsarashvili 2018, 32).

აზერბაიჯანი დიდი შანსია, რომ არ წარმოადგენდეს „ისლამური სახელმწიფოს" მხრიდან პირდაპირ სამიზნეს, რადგან შიიტური სახელმწიფოა და მიუხედავად ყველაფრისა, სალაფიზმის გავრცელება მაინც დიდი პრობლემაა ქვეყანაში. გარდა ამისა Global Terrorism Index Report-ის მიხედვით აზერბაიჯანი

ტერორიზმის მხრივ საშიშ ქვეყნად არ აღიქმება. 2017წ. მონაცემებით მხოლოდ 95-ე ადგილზეა. აზერბაიჯანი „დაეშისთვის" სავარაუდოდ უფრო ტრანზიტული ქვეყანის დანიშნულებით იწვევს ინტერესს, ვიდრე უბრალოდ მებრძოლების მთავარ ექსპორტიორად.

4. ჩრდილო კავკასია

კიდევ ერთი რეგიონი, რომელიც საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს, არის ჩრდილო კავკასია, რადგან იქ მიმდინარე პროცესები შესაძლოა პირდაპირ აისახოს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე. სწორედ პირველი ჩეჩნეთის ომის შემდეგ ჩრ. კავკასიის მასშტაბით გავრცელდა ჯიჰადის საფრთხე (კვახაძე 2018, 6) და საქართველოში სალაფიზმის გავრცელება პანკისში ჩეჩნეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის გამოჩენას უკავშირდება. გარდა ამისა, ჩრ. კავკასიამ შესაძლოა საქართველო გამოიყენოს სატრანზიტო დანიშნულებით. ჩრ. კავკასიელ ჯიჰადისტებს შეუძლიათ პროპაგანდისტული ქსელის მეშვეობით ზეგავლენა იქონიონ ადგილობრივი მოსახლეობის რადიკალიზაციაზეც (კვახაძე 2018, 6). ამასთანავე, ჩრ. კავკასიაში არსებული მდგომარეობა შესაძლოა პირდაპირ აისახოს საქართველოზე, თუ კვლავ დიდი რაოდენობით დევნილები მოაწყდებიან საქართველოს. ეს კი კიდევ უფრო მეტად დაამძიმებს პანკისის რეგიონის ეთნიკურ მდგომარეობას (კვახაძე 2018, 7).

ჩრ. კავკასიაში რადიკალიზაციის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორები, ისევე როგორც აზერბაიჯანში, სახელმწიფოს მხრიდან სალაფიტურ ორგანიზაციებზე ზეწოლა, კორუფცია, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებია. ყოველივე ამას ხელი ჩეჩნეთის ომებმა შეუწყო. ჩეჩნეთის ომის დროს ჩამოყალიბდა ჯიჰადისტური ქსელები და ე.წ. „კავკასიის ემირატი." ზუსტი მონაცემები ცნობილი არ არის, თუმცა დაუზუსტებელი ინფორმაციით ჩრ. კავკასიიდან 1000 მებრძოლი იმყოფება „ისლამურ სახელმწიფოში" საბრძოლველად. რადგან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ ასხვავებენ სალაფიზმის ძალადობრივ და არაძალადობრივ მიმდინარეობებს და ერთნაირად ებრძვის მათ, ახალგაზრდებს ძალადობრივი ჯიჰადი უფრო იზიდავს, რადგან პოლიტიკური ცვლილებების ერთადერთ გზად მიაჩნიათ (Clifford 2017). სახელმწიფო სრულად აკონტროლებს რელიგიურ სასწავლებლებს, თავად ნიშნავს სასულიერო პირებს, მძიმე მდგომარეობაში აყენებს მათ, რაც მეტ ბიძგს აძლევს ახალგაზრდებს რადიკალიზაციისკენ.

5. თურქეთი და მისგან მომდინარე საფრთხეები

თურქეთშიც საკმაოდ დიდია ფუნდამენტალისტი ისლამისტების რაოდენობა. ბოლო პერიოდში თურქეთში მიმდიმარე მოვლენები კი ძალზედ საყურადღებოა ქართული მხარისთვის, რადგან თურქეთმა აშკარად გადაუხვია დასავლურ გზას და რადიკალიზაციის საკმაოდ დიდი საფრთხეც შეიძლება შეიქმნას. თურქეთი კი ძალიან ახლოსაა საქართველოსთან და მისი გავლენაც საკმაოდ დიდია ქვეყანაზე. ხელახალი ისლამიზაცია აჭარის მაღალმთიანეთში ნაწილობრივ მისი თურქეთთან გეოგრაფიული სიახლოვის ბრალიცაა. აჭარის ბარში განსხვავებული სიტუაციაა, რაც ძირითადად მოსახლეობის ხელახალ გაქრისტიანებაში გამოიხატება, მაგრამ აქაც საკმაოდ დიდია თურქეთის გავლენა. ბათუმის და ზოგადად აჭარის ეკონომიკაში საკმაოდ დიდი ნაწილი თურქულ ინვესტიციებზე მოდის. აქვს თუ არა თურქეთს რაიმე სახის ინტერესი აჭარის რეგიონის მიმართ, დაზუსტებით ძნელია თქვა. შესაძლოა თურქეთის ხელისუფლებას სულაც არ აწყობდეს აჭარის გამო დამატებითი პრობლემები შეიქმნას, მაგრამ მათი აქტიურობა რეგიონში მომავალში რა შედეგებს მოიტანს არავინ იცის.

6. ირანი

რაც შეეხება ირანს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უშუალო მეზობელი არაა, საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ქვეყანაზე. ამ ქვეყნიდანაც ინვესტიციების დიდი ნაკადი მოდის და ბოლო პერიოდში საკმაოდ გააქტიურდა საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობა. ამ ქვეყანას რამდენად შეიძლება ჰქონდეს ინტერესი საქართველოს მიმართ უფრო ძნელი სათქმელია, თუმცა ირანიც და თურქეთიც სირიის კონფლიქტშია ჩაბმული და ჩვენ მათ შორის ვართ. საქართველოს საზღვრებთან გაჩენილი რადიკალური ისლამის მიმდევრების ზრდა კი დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანას (ბასილაია 2014).

სამი მუსლიმური სახელმწიფოს არსებობა ჩვენს სამეზობლოში არ გვაძლევს მოდუნების საშუალებას, მით უმეტეს, რომ ამ სახელმწიფოებშიც იმატა რადიკალური ისლამის მიმდევრების რიცხვმა. მთავარია მოსალოდნელი საფრთხეები სწორად შევაფასოთ და არ დავუშვათ ექსტრემიზმის ზრდა საქართველოში.

განხილულ სამ გეოგრაფიულ არეალს შორის ჩრ. კავკასია, საქართველო, აზერბაიჯანი არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განსხვავების მიუხედავად სალაფისტურ-ჯიჰადისტური მიმდინარეობის პოპულარობას რამდენიმე საერთო ფაქტორი განაპირობებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი სალაფიტური მიმდინარეობის როგორც ძალადობრივი, ისე არაძალადობრივი მიმართულების ერთი იარლიყის ქვეშ გაერთიანებაა: „ექსტრემისტი-ვაჰაბისტი“. ჩრ. კავკასიასა და აზერბაიჯანში სალაფიტების წინააღმდეგ მკაცრმა პოლიტიკამ უკურეაქცია გამოიწვია და მათ რადიკალიზაციას უფრო მეტად შეუწყო ხელი. როგორც კლიფორდი განიხილავს, ტრადიციული ისლამი რატომღაც ასოცირდება სახელმწიფო უწყებებთან, სალაფიტურ ისლამის მიმდევრებს კი არ ეძლევათ სახელმწიფო პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება, რაც მათ რადიკალიზაციისა და ძალადობისკენ უბიძგებს (Clifford 2017).

7. რუსეთის ფაქტორი და მისგან მომავალი საფრთხეები საქართველოსთვის

ცალკე გასათვალისწინებელია რუსეთის ფაქტორიც. რუსეთი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით შესაძლოა პანკისის ხეობას დაესხას თავს და ქართული სახელმწიფო კიდევ ერთხელ გახდეს რუსული აგრესიის მსხვერპლი. საქართველო ამ მხრივაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. როგორც ს.ლავროვის ერთ-ერთ განცხადებაშია ნათქვამი, თავის დროზე რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი სწორედ პანკისის ხეობიდან მომავალი საფრთხეების გამო დააწესა (ლომსაძე 2016). წლების განმავლობაში რუსეთი პანკისის ხეობიდან მომავალი საფრთხეებით მანიპულირებდა და ხეობას დღემდე ჩეჩენი ბოევიკების თავშესაფრად და ტერორიზმის წყაროდ მიიჩნევს.

რუსეთის პოზიციით პანკისი დღემდე ტერორიზმის თავშესაფარია და საფრთხეს უქმნის მის უსაფრთხოებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტი საკმაოდ მოწყვლადს ხდის საქართველოს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისათვის.

8. დასკვნა

როგორც ვხედავთ, რელიგიური რადიკალიზაცია კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების მთავარ დილემას წარმოადგენს. კავკასიის რეგიონის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განსხვავების გამო შესაძლოა რადიკალიზაციის მოტივები მკვეთრად განსხვავდებოდეს სხვადასხვა რეგიონში (Clifford 2017). ყოველივე ამას ხელი რადიკალური ისლამის გავრცელებამ შეუწყო. სალაფიზმი აუცილებლად არ ნიშნავს ძალადობას, თუმცა ხშირად სწორედ ძალადობასთან ასოცირდება, რამაც სალაფიტური მიმდინარეობის მარგინალიზაცია გამოიწვია. შესაძლოა ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რაც მუსლიმებს უბიძგებს რადიკალიზაციისკენ (Clifford 2017).

რეგიონში „ისლამური სახელმწიფოს“ პოპულარობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს უსაფრთხოება. ქვეყანა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა: საქართველო ისლამური სახელმწიფოს მხრიდან შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი მიზნებით: ტერიტორიის გამოყენება ტრანზიტული დანიშნულებით ჩრდილო კავკასიის, შუა აზიის, თურქეთის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართულებით; ქართული საბანკო და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ფულადი სახსრების მოძრაობა ტერორისტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად; თავშესაფრების, მარშუტების ქსელის შექმნა, ქვეყანაში არსებული ლიბერალური სავიზო პოლიტიკის გამოყენება, დივერსიები სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მილსადენებზე (საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზი 2018, 11-12).

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ პირველ რიგში უნდა იზრუნოს მუსლიმი მოსახლეობის ინტეგრაციაზე, უნდა კონტროლდებოდეს თუ რა განათლებას იღებენ ისინი თავიანთ სასწავლებლებში. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქრისტიანების და მუსლიმების მშვიდობიან თანაცხოვრებას და მუსლიმთა უფრო ღრმა ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხეები. საგარეო პოლიტიკის კუთხით კი უნდა გააძლიეროს

დასავლურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მეზობელ ქვეყნეთან აქტიური თანამშრომლობით ხელი შეუშალოს რადიკალიზაციის ფაქტებს საქართველოში.

რეკომენდაციები

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს აქტიური ანტიტერორისტული პოლიტიკა. ითანამშრომლოს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან. აქტიური თანამშრომლობაა საჭირო მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით კი თურქეთის სპეცსამსახურებთან, რადგან საქართველოდან სწორედ თურქეთის გავლით ხვდებიან სირიაში.
- გააძლიეროს საზღვრის დაცვის მექანიზმები.
- კონტროლი განახორციელოს რელიგიურ სასწავლებლებზე, ე.წ. „მედრესეებზე," რათა არ დაუშვას ამ სასწავლებლებში რადიკალიზაციის წარმოშობა.
- იზრუნოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციაზე. საჭიროა გაუმჯობესდეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების განათლების დონე და ეკონომიკური მდგომარეობა. შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეიმუშავონ გარკვეული სტრატეგია ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და ინტეგრაციისთვის.

ლიტერატურა:

ანთაძე, გიორგი. ტერორიზმის დეფინიციის პრობლემა. თბილისი, 2009.

არტი რობერტ და ჯერვისი რობერტ. საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, ჰოფმანი ბრიუს, „რა არის ტერორიზმი", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.

ბასილია, ეკატერინე. 2014. Internet. Available from http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=20874 - (28-01-2018).

ბატიაშვილი, ზურაბ. სალექციო კურსი „ახლო აღმოსავლეთი და თურქეთი." საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი (GFSIS). თბილისი, 10.12.2018.

ბატიაშვილი, ზურაბ. ტელეკომპანია „მაესტრო." თბილისი, 08.01.2019.

გოგუაძე, გიორგი. ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდა და საქართველოს მოქალაქეთა გადაბირების მეთოდები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი (GFSIS), 2017წ.

გოგუაძე გიორგი, კაპანაძე სერგი. დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), პოლიტიკური დოკუმენტი, ნოემბერი, 2015წ.

იმედაშვილი, გიორგი. 2015. Internet. Available from http://iveria.biz/1399-isis-.html -(28-01-2018).

„ისლამურმა ხალიფატმა საქართველო მონიშნა", „Prime Time", 2015. Internet. Available from http://primetime.ge//-(28-01-2018).

კვახაძე, ალექსანდრე. საქართველო ჩრდილო კავკასიაში: გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი (GFSIS), 2018წ.

კლიფორდი, ბენეტ. ძალადობრივი რელიგიური ექსტრემიზმის განმაპირობებელი ფაქტორები კავკასიაში სირიასა და ერაყში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად: ჩრდილოეთი კავკასია, საქართველო და აზერბაიჯანი, 2017 წლის 1 მარტი, Internet. Available from http://regional-dialogue.com/relig/ - (31-01-2019).

„პასუხი ძალიან მკაცრი იქნება"-ისლამური ხალიფატის მუქარა საქართველოს. NewPosts 2015, Internet. Available from http://www.newposts.ge/?l=G&id=91840- – (02-02-2019).

„რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მექანიზმების გაუმჯობესება საქართველოში." საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი (GCSD), პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი, 2018.

რელიგიური ტოლერანტიზმი საქართველოში. 2013. Internet. Available from http://intermedia.ge/სტატია/25318-რელიგიური-ტოლერანტიზმი-საქართველოში-კვლევითი-ნაშრომი/94-(28-01-2018).

სანიკიძე, გიორგი. „ისლამური სახელმიფო“ და „დიდი თამაში“ ახლო აღმოსავლეთში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი (GFSIS), თბილისი, 2015წ.

საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. თბილისი, 2007. Internet. Available from http://police.ge/files/pdf/sakanonmdeblo%20baza/21.Law_on_Terrorism.pdf-(28-01-2018).

საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 1995.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2015 წელი.

„საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზი.“ საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი (GSAC), თბილისი, 2018.

სირბილაძე, ირაკლი. 2013. Internet. Available from http://www.socium.ge/index.php/articles/student-articles/45-terorizmis-gavlena-vestfaliur-saertashoriso-wesrigze-(28-01-2018).

ტელეკომპანია „ტაბულა“, გადაცემა „თეორემა“, „ისლამური სახელმწიფო, პანკისი და საქართველოს შეთავაზება“, 2014 წლის 30 სექტემბერი. Internet. Available from https://www.youtube.com/watch?v=7O5Ucss9cv0-(28-01-2018).

ფუკუიამა, ფრენსის. იდენტობა, იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2018.

ჩიქოვანი, ნინო. რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი, 2006.

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულება, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი , 4 აპრილი, 1949წ. Internet. Available from http://www.eu-nato.gov.ge/ge/nato/intensified-dialogue-(28-01-2018).

“ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები აზერბაიჯანსა და საქართველოში.” საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი (GSAC), ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES), თბილისი, 2018.

წულაძე, ზაზა. „26-ე მსხვერპლი: სკოლიდან გაპარული ომალოელი ისლამისტი“, „ამერიკის ხმა“, 2016 წლის 14 სექტემბერი, Internet. Available from https://www.amerikiskhma.com/a/georgian-islamist-militant-killed-in-al-raqqah/3635639.html-(28-01-2018).

ჯაფარიძე არჩილ, ჭოლოკავა თორნიკე. „ისლამური სახელმწიფოს“ ახალი სახელმძღვანელო, Caucasus Academy of Security Experts, Case Brief Report, ოქტომბერი, 2016. Internet. Available from https://www.globalcase.org/PDFs/Reports/CASE-BRIEF-REPORT-5.pdf - (29-06-2018).

Carter Ashton B., Deutch John, Zelikow Philip, Catastrophic Terrorism: Tackling the New Danger, Foreign Affairs, 1998. Internet. Available from https://www.foreignaffairs.com/articles/united-states/1998-11-01/catastrophic-terrorism-tackling-new-danger - (02-02-2019).

Clifford, Bennett. Georgian Foreign Fighters in Syria and Iraq-Factors of Violent Extremism and Recruitment, Georgian Foundation for Strategic and Intertational Studies (GFSIS), Expert Opinion N 48, Tbilisi, 2015.

Country Reports on Terrorism 2014, United States Department of State Publication Bureau of Counterterrorism Released June 2015.

Gates Scott, Podder Sukanya, Social Media, Recruitment, Allegiance and the Islamic State, 2015. Available from http://www.terrorismanalysts.com/pt/index.php/pot/article/view/446/html-(29-06-2018).

“Georgia 2014 International Religious Freedom Report.” International Religious Freedom Report for 2014 United State Department of State, Bureau of Democracy, Human Right and Labor.

Global Terrorism Index 2017, Measuring and Understanding the Impact of Terrorism. Institute for Economics & Peace. 2017.

Hoffman, Bruce. Inside Terrorism. Columbia University Press. 2006.

Jetter, Michael. Terrorism and the Media, Discussion Paper, 2014.

King James, Shiloach Gilad, Revenge Killing: ISIS Supporters Celebrate Nice Attack, 2016. Internet. Available from http://www.vocativ.com/340859/revenge-killing-isis-supporters-celebrate-nice-attack/ - (29-06-2018).

Krueger Alan, Maleckova Jitka, Education, Poverty and Terrorism: Is There a Causal Connection?, The Journal of Economic Perspectives, Vol. 17, No. 4, 2003: 119–144.

Lee, Alexander. Who Becomes a Terrorist?: Poverty, Education, and the Origins of Political Violence, Cambridge University Press, 2011.

Lomsadze, Giorgi. Georgia: ISIS in Pankisi? What Drives Russia's Claims? Internet. Available from https://eurasianet.org/georgia-isis-in-pankisi-what-drives-russias-claims - (02-02-2019).

Muslims in Europe, Report on 11 EU Cities, Open society Institute, 2010.

Neumann, Peter. Foreign fighter total in Syria/Iraq now exceeds 20,000; surpasses Afghanistan conflict in the 1980s, 2015. Internet. Available from http://icsr.info/2015/01/foreign-fighter-total-syriairaq-now-exceeds-20000-surpasses-afghanistan-conflict-1980s/-(29-06-2018).

Neumann, Peter. The Trouble with Radicalization. International Affairs, 89(4), 2013, 873-893.

Olidort, Jacob. The Game Theory of Terrorism, How ISIS Radicalizes Others, Foreign Affairs, 2015. Internet. Available from https://www.foreignaffairs.com/articles/2015-12-10/game-theory-terrorism-(28-01-2018).

Omsarashvili, Giorgi. Salafism in Azerbaijan, Philosophy Study, January 2018, Vol. 8, No. 1, 29-33.

Paraszczuk, Joanna. Should Georgia Fear IS Threat to its Pankisi Gorge?, Radio Liberty 2014. Internet. Available from https://www.rferl.org/a/georgia-isis-islamic-state-pankisi-gorge-russia/26637101.html - (02-02-2019).

Parjiani, Zurab. "Political Islam in Georgia and the Treat of Radicalization." International Student Management Office, National Defense University, fort McNair, Washington, D.C. 20319-5062.

Piazza, James A., "Is Islamist Terrorism More Dangerous? An Empirical Study of Group Ideology, Organization, and Goal Structure," Terrorism and Political Violence, Vol. 21, No. 1, 2009.

Pokalova, Elena. Georgia, Terrorism, and Foreign Fighters,Special Operations Journal, Copyright Taylor & Francies Group, LLC, 2018.

Post, Jarold. The Mind of the Terrorist: The Psychology of Terrorism from the IRA to al-Qaeda, Palgrave Macmillan. 2007.

Roberts, Jeff John, Google and Internet Archive Are Top Choices for ISIS Propaganda, According to a New Stady, 2018. Internet. Available from http://fortune.com/2018/05/15/isis-propaganda-google-internet-archive/-(30-06-2018).

Safety and Secyrity guidelines for Long Wolf Mujahideer and small cells, by the Mujahid brother, Internet. Available from file:///C:/Users/n.lomidze/Desktop/lone-wolf-safe-sec.pdf - (29-06-2018).

Salafist Risks in Azerbaijan/Assessing Sunni Islamist Recent Developments, Institut Thomas More, July 2014.

Schelling, Thomas C., The Strategy of Conflict, Harvard University, Cambridge, Massachusetts, London, England, 2d ed. Harvard College, 1980.

Schmid, A., The Routledge Handbook on Terrorism Research, London and New York: Routledge, 2011.

Stepanova, Ekaterina. Terrorism in Asymmetrical Conflict, Ideological and Structural Aspects, Oxford University Press, 2008.

Tbilisi Counter-Terrorist Operation. სტრატეგიული ანალიზის ცენტრი (GSAC), ანალიტიკური ბიულეტინი, 2017 წლის დეკემბერი.

The Caucasus Research Resource Centers, Caucasus Barometer Survey: 2008-2013. Internet. Available from https://caucasusbarometer.org/en/cb-az/IMPISS1/ - (31-01-2019).

Understanding Radicalisation Review of Literarure, Center for the Study of Democracy, 2016.

Valiyev Anar M., Azerbaijan: Islam in a Post-Soviet Republic, Middle East Review of International, Vol. 9, No. 4 (December 2005).

Valiyev Anar M., Foreign Terrorist Groups and Rise of Home-grown Radicalism in Azerbaijan, HUMSEC Journal 2 (2008).

Williams, Paul D. (eds.), Security Studies. An Introduction, 2012, Second Edition.

Wilhelmsen Julie. Islamism in Azerbaijan: How Potent?, Studies in Conflict & Terrorism, Copyright Taylor & Francies Group, LLC, 2009.

Zelin, Aaron Y., Picture Or It Didn't Happen: A Snapshot of the Islamic State's Official Media Output, 2015. in this issue.

ტოპონიმთა აფიქსაცია ფრონეს ხეობის ქართლურში

Mariam Koberidze
Gori State Teaching University, Georgia

საანალიზო მასალას წარმოადგენს მარტივი, აფიქსაციისა და თხზვა-კომპოზიციის გზით მიღებული ტოპონიმები. ფრონეს ხეობის ქართლურში –ეთ სუფიქსი აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს: ბრ-ეთ-ი, ძვილ-ეთ-ი, არკნ-ეთ-ი და სხვა. –ათ სუფიქსი დასტურდება სოფლის სახელწოდებაში უბი-ათ-ი. მსგავსი წარმოებისა უნდა იყოს –უთ სუფიქსი მუგ-უთ-ში. -იან სუფიქსი კუთვნილებაზე, ქონებასა და ჩამომავლობაზე მიუთითებს გვარებიდან ნაწარმოები ადგილის სახელები: ლოქაბიძ-იან-თ-ი, ბერიძ-იან-თ-ი, ბლიაძ-იან-თ-ი. ანალოგიური წარმოება გვაქვს ტოპონიმებში: ბაციკა-ან-თ-ი (ბაციკაძეებისა), სტეფნა-ან-თ-ი (სტეფნაძეებისა), ქოქო-ან-თ-ი (ქოქოშვილებისა), ქოთო--ან-თ-ი (ქოთოაშვილებისა), ბაყა-ან-თ-ი (ბაყაშვილებისა). –თ სუფიქსი აღნიშნულ ტოპონიმებში მრავლობითობაზე უნდა მიუთითებდეს. წინა ვითარების მაწარმოებელი აფიქსები ნა-, ნა-არ, ნა-ევ აწარმოებს ტოპონიმებს: ნა-ვენახ-არ-ი, ნა-კედლ-არ-ი (სახნავი ადგილი ტახტისძირში), ნა-ალიზ-ევ-ი (სახნავი ადგილი ბრეთში), ნა-ბაკ-ევ-ი (სოფელი ზნაურის რაიონში), ნა-სახლ-არ-ებ-ი (ადგილი დვანში), ნა-ახალშნ-არ-ი (გადამწვარი ახალშენი), ნა-ავნევ-არ-ი (დამწვარი ავნევი). ფრონეს ხეობის მეტყველებაში საინტერესოა ნაზმნარი ტოპონიმები: ჩაკიდულა (სახნავი ადგილი ახალშენში), გამარჯვებაანთ ახოები (სათიბი ადგილი დვანში). ფრონეს ხეობის ტოპონიმებისათვის ნიშანდობლივია ის ფონეტიკური პროცესები, რაც რაც ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი. ბგერის დაკარგვა: ავნევი (-ნავნევი „ვნებამიყენებული“), რგვალი სერი (მრგვალი სერი), ბებრიმიწები (ბებრისმიწები). ბგერის ჩართვა: ნაკალოვარი (-ნა-კალო-არ-ი „კალოს ადგილი“).

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმები, სუფიქსი, ფრონეს ხეობა, ქართლური

Affixation of Toponyms in the Kartlian of Prone Valley

The material for analysis is affixation, invention, composition and toponymy made up by the simple rules. In the Prone gorge dialect (Kartluri) the suffix "-et' composes the geographical names: „Arad-et-i", „Br-et-i", Dzvil-et-i", „Arkn-et-i" and so on. But the suffix „-at' composes the names of villages: „Ubi-at-i", and the similar is the suffix" –ut'': „Mug-ut-shi". The suffix „-ian" with surnames indicates the possession and belongings: „Loqab-ian-t-i", „Beridz-ian-t-i", Bliadz- ian-t-i". . . Toponymy is composed in the same way: „Batsika-an-t-i", „Stepana-an-t-i", Koko- an-t-i", „Koto- an-t-i", ‚Baka- an-t-i", the suffix ‚-t" indicates the plural number. The affixes „na"- „na –ar", „na-ev" compose toponymy: „na-venax-ar-i", „na-kedl-ar-i" (the arable land in the village of Taktiziri), „na-aliz-ev-i" (the arable land in the village of Breti), „na-bak-ev-i"(the village in Znauri region), „na-sakl-ar-eb-i" (the place in Dvani), „na-axalsnar-ar-i" (burnt Akhalsheni), „na-avnev-ar-i" (burnt Avnevi). In Prone gorge spoken language an interesting point is the Verbal Toponymy: „Chakidula" (the arable land in the village of Akhalsheni), „Gamarjvebaant akhoebi" (the moving land in Dvani). Different phonetic processes are characterized to the Prone gorge dialect in difference with the „kartluri" dialect. The sound omission: „Avnevi" (hurt), „Rgvali seri" (round hill). The sound insertion: „nakalovari" (a place threshing-floor).

Keywords: Toponyms, Suffix, Prone Valley, Kartli

ფრონეს ხეობის მეტყველებაში გვხვდება არა მარტო ქართლურის, არამედ სხვა კილოებისათვისაც დამახასიათებელი ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესები. ბევრი გვარი ამ ხეობაში გადმოსახლებულია მესხეთ-ჯავახეთიდან, ცენტრალური ქართლიდან, იმერეთიდან, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდან. აქ ინტენსიურად მიმდინარეობს ქართლური, იმერული და მესხურ-ჯავახური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების შერევის პროცესი. (კობერიძე, 2009: 279).

საანალიზო მასალას წარმოადგენს ფრონეს ხეობის სოფლების – არკნეთის, ახალშენის, ყორნისის, ბაყაანთუბნის, უბიათის, კიმასის, ჭოლიბაურის, წუნარის, გვირგვინას, დიდმუხის, დვანის, ძვილეთის, ტახტისძირის, დირბის, არადეთის, წვერისა და საღოლაშენის ტოპონიმია.

ტოპონიმები ენის ლექსიკური ფონდისა ერთ-ერთი ცვალებადი ნაწილია, რომელიც შეიძლება დაიკარგოს, შეიცვალოს სახელწოდება ან გაჩნდეს ახალი.

ვახუშტი ბატონიშვილი ფრონეს ხეობაში ასახელებს ექვს მდინარეს: ,,ფაწა, ოთხი ფრონენი და შოლა" (ბაგრატიონი, 1973: 377). აქ უნდა იგულისხმებოდეს ფაცის (ფცის) წყალი (ახლანდელი ფცის ფრონე, ფციულა) და ოთხი ფრონე. ესენია: დვანისწყალი (ახლანდელი ფრონე, დვანის ფრონე), ალის წყალი (ახლანდელი ალურა, ალისფრონე), სურამის წყალი (ახლანდელი სურამულა, სურამისფრონე), ბრეძისწყალი (ახლანდელი ბრეძულა, ბრეძისფრონე). ამ მდინარესთანაა დაკავშირებული ლოფინის წყალი, იგივე წაღვლურა, ,,წაღვლის ფრონე") და შოლა (ღლონტი, 1988: 5). ადგილობრივი ხალხური ტრადიცია იცნობს თხუთმეტამდის ფრონეს და ყველა მათგანი ამავე რეგიონში იხსენიება.

დვანისწყალთან დაკავშირებით ვახუშტი მოკლედ აღწერს ბრეთს, ცეცხლიჯვარს, არადეთს, დირბს, ჭოლიბაურისხევს, წუნრისხევს, ერკნეთს, წორბისს, ნულისხევს,ყორნისს, ხტანისხევს, მათ ციხეებს და ოიკონიმებს ახასიათებს რელიეფისა და მცენარეული საფარის მიხედვით (ბაგრატიონი, 1973: 378).

სიტყვა ფრონე შეიძლება მივიჩნიოთ შედგენილ სიტყვად, რომლის ,,არქეტიპი ჩანს ფრ ან ამისი სტრუქტურული ვარიანტი (ფარ, ფონ, ფურ, ფორ) დაცული ქართულ ლექსიკაში ფრეს სახით (ჭის, ჭისწყლის მნიშვნელობით). საბა ამბობს: ,,ფრე წყარო ჭისაო" (ორბელიანი, 1993: 198). ანტონ პირველს დამოწმებული აქვს კონტექსტში: ,,ჯურღმულ ფიცისა და ფრე არააღმოქმნილი, ხოლო ირისედ ჩუენდა ნიშად მშდობის იქმნა ქალწული" (ბაგრატიონი, 1980: 152).

ხალხში გავრცელებულია გამოთქმა: ,,წამოვიდა ფრონე", ,,იმდენი იწვიმა, ფრონე დადგა", ,,ამოდენა ფრონეს ვინ გატოპავს". ,,პირველად ფრონე სწორედ დენოტატი უნდა ყოფილიყო, საკუთარი სახელის (ჰიდრონიმის) ფუნქცია მას გვიან დაჰკისრებია. ამით შეიძლება აიხსნას ის საგულისხმო ფაქტიც, რომ ვახუშტის ნაშრომში ეს სიტყვა მოხსენებულია მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით (ფრონენი, ფრონეთა) (ღლონტი, 1988: 24).

ფრონეს ხეობის ქართლურის ტოპონიმიაში წარმოების მიხედვით ძირითადად გამოიყოფა: მარტივი, აფიქსაციისა და თხვა-კომპოზიციის გზით მიღებული სახელები.

სამეურნეო-ყოფით დანიშნულებასა და ნიშან-თვისებას გამოხატავენ მარტივი ტოპონიმები: კიბრავა (სახნავი ადგილი დვანში, მიუთითებს კიბესავით ასავლელზე), ნული (სოფელი ზნაურის რაიონში, ცარიელი), სუნისი (ნაწარმოებია სუნიდან), წორბისი (სოფელი), წნელისი (სოფელი).

მარტივი ტოპონიმების უმეტესობა მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. მაგ.: ახოები, ბორბლები (სათესი ადგილი ახალშენში), დვალები (უბანი ქვემო ოქონაში), ოლეები (სათესი ადგილი ავნევში), ლაშეები (ადგილი ნულში).

მარტივი ფუძეებიდან აფიქსების საშუალებით ახალი სიტყვების საწარმოებლად იგივე საწარმოთქმო საშუალებები გამოიყენება, რაც ქართული ენის დიალექტებში.

ფრონეს ხეობის მეტყველებაში შეიძლება გამოიყოს ტოპონიმების ოდენპრეფიქსული, ოდენსუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება.

ტოპონიმთა წარმოქმნის საშუალებებს შორის გარკვეული ადგილი უჭირავს ოდენპრეფიქსულ წარმოებას. საკვლევ ტერიტორიაზე დასტურდება ისეთი ტოპონიმები, რომლებიც მხოლოდ წინა ვითარებისა ნა- და დანიშნულების სა- თავსართებით იწარმოებიან. სა- აწარმოებს ,,მყოფადი დროის მიმღეობას საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებისაგან, ნა- ნამყო დროის მიმღეობას აგრეთვე საშუალო და ვნებითი გვარის შინაარსით... " (ჩიქობავა, 1942: 183).

საკვლევ ტერიტორიაზე ოდენპრეფიქსული წარმოებისაა უმეტესად სახნავ-სათიბებისა და სოფლის სახელები: სა-კვირიკე (სათიბი ადგილი ავნევში), სა-გვრიტეები (სახნავი ადგილი ავნევში), სა-ბადურები (სათიბი ადგილი დირბში), ნა-ფუზვნები (სათიბი ადგილი ახალშენში, ნულში), ნა-ზვრები (სახნავი

ადგილი დირბში), ნა-კედლარები (სახნავი ადგილი ტახტისძირში), ნა-მყნეთი (მთა ახალშენში), ნა-მგლიანი (სათიბი უბიათში).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში დასტურდება -ეთ, -იან, -ებ, -ურ-ა (//-ულ-ა),

ოდენსუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები.

ფრონეს ხეობის ქართლურში -ეთ სუფიქსი აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს: ბრ-ეთ-ი, ძვილ-ეთ-ი, არკნ-ეთ-ი და სხვა. -ათ სუფიქსი დასტურდება სოფლის სახელწოდებაში უბი-ათ-ი. სამეცნიერო ლიტერატურაში -ათ სუფიქსი მიჩნეულია -ეთ სუფიქსის ზანურ შესატყვისად (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: 26).მსგავსი წარმოებისა უნდა იყოს –უთ სუფიქსი მუგ-უთ-ში (კობერიძე, 2008: 166).

-იან სუფიქსი კუთვნილებაზე, ქონებასა და ჩამომავლობაზე მიუთითებს გვარებიდან ნაწარმოები ადგილის სახელები: ლოქაბიძ-იან-თ-ი, ბერიძ-იან-თ-ი, ბლიაძ-იან-თ-ი. „ეს მაწარმოებელი მიღებული ჩანს ეან-ისაგან. ძველად მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესაგან, აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა: ქრისტ-იან-ი, მაჰმად-იან-ი და მისთ...ამჟამად –იან-ი აღნიშნავს ყოლ-ქონებას: ცოლ-იან-ი, ცხვრ-იან-ი, საქონლ-იან-ი, წვერ-იან-ი და სხვ” (შანიძე, 1980: 122) -იან დაბოლოებას დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა და გარკვეულ შემთხვევაში შემონახულია ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითია. ამ შემთხვევაში მერმინდელი შვილ-ი ჩამოშორდება ხოლმე გვარს და აღდგება ძველი –იან (შანიძე, 1980: 14).

ანალოგიური წარმოება გვაქვს ტოპონიმებში: ბაციკა-ან-თ-ი (ბაციკაძეებისა), სტეფნა-ან-თ-ი (სტეფნაძეებისა), ქოქო-ან-თ-ი (ქოქოშვილებისა), ქოთო--ან-თ-ი (ქოთოაშვილებისა), ბაყა-ან-თ-ი (ბაყაშვილებისა). –თ სუფიქსი აღნიშნულ ტოპონიმებში მრავლობითობაზე უნდა მიუთითებდეს (კობერიძე, 2016: 491-493).

-იან (-ან) სუფიქსი ქონებაზე, წარმომავლობასა და მრავლობითობაზე მიუთითებს ადამიანთა საკუთარ სახელებშიც: მერაბა-ან-თ-ი, თედო-ან-თ-ი, კლავდია-ან-თ-ი და სხვა.

-ან სუფიქსის პირვანდელ ფუნქციას ს. ჯანაშია კრებითობის გამოხატვაში ხედავდა. ეს მნიშვნელობა ამ ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გვარ-სახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ. გვარ-სახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული უნდა ყოფილიყო ყველა ქართველ ტომში, ხოლო ქართველურ პატრონიმიკულ მორფოლოგიაში ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია (ჯანაშია, 1952: 11).

-ებ სუფიქსითაა წარმოდგენილი ტოპონიმები: ბებრისმიწები, წისქვილისმიწები, გოგილერები, მელისორები, საბადურები, ნინასმიწები, ნაკედლარები, ნაფუზვრები, ნაზვრები, ახოები, ბორბლები, დვალები, ოლეები, ტიტიანები. ზოგჯერ –ებ სუფიქსს დაკარგული აქვს მრავლობითობის გამოხატვის ფუნქცია.

-ურ-ა (-ულ-ა) სუფიქსები სხვადასხვა სახელებისაგან აწარმოებს ტოპონიმებს: სილა-ურ-ა (წყარო ავნევში), ჩაკიდ-ულ-ა (სახნავი ადგილი დვანში), ბებრ-ულ-ა (სათიბი ადგილი ავნევში).

-ულ სუფიქსი დასტურდება სოფლის სახელწოდებაში ჭორბა-ულ-ი. წარმომავლობაზე მიუთითებს -ელ-ა სუფიქსი ადგილის სახელში ღომ-ელ-ა. -ა სუფიქსი ჩამოთვლილ ტოპონიმებში მეორე მაწარმოებლს წარმოადგენს და ქონებასა და კნინობითობაზე მიგვანიშნებს.

წინა ვითარების მაწარმოებელი აფიქსები ნა-არ, ნა-ევ აწარმოებს ტოპონიმებს: ნა-ვენახ-არ-ი, ნა-კედლ-არ-ი (სახნავი ადგილი ტახტისძირში), ნა-ალიზ-ევ-ი (სახნავი ადგილი ბრეთში), ნა-ბაკ-ევ-ი (სოფელი ზნაურის რაიონში), ნა-სახლ-არ-ებ-ი (ადგილი დვანში), ნა-ახალშნ-არ-ი (გადამწვარი ახალშენი), ნა-ავნევ-არ-ი (დამწვარი ავნევი). ავნევი ნაწარმოებია სიტყვისაგან --- ნა-ვნ-ევ- (ვნებამიყენებული) – ა-ვნ-ევ-ი – ნა-ა–ვნ-ევ-არ-ი. წინავითარების აწარმოებს ორმაგი აფიქსი (კობერიძე, 2009: 281).

რთულფუძიანი ტოპონიმები წარმოდგენილია მართული სიტყვათშეერთები: დვანისწყალი, გულასწყარო ბელასტყე, გვერდისძირი, გიორგიწმინდისხევი, კალავისმიწები, კოდისწყარო.

ფრონეს ხეობის ტოპონიმებისათვის ნიშანდობლივია ის ფონეტიკური პროცესები, რაც ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი. ბგერის

დაკარგვა: ავნევი (-ნავნევი „ვნებამიყენებული“), რგვალი სერი (მრგვალი სერი), ბებრიმიწები (ბებრისმიწები). ბგერის ჩართვა: ნაკალოვარი (-ნა-კალო-არ-ი „კალოს ადგილი“). ბგერათა შენაცვლება: ნაფუძრები -ნაფუზრები (კობერიძე, 2009: 281).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში საინტერესოა ნაზმნარი ტოპონიმები: ჩაკიდულა (სახნავი ადგილი ახალშენში), გამარჯვებაანთ ახოები (სათიბი ადგილი დვანში). მცენარეთა სახელებისაგან ნაწარმოები მიკროტოპონიმები: ძეძვ-იანა, ღომ-ელ-ა, დიდმუხა, ოლე-ებ-ი, წნელ-ის-ი.

ამრიგად, გაანალიზებული მასალები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფრონეს ხეობის ტოპონიმიის საწარმოებლად დასტურდება ყველა ის აფიქსი, რომელიც პროდუქტულია სალიტერატურო ენაში და აქტიურად გამოიყენება დიალექტებში.

ლიტერატურა

ბაგრატიონი, ვ. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი.

ბაგრატიონი, ვ. (1980). წყობილსიტყვაობა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი.

კობერიძე, მ. (2008). სიტყვაწარმოების საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში. საენათმეცნიერო ძიებანი. ტ. XXVIII . თბილისი.

კობერიძე, მ. (2009). ტოპონიმიის წარმოებისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში. გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენციის „ახალი მიმართულებები განათლებასა და კვლევაში“- მასალები. გორი.

კობერიძე, მ. (2016). წყალთან დაკავშირებული ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართლურში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გორი.

ორბელიანი, ს.-ს. (!993) . ლექსიკონი ქართული. თბილისი.

ღლონტი, ალ. (1988). ფრონეების ხეობების ტოპონიმია. თბილისი.

შანიძე, ა. (1980). თხზ. ტ. III. თბილისი.

ჩიქობავა, არნ. (1942). სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჯანაშია. ს. (1952). შრომები. ტ. II, თბილისი.

ჯორბენაძე, ბ. კობაიძე, მ. ბერიძე, მ. (1988). ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988.

ახალი აბრეშუმის გზა და საქართველო - ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობის თანამედროვე ასპექტები

Giuli Giguashvili
Gori State Teaching University, Georgia

XXI საუკუნის დასაწყისში, როცა პირველად ინიცირდა აბრეშუმის გზის, როგორც ჩინეთის სატრანსპორტო სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების აღდგენის საკითხი, მყისიერად გამოიკვეთა საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ისტორიული ცენტრის როლი ახალ აბრეშუმის გზაზე. ქართველი პოლიტიკოსებისა და მკვლევრების დიდი ნაწილი ერთხმად შეთანხმდნენ ამ პროექტში ჩართვის პერსპექტივასა და საქართველოს მიერ ერთგვარი ჰაბის როლის შესრულებაზე, თუმცა არიან პესიმისტურად განწყობილებიც, რომელთა აზრით, მცირე ეკონომიკის და გლობალურ პოლიტიკაში ნაკლებ მოთამაშე ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ დატვირთვას ვერ მიიღებს. ბუნებრივია 2013 წელს „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ (OBOR) ინიციატივის გაჯღერებიდან დღემდე არაერთი კითხვა დაისვა, რომელთა გარკვეული ნაწილი კვლავ მსჯელობის საგანია: კერძოდ, როგორი იქნება აბრეშუმის გზის პოლიტიკურ-ეკონომიკური სარგებელი მასში მონაწილე თითოეული ქვეყნისთვის? როგორ მოხდება რისკების შეფასება?, აბრეშუმის გზის პროექტი რამდენად შეუწყობს ხელს რეგიონულ სტაბილურობას და კეთილდღეობას და ა. შ. ერთი რამ ცხადია, ჩვენი ქვეყნის როლის გაძლიერება ახალ აბრეშუმის გზის „ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანში“ კიდევ უფრო გააქტიურებს საქართველო-ჩინეთის ეკონომიკურ ურთიერთობებს და ლოგისტიკურად უფრო მიმზიდველი გახდება არამარტო ჩინეთისთვის, არამედ პროექტში მონაწილე მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის, რაც ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა.

საკვანძო სიტყვები: ახალი აბრეშუმის გზა, საქართველო და ჩინეთი, აბრეშუმის გზის ფორუმი.

The New Silk Road and the Modern Aspects of Georgia-China Economic Relations

At the beginning of the XXI century, when the issue of restoring the Silk Road as one of the most important direction of China's transport strategy was first initiated, the role of Georgia as a historical center which connects Europe and Asia by the new Silk Road was instantly revealed. Most Georgian politicians and researchers have unanimously agreed on the prospect of joining the project and playing the role asa kind ofhub by Georgia, but there are also pessimists who believe that our country, which is less involved in small economies and global politics, will not be particularly burdened. Naturally, since the launch of ''the One Belt, One Road'' (OBOR) initiative in 2013, many questions have been raised, some of them are still under discussion: namely, what will be the political and economic benefits of the Silk Road for each participating country? How will the risks be assessed? To what extent will the Silk Road project contribute the regional stability and prosperity? etc. One thing is clear, strengthening the role of our country in the new Silk Road "China-Central Asia-West Asia Corridor" will further intensify Georgia-China economic relations and logistically attracts not only China but also other countries which are participating in the project, which is an important condition for attracting investment and stabilizing the economy.

Keywords: New Silk Road, Georgia and China, Silk Road Forum.

საქართველო უძველესი დროიდან მოიაზრებოდა, როგორც ვაჭრობისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანა. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, საქართველოზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან აკავშირებდა. (ლორთქიფანიძე, 1957) ინდოელი მოვაჭრეები სავაჭროდ იყენებდნენ სანელებლებს, ძვრიფას ქვებს, ქსოვილს, აგრეთვე ახალ იდეებსა და კულტურას. ისტორიულ სავაჭრო ქსელს, რომლის მეშვეობით სამხრეთ და ცენტრალური აზიის ქვეყნები ერთმანეთს და კონტინენტის დანარჩენ ნაწილს უკავშირდებოდნენ, მოგვიანებით „აბრეშუმის გზა“ უწოდეს. ეს იყო სავაჭრო გზა ჩინეთის დიდი კედლიდან ბოსფორის სრუტის ნაპირებამდე.

XXI საუკუნის დასაწყისში ამერიკელმა დემოკრატებმა პირველებმა გააჟღერეს ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის იდეა. (პაპავა, 2017) ჰილარი კლინტონმა 2011 წლის 20 ივლისს ინდოეთის ქალაქ ჩენაიში (Chennai), ბიბლიოთეკაში (Anna Centenary Library) შეხვედრის დროს დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა ერთად შეექმნათ „ახალი აბრეშუმის გზა“ (New Silk Road). რაც მისივე განმარტებით ნიშნავდა მეტი სარკინიგზო ხაზების, ავტომაგისტრალების, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აშენებას, ტრანს-სასაზღვრო ობიექტების მოდერნიზაციას, მოძველებულ სავაჭრო პოლიტიკაზე უარის თქმას და 21-ე საუკუნის ახალი წესების მიღებას. რამდენიმე თვის შემდეგ, 2011 წლის ნოემბერში, სტამბოლში, თურქეთმა უმასპინძლა კონფერენციას “Heart of Asia Conference”, სადაც აშშ-სა და ჩინეთის მხარდაჭერით „ახალი აბრეშუმის გზის“ ინიციატივა რეგიონალური თანამშრომლობის ქვაკუთხედად იქნა აღიარებული. ჩინეთი განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეხვდა „ახალი აბრეშუმის გზის“ იდეას. 2013 წლის 7 სექტემბერს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ცზინპინმა (Xi Jinping) ყაზახეთში ვიზიტისას გაახმოვანა “ერთი სარტყელი - ერთი გზის“ კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის ცენტრალური და დასავლეთის რეგიონების სახმელეთო ტრანსპორტით დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპის ქვეყნებთან. ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“(OBOR) შედგება ორი მიმართულებისგან: „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა“ (Silk Road Economic Belt and 21st-Century Maritime Silk Road). ახალი აბრეშუმის გზის პროექტი მიზნად ისახავს ევრაზიის კონტინენტზე მდებარე ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებას. (პაპავა, 2017:5)

ცალკეულ ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული პროექტით ჩინეთის დაინტერესება რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. კერძოდ, ბოლო პერიოდში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ძირითადად მის აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებზე აისახა, რადგან აღნიშნულ რეგიონში წარმოებული საქონლის გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტით ევროპის მიმართულებით გაცილებით მარტივია. ჩინეთი ნაკლებად განვითარებული დასავლეთ პროვინციების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც ზრუნავს და ახალი სავაჭრო კავშირების შექმნა სურს, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ პროვინციებს გამოაცოცხლებს. (ნარმანია, 2016)

ბუნებრივია 2013 წელს „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ (OBOR) ინიციატივის გაჯღერებიდან დღემდე არაერთი კითხვა დაისვა, რომელთა გარკვეული ნაწილი კვლავ მსჯელობის საგანია: კერძოდ, როგორი იქნება აბრეშუმის გზის პოლიტიკურ-ეკონომიკური სარგებელი მასში მონაწილე თითოეული ქვეყნისთვის? როგორ მოხდება რისკების შეფასება?, აბრეშუმის გზის პროექტი რამდენად შეუწყობს ხელს რეგიონულ სტაბილურობას და კეთილდღეობას და ა. შ.

საქართველომ თავიდანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივას და აქტიურად ჩაერთო მის განვითარებაში. 2015 წლის მარტში სხვა ქვეყნებთან ერთად, პირველებმა მოვაწერეთ ხელი „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის განვითარების თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს. აღნიშნული ინიციატივა განიხილება, როგორც ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაძლიერების და მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების უპრეცენდენტო მექანიზმი. ამასთან, 2018 წლის იანვარში ძალაში შევიდა ჩინეთსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. რამაც ახალი შესაძლებლობები შექმნა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფისათვის. საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი გაეხსნა, რომელმაც დაახლოებით 1,4 მილიარდ მომხმარებელი გააერთიანა. ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ ქართული პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი ჩინეთის ბაზარზე საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით სარგებლობს ღვინო, მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ხილ-ბოსტნეული, თაფლი, თხილი და სხვა. (http://eugeorgia.info/) ამასთან, საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა მოახდინოს საკუთარი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემის ინტეგრაცია გლობალურ ლოჯისტიკურ სისტემებში, რაც ხელი შეუწყობს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. (https://mrdi.gov.ge/)

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ტვირთნაკადების 50%-ზე მეტი სწორედ ევროპასა და აზიას შორის განხორციელებულ ტვირთნაკადებზე მოდის. აზიის წყნარი ოკეანის სანაპიროზე განლაგებული ქვეყნები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ძირითადად ხუთი საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნით უკავშირდებიან. ესენია:

1. ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანი (აზია - ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის აუზი- ჩრდილოეთ ევროპა - სკანდინავიური ქვეყნები);

2. სამხრეთის საზღვაო დერეფანი (აზია- ხმელთაშუა ზღვის აუზი-ჩრდილოეთ ევროპა);

3. ტრანსციმბირული სარკინიგზო სატრანზიტო დერეფანი;

4. სამხრეთის სახმელეთო სატრანსპორტო დერეფანი;

5. აბრეშუმის გზის - TRANCECA-ს მულტიმოდალური, შერეული ტიპის სატრანზიტო დერეფანი (აღმოსავლეთ ევროპა - შავი ზღვა- სამხრეთ კავკასია- კასპიის ზღვა- შუა აზია- ჩინეთი) . (http://parliament.ge/)

2017 წელს ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის (BEC) მიერ განხორციელებული კვლევის "სატრანსპორტო–ლოჯისტიკური დარგი საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები" (http://parliament.ge/) თანახმად, აბრეშუმის გზის ტრასეკას მულტი მოდალურ სატრანსპორტო დერეფანს მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია სხვა მარშრუტებთან შედარებით, კერძოდ: უმოკლესი მანძილი და მცირე სატრანზიტო დრო, თუმცა გამოიკვეთა ნაკლოვანებებიც: გამჭოლი ტარიფებისა და საერთო საბაჟო პროცედურების არარსებობა, ტექნიკური უზრუნველყოფის არასათანადო დონე და სხვა.

როგორც მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოდან საქართველოში წარმატებით ხორციელდება ევროკავშირის მიერ ინიცირებული აბრეშუმის გზის პირველი სატრანსპორტო პროექტები TRACECA (Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) და INOGATE. 1993 წლიდან TRACECA-ს უმთავრეს მიზანს ტრანსპორტის ტრადიციული სახეობების - რკინიგზის, საავტომობილო გზების, საზღვაო პორტების, ტერმინალების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ევროპულ დერეფანთან მიერთება წარმოადგენს. (http://www.traceca-org.org/en/about-traceca/) რაც შეეხება INOGATE-ს (1995), იგი ძირითადად მიმართულია ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების ევროპაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფისკენ. (http://www.inogate.org/pages/1?lang=en)

საქართველო, მის მეზობელ თურქეთთან და აზერბაიჯანთან ერთად, აბრეშუმის გზის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის და განვითარების აქტიური მონაწილეა. საქართველოს სატრანზიტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილია. ამ სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის გაძლიერებაში გადამწყვეტი როლი ეკისრება რეგიონული ნავთობსადენის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო–სუფსის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ბაქო–თბილისი–ერზრუმის (შაჰ-დენიზი) პროექტების განხორციელებას. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია. მილსადენის სიგრძე 1768 კმ–ია, აქედან აზერბაიჯანზე მოდის 443 კმ, საქართველოზე - 249 კმ და თურქეთზე - 1076 კმ. მხოლოდ აზერბაიჯანული ნავთობის გამტარიანობა 50 მლნ. ტონაა წელიწადში, ხოლო ყაზახური და თურქმენული ნავთობის დამატების შემთხვევაში 80 მლნ. ტონას აღწევს. (https://www.gogc.ge/ka/about-overview)

„სარტყელისა და გზის" პროექტში საქართველო ჩინეთს "ჩინეთი - ცენტრალური აზია - დასავლეთ აზიის" დერეფნის როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო სატრანზიტო მარშრუტებს სთავაზობს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთიდან ევროპაში პროდუქციის გადაზიდვა ძირითადად ხდებოდა ზღვით, რასაც საშუალოდ 45-60 დღე სჭირდებოდა. ახალი აბრეშუმის გზა, კერძოდ აბრეშუმის რკინიგზის პროექტი შესაძლებლობას იძლევა ჩინეთიდან ევროპაში ტვირთების გადაზიდვის დრო დაახლოებით 5-ჯერ შემცირდეს. ჩინეთიდან ტვირთი 8-10 დღეში ჩამოდის საქართველოში და შემდეგ 3-5 დღეში ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება გადაიგზავნოს. პირველი სატვირთო სარკინიგზო რეისი ჩინეთიდან საქართველოში 2015 წელს ცხრა დღეში ჩამოვიდა, 2017 წელს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის („რკინის აბრეშუმის გზის") დასრულების შემდეგ კი, ევროპასა და ჩინეთს შორის მგზავრობა 30-ის ნაცვლად 12 დღეში გახდა შესაძლებელი. 2019 წლის ოქტომბერში ჩინეთის ქალაქ სიანიდან ტრანსკასპიური საერთაშორისო მარშრუტით წამოსული პირველი მატარებელი ბაქო-თბილისი-ყარსის გავლით, შემდეგ კი თურქეთის მარმარილოს ზღვის გვირაბით ჩავიდა ევროპაში, კერძოდ პრაღაში, რითვისაც მხოლოდ 11 დღე დასჭირდა. (https://imedinews.ge/)

ამრიგად, საქართველო უზრუნველყოფს თურქეთთან სახმელეთო მიმოსვლას ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის დახმარებით. ასევე შეგვიძლია ევროპაში საზღვაო გასასვლელის უზრუნველყოფა ბათუმის, ფოთის და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტების მეშვეობით. თუმცა მიუხედავად ამ შესაძლებლობებისა, საკმაოდ მცირეა რეალურად განხორციელებული მარშრუტები. პესიმისტურად განწყობილი მკვლევრები კი მიგვითითებენ, რომ ჩინეთიდან ევროპაში მიმავალი ტვირთების 98% საქართველოს გვერდის ავლით მოძრაობს. ამასთან შიშობენ, რომ მოხდება ჩინელი მიგრანტი მუშაკების უკონტროლო შემოდინება, გასათვალისწინებელია გარემოზე და კლიმატის ცვლილებებზე უარყოფითი გავლენაც და ა. შ.

ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ჩვენი ქვეყნის პოტენციური შესაძლებლობების სრულად ათვისება. ამასთან, მსოფლიო ბანკის 2018 წლის ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსს (LPI) თუ გადავხედავთ, საქართველო მსოფლიო რეიტინგში 160 ქვეყანას შორის მაქსიმალური 5 ქულიდან 2.44 ქულით 119-ე ადგილს იკავებს. წინა წელთან შედარებით ქვეყანამ პოზიცია 11 ადგილით გაიუმჯობესა. გაუმჯობესება შეინიშნებოდა თითქმის ყველა კომპონენტში: საბაჟო (2.42 ქულა), ინფრასტრუქტურა (2.38 ქულა), საერთაშორისო გადაზიდვები (2.38 ქულა), ლოგისტიკური შესაძლებლობები (2.26 ქულა), დრო (2.95 ქულა), (https://news.ge/2018/07/27/msoflio-bankis-logistikastan/) თუმცა პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია საბაჟო პროცედურებისა და საზღვრის მართვის ეფექტურობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური მომსახურებების ხარისხის მიმართულებით. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება; ინვესტიციების ხელშეწყობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის და ლოჯისტიკის სფეროში, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება; კონკურენტული გარემოს ფორმირება და ინფორმაციული სისტემების განვითარება; საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია, რაც წარმატებით აისახა კიდეც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“ -ში. (http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf /)

ახალი აბრეშუმის გზის პროექტის განვითარების მიმართულებით მნიშნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში 2015, 2017 და 2019 წლებში ჩატარებულმა „აბრეშუმის გზის ფორუმებმა“. ბოლო, 2019 წლის აბრეშუმის გზის ფორუმს მსოფლიოს 60-მდე ქვეყნის სამთავრობო და ბიზნეს სექტორის 2000 წარმომადგენელი დაესწრო. შედგა არაერთი ბიზნეს შეხვედრა და გაფორმდა არაერთი ხელშეკრულება.

უდავოა, რომ „ერთი გზა, ერთი სარტყელის ინიციატივა“(BRI) წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს ინფრასტრუქტურულ და საინვესტიციო მეგა-პროექტს, რომელიც ჯერ კიდევ 2017 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობის 65% -ს და მშპ-ს 40%-ს შეადგენს. (ლარსენი, 2017) ამ დროისთვის ჩინეთს უკვე აქვს ხელი მოწერილი 130-ზე მეტ ორმხრივ და რეგიონალურ სატრანსპორტო ხელშეკრულებაზე ინიციატივის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ გასწვრივ განლაგებულ ქვეყნებთან. (https://news.cgtn.com/news/3d4d6a4d31557a4d/share_p.html) ჩინეთმა გახსნა 356 საერთაშორისო საავტომობილო მარშრუტი როგორც მგზავრთა გადაყვანის, ისე სატვირთო გადაზიდვების წარმოებისათვის. საზღვაო ტრანსპორტით ის უკავშირდება ყველა ქვეყანას „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ გასწვრივ. კვირაში დაახლოებით 4200 პირდაპირი საჰაერო რეისი სრულდება ჩინეთსა და „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ გასწვრივ განლაგებულ 43 ქვეყანას შორის; ჩინეთსა და ევროპას შორის ექსპლუატაციაში გაშვებულია 39 სარკინიგზო მარშრუტი... და ჩინეთი გეგმავს კიდევ უფრო გაამარტივოს და გააუმჯობესოს გადაზიდვების პირობები. ჩინეთსა და „ერთი სარტყლის, ერთი გზის“ გასწვრივ განლაგებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობამ 2016 წელს მიაღწია დაახლოებით 913 მილიარდ აშშ დოლარს, რამაც გადააჭარბა ჩინეთის საგარეო ვაჭრობის მთლიანი მოცულობის მეოთხედს. 2018 წლისთვის კი საერთაშორისო ტურიზმის მასშტაბები „სარტყლის და გზის“ გასწვრივ გლობალური ტურიზმის 70% -ს შეადგენს.

ბუნებრივია წარმოიშობა კითხვა, რა ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოუტანოს ახალმა აბრეშუმის გზამ საქართველოს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა ჩინური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოს ეკონომიკაში. დღეისთვის ჩინური ინვესტიციების ჯამური მოცულობა საქართველოში 679 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ჩინური ინვესტიციებისათვის საინტერესო სექტორებს წარმოადგენენ: მშენებლობა, უძრავი ქონება და საფინანსო სექტორი. შედარებით მცირეა ჩინეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილები, მისი წილი მთლიანი გზავნილების დაახლოებით 0,2%-ია; (ჭარაია, ... 2020) ამჟამად 30-მდე ჩინური კომპანია წარმატებულად საქმიანობს საქართველოს ეკონომიკის ისეთ სექტორებში როგორიცაა: მშენებლობა, გზები და ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, ტურიზმი, საბანკო სფერო და სხვა. 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში დარეგისტრირებულია ჩინური კაპიტალით შექმნილი დაახლოებით 200 კომპანია. რომელთაგან ყველაზე აქტიურია „ჰუალინგ ჯგუფი“, რომელიც წარმოდგენილია უძრავი ქონების, ტურიზმის და საფინანსო სექტორებში. (ჭარაია, ... 2020:26)

იზრდება საქართველოში ჩინელ ვიზიტორთა რიცხვიც. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით 2019 წელს საქართველოს 48071 ჩინელი ვიზიტორი ეწვია, რაც 51%- ით მეტია 2018 წლის მონაცემებზე; ვითარდება ურთიერთობები კულტურისა და განათლების სფეროებში; ჩინეთი არის საქართველოს სამ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს შორის. 2020 წლის იანვარ-სექტემბერის მონაცემებით, პანდემიის ფონზე, საქართველოს საგარეო ბრუნვამ ჩინეთთან დაახლოებით 864,9 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი საგარეო ბრუნვის 10,7%-ია. სავაჭრო ბრუნვა ორ ქვეყანას შორის, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 12%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში ექსპორტის წილი ჩინეთთან 14,8%, იმპორტის წილი კი - 8,9%-ია. (https://www.geostat.ge/) ამრიგად, ჩინური კაპიტალი ფართოდ იმკვიდრებს ადგილს საქართველოს ეკონომიკაში.

ჩვენი მიზანია საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი სატრანზიტო ფუნქციის მაქსიმალური გამოყენება და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მოსახლეობის, საქონლისა და მომსახურების, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრალური აზიის ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა და ტურისტებისა და ინვესტიციების მოზიდვა. მთავარ ამოცანას წარმოადგენს - საქართველოზე გამავალი ე.წ. „შუა დერეფანი“ უკეთ გამოიკვეთოს „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის რუკაზე; ქვეყანა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს საერთაშორისო, მათ შორის, ჩინელი ინვესტორებისთვის; ხოლო სატრანსპორტო კორიდორი - ხელმისაწვდომი და კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ტრანზიტისათვის.

საქართველო სრულად იზიარებს „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ინიციატივის თანამშრომლობის ხუთ ძირითად პრიორიტეტს: პოლიტიკის კოორდინაციას, თანამშრომლობას, შეუფერხებელ ვაჭრობას, ფინანსურ ინტეგრაციასა და ხალხთაშორის კავშირებს, და ყოველთვის მიესალმება ახალ ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს რეგიონული კავშირების გაძლიერებასა და საერთაშორისო გადაზიდვებისა და ვაჭრობის ხელშეწყობას.

საბოლოოდ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის როლის გაძლიერება ახალ აბრეშუმის გზის „ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანში“ კიდევ უფრო გააქტიურებს საქართველო-ჩინეთის ეკონომიკურ ურთიერთობებს და ლოგისტიკურად უფრო მიმზიდველი გახდება პროექტში მონაწილე მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის, რაც ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე ო., (1957) ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანსპორტო-სავაჭრო გზის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. მოამბე. XIX, №3
2. პაპავა ვ., (2017**)** “ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივა” და საქართველო, https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/93-expert-opinion-geo.pdf
3. ნარმანია გ., (2016) აბრეშუმის გზის მოლოდინში, http://forbes.ge/news/1099/abreSumis-gzis-molodinSi
4. http://eugeorgia.info/ka/article/691/chinettan-tavisufali-vachrobis-shetanxmeba-evropashi-eqsports-gazrdis/
5. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, https://mrdi.gov.ge/ka/press-center
6. სატრანსპორტო–ლოჯისტიკური დარგი საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები, http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/98817/სატრანსპორტოლოჯისტიკური_დარგი_საქართველოში
7. http://www.traceca-org.org/en/about-traceca/
8. http://www.inogate.org/pages/1?lang=en
9. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - https://www.gogc.ge/ka/about-overview
10. https://imedinews.ge/ge/ekonomika/120687/chinetidan-evropisken-pirveli-satvirto-matarebeli-gavida

11. მსოფლიო ბანკის ლოგისტიკის ინდექსში საქართველოს პოზიცია 11 ადგილით გაუმჯობესდა, https://news.ge/2018/07/27/msoflio-bankis-logistikastan/
12. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“, http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf
13. ლარსენი ჯ., (2017) საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები: “სარტყელისა და გზის” გეოპოლიტიკა, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
14. «China signs over 130 transport pacts with Belt and Road countries». CGTN, 2017-04-20. https://news.cgtn.com/news/3d4d6a4d31557a4d/share_p.html
15. ჭარაია ვ., ანგურიძე ო., გულბანი შ., და სხვები, (2020) ჩინეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში, https://sector3.ge/Libraries/Download/365
16. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

თუშეთის გეოსტრატეგიული მდებარეობა და ეკონომიკური განვითარების თავისებურებები

Tamar Lekaidze
Sokhumi State University, Georgia

ნაშრომში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი რეგიონი - თუშეთი, რომელიც მეცნიერული თუ მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით წარმოადგენს გეოეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ფენომენს. საქართველოს ულამაზესი კუთხე — თუშეთი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ კავკასიონზე მდებარეობს. სხვა ქართველი მთიელების, მოხევეებისა და ხევსურების მსგავსად, თუშებიც საუკუნეების განმავლობაში კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით ცხოვრობენ. თუშეთს აღმოსავლეთიდან — დაღესტანი, ჩრდილოეთიდან — ჩეჩნეთი, დასავლეთით — ხევსურეთი, სამხრეთით კი კახეთი ესაზღვრება. გეოსტრატეგიულ სივრცეში მოქცეული თუშეთი - თუშეთი-სამუხი-შირაქი ყოველთვის წარმოადგენდა სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტს. იგი იმდენდ ახლოსაა დაღესტანთან და ჩეჩენ-ინგუშეთთან, რომ საუკუნეების მანძილზე თვითონვე უზრუნველყოფდა არა მარტო საკუთარი თავის დაცვას, არამედ საზღვრის დაცვის ფუნქციასაც ასრულებდა. მუსლიმანურ სახელმწიფოების მტრულ გარემოცვაში გაუძლო უამრავ პოლიტიკურ ქარტეხილებს და პირვანდელი სახით შეინარჩუნა თუშეთისა და შირქ-სამუხის ბუნებრივი კომპლექსები, საკუთარი ჯიშის ცხვარი, ცხენი, თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურა. სააყოველთაოდ ცნობილია,რომ თუში ხალხის ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა მეცხვარეობაა.თუშები მეცხვარეობის პროდუქციით ცნობილი იყვნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მეფის რუსეთის დროს, ხოლო საბჭოთა მეცნიერებამ ყურადღება მიაქცია მის განსაკუთრებულ ჯიშობრიობას და მეცნიერულ ექსპერიმენტების გზით განახორციელა თუშური ცხვრის მეტიზაცია. ეკოლოგიურად სუფთა ცხვრის პროდუქცია ყოველთვის გამოირჩევა მაღალი ცხიმოვნობით. პროდუქციის ამგვარ პოპულარობას განაპირობებს ის გარემოება, რომ თუშური ცხვრის საკვები ბაზა ბუნებრივი საძოვრებია, რომელიც განთავსებულია ე. წ. თუშეთი- ალვანი-შირაქის სამეურნეო კულტურულ არეალში. თუში მეცხვარე ისტორიულად ითვლება სახელმწიფო საზღვრის შეუვალ დამცველად და ქართველ სამხედრო მესაზღვრეებთან ერთად წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვან გარანტს სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთში. იმ შემთხვევაში თუ მეცხვარეობა შეწყვეტს არსებობას, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ეფექტურობა ამ პერიმეტრში მკვეთრად შემცირდება. ამასთან, თუშური ცხოვრების წესით მოცული გეოსოციალური არეალი მდებარეობს ევროპულ და აზიურ ცივილიზაციათა შესაყარზე და თუშთა ტომს ყოველთვის ჰქონდა და მომავალშიც უნდა ჰქონდეს ევრაზიულ კულტურათა შორის დიპლომატიური ურთიერთობის ფუნქცია, რომელიც ეყრდნობა ამ ტომისათვის დამახასიათებელ ქართულ ეროვნულ იდენტობას და კავკასიური ტოლერანტობის ისტორიულად შეულახავ პრინციპებს.

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლეთ საქართველო, თუშეთი, მესაზღვრე, მეცხვარე

Geo-Strategic Location of Tusheti and Peculiarities of its Economic Development

The paper discusses one of the mountainous regions of Eastern Georgia - Tusheti, which is a geo-economic and ethno cultural phenomenon from a scientific or ideological points of view. One of the most beautiful corners of Georgia - Tusheti is located in the north-east part of the country, on eastern part of the Caucasus mountain range. Like other Georgian mountaineers, Mokheves and Khevsurs, the Tushi tribe has lived in the north of the main watershed of Caucasus for centuries. Tusheti is bordered by Dagestan to the east, Chechnya to the north, Khevsureti to the west, and Kakheti to the south. Tusheti-Samukhi-Shirak, located on the geostrategic line, has always been the guarantor of the security of the (Georgian) state. It is so close to Dagestan and Chechen-Ingush republics, that for centuries it provided not only self-defense but also a border protection for the Georgian state. In the hostile environment of the Muslim states, it withstood numerous political upheavals and preserved in its original form including a natural habitat and ecosystem of Tusheti and Shirk-Samukh, its own breed of sheep, horse, original material and spiritual culture. It is well known that the traditional agricultural activity of the Tusheti people is sheep breeding. Ecologically clean lamb products are always high in fat. Such

popularity of the products is conditioned by the fact that the food base of Tush sheep is natural pastures, which are located in so callde Tusheti-Alvani-Shirak agricultural area. Tushi Shepherd has historically been considered an inviolable protector of the state border and together with Georgian military border guards is an important guarantee of state security in this section of the state border. If sheep breeding ceases to exist, the effectiveness of the protection of the state border of Georgia will be drastically reduced in this perimeter. At the same time, the Tushetian way of life is presented at the crossroads of European and Asian civilizations and the Tushi tribe has always had and should continue to have the function of diplomatic relations between Eurasian cultures, based on the Georgian national identity and historical principles of Caucasian tolerance.

Keywords: Eastern Georgia, Tusheti, border guard, shepherd

თუშეთი საქართველოს ისტორიულ -გეოგრაფიული მხარეა. იგი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთ კალთაზე. თუშეთი იმდენად ხლოსაა დიდოეთთან, ჩეჩენ-ინგუშეთთან, რომ საუკუნეების განმავლობაში თავისი გეოგრაფიული მდებარეობა აიძულებდა უზრუნველყო არა მარტო საკუთარი თავის დაცვა, არამედ საქართველოს საზღვრის დაცვის ფუნქციაც უნდა შეესრულებინა.

თუშეთის გეოსტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XVII საუკუნეში. იმ პერიოდში, როდესაც რუსეთთან დამაკავშირებელ გზებს ირანი და ოსმალეთი აკონტროლებდა, თუშეთი, სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან შედარებით წარმოადგენდა ძირითად მაგისტრალს რუსეთის სახელმწიფოსთან. სწორედ თუშეთის გზით დაუკავშირდნენ კახეთის მეფეები თეიმურაზ I და ერეკლე I რუსეთის სამეფო კარს. 1638 წელს მეფე თეიმურაზ I თერგთან გაჩერებულ რუს ელჩებს ყაბარდო-ჩერქეზეთ-ჩეჩენ-ინგუშეთის გადასასვლელი გზებით დაუკავშიდა და ამავე გზით გადმოიყვანა თუშეთში. {1, }საველე გამოკითხვებით დასტურდება, რომ რუსი ელჩები რამდენიმე დღე სოფელ ომალოში გაჩერებულან, შემდეგ კი მეფეს „ნაქერალას გზით“ ჩამოუყვანია კახეთში, კერძოდ პანკისში.

ამჟამად ძნელია ზედმიწევნით იმ გზის დადგენა, რომელზეც ჩრდილოეთიდან მომავალი ელჩები გადმოვიდნენ კახეთში, მაგრამ,ყველასთვის ცნობილია,რომ ხევსურეთზე და თუშეთზე დამაკავშირებელი გზა ახლაც არსებობს(სოფ. ომალო, ბაწარის ხეობა, ტბათანის ქედი, მასარის ქედი,ბორბალოს მთის დასავლეთი კალთები,სოფელი ანდაკი, შატილი და ნასოფლარი ლოპოტა) , ხოლო საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ XVII საუკუნეში რუსეთის სამეფო კარმა სპეციალურად გამოგზავნა ელჩობა თერგელი ბოიარის შვილი პეტრე კონდრატიევი ქართველ არქიმანდრიტთან ერთადა თუშეთის შესასწავლად, {2.}

XVII საუკუნიდან მოყოლებული და შემდგომშიც თუშეთი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სახღვარზე გზაჯვარედინი იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. გეოსტრატეგიულ სივრცეში მოქცეული თუშეთი, არა მხოლოდ ქართველი მეფეების, არამედ თვით რუსეთის სამეფო კარის ყურადღებას იპყრობდა, როგორც ჩრდილოეთიდან კახეთთან დამაკავშირებელი გზა. ისე გამაგრებული ხღუდე ირანისა და ოსმალების მიერ წაქეზებული ლეკებისა და ჩეჩნების წინააღმდეგ ბრძოლაში.

XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსეთის მიერ კავკასიისთვის ბრძოლაში თუშები ამ ომების შუაგულში იდგნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. შამილთან ომის თანამედროვე ბ. პოტტო თუშეთის გეოსტრატეგიულ მდგომარეობის შესახებ აღნიშნავდა,,თუშეთს ისეთი გეოგრაფიული მდებარეიბა ქვს, რომ იგი შეადგენს შესანიშნავ პუნქტს სტრატეღიის მხრივ: თუშეთი წინ ეღობებოდა აღმოსავლეთის მხარეს დიდო-ლეკებს, და ჩრდილოეთით ჩაჩნებს კახეთში შემოსევის დროს. აქ თუშები ნამდვილი მეციხოვნენი იყვნენ და ამათზე უკეტეს დარაჯებს საქართველო ვერც იშოვიდა ამ დროს“ {3.} თამამდ შეიძლება ითქვას, რომ ისტორიას არ ახსოვს, თუშეთზე გამოვლით საქართველოს მტერი დასხმოდეს თავს.

გარდა პოლიტუკური ღირებულებისა, თუშეთს საქართველოსთვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. მისი გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ალპური და სუბალპური საძოვრები მესაქონლეობის, კერძოდ მეცხვარეობის განვითარებისთვის იძლეოდა ამომწურავ რესურსს, რამაც განსაზღვრა თუში ხალხის ეკონომიკური ცხოვრების თავისებურება. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა :„ მათ აქვთ ცხვრისთვის ზამთრის საძოვარი ალვნის ველი, მთათაშინა კი მდიდარი საზაფხულო საძოვარი. ამიტომ ამრავლებდნენ ცხვარს , რაც დიდ შემოსავალს აძლევდათ.ისინი მორჩილებენ კახთა მეფეებს და სახელი გაუთქვამთ ბრძოლათ“{4}

სწორედ ამ მოვლენამ განსაზღვრა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მეფეების თეიმურაზ II -ის და ერეკლე II -ის ორიენტაცია თუში ხალხის მიმართ, რაც გამოწვეული იყო კახეთში შექმნილო პოლიტიკური ვითარებით. თეიმურაზ II -ის და ერეკლე II- ის მიერ გაცემული სიგელ-გუჯრების ანალიზმა აჩვენა, რომ მეფეებმა თუშებს კაახეთის ტერიტორიაზე საზამთრო საძოვრებად გადასცეს ,,ალონის ველ -მინდვრები, კერძოდ პანკისი, ბახტრიონი, ლოპოტა, ალვანი ნაფარეულამდე",{5} მათვე გადაეცათ ელდარ-შირაქის ველ-მინდვრები. როგორც ხედავთ, მეფეები ტერიტორიებს უმტკიცებდნენ არა სამოსახლოდ, არამედ საძოვრებად, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა თუში ხალხის ცხოვრების თავისებურება- მეურნეობის მომთაბარე სისტემის ჩამოყალიბება.

ქართლ- კახეთის მეფეების მიერ თუში ხალხისთვის კახეთის ვრცელი ტერიტორიების გადაცემის ფაქტს არგუმენტირებულად ასაბუთებს დ. ალბანელიც:,, პოლიტიკური მიზანი საქართველოს მეფეებისა თუშების საქმეში სუფებდა იმაში, რომ გაემაგრებინა ბარში თავის სასარგებლოდ. ამგვარად, თუშები საქართველოს მთავრობას ყოველთვის ხელ-ქვეშ ეყოლებოდენ. გარდა ამისა, თუშები ერთგულად და შეუპოვრათ ებრძოდენ საქართველოში შემოსულ მტერს და აგრეთვე ხალისიანათ მისდევენ საქართველოს ჯარებს მტერზე ლაშქრობის დროს. ეკონომიკურ მნიშვნელობას აძლევდენ მეფეები თუშების ბარში გადმოსახლებას და ამით საქართველოს ხაზინას თუშის ნაშრომიც შეემატებოდა.... ამიტომ მისცეს მამული კახეთში და ამ მხარის სააქმეები მეზობლებთან ერთად ინტერესებათ გაუხადეს" {5}

XX საუკუნეში, როდესაც დამყარდა მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდი, საბჭოთა ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია თუში ხალხის ტრადიციულ ცხოვრების წესს და საკუთარი პოლიტიკის განსახორციელებლად თუშებს საძოვარი ადგილები გადასცა თურქეთისა და აზერბაიჯანის სასაზღვრო ტერიტორიებზე.საარქივო მასალებიდან დასტურდება, რომ თუშ მეცხვარეებს ცხვარი მიყავდა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიებზე.კერძოდ არდაგანისა და ყარსის ნაყოფიერ ველ-მინდვრებზე. {6}

ხოლო 1946-1947 წლებში თუშებს შირაქში ჩამოერთვათ დილიჩის 12000 ჰა საძოვარი, ეს ტერიტორია გადახნეს. თუში მეცხვარეები კი თავიანთი ცხვრით გაუყენეს ყიზლარისა და შირვანის გზას.{7} 1951 წელს თუშებს საზამთრო საძოვრებად გადაეცა კალმიკეთის ტერიტორიის 100 ათასი ჰექტარი ფართობი.სადაც შესაძლებელი იყო 120 ათასი ცხვრის გამოზამთრება.ცხვრის გადასარეკი გზა ფარსმა-გირევის მთებიდან ჩადიოდა მდ.არღუნის ხეობაში, შემდეგ კვეთდა არღუნს და ქ.გროზნოს გავლით ჩრდილო -აღმოსავლეთის გზით უკავშირდებოდა კალმიკეთს.{8}

თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოების თვასაზრისით, ისე ეკონომიკური განვითარების კუთხით თუშებმა ცხვრის სიმრავლით და უქარქაშო ხმლით საქართველოს შეუნარჩუნეს საზღვრები და არცერთ მტერს ტერიტორიების მითვისების საშუალება არ მისცეს. რომ არა მათი შეუდრეკელი ხასიათი, დღეს თუშეთში ლეკები იბატონებდნენ, ხოლო შირაქ- სამუხში - თათრები.

აქვე ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ გარემოებაზე, საარქივო დოკუმენტების მიხედვით,1958 -1961 წლებში იყო მცდელობა, რომ საქართველოსა და დაღესტანის საზღვრებში ცვლილებები შეეტანათ. მათი აზრით, ,,ვინაიდან დაღესტნის ასსრ-ს ცუმადის რაიონის ხუშეთის კოლმეურნეობის ბრიგადა თუშეთის სოფელ ჭეროსა და მის ირგვლივ სოფლებში მდებარეობს," ამიტომ ,,თუშეთში საქართველოს დაღესტნისათვის უნდა დაეთმო 40 კმ ტერიტორია"{9}

მათი აზრით, საზღვარი უნდა გატარებულიყო 4086,1 მ. სიმაღლეზე მდებარე მწვერვალიდან სამხრეთით 3702,7მეტრის სიმაღლის მთასა და მ. შენგალავანის მთის გავლით სოფ. ჭეროს დასავლეთით. შემდეგ საზღვარი გაჰყვებოდა მდ. ანდის ყოისუს და ვებოს ქედის თხემებს".{9} ამ მოთხოვნაზე დაღესტნელებმა საქართველოს მთავრობისგან უარი მიიღეს.

თუშ ხალხს დღესაც კარგად ახსოვს ხრუშჩოვის გადაწყვეტილება თუშეთის გასხვისების შესახებ.რამაც საფუძველი მოუმზადა თუშეთის ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიისა და სასაზღვრო საძოვრების დაკარგვას.მართალია, იმჟამინდელმა მთავრობამ იხსნა თუშეთი და მას კურორტის მნიშვნელობა მიანიჭა, თუმცა ამ ტერიტორიების დაკარგვის საშიშროება ყოველთვის არსებობდა.

ზემოთ დასახელებული წყაროებიდან დასტურდება, რომ თუშეთი გეოგრაფიული მდებარეობით ისტორიულად ითვლება სახელმწიფო საზღვრის შეუვალ დამცველად და ქართველ სამხედრო ჯართან ერთად წარმოადგენდა სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვან გარანტს სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთში. ამასთან, გეოსოციალურ სივრცეში მოქცეული თუშეთი მდებარეობს ევროპისა

და აზიის ცივილიზაციათა შესაყარზე, და თუშთა ტომს ყოველთვის ჰქონდა და მომაალშიც უნდა ჰქონდეს ევრაზიულ კულტურათა შორის დიპლომატიური დიალოგის ფუნქცია, რომელიც ეყრდნობა ამ ტომისათვის დამახასიათებელ ქართულ ეროვნულ იდენტობას და კავკასიური ტოლერანტობის ისტორიულად შეულახავ პრინციპებს.



დასახელებული ლიტერატურა

1. ჟ. „მნათობი“(1959) # 2. ი, ცინცაძე . საქართველოს მთიანეთის (თუში, ფშავი, ხევსურეთი) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან.
2. ელანიძე, ვ. (1988), თუშეთის ისტორიის საკითხები
3. ჟ. „ კვალი“(1897), # 54
4. ქართლის ცხოვრება IV ტ. თბ. 1973. გვ. 283;
5. ჟ. „კვალი“(1897), # 52
6. კახეთის რეგიონალური არქივი, ბაინდურაშვილის პირადი არქივი, ფონდი#192, საქმე 30
7. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, (2014), თუშეთი
8. კახეთის რეგიონალური არქივი, ბაინდურაშვილის პირადი არქივი, ფონდი#192, საქმე 32
9. უახლესი ისტორიის არქივი.ფ. 2119ა61,საქ.58

საბანკო რეგულირების გავლენების შეფასება

Givi Lemonjava
Saba Murmanishvili
Nino Jgamadze
University of Georgia, Georgia

საბანკო რეგულაციების სწორი დაწესება გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. საქართველო ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმატორად რეგიონში. შესწავლილია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დაკრედიტების სფეროში მიღებული რეგულაციების ზემოქმედება საფინანსო ინსტიტუტებსა და ქვეყნის ეკონომიკაზე, შეფასებულია რეგულაციების ამოქმედების შემდეგ განვითარებული მოვლენები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებო აღმოჩნდა საფინანსო ინსტიტუტების რისკიანობის შემცირებასთან დაკავშირებული 2018 წლის 7 მაისის რეგულაცია შემოსავლის დადასტურების შესახებ და 2019 წლის 1 იანვრის რეგულაცია გადასახადის შემოსავალთან ფარდობის (PTI) შემცირებასთან დაკავშირებით. ამ რეგულაციების შემოღება უკავშირდება 2018 წელს საქართველოში შექმნილ მოსახლეობის ჭარბვალიანობას, რაც საყურადღებო იყო საქართველოს საფინანსო სექტორისთვის. მომავალში მას შესაძლებელია მნიშვნელოვანი პრობლემა შეექმნა ეკონომიკისთვის. საქართველოში ჭარბვალიანობის გამომწვევი მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს სიღარიბე და უმუშევრობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარჯები, ფინანსური განათლების დაბალი დონე, აზარტული თამაშები და თაღლითური კომპანიები, ასევე დასაქმების არასტაბილურობა. ჭარბვალიანობის დასაძლევად ევროპის სხვადასხვა სახელმწიფომ საფინანსო ორგანიზაციებს შეუმცირა მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ზღვრული რაოდენობა. ეს მაგალითი გამოიყენა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და ეს გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, წარმატებული აღმოჩნდა. ნაშრომში გაანალიზებულია შემოღებული ახალი რეგულაციები, მათი გამომწვევი მიზეზები და ამ რეგულაციების შედეგები. ასევე, შესადარებლად განხილულია განვითარებული ქვეყნების საფინანსო სექტორის მდგომარეობა და მათი რეგულაციები. საყურადღებო აღმოჩნდა სესხების „შავ ბაზარზე“ გადასვლა, რამაც მნიშვნელოვნად დაამძიმა დაბალრეიტინგიანი მსესხებლების გარკვეული ნაწილის მდგომარება. მაგრამ სესხების ამ პორტფელის ანალიზი და შეფასება შეუძლებელია სათანადო სტატისტიკის არარსებობის გამო. შესწავლილია როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლების დამოკიდებულება აღნიშნული ცვლილებებისადმი, ასევე რამდენად არიან კეთილგანწყობილი რეგულაციების მიმართ ფინანსური სექტორის მომხმარებლები და რამდენად გამართლებულად მიაჩნიათ მათ ცვლილებები. დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების დადასტურების მოთხოვნამ შეამცირა მოქალაქეების მოთხოვნა სესხებზე, ეს უარყოფითად არ აისახა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამავე დროს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ამოქმედების შედეგად საცალო სესხები უფრო მიზნობრივი ბიზნეს სესხებით ჩანაცვლდა და პორტფელის ხარისხი გაუმჯობესდა, რამაც ეკონომიკურ ზრდას შეუწყო ხელი. ამ რეგულაციებს შედეგები კარგად გამოჩნდა განსაკუთრებით პანდემიის პირობებში. ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ ფინანსური სექტორი საკმაოდ მომზადებული შეხვდა უკიდურესად მძიმე სიტუაციას. შეიძლება იქვას, რომ საფინანსო სექტორმა შეინარჩუნა სტაბილურობა, ხოლო მოსახლეობა ნაკლები სავალე ტვირთით შეხვდა ამ კრიზისს და, სავარაუდოდ, ორივე შედარებით უმტკივნეულოდ დაძლევს პანდემიით გამოწვეულ სირთულეებს.

საკვანძო სიტყვები: ჭარბვალიანობა, საბანკო რეგულირება, სესხის მომსახურების კოეფიციენტი, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი

Assessing the Impact of Banking Regulation

Proper enforcement of banking regulations is a global problem. Georgia is considered to be one of the most successful reformers in the region. The impact of the regulations adopted by the National Bank of Georgia (NBG) in the field of lending on financial institutions and the country's economy is studied, and the developments since the enforcement of the regulations are assessed. Particularly important and noteworthy in this regard were the Regulation of May 7, 2018 on income confirmation related to risk reduction of financial institutions and the Regulation of January 1, 2019 on the reduction

of the payment-to-income ratio (PTI). The introduction of these regulations is related to the excess debt of population created in Georgia in 2018, which was a concern for the financial sector of Georgia. This could pose a significant problem for the country economy in the future. Poverty and unemployment, significant healthcare costs, low level of financial education, gambling and fraudulent companies, as well as employment instability can be considered as the causes of excess debt in Georgia. To overcome the excess debt, the various European countries have reduced for the financial institutions the subsistence level. The National Bank of Georgia had followed this example and decision was successful. The introduced new regulations, the causes and the consequences of these regulations have been analyzed. Also, for comparison, the situation of the financial sector of developed countries and their regulations are discussed. The transition to a "black market" of loans, which significantly aggravated the situation of some low-rated borrowers, was noteworthy. But it was impossible to analyze and evaluate this portfolio of loans due to the lack of proper statistics. The attitude of the representatives of the financial sector towards the mentioned changes, as well as how benevolent are the financial sector users towards the regulations and how justified they consider these changes, are studied. It was found that although the requirement for proof of income reduced the demand of citizens for loans, this did not adversely affect the economic situation of the country. At the same time, with the introduction of responsible lending, retail loans have been replaced by more targeted business loans and portfolio quality was improved, what has contributed to the economic growth. The results of these regulations have been well demonstrated especially during pandemic. One important result was that the financial sector was quite prepared to face this extremely difficult situation. It could be stated that the financial sector has remained stable, with the population facing crisis with less debt burden, both are likely to overcome this pandemic difficulties relatively painlessly.

Keywords: Excess debt, Banking regulation, PTI, LTV

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საფინანსო ინსტიტუტებს, შესაბამისად, მსოფლიო თითქმის შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საბანკო სექტორის გარეშე. ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას საბანკო პროდუქტის მომსახურების მიღების შესახებ. მომხმარებელი ხშირ შემთხვევაში დგება გაურკვევლობის წინაშე, რადგან არსებობს უამრავი საკრედიტო პროდუქტი და მომსახურება, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული პირობები. არსებობს კომერციული ბანკები, სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტები, და მათი რაოდენობა კი საგრძნობლად იზრდება, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ინტერესები (ხშირ შემთხვევაში, საკუთარი მოგების ზრდა) და შესაძლებელია ითქვას, რომ მომხმარებელთა უმრავლესობას, სამწუხაროდ, არ გააჩნია სათანადო ფინანსური განათლება, რომ მიიღოს მისთვის სწორი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნულ სფეროს გააჩნდეს ისეთი მარეგულირებელი ძალა, რომელიც დაიცავს როგორც კომერციული ბანკის ინტერესებს, ასევე მომხმარებლის. საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) წარმოადგენს ორგანოს, რომელიც ადგენს გარკვეულ რეგულაციებს კომერციული ბანკებისთვის. სებ-ის ძირითადი მიზანია, როგორც საფინანსო ორგანიზაციების კონტროლი, ასევე ფულადი სახსრების სწორი განსაზღვრა. რეგულირების დროს საფინანსო ორგანიზაციებს აქვთ გარკვეული შეზღუდვები, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი ინტერესების მიხედვით გაყიდონ თავიანთი პროდუქტები.

საქართველოს საფინანსო სისტემაში კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა 2018 წელს. აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობაში იმატა ჭარბვალიანობამ, რომელიც მნიშვნელოვანი და საყურადღებოა არა მარტო საქართველოს საფინანსო სექტორისთვის, არამედ იმითაც, რომ აღნიშნულმა მომავალში შესაძლებელია მნიშვნელოვანი პრობლემა შექმნას საქართველოს ეკონომიკისთვის. საფინანსო სექტორის რეგულირება დღესაც მნიშვნელოვანია და შეუჩერებლივ მიმდინარეობს მისი სრულყოფა.

ლიტერატურის მიმოხილვა

საბანკო რეგულაციების სწორი დაწესება გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. საქართველო ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმატორად რეგიონში. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით სებ ახორციელებს მაკროპრუდენციულ პოლიტიკას - ახორციელებს სისტემური რისკების

გამოვლენასა და შეფასებას, მუდმივ მონიტორინგსა და ამ რისკების შემცირების მიზნით საპასუხო ღონისძიებების შემუშავებას. სებ-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია შესაბამისი დებულებები და ინსტრუქციები, რომელთა მიზანი არის სწორი დაკრედიტების პოლიტიკის ხელშეწყობა, რეგულაციების გავრცელების არეალის განსაზღვრა და სათანადო კოეფიციენტების დაწესება (https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2).

კომერციული ბანკები ასევე აქვეყნებენ ინფორმაცია ბანკის შიდა პოლიტიკის, საკრედიტო პროდუქტებისა და მათი საპროცენტო განაკვეთების შესახებ (https://bankofgeorgia.ge/ka, https://www.tbcbank.ge/web/ka, https://vtb.ge/ge/individuals).

ანალიტიკური სტატიები ფინანსურ სექტორში მიმდინარე პროცესების შესახებ ქვეყნდება სხვადასხვა კომპანიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების მიერ. Forbes გამოცემაში (https://forbes.ge/news/7811/Sinameurneobebis-Warbi-dakrediteba) აღნიშნულია, რომ ერთის მხრივ, შინამეურნეობების მიერ ვალის გადაუხდელობა ფინანსური სისტემისათვის დანაკარგებს წარმოქმნის, ხოლო მეორე მხრივ, შინამეურნეობების ფინანსური სტრესი ეკონომიკურ ზრდაზე, და შესაბამისად, ფინანსური სისტემის პერსპექტივებზე უარყოფითად აისახება. „საზოგადოება და ბანკები“ (http://sab.ge/) იცავს მომხმარებლების ინტერესებს და გამოქვეყნებული აქვს ეკონომიკური ექსპერტების სტატიები აღნიშნულთან დაკავშირებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდზე (https://mof.ge/News/9178) განთავსებულია ინფორმაცია მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებებზე რეგულაციების პირობებში, ხოლო მსოფლიო ბანკის დამოკიდებულება საქართველოსთან მიმართებაში გამოხატულია სტატიაში მის ვებ-გვერდზე (https://www.worldbank.org/en/country/georgia).

საბანკო რეგულაციების გავლენა საქართველოს ბაზარზე

შესწავლილია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დაკრედიტების სფეროში მიღებული რეგულაციების ზემოქმედება საფინანსო ინსტიტუტებსა და ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებო აღმოჩნდა საფინანსო ინსტიტუტების რისკიანობის შემცირებასთან დაკავშირებული 2018 წლის 7 მაისის რეგულაცია შემოსავლის დადასტურების შესახებ. ის მიზნად ისახავდა სესხის ისეთ პირებზე გაცემის შეზღუდვას, ვისაც შესაძლოა მის გადასახდელად საკმარისი შემოსავალი არ ჰქონოდა და 2019 წლის პირველი იანვრის რეგულაცია სესხის მომსახურების კოეფიციენტის (PTI) შემცირებასთან დაკავშირებით. საკანონმდებლო აქტი განსაზღვრავდა გასესხებისადმი უფრო მკაცრ მიდგომას და სავალდებულოს ხდიდა გადახდისუნარიანობის ანალიზს. განკარგულებით განისაზღვრა სესხის მომსახურების (PTI) და სესხის უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტებიც, დაუბეგრავი შემოსავლის სხვადასხვა ჯგუფებისათვის: *ცხრილი #1. www.nbg.gov.ge*

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი (ლარი)	არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე	ჰეჯირებული მსესხებლებისათვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე
<1,000	20% / 25%	25% / 35%
>=1,000-2,000<	20% / 25%	35% / 45%
>=2,000-4,000<	25% / 30%	45% / 55%
>=4,000	30% / 35%	50% / 60%

რეგულაციის შემოღების მიზეზები იყო:

1. საქართველო ერთ-ერთი ლიდერი იყო მსოფლიოში ზრდასრულ მოსახლეობაში მსესხებლების წილით [70%];
2. სესხების ზრდის ტემპი იყო არაჯანსაღად მაღალი;

3. მაღალი საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო რისკი კრიტიკულს ხდიდა ვალის ტვირთს და რისკებს;
4. უმეტესად არ ხდებოდა გადახდისუნარიანობის შესწავლა; განიხილავდნენ საკრედიტო ისტორიას, რითაც ბევრი კლიენტი უბრალოდ საკრედიტო პირამიდაში აღმოჩნდა და დეფოლტების დონე იყო კრიტიკულად მაღალი.

ჭარბვალიანობა საქართველოში

მსოფლიოში არსებობს მითი, რომ თუ ქვეყანაში არსებობს ჭარბვალიანობა, მისი მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა ვერ განვითარდება, რაზეც ყურადღებას ამახვილებს ეროვნული ბანკიც. მის განცხადებაში ნათქვამია, რომ "700 ათასამდე მოქალაქე უკვე გადახდისუუნარო აღმოჩნდა. გარდა ამისა, ასი ათასობით ადამიანს მის შემოსავალთან შედარებით არაადეკვატურად მაღალი სესხები გააჩნია. ვიღებთ ძალიან ბევრ წერილს მოქალაქეებისგან, რომლებმაც უძრავი ქონება დაკარგეს, ან დაკარგვის რისკის ქვეშ არიან გაუცნობიერებლად მიღებული გადაწყვეტილებების გამო. სესხის მომსახურების კუთხით სიძნელეების ძირითადი მიზეზი სწორედ უპასუხისმგებლო დაკრედიტების პრაქტიკა იყო".

3 700 000 მაცხოვრებელ სახელმწიფოში ზემოთხსენებული სტატისტიკა იყო საგანგაშო, რაც მოქმედებას მოითხოვდა. სებ-ის თქმით, ახალი რეგულაციების შემოღებით იგი მოსახლეობას რისკებს შეუმცირებდა გრძელვადიან პერსპექტივაში. გასათვალისწინებელია, რომ გატარებული რეფორმები საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზეა დაფუძნებული. საქართველოში უკვე არსებულმა ფინანსურმა კრიზისმა თვალსაჩინო გახადა, რომ საჭირო იყო ფიზიკური პირების გადახდისუნარიანობისა და მათი ვალდებულებების უფრო ღრმა ანალიზი. მომხმარებლის დაბალი ფინანსური განათლების პირობებში სწორი რეგულაციების მიღება და ფინანსური სექტორის მხრიდან მათი სწორად მიწოდება მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფინანსური სექტორი აღნიშნულ საკითხში უფრო მეტ ინფორმაციას ფლობს.

საქართველოში ჭარბვალიანობის შესახებ არაერთი ბლოგ-პოსტი გამოაქვეყნეს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თუ ჟურნალისტებმა. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებზე, რის გამოც , ქართველები ვალების ჭაობში ეფლობოდნენ და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა უჭირდათ. მაკროეკონომიკური ინდიკატორები, რომლებიც სამომხმარებლო სესხების მოცულობას ზომავს, მკვეთრად გაიზარდა უკანასკნელი 6-7 წლის მანძილზე. მაგალითად, თუ 2011 წლის საოჯახო მეურნეობის სესხის თანაფარდობა მშპ-თან 10.6% იყო, 2018 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 36.7%-ს მიაღწია. ასევე, საოჯახო მეურნეობის ვალის თანაფარდობა დაუბეგრავ შემოსავალთან 2012 წლის 25.2%-ს უტოლდებოდა, ხოლო 2018 წლის 57%-მდე, ანუ დაახლოებით ორჯერ გაიზარდა. ასევე, გაიზარდა შინამეურნეობის ვალის მომსახურების (ძირს პლუს პროცენტი) თანაფარდობა განკარგვად შემოსავალთან. თუ 2012 წლის აღნიშნული მაჩვენებელი 9.5%-ს შეადგენდა, 2018 წელს საქსტატის მონაცემებით მან უკვე 14.6%-საც კი მიაღწია. სებ- ის მონაცემებით, 2007 წლიდან - 2017 წლამდე, მიკრო საფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 15-დან 75 -მდე გაიზარდა და ეს რიცხვი საგანგაშო გახდა. რეგულაციების შემოღება უკავშირდებოდა 2018 წელს საქართველოში შექმნილ მოსახლეობის ჭარბვალიანობას, რაც საყურადღებო იყო საქართველოს საფინანსო სექტორისთვის. საქართველოში ჭარბვალიანობის გამომწვევი მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს: სიღარიბე და უმუშევრობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარჯები, ფინანსური განათლების დაბალი დონე, აზარტული თამაშები და თაღლითური კომპანიების არსებობა, ასევე არასტაბილური დასაქმების სისტემა. ჭარბვალიანობის დასაძლევად ევროპის სხვადასხვა სახელმწიფომ საფინანსო ორგანიზაციებს შეუმცირა მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ზღვრული რაოდენობა. ეს მაგალითი გამოიყენა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და ეს გადაწყვეტილება დადებითად შეფასდა.

საბანკო რეგულაციები საზღვარგარეთის ქვეყნებში

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საბანკო ინსტიტუტის სწორი მუშაობას განსაზღვრავს სახელმწიფო ცენტრალური ბანკის, ან სხვა საზედამხედველო ორგანოს მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს საბანკო სისტემის სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას და ხელს უშლის საბანკო სექტორში

დესტაბილიზაციის ტენდენციებს. ბანკების საქმიანობის მონიტორინგი უზრუნველყოფს ბანკების მიერ მათი საქმიანობის განხორციელების მუდმივ ზედამხედველობას მოქმედი კანონისა და მითითებების შესაბამისად (იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკები არ სცილდებოდნენ მათთვის დადგენილ ზღვრებს). რეგულაციებზე დაკვირვებით ყველა ქვეყანაში გამოიყო ის ძირითადი ასპექტები, რომელიც მოყვა აღნიშნულ ცვლილებებს. ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი არის, ისევე, როგორც საქართველოს შემთხვევაში, რეგულაციების შემდგომი ადაპტირება, თუ რამდენად გაუჭირდა მათზე მორგება საფინანსო ინსტიტუტებს და მოსახლეობას.

2014 წლის 27 აგვისტოს უნგრეთის ეროვნულმა ბანკმა (MNB) მიიღო ახალი მაკრო-პრუდენციული რეგულაცია, რათა თავიდან აეცილებინა ჭარბვალიანობა და უცხოური ვალუტის სესხების განახლება. ძირითადად სავალო კაპიტალის რეგულირება, შედგება ორი საყრდენისაგან: 1) სესხის მომსახურების კოეფიციენტი (PTI) შეზღუდავს პირველადი სესხის მომსახურებას, როგორც მომხმარებელთა რეგულარული იურიდიული შემოსავლის პროცენტული მაჩვენებელი, რითაც შეამცირებს შინამეურნეობის დავალიანების დაგროვებას. 2) სესხის მომსახურების კოეფიციენტი (LTV) უზრუნველყოფს მაქსიმალური ოდენობით უზრუნველყოფილი საყოფაცხოვრებო დაკრედიტების (მაგ., იპოთეკური სესხების) მაქსიმალურ რაოდენობას, როგორც გირაოს (ქონების ღირებულების) პროცენტული პროცენტი. შემოღებული ლიმიტები არ გამოიწვევს სესხებზე წვდომის გადაჭარბებას (https://www.mnb.hu).

2017 წლის 20 ნოემბერს გამოქვეყნებული ინფორმაციის (https://www.nationalbanken.dk/en) თანახმად, დანიის ეროვნული ბანკის შემოთავაზებული ცვლილება ზღუდავს სახლის მესაკუთრეებისათვის კრედიტის გაცემას: DTI≤4 და LTV≤60%. დადებითად მიიჩნევა, რომ წესები ვრცელდება ყველა სახლის მესაკუთრეზე, რომელსაც აქვს მაღალი დავალიანება. ამავე დროს, დანიის ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ შეუსაბამოა, რომ მაღალი დავალიანების მქონე მესაკუთრეები კვლავ შეძლებენ საცხოვრებლის შესყიდვების დაფინანსებას გადავადებული ამორტიზაციის სესხების გამოყენებით. გადავადებული ამორტიზაციის დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობის შეზღუდვა შეამცირებს სახლის მესაკუთრეთა დაუცველობას ნეგატიური ეკონომიკური დარტყმისგან, როგორიცაა სახლის ფასების შემცირება და უმუშევრობა, ისევე, როგორც უმაღლესი თვიური მომსახურება შეამცირებს რისკს დაბალი საპროცენტო განაკვეთების გამო.

ლიტვის ბანკის საბჭომ დაამტკიცა პასუხისმგებელი დაკრედიტების დებულებები (https://www.lb.lt/en), რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის დაცვას სავარაუდო დიდი ფინანსური ტვირთისაგან, ფინანსური სისტემის შოკების ალბათობის შემცირებას და ეროვნული ეკონომიკის მთლიანობას. ამ დებულებებში ასახულია მკაფიო შეზღუდვები, რომლითაც საკრედიტო ინსტიტუტებს არ ეძლევათ უფლება შეასუსტონ ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემისას მათი გადახდისუნარიანობის შეფასება.

2015 წლის 1 მარტიდან ესტონეთში მოქმედი ყველა ბანკი ვალდებულია შეასრულოს სამი მოთხოვნა იპოთეკური სესხის გაცემისას - ლიმიტირებული LTV≤85%, DSTI≤50% და სესხების მაქსიმალური დაფარვის ვადა - 30 წელი (https://www.eestipank.ee).

კვლევის მეთოდოლოგია

სებ წყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებულია შემოღებული რეგულაციები, მათი გამომწვევი მიზეზები და ამ რეგულაციების ამოქმედების შედეგად განვითარებული მოვლენები. შესადარებლად განხილულია განვითარებული ქვეყნების საფინანსო სექტორის მდგომარეობა და მათი რეგულაციები. საყურადღებო აღმოჩნდა სესხების „შავ ბაზარზე“ გადასვლა, რაც წარმოადგენს პრობლემას, რადგან აღნიშნულს არ გააჩნია მაჩვენებელი, შესაბამისად, ანალიზიც მონაცემების მიხედვით რთულია, რადგან ვერ ხორციელდება ზუსტი ინფორმაციის მოკვლევა.

ინტერვიუების საფუძველზე შესწავლილია როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლების დამოკიდებულება აღნიშნული ცვლილებებისადმი, ასევე რამდენად არიან კეთილგანწყობილი რეგულაციების მიმართ ფინანსური სექტორის მომხმარებლები და რამდენად გამართლებულად მიაჩნიათ მათ ცვლილებები.

კვლევის შედეგები

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის აზრით, საბანკო რეგულირებამ საფინანსო ორგანიზაციებს გაუუმჯობესა საკრედიტო პორტფელი, რომელიც დაეხმარა კრიზისულ სიტუაციების დაძლევაში: „რეგულაციის როლი განსაკუთრებით ახლა, პანდემიის პირობებში გამოიკვეთა, გამოჩნდა რომ ფინანსური სექტორი საკმაოდ მომზადებული შეხვდა ამ შოკს, მათ შორის, საცალო სესხების აქტივების ხარისხის კუთხით. რეგულაციის პოზიტიურ როლზე საუბრობენ, მისი კრიტიკოსებიც, ფინანსური, სამშენებლო თუ სხვა სექტორებიდან. მოსახლეობაც, ნაკლები ვალის ტვირთით, ბევრად ადვილად შეძლებს ამ შოკთან გამკლავებას".

მომხმარებელთა კატეგორიამ, რომელიც აქტიურად იყენებდა მიკრო-საფინანსო ორგანიზაციას ან ონლაინ სესხებს, გადაინაცვლა კომერციულ ბანკში და ბანკის პორტფელი გაზარდა. ამასვე მოწმობს თიბისი ბანკის საკრედიტო ექსპერტი, რომელიც დადებითად აფასებს მიღებულ კანონმდებლობას, კმაყოფილია ახალი პორტფელით, რადგან ჩამოყალიბდა უფრო მიზნობრივი სეგმენტი.

ეროვნული ბანკის მოხსენებაში ნათქვამია: „ აღნიშნულმა რეგულაციამ შეამცირა შინამეურნეობების ვალის ტვირთის ჭარბი ზრდა, უკეთესად დაიცვა მსესხებლები ფინანსური მოწყვლადობის რისკებისგან და გააუმჯობესა ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხი, იმ პირობებში, რომ მატერიალურად არ შეცვლილა მოსახლეობის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და მთლიანობაში მას ნეგატიურად არ უმოქმედია მიმდინარე საკრედიტო და ეკონომიკურ აქტივობაზე. ამავე დროს, საშუალოვადიან პერიოდში რეგულაცია ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას".მიზეზი იმისა, თუ რატომ გახდა აუცილებელი სესხის მომსახურების კოეფიციენტების შეზღუდვა, განმარტებულია, რომ - 7 მაისის შეზღუდვამ შეამცირა უშემოსავლო პიროვნებებზე სწრაფი სესხი და განვადებები, რამაც დიდი ალბათობით დეფოლტისთვის განწირული შინამეურნეობები დაიცვა, თუმცა ვერ შეაჩერა შემოსავლიანი მომხმარებლის ზედმეტი ლევერაჟი, რაც უკვე წლის ბოლოდან ახალი რეგულაციით გაკეთდა.

თვისობრივ გამოკითხვაში, მონაწილეობა მიიღეს მიკრო საფინანსო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმაც. მათი აზრით, მიკრო საფინანსო ორგანიზაციებზე ცუდად იმოქმედა საბანკო რეგულაციებმა, ბევრი მოთამაშე გავიდა ბაზრიდან, შეუმცირდათ პორტფელი, მიღებულ კანონმდებლობას მიკროსაფინანსო კომპანიები მზად ვერ დახვდნენ, თუმცა ყველა ამართლებს სებ-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

საქართველოს ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტის დირექტორმაც დადებითად შეაფასა საბანკო რეგულაციები, მისი თქმით: „რეგულაციებზე ადაპტირება რთულია, აღნიშნული მოთხოვნის დიდ პერსონალურ და ფინანსურ ხარჯს მოითხოვს, რაც ბიზნესზე ცუდად აისახება. აღნიშნული რეგულაციებს სჭირდება რესურსები, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური. პოზიტიურს რაც შეეხება, ვხედავ, რეგულაციებმაა ჭარბვალიანობა შეამცირა".

მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში მომხმარებელთა მხრიდან იყო გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებით, შემდგომში ეს პრობლემაც აღმოიფხვრა. დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების დადასტურების მოთხოვნამ შეამცირა მოქალაქეების მოთხოვნა სესხებზე, ეს უარყოფითად არ აისახა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამავე დროს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ამოქმედების შედეგად საცალო სესხები უფრო მიზნობრივი ბიზნეს სესხებით ჩანაცვლდა, პორტფელის ხარისხი გაუმჯობესდა, რამაც ეკონომიკურ ზრდას შეუწყო ხელი.

ცხრილი #2. საქართველოს დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა (www.mof.ge)

საქართველოს დასაქმების და უმუშევრობის საერთო მაჩვენებლით, 2018 და 2019 წლებს თუ შევადარებთ, ქვეყანაში უმუშევრობის დონე შემცირებულია 1.1%-ით, ანუ თუ აღნიშნულ წლების შედარებისას

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2 004.5	1 978.6	1 984.6	2 018.0	1 996.2	1 983.1	1 939.9	1 911.2
დასაქმებული, ათასი კაცი	1 659.4	1 643.4	1 694.4	1 733.8	1 717.3	1 706.6	1 694.2	1 690.2
უმუშევარი, ათასი კაცი	345.1	335.2	290.2	284.2	278.9	276.4	245.7	221.0
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	17.2	16.9	14.6	14.1	14.0	13.9	12.7	11.6

საფინანსო საქმიანობაში შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა, სამსახურ-დაკარგულმა თანამშრომლებმა გადაინაცვლეს სხვა ორგანიზაციებში და განავითარეს სხვა სფერო. საქსტატის 2018 წლის მონაცემებით (https://mof.ge/News/8997), აღნიშნულ წელს მოსახლეობის საშუალო შემოსავალი საქართველოს ისტორიაში პირველად გადაცდა ოთხნიშნა ნიშნულს და შეადგინა 1068 ლარი.

თუ შევადარებთ 2018 და 2019 წელს, ცხრილის მიხედვით ძირითად ნაწილში საბანკო რეგულაციებს უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია; ამ მონაცემების მიხედვით მშპ-ის რეალური ზრდაა - 0.3%, და მიმდინარე ფასებში მშპ გაიზარდა 5.4 მილიარდი ლარით.

ცხრილი #3 მთლიანი შიდა პროდუქტი (https://mof.ge/analitikuri_monacemebi)

	2015	2016	2017	2018	I 19*	II 19*	III 19*	IV 19*	2019*	I 20*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	35.8	40.8	44.6	10.2	12.0	13.4	14.3	50.0	11.1
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	34.9	36.6	38.4	9.1	10.2	10.6	11.0	40.4	9.0
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი	3.0	2.9	4.8	4.8	5.0	4.6	5.8	5.1	5.1	2.2
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	5.8	2.6	8.5	4.4	1.7	5.1	7.2	11.2	6.6	6.1
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	9 109.4	9 613.9	10 933.9	11 968.0	2 739.4	3 229.5	3 611.3	3 848.8	13 428.9	2 976.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4 012.6	4 062.1	4 358.5	4 722.0	1 026.7	1 179.0	1 237.0	1 306.5	4 763.5	1 017.1
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	14.9	15.1	16.2	17.6	3.8	4.4	4.6	4.9	17.7	3.8

საზოგადოების მოსაზრების გასაგებად ჩატარებული იყო სოციალური კვლევა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული საბანკო რეგულაციების გავლენის შეფასების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგი გაიყო ორ ნაწილად. დისტანციურად გამოკითხულები იყვნენ 20-დან 40 წლამდე ასაკის რესპოდენტები, მათი 98% სარგებლობს ფინანსური ინსტიტუტების მომსახურებით, 72% შემოსავლების დადასტურების აუცილებლობას ეთანხმება და 92%-ს შეუძლია სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა. მეორე ნაწილი, რომელიც პირისპირ გამოიკითხა და პრაქტიკულად ყველა ასაკობრივ კატეგორიას მოიცავდა, 80% შემთხვევაში არის ფინანსური ინსტიტუტის მომხმარებელი, მათი 55% არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ რესპოდენტების 60% ვერ ადასტურებს შემოსავლებს.

საინტერესო არის ასევე ის ფაქტი, რომ თუ ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეთა 80% იყენებს სამომხმარებლო სესხს და 34% - განვადებას, პირისპირ გამოკითხულთა შემთხვევაში, შესაბამისად უფრო ფართო ასაკობრივ კატეგორიაში, სამომხმარებლო სესხით სარგებლობს მხოლოდ 43%, ხოლო განვადების გამომყენებელთა წილი კვლავ 34%-ია.

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მომხმარებლების 72% დადებითად აფასებს შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას და 58% ეთანხმება სესხში გადასახდელი თანხის ლიმიტირებულ ოდენობას.

დასკვნები

საბანკო რეგულაციების შემდეგ მოვლენები განვითარდა შემდეგნაირად: საქართველოს დასაქმების და უმუშევრობის საერთო მაჩვენებლით, 2018 - 2019 წლებს თუ შევადარებთ, ქვეყანაში უმუშევრობის დონე შემცირებულია 1.1%-ით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო სფეროში მომუშავე ადამიანების ნაწილმა, დაახლოებით 2 600 ადამიანმა დაკარგა სამსახური, მაგრამ სამსახურ-დაკარგულმა თანამშრომლებმა გადაინაცვლეს სხვა ორგანიზაციებში და განავითარეს შესაბამისი სფეროები.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2018 – 2019 წლებში გაიზარდა 0.3% -ით. ამ მონაცემებზე და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, საბანკო რეგულაციებს ეკონომიკის ზრდაზე მოსალოდნელი უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ამოქმედების შედეგად, საცალო სესხები უფრო მიზნობრივი ბიზნეს სესხებით ჩანაცვლდა, რამაც ასევე შეუწყო ხელი ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნული კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, საფინანსო ორგანიზაციებმა უფრო მიზნობრივი სეგმენტი შექმნეს და მათი პორტფელის ხარისხი გაუმჯობესდა.

2018 წელთან შედარებით, 2019 წელს შემცირდა ისეთი რისკიანი იპოთეკური სესხების წილი, რომელთა სესხის მომსახურების კოეფიციენტი 50%-ზე მეტია.

რეგულაციის შედეგი განსაკუთრებით პანდემიის პირობებში გამოიკვეთა. გამოვლინდა, რომ ფინანსური სექტორი საკმაოდ მომზადებული შეხვდა ამ მოვლენას. საფინანსო ორგანიზაციებიც და მოსახლეობაც ადვილად გადალახავენ პრობლემებს, რადგან ნაკლები ვალის ტვირთით ბევრად ადვილად შეძლებენ ამ კრიზის დაძლევას.

რეგულაციების ამოქმედების შემდეგ, კომერციულს ბანკებს შემოსავალი, რომ არ შემცირებოდათ, მიმართეს ალტერნატივას და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე გასცემენ სამომხმარებლო სესხებს, გამარტივებული სესხის აღების პრინციპით. ამავე დროს მიკრო საფინანსო ორგანიზაციების მომხმარებლებმა გადმოინაცვლეს კომერციულ ბანკებში, რამაც დამატებით დააბალანსა მათი შემოსავალი.

რეგულაციის შედეგად დაიკლო ახალი სესხების დეფოლტის მაჩვენებელმა, არსებითად შემცირდა წინა წლებში დაგროვილი ვადაგადაცილების მქონე მსესხებლების რაოდენობაც. აღნიშნულმა რეგულაციამ შეამცირა შინამეურნეობების ვალის ტვირთის ჭარბი ზრდა, უკეთესად დაიცვა მსესხებლები ფინანსური მოწყვლადობის რისკებისგან და გააუმჯობესა ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1.საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის წესი დაამტკიცა - https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3545.

2.სესხი გაუმჯობესებული პირობებით - https://bankofgeorgia.ge/ka/business/funding/business-loan.

3.სამომხარებლო სესხი - https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/consumer-loan.

4. „საზოგადოება და ბანკები" ახალ საბანკო რეგულაციებს აფასებს - http://sab.ge/ge/news/777-sazogadoeba-da-bankebi-axal-sabanko-regulaciebs-apasebs

5.მსოფლიო ეკონომიკა და მისი ტენდეციები https://forbes.ge/news/3428/msoflio-ricxvebSi

6.ბიზნესი და რეგულაციები. საქართველოს ბანკის აღმასრულებელი დირექტორის ინტერვიუ https://1tv.ge/video/biznesi-da-reბიზნესი და რეგulaciebi/ .

7.ეროვნულმა ბანკმა საბანკო რეგულაციები გაამარტივა - https://imedinews.ge/ge/ekonomika/117832/erovnulma-bankma-sabanko-regulatsiebi-gaamartiva.

8.The World Bank in Georgia - https://www.worldbank.org/en/country/georgia.

9.Georgia and ADB - https://www.adb.org/countries/georgia/main.

10.The upper limit on the payment-to-income ratio protects households as a debt cup - https://www.mnb.hu/en/pressroom/press-releases/press-releases-2014/upper-limit-on-the-payment-to-income-ratio-protects-households-as-a-debt-cap

11.Consultation-response regarding the draft amendment to the executive order on good business practice for mortgage - https://www.nationalbanken.dk/en/pressroom/.

12.The bank of Lithuania approved regulations for responsible lending - https://www.lb.lt/en/news/the-bank-of-lithuania-approved-regulations-for-responsible-lending.

12.Requirement for housing loans - https://www.eestipank.ee/en/financial-stability/requirements-housing-loans

13. ახალი საბანკო რეგულაციები - https://forbes.ge/news/4387/axali-sabanko-regulaciebi

14.კობა გვენეტაძე: ვმუშაობთ საბანკო რეგულაციების გამარტივებაზე - http://www.tabula.ge/ge/story/155850-koba-gvenetadze-vmushaobt-sabanko-regulaciebis-gamartivebaze

15. Развитие банковских систем в Европе - http://www.banki-delo.ru/2010/03.

ძალაუფლების დანაწილება და „კონტროლისა და ბალანსის" პრინციპები საქართველოში (2010-2020წწ.)[1]

Tamar Charkviani
Caucasus University, Georgia
Ana Chelidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

საქართველოში მწვავედ დგას თანამედროვე დემოკრატიის ცენტრალური პრინციპების – „კონტროლისა და ბალანსის" და „ახალი სახელმწიფო მართვის" დანერგვის პრობლემა, რაც პირდაპირ კავშირშია დემოკრატიულ სისტემაში ძალაუფლების სულ მცირე ორი საკმარისად ძლიერი და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ცენტრის არსებობასთან. სასამართლო ხელისუფლებას აღმასრულებელი შტოს ზედამხედველობის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები გააჩნია. ამიტომ საინტერესოა, რამდენად გავრცელებულია აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელების პრაქტიკა საქართველოში. შესაბამისად კვლევის ძირითად საკითხს წარმოადგენს რამდენად ეფექტურად ახორციელებს სასამართლო ხელისუფლება აღმასრულებელი შტოს/საჯარო სამსახურის ზედამხედველობას. კვლევის ძირითადი მიზანი სასამრთლოს და აღმასრულებელი ინსტიტუტების მართვის სტრატეგიების აღწერა და კონტროლისა და ბალანსის სისტემის ანალიზია. დემოკრატიული ტრანსფორმაციის სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის ეფექტური დამაბალანსებელი მექანიზმების შემოღება ანუ მათ უფლებათა, მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა რელიეფური გამოკვეთა და გამიჯვნა სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე. პოსტსაბჭოთა, ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ საქართველოში „ახალი სახელმწიფო მართვა" დგას გამოწვევის წინაშე – გარდაიქმნას ჯანსაღ კონტროლისა და ბალანსის პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემად ან მოძებნოს ფუნქციონირების ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც შეაფერხებენ მის, როგორც ღია, დემოკრატიულ სისტემად ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული რეჟიმი, „რეალ დემოკრატია", ძალაუფლების დანაწილება, კონტროლისა და ბალანსის სისტემა, ახალი სახელმწიფო მართვა, სამართლებრივი სახლმწიფო.

Separation of Powers and 'Check and Balance' Principles in Georgia (2010-2020)

Implementation of the main principles of modern democratic distribution of power - a new Check and Balance system and new public management - is vitally important. In a democratic system this is directly connected with the existence of at least two sufficiently powerful and mutually independent centers. The Judicial branch has substantial powers to supervise the Executive branch of government. Since it would be interesting to know how commonly these powers are exercised in Georgia, the main object of this research is to find how effectively the judicial branch supervises the Executive branch of government/public service. The main aim of the research is to describe management strategies within the Judicial and Executive branches of government, and to analyse the formation of a new 'Check and Balance' system of government. One of the most important components of democratic transformation is the introduction of effective balancing mechanisms between different branches of state government; i.e. the precise definition and identification of the rights, obligations and responsibilities at all levels of government. In Georgia, undergoing post-Soviet transformation, 'New Public Management' is facing a challenge: to be transformed into a healthy system based on Check and Balance principles, or to find alternative ways of functioning, which will hinder its development into an open, democratic system.

Keywords: hybrid regimes, real democracy, separation of powers, check and balance system, new public management, jural state.

1 აღნიშნული პროექტი განხორციელდა სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის ფარგლებში (ხელშეკრულების ნომერი №12/41)
The designate project has been published by the support of Shota Rustaveli National Science Foundation Grant (the grant agreement №12/41)

ქვეყნის მთავრობის საქმიანობის შეფასებისას დემოკრატიული რეფორმების განხორციელების მიმართულებით მნიშვნელოვანია რამდენად არის დანაწილებული ხელისუფლება და უფლებამოსილებები ქვეყანაში. მხოლოდ ამის შემდეგ ვსაუბრობთ მართვის რეჟიმსა და სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ. საქართველო მიისწრაფის ჩამოაყალიბოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწოფო. ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ხელიუფლების განაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებს შორის.

საქართველოში, კონსტიტუციური საფუძვლების ჭრილში, საჯარო მმართველობის ძირითად ღირებულებებად შეიძლება დასახელდეს სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, ლიბერალური და პლურალისტური დემოკრატია, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, თანაზომიერება და ა.შ. ასევე, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულება ე.წ. „კარგი მმართველობის" შესახებ (ცარციძე, ბესელია, ცუხიშვილი, ყალიჩავა, 2017წ.).

საქართველოში მწვავედ დგას თანამედროვე დემოკრატიის ცენტრალური პრინციპების – *„კონტროლისა და ბალანსის"* და *„ახალი სახელმწიფო მართვის"* დანერგვის პრობლემა, რაც პირდაპირ კავშირშია დემოკრატიულ სისტემაში ძალაუფლების სულ მცირე ორი საკმარისად ძლიერი და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ცენტრის არსებობასთან. დემოკრატიული ტრანსფორმაციის სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის ეფექტური დამაბალანსებელი მექანიზმების შემოღება ანუ მათ უფლებათა, მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა რელიეფური გამოკვეთა და გამიჯვნა სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე. პოსტსაბჭოთა, ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ საქართველოში „ახალი სახელმწიფო მართვა" დგას გამოწვევის წინაშე – გარდაიქმნას ჯანსაღ კონტროლისა და ბალანსის პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემად ან მოძებნოს ფუნქციონირების ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც შეაფერხებენ მის, როგორც ღია, დემოკრატიულ სისტემად ჩამოყალიბებას.

სტატიის ძირითად საკითხს წარმოადგენს რამდენად ეფექტურად ახორციელებს სასამართლო ხელისუფლება აღმასრულებელი შტოს ზედამხედველობას. ფორმალურად და რეალურად არსებულ სისტემებს შორის განსხვავებას ბევრი ექსპერტი აღნიშნავს. სასამართლო ხელისუფლებას აღმასრულებელი შტოს ზედამხედველობის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები გააჩნია. ამიტომ საინტერესოა, რამდენად გავრცელებულია აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელების პრაქტიკა საქართველოში.

სტატიის მიზანია, 2010-2020 წლებში სასამრთლოს და აღმასრულებელი ინსტიტუტების მართვის სტრატეგიების აღწერა, კონტროლისა და ბალანსის სისტემის ანალიზი. სტატიაში მიმოხილულია საქართველოში უფლებამოსილებათა დანაწილება და ყურადღება გამახვილებულია სასამართლო რეფორმაზე.

მეთოდოლოგიური სტრატეგია დაზვერვითი და აღწერითი გამოკვლევის ტიპს ეყრდნობა -ფაქტობრივი მონაცემების იდენტიფიცირებას - რამდენად იქნა შესწავლილი პრობლემა გამოკვლევების შედეგად, პირველადი მონაცემები შეგროვება პრობლემის ირგვლივ, მდგომარეობის „დაზვერვას." პრობლემის ან ადამიანთა ჯგუფის შესახებ ვრცელი ინფორმაციის მიღებას, რომელიც შემდეგში საშუალებას მისცემს კვლევას დაადგინოს, არსებობს თუ არა რაიმე კავშირი პრობლემის სხვადასხვა ელემენტს შორის. Deask Reaserch მეთოდით განხორციელდა შესასწავლ თემასთან დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზი და მოხდა რელევანტური წერილობითი წყაროების შესწავლა.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არსებითი განმაპირობებელი ფაქტორია სამართლებრივი სახელმწიფოსი. ძალაუფლების გადანაწილება მნიშვნელოვანია კომპონენტია იმისთვის, რომ ხელისუფლებამ კონტროლის ადეკვატური მექანიზმები უზრუნველყოს და აღკვეთოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტირანია ან დიქტატურა.

ხელისუფლების დანაწილების პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვითაც პოლიტიკური ხელისუფლება რამდენიმე სტრუქტურას შორის უნდა გადანაწილდეს ტირანიის თავიდან ასაცილებლად. ხელისუფლების დანაწილების იდეა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ევროპაში წარმოიშვა სამეფო ძალაუფლების აბსოლუტიზმის თავიდან ასაცილებლად; დღეს დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლების დანაწილება, როგორც წესი, ორი პრინციპით, ორი მიდგომით ხდება - ჰორიზონტალურად და

ვერტიკალურად; პირველი გულისხმობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გამოყოფას, ხოლო მეორე ცენტრალურ, რეგიონულ, მუნიციპალურ და რაიონულ ხელისუფლებას (ცენტრალურ, ადგილობრივ მმართველობასა და თვითმმართველობას) შორის უფლებამოსილებათა გადანაწილებას (ურიდია, 2004).

სახელმწიფოს წარმოშობის, განვითარებისა და არსებობის პირობებში, ხალხისა (საზოგადოების) და სახელმწიფოს ურთიერთობა ყოველთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო. ამ თემაზე ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მსჯელობდნენ და მაშინვე იცოდნენ, რომ სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა პირდაპირპროპორციულია საერთო მმართველობაში სახალხო მმართველობის წილთან (გოგატიშვილი, 2008). მონტესკიეს მოძღვრება უზენაესი სახელმწიფოს ხელისუფლების სამ ნაწილად დაყოფის შესახებ, შემდგომში მრავალ ქვეყანაში იქნა გამოყენებული დემოკრატიული კონსტიტუციების შემუშავების დროს. შარლ ლუი მონსტესკიე ცნობილია, როგორც ხელისუფლების დანაწილების თეორიის ავტორი, თავის მთავარ ნაშრომში „კანონთა გონში“ გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას აბსოლუტური, შეუზღუდავი მონარქიისადმი და გვაწვდის ხელისუფლების დანაწილების თეორიას. მონტესკიეს მიხედვით, უმაღლესი ხელისუფლება სამ ნაწილად უნდა იყოს დაყოფილი: საკანონდებლო ხელისუფლება (ხალხის რჩეულ საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდეს), აღმასრულებელი (მონარქს), სასამართლო ხელისუფლება (არჩეულ მოსამართლეებს). არ შეიძლება აღმასრულებელი და საკანონდებლო ხელისუფლება ერთი ორგანოს ან ერთი პირის ხელში გაერთიანება,რადგან ასეთ შემთხვევაში მონარქი თუ პარლამენტი ტირანულ კანონებს გამოსცემს და ტირანულად განახორციელებს (მონტესკიე, 1994).

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ცალკეულ მოღვაწეთა შრომებში ჩნდება კლასიკური საკონსტიტუციო ხასიათის იდეები. 1832 წლის შეთქმულთა პროგრამა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და კონსტიტუციური მონარქიის შემოღებას ითვალისწინებდა. შეთქმულთა დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი შვეიცარიული სისტემის შემოღებას ემხრობოდა. აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება დასავლური პოლიტიკური მოდელებისადმი. ასევე, ილია ჭავჭავაძის შეხედულებები კონსტიტუციონალიზმის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებზე, როგორიცაა - ძალაუფლების გამიჯვნა, მმართველობის ფორმები და სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია. XX საუკუნის 20-იანი წლებში საქართველოში საკონსტიტუციო იდეებმა პოლიტიკურ ლიდერთა შეხედულებებში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა. საყურადღებოა ნოე ჟორდანიას, პავლე საყვარელიძის, გიორგი გვაზავას, ალექსანდრე მდივანის, კონსტანტინე მიქელაძის, ივანე ჩერქეზიშვილის და სხვათა საკონსტიტუციო სამართლებრივი შეხედულებები, რომლებზეც დიდი გავლენა ევროპის საკონსტიტუციო სამართლის დოქტრინებმა იქონია. კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარის, პავლე საყვარელიძის კონცეფციის მიხედვით, კონსტიტუციის ძირითადი დანიშნულებაა მმართველობის ფორმის საკითხების მოწესრიგება, ხელისუფლების ცენტრალურ შტოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება და პოლიტიკურ სისტემაში მათი ადგილის განსაზღვრა, ძალაუფლების გამიჯვნა. ძალაუფლების გამიჯვნის თვალსაზრისით 1921 წლის კონსტიტუცია იზიარებს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილებას.

კონსტიტუცია გულგრილი არ დარჩენილა მონტესკიესეული ძალაუფლების გამიჯვნის, როგორც კონსტიტუციონალიზმის ძირითადი დოქტრინის, მიმართ. კანონმდებლობა ეკუთვნოდა პარლამენტს, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება - მთავრობას. მაგრამ პარლამენტი მაინც ინარჩუნებს დომინირებულ მდგომარეობას და ძალაუფლების კონცენტრაციას მის ხელისუფლებაში. მთავრობა პარლამენტს ემორჩილება და მისგან გამომდინარეობს. პრეზიდენტი დანიშნავდა მინისტრებს და პოლიტიკური კრიზისების დროს ითავებდა არბიტრის როლს. კონსტიტუციაში ნაკლებია ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორობის მექანიზმები, რაც მოცემულ შემთხვევაში, უმეტესად, პარლამენტისკენ იხრება. ეს გამოიხატებოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებაში, მთავრობის წევრისადმი უნდობლობის გამოცხადებაში, ინტერპელაციაში და სხვა (გეგენავა და სხვ., 2015).

ხელისუფლების მესამე შტოს, სასამართლო ხელისუფლებას ევალება ქვეყანაში მართლმსაჯულების აღსრულება. ხასიათდება სამი ძირითადი ნიშნით, პირველი და ძირითადი ნიშანი არის დამოუკიდებლობა დანარჩენი შტოებისგან, მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია კანონდებლობის, მათ შორის კონსტიტუციური ნორმების დაცვაა. მესამე ფუნქცია არის აღმსარულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე და

მოქმედებებზე ზედამხედველობა და კონტროლი. საქართველოში, როგორც სხვა დემოკრატიული მმართველობის ქვეყნებში, სასამართლო ხელისუფლების სამი ინსტანცია არსებობს. ესენია : საქალაქო/რაიონული, სააპელაციო და საკასაციო (უზენაესი) სასამართლო (მელქაძე, 1996).

ცნობილი მკვლევარის ჯონათან უითლის აზრით, კონსტიტუტციონალიზმის პრინციპი საზოგადოებას იცავს ორმაგი საფრთხისაგან, სახალხო დიქტაურისაგან და ავტორიტარიზმისაგან. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებზე, სადაც კანონის უზენაესობა ხელისუფლების თვითნებობაზე იყო დაქვემდებარებული და სადაც სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ქვესისტემები პოლიტიკურ ცხოვრებაში მცირე ან სულაც არანაირ როლს თამაშობდნენ, დაბრკოლებები ამ პრინციპის დამკვიდრების გზაზე მეტად რთული გადასალახი აღმოჩნდა (ნოდია, 2005).

ცნობილი ქართველი ექსპერტი გია ნოდია აჯამებს ექსპერტთა უმრავლესობის აზრს და შეფასებას, რომ საქართველოს პოლიტიკური სისტემა (მთავრობების ცვალებადობის მიუხედავად) მიიჩნევა „ჰიბრიდულად", „ნახევრად ავტორიტარულად" ან ღრმა ნაკლოვანებების მქონე დემოკრატიად. როგორც პოლიტიკური ოპოზიციის, ისე სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, ამის ერთ-ერთი და საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ ძალაუფლების განაწილების კონსტიტუციურ სტრუქტურაში იყო: ზედმეტად ძლიერი პრეზიდენტის ფიგურა, რომელსაც ხელისუფლების სხვა შტოები ვერ აწონასწორებდა, ავტორიტარიზმის საფრთხეს აძლიერებდა. ამიტომ, საჭირო იყო პრობლემის გადაჭრა კონსტიტუციის დონეზე. შემთხვევითი არ არის, რომ ერთიანი ოპოზიცია, რომლის კანდიდატი ეცილებოდა მიხეილ სააკაშვილს მის საპრეზიდენტო პოსტს 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე, თავის ძირითად საპროგრამო მოთხოვნად სწორედ პრეზიდენტის პოსტის გაუქმებას და პარლამენტის როლის მკვეთრ გაძლიერებას აყენებდა.

კონსტიტუციონალიზმი არის ის ძირითადი ელემენტი, რაც დემოკრატიას ლიბერალურად აქცევს და იცავს მას იმ თვისებებისაგან, რაც დემოკრატიისთვის ენდემურ საფრთხეებს შეადგენს და რასაც პოლიტიკის თეორეტიკოსები ხან „ოხლოკრატიას" (ბრბოს ბატონობას), ხან „პოპულიზმს", ხან კი „უმრავლესობის ტირანიას" უწოდებენ. პირველ რიგში, სწორედ კონსტიტუციონალიზმის ტრადიცია და პრაქტიკა ბოჭავს ხელისუფლებას, რომელიც არჩევნების მომენტისთვის ჩამოყალიბებული უმრავლესობის ნებას ემყარება. უმრავლესობის ნება კი ცვალებადია, ხანდახან – ირაციონალური, და რაღაც მომენტში შეიძლება მტრულად განწყობილი აღმოჩნდეს იმ ფუნდამენტური ღირებულებების ანუ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ, რისი დაცვაც ლიბერალური დემოკრატიის ძირითად სიკეთეს შეადგენს. საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ, სხვა ყველაფერთან ერთად, დაგვიტოვა კონსტიტუციური ნიჰილიზმი, ანუ წარმოდგენა იმაზე, რომ კონსტიტუცია „ფარატინა ქაღალდია", დეკლარაციული დოკუმენტია, რომელშიც შეიძლება ბევრი კარგი რამ ეწეროს, მაგრამ ეს ნაკლებ გავლენას ახდენს იმაზე, სინამდვილეში როგორ მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესები. შესაბამისად, პოლიტიკური სისტემის ხასიათი და მმართველობის მიერ საზოგადო სიკეთის წარმოება უფრო მეტად დამოკიდებულია ხელისუფლებაში მყოფი ლიდერების კეთილ ნებაზე, ვიდრე პოლიტიკური სისტემის აგებულებაზე ანუ კონსტიტუციაზე (არაქელიანი, ნოდია, 2005).

ექპერტს გიორგი მშვენიერაძეს მიჩნია, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, გაჩნდა შანსი, დაწყებულიყო სასამართლო სისტემის ძირეული რეფორმები, რომელიც გაზრდიდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. 2012 წლის არჩევნების შემდგომმა პირველმა თვეებმა გვაჩვენა, რომ სასამართლო არ იყო ახალი ხელისუფლების მორჩილი, მაგრამ მოსამართლეთა ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებლად მოქმედება და საკუთარ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღება უჭირდა, ახალ პატრონს ეძებდა... და ხელისუფლებამაც სხვა გზა აირჩია, არა სასამართლოს გათავისუფლების, არამედ დაპატრონების გზა. სასამართლო რეფორმის პირველი და მეორე ტალღისგან განსხვავებით, რომელიც სისტემის გაჯანსაღების ელემენტებს შეიცავდა, მესამე ტალღა უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, ჰქონდა ბევრი უარყოფითი შედეგი და, ფაქტობრივად, კლანთან გარიგების ნაყოფს წარმოადგენდა. ის კი, რასაც რეფორმის მეოთხე ტალღა ეწოდება, აშკარად, არა სასამართლო სფეროს საჭიროებებიდან მომდინარეობს, არამედ, პოლიტიკური ინტერესებიდან - ხელისუფლება ცდილობს მეგობრული სასამართლო შეინარჩუნოს (მშვენიერაძე, 2019).

სასამართლო სისტემის მიმართ ექსპერტების და არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებს იზიარებდა 2012 წლის არჩევნების შემდეგე ხელისუფლებაში მოსული მმართველი პარტია. საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით: *„სასამართლო სისტემა 2012*

წლამდე იყო უვარგისი, ადეიშვილი რასაც ეტყოდა, იმას აკეთებდნენ. იყო მილიონი ქეისი, ცუდი ქეისი და ახლა არ არის არც ერთი ქეისი და ეს რას ნიშნავს? ნიშნავს იმას, რომ შეიცვალა სისტემა შემადგენლობის ცვლილების გარეშე და ადამიანები, რომლებიც მასობრივად ჩადიოდნენ ცუდ რაღაცებს, ახლა ჩადიან კარგ რაღაცებს, ამაშია საქმე..." – ირაკლი კობახიძე, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავჯდომარე, 2019 წელი (ნერგაძე, 2019).

2012 წლის შემდეგ არსამთავრობო სექტორის კვლევები და შეფასებები საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული მდგომარეობის ანალიზის შესახებ, კორუფციის რისკების შესამცირებლად, ხელისუფლების მხრიდან ეფექტიანი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს. მართალია, ბოლო წლებში მართლმსაჯულების ხარისხის გარკვეული მაჩვენებლები გაუმჯობესდა, თუმცა, ამავდროულად, შეინიშნება საქმეთა მიუკერძოებლად გადაწყვეტაზე არასათანადო გავლენის შემაშფოთებელი ტენდენცია, განსაკუთრებით პოლიტიკურად სენსიტიურ გახმაურებულ საქმეებსა და მაღალი ღირებულების სამოქალაქო დავებში. ამ ტიპის საქმეებში არასათანადო გავლენის არსებობაზე სხვადასხვა გარემოებათა ერთობლიობა მიუთითებს, რამაც საზოგადოებაში გააჩინა ეჭვები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით - ეჭვები, რომლის გაქარწყლებაც სასამართლომ ვერ შეძლო. კვლევის ავტორების დასკვნით მოცემული გარემოებათა ერთობლიობა იკვეთება სასამართლო სისტემის მდგომარეობის სიღრმისეული კვლევიდან (შერმადინი, კახიძე, გვილავა, 2018).

2016 წლიდან პარტია „ქართულმა ოცნებამ" მართლმსაჯულების რეფორმის ორი ტალღა განახორციელა, თუმცა ხელისუფლების მიდგომა ძირითადად ფრაგმენტული და არათანმიმდევრული იყო. გარკვეულ შემთხვევებში რეფორმა მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო ჯგუფის ინტერესების გაძლიერებას ემსახურებოდა. *მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღა"* - 2016 წლის დეკემბერში პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „მესამე ტალღის" საკანონმდებლო პაკეტი. პარლამენტში კანონპროექტების ტექსტი მოულოდნელად და საჯარო განხილვის გარეშე რამდენჯერმე შეიცვალა. მათ შორის, საბოლოო რედაქციით აღარ იქნა გათვალისწინებული ცვლილებები, რომელთაც ვენეციის კომისია დადებითად აფასებდა (მაგ.: სასამართლოების თავმჯდომარეების არჩევის წესის შემოღება). პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო დაუდო და იგი მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს დაუბრუნა, თუმცა პარლამენტმა არ გაითვალისწინა პრეზიდენტის შენიშვნები და „მესამე ტალღის" ცვლილებები საბოლოოდ დაამტკიცა.

„მესამე ტალღის" საკანონმდებლო რეფორმის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა ხელისუფლების მიერ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის (საბჭოს მოსამართლე წევრები და მათდამი ლოიალურად განწყობილი მოსამართლეები) პოლიტიკური მხარდაჭერა, რის შედეგადაც საკანონმდებლო პაკეტიდან თავდაპირველად გათვალისწინებული არაერთი დადებითი ინიციატივა გაქრა და კრიტიკულად მნიშვნელოვანი რეფორმა გაჭიანურდა.

მართლმსაჯულების რეფორმის „მეოთხე ტალღა" - 2018 წლის იანვარში პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში მორიგი ცვლილებების განხილვა დაიწყო. „მეოთხე ტალღის" რეფორმაზე მუშაობის პროცესი იზოლირებულად, პროფესიული ჯგუფების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა, რაც უარყოფითად შეაფასა კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის". მოგვიანებით, 2018 წლის დეკემბრის მოვლენების შემდგომ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა „მეოთხე ტალღის" სამუშაო ჯგუფის არსებულ ფორმატში შესვლაზე უარი განაცხადეს. ამასთან, ჯგუფი დატოვეს საბჭოს არამოსამართლე წევრებმა ანა დოლიძემ და ნაზი ჯანეზაშვილმა, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა. *ნიშანდობლივია, რომ კანონპროექტის ავტორებს, კოალიციის მიერ დასახელებული საკითხების ნაწილის ასახვა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შემდეგ მაინც მოუხდათ. „მეოთხე ტალღის" რეფორმა საბოლოოდ 2019 წლის დეკემბრის ბოლოს დასრულდა.*

2016-2020 წლები სასამართლო სისტემის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე არასამთავრობო სექტორი საინტერესო დასკვნებს და მიგნებებს გვთავაზობს, რომელიც ცხადყოფს სასამართლო სისტემის მდომარეობას საქართველოში და იძლევა კაუზალური კავშირების დადგენის შესაძლებლობას სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპების შესახებ და იკვეთება კონტროლისა და ბალანსის სისტემის პრობლემები. სასამართლო სისტემაში განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც მათი სისტემურად გაანალიზებისა და სასამართლოში არსებული

მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მკვლევარების აზრით, განხორციელებულმა რეფორმებმა არ მოიცვა ის ფუნდამენტური საკითხები, რაც საბოლოოდ, უზრუნველყოფდა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას. ხელისუფლებამ ვერ გამოავლინა სასამართლო სისტემის სრულყოფილად და საფუძვლიანად რეფორმირების პოლიტიკური ნება. შესაბამისად, სასამართლო სისტემა კვლავ არ არის გათავისუფლებული არაჯანსაღი გავლენებისგან (საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო, 2020).

არასამთავრობო სექტორი 2016-2020 წლების სასამართლო სისტემის მდგომარეობების ანალიზის შედეგად ასკვნის:

- სასამართლო სისტემაზე წლების მანძილზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხელისუფლებამ დროთა განმავლობაში უარი თქვა, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შექმნის იდეაზე.
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის საბოლოო შედეგმა აჩვენა, რომ ხელისუფლების მიზანი უზენაესი სასამართლოს კეთილსინდისიერი და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება არ ყოფილა.
- კლანური მმართველობის გავლენა გაცდა საერთო სასამართლოების სისტემის ფარგლებს და საკონსტიტუციო სასამართლოშიც გადაინაცვლა.
- 2016-2020 წლებში მართმსაჯულების რეფორმის „ორი ტალღა“ და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა.
- მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და საჯაროობის გასაზრდელად.

პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, სასამართლო რეფორმის „ოთხი ტალღა“ განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმებს გარკვეული ნაწილი დადებით ინიციატივებს ითვალისწინებდა, ხელისუფლების მიდგომა ძირითადად ფრაგმენტული და არათანმიმდევრული იყო. გარკვეულ შემთხვევებში რეფორმა მხოლოდ და მხოლოდ გავლენიანი მოსამართლეების ვიწრო ჯგუფის ინტერესების გაძლიერებას ემსახურებოდა. სასამართლო სისტემაზე წლების მანძილზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხელისუფლებამ დროთა განმავლობაში უარი თქვა, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შექმნის იდეაზე. დღესდღეობით კი სასამართლოს ადმინისტრირება სრულად გავლენიან მოსამართლეთა ვიწრო ჯგუფის ხელშია, მოსამართლეთა ამ ჯგუფს დღეს ე.წ. კლანის სახელით მოიხსენიებენ. *სასამართლო რეფორმის ოთხი ტალღის მიუხედავად, სისტემაში კვლავ რჩება შემდეგი გამოწვევები* (საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო, 2020).

ამასთან, საქართველო ჰიბრიდული დემოკრატიების მქონე ქვეყნების ჯგუფში მოხვდა, რაც ნიშნავს იმას, რომ არჩევნები დემოკრატიული წესით ტარდება, თუმცა დემოკრატიული ინსტიტუტები სუსტია. Freedom House-ის 2018 წლის მორიგი ყოველწლიური ანგარიშის „დემოკრატიის ინდექსის კლება და არაფორმალური მმართველობის“ მიხედვით, რომელიც გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხის კვლევას ეხება, საუბარია ბიძინა ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობაზე და ქვეყანაში არსებულ ჰიბრიდულ დემოკრატიაზე. კვლევაში, სახელწოდებით „ლიბერალიზმის დაპირისპირება“, საქართველოზე თავს „არაფორმალური მმართველობა: კაცები ფარდებს მიღმა“ ეწოდება. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს 7-დან 4.68 ქულა აქვს (რითიც მე-19 ადგილს იკავებს და გარდამავალი ქვეყნების ჯგუფში რჩება). დემოკრატიის ინდექსი ბოლო 2 წლის მანძილზე 4.61 იყო. Freedom House-ის ყოველწლიურ ანგარიშში ქვეყნებში არსებული დემოკრატიები 1-დან 7 ქულამდე არიან შეფასებულები, სადაც საუკეთესო მაჩვენებელი 1-ია, ხოლო ყველაზე ცუდი - 7. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ბიძინა ივანიშვილი მართალია ფორმალურად არცერთ თანამდებობას არ იკავებს, თუმცა მისი გავლენა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე საკმაოდ მაღალია: „მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი პრემიერმინისტრობის თანამდებობიდან მოსვლიდან 1 წლის შემდეგ, 2013 წელს გადადგა, თუმცა ის კვლავ აკონტროლებს მმართველ პარტიას, ქართულ ოცნებას, რომელიც მისი კომპანიების თანამშრომლებით ჰყავს დაკომპლექტებული. ივანიშვილის პოლიტიკური ვენდეტები თბილისის განვითარების გეგმები ქართულ პოლიტიკას ბუნდოვანს ხდის“ (Freedom House, 2018).

პოლიტიკური მეცნიერი და ფილოსოფოსი, სტენფორდის უნივერსიტეტის დემოკრატიის, განვითარებისა და კანონის უზენაესობის ცენტრის (CDDRL) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ფრენსის ფუკუიამა საქართველოში არაფორმალური მმართველობის არსებობაზე საუბრობს. "საქართველომ დემოკრატიის განვითარების მიმართულებით ძალიან ბევრი რამ გააკეთა, თუმცა კიდევ აქვს გზა გასავლელი. ამ ქვეყანაში ძალაუფლება რეალურად იმ პირის ხელშია, ვინც არჩეული არ არის და ეს სიტუაცია არ წაადგება ნამდვილ დემოკრატიას. საჭიროა გამჭვირვალობა იმის თაობაზე, ვინ არის მთავარი პოლიტიკური აქტორი სისტემაში". ფრენსის ფუკუიამას აზრით, საქართველოს და უკრაინის მსგავს ქვეყნებში დემოკრატიის განვითარება აშშ-ის კონგრესში ორპარტიული მხარდაჭერით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რა პოზიცია აქვს პრეზიდენტ ტრამპს, რომელსაც "როგორც ჩანს, საკუთარი საგარეო პოლიტიკა გააჩნია" (ფუკუიამა, 2019).

2020 წლის 30 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო აქვეყნებს ოფიციალურ განცხადებას: აშშ-ის საელჩო იმედგაცრუებულია სასამართლო ხელისუფლების ნაჩქარევი გადაწყვეტილებით, გაემართა მოსამართლეების კონფერენცია დღეს, მნიშვნელოვანი ეროვნული არჩევნების ჩრდილქვეშ. გრძელვადიანი შედეგების მქონე გადაწყვეტილებების მიღება, ისეთი როგორიცაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვაკანტური პოზიციების შევსება, უნდა ხდებოდეს გააზრებულად, გამჭვირვალედ და საკმარისი დროის დათმობით, კონსულტაციებისა და კვალიფიციური კანდიდატების ფართო სპექტრის ჩართულობისთვის. ამ პროცესის დაჩქარება შეიცავს რისკს შეირყეს საზოგადოების ნდობა მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის, კანდიდატებისა და მოსამართლეების კონფერენციის მიმართ. დამოუკიდებელი და პროფესიონალური სასამართლო სისტემა, რომელსაც ხალხი ენდობა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამართლიანი და თანაბარი (ეკონომიკური) ზრდის ხელშესაწყობად, აგრეთვე, ქართული და უცხოური ბიზნესის მიერ ინვესტიციების მოსაზიდად. აუცილებელია, რომ სასამართლო ხელისუფლებამ ყველა ძირითად თანამდებობაზე შეარჩიოს გამოცდილი, პროფესიონალი და დამოუკიდებელი კანდიდატები, ასევე, მომავალში შერჩევის პროცესის უფრო მეტი გააზრებითა და შორსმჭვრეტელობით წარმართვა უზრუნველყოს (US Embassy Tbilisi, Georgia, 2020).

მიუხედავად გასული ათწლეულის მანძილზე, გატარებული პოზიტიური საკანონმდებლო და სამართლებრივი ცვლილებებისა, სასამართლო სისტემის სრულყოფილად და საფუძვლიანად რეფორმირების საკითხი ეჭვშ ქვეშ დგას ფორმალურად და რეალურად არსებულ სისტემებს შორის განსხვავების კუთხით. სასამართლო ხელისუფლებას აღმასრულებელი შტოს ზედამხედველობის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები გააჩნია, მიუხედავად ამისა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორში, უმეტესწილად, სასამართლო რეფორმის პროცესი ფასდება, როგორც ფრაგმენტული და არათანმიმდევრული, საუბარია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ნაკლებობაზე მართლმსაჯულების პოლიტიკურ მიკერძოებულობაზე, არაფორმალურ ზეგავლენებზე, ასევე, მოსამართლეების ვიწრო ჯგუფის ინტერესების გაძლიერებაზე და სასამართლო სფეროს საჭიროებების უგულვებელყოფაზე, შესაბამისად, სასამართლო არ განიხილება, როგორც სხვა სახელისუფლებო შტოების დაბალანსების და კონტროლის ფუნქციის განმახორციელებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არაქელიანი, ა., ნოდია, გ., (რედ.). (2005). *საკონსტიტუტიცო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტები და ხალხის ხმები*. თბილისი, CIPDD.
2. გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., (2015) *საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი*, მესამე გამოცემა. თბილისი. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.
3. გოგატიშვილი მ., (რედ.) (2008). *ფედერალისტი : ალექსანდრე ჰამილტონის, ჯეიმს მედისონისა და ჯონ ჯეის პოლიტიკური ესეები.* ფედერალისტური წერილები. თბილისი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-9017-3-7 გვ. 279.
4. მელქაძე, ო., (1996). *სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა*. წიგნი IV, თბ., გვ-ები. 41; 43.
5. მონტესკიე, შ.ლ., (1994). *კანონთა გონი*. თბილისი. გვ. 41.
6. ნერგაძე, ნ., (2019). *ვის ეკუთვნის საქართველო*. თბილისი. 2018, ღია საზოგადოების ფონდი.

7. ნოდია, გ., აფრასიძე, დ., (სამეცნიერო რედ.). (2013) *სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში*. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო., (23 ოქტომბერი 2020), *სასამართლო სისტემის მდგომარეობა 2016-2020 წლები*. მოძიებულია https://transparency.ge/ge/post/sasamartlo-sistemis-mdgomareoba-2016-2020-clebi?fbclid=IwAR0pxMaAaKNyKEY4XyQUrsk9DT44nunjfX20I5TlV8ALqbPo8g-ht2kZOus
9. ტაბულა, (11 აპრილი 2018). *დემოკრატიის ინდექსის კლება და არაფორმალური მმართველობა - Freedom House-ის ახალი კვლევა*. მოძიებულია https://www.tabula.ge/ge/story/131570-demokratiis-indeqsis-kleba-da-araformaluri-mmartveloba-freedom-house-is-axali-kvleva
10. ურიდია, ს., და სხვ. (შემდგ.). (2004) *მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა*. გურგენიძე, ვ., (რედ.). თბილისი. ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]
11. ცარციძე, დ., ბესელია, გ., ცუხიშვილი, ნ., ყალიჩავა, კ., (2017). *საჯარო მმართველობის კულტურა საქართველოში*. თბილისი, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი (IAS).
12. ჩიჩუა, ნ., (04 ნოემბერი 2019) *ფრენსის ფუკუიამა საქართველოში არაფორმალურ მმართველობაზე მიუთითებს*. მოძიებულია https://netgazeti.ge/news/403171/
13. შერმადინი, ო., კახიძე, თ., გვილავა გ., (2018). *კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში*. თბილისი, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო.
14. ჯაიანი, მ., (10 აპრილი 2019) *გიორგი მშვენიერაძე: „ჩვენ ვართ ძალიან პრინციპულები, მაგრამ არ ვართ დესტრუქციულები, როგორც ამის წარმოჩენას ხელისუფლება ცდილობს“*. მოძიებულია https://csogeorgia.org/ge/post/giorgi-mshvenieradze
15. US Embassy Tbilisi, Georgia, 2020

პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები დისტანციური მუშაობის პირობებში

Tamar Shudra
International Black Sea University, Georgia

შრომითი ურთიერთობების დისტანციური ფორმით წარმართვა ჯერ კიდევ Covid-19 პანდემიის დაწყებამდე გახდა აქტუალური. პანდემიამ, თავის მხრივ დააჩქარა აღნიშნული პროცესი და დღევანდელი მდგომარეობით ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი დროებით, ხოლო ზოგიერთი მათგანი - მუდმივად გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. დისტანციური მუშაობის სტილმა გამოავლინა არაერთი უპირატესობა (მოქნილი სამუშაო დრო და გარემო, დასაქმებულთა გაზრდილი პროდუქტიულობა, ორგანიზაციის შემცირებული ხარჯი და გაზრდილი მოგების მაჩვენებელი და სხვ.) თუმცა ამავდროულად პერსონალური მონაცემების დაცულობის კუთხით შექმნა ახალი გამოწვევები და გაამრავალფეროვნა არადისტანციური მუშაობის პროცესში დამმუშავებლის მიერ იდენტიფიცირებული რისკები. შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებლებს გაუჩნდათ ახალი ვალდებულებები, რათა უზრუნველყონ შრომითი ურთიერთობების დისტანციური ფორმით განხორციელების პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვა. კვლევა მიზნად ისახავს დისტანციური მუშაობის პროცესში პერსონალური მონაცემების დაცულობის ჭრილში, განსაზღვროს მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებები, წარმოაჩინოს მათი შესრულების მექანიზმები და მოახდინოს მათი შეფასება როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მოწესრიგების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემები, დისტანციური მუშაობა, შრომითი ურთიერთობები, მონაცემთა უსაფრთხოება.

Personal Data Protection Issues in the Context of Remote Working

The paradigm shift toward remote working began even before the COVID-19 pandemic broke out. Pandemia, from its part accelerated the process. For today, vast majority of the organizations work remotely temporarly, while some organizations have made the remote work even permanent. Remote working has revealed several benefits (flexible working time and place, increased productivity of the employees, reduced expenses and inscreased profitability on the side of the company and etc.). Herewith, it has created new challenges in terms of personal data protection and diversified the risks observed by the employer. Consequently, new obligations are lying on data controllers for ensuring personal data protection within the remote working context. The research aims at defining the obligations of data controller created in the context of remote working, define the mechanisms for being complaint with these obligations and evaluate them in the national and international context.

Key words: Personal data, remote work,labour relations, data security

1. შესავალი

შრომითი ურთიერთობების დისტანციური ფორმით წარმართვა ჯერ კიდევ Covid-19-ის დაწყებამდე გახდა აქტუალური[1]. პანდემიამ[2], თავის მხრივ დააჩქარა აღნიშნული პროცესი და დღევანდელი მდგომარეობით განიზაციების უმეტესი ნაწილი დროებით, ხოლო ზოგიერთი მათგანი მუდმივად გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე[3].

დისტანციური მუშაობის სტილმა გამოავლინა არაერთი უპირატესობა (მოქნილი სამუშაო დრო და გარემო, დასაქმებულთა გაზრდილი პროდუქტიულობა, ორგანიზაციის შემცირებული ხარჯი და გაზრდილი

1 2018 წლის Forbes მონაცემებით, აშშ-ს სამუშაო ძალის 50 % გეგმავს, რომ იმუშაოს დისტანციურად. Eurostat-ის 2018 წლის მონაცემებით, ბოლო ათწლეულში დისტანციურად მომუშავე დასაქმებულთა რაოდენობა ევროპის კავშირში 7.7 პროცენტიდან 9.8-მდე გაიზარდა (დაწვრილებით იხ. : <https://www.wework.com/ideas/worklife/benefits-of-working-remotely>).

2 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (Covid – 19) პანდემიად გამოაცხადა. დეტალებისათვის იხ: <https://www.who.int/>.

3 კომპანიებმა Shopify და Twitter 2020 წლის მაისში განაცხადეს, რომ პანდემიის აღმოფხვრის შემთხვევაშიც დისტანციური მუშაობის ფორმატით გაგრძელებდნენ შრომით ურთიერთობებს (იხ: <https://gdpr.eu/working-remotely-data-security>).

მოგების მაჩვენებელი და სხვ.).[4] თუმცა, ამავდროულად პერსონალური მონაცემების დაცულობის კუთხით შექმნა ახალი გამოწვევები და გაზარდა არადისტანციური მუშაობის პროცესში დამმუშავებლის მიერ იდენტიფიცირებული რისკები.

შრომითი ვალდებულებების შესრულების პროცესში, როგორც დამსაქმებელს, ასევე დასაქმებულს სხვადასხვა ტიპის პერსონალურ მონაცემებთან აქვთ შეხება. დამსაქმებლის მხრიდან ეს შესაძლებელია იყოს როგორც თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების, ასევე, კომპანიის კონტრაჰენტი ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემები, ხოლო დასაქმებულის მხრიდან - სხვა დასაქმებულებისა და კომპანიის მომხმარებლების (კლიენტების) პერსონალური მონაცემები. პერსონალური მონაცემების დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე დამმუშავებელმა (რომელიც შესაძლოა იყოს როგორც დამსაქმებელი, ასევე დასაქმებული[5]), უნდა დაიცვას ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით[6] (შემდგომში ,,კანონი") დადგენილი ვალდებულებები. თუმცა, განსხვავებით არა დისტანციური მუშაობისაგან, როდესაც შრომითი ურთიერთობები, როგორც წესი, ორგანიზაციის ტერიტორიაზე ხორციელდება, დისტანციური მუშაობის დროს სამუშაოს შესრულების ადგილი ცვალებადია და ხშირად დამოკიდებულია დასაქმებულის პირად სურვილზე, სამუშაო შეასრულოს ამა თუ იმ ადგილას. შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დანერგილი პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომლებიც მიესადაგებოდა ორგანიზაციის ტერიტორიაზე სამუშაოს შესრულების პროცესში მონაცემების დაცვას, შესაძლოა აღარ იყოს ეფექტური დისტანციური მუშაობის პროცესში. შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებლებს გაუჩნდათ ახალი ვალდებულებები, რათა შრომითი ურთიერთობების დისტანციური ფორმით განხორციელების პროცესში, ჯეროვნად შეასრულონ მათზე დაკისრებული პერსონალური მონაცემების დაცვის საკანონმდებლო ვალდებულება.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს დისტანციური მუშაობის პროცესში პერსონალური მონაცემების დაცულობის ჭრილში, განსაზღვროს მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებები, წარმოაჩინოს მათი შესრულების მექანიზმები და მოახდინოს მათი შეფასება როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მოწესრიგების კონტექსტში.

2. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვის საკანონმდებლო ვალდებულების შესრულებისა და დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობის კონტროლის უზრუნველსაყოფად დამსაქმებლის მიერ გატარებული კონტროლის მექანიზმები

პერსონალური მონაცემების დაცვის უსაფრთხოების ვალდებულებას დამმუშავებელს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი აკისრებს.[7] ანალოგიური ვალდებულება არის დადგენილი „პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის №108 კონვენციის (შემდგომში ,,კონვენცია") მე-7 მუხლით.[8] ორივე ნორმა ზოგადი

4 ამ მიმართულებით განხორციელდა არაერთი კვლევა და განისაზღვრა დისტანციური მუშაობის უპირატესობები სხვადასხვა სეგმენტისათვის (მაგ. იხ. <https://www.forbes.com/sites/laurelfarrer/2020/02/12/top-5-benefits-of-remote-work-for-companies/#21eaa12c16c8>).

5 თუ დასაქმებული თავისი სამსახურეობრივი უფლებამოსილების გარეთ იყენებს სხვა დასაქმებულთა/ორგანიზაციის კლიენტთა პერსონალურ მონაცემებს, ის დამოუკიდებელ დამმუშავებლად მოაზრება. დაწვრილებით იხ.: 29-ე სამუშაო ჯგუფის (შემდგომში "WP29") მოსაზრება "Opinion 1/2010 on the concepts of "controller" and "processor"", 00264/10/EN, WP 169, p. 32 ხელმისაწვდომია <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2010/wp169_en.pdf > .

WP29 წარმოადგენს ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ასეთი ტიპის მონაცემთა თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებით ინდივიდების დაცვის თაობაზე 95/46/EC დირექტივის 29-ე მუხლის საფუძველზე შექმნილ დამოუკიდებელ სამუშაო ჯგუფს, რომელიც 2018 წლის 25 მაისამდე (მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციის ამოქმედებამდე) გამოსცემდა მოსაზრებებს, რჩევებს აძლევდა ევროპის საბჭოს და ახდენდა დირექტივით მოწესრიგებული ცალკეული საკითხების განმარტებას. მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციის ამოქმედების შემდეგ, WP29 ჩაანაცვლა მონაცემთა დაცვის საბჭომ (European Data Prorection Board - EDPB), რომელმაც თავის მხრივ გაანახლა WP29-ს ზოგიერთი მოსაზრება.

6 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, ვებგვერდი, 16/01/2012, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/1561437?publication=22>.

7 ,,1. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან".

8 ,,ავტომატიზირებულ ფაილებში შენახული მონაცემების დაცვის მიზნით, მიღებულ უნდა იქნას უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი შემთხვევითი თუ არასანქცირებული დარღვევის, შემთხვევითი დაკარგვის, ასევე მათთან არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ." რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 28 ოქტომბრის N 2010 - IIს დადგენილებით, საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან. რატიფიცირების აქტი ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/43414?publication=0, კონვენციის ქართულენოვანი ტექსტი ხელმისაწვდომია: <https://police.ge/files/%.pdf>

ფორმულირებით ადგენს დაცვის სტანდარტს და დამმუშავებელს ანიჭებს დისკრეციას, დამუშავების ხასიათიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს დაცვის კონკრეტული მექანიზმები.[9]

ეროვნული კანონმდებლობით დაკისრებული მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ვალდებულების არსებობის პარალელურად, ქართველ დამმუშავებელზე შესაძლოა ასევე გავრცელდეს მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციით (შემდგომში ,,ევროპული რეგულაცია“), დადგენილი მოწესრიგება.[10] ევროპული რეგულაცია ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალ სტანდარტს და მოითხოვს, რომ პერსონალური მონაცემები დაცული იყოს როგორც გადაცემისა და მასზე მუშაობის, ასევე შენახვის კონდიციაშიც - ,,უახლესი ტექნოლოგიების, განხორციელების ხარჯების, დამუშავების ხასიათის, მოცულობის, კონტექსტისა და მიზნების, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის სავარაუდო რისკების გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა უნდა მიიღონ სავარაუდო რისკების შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“.[11]

დისტანციური მუშაობის ფორმის დანერგვამდე, კომპანიის მონაცემები ერთ ადგილას იყო განთავსებული (როგორც წესი ორგანიზაციის მიერ კონტროლირებულ ფიზიკურ ან ვირტუალურ ტერიტორიაზე).[12] შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ გატარებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები ითვალისწინებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე მონაცემების დაცვას.

დისტანციური მუშაობის დროს კი დასაქმებულებს ელექტრონულ ფორმით დამუშავებულ მონაცემების ნაწილზე წვდომა აქვთ არასამუშაო სივრციდან (სახლი, საერთო სარგებლობის სივრცეები (კაფე, ბიბლიოთეკა, პარკი და ა.შ.), ნაწილი გატანილი აქვთ ტექნიკური მოწყობილობის გამოყენებით (ლეპტოპი, USB ბარათი), ასევე მატერიალური ფორმით დაცული მონაცემები (საქაღალდეები, დოკუმენტები) ფიზიკურად გატანილი აქვთ დამსაქმებლის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან.[13]

შესაბამისად, ორივე ტიპის ინფორმაციის მიმართ (როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით დაცული) გაიზარდა დაკარგვის/დაზიანების/არასანქცირებული წვდომის რისკები და დამსაქმებელს გაუჩნდა საჭიროება დანერგოს დამატებითი დაცვითი მექანიზმები (ან გაანახლოს არსებული) პერსონალური მონაცემების დაცვის საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.მონაცემთა დაცვის უსაფრთხოებაზე ზრუნვის ვალდებულების პარალელურად, დისტანციური მუშაობის პირობებში დამსაქმებელს დამატებით უწევს დანერგოს და გაატაროს კონტროლის მექანიზმები დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობის კონტროლის მიზნით. არადისტანციური მუშაობის ფორმატშიც კი, როდესაც დასაქმებულის მიერ სამუშაო დამსაქმებლის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ხორციელდება, დასაქმებულთა შრომის ნაყოფირება საკმაოდ დაბალია[14] - მსოფლიო მასშტაბით დასაქმებულთა მხოლოდ 15% არის მოტივირებული იმუშაოს ნაყოფიერად[15] და კვლევებით დადგენილია, რომ სამუშაო კვირიდან 8 საათს დასაქმებულები არასამსახურეობრივი მიზნით

9 მეტი დეტალიზაციით ხასიათდება კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი (ე.წ. 108+ კონვენცია). მისი მიღება განხორციელდა ევროპის მინისტრთა საბჭოს 128-ე სესიაზე, 2018 წლის 18 მაისს. საქართველოს მხრიდან მიმდინარე წლებში იგეგმება მისი რატიფიკაციის პროცესი. დაწვრილებით იხ.: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/223/signatures>. მოდერნიზებული კონვენციის სრული ტექსტი იხ: <https://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014_2019/plmrep/COMMITTEES/LIBE/DV/2018/09-10/Convention_108_EN.pdf>.

10 General Data Protection Regulation (GDPR). ქართულენოვანი ტექსტი ხელმისაწვდომია: <https://personaldata.ge/ka/legislation>. მართალია, რეგულაციის მოქმედების სფერო ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებით (არაწევრ ქვეყნებზე რეგულაციის გავრცელების შესახებ იხ. რეგულაციის მე-3 მუხლის 3.2 პუნქტი), თუმცა საქართველოს მიერ 2014 წელს პარაფირებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველომ იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვა ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად (შეთანხმების ქართულენოვანი ტექსტი ხელმისაწვდომია: <http://www.mfa.gov.ge//Association-Agreement.aspx>. ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-14 მუხლი მითითებას ახდენს, ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ასეთი ტიპის მონაცემთა თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებით ინდივიდების დაცვის თაობაზე 95/46/EC დირექტივით გათვალისწინებულ დაცვის სტანდარტებზე, თუმცა 2016 წელს მიღებულმა მონაცემთა დაცვის ევროპულმა რეგულაციამ ჩაანაცვლა 95/46/EC დირექტივა და დირექტივაზე მითითება ჩაითვალა როგორც რეგულაციაზე მითითება (მე-9 თავის, მე-2 პუნქტი).

11 ევროპული რეგულაციის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი.

12 ,,ღრუბლოვანი ტექნოლოგიების“ როლზე და კომპანიების მიერ მათი გამოყენების სიხშირეზე დაწვრილებით იხ.: Techjury, Heavenly Cloud Computing Statistics for 2020, June 30, 2020. ხელმისაწვდომია: < https://techjury.net/blog/cloud-computing-statistics/#gref>.

13 2014 წლის კვლევის მიხედვით, სტატისტიკურად 12 000 მომხმარებლის მონაცემი იკარგება თითო ორგანიზაციიდან USB ბარათის დაკარგვის გამო. დაწვრილებით იხ.: Taking Care of Business: When USB flash drives go missing, September 8, 2014, ხელმისაწვდომია: <https://www.trucknews.com/features/taking-care-business-usb-flash-drives-go-missing/#:~:text=Statistically%2C%20an%20average%20of%2012%2C000,due%20to%20missing%20USB%20drives>.

2018 წელს ტექნოლოგიური კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, ლეპტოპს იპარავენ ყოველ 53 წამში. დაწვრილებით იხ:. 7 Shocking Statistics That Prove Just How Important Laptop Security Is ხელმისაწვდომია: https://securityboulevard.com/2018/09/7-shocking-statistics-that-prove-just-how-important-laptop-security-is/>.

14 SMARP, Employee Engagement Statistics You Need to Know in 2020, Aug 11, 2020, ხელმისაწვდომია: < https://blog.smarp.com/employee-engagement-8-statistics-you-need-to-know>

15 აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს მრავალი ფაქტორით (მათ შორის თანამშრომლის სიზარმაცე, მოტივაციის ნაკლებობა და ა.შ).

იყენებენ.[16] ამის ფონზე, ლოგიკურია, დამსაქმებლის სურვილი დანერგოს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომელიც მაქსიმალურად ეფექტიანად გააკონტროლებს დასაქმებულთა მიერ დისტანციური მუშაობის პირობებში სამუშაოს შესრულებას, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მის სამეწარმეო ინტერესებთან.[17]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებლები მიმართავენ სხვადასხვა ხერხს (მათ შორის იყენებენ სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფებს) დასაქმებულთა ქცევის კონტროლის მიზნით. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, აღნიშნული მექანიზმები მრავალრიცხოვანია. შედარებით გავრცელებული მექანიზმების სანიმუშო ჩამონათვალი არის: დასაქმებულებისათვის Web-კამერის და მიკროფონის მუდმივად ჩართულ რეჟიმში ყოფნის მოთხოვნა და მაკონტროლებელი პროგრამული უზრუნველყოფების გამოყენება (კლავიატურის და მაუსის მუშაობის ჩაწერა,[18] „ცოცხალი" ეკრანი,[19] ინტერნეტ-ნახვების ისტორიის კონტროლი[20]).[21]

შესაძლოა, ზემოაღნიშნული მექანიზმები უდავოდ ეფექტური იყოს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად, თუმცა დისტანციური მუშაობის პირობებში დასაქმებულის პირადი და სამსახურეობრივი ცხოვრება ურთიერთდაკავშირებულია და ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დასაქმებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და ამ ჭრილში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს.

3. დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დაცვა სამუშაო ადგილზე პირადი ცხოვრების უფლების ხელშეუხებლობის კონტექსტში

შრომითი ურთიერთობის განხორციელების პროცესში, დამსაქმებელი დასაქმებულის არაერთ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს.[22] აღნიშნული პერსონალური მონაცემებიდან ზოგი მათგანი არ განეკუთვნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სიკეთეებს (მაგ. საბანკო ანგარიშის ნომერი, პირადი ნომერი), თუმცა მათი დიდი ნაწილი ამავდროულად არის დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ურთიერთგადამკვეთია სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვასთან (თუმცა ისინი არ არის იდენტური და არც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მოიცავს მოიცავს პერსონალურ მონაცემებს). არსებობს საკითხები, რომლებიც განეკუთვნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, თუმცა არ უკავშირდება პერსონალურ მონაცემებს და პირიქით - შესაძლოა პერსონალური მონაცემის შემცველი ინფორმაცია არ იყოს დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით.[23]

პირადი ცხოვრების უფლების მნიშნელობას და მისი დაცვის ღირსი ინტერესის არსებობა არაერთი სამეცნიერო ნაშრომითა[24] და სასამართლო პრაქტიკით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა

16 Perkins O., Employees spend 8 hours of workweek on non-work activities: OfficeTeam, Updated Jan 11, 2019; Posted Aug 03, 2017. ხელმისაწვდომია: <https://www.cleveland.com/business/2017/08/employees_spend_8_hours_of_wor.html>.

17 დაწვრილებით იხ: Naz Beheshti, Timely Statistics About The Connection Between Employee Engagement And Wellness, Jan 16, 2019, ხელმისაწვდომია: <https://www.forbes.com/sites/nazbeheshti/2019/01/16/10-timely-statistics-about-the-connection-between-employee-engagement-and-wellness/#72010c6a22a0>.

18 Key Stroke Recording, Mouse Tracking.

19 Live Dekstop.

20 Browsing History Tracking.

21 დაწვრილებით იხ:. Drew Harwell, Managers turn to surveillance software, always-on webcams to ensure employees are (really) working from home, April 30, 2020. ხელმისაწვდომიას: <https://www.washingtonpost.com/technology/2020/04/30/work-from-home-surveillance/>.

22 შრომითი ურთიერთობების ჭრილში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ იხ. გოშაძე კ., „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების იმპლემენტირება შრომით ურთიერთობებში", შრომის სამართალი, სტატიათა კრებული 3, 2014, 26-48. ხელმისაწვდომია: <https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Labour%20Law%20III.pdf>.

23 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების ურთიერთკავშირზე დეტალურად იხ.: საგინაშვილი ნ. „პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა", ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული (რედ. კონსტანტინე კორკელია), 2015, 166-191. ხელმისაწვდომია: <http://ewmi-prolog.org/images/files/7110HRStandardsImpact.pdf>; EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation, 2014. P. 2 ხელმისაწვდომია: https://edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/speeches-articles/eu-data-protection-law-review-directive_en>; Handbook on European data protection law, European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, 2018, p.20. ხელმისაწვდომია:< https://fra.europa.eu/en/publication/2018/handbook-european-data-protection-law-2018-edition>.

24 Warren & Brandeis, The Right to Privacy , Harvard Law Review, 5, 1890. ხელმისაწვდომია: <https://groups.csail.mit.edu/mac/classes/6.805/articles/privacy/Privacy_brand_warr2.html>. იხ. აგრეთვე გოშაძე კ,. „პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები", დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს უნივერსიტეტი, გვ. 15-22. ხელმისაწვდომია: <https://ug.edu.ge/storage/disertations/October2019/aphXDQORyFTckThCy0tb.pdf>.

და მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები,[25] ეროვნული სასამართლო პრაქტიკა)[26] არის დადასტურებული. ასევე სასამართლო პრაქტიკით დადგენილია,[27] რომ პირი პირადი ცხოვრების დაცვის უფლებით სამუშაო ადგილზეც სარგებლობს. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეხებლობის უფლების ქვეშ „მოხვედრილი" პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს, დამსაქმებელს გაზრდილი პასუხიმგებლობა აქვს, რათა იგი დასაქმებულისათვის ყველაზე სენსიტურ სფეროს ეხება.[28]

დისტანციური მუშაობის დროს დამსაქმებელი, ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში[29] პირდაპირ ან ირიბად ერევა დასაქმებულის პირად ცხოვრებაში და შესაძლოა არამიზნობრივად დაამუშავოს როგორც დასაქმებულის, ასევე მისი ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემები. არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, დასაქმებულთა დიდი ნაწილს არ აქვთ სახლში იზოლირებული სამუშაო სივრცე,[30] ასევე დასაქმებულები, როგორც წესი, დისტანციური მუშაობის დროს იყენებენ პირად პერსონალურ კომპიუტერს, რომელიც ხშირად საერთო/საზიარო სხვა ოჯახის წევრებისათვისაც.

შესაბამისად, ჩართული კამერის/მიკროფონის მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელს აქვს წვდომა დასაქმებულის ოჯახის წევრების გამოსახულებაზე და ხმაზე; კლავიატურის და მაუსის მუშაობის ჩაწერის, ასევე ინტერნეტ-ნახვების ისტორიის კონტროლის შემთხვევაში შესაძლოა ხედვა ჰქონდეს ისეთი ტიპის ინფორმაციაზე, რომელიც განეკუთვნება დასაქმებულის ან მისი ოჯახის წევრის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს.[31]

„სამუშაო ადგილზე მონაცემთა დამუშავების შესახებ" 29-ე სამუშაო ჯგუფის[32] რეკომენდაციის მიხედვით, ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმების გამოყენება არაპროპორციულია, ხოლო დამმუშავებლის მიერ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებიდან კანონიერი ინტერესის გამოყენება[33] ნაკლებად შესაბამისია, მით უფრო რომ დისტანციური მუშაობის პირობებში ზღვარი საქმიან და პირად ცხოვრებას შორის რთულად გასავლებია.[34]

4. რეკომენდაციები

დისტანციური მუშაობის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხიმგებელმა საზედამხედველო ორგანოებმა[35] (მათ შორის ეროვნულმა

25 სასამართლო გადაწყვეტილებების სრული ნუსხა იხ. თავისუფლების ინსტიტუტი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2005, გვ.68-175. ხელმისაწვდომია: <https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/ aae.pdf>.

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1. „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (30.10.2008, #2/3/406.408) ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/ge/const_court_23406408>; 2. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (26.12.2007, # N1/3/407) ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1996918?publication=0>; 3. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (24.10.2007, #1/2/519) ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/files/news/gamocemebi2012-2013/.pdf>.

27 ნიმეცი გერმანიის წინააღმდეგ, 1992, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/rus#{%22itemid%22:[%22001-57887%22]>, ჰალფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1997, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/tur#{%22itemid%22:[%22001-58039%22]}>.

28 „ფიზიკური პირისთვის უფლება პირადი ცხოვრებაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და სხვა უფლებებთან ერთად ქმნის ინდივიდის ინტერესების განხორციელების ერთ-ერთ მტკიცე წინაპირობას. იმ შემთხვევაში თუ პირის პირადი სივრცე მუდმივ დარღვევას განიცდის, ინდივიდი ვერ ცხოვრობს მშვიდი და თავისუფალი ცხოვრებით. შესაბამისად, პირადი ცხოვრების დაცვა მნიშვნელოვანია ინდივიდის უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველსაყოფად (Benedek (ed.)/ბენედეკი (რედ.), 2012, გვ. 359)." ციტირებულია: გოშაძე კ.. „პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები", გვ. 41.

29 იხ. თავი 2 - „დამსაქმებლის მიერ გატარებული კონტროლის მექანიზმები პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვის საკანონმდებლო ვალდებულების შესრულებისა და დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობის კონტროლის უზრუნველსაყოფად".

30 საქართველოში საცხოვრებელი ფართის სიმცირის შესახებ, 2009-2017 წლების სტატისტიკური ინფორმაცია იხ.: „საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევა", საქართველოში მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მეხუთე ეტაპი 2017 წ. ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი, 22 ოქტომბერი, 2018, გვ. 80-82. ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/georgia/media/1261/file/WMS%20-%20GEO%20-%202017.pdf>.

31 მაგ. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების შესახებ ინფორმაცია.

32 29-ე სამუშაო ჯგუფის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. სქოლიო 5.

33 „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;" კანონის მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტი. კანონიერი ინტერესის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების პროცედურებისა და გასატარებელი მექანიზმების შესახებ, იხ. 29-ე სამუშაო ჯგუფის რეკომენდაცია " 06/2014 on the notion of legitimate interests of the data controller under Article 7 of Directive 95/46/EC", 844/14/EN, WP 217." ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2014/wp217_en.pdf>.

34 Opinion 2/2017 on data processing at work, 17/EN, WP 249, p.16. ხელმისაწვდომია: < https://ec.europa.eu/newsroom/article29/item-detail.cfm?item_id=610169>.

35„პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით" ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2011 წლის 8 ნოემბრის ოქმით, ხელმომწერ სახელმწიფოებს დაევალათ გამოეყოთ ერთ ან რამდენიმე ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა დაეცვა ყველა შიდასაკანონმდებლო მოთხოვნა, პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით (ოქმის პირველი მუხლის პირველი

საზედამხედველო ორგანომ)[36] გამოსცეს რეკომენდაციები.[37] ასევე, პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებმა, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისწვდომი გახადეს იმ სამართლებრივი და ტექნიკური ბერკეტების ჩამონათვალი, რომელთა დანერგვაც დამსაქმებელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისად მოქმედების საშუალებას მისცემს.[38]

რეკომენდაციებში, ყველაზე გავრცელებული ღონისძიებები შესაძლოა დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად - მენეჯერული ხასიათის ღონისძიებები და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები.

მენეჯერული ხასიათის ღონისძიებებია: დისტანციური მუშაობის კუთხით კონფიდენციალობის პოლიტიკის შემუშავება/არსებული პოლიტიკის დოკუმენტის განახლება, ახალი რისკების იდენტიფიცირება და პრევენციული ღონისძიებების დანერგვა, თანამშრომელთათვის ტრენინგის გატარება და მათი (დასაქმებულების) მხრიდან გასატარებელი ღონისძიებების გაცნობა.

ტექნიკური ხასიათის ღონისძიებებია: დაცული პროტოკოლების გამოყენება;[39] სამსახურის შიდა ელექტრონულ რესურსებთან წვდომისას დაშიფრული VPN კავშირის საშუალებების გამოყენება;[40] ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის მექანიზმების გამოყენება;[41] წვდომის ლოგების[42] კონტროლი; მონაცემების სარეზერვო ასლების[43] გაკეთება ან მნიშვნელოვანი დოკუმენტების და მონაცემების დამსაქმებლის სერვერზე შენახვა; შესაძლებლობის შემთხვევაში, თანამშრომელთათვის კომპანიის კომპიუტერის დროებით სარგებლობაში გადაცემა;[44] დასაქმებულის მიერ სამსახურეობრივი მიზნებით პირადი კომპიუტერის გამოყენების შემთხვევაში, პირადი და სამსახურეობრივი საქაღალდეების განცალკევების მოთხოვნა, ასევე firewall-ებისა და ანტივისრუსების დაყენება თანამშრომელთა პირად კომპიუტერებზე.

ასევე, დისტანციური მუშაობის პირობებში თანამშრომელთა შრომის ნაყოფირების კონტროლის მიზნით, დამსაქმებელმა შესაძლოა დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც არ ლახავს დასაქმებულთა პირადი ცხოვრების უფლებასა და ამ ჭრილში იცავს მათ პერსონალურ მონაცემებს (ფიქსირებული სამუშაო დროის განსაზღვრა, რა პერიოდშიც დასაქმებული უნდა იყოს ხელმისაწვდომი, შესრულებული სამუშაოს რეგულარული ანგარიშგების სისტემის შექმნა, ფიქსირებულ დროს ონლაინ შეხვედრების ჩატარება და სხვ.). [45]

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულების პარალელურად, უცვლელი რჩება დამსაქმებლის ვალდებულება, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას დაიცვას მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები[46] - დამუშავების ყველა ეტაპზე დამმუშავებელს უნდა ჰქონდეს დამუშავების საფუძველი[47] და ასევე დაცული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული ყველა პრინციპი.

პუნქტი). დამატებითი ოქმი რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 ივლისის N 871-რს დადგენილებით. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2352161?publication=0>.

36 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია „COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით", გვ.5-7, ხელმისაწვდომია: <https://personaldata.ge/cdn/2020/04/COVID-19.pdf>.

37 იხ. საფრანგეთის საზედამხედველო ორგანოს (CNIL) გზამკვლევი (01.04.2020). ფრანგულენოვანი ვერსია ხელმისაწვდომია: <https://www.dataguidance.com/news/france-cnil-issues-guidelines-remote-working>, გაერთიანებული სამეფოს საზედამხედველო ორგანოს (ICO) რეკომენდაციები და „Checklist"-ები დამსაქმებლისათვის იხ.: <https://ico.org.uk/for-organisations/working-from-home/>; ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისიის გზამკვლევი „გზამკვლევი დამმუშავებლებისათვის მონაცემთა უსაფრთოების დასაცავად". ხელმისაწვდომია: <https://www.dataprotection.ie/sites/default/files/uploads/2020-02/Data%20Security%20Guidance_Feb20.pdf >

38 GDPR.EU, Data Protection and Working Remotely, ხელმისაწვდოომია: <https://gdpr.eu/working-remotely-data-security/#:~:text=Your%20employees%20should%20even%20use,being%20a%20massive%20data%20breach>.

39 დაცული პროტოკოლების გავრცელებული მაგალითებია: Https, *SFTP. დაცული პროტოკოლების ყველაზე გავრცელებული სახეები იხ:* Kath H., What Are the Top File Transfer Protocols?Go Anyware, A Help System Solution. ხელმისაწვდომია: <https://www.goanywhere.com/blog/what-are-the-top-file-transfer-protocols>.

40 ვირტუალური კერძო კავშირი (Virtual Private Network). დაწვრილებით იხ.: <https://en.wikipedia.org/wiki/Virtual_private_network>

41 მომხმარებლის სახელთან ერთად, პაროლი და დამატებითი ერთჯერად კოდი.

42 Acess logs.

43 Back-ups.

44 აღნიშნული ღონისძიება მიიჩნევა ყველაზე ეფექტურად მონაცემთა უსაფრთოების დაცვის რისკების მინიმიზაციის კუთხით, თუმცა ამავდროულად, დამსაქმებლისათვის ყველაზე ძვირადღირებულ მექანიზმად. დაწრილებით იხ.: "Bring your own device – what should we consider?" Information Commissioner Office (ICO), ხელმისაწვდომია: <https://ico.org.uk/for-organisations/working-from-home/bring-your-own-device-what-should-we-consider/>.

45 დაწვრილებით იხ.: COVID-19 Update: The "New Normal" – Facilitating Work-from-Home Arrangements, April 07, 2020, ხელმისწავდომია: <https://www.mccarthy.ca/en/insights/blogs/canadian-employer-advisor/covid-19-update-new-normal-facilitating-work-home-arrangements>.

46 კანონის მე-4 და მე-5 მუხლები.

47 დამუშავების ყოველი ეტაპისათვის, შერჩეული უნდა იყოს ყველაზე შესაბამისი საფუძველი. როგორც წესი, ყველა დამუშავებას აქვს ერთი, „ყველაზე შესაბამისი" საფუძველი. დაწვრილებით იხ: Opinion 06/2014 on the notion of legitimate interests of the data controller under Article 7 of Directive 95/46/EC", 844/14/EN, WP 217.

ამასთან, მონაცემების დამუშავების ყველა ეტაპზე, მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის ფაქტორის გათვალისწინებაც. მართალია, კანონის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს გამჭვირვალობას, როგორც დამუშავების დამოუკიდებელ პრინციპს, თუმცა იგი გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ 1980 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის[48] (OECD) გზამკვლევით „პირადი ცხოვრების დაცვისა მონაცემთა გადაცემის შესახებ,"[49] რომელიც წარმოადგენდა პირველ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპებს.[50] გზამკვლევის მიერ განსაზღვრული პრინციპებს შორის ერთ-ერთი იყო ღიაობის (გამჭვირვალობის) პრინციპი.[51] გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას დამმუშავებელს ასევე ავალდებულებს მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციაც.[52]

2019 წელს მაისში, საქართველოს პარლამენტის წევრების[53] ინიციატივით პარლამენტში წარდგენილი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტით[54] (შემდგომში „კანონპროექტი") გათვალისწინებულია დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის მხრიდან პერსონალური მონაცემების გამჭვირვალედ დამუშავების ვალდებულება.[55]

დამმუშავებლის მხრიდან პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, გაჭვირვალობის ვალდებულების დაცვა მოიცავს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას, დამუშავების სამართლიანად და კანონიერად განხორციელების შესახებ და მონაცემთა სუბიეტის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელების შესაძლებლობის მიცემა დამმუშავებლის მიერ.[56]

დისტანციური მუშაობის პირობებში, გამჭვირვალობის ელემენტის გამოყენება უმნიშველოვანესია - ამ დროს დასაქმებული იმყოფება არასამსახურეობრივ გარემოში, მას არ აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მისი ქცევა კონტროლდება, შესაბამისად, მაღალია ალბათობა მის მიერ ისეთი ქმედებების განხორციელებისა (მათ შორის სამუშაო საათებში), რასაც სამუშაო გარემოში არ გააკეთებდა.

შესაბამისად, დასაქმებული ინფორმირებული უნდა იყოს დამსაქმებლის მიერ, მის მიმართ გატარებული კონტროლის მექანიზმების შესახებ (რომლებიც, თავის მხრივ, უნდა იყოს მიზნობრივი და პროპორციული).[57] დასაქმებულის ინფორმირება უნდა მოხდეს გამჭვირვალობის პრინციპის ელემენტების მოთხოვნების დაცვით (ლაკონური, მკაფიო, ადვილად ხელმისაწვდომი, მარტივი ენით გადმოცემული, წერილობითი ან სხვა შესაბამისი ფორმით, უსასყიდლო).[58]

დასკვნა

დისტანციური მუშაობის პირობებში, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა და კომპანიის კლიენტთა პერსონალური მონაცემების დაცვა, დასაქმებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიის შენარჩუნებით ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ამ მიზნით, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს ისეთი ახალი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების დანერგვა, რომლებიც ერთის მხრივ მოემსახურება დამსაქმებლის ინტერესს - გააკონტროლოს დასაქმებულების მიერ დისტანციური მუშაობის პირობებში სამუშაოს შესრულების ხარისხი, ხელო მეორეს მხრივ კი

48 პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ იხ.: <https://www.oecd.org/general/data-protection.htm>

49 გზამკვლევის ინგლისურენოვანი ვერსია ხელმისაწვდომია: <https://legalinstruments.oecd.org/en/instruments/OECD-LEGAL-0188>.

50 აღნიშნული გზამკვევით დადგენილ პრინციპებს, გარკვეული მოდიფიკაციით, დაეფუძნა Directive 95/46/EC და მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაცია.

51 გზამკვლევის მე-12 მუხლი: **"**Openness Principle - There should be a general policy of openness about developments, practices and policies with respect to personal data. Means should be readily available of establishing the existence and nature of personal data, and the main purposes of their use, as well as the identity and usual residence of the data controller. **"**

52 იხ. რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, მე-12 მუხლი, ასევე რეგულაციის შესავალი ნაწილის 39, 58, 60, 71, 78, 100, 121 პუნქტები. რეგულაციის ქართულენოვანი ტექსტისათვის იხ. სქოლიო 10.

53 სოფიო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ცოტნე ზურაბიანი, ვანო ზარდიაშვილი, ირაკლი ბერაია, ანრი ოხანაშვილი.

54 რეგ # 07-3/353/9, თარიღი 22.05.2019. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting>.

55 „მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად. გამჭვირვალეობის ვალდებულება არ ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებზე." კანონპროექტრის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

56 გამჭვირვალობის პრინციპის საკვანძო ელემენტებისა და მისი იმპლემენტაციის მექანიზმების შესახებ იხ.: Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on transparency under Regulation 2016/679, 17/EN WP260. ხელმისაწვდომია: < https://ec.europa.eu/newsroom/article29/item-detail.cfm?item_id=622227>.

57 დასაქმებულის მიერ გატარებული ქმედება უნდა იყოს მიზნობრივი - ემსახურებოდეს კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზანს და პროპორციული - არ უნდა ამუშავებდეს იმაზე მეტ მონაცემს, რაც მას კონკრეტული მიზნის მისაღწევად ესაჭიროება. დაწვრილებით იხ.: Article 29 Data Protection Working Party, Opinion 03/2013 on purpose limitation, 00569/13/EN, WP 203, ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/index_en.htm> და Opinion 2/2017 on data processing at work, 17/EN WP 249, ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/newsroom/article29/item-detail.cfm?item_id=610169 >.

58 გამჭვირვალობის პრინციპის ელემენტები დეტალურად იხ.: Guidelines on transparency under Regulation 2016/679, 17/EN WP260, გვ. 7-12.

გატარებული ღონისძიებები უნდა იყოს მაქსიმალურად მიზნობრივი, ჩარევა დასაქმებულის პირად ცხოვრებაში უნდა იყოს პროპორციული და გამჭვირვალე - დასაქმებული ინფორმირებული უნდა იყოს მის მიმართ გატარებული ღონისძიებების სახლის, მიზნისა და ხასიათის თაობაზე.

პირგასამტეხლოს წარმოშობის ისტორიული ექსკურსი, ევოლუცია და თანამედროვე ინტერპრეტაცია (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

Tatia Uberi
Irakli Shamatava
PhD student at Caucasus University School of Law, Georgia

პირგასამტეხლო სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნული ინსტიტუტის მეშვეობით, ურთიერთობის მონაწილე მხარეს აქვს გარკვეული მოლოდინი, რომ შეუსრულებლობისთვის მას დამატებითი ფინანსური პასუხისგება ელის, რაც რასაკვირველია არ გახდება ძირითადი ვალდებულების გადახდისგან გათავისუფლების საფუძველი. პირგასამტეხლო მხარეს ეკისრება იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა ვალდებულების დარღვევის ფაქტი. განიცადა თუ არა კრედიტორმა გარკვეული სახის ზიანი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. საკმარისია პირგასამტეხლოს შეთანხმებიდან მკაფიოდ ირკვეოდეს არსებითი პირობები, როგორიცაა ძირითადი ვალდებულება და მისი დარღვევისათვის დაწესებული ფულადი თანხის მოცულობა. პირგასამტეხლო ვიდრე ჩვენამდე არსებული ინტერპრეტაციით მოაღწევდა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნორმის სტრუქტურული აგებულება და შინაარსობრივი მხარე დაიხვეწებოდა, საკმაოდ დიდი გზა გაიარა მსოფლიო ხალხთა ცნობიერებაში. და რომ არა მისი ევოლუციური წიაღსვლა, მისი განვითარების პარამეტრიც ალბათ უცვლელი დარჩებოდა.
სტრუქტურულად, სტატია შედგება აბსტრაქტის, 2 პარაგრაფის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. სტატიაში განხილულია პირგასამტეხლოს ინსტიტუციის წარმოშობის მოკლე ისტორიული ექსკურსი უძველეს კოდიფიკაციებში ჰამურაბისა და ურ-ნამუს კანონის ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით და პაარალელი გავლებულია ძველქართულ, რომაულ (იუსტინიანეს), გერმანულ და თანამედროვე ფრანგულ სამართალთან. აღნიშნული მოდელების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ფოკუსირებით საკითხის სიღრმისეული შესწავლა ხდება.

საკვანძო სიტყვები: კოდიფიკაცია, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, გერმანულ-ფრანგული სამართალი, პირგასამტეხლო, ჯარიმა, საურავი, ზიანი, მტკიცების ტვირთი, გადაწყვეტილება, სასამართლო პრაქტიკა.

Penalty - Historical Origin, Evolution and Modern Interpretation (comparative analyses)

Penalty is one of the most important institutions of civil law, which provides an additional means of ensuring the civil obligation. Penalty is an amount of money determined by agreement of the parties to be paid by the obligor in the case of non-performance or incompatible execution of an obligation. Under the civil code of Georgia, An obligee may not simultaneously urge the payment of a penalty and the performance of the obligation, unless the penalty has been stipulated to apply in those cases where the obligor does not perform the obligations in due time. The obligee may always claim damages. The penalty is assumed by the party in the event of a breach of the obligation. It does not matter whether the creditor suffered some kind of damage. It is sufficient that the substantive terms of the fine, namely the principal obligation and the amount of money imposed for its breach, be clearly presented in the penalty agreement. It should be mentioned that in the civil law, Penalty is one of the significant issues, this institution has come a long way in the consciousness of society. Time by time, it has changed and become a significant issue along with the needs of society. The article consists - Introduction, 2 paragraphs, conclusion and bibliography. The article examines a brief historical introduction of the institution Penalty based on the interpretation of the laws of Hammurabi and Ur-Nammu in ancient codifications and pulls parallels with ancient Georgian, Roman, German, and modern French law. The research is based on comparative-legal Analysis.

Keywords: Codification, Comparative-Legal Analysis, German Law, French Law, Fines, Penalties, Damages, Burden of Evidence, Court Decision, Case Law.

გამოყენებული ლიტერატურის აღწერა:

სტატიაზე მუშაობისას, ავტორიტეტულ წყაროებზე დაყრდნობით, გამოყენებულ იქნა ქართველი და უცხოელი კომპარატივისტების ნაშრომები, მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ინსტიტუტთან მიმართებით, ქართულ ლიტერატურაში არცთუ ისე ბევრი კვლევა განხორციელებულა, წინამდებარე სტატია ამ მხრივაც ქართული იურისპრუდენციისათვის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს შეეხება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 2012 წელს ლადო ჭანტურიას მიერ გამოცემული „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი" და 2014 წელს ქართულ ენაზე გამოცემული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი (ავტორი: იან კროპჰოლერი; მთარგმნელი: ზურაბ ჭეჭელაშვილი და თორნიკე დარჯანია).

პირგასამტეხლოს მოცულობის განსაზღვრის კუთხით, საინტერესოა ქეთევან მესხიშვილის სტატია „პირგასამტეხლო – თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა", უახლეს გამოცემებს შორის, საინტერესოა ს. ჯორბენაძის მიერ 2017 წელს გამოცემული წიგნი „ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში", რამდენადაც მასში ახლებური ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი ისეთი საკითხები, როგორიცაა: მხარეთა მიერ პირგასამტეხლოს გათვალისწინების თავისუფლება; შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს განსაზღვრა სასამართლოს მიერ, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის მაგალითი; განსხვავება პირგასამტეხლოსა და პროცენტის ოდენობას შორის ხელშეკრულების თავისუფლების ჭრილში. *მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ინდექსის შეფასებაც, რამდენადაც კვლევა, სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებულ ანალიზსაც შეიცავს.*

კვლევის მეთოდები:

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისტორიზმის, შედარების ანალიზის, აბსტრაქციის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

კვლევის შედეგები:

სტატიას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, რამდენადაც აღნიშნული ინსტიტუცია კერძოსამართლებრივ (სახელშეკრულებო და ვალდებულებით) ურთიერთობაში აქტიურად გამოყენებადია.

§ 1. პირგასამტეხლოს წარმოშობის ისტორიული ექსკურსი, მნიშვნელობა და საჭიროება

უძველეს კოდიფიკაციებში, მართალია პირგასამტეხლო, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება არსად არის ნახსენები, თუმცა მისი შინაარსი, დაახლოებით, თანამედროვე პირგასამტეხლოს ინსტიტუციის იდენტურია.

პირგასამტეხლოს ნიშნებს შეიცავს შუმერთა მეფის, ურ-ნამუს კანონები, რომელიც დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე 2100-2500 წლებში შეიქმნა.[1] ჩვენამდე მოღწეული და გაშიფრული ორმოციოდე მუხლიდან, „პირგასამტეხლოს შინაარსთან ყველაზე მეტად 32-ე მუხლია მისადაგებული, რომელიც ჰგავს სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას".[2] დისპოზიციიდან გამომდინარე, „თუ პირი მეორე პირს გადასცემს მიწას დამუშავების მიზნით და ამ უკანასკნელის მოქმედობით მიწა გადაიქცევა უდაბნოდ, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს პირველს 720 წონის ერთეული მარცვლეული, ყოველ 100 ფართობის ერთეულზე".[3]

1 Martha T. Roth., Law Collections from Mesopolamia and Asia Minor. Scholars Press, Atlanta Georgia, 1995, 13; See: Miguel Civil., The Law Collection of Ur-Namma. Cuneiform Royal Inscriptions and Related Texts in the Schøyen Collection, edited by A.R. George; 2011, 221-286., Also: Claus Wilcke., Der Kodex Urnamma (CU): Versuch einer Rekonstruktion. Riches hidden in secret places: ancient Near Eastern studies in memory of Thorkild Jacobson, edited by Zvi Abusch., 2002.

2 ურუშაძე ნ., პირგასამტეხლო – ვალდებულების შესრულების გარანტია. 2017, 13 (კავკასიის უნივერსიტეტში დაცული სამაგისტრო ნაშრომის ორიგინალი ინახება კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში., მეცნიერ-ხელმძღვანელი: ვ. ზაალიშვილი).

3 Martha T. Roth., Law Collections from Mesopolamia and Asia Minor. Scholars Press, Atlanta Georgia. 1995, 21.

საინტერესოა ამ მხრივ ჩვ.წ.აღ-მდე 1750 წელს შექმნილი, ბაბილონის მეფის ჰამურაბის, კანონები, რომელიც შეიძლება ითქვას რომ ყველაზე დახვეწილი კოდიფიკაციის ნიმუშია,[4;5] რაც მესოპოტამიის ტერიტორიაზე აღმოჩენილა.[6] კოდიფიკაცია შეიცავს ორას ოთხმოცდაორ მუხლს და მეტად აწესრიგებს სასესხო, ქირავნობის, მიბარებისა თუ სხვა ტიპიურ სახელშეკრულებო ურთიერთობებს, თუმცა პირგასამტეხლოს ნაწილში, მოთხოვნის უზრუნველმყოფ ცალკეულ საშუალებად მას არც ეს კანონი ითვალისწინებს.

პირგასამტეხლო, იმ ფორმით, როგორც ეს დღევანდელ კანონმდებლობებშია ასახული, სწორედ რომ სათავეს რომის სამართლიდან იღებს, Corpus Juris Civilis ამ ინსტიტუტს იცნობს „Stipulatio poenae"-ს სახელით[7;8] და გამოიხატებოდა ფულად თანხაში. პირგასამტეხლოს საშუალებით, მოვალე კრედიტორს პირდებოდა გადაეხადა გარკვეული თანხა მის მიერ ჩადენილი ქმედების ან ქმედებისგან თავშეკავებისთვის, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.[9]

„ხელშეკრულების დადებისას ყველა მხარე მოელის, რომ პარტნიორი შეასრულებს მას. მაგრამ რა საშუალებით არის უზრუნველყოფილი თავის მოლოდინში გამტყუნებული ხელშეკრულების მონაწილე წარმოქმნილი პრობლემის მოსაგვარებლად? ამ მიზნით, კრედიტორი, რომელიც მატერიალურ ზარალს განიცდის მოვალის მხრიდან მისი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო, შეიძლება დაინტერესდეს ფულადი კომპენსაციის მიღებით".[10]

ამდენადაც, პირგასამტეხლოს ინსტიტუტის გამოყენება „ერთის მხრივ, ხელს უწყობდა მოვალის სტიმულირებას არ დაერღვია ნაკისრი ვალდებულება, ხოლო მეორეს მხრივ, კრედიტორს ზიანის მტკიცების ტვირთისგან თავის არიდების საშუალებას აძლევდა. სწორედ ამ შესაძლებლობ(ებ)ის გათვალისწინებით, პირგასამტეხლო მიმზიდველი საშუალება იყო ვალდებულების დამატებით უზრუნველყოფის კუთხით და განსაკუთრებით რეკომენდირებული იუსტინიანეს მიერ."[11] საგულისხმოა, რომ სწორედ ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა ჩვ.წ.აღ-ით 529-534 წლებში შექმნა ინსტიტუციები, დიგესტები (პანდექტები) და კოდექსი, რომელიც აერთიანებდა იმდროინდელ რომაელ იურისპრუდენტთა საუკეთესო ნაშრომებს.[12]

პირგასამტეხლო აპრობირებული იყო ძველ ქართულ სამართალშიც და მის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა ტერმინი „წინდი"– კანონითა თუ სასამართლოს დადგენილებით სესხის განაღდების უზრუნველსაყოფი საშუალება. „წინდი არა მარტო ვალის, არამედ ყოველგვარი ვალდებულებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება იყო."[13] პროფ. ვ. მეტრეველის მოსაზრებით, მართალია ტერმინი „პირგასამტეხლო" ქართული სამართლის ან სხვა სახის ძეგლებში არ გვხვდება, მაგრამ მისი შინაარსი სწორედ რომ გაიგივებულია წინდთან.[14] XIII-XIV სს-იდან პირგასამტეხლოს უკვე კანონმდებლობაც აწესრიგებდა, სახელდობრ, ბექას და აღბუღას სამართალი (მმ. 43-44, 76, 83), აგრეთვე „ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ" (მმ. 5-7).[15]

პროფ. გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს: „ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ იყო მოვალის პასუხისმგებლობის მასშტაბები და დეტალები. ასეთ ვითარებაში იურისტებმა შეიმუშავეს პასუხისმგებლობის წესები მოვალისათვის".[16]

4 სრული ტექსტი კანონის ხელმისაწვდომია: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm (უკანასკნელად იქნა შემოწმებული - 11.09.2020), ასევე: ჰამურაბის კანონები [თბ. მეცნიერება. 1988] / გ. ქავთარია; თარგმ. ბ. კიკნაძემ.

5 Kathryn E. Slanski, The Law of Hammurabi and its Audience, 24 Yale J.L. & Human., 2012, 97.

6 Fetzer Frank L., The Code of Hammurabbi., The Oldest known Legal Code., Commercial Law Journal., December, 1930, 728.

7 Карапетов А.Г., Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, 2005, 1.

8 ვრცლად: სტატია Zimmermann R., Stipulatio Poenae, 104 S. African L.J., 1987, 399.

9 „Regulations in respect to deposit of grain in granaries between the warehouseman and depositor, were strict and penalties attached by losing all of the deposit or being compelled to return double the amount should any of the goods be mishandled". See: Fetzer Frank L., The Code of Hammurabbi., The Oldest known Legal Code., Commercial Law Journal., December, 1930, 726-730.

10 ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბ, ტ. 2, 2001, 159-160.

11 Zimmermann R., The Law Of Obligations. 1990, 95.

12 https://www.britannica.com/topic/Code-of-Justinian (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

13 ჯავახიშვილი ივ. თხზ. 12 ტომად; ტ. VII, 1984, 331.

14 მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბ, 2013, 324.

15 დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ, 1953. ასევე: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია., თბ. ტ. XI, 1987, 330.

16 ნადარეიშვილი გ., რომის სამართალი, თბ. მესამე გადამუშავებული გამოცემა, 2009, 94; ასევე: სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია – „საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები". ი. შამათავა, პირგასამტეხლო საალსრულებო წარმოების პროცესში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ. 2016, 69.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობისას, სწორედ პასუხისმგებლობის მასშტაბს წარმოადგენს პირგასამტეხლო, რომელიც თავისი არსით, მეტად საინტერესო და საჭირო ინსტრუმენტია სამართალწარმოების პროცესში, განსაკუთრებით, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისას/შეუსრულებლობისას, რამდენადაც „სახელშეკრულებო ურთიერთობისას პირგასამტეხლოს გააჩნია პრევენციული ხასიათი“[17] და მიყენებული ზიანის სწრაფად და მარტივად აღმოფხვრის ფუნქცია.“[18] როგორც ს. ჯორბენაძე აღნიშნავს, პირგასამტეხლო მოაზრებულ უნდა იქნეს, როგორც სახელშეკრულებო პირობა და ამასთან ერთად, მისი განსაზღვრის თავისუფლებისას მხარეთა ნებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.[19]

პირგასამტეხლო, როგორც ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, დღეს უკვე დამახასიათებელია ყველა იმ ქვეყნის სამართლისთვის, რომელიც მიეკუთვნება რომანულ-გერმანულ სამართლის სისტემას.

პირგასამტეხლოს სამ ფორმას იცნობდა საბჭოთა სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი: საკუთრივ პირგასამტეხლოს, ჯარიმასა და საურავს. მათი ეკონომიკური არსი, იურიდიული ბუნება და რეგულირება ერთნაირი იყო.[20] მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ტერმინოლოგიურად იცნობს მხოლოდ პირგასამტეხლოს, რაც შეეხება ჯარიმა-საურავს მას ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საგადასახადო, სააღსრულებო და სხვა კანონმდებლობები ითვალისწინებს.

მაგალითისთვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსი აღიარებულ საგადასახადო დავალიანების დაფარვის წესის რიგითობასთან დაკავშირებით ასეთ ჩანაწერს გვთავაზობს: „აღიარებული საგადასახადო დავალიანება დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: ა) გადასახადის თანხა; ბ) ჯარიმა; გ) საურავი“, ხოლო მოსაკრებელზე და მასთან დაკავშირებულ ჯარიმასა და საურავზე ადმინისტრირებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო.[21]

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში – სზაკ) დებულებ(ებ)ით, ჯარიმა, როგორც აღსრულების სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალება, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პირის მიერ ნების გამოვლენით.[22]

საინტერესოა პირგასამტეხლოს ცალკეული კლასიფიკაცია ქართულ იურისპრუდენციაში. „პირგასამტეხლო შეიძლება დადგენილ იქნეს განსაზღვრული ფულადი თანხით, რომელიც უნდა გადაიხადოს იმ მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება. ასეთ პირგასამტეხლოს ჯარიმა ეწოდება,[23] ხოლო პირგასამტეხლოს, რომელიც ითვალისწინებს გადახდევინებას ვალდებულების შესრულების ყოველი გაცდენილი დღისთვის – საურავი ეწოდება“.[24]

ჯარიმა – წარმოადგენს არაერთჯერადად გადასახდელ თანხას, რომელიც წინასწარ დადგენილი თანხის პროპორციულად პროცენტებში გამოიხატება.[25] თუ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლოს ერთჯერადი თანხის გადახდა გათვალისწინებულია მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, სახეზეა ჯარიმა. ამ შემთხვევაში კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც (419 I). თუმცა,

17 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის №144-139-2011 გადაწყვეტილებაში პირგასამტეხლო მოხსენიებულია როგორც ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების პრევენცია.

18 სუს-ის 2015 წლის 7 ოქტომბრის №ას-459-438-2015 გადაწყვეტილება.

19 ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბ. 2017, 281.

20 სსსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 185, 186, 213, 214-ე მუხლები. 1986 წლის მდგომარეობით; http://www.library.court.ge/upload/Soviet_Regime_Civil_Code.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

21 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010. მუხლი 253; (15.07.2020 წლის მდგომარეობით).

22 სზაკ, 1999. მუხლი 171 (15.07.2020 წლის მდგომარეობით).

23 სსკ-ის ბოლო დამუშავება: ზ. ჭეჭელაშვილი, 27 ივნისი 2016; „თუ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლოს ერთჯერადი თანხის გადახდა გათვალისწინებულია მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, სახეზეა ჯარიმა. ამ შემთხვევაში კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც (419 I). თუმცა, კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება (419 II)“.

24 ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ, 1999, 78-79; ასევე: სსკ-ის ბოლო დამუშავება: ზ. ჭეჭელაშვილი, 27 ივნისი 2016; „თუ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლოს თანხის გადახდა გათვალისწინებულია მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, სახეზეა საურავი. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც“. (419 I)

25 ჰუბსი ვ. თოდუა მ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი, 2006, 28.

კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება (419 II).[26] საჯარიმო პირგასამტეხლოს არსი, რომელსაც ასევე კუმულატიურ პირგასამტეხლოს უწოდებენ[27], სრულიად საპირისპიროა, რაც ზემოთ განხილული ჩასათვლელი პირგასამტეხლოს შემთხვევაშია. კონკრეტულად კი, ამ შემთხვევაში, პირგასამტეხლო სრულიად დამოუკიდებელია ნაკისრი ვალდებულების დარღვევით მიყენებულ ზიანის ანაზღაურებასთან და ის ანაზღაურდება იმის მიუხედავად, თუ რა ოდენობის ზიანი განიცადა კრედიტორმა, ვალდებულების დარღვევის გამო.

საურავი – წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომელიც გამოიანგარიშება განუწყვეტლივ, მზარდი შედეგით. უფრო ხშირად საურავი გამოიყენება ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის. საურავი ერიცხება ყოველდღიურად შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში. მისი დარიცხვა,როგორც წესი, პროცენტის სახით ხდება.[28] თუ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლოს თანხის გადახდა გათვალისწინებულია მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, სახეზეა საურავი. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც (419 I).[29] საურავის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი ერიცხება მოვალეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს შეასრულოს ვალდებულება.[30] საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდევინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.[31] ამ მხრივ, საინტერესოა ფრანგული სამართლის მოდელი, რომელიც გვთავაზობს ორი ტიპის საურავს, რომელსაც შეხედულებისამებრ აირჩევს სასამართლო. „დროებითი საურავის“ (“astreinte provisoire”) ან „დამმუქრებელი საურავის“ (astreinte comminatoire“) შემთხვევაში, რომელსაც ასე იმიტომ ეწოდება, რომ საბოლოო საფასურის განსაზღვრისას სასამართლო არ არის შეზღუდული პირვანდელი გადაწყვეტილებით და შეუძლია მოვალეს გადასახდელად დააკისროს უფრო ნაკლები თანხა, ვიდრე თავდაპირველად უნდა გადაეხადა. მეორე სახის – „ფიქსირებული, ანუ საბოლოო საურავი“ (“astreinte definitive”) – დაწესდება საბოლოოდ სასამართლოს პირვანდელი გადაწყვეტილების საფუძველზე. განსაკუთრებით ეს ეხება ყოველდღიურ (ყოველკვირეულ, ყოველთვიურ) გადასახადს. შემდგომში საურავები იანგარიშება მარტივი არითმეტიკული ოპერაციით: სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული თანხა მრავლდება მოვალის მიერ გაცდენილი დღეების რაოდენობაზე. საურავის დარიცხვის საშიშროება წყდება სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ. მაგრამ კრედიტორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს თხოვნით, ახალი საურავი დააწესოს შემდგომი პერიოდისთვის, თუ მოვალე კვლავ არ ასრულებს ხელშეკრულებას. ერთი შეხედვით, შეიძლება შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს astreinte-ს ბევრი საერთო აქვს ფულად საჯარომო სანქციებთან, რომელიც შემოღებულია გერმანიის სსკ § 888 და § 890 თანახმად.[32]

საკასაციო სასამართლომ, 2012 წლის 17 იანვრის საქმეზე N ბს-740-734 (2კ-11), განმარტა, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდევინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

თუმცა პირგასამტეხლოს მსგავსი კლასიფიკაცია, მისი იურიდიული დანიშნულების გაგებისა და გამოყენების კუთხით არაფრისმთქმელია. მართალია პირგასამტეხლოს მსგავსი დაყოფა აქტიურად გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისას, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მომავალში პირგასამტეხლოს დარიცხვის სხვაგვარი სქემა შეიქმნას, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს

26 სსკ-ის კომენტარები, (GCCC), ჭეჭელაშვილი ზ, ბოლო დამუშავება: 27 ივნისი 2016.

27 ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 238.

28 ჭუბსი ვ., თოდუა მ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი, 2006, 28.

29 სსკ-ის კომენტარები, (GCCC), ჭეჭელაშვილი ზ, ბოლო დამუშავება: 27 ივნისი 2016.

30 სუს-ის 2011 წლის 21 მარტის საქმე № ბს-409-406 (კ-10).

31 ჯარიმის და პირგასამტეხლოს დაკისრებაზე ვრცლად: სუს-ის 2012 წლის 17 იანვრის საქმე № ბს-740-734 (2კ-11).

32 ცვაიგერტი კ, კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ.II, თბ, 1996, 165.

კანონმდებლის მიერ მოთხოვნილ წინაპირობებს და მისი იურიდიული კვალიფიკაციისთვისაც გამოყენებულ იქნება პირგასამტეხლოს ის ზოგადი ნორმები, რაც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 417-420-ე მუხლებით.

ჩასათვლელი პირგასამტეხლო – იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება პირგასამტეხლოს განსხვავებული კლასიფიკაციაც, რომელიც დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევის გამო კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანთან. პირგასამტეხლოს სახეების დახასიათებისას აღსანიშნავია მისი დაყოფა ჩასათვლელ, საჯარიმო, ალტერნატიულ და ექსკლუზიურ პირგასამტეხლოდ. აღსანიშნავია, რომ „ხელშეკრულებაში პირგასამტეხლო ყოველთვის „პირგასამტეხლოდ" არ არის სახელდებული. ხშირად ხელშეკრულებაში ვალდებულების უზრუნველყოფის სახით მითითებული თანხა ჯარიმად, საურავად, გადასახდელად და ა. შ. იწოდება, რაც, როგორც წესი, პირგასამტეხლოს სინონიმებია. თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანის არსის, ფუნქციისა და დანიშნულების გარკვევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მათ მიმართ პირგასამტეხლოს მარეგულირებელი ნორმების გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, რაც დადგინდება გამოყენებული ტერმინების არსობრივი იდენტურობა პირგასამტეხლოსთან".[33]

პირგასამტეხლოს გადახდა, მოვალეს არ ათავისუფლებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან. აღნიშნულს ადასტურებს სსკ-ის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის, რომლის მიხედვითაც: „კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება".[34] სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, გხვდება ჩასათვლელი პირგასამტეხლო**,** რა დროსაც მოვალის მიერ გადახდილი პირგასამტეხლოს ოდენობა, გამოაკლდება იმ ზიანს, რომელიც კრედიტორმა განიცადა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. პირგასამტეხლოს გამოყენება აღნიშნული ფუნქციით უცხო არ არის ქართული სასამართლო პრაქტიკისთვის, რომელიც აღიარებს იმ ფაქტს, რომ პირგასამტეხლოს ფუნქცია თავის თავში მოიცავს ზიანის ანაზღაურებასაც.

სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს გონივრულობაზე მსჯელობისას, სასამართლო სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. სასამართლო განმარტავს, რომ: "სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.[35] ამასთან, „თანხის შემცირების დროს არ უნდა დაირღვეს მხარეთა თანასწორობისა და სახელშეკრულებო პირობათა სამართლიანობის პრინციპები".[36]

ალტერნატიული პირგასამტეხლოს არსი მდგომარეობს ზიანის ანაზღაურებასა და პირგასამტეხლოს შორის არჩევნის გაკეთებაში. კრედიტორმა უნდა გადაწყიტოს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ მოვალისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება. როგორც პროფესორი ლადო ჭანტურია აღნიშნავს: „პირგასამტეხლოს ეს ფორმა ზედმეტად ხლუდავს კრედიტორის შესაძლებლობებს და ის პრაქტიკაში არც გამოიყენება".

ექსკლუზიური პირგასამტეხლოს გამოყენებით მთლიანად გამოირიცხება ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა და კრედიტორი იძულებულია მოვალისგან მოითხოვოს მხოლოდ პირგასამტეხლო.

§ 2. პირგასამტეხლოს გერმანული და ფრანგული მოდელის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, *(შემდგომში – გსკ) თუ მოვალე პირდება კრედიტორს ფულადი თანხის პირგასამტეხლოს სახით* გადახდას მის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მაშინ პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას. თუ ნაკისრი ვალდებულების შესრულება

33 მესხიშვილი ქ. პირგასამტეხლო – თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა. http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

34 სსკ, 1997 (2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით) https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702 (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

35 სუსგ 2011 წლის 21 ნოემბრის საქმე № ას-501-477-2013.

36 სუს-ის 2011 წლის 26 დეკემბრის საქმე № ბს-1522-1501 (კ-11).

მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში, პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას ამ ვალდებულების საწინააღმდეგოდ მოქმედების განხორციელებისას.

გსკ იცნობს საკმაოდ საინტერესო ინსტიტუტს, – პირგასამტეხლოს გადახდის შეპირებას ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რაც გულისხმობს იმას, რომ „თუ მოვალემ იკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ნაცვლად. თუ კრედიტორი უცხადებს მოვალეს, რომ იგი ითხოვს პირგასამტეხლოს, მაშინ მოთხოვნის უფლება ვალდებულების შესრულებაზე გამორიცხულია“,[37] ხოლო § 341-ის მიხედვით, „თუ მოვალემ იკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის, განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისათვის, მაშინ კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულებასთან ერთად. თუ კრედიტორს ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ეკუთვნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაშინ გამოიყენება § 340-ის მე-2 ნაწილი. ხოლო, თუ კრედიტორი იღებს შესრულებას, მაშინ მას პირგასამტეხლოს მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მიღებისას დაიტოვა აღნიშნულზე უფლება“.

გსკ პირგასამტეხლოსთან მიმართებით შეიცავს პროცესუალურ ნორმასაც, რომელიც მტკიცების ტვირთის განაწილებას შეეხება. თუ მოვალე სადაოდ ხდის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმის მტკიცებით, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ვალდებულების შესრულება, თუ ნაკისრი შესრულება არ მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში.[38]

პროფ. ქ. მესხიშვილი ნაშრომში – „პირგასამტეხლო - თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა“, აღნიშნავს, რომ „მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ კრედიტორმა უნდა ამტკიცოს ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი ფორმით შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალის ბრალით არ არის განპირობებული“.

შედარებით-სამართლებრივი მიზნებისათვის, გსკ-ით მტკიცების ტვირთის მომწესრიგებელ ცალკე ნორმას შეიცავს, კერძოდ, 345-ე მუხლის შესაბამისად, „თუ მოვალე სადაოდ ხდის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმის მტკიცებით, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ვალდებულების შესრულება, თუ ნაკისრი შესრულება არ მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში“.[39]

წარმოდგენილი შემთხვევებიდან, ფაქტია, რომ ქართული სამოქალაქო სამართალი არ იცნობს არც პირგასამტეხლოს შეპირებას და არც მტკიცების ტვირთის მომწესრიგებელ ნორმას, ამდენად, აღნიშნული მოდელის გაზიარებით, ვფიქრობთ, პირგასამტეხლოს ინსტიტუტი მეტად გამდიდრდებოდა.

გერმანიისგან განსხვავებით, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში შეიმუშავა სანქციათა სპეციალური ინსტიტუტი, ე.წ „astreinte“ („საურავი“), რომლის ძალით, სასამართლოს შეუძლია, მოვალის მიერ ხელშეკრულების შესრულების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად დაავალოს მოვალეს თითოეული გაცდენილი დღისთვის კრედიტორისთვის გარკვეული საფასურის გადახდა საურავის სახით.[40]

ფრანგული “Clause D’Astreinte”[41] – დამრღვევ მხარეს მისი მოვალეობების შესრულებას აიძულებს და მოიცავს დაკისრებულ ზარალის კომპენსაციას, ხელშეკრულებით გადასახდელ თანხასთან ერთად, ფრანგული კანონმდებლობით იურიდიულად არ კვალიფიცირდება, როგორც „clause pénale“,[42] არამედ,

37 გსკ-ის § 340, 1900 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/ (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

38 გსკ-ის § 345; 1900 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/ (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

39 კრომპჰოლერი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, 2013, 240.

40 საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, 1804 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით).

http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

41 Mazeaud D., 342-348 “who points out the difference with respect to contractual penalty that stems from the fact that the latter has (also) the compensatory character”. In the similar sense see Delebecque P., F-J- Pansier, 310. See also D. Pavic, 297. Pavic compares this kind of contractual penalty to the penalties referred to in Art. 294 LCT. For clause d'astreinte and the difference with respect to contractual penalty, i.e. the difference between contractual penalty and penalties see P. Malinvaud, 527; Dragor Hiber & Vladimir Pavic, Contractual Penalty Clauses in Recent Serbian Arbitration Practice, 2013 Annals Fac. L. Belgrade Int'l Ed. 63-81 (2013).

42 განმარტება: ფრანგული ტერმინის „clause pénale“ პირდაპირი ინგლისური თარგმანი პირგასამტეხლოს მუხლია. თუმცა, რეალურად, „clause pénale“ საკმაოდ განსხვავებული რამაა. ის შეიძლება შევადაროთ საერთო სამართალში არსებულ „წინასწარ შეფასებული ზარალის კომპენსაციის“ ცნებას, თუმცა ორი მნიშვნელოვანი სხვაობით: 1). იგი შეიძლება გამოყენებული იქნას „სასჯელად“ ან „ჯარიმად“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის საპასუხოდ, და 2). ცალკეულ შემთხვევებში, მისი რაოდენობა შეიძლება სასამართლომ (ან არბიტრმა) შეასწოროს. დეტალურად:

როგორც „clause d'astreinte conventionnelle" – მიუხედავად იმისა, რომ ეს დეფინიცია არ მოიპოვება ნორმატიულ კანონმდებლობაში. დოქტრინა შეიქმნა ფრანგული სასამართლოებისა და თავად სამართლის მკვლევართა მიერ.

"d'astreinte conventionnelle" მუხლები შემდეგი სახისაა:

1. მუხლში განსაზღვრული თანხის გადახედვა მოსამართლის მიერ დაუშვებელია, თუ ადგილი არ აქვს „გარეგანი მიზეზების" ("cause étrangére"), არაკეთლსინდისიერების ან დამრღვევი მხარის ეკონომიკური პრობლემების შემთხვევებს.

2. ზოგჯერ იგი განიმარტება, როგორც ფრანგული პირგასამტეხლოს მუხლის ("clause pénale") ტოლფასი,[43] რადგან სამოქალაქო კოდექსის 1226-ე მუხლი ვრცელდება ფრანგულ "clause pénale"-ზე[44] და აქედან გამომდინარე, ექვემდებარება მოსამართლის მიერ გადახედვას;[45]

3. სხვა შემთხვევებში, მათი საფუძვლიანობა ეჭქვეშ დგება, რადგან მას ხშირად მიუთითებენ, როგორც სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლით გათვალისწინებული მოსამართლის მიერ გადახედვის არიდების გზად.[46] მუხლის დისპოზიციით, მოსამართლეს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულების მიხედვით შეამციროს შეთანხმებული პირგასამტეხლო იმ სარგებლის პროპორციულად, რომელიც კრედიტორმა მიიღო ვალდებულების ნაწილობრივი შესრულებით, 1152-ე მუხლის გამოყენების დაუზიანებლად. ნებისმიერი საწინააღმდეგო პირობა ბათილად ჩაითვლება.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1228-ე და 1229-ე მუხლები ითვალისწინებენ, რომ პირგასამტეხლო უშუალოდ ხელშეკრულების შესრულების ალტერნატივაა. ამგვარად, მხარეს ან შეუძლია ხელშეკრულება შეასრულოს, ან პირგასამტეხლო გადაიხადოს (მუხლი 1227); მხარეს შეუძლია ან ხელშეკრულების შესრულება მიიღოს, ან პირგასამტეხლო (მუხლი 1229). ამ „ან/ან" წესის გამონაკლისი ეხება დაყოვნების შემთხვევაში დაკისრებულ პირგასამტეხლოს, რა შემთხვევაშიც ხელშეკრულების შესრულება შეიძლება იქნას მოთხოვნილი შეფასებული პირგასამტეხლოსთვის (მუხლი 1229). 1230-ე მუხლით დადგენილია, რომ „შეტყობინება ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ" პირგასამტეხლოს შეფასების წინაპირობაა: მიუხედავად იმისა, შედის თუ არა პირგასამტეხლო თავდაპირველ მოვალეობაში, ან ვადაში, რომლის განმავლობაშიც იგი უნდა შესრულდეს, პირგასამტეხლოს დაკისრება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ის მხარე, რომელსაც აკისრია ჩაბარების, აღების ან გაკეთების მოვალეობა, ექვემდებარება ვალდებულების შეუსრულებლობის შეტყობინებას.

გამომდინარეობს, რომ საფრანგეთის სასამართლო, მსგავსად ქართული კანონმდებლობისა, უფლებამოსილია გადასინჯოს პირგასამტეხლოს ის მოცულობა, რაც მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს. თუმცა, პრაქტიკაში, ფრანგული სასამართლოები ერიდებიან ამ დებულების გამოყენებას. მოსამართლეები იშვიათად აკისრებენ ხელშეკრულების ფასის 5%-ზე მაღალ პირგასამტეხლოს. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამართლე პირგასამტეხლოს რაოდენობას განსაზღვრავს რეალური ზარალის საფუძველზე.[47] ფრანგული კოდექსით, „თუ კრედიტორმა მიაღწია მისთვის დადებით სასამართლო გადაწყვეტილებას, ეს ყოველთვის არ ნიშნავს მიზნის მიღწევას. საქმე ის არის, რომ ბევრი მოვალე არ აკმაყოფილებს სასამართლო გადაწყვეტილებით უკვე დამტკიცებულ სარჩელებს, რადგან არ შეუძლიათ ან არ სურთ საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. ასეთ დროს სახელმწიფო ეხმარება დაზარალებულ კრედიტორს და სთავაზობს იძულების სახელმწიფო სახსრებს. კრედიტორი იყენებს მათ შემუშავებული პროცედურის თანახმად, რათა სასამართლოთი დამტკიცებული

The Civil Law Concept Of Penalties And The Common Law Concept Of Liquidated Damages by Laurent Karila, Attorney at Law, Paris, France – Karila, Société d'avocats – GCILA, and Matthew E. Vinciguerra, Partner http://www.gcila.org/publications/files/pub_en_24.pdf.

43 George A. Bermann, Etienne Picard Introduction to French Law., Publisher Kluwer Law International, 2012, 486.

44 Articles 1226 to 1233 of La Code Civil regulates "la clause penale" (penalty clause), and article 1152 regulates "dommages-interets" (liquidated damages). The former may be reduced by a judge if part of the main contract obligation has been performed and if it is "manifestly excessive." Liquidated damages may also be adjusted if "obviously excessive or ridiculously low. დეტალურად: J. Frank McKenna and Lisa P. Means „Liquidated Damages and Penalty Clauses: A Civil Law versus Common Law Comparison"., 2008., Also: Sanctions for contractual non-performance under French law., From the Napoleonic Code to Order N° 2016-131 of 10 February 2016, 3., Гражданский кодекс Франции, пер. с фран. Захватаева В.Н., М., Берлин, 2012, 346.

45 შენიშვნა: საფრანგეთში მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეამციროს პირგასამტეხლოს მოცულობა, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში უმეტესწილად მხარის შუამდგომლობაა აუცილებელი., [საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1231-ე მუხლი]., დეტალურად: Гражданский кодекс Франции, пер. с фран. Захватаева В.Н., М., Берлин, 2012, 347.

46 The Civil Law Concept Of Penalties And The Common Law Concept Of Liquidated Damages by Laurent Karila, Attorney at Law, Paris, France – Karila, Société d'avocats – GCILA, and Matthew E. Vinciguerra, Partner http://www.gcila.org/publications/files/pub_en_24.pdf.

47The Civil Law Concept Of Penalties And The Common Law Concept Of Liquidated Damages by Laurent Karila, Attorney at Law, Paris, France – Karila, Société d'avocats – GCILA, and Matthew E. Vinciguerra, Partner http://www.gcila.org/publications/files/pub_en_24.pdf.

მოვალისადმი მოთხოვნის მისეული უფლების რეალიზაცია მოახდინოს მისი ნების საწინააღმდეგოდ ან – თუ ამისთვის მოვალის ხელშეწყობაა საჭირო – აიძულოს იგი თანამშრომლობისთვის მუქარით და მისადმი სანქციების გამოყენებით".[48]

ეს მოდელი სრულიად განსხვავებულია, რადგან საურავის ინსტიტუტს იყენებს როგორც ძირითადი სახელშეკრულებო ურთიერთობის პროცესში, ისე სამართალწარმოების ეტაპზეც, დავის არსებობისას; უფრო მეტიც, საურავის დარიცხვას აგრძელებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესშიც და „დამსჯელ ღონისძიებას" იყენებს მანამ, ვიდრე მოვალე არ დააკმაყოფილებს კრედიტორულ მოთხოვნას.

დასკვნა

წარმოდგენილი სტატია იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ პირგასამტეხლოს ინსტიტუციამ ევოლუციური გზა გაიარა მსოფლიო ხალხთა ცნობიერებაში და მისი განვითარების პარამეტრიც მრავალჯერ შეიცვალა. ევროპული ქვეყნების გამოცდილება და ნორმის განვითარების გზამკვლევი ინდივიდუალურია, თუმცა ჩვენი მხრიდან სიღრმისეულად იქნა შესწავლილი გერმანულ-ფრანგული სამართალი, რომლის ცალკეული ნორმების ქართულ კანონმდებლობაში გაზიარებით მოხდება პირგასამტეხლოს ინსტიტუტის მეტად სრულყოფა, სამართლის ჰარმონიზაციის არსიც სწორედ კარგი უცხოური გამოცდილების გაზიარებაში მდგომარეობს.

პირგასამტეხლოსთან მიმართებით, გერმანული და ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ცალკეულ ნორმებთან მიმართებით იდენტურია, ხშირ შემთხვევაში – განსხვავებული. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოსთან მიმართებით შეიცავს პროცესუალურ ნორმებს, რომელიც შეეხება მტკიცების ტვირთის განაწილებას. თუ მოვალე სადაოდ ხდის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმის მტკიცებით, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ვალდებულების შესრულებაც, თუ ნაკისრი შესრულება არ მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში. მაშინ, როცა ფრანგული სამართალი საურავის ინსტიტუტს იყენებს, როგორც ძირითად სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ისე სამართალწარმოების ეტაპზეც.

გამომდინარეობს, რომ ფრანგული სამართლით მოვალე თავად ირჩევს შეასრულოს კრედიტორის მოთხოვნა ოპერატიულად, [სანაცვლოდ – მინიმალური დანახარჯებით], ან დროში გააჭიანუროს მოთხოვნის დაკმაყოფილება და ამისთვის სათანადო სანქცირებას დათანხმდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, მას აქვს ფინანსური პასუხისგების მოლოდინი და იმთავითვე ცხადია, რომ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, კრედიტორის წინაშე ანგარიშვალდებული გახდება. პასუხისმგებლობის მასშტაბი არათუ აკუმულირებულია, არამედ ყოველდღიურ დინამიკაში მზარდია. შედეგი, მოცემულ შემთხვევაში, მრავალფეროვანია და ეფექტურიც.

ქართულმა კანონმდებლობამ სასურველია დეტალურად მოაწესრიგოს ყველა ის სამართალურთიერთობა, რაც პირგასამტეხლოს ინსტიტუტიდან გამომდინარეობს, რამდენადაც მხარეთა „ურთიერთმოლოდინი" წინასწარ პროგნოზირებადი გახდეს და პირგასამტეხლომ შეასრულოს ის ფუნქცია, რისთვისაც არსებობს ის ცივილისტიკაში.

ბიბლიოგრაფია

1. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ. 1999.

2. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ. 1953.

3. მესხიშვილი ქ., პირგასამტეხლო – თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა. <<http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020>>).

48 ცვაიგერტი კ, კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბ, ტ. II., 2001, 160. ასევე: სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია – საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები. შამათავა ი., პირგასამტეხლო სააღსრულებო წარმოების პროცესში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ, 2016,67.

4. მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბ, 2013.

5. ნადარეიშვილი გ., რომის სამართალი, მესამე გადამუშ. გამოცემა, თბ, 2009.

6. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია – საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები. შამათავა ი., პირგასამტეხლო სააღსრულებო წარმოების პროცესში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ, 2016.

7. ურუშაძე ნ., პირგასამტეხლო – ვალდებულების შესრულების გარანტია. (2017 წელს დაცული სამაგისტრო ნაშრომი, ხელმისაწვდომია კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში).

8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ, ტ. XI. 1987.

9. ცვაიგერტი კ. კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბ, ტ. II, 1996.

10. ცვაიგერტი კ. კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბ, ტ. I, 2001.

11. ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012.

12. ჭეჭელაშვილი ზ. სსკ-ის 418-ე მუხლის კომენტარი, <<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/06/Artikel-418.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020>>).

13. ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ბოლო დამუშავება: 27 ივნისი 2016 (GCCC კომენტარები).

14. ჯავახიშვილი ივ., თხზ. 12 ტომად, ტ. VII, 1984.

15. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბ, 2017.

16. ჰამურაბის კანონები: [თბ. მეცნიერება. 1988] / გ. ქავთარია; თარგმ. ბ. კიკნაძემ.

17. ჰუბსი ვ. თოდუა მ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ, 2006.

18. Claus Wilcke, Der Kodex Urnamma (CU): Versuch einer Rekonstruktion. Riches hidden in secret places: ancient Near Eastern studies in memory of Thorkild Jacobson, edited by Zvi Abusch, 2002.

19. Fetzer Frank L., *The Code of Hammurabbi., The Oldest known Legal Code.,* COMMERCIAL LAW JOURNAL., December, 1930, 726-730.

20. From the Napoleonic Code to Order N° 2016-131 of 10 February 2016., Sanctions for contractual non-performance under French law.

21. George A. Bermann, Etienne Picard Introduction to French Law., Publisher Kluwer Law International, 2012.

22. J. Frank McKenna and Lisa P. Means., Liquidated Damages and Penalty Clauses: A Civil Law versus Common Law Comparison., 2008.

23. Kathryn E. Slanski, The Law of Hammurabi and its Audience, 24 Yale J.L. & Human. 97 (2012).

24. Laurent Karila, Attorney at Law, Paris, France – Karila, Société d'avocats. The Civil Law Concept Of Penalties And The Common Law Concept Of Liquidated Damages http://www.gcila.org/publications/files/pub_en_24.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

25. Martha T. roth., Law Collections from Mesopolamia and Asia Minor. Scholars Press, Atlanta Georgia, 1995.

26. Miguel Civil., The Law Collection of Ur-Namma. Cuneiform Royal Inscriptions and Related Texts in the Schøyen Collection, edited by A.R. George, 2011.

27. Zimmermann R., The Law Of Obligations, 1990.

28. Zimmermann R., *Stipulatio Poenae,* 104 S. African L.J. 399, 1987.

29. Гражданский кодекс Франции, пер. с фран. Захватаева В.Н., М., Берлин, 2012.

30. Карапетов А.Г., Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, 2005.

31. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 2010 წლის 1 მარტის მდგომარებით, თარგმ. ზ ჭეჭელაშვილისა, თბ. 2010.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 1900 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/ (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

32. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, 1804 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

33. სსსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი. 1986 წლის მდგომარეობით; http://www.library.court.ge/upload/Soviet_Regime_Civil_Code.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020).

34. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999. (15.07.2020 წლის მდგომარეობით).

35. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010. (15.07.2020 წლის მდგომარეობით).

36. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 (2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით) <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702 (უკანასკნელად შემოწმებულია – 11.09.2020>>).

37. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის №144-139-2011 გადაწყვეტილება.

38. სუსგ 2015 წლის 7 ოქტომბრის საქმე №ას-459-438-2015.

39. სუსგ 2011 წლის 21 ნოემბრის საქმე № ას-501-477-2013.

40. სუს-ის 2011 წლის 21 მარტის საქმე № ბს-409-406 (კ-10).

41. სუს-ის 2011 წლის 26 დეკემბრის საქმე № ბს-1522-1501 (კ-11).

42. სუს-ის 2012 წლის 17 იანვრის საქმე № ბს-740-734 (2კ-11).[49]

საცნობარო სამართლებრივ სისტემებში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის მათემატიკური მოდელის დამუშავება

Ioseb Kartvelishvili
Tea Todua
Georgian Technical University, Georgia

ნაშრომში წარმოდგენილია საცნობარო სამართლებრივ სისტემებში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებისა და მათი ურთიერთკავშირის მათემატიკური მოდელის დამუშავების პროცესები. განხილულია ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტებში პოტენციურად საშიში სიტუაციების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის საკითხები, განსხვავებული ტიპის ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის დადგენის ამოცანები. ეს ურთიერთკავშირი დამოკიდებულია დოკუმენტების დროის მიხედვით განსაზღვრულ მოქმედებაზე. წარმოდგენილია ის ფაქტორები, რომელთა შესრულება აუცილებელია ამ დოკუმენტებში პოტენციურად საშიში სიტაციების ამოსაცნობად.

საკვანძო სიტყვები: საცნობარო სამართლებრივი სისტემები, ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, პოტენციურად საშიში სიტუაციები, მათემატიკური მოდელი

Development of Mathematical Model for Defining Interrelations among Normative Legal Documents in Legal Reference Systems

Development processes of mathematical model for defining interrelations among normative legal documents in legal reference systems are presented in this article. The results of theoretical and experimental researches of potentially hazardous situations in the normative legal documents and problems of establishing of interrelations of different types of normative legal documents are considered also. These interrelations are depend on the time-defined action of documents. Methods for recognition of potentially hazardous situations are presented.

Keywords: legal reference systems, normative legal documents, potentially hazardous situations, mathematical model

შესავალი

საკანონმდებლო ინფორმაციის კოლოსალური მოცულობა და მისი ცვლილებების დინამიკა, იურისტების, ბიზნესმენების და ნებისმიერი დაინტერესებული პირისგან, იურიდიულ ინფორმაციასთან მუშაობის პროცესში, თანამედროვე მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას საჭიროებს. დღეისათვის ასეთ ინსტრუმენტებად საცნობარო სამართლებრივი სისტემები გვევლინება, რომელთა ძირითადი ამოცანაა მომხმარებელთა განუსაზღვრელი რაოდენობისთვის უტყუარი სამართლებრივი ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდება.

კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში, ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების მიღებისას, მათი ოფიციალურად გამოქვეყნების დროს შესაბამის საცნობარო-სამართლებრივ სისტემებში უმნიშვნელოვანესია ამ დოკუმენტების იურიდიულ-ტექნიკური გაფორმების წესების ზუსტი დაცვა. სამართლებრივი დოკუმენტების ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურა წარმოადგენს რთულ ობიექტს, რომელიც საჭიროებს ახალი მათემატიკური მეთოდების დამუშავებას. ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის მიზანია იმ ახალი მეთოდების გამოვლენა, რომელიც მოწოდებულია აღმოაჩინოს კანონშემოქმედებით საქმიანობაში, სამართლებრივი აქტების იურიდიულ-ტექნიკური გაფორმების პროცესში, კომპიუტერულ საცნობარო-სამართლებრივ სისტემებში პოტენციურად საშიში სიტუაციები, სამართლებრივი კოლიზიები და წინა-აღმდეგობები, ნორმატიული აქტების დუბლირება. აღნიშნული მეთოდი გამოირჩევა ავტომატიზებული ანალიზისა და ურთიერკავშირის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტების გამოყენებით.

ძირითადი ნაწილი

საცნობარო-სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს სათანადო სამართლებრივი ინფორმაციის ფორმირება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სრული და საიმედო ნორმატიული და სხვა სახის ინფორმაციით მომხმარებლის მარტივად და ოპერატიულად უზრუნველყოფა.

ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, შემუშავებულია ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებისა და მათი ურთიერთკავშირის მათემატიკური მოდელი. დეტალურად განვიხილოთ მოდელის ფორმალური ნაწილი. შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები:

პირველ რიგში შევქმნათ ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების მასივი (ერთიანი მონაცემთა ბაზა) $S = \{s_1, s_2, \dots, s_i, .., s_n\}$, სადაც s_i არის მასივის i-ური დოკუმენტი, $i = 1, \dots, n$; n - მასივში არსებული დოკუმენტების საერთო რაოდენობა. დოკუმენტის სტრუქტურა s_i წარმოადგენს მოწესრიგებული ატრიბუტების ნაკრებს $\langle a_{i1}, a_{i2}, .., a_{ik}, R_i \rangle$, სადაც $a_{i1}, a_{i2}, .., a_{ik}$ - არის i-ური დოკუმენტის ინფორმაციული ატრიბუტები (როგორიცაა: დასახელება, ნომერი, მიღების თარიღი და სხვა), ხოლო R_i სპეციალური ატრიბუტია S-ში არსებულ სხვა დოკუმენტებთან კავშირის დასამყარებლად. ყოველი s_i დოკუმენტი შეიძლება დაკავშირებული იყოს (ჰქონდეს ბმული) ნებისმიერი რაოდენობის სხვა დოკუმენტებთან, R_i ატრიბუტი შეიცავს სპეციალური ფორმატის სახით ჩაწერილ ბმულების მასივს, რომლებიც წარმოადგენენ წყვილებს <დოკუმენტის #, ბმულის ტიპი>. დოკუმენტების S სიმრავლე დალაგებულია დოკუმენტის მიღების თარიღის ზრდის მიხედვით.

S დოკუმენტებს შორის არსებობს $L = \{L_{ij}, i, j = 1, \dots, n\}$ ურთიერთკავშირის სისტემა, სადაც L_{ij} არის s_i დოკუმენტის s_j დოკუმენტთან კავშირი. $L_{ij} \in \Lambda = \{\lambda_0, \lambda_1, \lambda_2, \lambda_3\}$. L_{ij} იღებს Λ ტიპის მრავალი კავშირიდან რომელიმე მნიშვნელობას, ამასთან: $L_{ij} = \lambda_0$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც s_i დოკუმენტისათვის ტექსტში არ გააჩნია ბმული s_j დოკუმენტზე, ანუ λ_0 - «ნულოვანი კავშირია». რამდენადაც დოკუმენტის ტექსტში საკუთარ თავზე ბმულის არსებობა შეუძლებელია, ამდენად $L_{ij} = \lambda_0$, ყველა ($\forall_i$= *1,...,n)*-თვის; $l_{ij} = \lambda_1$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც s_i დოკუმენტის ტექსტი შეიცავს მითითებებს s_j დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ესე იგი λ_1 - «შემცვლელი კავშირია»; $l_{ij} = \lambda_2$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც s_i დოკუმენტის ტექსტი შეიცავს მითითებებს s_j დოკუმენტის ძალის დაკარგვის აღიარების შესახებ, ესე იგი λ_2 - «გამაუქმებელი კავშირია»; $l_{ij} = \lambda_3$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც s_i დოკუმენტს თავის ტექსტში გააჩნია შეხსენება s_j დოკუმენტის შესახებ. მაგრამ ამ შეხსენების სემანტიკური მნიშვნელობა არ შეესაბამება არც λ_1 -ს და არც λ_2 -ს. ესე იგი λ_3 თვითნებური ტიპის კავშირია.

ამრიგად, L სიმრავლით იქმნება nXn ზომის კვადრატული მატრიცა, რომლის მთავარი დიაგონალი შეიცავს მხოლოდ λ_0 ელემენტებს. L მატრიცის i-ური სტრიქონი ახორციელებს s_i დოკუმენტის ტექსტში ბმულების ინტერპრეტაციას, სხვა მრავალ S დოკუმენტებზე იმ ნომრით, რომელიც თანაბარია შესაბამისი სვეტის ნომრისა. L მატრიცის j-ური სვეტი ახორციელებს sj დოკუმენტის ტექსტში ბმულების ინტერპრეტაციას, სხვა მრავალ S დოკუმენტების ტექსტებში იმ ნომრებით, რომლებიც სტრიქონის ნომრებს შეესაბამება. შემდგომ ეტაპზე აუცილებელია მოხდეს დოკუმენტების ტიპიზაცია.

ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები ერთმანეთისგან განსხვავდება:

1) სამართლებრივი სივრცის კუთვნილების მიხედვით. აღვნიშნოთ S^R-ით რეგიონალური დონის ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ერთობლიობა; S^1, S^2, S^H-ით რეგიონალური სუბიექტების კანონებისა და დადგენილებების ერთობლიობა, $S^1, S^2, S^H \subset S$, *H* - სუბიექტების რაოდენობაა;

2) მოქმედების ტიპის მიხედვით. ავღნიშნოთ *T*–თი ფუნქცია, რომელიც ფუნქციონირებს S დოკუმენტების ერთობლიობის ყოველი ელემენტისა და $M = \{\mu_1, \mu_2, \mu_3\}$ ელემენტის შესაბამისად. $T(S) \rightarrow \{\mu_1, \mu_2, \mu_3\}$, სადაც μ_1 არის კანონი, რომელიც ახალ სამართლებრივ რეგულირებას ადგენს; μ_2 - კანონი, რომელსაც ცვლილება შეაქვს არსებულ სამართლებრივ რეგულირებაში, მოქმედ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის გზით; μ_3 - კანონი, რომელიც ძალადაკარგულად ცნობს რომელიმე ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს.

კანონშემოქმედებითი პრაქტიკის ზოგიერთ შემთხვევაში, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების ვადის განსაზღვრისთვის, გამოიყება ტექსტში მკაფიოდ გაწერილი მისი ძალაში შესვლისა და მოქმედების შეწყვეტის ვადები. მაგალითად, «კანონიერ ძალაში შედის 01.01.2018 წლიდან» ან «მოქმედი კანონი ძალაში შედის მისი გაზეთში ოფიციალური გამოქვეყნებიდან 10 დღის ამოწურვის შემდეგ და მოქმედებს 2020 წლის 1 იანვრამდე».

ავღნიშნოთ P-თი ფუნქცია, რომლის არგუმენტს წარმოადგენს S ერთობლიობის ელემენტი, ხოლო მნიშვნელობას წარმოადგენს დროის შუალედი, რა დროშიც ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტს გააჩნია კანონიერი ძალა (*P* ფუნქცია არ ითვალისწინებს იმას, რომ ნორმატიულ-სამართლებრივმა აქტმა შეიძლება დაკარგოს ძალა, სხვა აქტის მიღების შედეგად, რომელიც აუქმებს მას). *P(S) →TP**, სადაც *TP** არის ყოველგვარი დროის მონაკვეთების ერთობლიობა, *Ø*-ს ჩათვლით, იმ შემთხვევაში, თუ კანონის ტექსტში არ არის განსაზღვრული მოქმედების ვადები. დროის მონაკვეთ *TP*-ს შემდეგი სტრუქტურა აქვს : $TP = [TP^1, TP^2]$] = [თარიღი, თვე წელი[1], თარიღი, თვე წელი[2]], $TTP^1 < TP^2$. ასევე, შემდგომი გამოყენებისთვის განვსაზღვროთ სპეციალური ფუნქცია *Now()*, რომლის მნიშვნელობად ითვლება ზემოთ აღნიშნულ ფორმატში ჩაწერილი მიმდინარე თარიღი.

ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურა რთული ობიექტია, რომელიც საჭიროებს ახალ, მათემატიკური და თეორიული მეთოდების კვლევას, ავტომატიზაციის პროგრამული საშუალებების შექმნას და კანონშემოქმედებითი და ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერას. ჩამოთვლილი ფაქტორები განსაზღვრავს ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის სტრუქტურის ანალიზისა და ახალი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავების სფეროში კვლევის აქტუალობას, რათა აღმოჩენილ იქნას პოტენციურად სა-შიში სიტუაციები კანონშემოქმედებითი ნორმების შეუსრულებლობის თვალსაზრისით.

პოტენციურად საშიში სიტუაცია ნიშნავს კანონშემოქმედებითი პროცესის წესებისა და ნორმების გაუთვალისწინებლობას, პოტენციურად საშიში კრიტერიუმების საფუძველზე ზოგიერთი დოკუმენტისა და მისი ,,შემოგარენის" ურთიერთკავშირის პოტენციურად საშიში თვისების დადგენას, რაც ნიშნავს კანონშემოქმედებითი პროცესის წესებისა და ნორმების შეუსაბამობას. პოტენციური საშიშროების კრიტერიუმები გულისხმობს წესებს, რომლებიც განსაზღვრულია ექსპერტთა ჯგუფების მიერ იური-დიული დოკუმენტების საფუძველზე ან ემპირიულად, ფორმულირებულია გამოხატვის ფორმით თეორიულ-მრავალმხრივი ლოგიკის ენაზე.

ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებისა და მათი ურთიერთკავშირის მათემატიკური მოდელი საშუალებას იძლევა ფორმალურად განვსაზღვროთ პოტენციურად საშიში დოკუმენტის ,,შემოგარენის" ნაწილები, კანონშემოქმედებითი ნორმების შეუსრულებლობის თვალსაზრისით ლოგიკური გამოხატვის სახით. შემდგომში აუცილებელია განისაზღვროს პოტენციურად საშიში სიტუაციების კრიტერიუმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვყოთ $L^1, L^2, \dots, L^A$ ქვესიმრავლე, L სიმრავლე და $C = \{C_1, C_2, \dots, C_A\}$ – პირობათა სისტემა (კრიტერიუმები). ყოველი კრიტერიუმი $C_a, a = 1, \dots, A$, საერთო ჯამში ეს არის პრედიკატი, რომლის არგუმენტებად ითვლება: S დოკუმენტების სიმრავლე, კავშირის მატრიცა – L და რიცხვები $i, j = 1, \dots, n$, რომელიც s_i და s_j დოკუმენტებს შორის კავშირს იძლევა. L_{ij} კავშირი არის პოტენციურად საშიში C_a კრიტერიუმით და მიეკუთვნება ქვესიმრავლეს $L_a, a = 1, \dots A$, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აკმაყოფილებს C_a კრიტერიუმს:

$$L_{ij} \in L^a \Leftrightarrow C_a(S, L, i, j) = 1, \text{სადაც } L^a \subseteq L, C_a \in C, i, j = 1, \dots, n, a = 1, \dots, A. \quad (1)$$

სხვა სიტყვებით, ყოველი კრიტერიუმი C_a წარმოადგენს პრედიკატს, რომელიც თვითნებურად აკავშირებს L_i-ს პოტენციურად საშიშ L^a კავშირებთან. ანალოგიურადაა დოკუმენტებისთვის: $S^1, S^2, \dots S^B$ ქვესიმრავლე, S სიმრავლე და C' = {C'1, C'2,...,C'B} – პირობათა სისტემა (კრიტერიუმები). დოკუმენტი s_i არის პოტენციურად საშიში და მიეკუთვნება S^b-ს, $b = 1, \dots B$, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აკმაყოფილებს C'_B კრიტერიუმს: $s_i \in s^b \Leftrightarrow C'_b\ (S,L,i,) = 1,\ S^b \subseteq S,\ C'_b \in C',\ i,=1,\dots,n,\ b = 1,\dots,B.$ (2)

ნაშრომის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საკვანძო ეტაპია ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებისა და მათი ურთიერთკავშირის ,,შემოგარენის" პოტენციურად საშიში ელემენტების კრიტერიუმების ლოგიკური აპარატის შემუშავება და ფორმალიზაცია. პოტენციურად საშიში კრიტერიუმების სისტემა მუდმივად განიცდის ევოლუციას და დროთა განმავლობაში ივსება.

ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები წარმოდგენილია სტანდარტული ფორმით, შესაბამისი განმარტებებით, ამონარიდებითა და ბმულებით რეგულირებად ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებზე. ერთ-ერთი კრიტერიუმი ჩაწერილია ორ ფორმატში: ალგორითმული და ფორმალური, ლოგიკური გამოსახულების სახით. შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნა: s_x– შემოწმებას დაქვემდებარებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი.

კრიტერიუმი №1. ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტში ცვლილებების შეტანა, რომელიც თავისივე ტექსტში შეიცავს მითითებას სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ – პოტენციურად საშიშია.

კრიტერიუმი №2. დოკუმენტების ძალადაკარგულად არაღიარება, რომელსაც შეაქვს ცვლილება ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში და რომელმაც თავად დაკარგა ძალა – პოტენციურად საშიშია.

ცალკე პოზიციებად მითითებულია, როგორც თავად საკანონმდებლო აქტი, ასევე ყველა ის საკანონმდებლო აქტი, რომლებშიც ძირითადი საკანონმდებლო აქტის ტექსტით ადრე შეტანილი იყო ცვლილება.

განვიხილოთ ალგორითმი:

1. ყველა l_{xi} ბმულის გადარჩევა, რომლებიც მოცემულია s_x ტექსტში;
2. თუ l_{xi} ბმული λ_2 ტიპისაა, მაშინ:
   2.1. ყოველ s_iდოკუმენტზე l_{yi} ბმულების გადარჩევა;
   2.2. თუ l_{yi} არის λ_1 ტიპის (შემცვლელი), მაშინ:
      2.2.1. λ2 ტიპის l_{xy} ბმულის არსებობის შემოწმება s_x ტექსტში, თუ ბმული არ არსებობს, მაშინ s_x ვლინდება პოტენციურად საშიშად (მის „შემოგარენში" შეიძლება არსებობდეს არასაკმარისი კავშირები).

ჩანაწერს ლოგიკური გამოსახულების ფორმით ექნება შემდეგი სახე:

$$C_1'(S, L, x) = [\exists\, y(l_{xy} = \lambda_2) \wedge \exists z(l_{zy} = \lambda_1 \wedge l_{xz} \neq \lambda_2),\ x, y, z = 1, \dots, n] \quad (3)$$

კრიტერიუმი №3. ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში ბმულის არსებობა ძალადაკარგულ დოკუმენტებზე – პოტენციურად საშიშია.

კრიტერიუმი №4. ნორმატიულ-სამართლებრივ აქტის ტექსტში ტიპი λ_1 (შემცვლელი) ან λ_2 (გამაუქმებელი) ბმულის არსებობა, რომელიც ადგენს ახალ სამართლებრივ რეგულირებას – პოტენციურად საშიშია.

კრიტერიუმი №5. ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტით ძალის დაკარგვა, რომელიც ცვლიდა ან აუქმებდა ნორატიულ-სამართლებრივ აქტებს – პოტენციურად საშიშია.

კრიტერიუმი №6. თავისუფალი ტიპის ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტზე ბმული შეიძლება იყოს პოტენციურად საშიში, თუ შემდგომში იგი შეცვლილი ან გაუქმებული იქნა.

კრიტერიუმი №7. ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტებში ცვლილებების სიმრავლე (გადატვირთულობა) შეიძლება წარმოადგენდეს მისი ახალი რედაქციით გამოცემის საბაბს.

დასკვნა

კანონშემოქმედების განვითარების დინამიკა განაპირობებს საცნობარო-სამართლებრივი სისტემების ფართოდ გამოყენების აუცილებლობას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას საზოგადოების მოთხოვნები სამართლებრივი ინფორმაციის მიღების კუთხით. საცნობარო სამართლებრივ სისტემებში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების უწყვეტი სისტემატური ზრდა განაპირობებს ამ დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის აქტიურად გამოყენების აუცილებლობას, რათა თავიდან იქნას აცილებული პოტენციურად საშიში სიტუაციები კანონშემოქმედებითი ნორმების შეუსრულებლობის თვალსაზრისით, სამართლებრივი კოლიზიები და წინააღმდეგობები. ნაშრომში წარმოდგენილი მეთოდი უზრუნველყოფს მიღებული კანონების სისტემატიზაციას, კანონმდებლობის ინვენტარიზაციისა და მისი მონიტორინგის პროცედურების ეფექტურობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ჩოგოვაძე, ა. ფრანგიშვილი, გ. სურგულაძე. (2017).მართვის საინფორმაციო სისტემების დაპროგრამების ჰიბრიდული ტექნოლოგიები და მონაცემთა მენეჯმენტი, თბილისი.

2. O.Sonia, I.Kartvelishvili, L.Kolbaia. (2013). Visualization and Analysis Inter-Communication of Normative-Legal documents. Georgian International Journal of Science and Technology, Nova Science Publishers, Volume 6, Issues 1, in press.

ევროკავშირის სტრატეგია კონფლიქტების მოგვარებში (სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მაგალითზე)

Vakhtang Maisaia
Miranda Mikadze
Caucasus International University (CIU), Georgia

სამხრეთ კავკასია, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს. 1993 წლიდან ევროკავშირმა მიზნად დაისახა გაემრავალფეროვნებინა თავისი საგარეო ურთიერთობები რეგიონების დახმარებით. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სამხრეთ კავკასიაში გადაუჭრელი კონფლიქტები და საფრთხეების შემსუბუქება გახდა. ჩვენი მოხსენების მიზნია შევისწავლოთ ევროკავშირის კონფლიქტების მოგვარების სტრატეგია სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მაგალითზე კონცეპტუალურ ჩარჩოში. თემის შესასწავლად გამოვიყენებ კვლევის თვისებრივ მეთოდებს, კერძოდ, ლიტერატურის მიმოხილვას, რომლის საშუალებით განვავითარებ კვლევის თეორიულ ჩარჩოს. 2003 წლის უსაფრთხოების სტრატეგიაში, ევროკავშირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან უნდა "მიიღოს უფრო ძლიერი და უფრო აქტიური ინტერესი სამხრეთ კავკასიის პრობლემებისადმი, რომლებიც, რა თქმა უნდა, იქნება მეზობელი რეგიონიც". ევროკავშირმა წარმომადგენელი (SR) დანიშნა სამხრეთ კავკასიაში, რომლის ამოცანას წარმოადგეს ხელი შეუწყოს როგორც კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას რეგიონში, საქართველოში კრიზისისა და მთიან ყარაბაღში კონფლიქტის ჩათვლით, ასევე რეგიონულ თანამშრომლობას. ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკა მოქმედებს სხვადასხვა ინსტიტუტის, განვითარების ხელშეწყობით. რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი იმედოვნებს, რომ მიაღწევს რეგიონულ თანამშრომლობას და დაეხმარება სახელმწიფოებს, თავად მოაგვარონ კონფლიქტები. სამხრეთ კავკასიაში შემავალი სამივე ქვეყანა განსხვავებულ პოლიტიკას ატარებს ევროკავშირის მიმართ და შესაბამისად თითოეული მათგანი განსხვავებულ თანამშრომლობის ფორმას მოითხოვს. ევროკავშირი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ცდილობს შეინარჩუნოს დაბალანსებული მიდგომა ორივე ქვეყანასთან, რომელიც გადაიქცა დაბრკოლებად ევროკავშირისა და აზერბაიჯანის ურთიერთობებში, თუმცა ეს აშკარად განსხვავდება ქართული შემთხვევისგან, სადაც ევროკავშირი არასდროს მალავს თავის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისთვის. 2009 წელს ევროკავშირმა ჩამოაყალიბა აღმოსავლეთ პარტნიორობა(EaP) რადგან გაამყაროს ურთიერთობები აღმოსავლეთ მეზობლებთან, მათ შორის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან. უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა (Common Security and Defence Policy) ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის დანიშნულებაა ევროკავშირის ოპერატიული შესაძლებლობების უზრუნველყოფა სამხედრო და სამოქალაქო საშუალებების გამოყენებით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ქვეყნებში კონკრეტული ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისთვის, ევროკავშირი წარმოადგენს ერთგვარ შემაკავებელ ძალას, რომელიც უზრუნველყოფს საომარი მოქმედებების განუახლებლობას, იმ ადამიანების გატაცებისა და მათზე თავდასხმის პრევენციას, რომლებიც ცხოვრობენ და გადაადგილდებიან ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აქტიურობას ავლენს მხოლოდ ისეთ სიტუაციებში, როდესაც არსებობს კრიზისი და აუცილებელი ხდება დაუყოვნებელივი რეაგირება. მას მოქმედების შეზღუდული უფლებები აქვს საზღვრის მეორე მხარეს, სეპარატისტული რეგიონების შიგნით, თუმცა მისი გავლენა კვლავ ძალიან მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, სამხრეთ კავკასია, უსაფრთხოება, თავდაცვა

EU Conflict Resolution Strategy (On the Example of Regional Security in the South Caucasus)

The South Caucasus is an important region for the European Union due to its geographical location and natural resources. Since 1993, the European Union has aimed to diversify its foreign relations with the help of the regions. One of the regions that the EU has helped a lot with was the South Caucasus. One of the most important issues on the EU's foreign policy

agenda has been unresolved conflicts and threats in the South Caucasus. The purpose of my report is to explore the EU's strategy for resolving conflicts in the conceptual framework of the South Caucasus Regional Security Example. To study the topic, I will use qualitative research methods, in particular, literature review, through which I will develop a theoretical framework for research. In its 2003 security strategy, the European Union stressed that it must "take a stronger and more active interest in the problems of the South Caucasus, which, of course, will be a neighboring region." The European Union (EU) has appointed a representative to the South Caucasus, whose task is to promote a peaceful settlement of conflicts in the region, including the crisis in Georgia and the conflict in Nagorno-Karabakh, as well as regional cooperation. All three countries in the South Caucasus have different policies towards the European Union, and therefore each of them requires a different form of cooperation. The European Union is trying to maintain a balanced approach to the Nagorno-Karabakh conflict between Armenia and Azerbaijan in the Nagorno-Karabakh conflict, which has become an obstacle to EU-Azerbaijan relations. However, this is clearly different from the Georgian case, where the EU never hides its support for Georgia's territorial integrity and sovereignty. In 2009, the EU established the Eastern Partnership to strengthen relations with its eastern neighbors, including the South Caucasus. The Common Security and Defense Policy is an integral part of the EU's foreign policy, which aims to ensure the EU's operational capabilities through the use of military and civilian means. The EU Monitoring Mission in Countries is a specific tool used to prevent conflict and build peace. In the areas surrounding the celestial boundary. The EU Monitoring Mission is active only in situations where there is a crisis and immediate response is needed. He has limited rights to act on the other side of the border, within separatist regions, although his influence is still very important.

Keywords: EU, South Caucasus, security, defense

შესავალი

ევროკავშირი მსოფლიო არენაზე მთავარი მოთამაშეა გლობალური და რეგიონული უსაფრთხიების ინტერესებითა და პასუხისმგებლობებით. ევროკავშირისთვი სტაბილურობა, თვდაცვა და უსაფრთხოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე.

სამხრეთ კავკასიის ევროკავშირში გაწევრიანება საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტსა და ამოცანას წარმოადგენს. 1993 წლიდან ევროკავშირმა მიზნად დაისახა გაემრავალფეროვნებინა თავისი საგარეო ურთიერთობები რეგიონებისა და ქვეყნებისათვის დახმარებების გაწევით. ერთ-ერთი რეგიონი, რომელსაც ევროკავშირმა დიდი დახმარება გაუწია სწორედ სამხრეთ კავკასია იყო, თუმცა ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ყოველთვის რჩებოდა რეგიონის, ანუ სამხრეთ კავკასიის მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის ნაწილად.

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შესწავლა. მისი ამოცანაა გავაანალიზო ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიას შორის არსებული ურთიერთობები და ის ფაქტორები, რომელთა საშუალებითაც ხდება კონფლიქტების პრევენცია. ასევე შევისწავლო რა არის ევროკავშირის მთავარი სტრატეგია და რამდენად ეფექტიანად მოქმედებს კრიზისული ვითარებების მოგვარებაში. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, დოკუმენტების ანალიზი. გავეცანი და შევისწავლე რელევანტური ლიტერატურა. დოკუმენტების ანალიზის ფარგლებში დავამუშავე ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ არსებული ნაშრომები, სამართლებრივი აქტები, ანგარიშები და დოკუმენტები. ასევე კონფლიქტების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

ევროკავშირის თავდაცვა და უსაფრთხოების პოლიტიკა

ცივი ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP), დაფუძნებული მაასტრიხტის ხელშეკრულებაზე (The Treaty of Maastricht (1992)), რომელიც ძალაში შევიდა 1993 წელს და შემდგომში კიდევ უფრო განმტკიცდა ისეთი ხელშეკრულებებით, როგორიცაა

ამსტერდამის ხელშეკრულება (1999), ნიცის ხელშეკრულება (2003) და ლისაბონის ხელშეკრულება (2007). ამ ხელშეკრულებებით ევროკავშირმა საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსიც შეიძინა.

ევროკავშირი კონფლიქტების პრევენციის თვალსაზრისით ძირითადად ე.წ. (Soft Power) „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებს იყენებს, რაც გულისხმობს კონფლიქტურ სიტუაციაში ჩარევას ძალდატანების გარეშე, როგორიცაა პოლიტიკურ დიალოგები, მედეაცია (საშუამავლო საქმიანობა) და სხვა. რადგანაც ევროკავშირი არ არის სამხედრო ორგანიზაცია, ის ძირითადად ორიენტირებულია კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე და არა ტრადიცულ, ძალისმიერ თავდაცვაზე. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მშვიდობის მხარდაჭერა.

ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობა მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ევროკავშირის მისიებში მონაწილეობა, მისიებში მონაწილეობიდან მიღებული გამოცდილების გაზიარება, კიბერუსაფრთხოება, სტრატეგიული კომუნიკაციები, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში საგანმანათლებლო ინსტიტუტების მხარდაჭერა, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

თუმცა, მშვიდობიან მისიასც ესაჭიროება ქმედითუნარიანი სამხედრო პოტენციალის ფლობა და საბრძოლო მომზადება, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში საბრძოლო საქმეში ჩართვის დროს გამოიყენებს. 1998 წელს გამართული სენტ მალოს შეხვედრა ისტორიაში შევიდა, როგორც გადამწყვეტი მომენტი ევროკავშირის საერთო თავდაცვის აღორძინების საქმეში. ევროკავშირს ზოგჯერ ესაჭიროებოდა „ხისტი ძალის“ განვითარებაც. საჭიროებისამებრ, საფუძველი ჩაეყარა ევროპის უშიშროების და თავდაცვისა პოლიტიკას (ESDP), რომლის ფარგლებშიც სამხედრო ოპერაციები ხორციელდება ევროკავშირის სწრაფი რეაგირების ძალების მიერ (Summit, 1998).

უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა (Common Security and Defence Policy) ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის დანიშნულებაა ევროკავშირის ოპერატიული შესაძლებლობების უზრუნველყოფა სამხედრო და სამოქალაქო საშუალებების გამოყენებით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) კონკრეტული ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისთვის, ევროკავშირი წარმოადგენს ერთგვარ შემაკავებელ ძალას, რომელიც უზრუნველყოფს საომარი მოქმედებების განუახლებლობას.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აქტიურობას ავლენს მხოლოდ ისეთ სიტუაციებში, როდესაც არსებობს კრიზისი და აუცილებელი ხდება დაუყოვნებელივი რეაგირება. მას მოქმედების შეზღუდული უფლებები აქვს საზღვრის მეორე მხარეს, სეპარატისტული რეგიონების შიგნით, თუმცა მისი გავლენა კვლავ ძალიან მნიშვნელოვანია.

2003 წლიდან ევროკავშირი გახდა უსაფრთხოების მთავარი აქტორი სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში. ამავე წელს მან დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, წამოიწყო ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) მისია და გამოიყენა კომისიის სწრაფი რეაგირების მექანიზმი "ვარდების რევოლუციის" დემოკრატიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ. მან მოიცვა სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) და 2006 წლის ბოლოს დაიწყეს მოლაპარაკებების სამოქმედო გეგმის შესახებ (Richard , 2010).

ევროკავშირი და სამხრეთ კავკასია

ევროკავშირი განიხილავს სამხრეთ კავკასიას, როგორც კომპაქტურ და ურთიერთდამოკიდებულ ტერიტორიას, რომელიც რეგიონული მიდგომაა. 1991 წელს მათი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან და ამ მიზეზების გათვალისწინებით, ევროკავშირი ჩაერთო სომხეთთან, საქართველოსა და აზერბაიჯანთან უაღრესად კოორდინირებული გზით, სამივე ქვეყანამ ხელი მოაწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას (PCA), რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის ივლისში და ევროკავშირმა ჩამოაყალიბა ევროპული კომისიის რეგიონული დელეგაცია თბილისში, რომელიც ეხება ყველა შესაბამის რეგიონულ საკითხს. რეგიონალი სტაბილურობის მომავალი სამხრეთ კავკასიაში დამოკიდებულია ინტერპრეტაციის სხვადასხვა დონესა და ინტერესთა დელიკატურ ბალანსზე.

კავკასიის სამივე სახელმწიფოს აქვს ძლიერი ევროპული მისწრაფებები და თვითმყოფადობა, რაც აშკარად გამოხატულია მათი პოლიტიკური ელიტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ. ინტეგრაციის უშუალო ნიმუშებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოადგენდა უსაფრთხოების პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნა კონფლიქტებით, რუსეთის ზეწოლა, რეგიონული ძალების შორის კონკურენცია ევროკავშირი - სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის პირველი ეტაპის ინსტრუმენტი იყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებები, რომლებიც 1996 წელს გაფორმდა, 1999 წელს შევიდა ძალაში და 2001 წელს ევროკავშირმა დაადასტურა სურვილი, რომ უფრო აქტიური პოლიტიკური როლი შეესრულებინა სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მოგვარებაში. კავკასია ევროპისთვის მნიშვნელოვანი რეგიონია, რადგან მას აქვს ნავთობი და გაზი, რაც უზრუნველყოფს მარაგი დივერსიფიკაციას, ის აკავშირებს შავსა და კასპიის ზღვას (Alieva, 2006).

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ (2003), შავი ზღვის სინერგიამ (2007) და აღმოსავლეთ პარტნიორობამ (2009) გავლენა იქონია რეგიონის დემოკრატიულ ტრანსფორმაციასა და შიდა კონსოლიდაციაზე და ხელი შეუწყო რეგიონული მოთამაშეების დაახლოებას ევროკავშირთან (გოგოლაშვილი, 2018).

მეცნიერი კახა გოგოლაშვილს თავის ნაშრომში „ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება" განხილული აქვს შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებული მიზნები და ამბიციები, თანამშრომლობის ინსტრუმენტები, მისი პოლიტიკის ნაკლოვანებები და გამოწვევები, ავტორის განმარტებით, რაც ევროკავშირი გახდა საზღვაო აქტორი (2007 წლიდან ბულგარეთისა და რუმინეთის შემოერთების შემდეგ), მისი ინტერესები, რეგიონის სხვადასხვა პრობლემის მოგვარების მხრივ, გაიზარდა. ასევე, მკვლევარი მთავარ გამოწვევებს უკავშირებს გარემოს, მიგრაციას, დასაქმებასა და სოციალურ დაცვას, ეკონომიკურ განვითარებასა და ვაჭრობას, საზღვრისპირა და შიდა დავებსა და რყევებს, ტერორიზმსა და იარაღის გავრცელებას, ნარკოტიკითა და ადამიანებით ტრეფიკინგს, ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ნავიგაციასა და სამხედრო დაპირისპირებას. რეგიონის ქვეყნები მდიდარები არიან ან ბუნებრივი რესურსებით, ან წარმოადგენენ სატრანზიტო ქვეყნებს, რაც მნიშვნელოვანია ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. ისინი ქმნიან სატრანსპორტო დერეფანსა და ხიდს კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონ შორის, რომელიც, ასევე, მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის, ენერგორესურსებით. შავ ზღვაზე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ევროკავშირის მომავალზე (გოგოლაშვილი, 2018).

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტერიტორიაზე სამხრეთ კავკასია იმით გამოირჩევა, რომ პატარა გეოგრაფიულ სივრცეში სამი მოუგვარებელი კონფლიქტია.

თეორიული მსჯელობები კონფლიქტების შესახებ

თანამედროვე სამყაროში კონფლიქტები ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, იგი ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, შესაბამისად არც საზოგადოება და არც ქვეყანა არ არსებობს მის გარეშე, კონფლიქტი ყველა ტიპის მმართველობაში და ყველგან ახდენს გავლენას სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე. თუმცა, ეს განსაკუთრებით მწვავედ გადასატანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან აქ ისედაც მყიფე ინსტიტუტებს არაერთი მიმართულებით უქმნის საფრთხეს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში კონფლიქტის უამრავი განმარტება არსებობს, სპეციალისტები თანხმდებიან, რომ კონფლიქტი წარმოაჩენს პრობლემას, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას. მორტონ დოიჩი მიუთითებს, რომ მხარეებს შორის შეუთვსებლობა წარმოშობს კონფლიქტს (Deutch, 1949). ანატოლ რაპოპორტი კონფლიქტს აკავშირებს კონკურენციასთან. იგი თვლის, რომ ორ ადამიანს ან ორ ჯგუფს შორის კომუნიკაციის დამყარების ზოგადი სირთულე საერთო გამოცდილების არქონაში მდგომარეობს (Rapoport, 1960).

კონფლიქტების წარმოშობის ერთ-ერთი წყარო დაკავშირებულია ძალაუფლებასა და რესურსების არათანაბარ განაწილებასთან. ვებერი აღნიშნავს, რომ ძალაუფლება სოციალურ აქტივობაში გამოხატულ პოტენციალს წარმოადგენს. ბარტონის მიხედვით, ძალაუფლება მოვლენების კონტროლის საშუალებაა. ლაიკერტს მიაჩნია, რომ ძალაუფლება შესაძლებლობას იძლევა ზემოქმედება იქონიოს ქმედებებზე (ჯორბენაძე, 2001).

მიჩნეულია, რომ ბოლო წლებში სახელმწიფოებს დაკარგული აქვთ საყოველთაო კონტროლის ფუნქცია. საჭიროა თითოეული ადამიანი უკეთ ერკვეოდეს კონფლიქტის არსში, რათა მოახერხოს სირთულეების დაძლევა და გააცნობიეროს მიმდინარე პროცესებზე საკუთარი პასუხიმგებლობა. შეუძლებელია ნებისმიერ საზოგადოებაში, ან ქვეყანაში სრულიად მოისპოს კონფლიქტები, თუმცა, შესაძლებელია მათი მართვის შესწავლა სახელმწიფოს სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის. ასევე, აუცილებელია, შევძლოთ კონფლიქტში არსებული დესტრუქციული მოვლენების კონსტრუქციულად გადაქცევა (ასათიანი, ბერეკაშვილი, მშვიდობაძე, & ნიჟარაძე, 2000).

სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები გახდა ევროპასთან ინტეგრაციის სტიმულის მომცემი ძალა. 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომმა განსაკუთრებით განაპირობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დაახლოვება ევროკავშირთან.

დასკვნა

დღემდე მსოფლიოში ევროკავშირმა სტაბილიზაციისა და მშვიდობისთვის არაერთი მშვიდობიანი ოპერაცია ჩაატარა. ევროკავშირის მიერ განხორციელებულ კრიზისების მართვაში მონაწილეობა შეუძლიათ არამარტო იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირის წევრნი არიან, არამედ იმ ქვეყნებსაც რომლებიც არ შედიან ევროკავშირის შემადგენლობაში. ევროკავშირის მისიებში მონაწილეობით იზრდება სამხედრო პერსონალის პროფესიული შესაძლებლობები და თავსებადობა ევროპის ქვეყნების შეიარაღბულ ძალებთან.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობები და სტრატეგიები ემხრობა არაფორმალურ დიალოგს და პრობლემების გადაჭრის გზებზე შეთანხმებებს. რაც მიზნად ისახავს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენას.

ბიბლიოგრაფია

Alieva, L. (2006). *EU and South Caucasus.* CAP Discussions Paper.

Buzan, Barry; Kelstrup, Morten; Lemaitre, Pierre; Tromer , Elzbieta; Wæver, Ole. (1990). *The European Security Order Recast.* London: Pinter.

CEPS. (2007 წლის March). დაბრუნებული https://ketlib.lib.unipi.gr/xmlui/bitstream/handle/ket/463/EU's%20Unrecognised%20Neighbours.pdf?sequence=3&isAllowed=y-დან

Counci, European. (2014 წლის FEBRUARY). *The European Council 2013.* დაბრუნებული www.european-council.europa.eu: https://www.consilium.europa.eu/media/21303/qcao13001enc.pdf-დან

Deutch, M. (1949). *A Theory of Co-operation and Competition.* Human relations.

EUMM - European Union Monitoring Mission in Georgia. (2020). *EUMM - European Union Monitoring Mission in Georgia*. დაბრუნებული https://www.eumm.eu/ge/about_eumm/hom&btnSubmit=Pesquisar/?print=yes-დან

European Commission. (2016 წლის 30 November). დაბრუნებული https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_16_4088-დან

European External Action Service. (2018 წლის 3 May). *European External Action Service*. დაბრუნებული /eeas.europa.eu: https://eeas.europa.eu/-დან

European Union. (2018 წლის 19 November). A stronger EU on security and defence. Brussels, Belgium.

European Union Monitoring Mission. (August წლის 2008). *EUMM*. დაბრუნებული EUMM: https://eumm.eu/data/image_db_innova/EUMM-დან

Fischer, S. (2009). The European Union and security in the Black Sea region after the Georgia crisis. *Southeast European and Black Sea Studies*.

Grevi, G. (2007). *The EU Special Representative for South Caucasus.* European Union Institute for Security Studies (EUISS).

Grevi, G., helly, D., & Keohane, D. (2009). *European Security and Defence Policy THE FIRST 10 YEARS (1999-2009).* Paris: EU Institute for Security Studies and printed in Condé-sur-Noireau (France) by Corlet Imprimeur, Graphic design by Metropolis (Lisboa) .

Hugh Miall. (2001). Conflict transformation: A multi-dimensional task. Berlin.

Jafarova, E. (2011). EU Conflict Resolution Policy Towards the South Caucasu. *THE QUARTERLY JOURNAL*.

Kaunert , C., & Wertman, O. (2019). *Counter-terrorism cooperation.* NATO Defense College.

Martin, Q., & Sophia, B. (2020). *The Challenges Ahead for EU Defense Cooperation.* German Marshall Fund of the United States.

Melander, Erik ; Pigache, Claire ;. (2007). *Conflict Prevention: Concepts and Challenges.* Austrian: Austrian National Defence Academy.

MITCHELL, C. (1981). *The Structure of International Conflict.* Palgrave Macmillan UK.

North Atlantic Treaty Organization. (2018 წლის 10 Jul). *Joint Declaration on EU-NATO Cooperation*. დაბრუნებული North Atlantic Treaty Organization: www.nato.int-დან

Radio Free Europe/Radio Liberty. (2008 წლის 26 August). დაბრუნებული https://www.rferl.org/a/Russia_Recognizes_Abkhazia_South_Ossetia/1193932.html-დან

Rapoport, A. (1960). *Game Theory as a Theory of Conflict Resolution.* u.s.a.: University of Toronto.

Richard , G. (2010). The EU as a conflict manager? *Oxford University Press on behalf of the Royal Institute of International*, 87-107.

Simão, L., & Raquel Freire, M. (2008). THE EU'S NEIGHBORHOOD POLICY AND THE SOUTH CAUCASUS:. *CAUCASIAN REVIEW OF INTERNATIONAL AFFAIRS*.

Solana, Javier. (2009). *EUROPEAN SECURITY STRATEGY.* Belgium: European Communities.

Summit, B.-F. (1998 წლის 3-4 December). *cvce.* დაბრუნებული cvce.eu: https://www.cvce.eu/obj/franco_british_st_malo_declaration_4_december_1998-en-f3cd16fb-fc37-4d52-936f-c8e9bc80f24f.html-დან

The Treaty of Maastricht (1992). (თ. გ.).

Union, C. o. (2003 წლის 12 December). *European Security Strategy, A Secure Europe in a Better World* . დაბრუნებული https://www.cvce.eu/content/publication/2004/10/11/1df262f2-260c-486f-b414-dbf8dc112b6b/publishable_en.pdf-დან

Union, E. (2014 წლის 30 August). *Official Journal of the European Union.* დაბრუნებული https://eur-lex.europa.eu/: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN-დან

Газета "Коммерсантъ". (2008 წლის 15 August). *Эдуард Кокойты: мы там практически выровняли все*. დაბრუნებული https://www.kommersant.ru/doc/1011783-დან

Ольга Буторина. (2011). *Европейская интеграция.* москва: Европейская интеграция.

ასათიანი, თ., ბერეკაშვილი, დ., მშვიდობაძე, რ., & ნიჟარაძე, გ. (2000). *როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები.*- ში თბილისი: კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი.

გაბრიჩიძე, გაგა. (2012). *ევროპული კავშირის სამართალი.* თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი.

გოგოლაშვილი, კ. (2018). *ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება* . თბილისი: საქართველოს სტარატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

ევროპის, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ასამბლეა (EZBO) / დასავლეთ. (2011 წლის 8 Mart).

თორნიკე ზურაბაშვილი. (2016). *ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების.* თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი .

კაპანაძე, სერგი. (2006). *ევროკავშირის პოლიტიკა.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

კენეთ ნ. უოლცი. (2003). *ადამიანი, სახელმწიფო და ომი.* თბილისი: ჯისიაი.

მაისაია, ვახტანგ; მაღრაძე, გუგული. (2017). *21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრტხოების" თოერია : მითი და რეალობა რეგიონალური და გლობალური ასპექტები.* თბილისი: უნივერსალი.

მინისტრი, საქართველოს საგარეო საქმეთა. (2014 წლის 11 სექტემბერი). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* დაბრუნებული matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0-დან

სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის. (თ. გ.). *საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.* დაბრუნებული mod.gov.ge: https://mod.gov.ge/ge/page/39/tanamshromloba-evrokavshirtan?fbclid=IwAR1qtu2MINzfT38RH8cD9n-lO0lUmgYVzA8QnsYVIqnvRBFZpq78cXWl-kE-დან

საქართველოს პარლამენტი. (2016 წლის 1 ივლისი). *parliament.ge.* დაბრუნებული http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/78447/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text-დან

ცენტრი, საქართველო და ევროკავშირი საინფორმაციო. (თ. გ.). *საინფორმაციო ცენტრი.* დაბრუნებული http://infocenter.gov.ge/45-struqtura.html-დან

ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. 72-73.

„საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაცია, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი ღირებულება“

Khatuna Iarghanashvili
PhD Student, Georgian Technical University
Otar Bagaturia
Georgian Technical University

ბელორუსში მიმდინარე მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა ხელისუფლების და საზოგადოების ორმხრივი კომუნიკაციის მნიშვნელობა, აგრეთვე კომუნიკაციის უგულვებელყოფით გამოწვეული საფრთხეები არა მხოლოდ საზოგადოებისთვის, არამედ მთლიანობაში ქვეყნისთვის და პირველ რიგში სწორედ მოქმედი ხელისუფლებისთვის. საჯარო მართვას საფუძვლად უდევს პოლიტიკური კონტექსტი- ვალდებულება დემოკრატიული იდეალებისა და ტრადიციების მიმართ. დემოკრატიულ საზოგადოებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი საზოგადოებრივი ძალების, ფენების და ინტერესთა ჯგუფისა მონაწილეობას მოითხოვს. თუმცა ორმხრივი კომუნიკაცია მნივნელოვანია არა მხოლოდ დემოკრატიული, არამედ ნებისმიერი რეჟიმის ქვეყნებისა, პირველ რიგში საკუთრივ რეჟიმებისთვის და მოქმედი ხელისუფლებისთვის. საკანონმდებლო ხელისუფლება, ამომრჩევლის ანუ საზოგადოების სახელით გამოსცემს კანონებს, აყალიბებს ქვეყნის განვითარების მიმართულებებს, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება, ადმინისტრაცია მათ ასრულებს. მიღებულის გადაწყვეტილებების შესრულებასა და შესრულების ეფექტიანობაზე, ასევე მათ შედეგზე, პასუხისმგებელია ხელისუფლება, ხოლო შეფასება ხდება საზოგადოების, ამომრჩევლის მიერ. საჯარო უწყებების მხრიდანორმხრივი კომუნიკაციის უგულებელყოფა აღნიშნული პროცესების ეფექტიანად განხორციელებას უშლის ხელს. მოქალაქეებმა საჯარო დაწესებულებების საქმიანობასა და სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღონ. რისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია,საჯარო დაწესებულებებში არსებობდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა, საკომუნიკაციო სტრატეგიები, ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება განხორციელებულ, ანდა განსახორციელებელ პროექტებზე, ასევე მუდმივად ხდებოდეს კვლევა, თუ როგორია ამა თუ იმ პროექტისადმი საზოგადოების დამოკიდებულების პროგნოზი და არის თუ არა კონკრეტული პროექტი საზოგადოების მოთხოვნებთან თანხვედრაში. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველო კვლავ დგას მრავალი გამოწვევის წინაშე, პირველ რიგში ეს ეხება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთნდობის ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალე, ღია მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას. საზოგადოების ინფორმირებულობა მმართველობის სისტემის გამართულობის ინდიკატორიცაა და კატალიზატორიც, რაც მნიშვნელოვანია პოსტსოციალისტურ ტრანსფორმაციაში მყოფი საქართველოსთვის. ამიტომაცხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა, რაც განაპირობებს დემოკრატიზაციას.ამდენად დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დაცვა გულისხმობს საჯარო, სახელმწიფო სამსახურებში საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას. საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მმართველობის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, თავადვე განსაზღვრავს სახელმწიფოში დემოკრატიის ხარისხს, ხელს უწყობს საზოგადოების დემოკრატიულ და ჰარმონიულ განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტური პრინციპების: ღიაობის, გამჭვირვალეობისა და ანგარშვალდებულების განმტკიცებას. საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის უგულვებელყოფის საფრთხეები თვალნათივ წარმოაჩინა ბელორუსში მიმდინარე მოვლენებმაც.

საკვანძო სიტყვები: ორმხრივი ურთიერთობა, დემოკრატია, საზოგადოება, მთავრობა

“Bilateral Communication With the Public as One of the Values of Democracy”

The current events in Belarus have made clear the importance of two-way communication between the government and the public, as well as the dangers posed by neglecting of the communication not only to the public but also to the country as a whole and to the current government especially. Public administration is based on a political context - a commitment to democratic ideals and traditions. In a democratic society, the decision-making process requires the participation of

community forces and interest groups. Bilateral communication, however, is important not only for democratic country but also for countries of any regime, first and foremost for their own regimes and for the current government. The legislature issues laws on behalf of the electorate or the public, sets the direction for the development of the country, and the executive, the administration, implements them. The government is responsible for the implementation of the decisions made and the effectiveness of the implementation, as well as their results, and the evaluation is done by the society, the voters. The neglect of two-way communication by public agencies hinders the effective implementation of these processes. Citizens should receive comprehensive information about the activities and services of public institutions. It is very important for public institutions to have a public relations action plan, communication strategies, to provide information on implemented or to be implemented projects, as well as to constantly research what is the forecast of the public attitude towards this or that project and whether a specific project meets the requirements of the society. Georgia, which is in the process of post-socialist transformation, still faces many challenges, first of all, it is about raising the level of mutual trust between the state and the society, establishing the principles of transparent, open governance. Public awareness is both an indicator and a catalyst for the functioning of the system of government, which is important for a post-socialist Georgia. That is why the government must ensure the involvement of the society, which leads to democratization. Thus, the observance of the principles of democratic governance implies the development of public relations in public and state services. The public relations system, as the most important institution of a democratic state and socio-political governance, determines the degree of democracy in the state, promotes the democratic and harmonious development of society and strengthens the fundamental principles of civil society: openness, transparency and accountability. The current events in Belarus have also exposed the dangers of neglecting two-way communication with the public.

Keywords: Bilateral communication, democracy, society, government

შესავალი

ბელორუსში მიმდინარე მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა ხელისუფლების და საზოგადოების ორმხრივი კომუნიკაციის მნიშვნელობა, აგრეთვე კომუნიკაციის უგულვებელყოფით გამოწვეული საფრთხეები არა მხოლოდ საზოგადოებისთვის, არამედ მთლიანობაში ქვეყნისთვის და პირველ რიგში სწორედ მოქმედი ხელისუფლებისთვის.

საჯარო, პოლიტიკური მმართველობის პროცესი მოიცავს მთელს საზოგადოებას/საზოგადოებრივ ურთიერთობებს ზოგადად (Public Affairs).
არსებობს მოსაზრება, რომ დღესდღეობით ვერ ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა იდენტიფიკაცია, ვერ ხდება საზოგადოებრივი რესურსების დროული და ეფექტიანი მიწოდება.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ დემოკრატია გულისხმობს პოლიტიკურ სისტემას, რომელშიც უნდა ბატონობდეს საზოგადოება და მაქსიმალურად რეალიზებული იყოს მისი შემადგენელი ჯგუფების მრავალფეროვანი ინტერესები. აქ ადამიანი ყველაფრის საზომია, თუმცა ცხადია, რომ ამ განსაზღვრების ფარგლებში დემოკრატიის სხვადასხვა გაგება მოიაზრება. კონტროლის თვალსაზრისით, დემოკრატია არის სისტემა, რომელშიც საზოგადოების უმრავლესობა აკონტროლებს პოლიტიკურ ლიდერებს.
სახელმწიფო, საჯარო მმართველობის დაწესებულებები საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გარეშე დემოკრატიულ პრინციპებს ვერ განახორციელებს. წინააღმდეგ შემთვევაში მივიღებთ არაფუნქციონალურ დემოკრატიას, რაც პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველოს მაგალითზე მკაფიო და ადვილად დასანახია.

ადამიანი ამოსავალი წეტილი უნდა იყოს დემოკრატიულ პროცესებში და დემოკრატიის ძირითადი ღირებულებები: ინდივიდუალიზმი, თანასწორობა და თავისუფლება სწორედ ადამიანის მიმართებაში არსებობს და განიხილება. თანასწორობის იდეის მიხედვით ყოველი პიროვნება უნდა განვიხილოთ, როგორც მიზანი და არა როგორც საშუალება. ყველა ზემოხსენებულის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ღია, ეფექტიანი და ორმხრივი კომუნიკაციია ნიადაგზე.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მაქსიმალური ღიაობა ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის მთავარი პრინციპია. ეს პრინციპი არის ინფორმაციის თავისუფლების ფუძემდებლური პრინციპი,რომელიც საუკეთესო შემთხვევაში კონსტიტუციით უნდა იყოს აღიარებული, რადგან მნიშვნელოვანია ნათელი გახდეს, რომ ინფორმაციის თავისუფლება ძირითადი უფლებაა. კანონმდებლობის ძირითადი მიზანი უნდა იყოს მაქსიმალური ღიაობის პრაქტიკაში დანერგვა.

საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი უნდა იყვნენ, გამოაქვეყნონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ინფორმაციის თავისუფლება უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. კერძოდ, საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მნიშვნელოვანი და ხალხისთვის საინტერესო დოკუმენტების გამოქვეყნება და ფართოდ გავრცელება.

ღია მმართველობის დამკვიდრება - კანონმდებლობა, როგორც მინიმუმ, უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებისათვის განათლების მიწოდებას ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ინფორმაციის მასშტაბი, რომელიც ღია და ხელმისაწვდომია, ასევე ამ ინფორმაციის მიღების პროცედურა და ფორმები.

სახელმწიფო ორგანოები მოტივირებულნი უნდა იყვნენ გადაწყვიტონ ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები. ამ გზაზე მათი უმთავრესი მოპასუხე საზოგადოებაა, რომლის ფორმირება ცალკეულ ჯგუფებად მიმდინარეობს. ამ ჯგუფებს მიზანმიმართული ინტერესები გააჩნიათ, სწორედ ამ ინტერესთა რეალიზაციაში ხორციელდება სახელმწიფო პოლიტიკა.

ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოქალაქეებთან თავისი პოლიტიკის ღიად და გულწრფელად კომუნიკაციას, რათა ისინი უფლებამოსილი გახადოს და ამასთანავე მათი ნდობა მოიპოვოს. ამ მხრივ ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების გამოყენება მეტად გამოსადეგია, აძლევს რა ხალხს ინფორმაციაზე უფრო იოლ წვდომას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობას.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველო კვლავ დგას მრავალი გამოწვევის წინაშე, რომლებიც სასამართლო სისტემის განვითარებას, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, ეფექტიან ადგილობრივ მმართველობას, გენდერული თანასწორობის მიღწევას, მედიის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდება. დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე საქართველომ უნდა გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტები და გაზარდოს ხელისუფლების ყველა შტოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. ეს ყოველივე კი შესაძლებელია მხოლოდ საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ღია, ეფექტიანი და ორმხრივი კომუნიკაციის პირობებში.

საჯარო მართვას საფუძვლად უდევს პოლიტიკური კონტექსტი- ვალდებულება დემოკრატიული იდეალებისა და ტრადიციების მიმართ.

დემოკრატიულ საზოგადოებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მრავალი ჯგუფისა და ინდივიდის მონაწილეობას მოითხოვს.

მთავრობა გამოსცემს კანონებს, ჩამოაყალიბებს ქვეყნის განვითარების მიმართულებებს, ხოლო ადმინისტრაცია მათ ასრულებს- ესაა სახელმწიფო მართვის მთავარი ფუნქცია.
ორმხრივი კომუნიკაციის უგულებელყოფა საჯარო უწყებების მხრიდან საზოგადოებასთან მიმართებაში ზემო აღნიშნული საკითხების ეფექტიანად განხორციელებას ეწინააღმდეგება. მოქალაქეებმა საჯარო დაწესებულებების საქმიანობასა და მათ მიერ , მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით დანერგილი სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღონ. მეტად მნიშვნელოვანია,საჯარო დაწესებულებებში არსებობდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა, საკომუნიკაციო სტრატეგიები, ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება განხორციელებულ, ანდა განსახორციელებელ პროექტებზე, ასევე მუდმივად ხდებოდეს კვლევა, თუ როგორია ამა თუ იმ პროექტისადმი საზოგადოების დამოკიდებულების პროგნოზი და არის თუ არა კონკრეტული პროექტი საზოგადოების მოთხოვნებთან და სურვილებთან თანხვედრაში.

როდესაც იწყება საუბარი დემოკრატიული მმართველობის შესახებ, რაც ითვალისწინებს საზოგადოების გარკვეული ჯგუფისათვის ხალხის მიერ მმართველობის გადაცემას ანუ ხელისუფლების დელეგირებას თავისუფალი არჩევნების გზით, ბუნებრივია საზოგადოებაში ჩნდება მოთხოვნილება მთავრობასთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, სამართლიანობის, ღიაობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების პრინციპზე და ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობაზე. სწორედ ამ ურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ ლაკმუსს და ბარომეტრს დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრისათვის. დღეს საქართველოში PR-ის მიმართ მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს საზოგადოებრივი განწყობილების თვალსაზრისით. მიზეზი მეტად სერიოზულია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან PR-ის როგორც მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენის, საზოგადოების ინტერესების სრული იგნორირებისა და მისი ცნობიერების მანიპულირების ხარჯზე. ჩვენმა საზოგადოებამ ვერ შეიგრძნო PR-ის საქმიანობიდან ურთიერთსასარგებლო შედეგი. ვერ შეიგრძნო მისთვის სასიცოცხლო ინტერესების გადაწყვეტისა და კეთილდღეობისთვის PR-ის გამოყენების მიზანშეწონილობა და სარგებელი, რაც PR-ის, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების უპირველეს დანიშნულებას წარმოადგენს. დასკვნა ერთია: დღევანდელ ქართულ რეალობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სფერო ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება როგორც დემოკრატიული ინსტიტუტი, ქართულ საზოგადოებას არა აქვს სწორი, ობიექტური და სრული ინფორმაცია ამ ინსტიტუტის არსსა და მნიშვნელობაზე, ჯერ კიდევ ძალიან სუსტია PR მენეჯერთა ანუ ამ დარგის საზოგადოებასთან დამაკავშირებელ სპეციალისტთა მომზადების დონე, კვალიფიკაცია, გამოცდილება.

საქართველო განვითარების გზაზე მყოფი ტრანსფორმაციაში მყოფი ქვეყანაა, რომლის ხელისუფლებებიც ცდილობენ ქვეყნის და დემოკრატიის განვითარებას, თუმცა საკითხავია, რამდენად იცავს, რომელიმე ხელისუფლების (ძველის თუ ახლის) წარმომადგენელი დემოკრატიის იმ მნიშვნელოვან პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება თავად დემოკრატიული მმართველობა. საკამათო საკითხია ხელისუფალთა დემოკრატიული განზრახვები იმ პირობებში, როდესაც ერთი მხრივ , წინა ხელისუფლება (ნაციონალური მოძრაობა) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დემოკრატიის პრინციპის PR-ის უტრირებას ახდენს, ხოლო დღევანდელი (ქართული ოცნება) ამ მმართველობის მნიშვნელოვან ბერკეტს უგულვებელყოფს, მაშინ როდესაც ეს მეცნიერება, წარმოადგენს მმართველობის შემაჯამებელი უკუკავშირის, რგოლის მთავარ ნაწილს.

საზოგადოების ინფორმირებულობა და მისი აზრის მნიშვნელობა ქვეყნის საჯარო მმართველობის სისტემის სრულყოფაში დიდ როლს თამაშობს, საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდი ჯერ კიდევ არ აქვს დასრულებული და ცდილობს დამოუკიდებულობის აღდგენის შემდეგ განვითარდეს, როგორც დემოკრატიული, სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო, სწორედ ამიტომ საჯარო უწყებები და მთავრობა უნდა უზრუნველყოფდეს PR-ის სწორი გამოყენებით საზოგადოების ისეთ ჩართულობას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში, რომლებიც მისცემს საქართველოს მთავარი მიზნის მიღწევის საშუალებას-საბოლოოდ ჩამოყალიბდეს დემოკრატიულ სახელმწიფოდ. აუცილებელია მოხდეს დემოკრატიული მმართველობის ყველა პრინციპის დაცვა. სახელმწიფო, საჯარო სამსახურებში საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება კი ამის მისაღწევად ერთ -ერთ მთავარ წინაპირობად შესაძლოა ჩაითვალოს.

ნაციონალურმა მოძრაობამ, ხელისუფლებაში ყოფნის დროს PR-ის მთავარი არსი საზოგადოებასთან კომუნიკაციისა უგულვებელყო და დაიწყო ყველასთვის კარგად ნაცნობი ფასადური გამოსვლები და ქმედებები, რომლებიც არ ისახავდა მიზნად ხალხთან ურთიერთობას, მოვალეობის მოხდის მიზნით კეთდებოდა ხმამაღალი განცხადებები და ხალხის მოკლევადიანი აღფრთოვანების გამოწვევა, თითქოს ქვეყანაში აბსოლუტურად ყველაფერი რიგზეა და თუკი რაიმე არაა ასე ,მოხდება მისი დაუყოვნებლივი ან ეტაპობრივი გამოსწორება. გარკვეული პერიოდის მანძილზე ამ პროპაგანდისტულ, პოპულისტურ ქმედებებს მათთვის სასურველი შედეგი მოჰქონდა და საზოგადოება თითქოს იჯერებდა იმ ყოველივეს, რაც ისმოდა პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლებისას, ხოლო ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოება უცვლელად მიჰყვებოდა მის პროპაგანდას. ამგვარმა ილუზიამ ნაციონალურ მოძრაობას,

გარკვეული თვალსაზრისით, თავად დააკარგვინა რეალობის შეგრძნება და ის საკუთარი პროპაგანდის მსხვერპლი გახდა. საზოგადოებას მობეზრდა ე. წ. PR, ანუ პროპაგანდა, გაჩნდა განცდა იმისა, რომ ახალმოდური, დასავლური ტერმინი PR ანაცვლებდა ძელმოდურ საბჭოურ პროპაგანდას.

იყო პოლიტიკოსი ნიშნავს იმას, რომ იყო კარგი კომუნიკატორი და არა უბრალოდ კარგი სფიქერი ან ორატორი, მითუმეტეს როდესაც ქმედება და საუბარი თანხვედრაში არაა. ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაცია სრულყოფილია მაშინ, როდესაც ის ორმხრივია და შეიცავს უკუკავშირის რგოლს, რაც ნაციონალურ მოძრაობას სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ სრულებით არ აინტერესებდა. მათი მთავარი მიზანი იყო რეალური მოვლენებისგან ყურადღების მაქსიმალური გადატანა.ასეთმა ქმედებებმა გამოიწვია საბოლოოდ ხალხის აღელვება და პროტესტი, რომელმაც სავალალო შედეგი გამოიღო ნაციონალური მოძრაობისათვის და რაც ყველაზე ცუდია, მოხდა PR მნიშვნელობის დაკნინება და უკვე დღეს მისი უგულვებელყოფა, რაც ასევე ნაგატიური და არაპროდუქტიულია სახელმწიფოსთვის, მისი დემოკრატიული განვითარებისთვის.

როდესაც ვსაუბრობთ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდზე და საზოგადოებასთან ურთიერთობის მათ მეთოდებზე არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ შესაძლოა სწორედ PR-ის არასწორმა წარმოჩენამ გადაწყვიტა დღევანდელი ხელისუფლების პროტესტი ტერმინის და მისი შინაარსის მიმართ. დამოკიდებულებით, რომ გაკეთებული საქმეები იმეტყველებდნენ პოლიტიკოსების ნაცვლად და ხალხი სიკეთეს და დადებით ძვრებს ქვეყნის განვითარებაში ისედაც დაინახავდა, სამწუხაროდ, არ მართლდება და რაც კიდევ შეიძლება ითქვას, რომ მეტად არასახარბიელო შედეგის მომტანია. ქართული ოცნების წარმომადგენლებიდან თითქმის არავინ ცდილობს ამ საკითხის გამოსწორებას, რაც ლოგიკურად საზოგადოებასთან ინტენსიურ, ორმხრივ კომუნიკაციის დეფიციტზე მიუთითებს. მაშინ როდესაც, PR საჯარო მმართველობაში ხალხის ძალაუფლების დასამტკიცებელი, ხელისუფლების ლეგიტიმაციის, ხალხის ნდობისა და დემოკრატიის მშენებლობის საშუალებაა. ამ ყოველივეს ფონზე, კი ქართული ოცნების ხელისუფლების მოსვლის შემდგომ პრესსამსახურებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტებში დასაქმებულთა რიცხვი უფრო და უფრო იზრდება-*„საერთაშორისო გამჭვირვალობა“-ხელისუფლების პიარ ღონისძიებებისა და რეკლამის მზარდი ხარჯები* [1]: „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხშირად ახსენებდნენ იმ ფაქტს, რომ მათი სტრატეგია საზოგადოებასთან ურთიერთობაში სუსტი იყო, რადგან მათ ვერ მოახერხეს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ინფორმირმაციის მიმოცვლა, მოეპოვებინათ ნდობა და რეპუტაცია.
2013 წლიდან 2017 წლამდე მმართველმა გუნდის წარმამადგენლებმა დაიწყეს აქტიური კამპანია საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, რასაც ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ მიერ წარმოადგენილი ***ანგარიში*** ხელისუფლების პიარ ღონისძიებებზე, პრესსამსახურში დასაქმებულთა ანაზღაურებასა და რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

2013 წლიდან 2017 წლამდე საჯარო უწყებებმა პიარ აქტივობებსა და რეკლამაში ჯამში **98 480 000 ლარზე მეტი** დაიხარჯა.

2017 წელს პიარ მომსახურებასა და სარეკლამო ხარჯებზე გაწეული დანახარჯები 26 338 659 ლარს მიაღწია, ხოლო 2012 წელს ამ მიმართულებით დახარჯულ თანხა 12 171 355 ლარი იყო. თუ მონაცემებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ **2017 წელს 2012 წელთან შედარებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო უწყებების პიარისა და სარეკლამო დანახარჯებზე გაწული თანხა 2-ჯერ გაიზარდა.**

რეკლამასა და პიარ ღონისძიებებში დახარჯულმა თანხამ, საარჩევნო 2016 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია და 28 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

1 „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო „ - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში 2000 წლიდან ეწევა აქტიურ საქმიანობას. ის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მოძრაობის ერთ-ერთი ეროვნული ბიუროა. ზოგადად
„საერთაშორისო გა„ჭვირვალობა“ ბერლინში მდებარე სამდივნოს და 90-ზე მეტი დამოუკიდებელი ეროვნული ბიუროს მეშვეობით მოღვაწეობს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ეროვნულ დონეზე საერთაშორისო გამჭვირვალობის ბიუროები ემსახურებიან ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდას, ახდენენ ქვეყანაში არსებული მთავარი ინსტიტუტების მონიტორინგს და კორუფციის აღმოსაფხვრელად საჭირო რეფორმებს ადვოკატირებენ.

შეგახსენებთ, რომ 2016 წელს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არასამთავრობო სექტორი და პოლიტიკური ოპოზიცია პიარ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ზრდას, საპარლამენტო არჩევნების პერიოდს უკავშირებდნენ და ამბობდნენ, რომ ხელისუფლებამ მაქსიმალურად მოახდინა საბიუჯეტო სახსრების მობილიზება.

პიარ ღონისძიებებისა და რეკლამაზე გაწეული თანხების გარდა, 2012 წლიდან 2017 წლამდე პრესსამსახურში დასაქმებულთა თანამშრომლების რაოდენობაც და ანაზღაურებაც გაიზარდა.

"ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით პრესსამსახურებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა (საშტატო/შტატგარეშე) 220 თანამშრომლით გაიზარდა.

(*სტატისტიკის* მიხედვით, 2012 წელს მათი რაოდენობა 423 შეადგენდა, ხოლო 2017 წელს – 643 თანამშრომელი მუშაობდა). ეს კი ნიშნავს, რომ 2012 წლის მონაცემთან შედარებით 2017 წელს პიარში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა 52 %-ით გაიზარდა."

როგორც არა ერთხელ აღინიშნა ტერმინი PR არასწორად განიმარტა და დამოკიდებულებაც საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი გახდა ნეგატიური და მიუხედავად იმისა, რომ დღესაც კი, როდესაც არც თუ ცოტაოდენ ინფორმაციას ფლობს საზოგადოება, მაინც არის სადავო საკითხები PR-ის პოლიტიკაში და საჯარო სივრცეში ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რადგან მისი ფასადური გაგების და აღქმის აღმოფხვრა არავის უცდია საჯარო პირების მხრიდან, იმისათვის რომ ახსნილიყო მისი რეალური მნიშვნელობა და რაც მთავარია განსხვავება პროპაგანდისაგან, ახალმა ხელისუფლებამ უბრალოდ ის უგულვებელყო, თითქოს უარი თქვა PR- ზე ანუ პოლიტიკისა და პოლიტიკოსის ლეგიტიმაციისა და სანდოობის იარაღსა და ბერკეტზე, კომუნიკაციაზე, რომელიც გაამყარებდა მათ პოზიციებს, გამოიწვევდა ან გააძლიერებდა დადებით დამოკიდებულებას მოსახლეობაში, მისცემდა მათ კიდევ უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალებას.
მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია "ჯეპრას" უფროსი კონსულტანტის- სოსო გალუმაშვილის[2] *გაზეთ „ქართულ სიტყვასთან" მიცემულ ინტერიუში მკაფიოდ ჩანს საკვლევი საკითხის კიდევ უფრო ღრმად შესწავლის აუცილებლობა:„* ნებისმიერი პოლიტიკური ძალის წარმატებების განმსაზღვრელი საზოგადოებასთან აქტიური და კოორდინირებული ურთიერთობაა:
თუ ახლანდელ გარდამავალ პერიოდს, 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ პერიოდს შევადარებთ, ახალი ხელისუფლების მხრიდან, პიარის თვალსაზრისით, აქტიურობა, რასაკვირველია, გაცილებით ნაკლებია და ეს, პრინციპში, გასაგებიცაა, რადგან რევოლუციისგან განსხვავებით, ახლა გადაბარება მშვიდობიანად მოხდა. აქედან გამომდინარე, პიარაქტივობა, რომელიც წინასაარჩევნოდ არც "ოცნებას" აკლდა და არც _ "ნაცმოძრაობას", შედარებითშემცირდა. არჩევნების შემდეგ, "ნაცმოძრაობის" სრული პარალიზება მოხდა, რადგან არჩევნების შედეგი მისთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. სხვათა შორის, პარალიზებასთან ახლო მყოფ მდგომარეობას "ქართული ოცნებაც" მიუახლოვდა იმიტომ რომ, არჩევნების შედეგი მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. ერთიცაა: კონსტიტუციაში ხელისუფლების გადაბარება არაა გაწერილი და ის კოლიზიები, რაც შესაძლოა, საკანონმდებლო ხარვეზების გამო მომხდარიყო, მიხეილ სააკაშვილის გარკვეულმა ნაბიჯებმა გამორიცხა."


საჯარო დაწესებულებები: საკრებულოები, გამგეობები, სამინისტროები და ა.შ. იმ სპეციფიკის სამსახურებია, რომლებსაც მუდმივი ურთიერთქმედება გააჩნიათ მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან და, სწორედ საჯარო სამსახურები ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა აწარმოებდნენ ურთიერთობას საზოგადოებასთან ყოველდღიურ რეჟიმში, რადგან დემოკრატიული განვითარება სახელმწიფო სტრუქტურის ფუნქცია და მოვალეობაა და არა ფუფუნების საგანი ან ვინმე კონკრეტული პრიოვნების ახირება.

2 სოსო გალუმაშვილი- 2002 წლიდან ჯეპრას მმართველი პარტნიორი და უფროსი კონსულტანტია. მისი 20 წლიანი სამუშაო გამოცდილება ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში, კერძო, საზოგადოებრივ და სახელმწიფო სტრუქტურებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტად და რეკლამის მენეჯერად მუშაობას მოიცავს. წლების განმავლობაში სოსო გალუმაშვილი ხელმძღვანელობდა არსის, კავკასუს ონლაინის, ბაზისბანკის, ნიკორას, ჰაიდელბერგცემენტის, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, HSBC ბანკი-საქართველოს, უნიქარდის ბრენდ საკომუნიკაციო კამპანიებს.მისი საკონსულტაციო საქმიანობა ასევე მოიცავდა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციების გრძელვადიანი საკომუნიკაციო სტრატეგიებისა და სოციალური პარტნიორობის პროექტების შემუშავებას.

ორმხივი კომუნიკაციის / საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი როლი საჯარო სამსახურში

რა ფუნქცია აკისრია PR-ს საჯარო სამსახურში თვალსაჩინოებისათვის წაროდგენილია შემდეგი სქემა:

1. აწარმოოს სრულფასოვანი კომუნიკაცია
2. ჰქონდეს გამართული საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემა
3. განახორციელოს გამჭვირვალე PR აქტივობები



უნდა ითქვას მკაფიოდ გამოკვეთილია შემდეგი პრობლემა - შესრულებულია საკმაოდ ბევრი, ხალხისათვის, მოქალაქეთათვის, საზოგადოებისათის სასიკეთო საქმე, მაგრამ ამაზე საუბარი საზოგადოებასთან არ ხდება, ქვეყნის მაცხოვრებელთა უმნიშვნელო წილმა თუ იცის ამ დადებითი ძვრების შესახებ და ხელისუფლებაში მყოფი პირები ამის გაშუქებას და საზოგადოებამდე მიტანას არც კი ცდილობენ, ყოველივე კი გამოწვეულია იმით, რომ 2012 წლამდე მიღებული გამოცდილებით და ტერმინისა და ბერკეტის არასწორი ინტერპრეტირებით PR არა მხოლოდ ასოცირდა პროპაგანდასთან, არამედ გამოყენებულიც ამ მიმართულებებით იქნა. საკმაოდ მკაფიო იყო მომაბეზრებელი სარეკლამო და საჩვენებელი გამოსვლები ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა მხრიდან, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს კომუნიკაციის ბევრად მაღალი დონე საოზოგადოებასთან ვიდრე ეს დღეს აქვს ხელისუფლებას და საჯარო სტრუქტრებს. ამ საკითხთან დაკავშირებით , უნდა აღინიშნოს *საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის - კახა მაღრაძეს [3] ინტერვიუ ქრონიკა პლიუსში:„რაც ყველაზე მეტად არ მომწონს ეს არის დღევანდელი ხელისუფლების სურვილი, უფრო სწორად იმაზე აპელირება, რომ ბევრ რამეს ვაკეთებთ და ვერ ვაჩენთო . ზოგჯერ იმაზეც წუხან PR არ გვივარგაო. როცა ახალი მოსულები იყვნენ, პირველ პერიოდში საერთოდ ინერტულები ჩანდნენ. თითქოს სტერეოტიპი ჩამოყალიბდა : „ოცნების“ ხელისუფლება არ არის პიარზე დამოკიდებულიო, მაგრამ ამის გარეშე ოცდამეერთე საუკუნეში ნებისმიერი ხელუსუფლება მოწყდება ხალხს. „*

PR ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობები იმ დიდი ჯაჭვის ერთ- ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც ქვეყნის, სახელმწიფოს და განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების და პასუხისმგებელი ხელისუფლების განვითარებას უწყობს ხელს.

3 კახა მაღრაძე- ჯეპრას უფროსი პარტნიორი და უფროსი კონსულტანტი2004 წლიდან მუშაობს პიარისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში, როგორც საკონსულტაციო ჯგუფ „ჯეპრას“ პროექტების მენეჯერი და უფროსი კონსულტანტი. ამ ხნის განმავლობაში მან მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის, პიარის, ივენთ მენეჯმენტის, ციფრული კომუნიკაციისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის და ბრენდინგისა დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.კახა მაღრაძეს განხორციელებული აქვს ოცდახუთამდე საჯარო უწყების სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმვისა და კონსულტაციის პროექტი საქართველოსა და ყირგიზეთში. მას უმუშავია სამოცამდე მსხვილი და საშუალო ბიზნესორგანიზაციის პიარსა და საკომუნიკაციო კამპანიების განხორციელებაზე.

პუბლიკაციები იმასთან დაკავშირებით , თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელი ხელისუფლება ცდილობდეს საზოგადოებასთან ორმხრივ კომინიკაციას , კიდევ უფრო ნათელს ხდის სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერსანდოობის ხარისხის ამაღლების და გამჭვირვალე/ღია მმართველობის პრინციპების არსებობის აუცილებლობას:

პოლიტოლოგ -რამაზ საყვარელიზეს[4] ინტერვიუ „For G e" -თვის ამყარებს ზემოხსენებულ მოსაზრებას:" ძველი პრობლემის ახალი ვარიანტია თქვენს კითხვაში. ძველი ვარიანტია ის, რომ პიარი არ უვარგა „ქართულ ოცნებას". მაგრამ არა ყველას - პიარის კუთხით უკეთესად აქვს საქმე კახა კალაძეს. მან, ერთი მხრივ, საკმაოდ გაბედული არაპოპულარული ნაბიჯები გადადგა, ოღონდ დაუმტკიცა მოსახლეობას, რომ ეს ნაბიჯი გადასადგმელი იყო. ამავე დროს, პრაქტიკულად, ყოველ მეორე დღეს არის საინფორმაციო საშუალებებში, ხან მერიის, ხან „ოცნების" თაობაზე გაკეთებული განცხადებებით.

ყოფილი ფეხბურთელის კვალობაზე, კალაძე საკმაოდ წიჭიერი აღმოჩნდა და მალე აუღო პოლიტიკას ალღო. იცის პიარი, იცის საქმის კეთებაც და ამ თვალსაზრისით, ნაკლები პრეტენზიებია მის მიმართ, ვიდრე მისი წინამორბედის მიმართ იყო. საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის კალაძე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, მაგრამ რა უშლით ხელს დეპუტატებს, მინისტებს, რომ იყვნენ ასეთი სახით კომუნიკაციაში საზოგადოებასთან, მით უმეტეს, რომ გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ პოლიტიკაში ყოფნის? იგივე კალაძესთან მიმართებაში არ ისმის ის პრეტენზია, რომ „ივანიშვილის მესიჯბოქს" კითხულობს, რაც სხვებთან მიმართებაში ისმის."

ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ვალდებულება და ფუნქციაა: საზოგადოებისაგან, მისივე აზრის გაგება, ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, საზოგადოების მოლოდინის პროგნოზირება და შეკვეთის მიღება, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირება ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე, საზოგადობრივი აზრის ფორმირება და ამა თუ იმ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად მისი აზრის მობილიზება და ბოლოს საზოგადოებრივი დისკუსიის წარმართვა ქვეყნისა და საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ, სწორედ აღნიშნული ფუნქციების რეალიზება უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივი ურთიერთბების მეშვეობით.
საზოგადოებასთან ურთიერთობა, იგივე PR, დღეს, საქართველოში არასწორად აღქმად ტერმინად ჩამოყალიბდა, რადგან პოსტსოციალისტურ ტრანსფორმაციაში შემოჭრილი საზოგადოებრივი ურთიერთობების გაგება 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად ასცდა მის რეალურ მნიშვნელობას, საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს შეექმნა წარმოდგენა, რომ PR არის არა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მკაფიო და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი, არამედ, ეს არის უფრო პროპაგანდა, რაც, რა თქმა უნდა, დამღუპველი შეცდომა იყო ნაციონლური მოძრაობის ხელისუფლებისათვის, რომელიც აქცენტს მხოლოდ PR-ზე აკეთებდა, რეალურად კი მათ საქმე ჰქონდათ პროპაგანდასთან ,რასაც არანაირი კავშირი ჰქონდა PR -თან(Public Relations) -საზოგადოებასთან ურთიერთობასთან. ფაქტობრივად ნაციონალური მოძრაობა არ ურთიერთობდა საზოგადოებასთან, ის უბრალოდ გადაწყვეტილებების მიღების შემდგომ , ამ დაწყვეტილებების მართებულობის პროპაგანდას ეწეოდა (რაც სრულებით არ ნიშნავს საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის არსებობას). ამის საპასუხოდ ქართული ოცნების ხელისუფლება სავარაუდოდ დისტანცირებას ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობებისგან, შესაძლოა სწორედ მისი წინამორბედის მიერ დაშვებული შეცდომების გამო.

სამწუხაროდ, არსებული, უკვე ჩატარებული კვლევის საფუძველზე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არსებობს არასახარბიელო , მანკიერი პრაქტიკა PR-ის შინაარსის გაგებისა, ის გაიგივებულია პროპაგანდასა და აგიტაციასთან, რაც დღევანდელ რეალობაში ქმნის მძიმე სურათს საჯარო სამსახურებსა და საზოგადოებას შორის ორმხრივი კომუნიკაციის კუთხით.

4 რამაზ საყვარელიძე- ქართველი პოლიტოლოგი და ფსიქოლოგი. 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1990-1996 წლებში იყო განათლების სამინისტროსთან არსებული გამოყენებითი ფსიქოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი; 1993-1995 წლებში სახელმწიფო მეთაურის საინფორმაციო პოლიტიკის ბიუროს ხელმძღვანელი, პრეს–მდივანი; 2005-2006 წლებში ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედიცინის ფაკულტეტის დეკანი; 1980- 2006 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი და კლასიკური ფსიქოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი; 2008 წლიდან არის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი. არის 40–მდე სამეცნიერო სტატიისა და მრავალი პუბლიცისტური წერილის ავტორი.

დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლების ვალდებულება და ფუნქცია უნდა იყოს საზოგადოებისაგან, მისივე აზრის გაგება, ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, საზოგადოების მოლოდინის პროგნოზირება , აგრეთვე საზოგადოების ინფორმირება ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე, საზოგადობრივი აზრის ფორმირება და ამა თუ იმ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად მისი მობილიზება და ბოლოს საზოგადოებრივი დისკუსიის წარმართვა ქვეყნისა და საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ. სწორედ აღნიშნული ფუნქციების რეალიზება უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივი ურთიერთბების მეშვეობით.

დასკვნა

თავისუფალი , დემოკრატიული , ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა რთული პროცესია , სადაც მოხელეთა პროფესიულ განვითარებას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. იგი ითხოვს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი მართვის ისეთი მოდელის შექმნას , რომელიც ეროვნულ დიადაგზე იქნება დაფუძნებული

საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მმართველობის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, თავადვე განსაზღვრავს სახელმწიფოში დემოკრატიის ხარისხს, ხელს უწყობს საზოგადოების დემოკრატიულ და ჰარმონიულ განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტური პრინციპების ღიაობის, გამჭვირვალეობისა და ანგარშვალდებულების განმტკიცებას.

შესრულებულია საკმაოდ ბევრი, ხალხისათვის სასიკეთო საქმე, მაგრამ ამაზე საუბარი მოსახლეობასთან არ ხდება, ქვეყნის მაცხოვრებელთა უმნიშვნელო ნაწილმა თუ იცის ამ დადებითი ძვრების შესახებ და ხელისუფლებაში მყოფი პირები ამის გაშუქებას და საზოგადოების ინფორმირებას შესაძლოა არ ახდენენ. ეს ყოველივე , კი მიუთითებს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი კომუნიკაციის დეფიციტზე , რაც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

აუცილებელია, თითოეულ საჯარო უწყებას შემუშავებული ჰქონდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა, საკომუნიკაციო სტრატეგია. ეს ყოველივე ხელს უწყობს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთნდობის ხარისხის ამაღლებას და ამკვიდრებს გამჭვირვალე და ღია მმართველობის პრინციპებს.
საზოგადოებასთან მკაფიო, გამჭვირვალე, ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაცია პირდაპირ აისახება პოლიტიკური სისტემის სტაბილურობაზე, სახელმწიფო მართვის ეფექტიან ფუნქციონირებაზე და ზოგადად ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური გუნდის გრძელვადიან წარმატებაზე.

ბიბლიოგრაფია

1. არისტოტელე. "რიტორიკა".რედაქტორი- აკაკი ურუშაძე. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1981.
2. მაკიაველი . "მთავარი " /Full_Version/mtavari-makiaveli.pdf
3. „საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველო" *https://transparency.ge/ge/post/xelisuplebis-piar-gonisziebebisa-da-reklamis-mzardi-xarjebi*
4. გაზეთი „ქრონიკა პლიუსი" საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი -კახა მაღრაზე http://qronikaplus.ge/?p=9040
5. გაზეთი „For Ge" https://for.ge/view/181576/mmarTvel-gunds-umravlesobis-mopoveba-ar-gauWirdeba-mas-xmebiT-opozicia-amaragebs.html
6. რ.ბ. დენჰარტი, ჯ. ვ. დენჰარტი „საჯარო მმართველობის მოქმედების კურსი" თბილისი 2012წ.
7. გ. ბაღათურია, ო. ბაღათურია „სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში" თბილისი 2015წ.
8. შ. დოღონაძე, ო. ქოჩორაძე „საქმიანი ურთიერთობები" თბილისი 2013

9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - სასწავლო პროგრამები http://gtu.ge/bef/Edu-Programs/bachelor.php
10. ზ. დევდარიანი, მ. დარჩია, მ. ტლაშაძე „აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან“ საქართველოს გაეროს ასოციაცია, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2001;
11. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგიდო ენციკლოპედია 2006;
12. ვ. შუბითიძე „რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს“ ელფი 2000,
13. საჯარო გამოსვლის ტექნიკის საფუძვლები- სალექციო კურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2014
14. ვ. შუბითიძე „რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს“ ელფი 2000,
15. ბილ კოვაჩი, როზენსტილი ტონ. “ჟურნალისტიკის ელემენტები”.იმპრესი. თბილისი. 2006.
16. Ronald Reagan, Farewell Address, Washington, DC, January 11, 1989.
17. John Corner. “ Mediated persona and political culture. Dimensions of structure and process” , European journal of cultural studies.London. John Street. “Celebrity Politicians : Popular Culture and Po